ნინო შატბერაშვილი • ნათია ფარცხალაძე

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო შატბერაშვილი
ნათია ფარცხალაძე

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა

უნივერსიტეტის გამომცემლობა

სახელმძღვანელო მომზადებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის 2023 წელს გამოცხადებული „სახელმძღვანელოების კონკურსის“ ფარგლებში.

რეცენზენტები: **შორენა საძაგლიშვილი**, PhD, MSW
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი,
სოციალური მუშაობის სამაგისტრო და
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

დარეჯან დვალიშვილი, PhD, MSW,
ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბავშვთა ხარისხიანი მომსახურების ინსტიტუტი/
Institute for Quality Children's Services

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

თსუს 2024 წლის კონკურსში გამარჯვებული სახელმძღვანელო.
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

ISBN 978-9941-36-410-5 (pdf)

შინაარსი

წინასიტყვაობა 11
ავტორების შესახებ
ნინო შატბერაშვილი 13
ნათია ფარცხალაძე 14

ნინო შატბერაშვილი. თავი 1. სოციალური მუშაობის განვითარების ისტორია 15
შესავალი 15
პროფესიის აღმოცენება 15
მაკროპრაქტიკის განვითარება 17
სოციალური მუშაობის განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში – რატომ ქალთა პროფესია? 18
პროფესიის განვითარების სირთულეები და გამოწვევები 21
ინდიჯენიზაცია და რეკონცეპტუალიზაცია ტრანსფორმაციის ეპოქაში 23
თავის შეჯამება 24
კითხვები რეფლექსიისთვის 25
გამოყენებული ლიტერატურა 25

ნინო შატბერაშვილი. თავი 2. საერთაშორისო სოციალური მუშაობა და სოციალური პოლიტიკა 27
შესავალი 27
რა არის საერთაშორისო სოციალური მუშაობა 27
საერთაშორისო სოციალური მუშაობა და საერთაშორისო სოციალური პოლიტიკა 29
სოციალური მუშაკის როლი საერთაშორისო კეთილდღეობასა და განვითარებაში 31
სოციალური მუშაკის სავალდებულო კომპეტენციები საერთაშორისო დონეზე მუშაობისთვის 32
საერთაშორისო სოციალური მუშაობის განმაპირობებელი და ხელშემწყობი ფაქტორები 33
თავის შეჯამება 34
კითხვები რეფლექსიისთვის 35
გამოყენებული ლიტერატურა 35

ნათია ფარცხალაძე. თავი 3. საერთაშორისო სოციალური მუშაობა, სოციალური მომსახურებები და ინსტიტუტები 36
შესავალი 36
სოციალური მუშაობის გლობალური დეფინიცია 36
საერთაშორისო სოციალური მუშაობა 39
საერთაშორისო სოციალური მუშაობის პრაქტიკა სხვადასხვა ჯგუფთან 41
მიგრანტებთან და ლტოლვილებთან მუშაობა 41
ქვეყანათშორისი შვილად აყვანა 42
სოციალური მუშაობის გლობალური ორგანიზაციები 43

სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაცია ... 43
სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაცია ... 44
სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭო ... 45
სოციალური მომსახურებების მუშაკის ცნება ... 46
სოციალური მომსახურებების მუშაკი ... 46
ეროვნული პროფესიული ასოციაციები ... 48
თავის შეჯამება ... 49
კითხვები რეფლექსიისთვის ... 49
გამოყენებული ლიტერატურა ... 50

ნინო შატბერაშვილი. თავი 4. სოციალური მუშაკის როლი სოციალური პოლიტიკის ასპარეზზე ... 52
შესავალი ... 52
სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის სპეციფიკა ... 52
რადიკალური სოციალური მუშაობა თუ სტაბილურობის შენარჩუნება ... 55
მაკროპრაქტიკის განმსაზღვრელი ასპექტები ... 57
მაკროპრაქტიკის თეორიული საფუძვლები ... 59
მაკროპრაქტიკისთვის მახასიათებელი ეთიკური დილემები ... 61
თავის შეჯამება ... 64
კითხვები რეფლექსიისთვის ... 65
გამოყენებული ლიტერატურა ... 65

ნათია ფარცხალაძე. თავი 5. სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისათვის ... 66
შესავალი ... 66
მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგი ... 66
გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და სოციალურ მუშაობაში გამოყენებული ძირითადი ტერმინები და კონცეფციები ... 75
სოციალური მუშაობა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები ... 76
გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები სოციალური მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამებში ... 78
თავის შეჯამება ... 79
კითხვები რეფლექსიისთვის ... 80
გამოყენებული ლიტერატურა ... 80

ნინო შატბერაშვილი. თავი 6. სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის ეთიკა და ღირებულებები ... 83
შესავალი ... 83
სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსი: ისტორია, სტრუქტურა, შინაარსი ... 84
სოციალური მუშაობის ეთიკის ფილოსოფიური საფუძვლები ... 86
ეთიკური თეორიები ... 88
რა არის მაკროპრაქტიკა? ... 91
კოდექსის დანიშნულება ეთიკურ დილემებთან გასამკლავებლად ... 97
მაკროპრაქტიკის ღირებულებების თავსებადობა იდეოლოგიურ შეხედულებებთან ... 106
თავის შეჯამება ... 110

კითხვები რეფლექსიისთვის 113
გამოყენებული ლიტერატურა 113
ნინო შატბერაშვილი. თავი 7. სოციალური კეთილდღეობის იდეოლოგია 117
შესავალი 117
კეთილდღეობის გააზრება სხვადასხვა იდეოლოგიურ ჭრილში 117
რადიკალ-მემარჯვენეთა დამოკიდებულება კეთილდღეობისადმი 118
კონსერვატორთა დამოკიდებულება კეთილდღეობისადმი 120
სოციალ-დემოკრატთა დამოკიდებულება კეთილდღეობისადმი 121
მარქსისტთა დამოკიდებულება კეთილდღეობისადმი 123
ფემინისტთა დამოკიდებულება კეთილდღეობისადმი 125
კრიტიკული მოსაზრებები სხვადასხვა იდეოლოგიისადმი 126
რადიკალ-მემარჯვენეთა კრიტიკა სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან 126
კონსერვატორთა კრიტიკა სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან 127
სოციალ-დემოკრატთა კრიტიკა სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან 128
მარქსისტთა კრიტიკა სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან 129
ფემინისტთა კრიტიკა სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან 129
კეთილდღეობის გააზრება თეორეტიკოსთა მიერ 129
თავის შეჯამება 133
კითხვები რეფლექსიისთვის 134
გამოყენებული ლიტერატურა 135

ნინო შატბერაშვილი. თავი 8. სოციალური კეთილდღეობის მოდელები 136
შესავალი 136
კეთილდღეობის სისტემის ფორმირების მიზეზები 136
კეთილდღეობის ევროპული მოდელები 139
ლიბერალური მოდელი 139
ცენტრალურევროპული მოდელი 140
სამხრეთევროპული მოდელი 144
სოციალურ-დემოკრატიული მოდელი 146
მოსაზრებები კეთილდღეობის სისტემაზე გლობალიზაციის ზეგავლენაზე 149
კეთილდღეობის მოდელების ტიპოლოგია 150
თავის შეჯამება 152
კითხვები რეფლექსიისთვის 153
გამოყენებული ლიტერატურა 153

ნინო შატბერაშვილი. თავი 9. სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ანალიზი 155
შესავალი 155
პოლიტიკის ფორმულირება და შეფასება 155
პოლიტიკის ანალიზის ტექნიკები 156
რაციონალური მიდგომა 157
ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი 158
ხარჯთეფექტიანობის ანალიზი 161

მიკროსიმულაციის მოდელი ... 163
მინიმაქსის სტრატეგია ... 164
ანალიზის სირთულეები ... 165
თამაშის თეორია ... 165
კონფლიქტური და თანამშრომლობითი მოდელი ... 169
ობიექტური ანალიზის საჭიროება ... 171
თავის შეჯამება ... 171
კითხვები რეფლექსიისთვის ... 172
გამოყენებული ლიტერატურა ... 173

ნინო შატბერაშვილი. თავი 10. სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა
სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობისათვის ... 174
შესავალი ... 174
სოციალური ექსკლუზია და ინკლუზია ... 174
სოციალური ექსკლუზიის კონცეფციის ფორმირების ისტორია ... 174
სოციალური ექსკლუზიის კონცეფციის ძლიერი და სუსტი მხარეები ... 176
თანასწორობა, როგორც სოციალური ინკლუზიის საწინდარი ... 178
როგორ ვზომავთ უთანასწორობას ... 179
კეთილდღეობის მომსახურებების როლი სოციალური ინკლუზიის უზრუნველსაყოფად ... 181
ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის რეფორმა საქართველოში ... 184
თავის შეჯამება ... 187
კითხვები რეფლექსიისთვის ... 188
გამოყენებული ლიტერატურა ... 188

ნინო შატბერაშვილი. თავი 11. კეთილდღეობის სისტემის რეაგირება სოციალური პრობლემების დაძლევაზე: სიღარიბე, უმუშევრობა ... 190
შესავალი ... 190
რა არის სიღარიბე – განსაზღვრებები ... 190
სიღარიბის თეორიები ... 191
როგორ გავზომოთ სიღარიბე ... 193
აბსოლუტური სიღარიბე ... 193
შედარებითი სიღარიბე ... 194
სიღარიბის გაზომვის სხვადასხვა მეთოდი ... 198
სიღარიბის ზღვარი, როგორც სიღარიბის გაზომვის სტანდარტი ... 199
როგორ დგება სამომხმარებლო კალათა ... 200
სოციალური ექსკლუზია ... 201
როგორ შევამციროთ სიღარიბის მაჩვენებელი ... 203
დასაქმება ... 204
დასაქმების პოლიტიკა ... 204
კეთილდღეობიდან დასაქმებისკენ პოლიტიკა ... 206
სოციალური მუშაობა სიღარიბისა და დაუსაქმებლობის პრობლემის დაძლევისთვის ... 210
თავის შეჯამება ... 211

კითხვები რეფლექსიისთვის 212
გამოყენებული ლიტერატურა 213

ნათია ფარცხალაძე. თავი 12. სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში 215
შესავალი 215
ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტები 216
ჯანდაცვის უთანასწორობა 218
სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში 219
ჯანდაცვის სოციალური მუშაობის მოდელები 223
ჯანდაცვისა და სოციალური ზრუნვის ინტეგრირება 224
ჯანდაცვის სისტემური გამოწვევების დაძლევის სოციალური მუშაობის სტრატეგიები 227
ჯანმრთელობის დაცვის სოციალური მუშაობა საქართველოში 229
თავის შეჯამება 230
კითხვები რეფლექსიისთვის 231
გამოყენებული ლიტერატურა 231

ნათია ფარცხალაძე. თავი 13. სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა დემოგრაფიული გამოწვევების საპასუხოდ 235
შესავალი 235
დემოგრაფიის ძირითადი კონცეფციები 235
მოსახლეობის რაოდენობა 236
მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა) 236
ასაკობრივი სტრუქტურა 237
მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობა 238
ძირითადი დემოგრაფიული ცვლილებები 239
გლობალური დაბერება მთელს მსოფლიოში, როგორც ცენტრალური გამოწვევა . 239
ცვლილებები ოჯახის სტრუქტურაში 240
მოსახლეობის ურბანიზაცია და ცხოვრების წესის შეცვლა 241
მიგრაცია 241
დემოგრაფიული და სოციალური პოლიტიკის ურთიერთგავლენა და სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის როლი დემოგრაფიული გამოწვევების საპასუხოდ 242
თავის შეჯამება 244
კითხვები რეფლექსიისთვის 245
გამოყენებული ლიტერატურა 245

ნათია ფარცხალაძე. თავი 14. სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად: ხანდაზმულებთან და საგანგებო მდგომარეობაში მყოფ პირებთან მუშაობა 247
შესავალი 247
ცხოვრების ხარისხის კონცეფცია სოციალურ მუშაობაში 247
სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა ხანდაზმულებთან 249
დემოგრაფიული ცვლილებები და მოსახლეობის დაბერება 249
ხანდაზმულობის განმარტება 251

ეიჯიზმი 252
ხანდაზმულებთან მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპები 254
სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა ხანდაზმულებთან 258
საგანგებო მდგომარეობაში მყოფი პირები 259
საგანგებო მდგომარეობებზე რეაგირება 261
საგანგებო მდგომარეობის მართვის ციკლი 263
სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა საგანგებო სიტუაციებში 266
თავის შეჯამება 268
კითხვები რეფლექსიისთვის 269
გამოყენებული ლიტერატურა 269

ნინო შატბერაშვილი. თავი 15. სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის: ბავშვები ოჯახებში, ზრუნვის ალტერნატიულ მომსახურებებში, საგანმანათლებლო სისტემაში, სასჯელაღსრულების სისტემაში 274
შესავალი 274
ცხოვრების ხარისხის კონცეფცია ბავშვებთან მუშაობისას 274
ბავშვების მხარდაჭერა ოჯახებსა და ზრუნვის ალტერნატიულ მომსახურებებში 276
რას გულისხმობს ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკა 277
ბავშვების მხარდაჭერა საგანმანათლებლო სისტემაში 283
ბავშვების მხარდაჭერა სასჯელაღსრულების სისტემაში 287
თავის შეჯამება 290
კითხვები რეფლექსიისთვის: 291
გამოყენებული ლიტერატურა: 291

ნათია ფარცხალაძე. თავი 16. სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა გარემოსდაცვითი გამოწვევების საპასუხოდ 295
შესავალი 295
მოსახლეობის გავლენა გარემოზე 295
„ნახშირბადის ნაკვალევი“ 297
გლობალური დათბობა 297
შიმშილი განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში 298
ეკოსისტემური მიდგომა 299
გარემოსდაცვითი სამართლიანობის გამოწვევები 299
გარემოსდაცვითი გამოწვევების მიმართ მოწყვლადობის მაჩვენებლები 300
ეკოლოგიური პარადიგმა სოციალურ მუშაობაში 301
სოციალური მუშაკის როლი ეკოლოგიური სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკაში 304
თავის შეჯამება 306
კითხვები რეფლექსიისთვის 306
გამოყენებული ლიტერატურა 308

წინასიტყვაობა

სოციალური მუშაობა სულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს, როგორც სოციალური კეთილდღეობის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სვეტი. სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი მოიცავს მაკროპრაქტიკის სასწავლო კომპონენტს.

სახელმძღვანელოს მიზანია სოციალური მუშაობის მაგისტრანტ სტუდენტებს მიაწოდოს სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის შესახებ სპეციფიკური ცოდნა შემდეგ საკითხებზე: სოციალური კეთილდღეობის სისტემის ზეგავლენა სოციალური მომსახურებების რაგვარობაზე; სოციალური მუშაკის როლი კეთილდღეობის სისტემათა ფორმირებაში, მომსახურებების დაგეგმვაში, მიწოდებასა და მათი ზეგავლენის გაზომვაში. სახელმძღვანელოში გაშუქებულია სხვადასხვა სოციოპოლიტიკური იდეოლოგიის ზემოქმედება მხარდამჭერი პროფესიების ფუნქციის განსაზღვრასა და ფორმირებაზე; სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის სპეციფიკა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის სოციალურ პრობლემებთან გამკლავებასა და მდგრადი განვითარების საერთაშორისო თუ ადგილობრივი მიზნებისა და ამოცანების აღსრულებაში. ხაზს უსვამს რა მაკროპრაქტიკის მნიშვნელობას, სახელმძღვანელო ცდილობს წარმოაჩინოს როგორ, როდის და რატომ უნდა მოვერიდოთ პრობლემათა ინდივიდუალიზაციით შემოფარგვლას, როგორ გავაანალიზოთ მიმდინარე სოციალურ მოვლენებს შორის კავშირი სხვადასხვა მაკროპარამეტრზე დაყრდნობით და განვახორციელოთ მაკროდონის პრაქტიკა.

ავტორების შესახებ

ნინო შატბერაშვილი არის სოციალური მუშაობის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. ის ხელმძღვანელობს თსუ-ის ბავშვის უფლებათა ცენტრს.

ნინოს დოქტორის წოდება მიღებული აქვს ლუბლიანას უნივერსიტეტში, სლოვენიაში, 2016 წელს. მას დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია სოციალურ მუშაობაში თემაზე „სოციალური მუშაკის როლი სიღარიბის დაძლევაში საქართველოში“. სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხი მას მიღებული აქვს ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში 2002-2004 წლებში, ძირითადი პროფესიით: სოციალური მუშაობა, სოციალური მუშაობის ფაკულტეტი; დამატებითი: საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

ნინოს აქტიური როლი აქვს საქართველოში სოციალური მუშაობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარებაში როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე ილიას უნივერსიტეტში. 2005 წლიდან ნინო ხელმძღვანელობდა, ევროკავშირის TEMPUS/TACIS-ის პროექტის ფარგლებში, სერტიფიცირების პროგრამებს. 2020-2021 წელს ის იყო სოციალური მუშაობის უმაღლესი განათლების დარგობრივი სამუშაო ჯგუფისა და, მოგვიანებით, საბჭოს წევრი, რომელმაც მოამზადა სოციალური მუშაობის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი უმაღლესი განათლების 1-ლი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. ნინო არის უმაღლესი განათლების დარგობრივი აკრედიტაციის ექსპერტი.

ნინო შატბერაშვილი არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი; სოციალურ მუშაკთა კლუბის დამფუძნებელი და გამგეობის წევრი. ნინო აქტიურ პროფესიულ საქმიანობას ეწევა საქართველოშიც და საერთაშორისო დონეზეც. ამჟამად ის არის *სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭოს* მეორე წარმომადგენელი ევროპის საბჭოში; *განათლებისა და ზრუნვის სფეროში კონფლიქტების მართვისა და რეაგირების ევროპული ფედერაციის* გამგეობის წევრი; *თბილისის აღმოსავლეთევროპული სკოლის* გამგეობის წევრი; *ამერიკის სოციალური მუშაობის მართვის ქსელის* წევრი; *ევროპის აღდგენითი მართლმსაჯულების ფორუმის,* ადღგენითი სკოლის სამუშაო ჯგუფის წევრი; ევროპის *სოციალური მუშაობის სკოლების ევროპული ასოციაციის* ეკოსოციალური მუშაობის საინიციატივო ჯგუფის წევრი.

ნინოს აქვს მუშაობის გამოცდილება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში როგორც არასამთავრობო, ისე სამთავრობო სექტორში. მას დიდი წვლილი მიუძღვის სოციალური მუშაობის განვითარებაში ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. იგი ხელმძღვანელობდა ბავშვთა დაცვისა და განათლების სექტორს გაეროს ბავშვთა ფონდში საქართველოში, უძღვებოდა ევროკავშირის *ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მხარდამჭერ* პროგრამას, ხელმძღვანელობდა *სარეაბილიტაციო მომსახურების სამმართველოს* საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, კურირებდა ფსიქოსოციალური მომსახურების სექტორს, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში. მას მიეწერება სოციალური მუშაობის კომპონენტის განვითარება ამ სისტემებში.

ნათია ფარცხალაძე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია სოციალურ მუშაობაში თემაზე: *ცხოვრების ხარისხი, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის შეფასების მეთოდი.* მას მიღებული აქვს სამედიცინო განათლება და მაგისტრის ხარისხები გარემოსა და ჯანდაცვის პოლიტიკაში და სოციალურ მუშაობაში საქართველოს, უნგრეთისა და აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებში.

2005 წლიდან ნათია ჩართული იყო, ევროკავშირის TEMPUS/TACIS-ის პროექტის ფარგლებში, თსუ-ში სოციალური მუშაობის სერტიფიცირების, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დაარსებაში. აკადემიური პროგრამების შექმნის დღიდან ასწავლის ამ პროგრამების სტუდენტებს. ნათია არის თსუ-ის ბავშვის უფლებების ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი; ჩართულია ბავშვის უფლებათა სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაში.

2020-2021 და 2024 წლებში ნათია ფარცხალაძე იყო სოციალური მუშაობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს თავმჯდომარე და სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირების პროგრამის დარგობრივი საბჭოს წევრი. ამ საბჭოებმა შეიმუშავეს უმაღლესი განათლების I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI საფეხურის დარგობრივი მახასიათებლები. ნათია არის უმაღლესი განათლების დარგობრივი აკრედიტაციის ექსპერტი.

ნათია ფარცხალაძე არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი. 2014-2015 წლებში ასრულებდა ასოციაციის პრეზიდენტის მოვალეობას. მას აქვს 20-წლიანი გამოცდილება სოციალური მუშაობის, სოციალური დაცვის, ბავშვთა კეთილდღეობის, ალტერნატიული ზრუნვისა და გერონტოლოგიის სფეროებში. ნათიას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის სისტემისა და სოციალური მუშაობის პროფესიულ განვითარებაში. ის თითქმის 10 წლის განმავლობაში მუშაობდა გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოსა და ჟენევის რეგიონულ ოფისებში. 2017 წლიდან ნათია ასრულებს სოციალური მომსახურებების გლობალური ალიანსის მრჩევლის როლს. როგორც საერთაშორისო ექსპერტს, ნათია ფარცხალაძეს უთანამშრომლია 40-მდე ქვეყნის მთავრობასთან ბავშვთა კეთილდღეობის სისტემების რეფორმირებისა და სოციალური მუშაობის პროფესიული განვითარების მიმართულებით. ის ჩართულია ალიანსისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ოცამდე გლობალური კვლევისა და პუბლიკაციის შექმნაში. მომხსენებლის ან მონაწილის რანგში, ნათია ფარცხალაძე მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო კონფერენციასა და შეკრებაში; არის რამდენიმე სტატიისა და წიგნის ქვეთავის ავტორი და თანაავტორი.

ნინო შატბერაშვილი

თავი 1

სოციალური მუშაობის განვითარების ისტორია

შესავალი

წინამდებარე თავში გაშუქებულია სოციალური მუშაობის განვითარების ისტორია მისი წარმოშობის ეტაპიდან დღემდე, სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური პროცესების ფონზე. თავი წარმოადგენს პროფესიის განვითარების მიღწევებს, გამოწვევებსა და სირთულეებს; ცდილობს სირთულეების მიზეზების ახსნას და დაძლევის გზების წარმოჩენას.

თავში აღწერილია სხვადასხვა ქვეყანაში პროფესიის განვითარების გზა და, მისი ადგილობრივი კონტექსტისა და მოთხოვნების შესაბამისად, ტრანსფორმაციის მიზეზები; საუბარია პროფესიის მრავალმანდატიანობისაგან მომდინარე საფრთხეებზეც და მათი არიდების მნიშვნელობაზე; შეძლებისდაგვარად ახსნილია ის ისტორიული მისია, რომელმაც პროფესიას ერთდროულად სოციალური რისკების წინაშე მყოფთა მხარდაჭერისა და კონტროლის ფუნქცია დააკისრა.

თავში ხაზგასმულია პროფესიის მნიშვნელობა თანამედროვე ეპოქაშიც, მიუხედავად არსებული რეალობების ცვლილებისა, თანამედროვეობაში გაბატონებული სოციალური გარიყულობის პრევენციისათვის და მასზე საპასუხოდ; აქცენტირებულია სოციალური სისტემის ეფექტიანად მუშაობაში სოციალური მუშაკის როლი, რომელსაც დიდი წვლილის შეტანა შეუძლია „ფუნქციური დიფერენციაციის“ მახასიათებლებით მდიდარ საზოგადოებაში (Grossmanss, 2010, p. 26).

პროფესიის აღმოცენება

სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის, ისტორია იწყება მე-19 საუკუნის ბოლოს, როდესაც სოციალური მომსახურებები საერო ხდება და მათ მიწოდებას სოციალური რეფორმატორები იწყებენ. მანამდე მომსახურებები რელიგიური ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ქველმოქმედების, ფილანთროპიული ჯგუფების ან მოხალისე აქტივისტების მიერ მიეწოდებოდათ ღარიბებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ობლებს, იმიგრანტებს და დახმარების საჭიროების მქონე სხვა პირებს. სოციალური რეფორმატორები და აქტივისტები დახმარებას სურვილისამებრ ან მათთვის მოსახერხებელ დროს კი არ გასცემდნენ წინამორბედთაგან განსხვავებით, არამედ სისტემატიზებულად. ეს მათი ძირითადი საქმიანობა გახდა და სხვა ადამიანების გადამზადებაც კი დაიწყეს ამგვარი მომსახურების მიწოდებაში.

ვან ვორმერი (1997) სოციალურ მუშაკად დასაქმების პირველწყაროდ ასახელებს ლონდონის უფასო სამეფო საავადმყოფოს მიერ დაქირავებულ სოციალურ მუშაკს, რომელიც მერი სტიუარტის საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოების (Charity Organization Society) მიერ იყო გადამზადებული. ცხადია, რომ ყველაზე მარტივად თარიღის დადგენა იმ დროიდან შეიძლება, როცა სოციალურ მუშაობაზე ფორმალიზებუ-

ლი ტრენინგი დაიწყო ნიუ იორკში, საზაფხულო სკოლაში, 1898 წელს. წყაროები გვაცნობენ, რომ ტრენინგკურსები ინგლისშიც არსებობდა უფრო ადრე, შესაძლოა სხვაგანაც, მაგრამ ამის მტკიცებულება არ გვაქვს. სოციალური მუშაობის პირველი სკოლა კი ამსტერდამში გაიხსნა 1899 წელს (Healy, 2008). სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ისეთი სააგენტოები, როგორებიცაა: *განსახლების სახლები* (Settlement Houses), *საქველმოქმედო ორგანიზაციების საზოგადოებები* (Charity Organizations Societies) და *ახალგაზრდა ქალთა ქრისტიანული ასოციაცია* (Young Women's Christian Accosiation). მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი იმდროინდელ სოციალურ პრობლემებზე საპასუხოდ წარმოიშვა, მათი იდეოლოგიური საფუძვლები განსხვავებულია.

სამეცნიერო ქველმოქმედება ფოკუსირებული იყო *დამსახურებულობის პრინციპზე,* მაშინ, როცა ეფექტიანი ალტრუიზმი ფოკუსირდა უფრო მეტად საჭიროებაზე, ე.ი., პირველ რიგში, დახმარების აღმოჩენაზე მისთვის, ვისაც ეს მეტად სჭირდება. ეს უკანასკნელი კონსექვენციალიზმს, ე.ი. საბოლოო შედეგის მიღწევის პრინციპს ეფუძნება, მაშინ, როდესაც პირველი დეონტოლოგიურ ბაზისზე დგას, ე.ი. უფლებებისა და სამართლიანობის პრინციპებს ეფუძნება (Gray, Webb, 2010). ამასთან, ეფექტიანი ალტრუიზმი არ იჩემებს, რომ თავად ადამიანზე უკეთ შეიძლება ვინმემ იცოდეს რა სჭირდება მას, მაშინ, როდესაც სამეცნიერო ქველმოქმედება უშვებს, რომ ადამიანებს სწორედ იმიტომ სჭირდებათ დახმარება, რომ თავად არ იციან როგორ დააღწიონ თავი პრობლემას, ვერ იაზრებენ ეს პრობლემები მათი ბრალეულობით არის თუ არა (Kauffman, 2016). ამასთან, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზმა განაპირობა სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარება. თუ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ის პოსტინდუსტრიული პროდუქტია, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში ის დასავლური ძალისხმევაა „ჩამორჩენილობის" პრობლემების გადასაჭრელად (Healy, 2008). წითელი ბლოკის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში კი ის სოციალიზმის მონაპოვრის უკეთ ამოქმედებას ემსახურებოდა (ამ საკითხს უფრო დეტალურად ქვევით განვიხილავთ) (Hessle, Zavirsek, 2005).

საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოებები (Charity Organisation Societies/ COS) სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა წელს, თუმცა მაინც ერთ პერიოდში დაარსდა. საქველმოქმედო საზოგადოებების დაარსებას ინგლისში 1869 წელს, მოჰყვა ორგანიზაციის დაარსება გერმანიაში, ქალაქ ელბერფელსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ბუფალოში, 1877 წელს. ამ ორგანიზაციების მთავარი ამოცანა იყო, ღარიბთათვის შემწეობის დარიგების ნაცვლად, სიღარიბის ციკლის გარღვევა მათთვის არა მხოლოდ დახმარების გაცემით, არამედ შრომის პროპაგანდირებით და დახმარებაზე დამოკიდებულების შემცირებით. ორგანიზაცია დღესაც ფუნქციონირებს, როგორც ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება.

ინგლისში საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოებების საქმიანობას აქტიურად ახორციელებდნენ მაშინდელი სოციალური რეფორმატორები: ჰელენ ბოსანქვეტი და ოქტავია ჰილი. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ისინი თანამედროვე სოციალური მუშაობის პრაქტიკას ეწეოდნენ. მოხალისე სათემო ვიზიტორების ეს ძალისხმევა ნელ-ნელა გადაიზარდა სოციალური მუშაობის *შემთხვევაზე მუშაობის,* როგორც ჩარევის ტექნიკის, ფორმირებაში. მოხალისეები თავს მიიჩნევდნენ არა უბრალოდ დახმარების გამცემებად, არამედ ადამიანთა მხარდამჭერებად, რომ მათ დამოუკიდებელი ცხოვრება შეძლებოდათ. მათი მომსახურებაც გამრავალფეროვნდა და სამიზნე ჯგუ-

ფების მოცვაც. მაგალითად, ამერიკაში, ღარიბების გარდა, ისინი ემსახურებოდნენ ტუბერკულოზით დაავადებულებს, დაავადების მართვისა და არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მიღებისათვის. თუმცა მომსახურების მიწოდების მიზანი იშვიათად მიიღწეოდა. მომსახურების მიმღები დამოუკიდებელ ცხოვრებას ხშირად მაინც ვერ იწყებდა და ორგანიზაციის მესვეურებიც იმედგაცრუებულნი რჩებოდნენ. ორგანიზაციისადმი კრიტიკაც მატულობდა, მას სარკასტულად „დაიჩოქე ან შიმშილით მოკვდი“ (“Cringe or Starve”) უწოდეს, რაც ინგლისურად იმავე აკრონიმს ქმნის, რასაც ორგანიზაციის სახელწოდება – COS.

ინგლისის მსგავსად, ამერიკაშიც, ამ ორგანიზაციას დაარსებას მიზნად იგივე ამოცანა ჰქონდა დასახული – ადამიანებს დახმარებოდა დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში. მას წინ უძღვოდა 1870-იან წლებში დაწყებული *სამეცნიერო საქველმოქმედო მოძრაობა* (The Scientific Charity Movement). საქველმოქმედო ორგანიზაციის საზოგადოება ამერიკაში სოციალური რეფორმატორის – ჯოზეფინ შო ლოუელისა და ეპისკოპალური ეკლესიის მღვდლის – სტეფან ჰამპრის გარტინის ძალისხმევით დაარსდა. დიადი მისწრაფების მიუხედავად, მოწყვლად ჯგუფთა „გამოსწორების“ ჰუმანურსა და ალტრუისტულ იდეას მალე შეეპარა იმ დროს პოპულარული *ევგენიკისა* და *სოციალური დარვინიზმის* იდეები. ამან კი მომსახურების მიმღებთა სეგრეგაცია გამოიწვია, ყველაზე უმწეოების ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გამოკეტვით. თავად შო ლოუელი და ჰამპრის გარტინიც კი სოციალური პრობლემების ძირითად მიზეზად ადამიანთა ინდივიდუალურ პრობლემებს მიიჩნევდნენ.

მაკროპრაქტიკის განვითარება

თანდათან იცვლებოდა დამოკიდებულება სოციალური პრობლემების მიზეზებისადმი. ადამიანთა დადანაშაულებიდან, თავად ამ პრობლემების გამომწვევ მიზეზებზე დაიწყო ფიქრი სხვადასხვა ქვეყანაში, რადგან პრობლემების მასშტაბი იზრდებოდა, შესაბამისად კი, მათით დაზარალებულ ადამიანთა რიცხვიც. ნათელი ხდებოდა, რომ პრობლემის მიზეზი კონკრეტული ინდივიდების პერსონალური ბრალეულობით არ იყო გამოწვეული მხოლოდ, შესაბამისად, სოციალური პრობლემების პათოლოგიზაცია გაუმართლებელი ხდებოდა.

30-იანი წლების დიდმა დეპრესიამ სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის განვითარებაც გამოიწვია. ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალური მუშაკები აქტიურად ჩაერთნენ ისეთი მძლავრი სოციალური პრობლემების მოგვარებაში, როგორიცაა სიღარიბე, უმუშევრობა, რადგან უკვე იქაც გაიაზრეს, რომ ეს არ არის ადამიანთა ინდივიდუალური პრობლემები, რომლებიც მათი პირადი უნიათობითაა გამოწვეული და არც მხოლოდ ერთეულთა პრობლემებია. ისეთი ცნობილი სოციალური მუშაკები, როგორებიც არიან დები აბოტები, ჰარი ჰოპკინსი, იწყებენ ქვეყნის სოციოეკონომიკური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების შემუშავებაზე მუშაობას. მაგალითად, ედიტ აბოტი, ამერიკაში ბავშვთა შრომის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტის ავტორი, გრეის აბოტი კი სოციალური დახმარების პროგრამის ავტორი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სკოლის დეკანი იყო. ჰარი ჰოპკინსი „ახალი გარიგების“ პოლიტიკის შემქმნელი და სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი იყო 1923 წელს (Healy, 2008).

მაკროპრაქტიკის განვითარების საჭიროება კიდევ უფრო მკვეთრად წარმოჩინდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) სხვადასხვა სააგენტო (დახმარებისა და რეაბილიტაციის ადმინისტრაცია/UNRRA, გაეროს ბავშვთა ფონდი/UNICEF, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სოციალური კომიტეტი/ECOSOC) ხელს უწყობს პროფესიის განვითარებას განვითარებად ქვეყნებშიც, როგორც გლობალური კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. სოციალურმა მუშაკებმა აქტიურად დაიწყეს პროფესიის განვითარება საკუთარი ქვეყნის გარეთ. ლოკალური პრობლემების მიღმა, სხვადასხვა ქვეყანაში მუშაობის სურვილი არ იყო გამოწვეული მხოლოდ პროფესიული მეთოდებითა და მიდგომებით დაინტერესებით, არც მხოლოდ მსოფლიოში დაწყებული ქვეყანათშორისი მიგრაციებით. მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა სულ უფრო გააფერმკრთალა საზღვრები შინა და გარე სოციალურ პრობლემებს შორის. უფრო მეტიც, ამ პერიოდმა ნათლად წარმოაჩინა, რომ ხშირად ისინი ურთიერთგადაჯაჭვულიც კი არის.

მაკროპრაქტიკა შეიძლება განხორციელდეს საკუთარ ქვეყანაშიც პოლიტიკის დონეზე და გლობალურად, საერთაშორისო ასპარეზზეც, სოციალურ პრობლემებზე საერთო და არა მხოლოდ ადგილობრივი ძალისხმევის კონსოლიდაციით. გლობალური სოციალური პრობლემები შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ (George, 2004, Page, 2004):

1. პრობლემის მიზეზი გლობალურად არსებულ და/ან მიმდინარე პროცესებშია და არა ნაციონალურში
2. ეს პრობლემები სცდება ეროვნულ საზღვრებს, მიუხედავად ადგილობრივი სახელმწიფოების ძალისხმევისა
3. საკითხის გადაჭრა ადგილობრივ დონეზე ძალიან რთულია
4. სუპრანაციონალური უწყებები შეიქმნა იმისათვის, რომ დაეხმარონ ქვეყნებს სწორედ ამ პრობლემის გადაჭრაში.

ამ ხედვით გაერთიანებული კოლეგები იწყებენ პროფესიულ მოგზაურობას საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. პროფესიის განვითარების პროცესს სხვა ქვეყნებში კი ხშირად მოჰყვება მისი სახეცვლილება საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებისას. კულტურული და სოციალური პრობლემების ნაირგვარობაც და მსგავსებაც სოციალურ მუშაკებს დააფიქრებს მაკროპრაქტიკის კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით განვითარების საჭიროებაზე.

სოციალური მუშაობის განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში – რატომ ქალთა პროფესია?

ევროპის კონტინენტზე, სოციალური მუშაობა სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის ერთ პერიოდში, მაგრამ ოდნავ განსხვავებული ფოკუსით ვითარდება. ზემოგანხილული განვითარების მიღმა, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, პროფესია ევროპის ქვეყნებშიც ვითარდება. გერმანიაში, სოციალური მუშაობის პიონერმა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, მოგვიანებით საერთაშორისო სოციალურ მუშაკთა ფედერაციის პრეზიდენტმა, ალის სალომონმა ტრენინგის კურსი დაიწყო სოციალური მუშაობის მომსახურების მოწოდებით დაინტერესებული ახალგაზრდა ქალებისთვის 1899 წელს (Healy, 2008). ეს საკმაოდ გამომწვევი საქმიანობა იყო იმდროინდელ გერმანიაში, სა-

დაც ქალი, სხვა ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, არა მხოლოდ მამაკაცის დამხმარედ მოიაზრებოდა სხვადასხვა პროფესიაში (მაგალითად, მასწავლებლის, ექიმის), არამედ, საერთოდ, უხილავი აქტორია კეთილდღეობის სისტემისათვის. გერმანიაში ბისმარკის მოდელი „მამაკაცი შემომტანის“ იდეაზე იყო დაფუძნებული და ქალის კეთილდღეობა ქორწინების წარმატების მიხედვით იქმნებოდა. სწორედ ამ ვითარებაში ალის სალომონი ქალთა უფლებებზე და მათ გაძლიერებაზეა ორიენტირებული.

უცნაურად ვითარდება პროფესია ესპანეთშიც. ფრანკოს რეჟიმმა 1936 წლიდან საკუთარი სოციალური მუშაობის სკოლები გახსნა ბარსელონაში არსებული სკოლის დახურვის შემდეგ, რომელიც 1932 წელს გაიხსნა. სოციალური კეთილდღეობის მომსახურებებს ფაშისტები უჭერდნენ მხარს, როგორც თავიანთი სისტემების სოციალური კონტროლის ნაწილს (Fullana, et al., 2011).

მანონ ლუტეჩაუს, რომელიც დანიის ეროვნული ასოციაციის დამაარსებელია 1938 წელს და სოციალური მუშაობის სკოლის დეკანი, დიდი წვლილი მიუძღვის სოციალური მუშაობის აკადემიზაციის საქმეში. პოლონეთში კი სოციალური მუშაობის აკადემიზაციას ჰელენ რადლინსკა ხელმძღვანელობდა. მისი თაოსნობით სკოლა გაიხსნა ვარშავაში 1925 წელს. სერბეთში სოციალური მუშაობის ისტორია დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ჰუმანიტარული მომსახურებით იწყება. სერბულ-თურქულმა ომებმა 1876 წელს ობოლ და მიუსაფარ ბავშვთა სახლების გახსნა და ისეთი მრავალი საქველმოქმედო ორგანიზაციის ჩამოყალიბება გამოიწვია, როგორიცაა: *ბელგრადის ქალთა საზოგადოება, გოგონების დაცვის საზოგადოება, საზოგადოება კარიტასი ღარიბ ბავშვთა დასახმარებლად* (Hessle, Zavirsek, 2005). პირველმა მსოფლიო ომმა ახალი საჭიროებები წარმოშვა, რასაც მხოლოდ სერბეთში 180 საქველმოქმედო დაწესებულების გახსნა მოჰყვა შედეგად 1920-1939 წლებში.

პროფესია სხვა ქვეყნებსა და კონტინენტებზეც ვრცელდება. მე-20 საუკუნის დასაწყისში პროფესია აფრიკაში ვითარდება: 20-იან წლებში სამხრეთ აფრიკაში და 30-იან წლებში კი ეგვიპტეში, თუმცა მხოლოდ თეთრკანიანთა სოციალური პრობლემების დაძლევის მიზნით (Ntusi, 1995). მოგვიანებით, სამხრეთაფრიკელი ფილანთროპის, იან. ჰ. ჰოფმეიერისა და კონგრეგაციონალისტი მისიონერის, რეი ფილიპის ძალისხმევით, რასობრივი სეგრეგაცია დაიძლია პროფესიის თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებით განვითარების მიზნით.

ნელ-ნელა იწყება პროფესიის განვითარება განვითარებად სამყაროში. თუმცა ამ ქვეყნებში სოციალური მუშაობის ავთენტურად განვითარებას ეჭვქვეშ აყენებენ. დე ჯონგი (1972) იზიარებს მოსაზრებას, რომ პროფესია ჩრდილოეთის გავლენით ვითარდება მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც ის ინდუსტრიალიზაციის თანმდევი სოციალური გამოწვევების საპასუხოდ შეიქმნა. მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განვითარებად ქვეყნებში პროფესიის „შეტანის“ მიზანი სწორედ „კორექტირების“ და „ჩამორჩენილობის“ დაძლევაა, სხვა ავტორებიც იზიარებენ (Healy, 2008). ხშირად ეს მომსახურებები პროფესიული სოციალური მუშაობის არსებული მომსახურებებისაგან განსხვავდებოდა მომსახურების მიწოდების მიზნითაც და სტრუქტურითაც. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, იამაიკაში, სოციალური მუშაობის მომსახურებები ბრიტანეთის კოლონიური საქმიანობების შედეგად განვითარდა.

ინდოეთში იხსნება *ნაგპადის უბნის სახლი* ამერიკელი მისიონერის, დოქტორ კლიფორდ მანშარდტის, მიერ. ის ამერიკული დასახლების სახლების იდეის თარგზე აღმო-

ცენდა. ჩინეთში სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის სფეროში იწყებს განვითარებას მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ამერიკელი სოციალური მუშაკის, იდა პრუიტის მიერ. პროფესიის განვითარება წყდება დაარსებიდან რამდენიმე წელში, მის კვლავ გააქტიურებამდე 1945 წელს. იაპონიაში სოციალური მუშაობის ჩანასახი, როგორც ღარიბთადმი სოციალური კონტროლის მექანიზმი 1874 წელს, ხოლო პროფესიასთან უფრო დაახლოებულ ვერსიაში, ბრინჯის აჯანყებისას გამოჩნდა (Lui, 2014).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, უცნაურად ვითარდება პროფესია წითელი ბლოკის ქვეყნებში. ის ზოგან საერთოდ მიუღებელია, მაგალითად, საბჭოთა კავშირში, ზოგან ნაწილობრივ აგრძელებს არსებობას, მაგალითად, პოლონეთში. ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებმა პროფესიის განვითარება არ შეწყვიტეს წითელ ბლოკში შესვლის შემდეგაც, განსხვავებით საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნებისაგან. პირიქით, მათ პროფესიის აუცილებლობა მუშათა კლასის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის აუცილებელ კომპონენტად მიიჩნიეს. სხვა ქვეყნებში კი, მაგალითად, ჩეხეთში, უნგრეთში მისი განვითარება არათუ არ გაგრძელდა, არამედ საერთოდ შეწყდა (Hessle, Zavirsek, 2005).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სოციალური მუშაობის საჭიროება კიდევ უფრო გამოიკვეთა ომის ნგრევის შედეგებთან გამკლავებისათვის; ობლად დარჩენილი უამრავი ბავშვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის მომსახურებების საჭიროებების განსაზღვრისა და მიწოდებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა, იძულებით გადაადგილებულთა მხარდაჭერისათვის. პროფესიის განვითარების უახლესი ტალღა უკავშირდება ყოფილი საბჭოთა და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებში მის გაცნობასა და გავრცელებას. ამიტომაც ამ ქვეყნებში პროფესიის განვითარებაზე ნათლადაა ასახული უცხოური ზეგავლენა. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, საქართველოში, სახეზეა ინდიჯენიზაციის ნიშნებიც. თავდაპირველად წარმოდგენილი მიდგომები და მეთოდები მრავალფეროვნადაა სხვადასხვა სისტემაში, სადაც პროფესიამ მისი უმთავრესი მანდატი – ზრუნვის და მხარდამჭერის მანდატი გააღვივა, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკები ძირითადად საჯარო სექტორში არიან დასაქმებულნი (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2022).

საქართველოში პროფესიის განვითარება 1999 წლიდან იწყება. ის უკავშირდება 1994 წელს საქართველოს მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციის ხელმოწერასა და რატიფიცირებას. ქვეყანაში ბავშვის განვითარებისა და ზრუნვის ფორმები გადახედვას საჭიროებდა. 1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო *კანონი შვილობილობის შესახებ,* რომელიც ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული მომსახურების – მინდობით აღზრდის ამოქმედებას ისახავდა მიზნად. ამ მიზნის მიღწევას კი, სულ მცირე, სჭირდებოდა ბავშვების და ოჯახების, მიმღები ოჯახების შეფასება. პარალელურად უნდა წარმართულიყო მუშაობა ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებისთვის, თუ რასაკვირველია, ოჯახი და არსებული სიტუაცია ამის საშუალებას იძლეოდა, და ბავშვების სააღმზრდელო დაწესებულებაში ჩარიცხვის პრევენცია. ეს საკმაოდ დიდი სამუშაო იყო მაშინ, როდესაც სააღმზრდელო დაწესებულებებში იმ დროს 5000-მდე ბავშვი ირიცხებოდა; ქვეყნის სოციოეკონომიკური მდგომარეობა ძალიან რთული იყო; მშობლების ცნობიერება იმაზე, თუ რა უარყოფითი გავლენა აქვს მათი შვილების განვითარებისათვის სააღმზრდელო დაწესებულებაში ყოფნას, ძალიან დაბალი.

1999 წელს, მაშინდელი განათლების სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბრიტანული ორგანიზაციის *ევროპის ბავშვთა ნდობა* (European Chidlren's Thrust, რომ-

ლის სამართალმემკვიდრეა ორგანიზაცია Every Child) ერთობლივი ძალისხმევით ქვეყანაში შეირჩა სოციალურ მუშაკად მუშაობის 18 მსურველი ადამიანი, რომელთა გადამზადება სწორედ მოხსენიებულმა ბრიტანულმა ორგანიზაციამ განახორციელა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში სოციალური მუშაობის როლის, ფუნქციების გააზრებისა და სამუშაო მეთოდოლოგიის გასაცნობად. ასე დაიწყო სოციალური მუშაობის განვითარება საქართველოში. ამას მოჰყვა პროფესიის განვითარება იუსტიციის სისტემაში. პირველი სოციალური მუშაკი მართლმსაჯულების სისტემაში 2005 წელს გაჩნდა. ხოლო 2013 წელს, საერთაშორისო ინსტიტუტების მკაცრი მოთხოვნით, სისტემის ჰუმანიზაციის მიზნით, სისტემაში დაიწყო ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სამმართველოს ფორმირება, რომელიც რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მომსახურებებს შესთავაზებდა პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პატიმრებსა და პრობაციონერებს. 2009 წლიდან პროფესიის განვითარებისათვის მცირე კუნძულები გაჩნდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში. პარალელურად, არასამთავრობო ორგანიზაციებმაც დაიწყეს სოციალური მუშაობის განვითარება სხვადასხვა სექტორში. დღეის მონაცემებით, საქართველოს სოციალურ მუშაკთა სიტუაციური ანალიზის მიხედვით (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2021), 1500-მდე სოციალური მუშაკია დასაქმებული ქვეყანაში.

პროფესიის განვითარების სირთულეები და გამოწვევები

პროფესიის განვითარებას წინ დიდი გამოწვევები და სირთულეები ჰქონდა. მას ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, უკვე ღვაწლმოსილმა სოციალურმა მუშაკებმა გაიაზრეს სოციალური მუშაობის განათლების უნიფიცირებული სტანდარტების შემოღების აუცილებლობა. თუმცა მათ საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ. ეს ჩვენთვის ალბათ გასაკვირი არცაა, რადგან საქართველოში, პროფესიის აკადემიზაციის პარალელურად, მისი განვითარების 25 და აკადემიზაციის 17 წლისთავზე ისევ სერტიფიცირებაზეა საუბარი ამ სახელმძღვანელოს წერისას. მაგალითად, გერმანიაში, ალის სალომონს პროფესიის სტანდარტიზაციისათვის აუცილებელი წინაპირობა – სახელმწიფო ნებართვა სჭირდებოდა პროფესიული სტატუსის აღიარებისათვის. მაგრამ იმჟამინდელი შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენლებმა სხვადასხვა სფეროში პროფესიის ფრაგმენტიზაცია მის ნაკლად ჩათვალეს და იგი უარყოფითი პასუხით გაისტუმრეს. საფრანგეთში ჯანმრთელობის დაცვის მინისტრისადმი წარდგენილ პეტიციაზე, რომელიც სოციალური მუშაობის რეგულირებას ითხოვდა, სოციალურმა მუშაკებმა უარყოფითი პასუხი მიიღეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პროფესია „რთულად განსასაზღვრია“ (Healy, 2008, p.143).

დიდი რეზონანსი ჰქონდა აბრაამ პლექსნერის სიტყვას 1915 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ საქველმოქმედო კონფერენციაზეც, როცა მან გააკრიტიკა სოციალური მუშაობა, მან გააკრიტიკა სოციალური მუშაობა პროფესიის ფართო საზღვრებისა და განათლების გზით სწავლებადი ტექნიკების არქონის გამო (Popple, 1995). სწორედ ამის შემდეგ კიდევ უფრო გამახვილდა ყურადღება პროფესიის სისტემური ცოდნის აკუმულირებაზე, ფორმალური პროფესიული ერთობების მიერ ფორმირებული პროფესიული კულტურისა და პროფესიული მეთოდების განსაზღვრაში ავტონომიის უზრუნველყოფაზე (Greenwood, 1957, Weiss-Gall&Welbourne, 2008, Johnson, 1972).

მეოცე საუკუნის დასაწყისში პროფესიისადმი ამგვარი დამოკიდებულება ახსნადია მისი აღმოცენების და უფლებებზე თამამი ორიენტაციის ფონზე, თან ქალების მხრიდან. ალის სალომონი, ამ კრიტიკული დამოკიდებულების მიღმა, სწორედ პროგრესული ქალებისადმი მტრულ დამოკიდებულებას და იმ დროს ქალებსა და მამაკაცებს შორის ფარულ ბრძოლას ხედავდა, რაც, მისი აზრით, უბრალოდ ახალ სფეროში გამოვლინდა. იმდროინდელი საზოგადოებისათვის რთული იყო ქალის დომინანტ და არა „დამხმარე“ როლში დანახვა. მით უფრო, რომ ეს ქალები ქალთა ხმისა და ქონების ფლობის უფლებების, ღირსეული სამუშაო პირობებისა და მსოფლიოში მშვიდობისათვის იბრძოდნენ.

სოციალური მუშაობის პროფესია არაერთ ძალიან საამაყო მოვლენასა და გადაწყვეტილებას ითვლის მისი განვითარების არცთუ ისე ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. ჯერ მარტო აგლანტინა ჯების ისტორიის გახსენება ფასდაუდებელი ინფორმაციით ავსებს პროფესიის აღმწერ საამაყო ფურცლებს. როდესაც ინგლისელი ქალბატონი დააკავეს იმის გამო, რომ, ის ქვეყნის „მტრების შვილებს“ უწევდა მხარდაჭერას მაკედონიაში ყოფნისას 1913 წელს, ჯები და მისი მეგობრები სასამართლო პროცესზე ამაყად ამბობდნენ, რომ მათ არ ჰყავდათ 7 და 8 წლის მტერი. სოციალურ მუშაკთა შორის იყვნენ პაციფისტი ქალებიც, რომლებმაც თავიანთი სახელმწიფოს მიერ წარმოებულ ომებში მონაწილეობის წინააღმდეგ გაილაშქრეს ამერიკასა და ევროპაში. აქ ჯანეტ რანკინის გახსენებაა აუცილებელი, რომელიც პირველი კონგრესმენი ქალი სოციალური მუშაკია, ამერიკის ორივე ომში მონაწილეობას აქტიურ წინააღმდეგობას რომ უწევდა; არ უნდა გამოგვრჩეს ირენ სანდლერის გმირობა ებრაელი ბავშვების გადარჩენისთვის მეორე მსოფლიო ომის დროს (Healy, 2008). შთამბეჭდავია სოციალურ მუშაკთა სოლიდაროზა ფილის კორდისადმი, რომელიც გრენადაში მინისტრის მოადგილე იყო ქალთა საკითხებში მეოცე საუკუნის 80-იან წლებში. ის მკვლელობაში დაადანაშაულეს სააპელაციო უფლების ჩამორთმევით და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. პატიმრობისას მას ქიმიოთერაპია სჭირდებოდა, რაც არ იყო გრენადაში იმ დროს და *სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციამ* აიძულა გრენადის მთავრობა, ის სამკურნალოდ ქვეყნიდან გაეყვანათ (Healy, 2008).

სამწუხაროდ, საამაყო ფურცლების გარდა, სამარცხვინო ეპიზოდებიც არსებობს სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარების ისტორიაში, ისევე, როგორც სხვა მხარდამჭერი პროფესიის განვითარების გზაზე. ამის ცოდნაც აუცილებელია არა მხოლოდ, როგორც ისტორიული ფაქტებისა, არამედ პროფესიის წინაშე არსებული საფრთხეების გააზრებისა და პრევენციისთვის. პროფესიის განვითარების ყველაზე შავი ფურცელია სოციალური მუშაკების ნაცისტურ მთავრობასთან თანამშრომლობა გერმანიაში, მათი მონაწილეობა „უღირსი სიცოცხლის“ დიაგნოსტირებაში (Lorenz, 1994:66); ალის სალომონის გადადგომის მოთხოვნა გერმანელი კოლეგების მხრიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ის ებრაელი იყო. სამარცხვინო ფურცელზეა იაპონელთა პატიმრობაში გაწესება აშშ-ში ან იაპონელ ბავშვთა გამოსახლება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან, რაშიც სოციალურ მუშაკებს მოქმედების ან უმოქმედობის გამო აკრიტიკებენ. პროფესიას შავ ლაქად აწევს მეოცე საუკუნის დასაწყისში გაერთიანებული სამეფოდან კანადასა და ავსტრალიაში ემიგრირებულ ბავშვთა „მოპარული თაობა“, როდესაც, თითქოსდა ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, აგზავნიდნენ მათ შორეულ ქვეყნებში, სინამდვილეში კი ხშირად ბავშვებზე ზრუნვის ხარჯების შემცირებას ემსახურებოდა ეს ქმედება (Healy, 2008). თუმცა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სოციალური

მუშაკი იყო მარგარეტ ჰამპრი, რომელმაც გამოავლინა ქვეყანათშორისი თანამშრომლობის ეს სამარცხვინო ეპიზოდი.

სოციალური მუშაობა ხშირად კრიტიკდება პრობლემათა ინდივიდუალიზაციის გამოც, როდესაც ადამიანთა პრობლემა რთული სოციოეკონომიკური ფონის ან არაეფექტიანი სისტემური პრობლემების შედეგია, სოციალური მუშაკები კი მხოლოდ ინდივიდთა პრობლემების დაძლევაზე ხარჯავენ პროფესიულ ენერგიას სტატუს-კვოს შენარჩუნებისათვის, მაშინ, როდესაც ძალისხმევის მაკროდონეზე მუშაობისკენ მიმართვით სისტემურ პრობლემებს გამოავლენენ და შეამცირებენ კიდეც. პროფესიას ამის პოტენცია ნამდვილად აქვს. მხოლოდ ერთეულთა პრობლემებზე მუშაობით კი მთავარი პრობლემა მოუგვარებელი რჩება და სიტუაცია უცვლელი.

ინდივიდუალიზაცია და რეკონცეპტუალიზაცია ტრანსფორმაციის ეპოქაში

1950-იან და 1960-იან წლებში იკვეთება დასავლური მოდელების ავტომატურად დანერგვისადმი რეზისტენტობა და სოციალური მუშაობის ადგილობრივი სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით დანერგვის მცდელობა. ზოგიერთმა ქვეყანამ გამოკვეთილად აირჩია ინდივიდუალიზაციის პოლიტიკა. მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებმა საკუთარი რეალობიდან სცადეს განევითარებინათ პროფესია. როგორც ზევითაა აღნიშნული, იგივე მცდელობა გვაქვს საქართველოშიც. სოციალური მუშაკი მომსახურების მიმწოდებლის როლშია საუკეთესო პრაქტიკის განვითარებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებსა და უწყებებში და არამხოლოდ შემთხვევის და/ან მომსახურების მმართველის. ის ცდილობს სისტემური პრობლემების დაძლევაზე მუშაობასაც და ინტერდისციპლინური მუშაობის კულტურის დანერგვაშიც აქტიურად მონაწილეობს.

რეკონცეპტუალიზაციის პერიოდში, როდესაც ღარიბთა პრობლემების მოგვარებისაკენ აიღეს ქვეყნებმა გეზი, ამასთან, ანტიამერიკული განწყობების ფონზე, სოციალური მუშაობა რადიკალური გახდა და პოლიტიკური ელფერით შეიმოსა. ის ორი მიმართულებით განვითარდა: რადიკალური, რომელიც კაპიტალიზმს უარყოფდა და ზომიერი, რომელიც გვერდს უვლიდა აშშ-ის სოციალური მუშაობის პრაქტიკაში დანერგილ მეთოდებს. ის, ნაცვლად მომსახურების ინდივიდუალიზაციისა, მაკროპრაქტიკის დანერგვას ისახავდა მიზნად პაულო ფრეირეს იდეებზე ცენტრირებით. აქცენტი კეთდებოდა მონაწილეობაზე, ორგანიზებაზე და თვითშეგნების ამაღლებაზე, როგორც მეთოდოლოგიებზე (Jimenez, Ailwin, 1992).

სოციალურ მუშაობაზე ასევე ზეგავლენა მოახდინა ლათინურამერიკელი კათოლიკების მიერ განვითარებულმა განმათავისუფლებელმა თეოლოგიამ (Liberation Theology) – ქრისტიანობის რეინტერპრეტაციამ ღარიბების გამოცდილებითა და მათი თვალით. თუმცა 1970-იანი წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნებში, მაგალითად, არგენტინაში დიქტატურის ხელახლა დამკვიდრებამ, ჩილეში პინოჩეტის ეპოქის დაწყებამ სოციალური მუშაობის რადიკალიზაცია შეასუსტა. დაიწყო სიტყვის თავისუფლების, შესაბამისად, სოციალური მუშაკების დევნა, დაპატიმრება, გაუჩინარება (Healy, 2008).

სოციალური მუშაობის განვითარება დაკავშირებულია მრავალ ურთიერთგადაჯაჭვულ შფოთვასთან პერსონალურ, საოჯახო თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე. სოციალური მუშაობა მიიჩნეოდა სწორედ იმ მედიუმად, რომელიც საზოგადოების მოწყვლადი, გარიყული, მოცემულ მომენტში სოციალური რისკების წინაშე მყოფი ადამიანებისა და

ჯგუფების მხარდაჭერასა და ინკლუზიას, მაგრამ, ამავე დროს, რეგულირებასა და კონტროლს განახორციელებდა. პროფესიის განვითარების ზოგიერთ ეტაპზე და ზოგიერთ ქვეყანაში ასე იყო გააზრებული ხალხზე ზრუნვა – მორალური პედესტალიდან აკონტროლოს და მოიცვას საზოგადოების კონკრეტული მარგინალური ელემენტები. მეოცე საუკუნის შუა პერიოდში კი ამაზე ეფექტიანი ორგანიზებული რესურსი კერძო ფილანთროპიისა და სახელმწიფო კეთილდღეობის ფართომასშტაბიან შემოჭრას შორის კომპრომისად რთული მოსაფიქრებელი იყო. ამიტომ პროფესიამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. გამოდის, რომ თითქმის თავიდანვე პროფესიას აქვს როგორც მორალიზების, ისე ნორმალიზების ფუნქცია. ის განსხვავებას გვიჩვენებს წარმოშობისა და გავრცელების ქვეყნებშიც. ხოლო, რომელ ფუნქციას ირგებს კონკრეტული სოციალური მუშაკი, ეს დიდწილადაა დამოკიდებული ქვეყნის მმართველი გუნდის პოლიტიკურ იდეოლოგიაზე. ამას კი დიდი ზეგავლენა აქვს სოციალური მუშაკის პროფესიულ ქმედებებზე (Hafford-Letchfield, 2007).

გასააზრებელია ისიც, თუ რა ხდება, როდესაც პროფესიის სამმანდატიანი როლიდან რომელიმე როლი დომინირებს. მაგალითად, უპირატესად კონტროლის როლის შესრულებამ პროფესიას დააკარგვინა იდენტობა, გააუფასურა პრაქტიკა, გაამძაფრა ოფიციალური ექსკლუზია (Staub-Bernasconi, 2010; Healy, 2010). ეს ხშირად მენეჯერელიაზმსაც ბრალდება, რომელმაც სოციალური მომსახურების კომოდიფიკაციას, ე.ი. განსაქონლებას შეუწყო ხელი. ეს ნიშნავს, რომ სოციალური ზრუნვა არის მომსახურების ისეთივე საქონელი, რომელიც შეიძლება იმართოს როგორც ნებისმიერი სხვა საქონელი, მომსახურების მიმღები კი მომხმარებელია. ეს კი არ არის თანხვედრაში სოციალური მუშაობის ფასეულობებთან და იდეალებთან. სოციალური ინკლუზია ხომ სოციალური მუშაობის მომსახურების ეფექტიანობის მთავარი საზომია. მთავარი საზომია ის სოციალური პოლიტიკისთვისაც, რადგან განსაზღვრავს მის კონცეფციას. საჯარო სექტორის სოციალური მუშაკი კი სახელმწიფო პოლიტიკის აღმსრულებლად მიიჩნევა.

რადგან „ურთიერთდაკავშირებული ტრანსფორმაციის“ ეპოქაში ვცხოვრობთ და თანამედროვე საზოგადოება მიდრეკილია გარიყული ჯგუფების შექმნისაკენ, სოციალურ სისტემაში ინვერსტირება აუცილებელია ამგვარი „ფუნქციური დიფერენციაციის“ მახასიათებლებით მდიდარ საზოგადოებაში (Grossmanss, 2010:26). მაშასადამე, იმგვარი სოციალური კაპიტალის ფორმირება, როგორიც სოციალური მუშაობაა, სულ უფრო და უფრო საჭირო ხდება. ის არის როგორც პოლიტიკურად, ისე მორალურად მოტივირებული ინიციატივების განხორციელების პოტენციის მქონე პროფესია სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

თავის შეჯამება

როგორც ვნახეთ, მიუხედავად შედარებით ნაკლებწლიანი არსებობის ისტორიისა, სოციალურ მუშაობას დიდი ისტორიული როლიც დაეკისრა და საზოგადოებრივიც. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს სოციალური მუშაობის მომსახურებამ შეასრულა მედიაციის როლი სახელმწიფოს, მეინსტრიმულ საზოგადოებასა და საზოგადოების გარიყულ ადამიანებსა და ჯგუფებს შორის ზრუნვის და კონტროლის ფუნქციით. ის აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ორგანიზებული და კომპრომისული რესურსი კერძო ფილანთროპიასა და სახელმწიფო კეთილდღეობის ექსპანსიას შორის. პროფე-

სიის სამმანდატიანი ფუნქცია სოციალურ მუშაკებს მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებდა ადრეც და აყენებს ახლაც. როგორ უნდა დაიცვას სოციალურმა მუშაკმა ზღვარი ცხოვრების კონკრეტულ ეტაპზე სოციალური რისკების წინაშე მყოფი ადამიანების მხარდაჭერასა და ინკლუზიას, მაგრამ, ამავე დროს, რეგულირებისა და კონტროლის ფუნქციის აღსრულებას შორის? რომელი იქნება დომინანტი ფუნქცია, ამას განაპირობებს სოციალური მუშაობის დასაქმების სფეროცა და სეგმენტიც, მაგრამ არანაკლებ ქვეყნის მმართველი გუნდის პოლიტიკური იდეოლოგია. სწორედ ამ ფაქტორებზე დაყრდნობით ხდებოდა პროფესიული ტრანსფორმაცია.

ამიტომ არის საჭირო, პროფესიის განვითარების ისტორიის ღრმად გააზრების ფონზე, დაფიქრება იმაზე, თუ როგორი სოციალური მუშაობის დანერგვა გვინდა ჩვენს ქვეყანაში და ვიღებთ თუ არა ჩვენი პროფესიული გემოვნების შესაფერის განვითარების პროცესს.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. თქვენი აზრით, რომელ ქვეყანაში იტვირთა პროფესიამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ფუნქცია?
2. რომელია თქვენი პროფესიული შთაგონების ისტორია (პიროვნება ან მოვლენა)?
3. თქვენი აზრით, რა არის ყველაზე დიდი პროფესიული დილემა ჩვენი პროფესიის სამმანდატიანი ფუნქციიდან გამომდინარე?

გამოყენებული ლიტერატურა:

De Jongh, J.F. (1972). A retrospective view of social work education. In International Association of Schools of Social Work (IASSW), *New themes in social work education* [Proceedings] (pp.22-36). XVIth International Congress of Schools of Social Work, The Hague, Netherlands, August 8-11, 1972. New York: IASSW

Fullana, J., Serra, C., Pallisera, M. (2011). The Social Professions in Spain: past and present. *European Journal of Social Education 20* (21).

George, V., (2004). Globalization, Risk and Social Problems. In George, V., Robert, M.P. (Ed.). *Global Social Problems*. Polity Press

Gray, M., Webb, S.A.(2010). Practising Values in Social Work. In Gray, M., Webb, S.A. (Ed.) *Ethics and Value Perspectives in Social Work* (pp.352-358). Palgrave Macmillan.

Greenwood, E. (1957). Attributes of a profession. *Social Work* **2**: 5–45.

Grossmanss, R. (2010). Justice versus Care – A Dilemma of Ethics. In Zavirsek, D., Rommelspacher, B., Hafford-Letchfield, T., (2007). Practising Quality Assurance in Social Care. Learning Matters Ltd

Staub-Bernasconi, S. *Ethical Dilemmas in Social Work: International Perspective* (pp.25-38). Faculty of Social Work, University of Ljubljana.

Healy, L.M. (2008). *International Social Work: Professional Action in an Independent Wold*. New York: Oxford University Press.

Healy, L.M. (2010). Ethics in Social Work Management : Contesting the Encroachment of Managerialism in the Social Services. In Zavirsek, D., Rommelspacher, B., Staub-Berna-

sconi, S. *Ethical Dilemmas in Social Work: International Perspective* (pp.189-205). Faculty of Social Work, University of Ljubljana.

Hessle, S., Zavirsek, D.)Eds.), (2005). *Sustainable Development in Social Work – The case of regional network in the Balkans*. Stockholm, Sweden:Stockholm University Deaprtment of Social Work.

Hugman, R. (2010). *Understanding International Social Work: A Critical Analysis*. New York. Palgrave Macmillan.

Jimenez, M., Ailwin, H. (1992). Social Work in Chile: Support for the struggle for justice in Latin America. In Hokenstad, M.C., Khinduka, S.K., Midgley, J. (Eds.), *Profiles in International Social Work* (pp. 29-41). Washington, DC: NASW Press.

Johnson T (1972). *Professions and power*. London, Macmillan.

Lorenz, W. (1994). *Social Work In A Changing Europe.* London:Routledge

Ntusi, T. (1995). South Africa. In Watts, T.D., Elliott, D., Mayadas, N.S, (Eds.), *International handbook on social work education* (pp. 261-279). Westport, CT: Greenwood Press.

Page, M.R. (2004), Globalization and Social Welfare. In George, V., Robert, M.P. (Ed.). Global Social Problems. Polity Press

Popple, P.R. (1995). Social Work profession: History. In Edwards (Ed.), *Encyclopedia of social work* (19th ed., pp. 2282-2292). Washington, DC:NASW Press

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (2022). კვლევა სოციალური მუშაობის სამუშაო ძალის შესახებ.

Staub-Bernasconi, S. (2010). Facing Dilemmas between Universalism and Pluralism/Contextualism. In Zavirsek, D., Rommelspacher, B., Staub-Bernasconi, S. *Ethical Dilemmas in Social Work: International Perspective* (pp. 9-24). Faculty of Social Work, University of Ljubljana.

Van Wormer, K. (1997). *Social Welfare: A World View.* Chicago: Nelson-Hall.

Weiss-Gal, I., Welbourne, P. (2008). The Professionalization Of Social Work: a cross-National Exploration. *International Journal of Social Welfare*, 17 (4), 281-290.

ნინო შატბერაშვილი

თავი 2

საერთაშორისო სოციალური მუშაობა და სოციალური პოლიტიკა

შესავალი

წინამდებარე თავში მიმოხილულია საერთაშორისო სოციალური მუშაობის არსი, წარმოდგენილია მისი განმარტებები. თავი სტუდენტებს აცნობს საერთაშორისო ქმედებების განზომილებებს; ცდილობს საერთაშორისო სოციალურ მუშაობასა და სოციალურ პოლიტიკას შორის კავშირის წარმოჩენას. თავი ეხება სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის, პოტენციის გაშუქებას ქვეყნებს შორის ადამიანთა მობილიზაციისთვის სასიკეთო ცვლილების მოსახდენად.

თავში გაშუქებულია სოციალური მუშაკის როლი საერთაშორისო კეთილდღეობასა და განვითარებაში; წარმოადგენს განვითარების თეორეტიკოსთა შეხედულებებს სოციალურ განვითარებაზე. ამ თავში საუბარია სოციალური მუშაკისათვის საჭირო კომპეტენციებზე საერთაშორისო ასპარეზზე მუშაობისათვის; აქცენტირებს კულტურული კომპეტენციების ღრმა ცოდნაზე საერთაშორისო პრაქტიკის აღსრულებისათვის როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე გლობალურად; გამოხატულია მცდელობა, მკითხველი დააფიქროს საერთაშორისო პრაქტიკის განხორციელებისათვის ხელშემწყობ ფაქტორებზე.

რა არის საერთაშორისო სოციალური მუშაობა

საერთაშორისო სოციალური მუშაობის განმარტებამდე, უნდა შევეცადოთ იმის გააზრებას, თუ როდიდან ეყრება საფუძველი სოციალური მუშაკებისთვის მნიშვნელოვანი თემებისა და მათზე მუშაობის ირგვლივ გამოცდილების გაზიარებას. ჯერ კიდევ 1928 წელს სოციალური დარგის პროფესიონალები პარიზში შეიკრიბნენ და დააფუძნეს *სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭო* (International Council of Social Welfare/ICSW). ეს იყო პირველი მასშტაბური ღონისძიება, სადაც უამრავი საკითხი წამოიჭრა, რომელმაც სოციალური მუშაობის განვითარების ტრაექტორია განსაზღვრა. სწორედ ამ შეხვედრამ მოიტანა პროფესია დღემდე იმ სახით, როგორითაც ის ჩვენამდე მოვიდა.

მოგვიანებით, 1950-იან წლებში, მოვლენები შეიცვალა. *სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაცია* (Intenrational Federatonal of Social Workers/IFSW) და *სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაცია* (International Association of Schools of Social Work/IASSW) გამოეყვნენ *სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭოს* და დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციები გახდნენ (Lyons, 1999; Healy, 2008; Lyons, Manion, Carlsen, 2006). სამივე ორგანიზაცია დღესაც აერთიანებს წევრებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. სამივე ორგანიზაციასთან აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, რომელიც 2004 წელს დაარსდა. ის დღეს *სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციისა* და *სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭოს* წევრია.

ქსუს (2006) განმარტება, რომ საერთაშორისო სოციალური მუშაობა არის „პროფესიული საქმიანობა, რომელიც სცდება ეროვნულ საზღვრებს და ემყარება ქვეყნებს შორის კონტაქტებსა და გაცვლებს“, გამოხატავს მის არსს, თუმცა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ფართოვდება და იძენს აქტუალობას. დღევანდელ ტექნოლოგიურ სამყაროში, საერთაშორისო პერსპექტივა საშუალებას გვაძლევს უმალ მივიღოთ ინფორმაცია მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ პროცესებზე, გავაზიაროთ ჩვენთან მიმდინარე სიტუაცია და სხვა თვალით შევხედოთ როგორც შინა, ისე გარე პრობლემებს (Cochrane&Clarke, 1993). ადგილობრივი სოციალური მუშაობის პრაქტიკის საერთაშორისო მასშტაბში გადაყვანამ შეიძლება რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში საქმის კეთების განსხვავებული გზები გვაპოვნინოს. ამის მაგალითია ბავშვების მხარდაჭერის სისტემა, ე.წ. *საოჯახო ჯგუფური კონფერენცია* (Family Group Conferencing), რომელმაც, როგორც წარმატებულმა ადგილობრივმა პრაქტიკამ, ასეთივე წარმატებით მოიკიდა ფეხი სხვაგანაც. ეს მეთოდი ახალ ზელანდიაში, მაორთა კულტურაში აღმოცენდა, მაგრამ ის მრავალ ქვეყანაში გამოსცადეს და მოარგეს საკუთარ მოთხოვნილებებს, მათ შორის, ინგლისსა და აშშ-შიც. კიდევ ერთი მაგალითია პაციენტთა საბჭო ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრებში, რომელიც ჰოლანდიაში დააარსეს მომსახურებით მოსარგებლეებმა და ბრიტანეთშიც უმალ აიტაცეს (Williams & Simpson, 2009).

მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, თუ როგორ არის გადაჯაჭვული სოციალური მუშაობის ლოკალური და საერთაშორისო პრაქტიკა. ეს არა მხოლოდ სოციალური პრობლემების ბუნებაზე ჩააფიქრებს სოციალურ მუშაკს, არამედ, ხშირად, ადგილობრივ დონეზე პრაქტიკის დახვეწაშიც კი ეხმარება. და მაინც, რა არის საერთაშორისო სოციალური მუშაობა? იგივეა, რაც გლობალური სოციალური მუშაობა? არა. პირველი კონკრეტულ ქვეყნებს შორის საზღვრებს მიღმა მუშაობას გულისხმობს, მეორე კი – მთელი მსოფლიოს მასშტაბით მუშაობას (ჰილი, 2008). თავიდან საერთაშორისო სოციალური მუშაობა გულისხმობდა სოციალურ მუშაობას საერთაშორისო სააგენტოებში, როგორებიცაა: *წითელი ჯვარი* (Red Cross)*, გაეროს ბავშვთა ფონდი* (UNICEF) ან *საერთაშორისო ამნისტია* (Amnesty Intenrational) (Ewijk, 2010).

დღეს არსებობს საერთაშორისო სოციალური მუშაობის მრავალი განმარტება. ლინ ჰილის (2008) მიერ შემოთავაზებულ განმარტებას თუ გავეცნობით, „საერთაშორისო სოციალური მუშაობა საერთაშორისო პროფესიული ქმედება და ამგვარი ქმედების უნარია სოციალური მუშაობის პროფესიისა და მისი წევრების მიერ“. საერთაშორისო ქმედებას ოთხი განზომილება აქვს:

1. საერთაშორისო ქმედებასთან დაკავშირებული ადგილობრივი პრაქტიკა და ადვოკატობა, რომელიც მოიცავს მუშაობას სხვა ქვეყნის მოსახლეობასთან, სასაზღვრო ზოლში, ლტოლვილთა დასახლებისა და ქვეყანათშორის შვილად აყვანის თუ საერთაშორისო გაშვილების საკითხებზე.
2. პროფესიული გაცვლა-გამოცვლა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს პირისპირ სამუშაო შეხვედრებისა თუ საერთაშორისო პერიოდული გამოცემებისა და პუბლიკაციების მეშვეობით.
3. საერთაშორისო პრაქტიკა, როდესაც სოციალურ მუშაკს საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებისა თუ მოხალისეობრივი საქმიანობის საშუალებით შეაქვს მისი პროფესიული წვლილი საერთაშორისო განვითარებისა თუ დახმარებისაკენ მიმართულ პროგრამებში.

4. საერთაშორისო პოლიტიკის განვითარება და ადვოკატობა, როდესაც სოციალური მუშაკი გლობალურ სოციალურ პრობლემებზე მუშაობს საერთაშორისო დონეზე ან წვლილი შეაქვს სოციალური მოძრაობის თუ პოლიტიკის ფორმულირების და/ან განხორციელების საქმეში.

კოქსი და პოვორი ამტკიცებენ (2006), რომ სოციალური განვითარება არის საერთაშორისო სოციალური მუშაობის, ოთხთაგან ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი. სხვა სამი გახლავთ: გლობალური პერსპექტივა, ეკოლოგიური პერსპექტივა და ადამიანის უფლებები. მიდგლი (1995:25) სოციალურ განვითარებას ხედავს, როგორც ცვლილების დაგეგმილ პროცესს, რომელიც „ხორციელდება ეკონომიკური განვითარების დინამიკურ პროცესთან ერთად, რომ ხელი შეუწყოს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას“. მისი აზრით, სოციალური განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ სოციალურად მოწყვლადთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და მონაწილეობით პროცესს ანიჭებს. პაივას (1977:329) აზრით, სოციალური განვითარების მიზანია „ხალხის კეთილდღეობა. ისეთი, როგორიც თავად ხალხმა განსაზღვრა; ამის შედეგად უნდა შეიქმნას და გადაკეთდეს ინსტიტუტები, ისე, რომ მოხდეს ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილება ყველა დონეზე; ამასთანავე, ეს ინსტიტუტები უნდა აუმჯობესებდეს ადამიანების ურთიერთობას და ურთიერთობას ხალხსა და სოციალურ ინსტიტუტებს შორის“. ომერი (Omer, 1997) ამგვარ განმარტებას გვთავაზობს: „ [...] მიზანი და პროცესი, რომელიც მიზნად საზოგადოების ერთობლივ, დაბალანსებულ და გაერთიანებულ განვითარებას ისახავს“. ის ეხება ადამიანის და გარემოს ურთიერთობის საკითხებს და ხაზს უსვამს სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების საჭიროებას, როგორც მეთოდს, რომელმაც უნდა შეცვალოს ეკონომიკური რესურსებისა და მომსახურებების განაწილება.

თავად სოციალური მუშაკების შეხედულებების მეცნიერულად შესწავლისათვის საინტერესო კვლევა განხორციელდა 20 ქვეყანაში, 90-იან წლებში შვედეთის და შეერთებული შტატების (ფოლკი და ნეგი, 1997; ნეგი და ფოლკი, 2000) სოციალური მუშაობის განათლების მუშაკების მიერ. კვლევამ გამოავლინა 12 ძირითადი ასპექტი, რომლებიც ოთხ ძირითად თემად დაჯგუფდა (Lyons, 1999):

1. საერთშორისო სემინარები და კონფერენციები, ურთიერთგაზიარების შესაძლებლობები, ასევე საერთაშორისო პრაქტიკა და კონსულტაცია;
2. სოციალური პოლიტიკის, ფასეულობების, პრაქტიკული მიდგომების და ა. შ. შედარებითი კვლევა;
3. ცოდნა საერთაშორისო ორგანიზაციების, საფინანსო ინსტიტუტების, მულტინაციონალური კომპანიების და საერთაშორისო კონვენციების როლის შესახებ;
4. ბრძოლა სოციალური სამართლიანობის და ადამიანის უფლებებისთვის.

საერთაშორისო სოციალური მუშაობა და საერთაშორისო სოციალური პოლიტიკა

ორივე – საერთაშორისო სოციალური მუშაობა და საერთაშორისო სოციალური პოლიტიკა, გლობალიზაციის პროცესის ნაწილია. ირვინისა და პეინის (2005:154) აზრით, გლობალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური სფეროს წარმომადგენლებისათვის სამი მიზეზის გამო: „ცოდნის გადაცემა, შრომის ბა-

ზარი და კულტურული ცნობიერება და ეს სამივე ხაზს უსვამს გლობალიზაციის კავშირს სოციალურ მუშაობასთან". მაგალითად, ცოდნის გადაცემის აშკარა მაგალითია ზემონახსენებ ჩრდილოეთ ქვეყნებში ახალი ზელანდიიდან გადმონერგილი *საოჯახო ჯგუფური კონფერენცია,* რომელიც მაორთა კულტურული ფასეულობებისადმი პატივისცემის ნიშნად დაინერგა. ფოქსის აზრით (2005), ამის ასეთივე აშკარა მაგალითია კანადის *აბორიგენთაგან* წამოსული იდეების ზეგავლენა გაერთიანებული სამეფოს იუვენალურ სისტემაზე ან ბავშვთა დაცვის სისტემაში ნათესაური ზრუნვის განვითარება აშშ-სა და, მოგვიანებით, გაერთიანებულ სამეფოში, რომელიც აფროკარიბული საზოგადოებიდან დაინერგა. ის აფრიკული ტრადიციებიდან იღებს დასაბამს (ლიონი, 2006).

სოციალურმა მუშაკებმა უნდა ითანამშრომლონ ძალადობის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან არსებობს რადიკალიზმის საფრთხე. გახშირდა სექსუალური ექსპლუატაციის ან არალეგალური გაშვილებისთვის ქალების და ბავშვების ტრეფიკინგი. მკვიდრდება მონობის ახალი ფორმები, იზრდება ახალი საფრთხეები დედამიწის ბუნებრივი რესურსების გაჩანაგებისთვის და, თანაც, ადამიანთა ხელით, თანამედროვე მობილურობა ჯანმრთელობის სექტორშიც ახალ საფრთხეებს ქმნის (ბეკი, 1986). რამდენად შეუძლიათ სოციალურ მუშაკებს ამ სოციალური პრობლემების დაძლევისთვის ადამიანთა მობილიზაცია? მისი აზრით, სოციალურმა მუშაკებმა ზედმეტად შეისისხლხორცეს *საკაცის მატარებლის* როლი და ახლა კრიზისზე რეაგირებას ახდენენ იმის მაგივრად, რომ ფოკუსირება მოახდინონ მომსახურების მიმღების ძლიერ მხარეებზე და თავიანთ ძალისხმევაში პროაქტიულები იყვნენ.

კიდევ ერთი მოსაზრება საერთაშორისო სოციალურ მუშაობაზე გახლავთ, რომ ის ჩართულია რიგ საერთაშორისო საკითხებში, როგორებიცაა: ეკოლოგიური კატასტროფები, სამოქალაქო ომები და ეკონომიკური სიდუხჭირე. ასეთი მოვლენები აძლევს ბიძგს ხალხის მასობრივ მიგრაციას და ადამიანებით საერთაშორისო ვაჭრობას. ეს უკანასკნელი კი დღესდღეობით უფრო მომგებიანი „ბიზნესია", ვიდრე ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა (Lawrence et al., 2009).

გლობალური კორპორაციების მიერ ინვესტირების თაობაზე გადაწყვეტილებები დიდწილად განაპირობებენ კონკრეტული საზოგადოებების სოციოეკონომიკურ მდგომარეობას, ზემოქმედებენ დასაქმების პირობებსა და შესაძლებლობებზე, ასევე სხვადასხვა საქონელსა თუ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობაზე. ეს მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მედიკამენტების წარმოებას, შესაბამისად, ზემოქმედებს საზოგადოების შანსებზე მიიღოს მონაწილეობა ინფორმაციულ გადატრიალებაში, ადეკვატური ჯანდაცვის შეთავაზებაში კონკრეტული ჯგუფებისა და ადამიანებისათვის. შესაბამისად, ეს ფაქტორები ხელს უწყობენ უთანასწორობის ზრდას როგორც საზოგადოებაში, ისე საზოგადოებებს შორის. ეს კი მიეწერება გლობალიზაციას. ასეთი განსხვავებების ფონზე სახელმწიფოში და სახელმწიფოებს შორის, გლობალიზაცია სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს როგორც მოთხოვნაზე სოციალური სფეროს წარმომადგენლებისადმი, ისე მოლოდინებზე. როგორიც არ უნდა იყოს სოციალური მუშაკების როლი ადგილობრივ დონეზე, მათ უნდა შეეძლოთ გლობალიზაციის „საფასურის" გამოთვლა როგორც ცალკეულ ინდივიდებზე, ისე მთელს საზოგადოებაზე. მათ უნდა შესწევდეთ უნარი წვლილი შეიტანონ ეკონომიკური ლიბერალიზმის გამოწვევებთან გამკლავებაში (Lyons et al., 2006). ჰილის (2001:220) აზრით, „ეროვნული პოლიტიკა არასოდესაა სრულიად ადგილობრივი", არამედ აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა,

რადგან ზემოქმედებს პირდაპირ ან „სოციალური პოლიტიკის მეტოქეობრიობის“ გამო. მაგალითად, აშშ-ის ნარკოტიკებსა და ტერორიზმთან ომის პოლიტიკამ ზეგავლენა მოახდინა კეთილდღეობისა და იმიგრაციის პოლიტიკაზე მთელს მსოფლიოში.

სოციალური მუშაკის როლი საერთაშორისო კეთილდღეობასა და განვითარებაში

დიდია სოციალური მუშაკის როლი საერთაშორისო დახმარებისა და განვითარების საქმეშიც. პირველი, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია საგანგებო სიტუაციებთან ან, ამგვარი სიტუაციის შემდგომ, ადამიანების დახმარებასთან, მაგალითად, როგორებიცაა: ომი, ბუნებრივი კატასტროფები, შიმშილი, ეპიდემიები და ა.შ. მეორე კი გულისხმობს ნორმალური ვითარებისას ქვეყნების დახმარებას ტექნიკური (მაგალითად, როგორებიცაა: ტრენინგი, ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობა და ა.შ.), ეკონომიკური (მაგალითად, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობა, მიკრობიზნესი, სესხების პროგრამები და ა.შ.), დემოკრატიის აღმშენებლობის (მაგალითად, გამჭვირვალე მმართველობის, ადგილობრივი მმართველობის, დეცენტრალიზაციის პროცესებში და ა.შ.), ინფრასტრუქტურული (მაგალითად, როგორებიცაა: წყალგაყვანილობის, ირიგაციის სისტემის აგების და ა.შ.), გარემოსდაცვითი თვალსაზრისით (მაგალითად, როგორებიცაა: ეკოლოგიური, სოფლის მეურნეობის, დაბინძურების, ინდუსტრიალიზაციის და ა.შ. საკითხებში).

საერთაშორისო დახმარება და განვითარების პრაქტიკა ცვლილებაზე რამდენიმე მიმართულებით მუშაობს: ქცევით, კულტურულ, ინსტიტუციურ ან პოლიტიკის დონეზე. ამასთან, ხშირად რამდენიმე დონეზე ერთდროულად (Midgley, 1995). საერთაშორისო განვითარების ძირითადი სტრატეგიებია: უშუალო პრაქტიკა, სათემო მობილიზაცია, ინსტიტუციური განვითარება და სამთავრობო თუ დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორობით პოლიტიკისა და ადვოკატობის პრაქტიკა (Healy, 2008).

არის შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ტექნიკური დახმარება არაპირდაპირ განხორციელდა. მაგალითად, ლტოლვილთა ბანაკში, ტაილანდში, ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურება კლიენტებს მიეწოდათ არა პირდაპირ, არამედ ბუდისტი ბერების გადამზადებით. ამის მიზეზი ის იყო, რომ უცნობი სპეციალისტისაგან ამგვარი მომსახურების მიღება კულტურულად მიუღებელი იყო კლიენტებისათვის. სოციალური მუშაკების მაღალი კულტურული კომპეტენციის შედეგად, მომსახურების მიწოდება სწორედ ამგვარად დაიგეგმა და განხორციელდა. ამან დროც დაზოგა, ენერგიაც და პროფესიონალთა ფრუსტრაციაც აარიდა პროგრამის განმახორციელებლებს. ბერებმა და მონაზვნებმა კი სოციალურ მუშაკებს მედიაციის ტექნიკები დაასწავლეს, ჯანმრთელობისა და ავადობის ბუდისტური კონცეფცია გააცნეს.

ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები ზეგავლენას ახდენენ ნაკლებად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე. ამგვარი ურთიერთმიმართება ზოგჯერ აშკარაა სოციალურ მუშაობაშიც. თუმცა ზემოხსენებული მაორთა ბავშვზე ზრუნვის მეთოდების ჩრდილოეთის განვითარებულ ქვეყნებში დანერგვა საწინააღმდეგოს ამტკიცებს. სოციალური მუშაობის ფასეულობები და პრაქტიკა ხშირად უკავშირდება ჩრდილოეთის ქვეყნების ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკას, რომელიც პიროვნების თავისუფლებაზეა ფოკუსირებული. თუმცა ბევრ კულტურაში პიროვნებაზე უფრო მნიშვნელო-

ვანია ოჯახი, რელიგიური ორგანიზაცია, თემი, სანათესავო თუ სამეგობრო, რომლის გარშემოც ადამიანები ერთიანდებიან. ასეთ ქვეყნებში სოციალური მუშაობა ორიენტირებულია ჯგუფთან მუშაობაზე და მედიაციაზე ჯგუფის საშუალებით (Simpson & Lawrence, 2009). ეს კი განსხვავდება სოციალური მუშაობის იმ ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკისაგან, სადაც მისი აკვანი დაირწა (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში). გაძლიერება და გათავისუფლება შეიძლება შევადაროთ უფრო დომინირებულ ფასეულობას, როგორიცაა სტაბილურობის, პატივისცემის და ჰარმონიის შენარჩუნება, რასაც სოციალური მუშაკებისგან მოელიან აზიის ბევრ ქვეყანაში. ეს ორივე კი ასახავს დაძაბულობას პროფესიაში და ითხოვს დაფიქრებას იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ზოგიერთი სოციალური მუშაკის მისწრაფება მათდამი საზოგადოებრივ მოლოდინებს და პრაქტიკის არსებულ მეთოდებს (Lyons, Manion, Carlsen, 2006).

სოციალური მუშაკის სავალდებულო კომპეტენციები საერთაშორისო დონეზე მუშაობისთვის

კულტურული კომპეტენციების ცოდნა აუცილებელია საერთაშორისო პრაქტიკის აღსრულებისას. სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა საქციელი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდება. მაგალითად, დასავლურ კულტურაში მიუღებელია ბავშვის მშობლების საძინებელში, არათუ საწოლში ყოფნა, მაშინ, როდესაც ზოგიერთ კულტურაში ეს ნორმაა. ზოგიერთ კულტურაში ახლობლებისათვის მატერიალური რესურსების განაწილება, საკუთარი ოჯახის დაზარალების ხარჯზეც კი, ნორმაა და ეს ადამიანს უყვარათო ხარჯვაში არ უნდა ჩაეთვალოს. ზოგიერთ კულტურაში ტრადიციული მეთოდებით ე.წ. შინა მკურნალობაა ნორმაა და ექიმის დანიშნულების უგულებელყოფა მხოლოდ ამ თვითრწმენითაა განპირობებული. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ კულტურულად სენსიტიურ მიდგომას ბრმად არ უნდა მიმართოს სოციალურმა მუშაკმა, რადგან კულტურული კომპეტენციების სრულიად განზოგადებულად გამოყენება ისევე საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც კულტურული ნორმების სრულიად უგულებელყოფა (Healy, 2008).

სოციალური სფეროს წარმომადგენელთათვის კულტურული კომპეტენტურობის საჭიროება არახალია და, შესაბამისად, ის არც აუცილებლად გლობალიზაციის შედეგია. მაგალითად, ახალი ზელანდიის ბიკულტურალისტური პოლიტიკა 1980 წლიდან დაიწყო; 10 წელიწადში გაერთიანებული სამეფოს სკოლებში დაიწყო ანტირასისტული ტრენინგები. ინტერკულტურული სწავლებისა და ანტიოპრესიული პრაქტიკის განვითარება დასაბამს გერმანიიდან და ჩეხეთიდან იღებს, თურქ და ბოშათა ეთნიკური უმცირესობების პრობლემებიდან გამომდინარე. თუმცა აშკარაა, რომ გლობალიზაციამ გაზარდა მიგრაციის მასშტაბი და სოციალურ მუშაკსაც სულ უფრო და უფრო სჭირდება კროსკულტურული ცოდნის გაღრმავება უმცირესობებთან ეფექტიანი პრაქტიკის განხორციელებისათვის (Lyons, Manion, Carlsen, 2006).

მიგრაციის ახლანდელი მოდელი ყველა სოციალური მუშაკისგან მოითხოვს სხვადასხვა კულტურასთან მუშაობის უნარს. ზოგიერთ სოციალურ მუშაკს მოუწევს მუშაობა „ტრანსნაციონალურ“ გარემოში, რადგან დიდი ოჯახები სხვადასხვა კულტურულ გარემოში სახლდებიან ან მაგალითად, უშვილო ოჯახები შვილად ასაყვან ბავშვებს საზღვარგარეთ ეძებენ (Lyons&Lawrence, 2009).

საერთაშორისო სოციალური მუშაობის განმაპირობებელი და ხელშემწყობი ფაქტორები

ევროპაში, ბოლონიის დეკლარაციის ფარგლებში, გაფორმდა შეთანხმებები გაცვლების შესახებ აღიარებულ სფეროებში. 1999 წლის ბოლონიის დეკლარაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განათლების სფეროზე და, ამდენად, ის მნიშვნელოვანია სოციალური მუშაობისთვისაც. ზოგიერთ ქვეყანაში საერთაშორისო სოციალური მუშაობა არის აუცილებელი კურსი ყველა მაგისტრანტისთვის (მაგალითად, აშშ-ის უნივერსიტეტებში), ზოგიერთში კი ეს არის არჩევითი კურსი ან გაერთიანებულია სოციალური მუშაობის კურიკულუმის სხვა საგანთან (მაგალითად, ევროპის ქვეყნებში) (Ewijk, 2010). მსოფლიოში მზარდი მიგრირების ტენდენციას არც სოციალური მუშაკების მიმოსვლა ჩამოუვარდება ქვეყნებს შორის. ეს კი ნათელყოფს მათი ცოდნისა და უნარების გაღრმავების აუცილებლობას საერთაშორისო და კროსკულტურულ კონტექსტში (Lyons, Manion, Carlsen, 2006). რადგან სოციალური მუშაობა ძალიან მგრძნობიარეა ენისა და კულტურის თავისებურებებისადმი, სოციალური მუშაობა საზღვარგარეთ, ძირითადად, მაშინ ხორციელდება, როცა ორ ქვეყანას ერთი და იგივე მშობლიური ენა აქვს (ქსუ, 2006). თუმცა სოციალურ მუშაკებს ამ გლობალურ სამყაროში უწევთ თარჯიმნის დახმარებით მუშაობაც. ის კი სათანადოდ გაწვრთნილი ადამიანი უნდა იყოს და სასურველია იცნობდეს სოციალურ მუშაობას, ესმოდეს მისი როლი და მოცემული კულტურული სიტუაცია.

თარჯიმნის დახმარებით მუშაობისას, სოციალურმა მუშაკმა მას უნდა აუხსნას რას ელის მისგან. უნდა დამყარდეს სამუშაო ურთიერთობა როგორც სოციალურ მუშაკსა და თარჯიმანს შორის, ისე მომსახურებით მოსარგებლესთან. ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ორმხრივი ურთიერთობა სამმხრივად გარდაიქმნება, რაც მოითხოვს მსჯელობას ყველას როლის და მოლოდინის შესახებ (სანდერსი, 2021). შემოთავაზებული ნაბიჯები ასეთია:

- განვმარტოთ ინტერვიუს მიზანი
- გავაორმაგოთ ჩვეულებრივი ინტერვიუს დრო
- მივუთითოთ რამდენ ხანს გასტანს შეხვედრა
- უზრუნველვყოთ, რომ კლიენტი და თარჯიმანი ერთსა და იმავე ენაზე ან დიალექტზე ლაპარაკობდნენ (მაგალითად, არაბული მეექვსე, ყველაზე გავრცელებული ენაა მსოფლიოში, მაგრამ ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირ არაბულზე ლაპარაკობენ. ინდოეთში ბევრი სხვადასხვა ენაა გავრცელებული, ამიტომ, მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ვიღაც „ინდოელია“, საკმარისი არ არის)
- თუ შესაძლებელია, თარჯიმნის სქესი დავამთხვიოთ მომსახურების მიმღების სქესს
- თუ ასაკობრივი სხვაობა დიდია, ვიფიქროთ იმაზე, რა შეიძლება გამოიწვიოს ამან
- გავითვალისწინოთ სავარაუდო პოლიტიკური, კულტურული ან რელიგიური სხვაობები, მაშინაც კი, თუ ხალხი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობს
- გავითვალისწინოთ მოსალოდნელი ინტერესთა კონფლიქტი
- ფრთხილად ვიყოთ, რომ თარჯიმანმა ან მომსახურებით მოსარგებლემ არ გააკეთოს არასწორი დასკვნები.

პროცესი, რომლის დროსაც ორი ადამიანი მესამეს მეშვეობით ელაპარაკება ერთმანეთს, სოციალური მუშაკისაგან დიდ გამოცდილებას და მეტ რესურსს მოითხოვს,

ვიდრე თარჯიმნის გარეშე მუშაობა. პროცესი კიდევ უფრო ხანგრძლივდება, თუ სოციალური მუშაკი და თარჯიმანი კლიენტთან შეხვედრამდე და შეხვედრის შემდეგაც ცდილობენ დააზუსტონ გარკვეული საკითხები (ტრაიბი და რავალი, 2002). არადა, ამის გარეშე მუშაობა ეფექტიანი ვერ იქნება. მაკროპრაქტიკა სოციალური მუშაკისაგან განსაკუთრებულ ენობრივ კომპეტენციებს ითხოვს, რაც მას პოლიტიკის დონეზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან მუშაობის საშუალებას მისცემს. პროფესიული ტერმინოლოგიისა და სასაუბრო ენის სრულყოფილად ცოდნა მაკროსაკითხებზე მუშაობისას ენობრივი გაუგებრობის თავიდან არიდებასა და თემატური დისკუსიის ეფექტურად წარმართვას უზრუნველყოფს.

თავის შეჯამება

საერთაშორისო პრაქტიკა სოციალური მუშაობის განუყოფელი ნაწილი ხდება დღითიდღე ამ გლობალურ სამყაროში. ამას კი, მრავალ უპირატესობასთან ერთად, გამოწვევებიც ახლავს. ადგილობრივი სოციალური მუშაობის პრაქტიკის საერთაშორისო მასშტაბში გადაყვანამ შესაძლოა რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში საქმის კეთების განსხვავებული გზებიც გამოკვეთოს.

სოციალური მუშაკების თუნდაც წარმატებული საქმიანობა ადგილობრივ დონეზე, ხშირად არც არის საკმარისი გლობალური სოციალური პრობლემების დაძლევისათვის. მით უფრო, რომ მკვიდრდება დისკრიმინაციისა და ჩაგვრის ახალი ფორმები, იზრდება ახალი საფრთხეები, რაზეც ახლებურად რეაგირებაა საჭირო. ამიტომ, სოციალურმა მუშაკებმა მთელს მსოფლიოში უნდა ითანამშრომლონ თანამედროვე სოციალური პრობლემების დაძლევაზე გაერთიანებული ძალისხმევით, რადგან ხშირად ეს პრობლემები გადაჯაჭვულია და/ან თავისი ბუნებით გლობალურია.

ურთიერთგადაჯაჭვულია სოციალური მუშაობის, კეთილდღეობისა და განვითარების კონცეფციებიც. ამიტომ, მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკებს ესმოდეთ რა ზემოქმედების პოტენცია აქვს სხვადასხვა ქვეყანაში გატარებულ სოციალური კეთილდღეობისა და განვითარების პოლიტიკას კეთილდღეობის პოლიტიკაზე მთელს მსოფლიოში. მნიშვნელოვანია გლობალიზაციის „საფასურის“ გამოთვლაც როგორც ცალკეულ ინდივიდებზე, ისე მთელს საზოგადოებაზე. დროული რეაგირება და პროფესიული დარაზმვა კი სოციალური უთანასწორობისა და გარიყულობის ზრდის ტემპის შემცირებაში თავის წვლილს შეიტანს.

თავში განხილულია საერთაშორისო ტექნიკური დახმარების არაპირდაპირი გზით განხორციელების შემთხვევებიც, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომსახურებით სარგებლობის უფრო მისაღები ფორმა, რომელიც მიზნის მიღწევისათვის მეტ გარანტიებს ქმნის და ზოგავს რესურსების ფუჭ ხარჯვას. თანამშრომლობის ამგვარი ფორმატი პროფესიათაშორისი თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებად შეგვიძლია განვიხილოთ. ასეთ სიტუაციებში სოციალურ მუშაკს მედიატორის როლის თამაში შეუძლია სხვადასხვა კულტურული მახასიათებლების მქონე გარემოში.

საერთაშორისო პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭიროა კულტურული კომპეტენციების მაღალი დონე. თუმცა კულტურულად სენსიტიურ მიდგომას ბრმად არ უნდა მიმართოს სოციალურმა მუშაკმა, რადგან კულტურული კომპეტენციების სრულიად განზოგადებულად გამოყენება ისევე საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც მათი

სრულიად უგულებელყოფა. ამიტომ სოციალურ მუშაკს მართებს კროსკულტურული ცოდნის გაღრმავება როგორც უმცირესობებთან ეფექტიანი პრაქტიკის წარმოებისათვის საკუთარ ქვეყანაში, ისე საერთაშორისო პრაქტიკის განხორციელებისათვის.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. რომელ სოციალურ პრობლემაზე მუშაობა იქნება უფრო ეფექტიანი საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე? დაასაბუთეთ პასუხი.
2. სოციალური განვითარების რომელ განმარტებას იზიარებთ? დაასაბუთეთ პასუხი.
3. გაიხსენეთ საერთაშორისო სოციალური მუშაობის პრაქტიკა, რომელმაც ადგილობრივ დონეზე პრაქტიკის დახვეწა გამოიწვია.

გამოყენებული ლიტერატურა:

Cox, D., Pawar, M. (2006) *International Social Work: Issues, Strategies And Programs.* Thousand Oaks, CA:Sage

Ewijk, H.V. (2010). *European Social Policy and Social Work: Citizenship-based Social Work*. New York: Routledge.

Healy, L.M. (2008). International Social Work: Professional Action in an Interdependent World. Oxford University Press.

Healy, L.M. (2001). International Social Work: Professional Action in an Interdependent World. Oxford University Press.

Healy, L.M. (2008). *International Social Work: Professional Action in an Independent Wold*. New York: Oxford University Press.

Lawrence, S., Lyons, K., Simpson, G., Huegler, N. (2009). *Inroducing International Social Work*. Learning matter Ltd.

Lyons, K. (1999). *International Social Work: Themes and Perspectives.* Aldershot, England: Ashgate Publishing.

Lyons, K., Manion, K., Carlsen, M. (2006). *International Perspectives On Social Work: Global Conditions And Local Practice.* Houndsmills, UK: Palrave MacMillan

Omer, S. (1977). Social Planning: Its Place in National Planning and Its Requirements for Personpower. *International Social Work, 19* (4).

Williams, E., Simpson, G. (2009). Understanding International Social Work. In Lawrence, S., Lyons, K., Simpson, G., Huegler, N. (2009). *Introducing International Social Work.* (pp. 1-14) Learning matter Ltd.

ნათია ფარცხალაძე

თავი 3

საერთაშორისო სოციალური მუშაობა, სოციალური მომსახურებები და ინსტიტუტები

შესავალი

წინამდებარე თავში საუბარია სოციალური მუშაობის დეფინიციების შემუშავების ისტორიაზე, სოციალური მუშაობის გლობალურ ხედვაზე, საერთაშორისო სოციალური მუშაობის განმარტებასა და არსზე. თავში ასევე განხილულია სოციალური მუშაობის გლობალური დეფინიციის შემუშავებაში ჩართული ის პროფესიული ორგანიზაციები, რომელთაც წამყვანი როლი ენიჭებათ სოციალური მუშაობის პროფესიული განვითარების, აკადემიური განათლების დამკვიდრებისა და სოციალური მუშაობის მნიშვნელობის გაზრდის ხელშეწყობაში. კერძოდ, თავში გაშუქებულია სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის, სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის, სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭოს საქმიანობა. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მაგალითზე თავში განხილულია სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციების როლი, რომლებიც ადგილს იკავებენ ქვეყნების დონეზე სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარებაში და ჩართულნი არიან გლობალური ორგანიზაციების წევრთა მსოფლიო ქსელში.

სოციალური მუშაობის გლობალური დეფინიცია

სოციალური მუშაობა არის პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია და აკადემიური დისციპლინა, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებასა და განვითარებას, ერთიანობას, ადამიანების გაძლიერებასა და თავისუფლებას. სოციალური მუშაობის ამოსავალი პრინციპებია: სოციალური სამართლიანობა, ადამიანის უფლებების დაცვა, კოლექტიური პასუხისმგებლობა და მრავალფეროვნების პატივისცემა. სოციალური მუშაობის თეორიების, სოციალური მეცნიერების, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ემპირიული ცოდნის საფუძველზე, სოციალური მუშაობის პროცესში მონაწილეობენ ადამიანები და სტრუქტურები, რომლებიც ცდილობენ ცხოვრებისეულ გამოწვევებთან გამკლავებასა და კეთილდღეობის გაზრდას (IASSW & IFSW, 2014). სოციალური მუშაობის მოცემული განმარტება არის პროფესიის განვითარების ამ ეტაპზე მიღებული გლობალური დეფინიცია. თუმცა ის არ წარმოადგენს პროფესიის განმარტების პირველ მცდელობას. სოციალური მუშაობის პროფესიის ისტორიის ანალიზი, რომელიც საუკუნეზე მეტს მოიცავს, აჩვენებს, რომ ცვლილებები პროფესიის განმარტებაში ასახავს პროფესიის იდეოლოგიის ევოლუციას. მაგალითისთვის, სოციალური მუშაობის პროფესიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მერი რიჩმონდის პირველი განმარტება ეხმიანებოდა ქველმოქმედების იდეოლოგიას და სოციალურ მუშაობასა და სოციალურ შემთხვევაზე მუშაობას განმარტავდა როგორც პროცესების ერთობლიობას, რომლებიც ავითარებს

პიროვნებას, მის მიერ შეგნებულად განხორციელებული, გარემოსთან ადაპტირების გზით (Richmond, 1922).

მოცემული მიდგომა და დეფინიცია, ათწლეულების შემდეგ, ჩაანაცვლა კეთილდღეობის, შემდეგ კი განვითარების იდეოლოგიებმა. ამჟამად, სოციალური მუშაობის მიზნები განსაზღვრულია პიროვნების გაძლიერებისა და ადამიანის უფლებების პრინციპებით. ცხრილი #1 აჯამებს სოციალური მუშაობის დეფინიციების ძირითად აქცენტებს 1915-2015 წწ. პერიოდში (Bhatt & Sanyaal, 2019).

ცხრილი #1: სოციალური მუშაობის დეფინიციების ძირითადი აქცენტები

პერიოდი	ფოკუსი	იდეოლოგია
1915-1940	დახმარება, ჰუმანიტარული მიდგომა, მოხალისეობა, ინდივიდსა და კლიენტზე მორგებული მხარდაჭერა, ინდივიდის საჭიროებების მორგება გარემოსთან, სოციალური ურთიერთობები, სოციალური ადაპტაცია	ქველმოქმედება
1941-1965	კეთილდღეობის სისტემა, სოციალური უსაფრთხოება, სოციალური ურთიერთობები, ფუნქციონირება, სამეცნიერო ცოდნა, ცხოვრების სტანდარტი	კეთილდღეობა
1966-1990	სოციალური ცვლილება და განვითარება, ცხოვრების ხარისხი, რადიკალური სოციალური მუშაობა, კრიტიკული სოციალური მუშაობა	განვითარება
1991-2014	ადამიანის უფლებები, სოციალური სამართლიანობა, ანტიოპრესიული სოციალური მუშაობა, გაძლიერება, სოციალური ერთიანობა, კოლექტიური პასუხისმგებლობა	გაძლიერება

წყარო: Bhatt & Sanyaal, 2019

სოციალური მუშაობის ბოლო პერიოდში მიღებული განმარტებები (1982, 2001 და 2014 წ.) შემუშავებულია სოციალური მუშაობის წამყვანი პროფესიული ერთობების მიერ, რომელთა შესახებ უფრო ვრცლად საუბარი იქნება ამავე თავში. აქ კი მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას უკანასკნელი დეფინიციის ისეთ აქცენტებს, როგორიცაა სოციალური მუშაობის, როგორც აკადემიური დისციპლინის, აღიარება და ადამიანის უფლებებზე განსაკუთრებული აქცენტი, რაც სიახლეს წარმოადგენს პროფესიულ დეფინიციაში. ასევე საყურადღებოა, რომ, დეფინიციის თანახმად, ის სასურველია განევრცოს ეროვნული და რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით. აღნიშნული, როგორც წესი, წარმოადგენს ეროვნული პროფესიული ასოციაციების ფუნქციას, რომელთა როლი ასევე ქვემოთ იქნება განხილული.

ანალიზი ცხადყოფს, რომ ადგილობრივ კონტექსტზე, პრიორიტეტებზე და პოლიტიკურ მოვლენებზე მორგება განაპირობებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში სოციალური მუშაობის დეფინიციის განსხვავებულ ფოკუსს. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის (აშშ) დამახასიათებელია ინდივიდის დონეზე მუშაობის აქცენტირება. აშშ-ის სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაცია (NASW), რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან (120,000 წევრი) და ხანგრძლივი ისტორიის მქონე (დაარსდა 1955 წელს) პროფესიულ ორგანიზაციას, სოციალურ მუშაობას განსაზღვრავს როგორც გამოყენებით მეცნიერებას, რომელიც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს ინდივიდების დახმარებას, რათა მათ შეძლონ სრულფასოვანი ფსიქო-

სოციალური ფუნქციონირება და, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ეფექტიან სოციალურ ცვლილებებს, რათა გაუმჯობესდეს ყველას კარგად ყოფნა (NASW, n.d.).

განსხვავებით აშშ-გან, ჩინეთში პროფესია მეტად არის მიმართული სათემო მობილიზებასა და სოციალური პრობლემების მოგვარებაზე; ინდოეთში დომინირებს სოფლის (რურალური) სოციალური მუშაობის მიდგომები; ლათინურ ამერიკაში პროფესია ეფუძნება სოციალურ სამართლიანობასა და სოციალურ ატავიზმს; აფრიკის კონტინენტზე განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სოციალურ განვითარებაზე; აღმოსავლეთ ევროპაში კი – სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე (Cox & Pawar, 2012). თუმცა ყველა ამ რეგიონსა და ქვეყანაში, კონტექსტის შესაბამისი მახასიათებლების გარდა, სოციალური მუშაობა ვითარდება საყოველთაოდ მიღებული ღირებულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული ეროვნული ტენდენციებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ, საერთაშორისო დეფინიციის პარალელურად, ქვეყნების დიდ ნაწილს აქვს სოციალური მუშაობის ეროვნული დეფინიცია, რომელიც შეიძლება მოცემული იყოს სოციალური მუშაობის კანონში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სფეროს სხვა შესაბამის კანონმდებლობაში. ეროვნული დეფინიციები, ქვეყნის კონტექსტის შესაბამისად, აკონკრეტებს საერთაშორისო განმარტებას და ასევე გამოყოფს ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს და სამიზნე ჯგუფებს. მაგალითად, საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ აღნიშნავს, რომ, პროფესიის განვითარების ამ ეტაპზე, სოციალურ მუშაკად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ ის პირი, რომელსაც მიღებული აქვს აკადემიური განათლება სოციალურ მუშაობაში, არამედ კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერტიფიკატის მქონე პირიც (საქართველოს პარლამენტი, 2018). გარდა ამისა, კანონი გამოყოფს სოციალურ მუშაობაში ქვეყანაში გამოკვეთილ ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორებიცაა: ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის მხარდაჭერა, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მუშაობა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და ჯანდაცვის სფეროში საქმიანობა, ასევე სოციალური მუშაობა მუნიციპალიტეტების დონეზე. თუმცა, როგორც ცნობილია, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, სოციალური მუშაკები მიკრო-, მეზო- და მაკროდონეებზე მუშაობენ არაერთ სხვა სფეროშიც.

რეგიონულ და ქვეყნების დონეებზე სოციალური მუშაობის როლის და ფუნქციების გარკვეული ცვალებადობის გარდა, ხაზგასასმელია დეფინიციის გარკვეული კრიტიკაც, რომლის მიზეზია მოსაზრება, რომ არსებული დეფინიცია და სფეროში დამკვიდრებული მიდგომები პრიორიტეტს ანიჭებს დასავლურ მიდგომებს და აქცენტს აკეთებს ინდივიდუალურ უფლებებსა და სოციალურ ცვლილებებზე, მაშინ, როდესაც უგულებელყოფს კოლექტიურ უფლებებს, სტაბილობასა და სოციალურ ერთიანობას, რაც არაერთ ქვეყანაში (მაგ., აფრიკის კონტინენტზე) წამყვან პრიორიტეტებს წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნული კრიტიკის მიუხედავად, სოციალური მუშაობის ერთობლივი დეფინიციის შექმნაზე პასუხისმგებელი კომიტეტის ექსპერტები, რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიოს ყველა რეგიონისა და არაერთი ქვეყნის IFSW და IASSW წევრებს, მიიჩნევენ, რომ აუცილებელია არსებობდეს საერთო ჩარჩო, რომელიც გააერთიანებს ამ სფეროს ყველა პროფესიონალს მსოფლიო მასშტაბით და განსაზღვრავს პროფესიის იდენტობას და ამიტომ, ქვეყნებს შორის მცირე ვარიაციების მიუხედავად, მხარს უჭერენ არსებულ დეფინიციას (Sewpaul, 2013).

საერთო პროფესიული იდენტობის შექმნას და განმტკიცებას, ერთიანი დეფინიციის მიღების გარდა, ემსახურება პროფესიის საერთო ძირეული პრინციპების, მანდატის, ცოდნისა და პრაქტიკის საფუძვლების გავრცელება. პროფესიის ფასეულობები, პრინციპები და სტანდარტები დეტალურად არის გაწერილი სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსში (პირველად ვერსია შემუშავდა 1976 წ.) და სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციისა და სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის ერთობლივ განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა 2018 წელს (IFSW & IASSW, 2018). 2020 წელს ამავე ორგანიზაციების მიერ განახლებული სოციალური მუშაობის განათლების და ტრენინგის გლობალური სტანდარტები კი ემსახურება სოციალურ მუშაობაში თანმიმდევრული განათლების უზრუნველყოფას, რომელიც იმავდროულად ხელს შეუწყობს მრავალფეროვნებას, თანასწორობასა და ინკლუზიას (IFSW & IASSW, 2020). ამ დოკუმენტის წინა ვერსია ამავე ორგანიზაციებმა 2004 წელს ავსტრალიის ქალაქ დელაიდაში დაამტკიცეს.

საერთაშორისო სოციალური მუშაობა

სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის, განვითარება განსაკუთრებით დაჩქარდა 1990-იან და 2000-იან წლებში, როდესაც საგრძნობლად გაძლიერდა აქცენტი თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის დანერგვაზე, გლობალიზაციაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, ბავშვთა და სოციალური დაცვის სისტემების რეფორმირებაზე და, იმავდროულად, მოხდა ამ პრიორიტეტების მიღწევაში სოციალური მუშაობის როლის უფრო მეტად წარმოჩენა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება საქართველოში სოციალური მუშაობის პროფესიის დანერგვაც.

სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში პროფესიის გლობალური მასშტაბებით გავრცელება აისახა სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამების სწრაფ ზრდაზე. 2000 წელს მსოფლიოს 114 ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 1384 აკადემიური პროგრამა სოციალურ მუშაობაში. 2010 წლისთვის ეს მონაცემი გაიზარდა 2110 პროგრამამდე 125 ქვეყანაში (Bhatt & Sanyaal, 2019). სწორედ ამ პერიოდში დაარსდა საქართველოში აკადემიური პროგრამები სოციალურ მუშაობაში საბაკალავრო, სამაგისტრო და, მოგვიანებით, სადოქტორო დონეებზე ორ წამყვან სახელმწიფო უნივერსიტეტში (Doel et al., 2020).

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება საერთაშორისო სოციალური მუშაობის კონცეფციის სწრაფი განვითარება. თუმცა ტერმინი – საერთაშორისო სოციალური მუშაობა – პირველად გამოიყენეს 1928 წელს, როდესაც საუბარი იყო ორგანიზაციების *გადავარჩინოთ ბავშვები* და *მიგრაციის საერთაშორისო სერვისი* მუშაობაზე საერთაშორისო მასშტაბით, რაც განსაკუთრებით გააქტიურდა პირველი მსოფლიო ომის დროს (Healy, 2012). 1956 წელს აშშ-ის სოციალური მუშაობის განათლების საბჭომ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უნდა შეემუშავებინა საერთაშორისო სოციალური მუშაობის დეფინიცია. 1960 წელს კი ამავე საბჭომ დააფინანსა რამდენიმე კონფერენცია, რომლებიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო სოციალური მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას (Estes, 2010).

მსოფლიო მასშტაბით ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდამ და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებამ, გაზრდილმა მიგრაციამ, ეკოლოგიურ-

მა პრობლემებმა, გლობალური ეკონომიკის კრიზისმა, აუცილებელი გახადა სოციალური მუშაობის საერთაშორისო განზომილების აღიარება და საერთაშორისო სოციალური მუშაობის გლობალური კონცეფციების და კომპეტენციის დანერგვა.

საერთაშორისო სოციალური მუშაობის განსაზღვრებათა უმრავლესობა მოიცავს გლობალურ კონტექსტს, ადამიანის უფლებებს და ეკოლოგიური და სოციალური განვითარების პერსპექტივებს და ხაზს უსვამს ინტეგრირებული პერსპექტივების მნიშვნელობას. ერთ-ერთი დეფინიციის თანახმად, საერთაშორისო სოციალური მუშაობა არის სოციალური მუშაობის განათლებისა და პრაქტიკის გლობალურად და ადგილობრივ დონეებზე ხელშეწყობა, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი ჭეშმარიტად ინტეგრირებული საერთაშორისო პროფესიის დამკვიდრებას, რომელიც შეძლებს მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილის კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვან სხვადასხვა გლობალურ გამოწვევებზე რეაგირებას (Cox & Pawar, 2006). ჰაუგის მტკიცებით კი საერთაშორისო სოციალური მუშაობა მოიცავს აქტივობებს სოციალურ სამუშაოში, რომელიც ხორციელდება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მიმართულია გლობალური სოციალური სამართლიანობისა და ადამიანების უფლებების დაცვისკენ და ხორციელდება გლობალურ კონტექსტთან ადგილობრივი პრაქტიკის დაკავშირებით (Haug, 2005).

როგორც დეფინიციებიდან ჩანს, საერთაშორისო სოციალური მუშაობა არის პრაქტიკის სპეციფიკური სფერო სოციალური მუშაობის ფარგლებში, რომელიც ცდილობს გააუმჯობესოს ადამიანების სოციალური და მატერიალური კეთილდღეობა გლობალურ დონეზე, თუმცა პრაქტიკის დიდი ნაწილი ხორციელდება ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებზე ცალკეულ ქვეყნებში და ორიენტირებულია განვითარებაზე (Estes, 2010). ჰეალი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სოციალური მუშაობა უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- ადამიანის კეთილდღეობაზე გლობალიზაციის გავლენის აღიარება
- საერთაშორისო ცოდნით ადგილობრივი პრაქტიკის ინფორმირება
- სოციალურ გამოწვევებზე გლობალურ დონეზე რეაგირება
- საერთაშორისო პროფესიულ საქმიანობასა და პროფესიულ დიალოგში ჩართულობა
- ადამიანის უფლებების აღიარება და მათი დაცვის ხელშეწყობა
- მომავალზე და მოქმედებაზე ორიენტირებული პრაქტიკა გლობალური ცვლილების უზრუნველსაყოფად (Healy, 2012).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სოციალურ მუშაობაში არ იგულისხმება: სოციალური მუშაობის პრაქტიკა ან კვლევა, რომელსაც პროფესიონალები ახორციელებენ სხვა ქვეყნებში; სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი სოციალური მუშაკების ერთობლივი საქმიანობა; საერთაშორისო შედარებითი კვლევა და ანალიზი; კულტურათაშორისი სოციალური მუშაობა ან, უბრალოდ, ერთგულება საერთაშორისო სოციალური მუშაობის ორგანიზაციებისადმი.

როგორც უკვე აღინიშნა, სოციალური მუშაობის პროფესიის, ასევე საერთაშორისო სოციალური მუშაობის დეფინიცია წარმოადგენს ზოგიერთი მეცნიერის კრიტიკის საგანს, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ დამკვიდრებულ კონცეფციებს აქვთ იმპერიალისტური და განვითარებულ ქვეყნებზე ორიენტირებული მიდგომა (Gray, 2005). მაგალითისთვის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სოციალურ მუშაობას საფუძველი ჩაეყარა გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით განხორციელებული მხარდაჭერისა და პროექტების

ფარგლებში და მოიცავდა დასავლური კონსულტანტების და მიდგომების ინტენსიურ გამოყენებას. ყოველთვის არ ხდებოდა რეკომენდაციების ადგილობრივ კონტექსტზე სათანადოდ მორგება და ადგილობრივი გამოცდილების დანერგვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპისთვის არ არსებობს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ამ კუთხით გააანალიზებდა საქართველოში სოციალური მუშაობის პროფესიისა და პრაქტიკების დამკვიდრების ისტორიას და შემოგვთავაზებდა მოსაზრებებს მათი კოლონიალისტური მიდგომების არსებობა-არარსებობის შესახებ. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში, გარკვეულწილად, მოხერხდა დომინელის რეკომენდაციის გათვალისწინება, რომლის თანახმადაც, მნიშვნელოვანია სოციალური მუშაობის და, მათ შორის, საერთაშორისო სოციალური მუშაობის ისეთი პრაქტიკის დანერგვა, როდესაც ხდება „გლობალურის ლოკალიზება და ლოკალურის გლობალიზება“ (Domineli, 2005, p. 505), და ეს პროცესები განიხილება, როგორც ურთიერთშემავსებელი პრაქტიკა.

საერთაშორისო სოციალური მუშაობის პრაქტიკა სხვადასხვა ჯგუფთან

საერთაშორისო სოციალური მუშაობა მოიცავს გლობალურ სოციალურ პრობლემებზე და ასევე სამიზნე ჯგუფების გარკვეულ კატეგორიებთან მუშაობას, რომელთა ნუსხას, გარკვეულწილად, განსაზღვრავს ისეთი ორგანიზაციების პრიორიტეტები, როგორებიცაა: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), მსოფლიო ბანკი (WB), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), ევროკავშირი და ა.შ. წარმოდგენილ ტექსტში მოკლედ არის მიმოხილული საერთაშორისო სოციალური მუშაობის მხოლოდ ორი მაგალითი.

მიგრანტებთან და ლტოლვილებთან მუშაობა

მიგრაციის ფენომენი მთელ მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული და მოიცავს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ და რეგიონებსა და კონტინენტებს შორის მიგრაციას. მიგრაციის გაზრდილი მაჩვენებლები, ერთი მხრივ, განპირობებულია ქვეყნების გაზრდილი მზაობით, მიიღონ სხვა ქვეყნების მოქალაქეები (მაგ., ევროკავშირის ქვეყნები), საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის პრაქტიკის ზრდით (მაგ., აშშ-ის სამხრეთ საზღვრის არალეგალური გადაკვეთა), ქვეყნებს შორის არამყარი და ცვალებადი საზღვრებით (მაგ., აფრიკის კონტინენტზე). მეორე მხრივ, ადამიანების გაზრდილი მობილობის მიზეზია ეკონომიკური სიდუხჭირე, ომი, დევნა და უსაფრთხოების პრობლემები, განათლებასა და ჯანდაცვაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების სურვილი და მრავალი სხვა. ინდივიდუალურ დონეზე ეფექტის გარდა, მიგრაცია დიდ გავლენას ახდენს ქვეყნების დემოგრაფიულ სურათზე, დასაქმების ბაზარზე, ეკონომიკის განვითარებაზე, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების გაზრდაზე. ის, დადებითი შედეგების გარდა, ბევრ საფიქრალს უჩენს პოლიტიკოსებს და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ პროფესიონალებს.

საერთაშორისო სოციალური მუშაობის მანდატი მოიცავს მუშაობას საწყის ლოკაციაზე, რაც გულისხმობს ინდივიდის მიგრაციის მიზეზების დადგენას, შემცირებასა და აღმოფხვრას, ცალკეულ შემთხვევებში კი – ხელშეწყობას; მიგრაციის გამომწვევი მიზეზების ანალიზს; ზრუნვას სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე და მრავალ სხვა აქტივობას. სოციალური მუშაკის როლი ვრცელდება ტრანზიტულ ქვეყნებზეც, სადაც მათ უწევთ გადაადგილებული პირების საბაზისო საჭიროე-

ბების დადგენა და უზრუნველყოფა; განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფების, მათ შორის, ბავშვების და სხვა მიგრანტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ენობრივი და კულტურული ბარიერის გადალახვაში მხარდაჭერა; ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, მიგრანტების მიმართ სტიგმის შემცირება; ლტოლვილის ან სხვა რელევანტური სტატუსის მიღებასა და ინტეგრაციაში მხარდაჭერა; სხვა კულტურის ადამიანებისათვის მეგობრული სოციალური მომსახურებების იდენტიფიცირებასა და შექმნაში მონაწილეობა და მრავალი სხვა. მიმღებ ქვეყნებში სოციალური მუშაკები მუშაობენ მიგრანტების ასაკის დადგენაზე, მაშინ, როდესაც პირს არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და თავშესაფარს არასრულწლოვნის სტატუსით ითხოვს. როგორც მაგალითებიდან ჩანს, სამივე ლოკაციაში სოციალური მუშაკების საქმიანობა, მიკროდონეზე მუშაობის გარდა, მოიცავს მეზო- და მაკროდონეების პრაქტიკას (Fong, 2004). ემიგრანტები და ლტოლვილები მთელ მსოფლიოში შეადგენენ უკიდურესად მრავალფეროვან პოპულაციას, რაც სოციალური მუშაკებისგან მოითხოვს შესაბამის კომპეტენციებს, მათ შორის ემიგრანტების მიმართ და მათი მხრიდან ქსენოფობიის დაძლევას, საემიგრაციო კანონმდებლობის ცოდნას, ემიგრანტებსა და ჩართულ ქვეყნებს შორის ბროკერის როლის განხორციელების უნარს და ა.შ. (Healy, 2012).

ქვეყანათშორისი შვილად აყვანა

ოფიციალური რეგულაციების ფარგლებში, ქვეყანათშორისი შვილად აყვანის პრაქტიკა დაიწყო 1940-იან წლებში, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს ობლად დარჩენილი ბავშვების შვილად აყვანა სხვა ქვეყნების მოქალაქეების მიერ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა გახდა. დიდი რაოდენობით ბავშვის შვილად აყვანა ასევე უკავშირდება კორეის 1950-იანი წლების კონფლიქტს; ვიეტნამის ომს და 1975 წლის ოპერაციას (Operation Babylift), როდესაც, საიგონის დაცემისას, მოხდა ათასობით ბავშვის აშშ-ში ევაკუირება და შემდგომ შვილად აყვანა. ქვეყანათშორისი შვილად აყვანა კვლავ გააქტიურდა 1980-იანი წლების ბოლოსა და 90-იან წლებში და ამ პროცესს „მშვიდი მიგრაციის“ სახელიც კი ეწოდა (Selman, 2002). 1940-იანი წლებიდან 2010 წლამდე სხვა ქვეყნებში გაშვილებული ბავშვების რაოდენობამ დაახლოებით ერთი მილიონი შეადგინა. მათგან ნახევარი გაშვილდა აშშ-ში (Selman, 2009). ამჟამად პროცესი შედარებით შენელებულია და ასევე შემცირებულია ე.წ. გამგზავნი ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა შორის ბოლო პერიოდში დომინირებდნენ ჩინეთი, რუსეთი და გვატემალა (Rotabi, 2008).

საერთაშორისო გაშვილება, როგორც ფენომენი, საომარი მოქმედებების გარდა, უკავშირდება ქორწინების და შობადობის დაბალ მაჩვენებლებს ინდუსტრიულ ქვეყნებში, სიღარიბესა და გაუმართავ სოციალური და ბავშვთა დაცვის სისტემებს განვითარებად ქვეყნებში, სტიგმას ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით და მრავალ სხვა ფაქტორს. საერთაშორისო გაშვილების ფენომენის ანალიზისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალური სამართლიანობის, ბავშვების კეთილდღეობისა და ადამიანის უფლებების თემების ანალიზს (Hollingsworth, 2003).

ბოლო პერიოდში საერთაშორისო გაშვილებების შემცირება, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოიწვია კონვენციის „ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ (ე.წ. ჰააგის კონვენცია) რატიფიცირებამ,

რომელმაც დაარეგულირა და გარკვეულწილად გაამკაცრა გაშვილების პროცედურები. კონვენცია მიზნად ისახავს ბავშვების გატაცების, ბავშვებით ვაჭრობისა და ტრეფიკინგის პრევენციას, გატაცებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებას და გაშვილების პროცესის წარმოებას ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. სახელმწიფოების ვალდებულებების გარდა, ჰააგის კონვენციამ დააზუსტა პროფესიონალების, მათ შორის, სოციალური მუშაკების როლი გამშვილებელ და მიმღებ ქვეყნებში. ქვეყანათშორისი გაშვილების პროცესში სოციალური მუშაკის ვალდებულებებია: ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენა, ბავშვის და ოჯახის/მშობლის შეფასება, კონსულტირება, შვილად ამყვანი მშობლ(ებ)ის კულტურული კომპეტენციების გაღრმავება, საემიგრაციო პროცედურების მოგვარება, მონიტორინგი. გარდა ამისა, შემთხვევის მართვა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ამოცანას, როგორიცაა ბავშვის განთავსების შემდეგ ოჯახის მხარდაჭერა. ბოლო კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების გაშვილების დროს, რომელთა დიდ ნაწილს, ინსტიტუციურ დაწესებულებებში ცხოვრების შედეგად, აღენიშნებოდა განვითარების მნიშვნელოვნად ჩამორჩენა (Healy, 2012). ინსტიტუციონალიზების შედეგად განვითარების მნიშვნელოვანი სირთულეების მქონე ჩვილების და უფრო დიდი ასაკის ბავშვების საერთაშორისო გაშვილების პრაქტიკა განსაკუთრებით ხშირი იყო 1990-იან წლებში რუმინეთში დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების დახურვის პროცესში. მხოლოდ იმ პერიოდში ქვეყნიდან გაშვილდა ათობით ათასი ბავშვი (Dickens, 2002).

სოციალური მუშაობის გლობალური ორგანიზაციები

საერთაშორისო დონეზე სოციალური მუშაობის პრაქტიკისა და აკადემიური განათლების განვითარებას ემსახურება რამდენიმე გლობალური ორგანიზაცია, რომელთა ფუნქციონირება რამდენიმე ათეულ წელს ითვლის და რომლებიც დიდწილად განსაზღვრავენ პროფესიის განვითარების მიზნებს და გზებს. ამ ორგანიზაციების, კერძოდ, სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის (IASSW), სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის (IFSW) და სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭოს (ICSW) დაფუძნება უკავშირდება 1928 წელს პარიზში ჩატარებულ სოციალური მუშაობის გლობალურ კონფერენციას, რომელსაც ესწრებოდა 2400 მონაწილე 42 ქვეყნიდან.

სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაცია

IASSW დაფუძნებას საფუძველი დაუდო 46-მა სოციალური მუშაობის სკოლამ 10 ქვეყნიდან, რომელთა რაოდენობა 1939 წლისთვის გაიზარდა 18 ქვეყნიდან 75 სკოლამდე. დაარსების დღიდან ასოციაცია მიზნად ისახავდა სოციალური მუშაობის აკადემიური განათლების განვითარებას და პოპულარიზებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ საქმიანობას სათავეში ჩაუდგა ასოციაციის პირველი ხელმძღვანელი, სოციალური მუშაობის პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ფიგურა, ალის სალომონი. თუმცა, ასოციაციის მუშაობის პირველი ათწლეულის შემდეგ, მისი ფუნქციონირება ხანგრძლივი პერიოდით შეფერხდა. ასოციაციის პრეზიდენტს 1937 წელს, ებრაული წარმომავლობის გამო, იძულებით დაატოვებინეს გერმანია. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ასოციაციამ განაგრძო ფუნქციონირება და 1947 წელს საკონსულტაციო სტატუ-

სით აფილირებული გახდა ახლად შექმნილ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, რაც დიდ მიღწევას წარმოადგენდა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის. დაარსების დღიდან ეს ორგანიზაცია მიიჩნევა ერების მშვიდობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული განვითარების, ადამიანური ღირსებისა და კეთილდღეობის ხელშემწყობ წამყვან საერთაშორისო სტრუქტურად (UN, 2014).

IASSW ორგანიზაციის დაფუძნების მიზანს წარმოადგენდა სოციალური მუშაობის სკოლებისა და პედაგოგების საერთაშორისო ქსელის შექმნა, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და მსოფლიოში სოციალური მუშაობის განათლების პოპულარიზება. განვითარების ამ ეტაპზე IASSW-ის ხედვაა, გლობალურ დონეზე ხელი შეუწყოს და განავითაროს მაღალი დონის სოციალური მუშაობის განათლება, კვლევა და სტიპენდიები, უფრო სამართლიანი სამყაროს ძიებაში (IASSW, 2005). გლობალურ და ეროვნულ დონეებზე ასოციაცია ადვოკატობას უწევს სოციალური მუშაობის აკადემიურ პროფესიად აღიარებას, სოციალური მუშაობის განათლების სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვას და სოციალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სოციალური მუშაკების მოსაზრებების გათვალისწინებას. ასოციაცია ორგანიზებას უწევს საერთაშორისო კონფერენციებს, სემინარებს და ვორქშოპებს, ხელს უწყობს კვლევას და აქვეყნებს სამეცნიერო პუბლიკაციებს.

IASSW წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციას და ამ ეტაპზე აერთიანებს 400-ზე მეტ ინსტიტუციურ წევრს ანუ აკადემიურ დაწესებულებას. ასოციაციის საქმიანობა რეგიონულ დონეზე წარიმართება ხუთ რეგიონულ განყოფილებაში, კერძოდ: ევროპის, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ჩრდილო ამერიკისა და კარიბის რეგიონის ასოციაციებში; საქართველოს ასოციაციაში – ორი წევრით. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ევროპის სოციალური მუშაობის სკოლების ასოციაციის, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – სოციალური მუშაობის სკოლების ასოციაციის წევრი. IASSW წევრობა ხელს უწყობს საქართველოში არსებულ აკადემიურ პროგრამებს, გაეცნონ და დანერგონ სოციალური მუშაობის განათლების სფეროში არსებული თანამედროვე მიგნებები და ტენდენციები, უზრუნველყონ მათი მორგება ადგილობრივ კონტექსტზე.

სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაცია

1928 წელს პარიზში ჩატარებულ კონფერენციაზე გადაწყდა, რომ უნდა შექმნილიყო სოციალური მუშაობის პერმანენტული საერთაშორისო სამდივნო (International Permanent Secretariat of Social Workers – IPSSW), რომელიც შეასრულებდა პროფესიის წარმომადგენელი საერთაშორისო ორგანოს როლს. IPSSW დამფუძნებლები იქვნენ აშშ-ის და ევროპული ქვეყნების წარმომადგენელი პროფესიონალები. ორგანიზაციის ბერლინის, ჟენევის და პრაღის ოფისები ფუნქციონირებდა 1956 წლამდე, როდესაც დაფუძნდა სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაცია (International Federation of Social Workers – IFSW). IFSW-ს მიზანია გლობალურ დონეზე სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის პოპულარიზება და სოციალური სამართლიანობის, ადამიანის უფლებებისა და სოციალური განვითარების ხელშეწყობა. გარდა ამისა, ფედერაცია ემსახურება სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული ეთიკის შექმნას და პოპულარიზებას. IASSW-ის მსგავსად, 1959 წლიდან IFSW-საც აქვს

საკონსულტაციო სტატუსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს ისეთ სააგენტოებთან, როგორებიცაა: გაეროს ეკონომიკისა და სოციალური საბჭო (ECOSOC), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) და სხვ.

სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაცია არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავს როგორც ინდივიდუალური, ისე ორგანიზაციული წევრები. ამჟამად IFSW-ს ჰყავს წევრები 120 ქვეყანაში, რომლებიც მუშაობენ ხუთი რეგიონული ფედერაციის ხელმძღვანელობით. წევრობა საშუალებას აძლევს ინდივიდებს და ორგანიზაციებს წვდომა ჰქონდეთ გლობალური ქსელის წევრებთან, გაიზიარონ საუკეთესო პრაქტიკა, მოახდინონ ერთობლივი ადვოკატობა. ყურადსაღებია ფედერაციის ორგანიზაციული წევრების – ეროვნული პროფესიული ორგანიზაციების როლიც. ეროვნული ასოციაციების მუშაობას საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მაგალითზე მოგვიანებით გავეცნობით.

სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭო

სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭო – International Council on Social Welfare (ICSW) არის გლობალური არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური კეთილდღეობის, სოციალური განვითარების და სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობას. საბჭოს წინამორბედი ორგანიზაციის პარიზის 1928 წლის კონფერენციაზე დაარსების შემდეგ, აქტიურად მუშაობს პოლიტიკის დონეზე, სოციალური კეთილდღეობის და სოციალური მუშაობის როლის განსამტკიცებლად. ICSW-ის, ისევე როგორც IASSW-ის და IFSW-ის აფილირება და საკონსულტაციო სტატუსი გაეროში 1972 წლიდან გულისხმობს ამ ორგანიზაციების უფლებას დაესწრონ, წარმოადგინონ მოსაზრებები და გამოვიდნენ სიტყვით გაეროს ეკონომიკისა და სოციალური საბჭოს ეგიდით ჩატარებულ შეხვედრებზე.

აღნიშნული სამი ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ერთმანეთთან რეგიონულ და გლობალურ დონეებზე და ახორციელებს სოციალური მუშაობის განვითარებისკენ მიმართულ არაერთ ერთობლივ აქტივობას. ერთ-ერთი ასეთი აქტივობაა სოციალური მუშაობის მსოფლიო დღე, რომლის აღნიშვნას 1983 წელს საფუძველი ჩაუყარა IFSW-მ და ის დღესაც წამყვან როლს თამაშობს ამ ღონისძიების ორგანიზებაში. სოციალური მუშაობის მსოფლიო დღის მიზანია ხაზი გაუსვას სოციალური მუშაკების ღვაწლს საზოგადოების განვითარებისთვის. ეს დღე აღინიშნება ყოველწლიურად, მარტის მესამე სამშაბათს. 1983 წლიდან სოციალური მუშაობის მსოფლიო დღე ყოველწლიურად აღინიშნება გაეროშიც. გაეროში სოციალური მუშაობის დღის ძირითადი მიზანია დაეხმაროს სოციალურ მუშაკებს და სფეროს აკადემიურ პერსონალს, გააანალიზოს გაეროს პრიორიტეტები და ამ პრიორიტეტების განხორციელებაში სოციალური მუშაობის როლი. იმავდროულად, ღონისძიება ემსახურება გაეროს სააგენტოების, მთავრობების და სხვა სტრუქტურების ცნობიერების ამაღლებას სოციალური მუშაობის მისიისა და ადამიანის უფლებების დაცვასა და სოციალური სამართლიანობის მისაღწევად სოციალური მუშაობის დანიშნულების შესახებ.

გაეროში სოციალური მუშაობის დღის აღნიშვნას დამატებითი მნიშვნელობა მიენიჭა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების (Sustainable Development Goals – SDGs) განხორციელებაში სოციალური მუშაკებისა

და სოციალური მომსახურებების მნიშვნელობის აღიარებით. გაეროს 2030 წლის მიზნები წარმოადგენს საეტაპო შეთანხმებას, რომელიც მოიცავს სამ მიმართულებას და აერთიანებს 17 მიზანსა და 169 ინდიკატორს (UN, 2015). SDG წარმოადგენს გაეროს ისტორიაში პირველ დოკუმენტს, რომელსაც მხარი დაუჭირა ყველა ქვეყანამ (193). არსებობს მოსაზრება, რომ SDG-ების 169 მიზნიდან 65 პროცენტის მიღწევა შეუძლებელი იქნება ეფექტიანი სოციალური მომსახურებების გარეშე. საგულისხმოა IFSW-ს განცხადება მდგრადი განვითარების მიზნების სოციალური მუშაობის პროგრამებში ინკორპორირების შესახებ. ფედერაცია მიიჩნევს, რომ SDG-ის გლობალური და ეროვნული დღის წესრიგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდივიდებისა და თემების, ასევე იმ გარემოს განვითარებისთვის, რომელშიც ისინი არსებობენ. როგორც „ცვლილების აგენტები“, სოციალური მუშაკები შეიძლება ჩაითვალონ გაეროს SDG განხორციელებაში მნიშვნელოვან პარტნიორად (IFSW, 2021).

სოციალური მუშაობის მსოფლიო დღის აღნიშვნის გარდა, მნიშვნელოვანი ერთობლივი ღონისძიებაა სოციალური მუშაობის გლობალური კონფერენციები, რომელთა ჩატარებას საფუძველი ათწლეულების წინ ჩაეყარა და ორ წელიწადში ერთხელ იმართება. 2024 წლის აპრილში პანამაში გამართულმა ერთობლივმა კონფერენციამ გააერთიანა სოციალური მუშაკები, განმანათლებლები, სფეროს მკვლევრები და სხვა პროფესიონალები. კონფერენციის თემა იყო მრავალფეროვნების პატივისცემა ერთობლივი სოციალური აქტივიზმის გზით. სოციალური მუშაობის დღისადმი მიძღვნილ კონფერენციებს რეგულარულად მართავს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციაც. ასოციაციის ინიციატივით, 2024 წელს აღნიშნული კონფერენცია მიეძღვნა საქართველოში ამ პროფესიის ერთ-ერთი პიონერის, მაია მგელიაშვილის ხსოვნას.

სოციალური მომსახურებების მუშაკის ცნება

საგულისხმოა, რომ სოციალური მუშაობის ზემოთ მოცემული დეფინიცია არ შეესაბამება სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური დაცვის სფეროებში დასაქმებული ყველა მუშაკის მახასიათებლებს. ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის, ოჯახებისთვის, თემებისთვის სოციალური მომსახურებების მიმწოდებელ პირთა დიდი ნაწილი არის პარაპროფესიონალი (პირი, რომელსაც დელეგირებული აქვს პროფესიული ამოცანის კონკრეტული ასპექტი, მაგრამ არ აქვს შესაბამისი აკადემიური განათლება ან ლიცენზია დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად) ან მოხალისე და მათ არ გააჩნიათ აკადემიური ხარისხი ან ფორმალური განათლება სოციალურ მუშაობაში. ბევრი ქვეყნისთვის ამ მნიშვნელოვანი სამუშაო ძალის მოცვის მიზნით, ასევე სოციალური მუშაობის ტიტულის დასაცავად და მათ მიერ მიწოდებული მომსახურებების ხარისხის უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია ახალი დეფინიცია, კერძოდ, სოციალური მომსახურებების მუშაკების დეფინიცია (Social Service Workforce).

სოციალური მომსახურებების მუშაკი

სოციალური მომსახურების მუშაკის ცნება არის ინკლუზიური კონცეფცია, რომელიც მოიცავს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში დასაქმებულ პროფესიონალთა და პარაპროფესიონალთა ფართო სპექტრს და მოხალისეებს, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან, ახალგაზრდებთან, მოზარდებთან, ხანდაზმულებთან, ოჯახებ-

თან და თემებთან, მათი სრულფასოვანი განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. სოციალური სამსახურის მუშაკები ახორციელებენ ხელშემწყობ, პრევენციულ და საპასუხო მომსახურებებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სფეროსთვის სპეციფიკური და ინტერდისციპლინური ცოდნა და უნარები, ადგილობრივი გამოცდილება და ეთიკური პრინციპები (GSSWA, n.d.). ხელშემწყობი მომსახურებების (promotive services) მაგალითებია: სოციალური მომსახურებების სტანდარტების შემუშავება; კანონმდებლობის, პროგრამებისა და დაფინანსების გაუმჯობესებაზე მუშაობა; მოქალაქეების ცნობიერების გაზრდა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა. პრევენციული მომსახურებებია (preventive services): ოჯახის დამხმარე პროგრამები; პოზიტიური მშობლობის ტრენინგები; პოზიტიური სოციალური ნორმების დანერგვაზე მუშაობა; საპასუხო მომსახურებებია (response services): ძალადობის მსხვერპლთათვის სარეაბილიტაციო მომსახურებების შეთავაზება; რეინტეგრაციის მხარდაჭერა და მრავალი სხვა.

სოციალური მომსახურებების მუშაკთა შორის წამყვანი ადგილი უჭირავთ სოციალურ მუშაკებს და სოციალურ პედაგოგებს, ვინაიდან ამ პროფესიებს აქვთ შედარებით ხანგრძლივი ისტორია და პროფესიონალებს აქვთ შესაბამისი აკადემიური განათლება და მკაფიოდ გაწერილი პასუხისმგებლობები. მათ, როგორც წესი, ეკისრებათ პარაპროფესიონალების ზედამხედველობის როლიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული ზედამხედველობა ასევე აუცილებელია სოციალურ მუშაობაში აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომლებისთვისაც. კვალიფიციურ სოციალურ მუშაკებთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია იმ მუშაკების როლიც, რომელთაც არ აქვთ მიღებული რელევანტური აკადემიური ხარისხი, მაგრამ აქვთ სფეროში მუშაობის გამოცდილება და გავლილი აქვთ შესაბამისი სასერტიფიკატო პროგრამა და ეხმარებიან პროფესიონალებს საჭირო მომსახურებების მიწოდებაში. პარაპროფესიონალები (და ცალკეულ ქვეყნებში მოხალისეობრივ საწყისებზე მომუშავე პირები) ჩართულები არიან მოწყვლადი ინდივიდების, ოჯახებისა და თემებისთვის მომსახურებების მიწოდებაში ისეთ ქვეყნებში, სადაც სოციალური დაცვის სისტემები და მომსახურებები ნაკლებად განვითარებულია და განიცდიან ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობას. ისინი ძირითადად მუშაობენ მიკრო- და მეზოდონის მომსახურებების განხორციელებაში (GSSWA, n.d).

სოციალური მომსახურებების მუშაკის კონცეფცია და ზემოთ მოცემული დეფინიცია ეკუთვნის სოციალური მომსახურებების მუშაკთა გლობალურ ალიანსს, რომელიც დაარსდა 2013 წელს. ალიანსი მჭიდროდ თანამშრომლობს IFSW, IASSW, გაეროს ბავშვთა ფონდთან და სხვა ორგანიზაციებთან სოციალური მომსახურებების მუშაკთა და სოციალური მუშაობის გაძლიერების მიმართულებით. ბავშვებთან და სხვა ჯგუფებთან მომუშავე სოციალური მომსახურებების მუშაკთა გაძლიერების მიზნით, ალიანსის მიერ ბოლო წლებში შემუშავებული დოკუმენტებიდან ხაზგასასმელია ბავშვთა დაცვის სოციალური მომსახურებების მუშაკთა გაძლიერების გაიდლაინი (UNICEF & GSSWA, 2019), ბავშვთა დაცვის სისტემის რეფორმაში სოციალური მომსახურების მუშაკთა გაძლიერების გზამკვლევი (BNC & GSSWA, 2014) და მრავალი სხვა. აღნიშნული დოკუმენტები რელევანტურია საქართველოს კონტექსტისთვისაც, რადგან, საერთაშორისო დეფინიციების თანახმად, საქართველოში ამ სფეროში დასაქმებული მუშაკების დიდი ნაწილი თანხვედრაშია სოციალური მომსახურებების მუშაკთა დეფინიციასთან, რადგან სრულად არ შეესაბამება სოციალური მუშაკის საერთაშორისო დეფინიციას. თუმ-

ცა, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოშიც სოციალური მომსახურებების ყველა მუშაკი დიდ როლს თამაშობს სამიზნე ჯგუფების ცხოვრების ხარისხისა და სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესებაში.

ეროვნული პროფესიული ასოციაციები

სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ სოციალური მუშაობის პროფესიულ განვითარებაში და ამ გზით უზრუნველყოფენ სოციალური სამართლიანობისა და ინდივიდების, თემებისა და საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეროვნული ასოციაციები ემსახურებიან სოციალური მუშაკების ერთობის ჩამოყალიბებას და ხელს უწყობენ ამ სფეროს პროფესიონალებს შორის და მათ მიმართ სოლიდარობისა და მხარდაჭერის გაძლიერებას. პროფესიული ქსელის არსებობა ასევე უზრუნველყოფს პროფესიული ცოდნის გაღრმავებას, თანამედროვე მტკიცებულებების და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, პროფესიული ზედამხედველობისა და თანადგომის უზრუნველყოფას, პროფესიული გადაწვის პრევენციას. ასოციაციები წამყვან როლს თამაშობენ პროფესიული ღირებულებების და ეთიკური სტანდარტების შემუშავებაში, დამკვიდრებაში, დაცვასა და პოპულარიზებაში, რთული ეთიკური გადაწყვეტილების მიღებისას პროფესიონალების კონსულტირებასა და მხარდაჭერაში. ზოგიერთ ქვეყანაში ასოციაციები წამყვან როლს თამაშობენ პროფესიული პროცედურების დანერგვაში (UNICEF & GSSWA, 2019).

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (სსმა) წარმოადგენს სოციალურ მუშაკთა ერთობას, რომელიც დაარსდა ქვეყანაში პროფესიის განვითარების ადრეულ ეტაპზე, კერძოდ, 2004 წელს. ასოციაცია წარმოადგენს ერთადერთ პროფესიულ ასოციციას და აერთიანებს ქვეყანაში არსებული სოციალური მუშაკების უდიდეს ნაწილს (Partskhaladze & Shatberashvili, 2022). 2023 წლის მონაცემებით, სსმა-ში გაერთიანებულია 650 წევრი, რომლებიც წარმოადგენენ პრაქტიკოს და სტუდენტ სოციალურ მუშაკებს და ასევე, ამ დარგით დაინტერესებულ სხვა პირებს.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიზანია ეფექტიანი მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის ადვოკატობა. ამ მიზნის მისაღწევად ასოციაცია ისახავს შემდეგ ამოცანებს:

- სოციალური მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა პროფესიული ექსპერტიზის მიწოდების გზით
- სოციალური მუშაობის საგანმანათლებლო ბაზის განვითარება (ფორმალური და არაფორმალური)
- სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტების შემუშავება და დანერგვა
- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის განვითარების ხელშეწყობა
- სოციალურ მუშაკთა პროფესიული ქსელის განვითარება (სსმა, 2023).

სსმა-მ გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოში სოციალური მუშაობის პროფესიის პოპულარიზებასა და განვითარებაში, სოციალურ მუშაობაში აკადემიური სწავლების დამკვიდრებაში, პროფესიული ეთიკისა და საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებასა და სფეროს გაძლიერებისთვის მნიშვნელოვან ყველა ღონისძიებაში. ასოციაცია არის IFSW, IASSW და ICSW წევრი, რაც საშუალებას აძლევს ასოციაციის წევრებს

გაეცნონ საერთაშორისო გამოცდილებას და სფეროს თანამედროვე ტენდენციებს. გლობალური ორგანიზაციების წევრობა ასევე საშუალებას აძლევს სსმა-ს გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს და მათთან ერთად იმუშაოს პროფესიის გლობალური მიზნების მისაღწევად.

თავის შეჯამება

წინამდებარე თავში წარმოდგენილია სოციალური მუშაობის პროფესიის მიზნებისა და პრიორიტეტების მოკლე შეჯამება, რომელიც ასახულია XIX საუკუნიდან დღემდე ამ პროფესიის განმარტების სხვადასხვა მცდელობაში. ანალიზი აჩვენებს, რომ საწყის ეტაპზე პროფესიის ფოკუსი ქველმოქმედებაზე, ათეული წლების განმავლობაში, ჩაანაცვლა კეთილდღეობის, შემდეგ კი განვითარების იდეოლოგიებმა. ამჟამად, სოციალური მუშაობის მიზნები განსაზღვრულია პიროვნების გაძლიერებისა და ადამიანის უფლებების პრინციპებით. ამ პრინციპების გათვალისწინებით სოციალური მუშაკები ლოკალურ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეებზე იღვწიან სოციალური ცვლილების, განვითარების, ერთიანობის და სოციალური სამართლიანობის მისაღწევად. სოციალური მუშაობის დეფინიციისა და ფოკუსის ცვლილების კვალდაკვალ, იქმნებოდა და ზუსტდებოდა საერთაშორისო სოციალური მუშაობის ცნებაც. წარმოდგენილ თავში მოცემულია მოკლე დისკუსია საერთაშორისო სოციალური მუშაობის მასშტაბისა და მრავალფეროვნების შესახებ და წარმოდგენილია მისი როლი სხვადასხვა ჯგუფთან მიმართებით.

თავში ასევე გაშუქებულია სოციალური მუშაობის გლობალური ორგანიზაციების საქმიანობა. IFSW, IASSW, ICSW თითქმის ერთსაუკუნოვან წარმატებულ საქმიანობას საფუძვლად უდევს მოტივირებული პროფესიონალების მცირე ჯგუფის შრომა, რომლებიც, როგორც წესი, სამოქალაქო საწყისებზე ემსახურებიან სოციალური მუშაობის პროფესიული და აკადემიური განვითარებისა და სოციალური ცვლილებების მიღწევის ერთიან მისიას. გაეროში ამ ორგანიზაციების მიერ შესრულებული წარმომადგენლობითი მისია გულისხმობს იმ გარემოებების ანალიზს, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვადასხვა ჯგუფის კეთილდღეობაზე და მათი გადაჭრისთვის ადვოკატობას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სოციალური მუშაობის შესაძლებლობებს, ზეგავლენა იქონიოს გლობალურ დღის წესრიგზე.

პროფესიონალებისთვის გლობალურ პოლიტიკაზე ზემოქმედების კიდევ ერთ გზას წარმოადგენს სოციალური მუშაობის ეროვნულ ასოციაციებში გაერთიანება და მათი საშუალებით ეროვნულ დონეზე საერთაშორისო და გლობალური საკითხების ხაზგასმა. ეროვნული პროფესიული ასოციაციები ასევე ხელს უწყობენ ქვეყნის დონეზე გლობალური დებატების გავრცელებას და მოსახლეობის სასიკეთოდ მათ გამოყენებას.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. თქვენი აზრით, რამ განაპირობა სოციალური მუშაობის დეფინიციის და, შესაბამისად, ამ პროფესიის ძირითადი პრიორიტეტების ცვლილება XIX საუკუნის ბოლოდან XXI საუკუნის ოციან წლებამდე?
2. როგორ გგონიათ, რა როლს ასრულებს სოციალური მუშაკი საერთაშორისო გაშვილების დროს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაში და მოწყვლადი ოჯახების მი-

მართ სოციალური სამართლიანობის გამოწვევების პრევენციასა და დაძლევაში?

3. რა გზები არსებობს გლობალური სოციალური პოლიტიკით დაინტერესებული, ადგილობრივ დონეზე მომუშავე სოციალური მუშაკისთვის, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო დებატებში?

გამოყენებული ლიტერატურა:

Better Care Network and Global Social Service Workforce Alliance (2014). Working paper on the role of social service workforce development in care reform. Washington, DC: Intra-Health International

Bhatt, S. & Sanyaal, S. (2019). Definition of Social Work in Past Hundred Years. Journal of Social Work Education, Research and Action. Volume 5 /1

Cox, D., & Pawar, M. (2006). International social work: Issues, strategies, and programs. Thousand Oaks, CA: Sage

Dickens, J. (2002). The paradox of intercountry adoption: Analysing Romania's experience as a sending country. International Journal of Social Welfare, 11(1)

Doel, M., Kachkachishvili, I., Lucas J., Namicheishvili S. and Partskhaladze, N. (2020). Book Chapter in Routledge International Handbook of Social Work Education – Creating Social Work Education in the Republic of Georgia

Dominelli, L. (2005). International social work: Themes and issues for the twenty-first century. International Social Work, 48 (4)

Estes, R. J. (2010). U.S.-Based Conceptualization of Education for International Social Work. Council on Social Work Education Commission on Global Social Work Education

Fong, R. (Ed.). (2004). Culturally competent practice with immigrant and refugee children and families. New York

Gray, M. (2005). Dilemmas of international social work: Paradoxical processes in indigenization, universalism and imperialism. International Journal of Social Welfare, 14 (3)

GSSWA (n.d.). Definition-Social-Service-Workforce.pdf (socialserviceworkforce.org)

Guilford Press

Haug, E. (2005). Critical reflections on the emerging discourse on international social work. International Social Work, 48 (2)

Healy, L. M. (2012). Handbook of international social work: human rights, development, and the global profession. Oxford University Press

Hollingsworth, L. D. (2003). International adoption among families in the United States: Considerations of social justice. Social Work, 48 (2)

IASSW (2005). IASSW Vision & Mission – International Association of Schools of Social Work (IASSW) (iassw-aiets.org)

IFSW & IASSW (2014). Global Definition of Social Work. Global Definition of Social Work – International Federation of Social Workers (ifsw.org)

IFSW & IASSW (2018). Global Social Work Statement of Ethical Principles. Global Social Work Statement of Ethical Principles – International Federation of Social Workers (ifsw.org)

IFSW & IASSW (2020). Global Standards for Social Work Education and Training.

https://www.ifsw.org/global-social-work-statement-of-ethical-principles/

IFSW (2021). Social Work and the United Nations Sustainable Development Goals. Social Work and the United Nations Sustainable Development Goals (SDGs) – International Federation of Social Workers (ifsw.org)

National Association of Social Workers (n.d.) Helping Social Workers Help the Nation. https://web.archive.org/web/20081128121719/https://www.naswdc.org/nasw/naswbrochure.pdf

Partskhaladze, N. & Shatberashvili, N. (2022). History of Social Work Development in Georgia. SOCIALINIS DARBAS. PATIRTIS IR METODAI, 29 (1)

Richmond, M. E. (1922). *What is social case work? An introductory description,* New York: Russell Sage Foundation

Rotabi, K. S. (2008). New intercountry adoption requirements. Immigration Law Today, 12 – 15

Selman, P. (2002). Intercountry adoption in the new millennium: Th e “quiet migration” revisited. Population Research and Policy Review, 21 (3)

Selman, P. (2009). The rise and fall of intercountry adoption in the 21st century. International Social Work, 52 (5)

Sewpaul, V. (2013). Review of the International Definition of Social Work. Editorial. http://socialwork.journals.ac.za

UN (2014). The United Nations: An introduction for students. Microsoft Word – Document20 (cpb-ap-se2.wpmucdn.com)

UN (2015). Sustainable Development Goals. THE 17 GOALS | Sustainable Development (un.org)

UN Sustainable Development Solution Network (2016). Getting Started with the SDGs in Cities. A Guide for Stakeholders https://resources.unsdsn.org/getting-started-with-the-sdgs-in-cities

UNICEF & GSSWA (2019). Guidelines to Strengthen the Social Service Workforce for Child Protection. UNICEF, New York

საქართველოს პარლამენტი (2018). საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ. სოციალური მუშაობის შესახებ | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge)

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (2023). ასოციაციის მიზანი და სტრატეგიები. მიზანი+სტრატეგიები (gasw.org).

ნინო შატბერაშვილი

თავი 4

სოციალური მუშაკის როლი სოციალური პოლიტიკის ასპარეზზე

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ ისტორია ინახავს მაკროსოციალური მუშაობის შეუდარებლად შთამბეჭდავ პრაქტიკას, რომელსაც ნაწილობრივ პირველი თავი გაცნობთ, XIX საუკუნიდან მოყოლებული, მაინც ისმის კითხვა – რომელი მიდგომა გამოხატავს მის მთავარ არსს? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით წინამდებარე თავში.

თავში მომოხილულია მაკროპრაქტიკის მიმართულებები, თეორიული საფუძვლები და ჩარევის მეთოდები; წარმოჩენილია სოციალური მუშაკის როლი პოლიტიკის ციკლის თითოეულ ეტაპზე. მასში განხილულია რადიკალური სოციალური მუშაობის ასპექტებიც და სტატუს-კვოს შენარჩუნების თეორიაც; ვმსჯელობთ სახელმწიფოს როლზე უთანასწორობასთან ბრძოლაში. თავი ეხება მაკროპრაქტიკისთვის მახასიათებელ ეთიკურ დილემებსაც.

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის სპეციფიკა

მოგეხსენებათ, დიდია სოციალური მუშაკის როლი პოლიტიკურ ასპარეზზე. უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზი ის არის, რომ სოციალური მუშაკი სოციალური და ეკონომიკური თანასწორობისათვის მებრძოლია, ადამიანები კი, ვისთანაც ის მუშაობს, ხშირად, სწორედ არაეფექტიანი ან არასწორი სოციალური პოლიტიკის მსხვერპლნი არიან და მათი დახმარება სწორედ მაკროდონეზე ცვლილებების გატარებითაა შესაძლებელი.

თითქოს ეს დღესავით ნათელია, მაგრამ მაინც არსებობს კითხვა: რაზე უნდა იყოს სოციალური მუშაკი უპირატესად კონცენტრირებული – ინტრა- და ინტერპიროვნულ საკითხებზე, თუ სოციალურ სისტემებსა და სტრუქტურებზე? თავისთავად საკითხის ამგვარად დაყენება ჰგავს სხვა პროფესიაში არსებულ დაპირისპირებას იმის შესახებ, თუ ამ პროფესიის რომელი მიმდინარეობა ან განხრაა უფრო მნიშვნელოვანი. ამიტომ, საჭიროა ამ დებატების გაშუქება საერთაშორისო სოციალური მუშაობის გასააზრებლად (Hugman, 2010).

რობერტ ადამსის აზრით (2001), სოციალური მუშაობა პოლიტიკური პროფესიაა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის ასოცირდება კეთილდღეობის სისტემის ტრანსფორმაციასთან, რაც, აგერ უკვე, ნახევარ საუკუნეზე მეტია პოლიტიკოსთა თავსატეხია. მარქსისტული თვალთახედვით, სოციალური მუშაკი სოციალური კონტროლის უმთავრესი აგენტია. თუმცა, ჯეფრი პერსონის აზრით, სოციალური მუშაობა შეგვიძლია ასევე განვიხილოთ, როგორც კეთილდღეობის სისტემაში მიმდინარე ცვლილებების თანმხლები ტრანსფორმირებადი სუბიექტი, რომლის პრაქტიკა, კვლევა და თეორია მიმდინარე ტრანსფორმაციის შესაბამისად იცვლება. სოციალური პოლიტიკის განვითარებას სწორედ ის მოვლენები უდევს საფუძვლად, რომელშიც სოციალური მუშაობის პრაქტიკა ხორციელდება. თუმცა ურთიერთობა ამ ორს შორის უფრო ღრმაა,

ვიდრე ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ პოლიტიკა უქმნის საფუძველს პრაქტიკას. რეალობა ის არის, რომ პოლიტიკა მოიცავს პრაქტიკას და პრაქტიკა კი მრავალმხრივ ზემოქმედებს პოლიტიკაზე.

სოციალური მუშაობის პრაქტიკის განხორციელების სამივე დონეზე, სოციალური მუშაკი ადამიანთა კეთილდღეობას ემსახურება მათთან პირდაპირი თუ ირიბი ურთიერთობით. თუ მიკროპრაქტიკა კლიენტების პრობლემებს აწესრიგებს პირდაპირი კლინიკური დახმარების აღმოჩენით, მეზოდონეზე პრაქტიკა სააგენტოების/მომსახურებების ადმინისტრირებასა და მათი პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას ან ცვლილებების ამ დონეზე გატარებას გულისხმობს. მაკროპრაქტიკა ხელს უწყობს საზოგადოებრივი მაკროცვლილებების განხორციელებას, რაც უფრო მასობრივი სოციალური პრობლემების მოწესრიგებას ისახავს მიზნად. აქედან გამომდინარე, სოციალური მუშაკი მართლაც გვევლინება სოციალური პოლიტიკის არა მხოლოდ განხორციელების, არამედ შექმნის პროცესის განუყოფელ ნაწილად, რამეთუ ყველაზე ეფექტიანი ის პოლიტიკაა, რომელიც „თანამონაწილეობის მეთოდის“ გამოყენებით იქმნება. სწორედ ეს მეთოდი ნათელყოფს მომხმარებლის პრობლემებსა და მოგვარების რეალისტურ გზებს. ის ხელს უწყობს დიალოგის გამართვას პოლიტიკის შემმუშავებელ პირებსა და მომხმარებელს შორის. შედეგად კი ვღებულობთ ისეთ პოლიტიკურ სტრატეგიას, რომლის განხორციელებაც აკმაყოფილებს სამიზნე ჯგუფების საჭიროებებს მათივე პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობით. ამ კონტექსტში, სოციალური მუშაკი არის მთავარი გამტარი მოსახლეობასა და ხელისუფალთა შორის; მთავარი ძალა, რომელსაც რეალური ცვლილების გამოწვევა ძალუძს.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ისტორიაცა და აწმყოც განსხვავებულ სცენარებს გვთავაზობს, სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა ძირითადად ორი მიმართულებით ვითარდება:

1. საარჩევნო პოლიტიკა – სოციალური მუშაკები არჩევენ, მხარს უჭერენ და საარჩევნო ბრძოლის მოგებაში ეხმარებიან კანდიდატს, რომელიც სოციალური პრობლემების ქომაგია.
2. ლობირება – სოციალური მუშაკები თანამშრომლობენ არჩეულ პირებთან პოლიტიკის შემუშავებაზე საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში. ლობირებისას სოციალური მუშაკი ეწევა ინდივიდთა ინფორმირებას კონკრეტული საკითხის შესახებ, მათი აქტიური მხარდაჭერის მოპოვების მიზნით.

პოლიტიკური კამპანიის დროს კი სოციალურ მუშაკს შემდეგი ფუნქციები აკისრია (Colby, Dziegielewski, 2001):

- დამცველი – წარადგენს კანდიდატს ჯგუფების წინაშე
- განმანათლებელი – აცნობს კამპანიის სტრატეგიას თანამშრომლებსა და მოსახლეობას. აწოდებს ინფორმაციას კანდიდატის შესახებ პოლიტიკურ მხარდამჭერებს
- მობილიზატორი – უნაწილებს ფუნქციებს თანამშრომლებს და მოხალისეებს
- კონსულტანტი – პასუხისმგებელია პრობლემათა გადაჭრასა და სტრატეგიის შემუშავებაზე
- მგეგმავი – ევალება საზოგადოებრივი საქმიანობისათვის კანდიდატების შერჩევა და საარჩევნო პროცესის წარმატების პერსპექტივების განჭვრეტა
- მზრუნველი – ემოციურ მხარდაჭერას უწევს კანდიდატებს, მათ ოჯახებს, მეგობრებს, მხარდამჭერებს

- მონაცემთა ბაზის მენეჯერი – ქმნის მონაცემთა ბაზას, რაც სწრაფი მოხმარების საშუალებას იძლევა
- ადმინისტრატორი – ქმნის და ავითარებს ეფექტიანად ფუნქციონირებად საარჩევნო სტრუქტურას, კანდიდატების ინტერესების შესაბამისად.

ყველა ამ ფუნქციის აღსრულება სოციალურ მუშაკს უადვილდება, რადგან ის ხალხთან სასაუბრო ენას ფლობს.

თუ პოლიტიკის ციკლის თითოეულ ეტაპზე შევეცდებით სოციალური მუშაკის როლის გააზრებას (დღის წესრიგის შედგენა, პოლიტიკის ანალიზი, პოლიტიკის მიღება, პოლიტიკის განხორციელება, პოლიტიკის შეფასება, პოლიტიკის შეცვლა, გაუქმება ან გაგრძელება), ვნახავთ, რომ ციკლის რამდენიმე ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი. ციკლის პირველივე ეტაპზე, საკითხის სისტემურიდან ინსტიტუციურ დღის წესრიგში მოხვედრა დიდწილადაა განპირობებული სოციალური სამსახურის აქტიურ ფუნქციონირებაზე ქვეყანაში, რამეთუ სწორედ სოციალური მუშაკია ინფორმაციის გამტარიცა და ცვლილების აგენტიც ეფექტიანად ფუნქციონირებად სახელმწიფოში. ასეთივე სახელმწიფოში სოციალური მუშაკი აქტიურადაა ჩართული ციკლის მეორე ეტაპზეც – პოლიტიკის ფორმულირების ეტაპზე, რადგან იგი ახმოვანებს ხალხის ხმას, რომელსაც შემდეგ სამართლებრივად იურისტები და მოცემული სფეროს პროფესიონალები შეიმუშავებენ. ციკლის მესამე ეტაპზე – პოლიტიკის მიღების ეტაპზე, ყველაზე ნაკლებია სოციალური მუშაკის როლი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკანონმდებლო ორგანო სოციალური მუშაკებითაა დაკომპლექტებული. მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში ასეთი ორგანო პარლამენტია, სადაც ჯერ არცერთი სოციალური მუშაკი არ მოღვაწეობს. პოლიტიკის მიღებას მოსდევს პოლიტიკის განხორციელების ფაზა, რაც აღმასრულებელ ორგანოთა პრეროგატივაა. აქაც დამეთანხმებით ალბათ, რომ სოციალური მუშაკის როლი უზარმაზარია. იმისათვის, რომ პოლიტიკა არ ასცდეს მისი განხორციელების მიზნებს, განხორციელების პროცესი მაქსიმალურად ეფექტიანად უნდა წარიმართოს.

ჩვენს ქვეყანაში არაერთი რეფორმის გატარება სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა სოციალური მუშაკების ჩართულობის გარეშე, მაგალითად: ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის, მართლმსაჯულების, განათლების სისტემის რეფორმის. სოციალური მუშაობის პროფესიის დანერგვის პროცესი მიმდინარეა განათლების სფეროში, თუმცა ჯერ მხოლოდ ზოგადი განათლების დონეზე, ისიც საპილოტე მასშტაბში. ის ჯერ არ დაწყებულა წინასასკოლო, პროფესიული ან უმაღლესი განათლების დონეზე. არადა, მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში არსებული ხარვეზები წინასასკოლო სწავლების დონეზე, განსაკუთრებით თვალნათელს ხდის მხარდამჭერი პროფესიების წარმომადგენელთა ჩართულობის აუცილებლობას. სამწუხაროდ, ისინი არ არიან ჯერ დანახული აუცილებელ რესურსად სხვა მიმდინარე რეფორმების გატარებისთვის, მაგალითად: სიღარიბის დაძლევის, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმებში. თუმცა ამ უკანასკნელშიც არის სასიკეთო ძვრები, მაგრამ მიმდინარე არაეფექტიანი პოლიტიკა და მცირემასშტაბიანი მოცვა სოციალური მუშაობის განვითარების სიმძლავრის გაძლიერებას მოითხოვს.

ციკლის მომდევნო ეტაპია – პოლიტიკის შეფასება, რომლის დანიშნულებაა განსაზღვროს რამდენად მიაღწია გატარებულმა პოლიტიკამ დასახულ მიზანს და რამდე-

ნად მოემსახურა საზოგადოებრივ საჭიროებას. დამეთანხმებით ალბათ, რომ სოციალური მუშაკის როლი ამ ეტაპზეც უმნიშვნელოვანესია. ციკლის ბოლო ეტაპზე პოლიტიკა იცვლება ან უქმდება. ამ ეტაპზე სოციალური მუშაკის როლი შემოიფარგლება შეფასებისას მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების ლობირებითა და პოლიტიკოსთათვის პრობლემის აქტუალობის შესუსტების ან, პირიქით, გამძაფრების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, რასაც მოსდევს „არასწორხაზოვანი“ ცვლილება ან „პოლიტიკის გაუქმება“ (Gupta, 2001).

რადიკალური სოციალური მუშაობა თუ სტაბილურობის შენარჩუნება

დღემდე დებატებია იმის თაობაზე, სოციალური მუშაობა, როგორც პროფესია, უნდა ხორციელდებოდეს მაკრო- თუ მიკროდონეზე. სტრუქტურულ ანალიზსა და ყოველდღიურ საქმიანობას შორის კავშირის ნაკლებობა სტრუქტურული პრობლემების მარგინალიზაციას იწვევს სოციალური მუშაობის პრაქტიკაში. სოციალური მუშაობისადმი კრიტიკა სტრუქტურული პრობლემების უგულებელყოფისათვის ჯერ კიდევ წინა საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდიდან, სოციალური მუშაობა სოციალური მუშაკების ინდივიდუალური პრაქტიკის განხორციელებით შემოიფარგლა და სოციალური მუშაობის პრაქტიკის მეთოდებიცა და ტექნიკებიც საზოგადოების რეალური მასობრივი პრობლემების გადაჭრისათვის გამოუსადეგარია. არადა, მაკროპრაქტიკის საუკეთესო მაგალითები გვაქვს პროფესიის განვითარების ჩანასახშივე. გავიხსენოთ ჯეინ ადამსის *პარალელური მოძრაობა,* რომელმაც გაზარდა პოლიტიკური აქტივიზმი და ხელი შეუწყო არა მხოლოდ ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, არამედ პაციფისტთა მოძრაობასაც. ის, რაც პროფესიის განვითარების დასაწყისში უდავო და ნათელი იყო პროფესიული მისიისა და ფასეულობების შესახებ, სადავო ხდება ამჟამად.

XIX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბებულმა საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობამ, რომელიც სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით ცდილობდა ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის შედეგად აღმოცენებული სოციალური პრობლემების დაძლევაში ადამიანთა დახმარებას, გარკვეული კრახი განიცადა, რომლის მიზეზად ამ მოძრაობის მესვეურთ მიაჩნდათ ის, რომ არ არსებობდა სისტემური მიდგომა დახმარების მიწოდებაში. ეს კი არ იძლეოდა მიზნობრივად დახმარების საშუალებას, ე.ი. დახმარების მიმართვას მათკენ, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებდა. ამ ხარვეზების გამოსასწორებლად, სათანადო მიდგომის შემუშავების მიზნით, დაიწყო მომხმარებლებს და შემთხვევებზე მომუშავეებს შორის გარკვეული ურთიერთობის ფორმირება (Hugman, 2010). ქველმოქმედებისადმი ამგვარმა „სამეცნიერო“ მიდგომამ გაამყარა სოციალური მუშაობის მიკროპრაქტიკა, რომელიც ძირითადად შემოიფარგლებოდა პოლიტიკურად კონსერვატიული მიდგომით, რომელიც ინდივიდზე ორიენტაციითა და სოციალური წესრიგის საკითხებით ხასიათდებოდა (Jones, 1983; Laird, 2004; Payne, 2005; Olson, 2007).

დასახლების სახლები კი, პირიქით, იმავე სოციალური საკითხებისადმი სტრუქტურულ მიდგომას ეფუძნებოდა და მიიჩნეოდა სოციალურ მოძრაობად. სწორედ ამ მოძრაობას წარმოადგენდა ჯეინ ადამსი – ნობელის პრემიის ლაურეატი, სოციალური მუშაკი მშვიდობის დარგში. მოძრაობის წევრები მაღალი კლასის წარმომადგენლები იყვნენ ძირითადად. შესაბამისად, ფლობდნენ სოციალურ რესურსებს – ფინანსებს, კონტაქტებს, განათლებას და უნარს, გამკლავებოდნენ საზოგადოების ძალიან სწრაფად ცვალებად

მოთხოვნებს. ისინი საცხოვრებლად და სამუშაოდ ისეთ ადგილებში გადადიოდნენ, სადაც სიღარიბე საყოველთაოდ იყო გავრცელებული. მიზანი იყო ის, რომ, განათლებისა და ცოდნის სხვა ფორმების გაზიარების გზით, მთელი თემი შეძლებდა სოციალური პრობლემების გადაჭრას და საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებას. ის სოციალური საკითხების სტრუქტურულ დონეზე გააზრებასა და სოციალურ ცვლილებაზე ფოკუსირებული მოძრაობა იყო. ამიტომ, ანალიტიკოსების დიდი ნაწილი მას პოლიტიკურად რადიკალურად და სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის დასაბამად აფასებს (Parry & Parry, 1979; Olson, 2007).

მარტინ დევისის აზრით (1985), სოციალური მუშაობის მისია სტაბილურობის შენარჩუნებაა, მაგრამ არამც და არამც სტატიკურობის. სოციალური მუშაკები უნდა უწევდნენ დახმარებას იმ ადამიანებს, რომლებიც ამას საჭიროებენ. ავითარებს რა „შენარჩუნების თეორიას“, დევისი სოციალურ მუშაკებს მოიაზრებს, როგორც შენარჩუნების მექანიკოსებს, რომლებიც საზოგადოების „ინტერპერსონალურ ბორბლებს ზეთავენ“. მისი აზრით, სოციალური მუშაკები მხარს უნდა უჭერდნენ საზოგადოების პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ქმედობაუნარიანობას და იმ პოლიტიკურ ფილოსოფიას, რომელსაც ის ეფუძნება. ეს მიდგომა სოციალურ მუშაობას უთანასწორობასთან ბრძოლასა და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებაში ზღუდავს. ამ ფუნქციას კი დევისი სახელმწიფოს აკისრებს. მას სჯერა, რომ თავად სახელმწიფოა მოვალე სამართლიანი და ჰუმანური საზოგადოების შექმნისათვის, რომელშიც საზოგადოების ყოველი წევრის უფლება დაცულია, განსაკუთრებით კი ყველაზე მოწყვლადი ინდივიდებისა. თუმცა ის არც სოციალურ მუშაობას ათავისუფლებს რესურსების მომსახურების მიმღებთაკენ მიმართვის, დისტრიბუციის ფუნქციისა და დისკრიმინირებულთა დაცვისაგან, მაგრამ ამის განხორციელებას იგი მხოლოდ ადვოკატობის მექანიზმის გამოყენებით უშვებს და არა პოლიტიკური აქტივობით.

სრულიად საწინააღმდეგო მიდგომაა *რადიკალური სოციალური მუშაობა*. ამ მოძრაობის მიმდევარნი სახელმწიფოს კონკრეტული დომინანტი ჯგუფის ინტერესების დამცველად ხედავენ. მათი აზრით, სახელმწიფო ვერ შეასრულებს ნეიტრალურსა და ჰუმანური ინტერესების დამცველის როლს. ისინი სახელმწიფოს ვერ ხედავენ მოწყვლად ინდივიდთა ინტერესების ქომაგად. ისინი სწორედ სოციალურ მუშაობას მოიაზრებენ ოპრესიული სისტემის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად. ამ მოძრაობის მიმდევარნი სწორედ სოციალურ მუშაკებს აკისრებენ მომსახურების მიმწოდებელსა და მიმღებს შორის ურთიერთობის ტრანსფორმატორის ვალდებულებას და მათ მოწყვლადთათვის ძალაუფლების გადამცემის როლში ხედავენ.

ისტორიულადაც, მაკროპრაქტიკას ჯეინ ადამსთან და *ნაჭუჭის სახლის* წარმომადგენლებთან მივყავართ, რომლებიც იყვნენ ფემინისტებისა და პაციფისტების ქომაგები. ისინი ქალ დასაქმებულებთან ერთად მონაწილეობდნენ პროფესიული კავშირების ორგანიზებაში. ეს მიდგომა 1960-80-იან წლებში აღორძინდა (Fook, 1993). მისი მიმდევრები აკრიტიკებენ სოციალური პრობლემების სელექტიურ, ფსიქოლოგიურ ახსნას, განსაკუთრებით კი, ნაცვლად „განსაჯაროებისა“, მათ პირად პრობლემად განხილვას – საზოგადოების მიერ მსხვერპლის დადანაშაულებას; სოციალური მუშაობის მომსახურების ინდივიდუალიზაციას, რაც მომსახურებით მოსარგებლეთა კოლექტიური ქმედებისაგან ჩამოშორებით ხორციელდება. ამ არგუმენტებს ახლდა სოციალური კეთილდღეობის სისტემის დაუნდობელი კრიტიკა, რაც ხაზს უსვამდა სოციალური სააგენტოების გადა-

მეტებულ სპეციალიზაციასა და ფონდების შემცირებას, ამ სააგენტოების მეინსტრიმის წარმომადგენლების მიერ მართვას, აქ დასადგურებულ ბიუროკრატიას და „ღარიბთა მოთაფლვას“.

ამ მიდგომის გავრცელებული თეორიული ჰიპოთეზა იყო, რომ მომსახურების მიმღებ პირებს – ღარიბებს, დაუსაქმებლებს, ქალებს (განსაკუთრებით კი მარტოხელა დედებს), აფრო-ამერიკელებს და ა.შ. – უნდა ემოქმედათ რაციონალურად, თავიანთი ჭეშმარიტი ინტერესების დაცვით. ამაში კი მათ ხელს უშლიდა მათი პრობლემების რეალური მიზეზების დანახვის უუნარობა. როგორც კი ისინი გააანალიზებდნენ, რომ მათი პრობლემების ჭეშმარიტი მიზეზი თავად კი არ არიან, არამედ დისკრიმინაციული, ექსპლოატაციური და ოპრესიული სოციალური სტრუქტურული და კულტურული მოცემულობა, მათი პრობლემების დაძლევაც რეალისტური გახდებოდა. ამასთან, სოციალური მუშაკები არ უნდა ხარჯავდნენ თავიანთ დროსა და ენერგიას მომსახურების მიმღების ქცევის შეცვლაზე მხოლოდ იმისათვის, რომ ის გახდეს ე.წ. ნორმის სტანდარტის მიმდევარი (Staub-Bernasconi, 2009).

სოციალური მუშაკი, როგორც ცვლილების აგენტი, განუწყვეტლივ უნდა ახდენდეს ცვლილების აუცილებლობისა და ამ ცვლილების მიღწევისათვის სამოქმედო ასპარეზის დონის დადგენას, რომ სისტემა უფრო მგრძნობიარე გახდეს სამიზნე მოსახლეობისადმი. ამისათვის კი მოქმედებაა საჭირო. ინდივიდთა მოქმედება, ან არასაკმარისი ქმედება, ან უმოქმედობა კი დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც გარშემო მყოფებზე, ისე თემზე და ორგანიზაციაზე. ე.ი. გამოდის, რომ მიკრო- და მაკროპრაქტიკა ურთიერთდამოკიდებულია.

აუცილებელია იმის განსაზღვრა, რომელ დონეზეა მოქმედება საჭირო მოცემულ სიტუაციაში და რა ფორმით. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ მაკროპრაქტიკის აქტივიზაციის მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი გლობალურ ჩრდილოეთში გაბატონებული ტენდენციის ფონზე, სადაც მიკროპრაქტიკამ აქტიურად ჩაანაცვლა შედარებით ფართო საკითხების მაკროდონეზე განხილვის ტრადიცია, მაგალითად, როგორიცაა სიღარიბის ან სოციალური დეპრივაციის სხვა ფორმების მიკროდონეზე დაყვანა. ეს კი რეალურ პრობლემას წარმოადგენს ბევრგან. იმავდროულად, ეს არ არის მოწოდება მიკროდონის პრაქტიკის უკუგდებისკენ, არამედ ეს გულისხმობს ფართო ხედვის განვითარებას სოციალური მუშაობის ძირითად საქმიანობასა და მეთოდებში (Hugman, 2010).

მაკროპრაქტიკის განმსაზღვრელი ასპექტები

რა არის აუცილებელი ეფექტიანი მაკროპრაქტიკის განხორციელებისათვის? ბევრი თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსის აზრით – სისტემური მიდგომა. ის გულისხმობს სამი ურთიერთდამოკიდებული ასპექტის გააზრებას: პრობლემა, მოსახლეობა და ასპარეზი.

ხარისხიანი სოციალური მუშაობა საჭიროებს როგორც ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გაგებას, ისე იმ პრობლემის გააზრებას, რაც ამ ადამიანებს აწუხებთ და იმ გარემოს შესწავლას, რომელიც ამ პრობლემის გამწვავებას ან შენარჩუნებას უწყობს ხელს. სოციალური პრობლემებისა და საჭიროებების ეფექტიანად მოგვარება საჭიროებს იმ პოლიტიკური გარემოს ზედმიწევნით კარგად ცოდნას, სადაც ამ პრობლემას ვხვდებით. წარმოიდგინეთ, რომ სოციალურ მუშაკს სურს დაეხმაროს მომსახურების

მიმღებს, რომელიც ალკოჰოლზეა დამოკიდებული. განა შესაძლებელია მისი დახმარება იმის ცოდნის გარეშე, თუ რა არის ალკოჰოლიზმი, რა სოციალური პრობლემები ახლავს მას, რა ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს ამ პიროვნებას, რა შინაგანი პრობლემები აქვს მას, რა არის ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზი, რა გარემოში უწევს მას ცხოვრება, ეს პრობლემა საზოგადოების რომელ ფენას აქვს ძირითადად და ა.შ. როგორც ხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ასპექტის გათვალისწინება გვჭირდება.

იყო სოციალური მუშაკი, ნიშნავს შეგეძლოს დაინახო მომსახურების მიმღები მის გარემოში, მრავალი ურთიერთგადამკვეთი სისტემის ნაწილად და არა განყენებულად. სოციალური მუშაობა სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლას მოიცავს. ეს კი ზოგჯერ სცდება კონკრეტული ინდივიდის ან ოჯახის პრობლემას. სოციალური მუშაკი, რომელიც მაკროპრაქტიკას არიდებს თავს, როდესაც ეს საჭიროა, არ ახორციელებს სოციალურ მუშაობას. წარმოიდგინეთ, მომართვა გაქვთ ბავშვის უგულებელყოფის შესახებ და იკვეთება ასეთი სიტუაცია: დედა ცხოვრობს სოციალურ საცხოვრისში, სადაც იგი არ იცავს დაწესებულ საყოფაცხოვრებო ნორმებს, აზიანებს ტექნიკას და, ამავე დროს, ამოიწურა მისი იქ ცხოვრების ვადა. მას გასახლება ემუქრება და ასევე ვალდებულება, რომ დაზიანება მოაწესრიგოს. განა პროფესიულად გამართლებული იქნება სოციალური მუშაკის ქმედება, რომელიც მისი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციით დაკავდება მხოლოდ? ეს უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ არაა საკმარისი. განა პროფესიულად მართებული ქმედება იქნება, რომ თავი აარიდოთ სისტემური ცვლილებისათვის ბრძოლას, რაც უკავშირდება საცხოვრისში ცხოვრების პოლიტიკისა და შინაგანაწესის ცვლილებისათვის ბრძოლას? პირველის შემთხვევაში ცენტრალური მთავრობის შეჯანჯღარება მოგიწევთ, მეორის შემთხვევაში კი – ადგილობრივი მთავრობისა და საცხოვრისის ადმინისტრაციის. თუ მხოლოდ ამ ქალბატონის შინაგანი მდგომარეობის გამოსწორებაზე ზრუნვას დაიწყებთ, განა ამით პრობლემას მოაგვარებთ ან თქვენი პროფესიული მანდატის აღსრულებას განახორციელებთ? ვერავითარ შემთხვევაში.

ან წარმოიდგინეთ სიტუაცია, რომელშიც თქვენ თემში დანაშაულის პრევენციაზე მუშაობთ. ამ თემში ძალიან ხშირია ქურდობის ფაქტები. მაკროპრაქტიკა არაეფექტიანი იქნება, თუ არ იცით პრობლემის არსი. ამ თემში ასეთი მობილიზებული პრევენციული სამუშაოს ჩატარება აზრს დაკარგავს, თუ ქურდობა არის ნარკოტიკებზე დამოკიდებული ახალგაზრდების მცირე ჯგუფის ნარკოსაჭიროების დაკმაყოფილების მიზნით ჩადენილი დანაშაული. გამოდის, რომ საქმე გაქვთ არა მხოლოდ და განყენებულად დანაშაულის, არამედ ნივთიერებაზე დამოკიდებულების პრობლემასთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ თემში გასატარებელია არა მხოლოდ დანაშაულის პრევენციის და/ან მასზე რეაგირებითი სამუშაოები, არამედ ნივთიერებებზე დამოკიდებულების პრევენციისა და დაძლევისაკენ მიმართული ღონისძიებებიც. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს პრობლემის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევას, საჭიროებათა პროფილის შექმნას და მხოლოდ ამის შემდეგ იმის განსაზღვრას, თუ რა სახის და რა მასშტაბის პრაქტიკის დაგეგმვა და განხორციელებაა საჭირო.

წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც სკოლებში ბულინგი და ნივთიერებების მოხმარებაა გავრცელებული. ამ სიტუაციაში განა საკმარისია რამდენიმე შემთხვევაზე რეაგირება ან, თუნდაც, დღეს საქართველოში თქვენი კოლეგების მიერ განხორციელებული საოცრად შთამბეჭდავი ბულინგისა და ნივთიერებების მოხმარების პრევენციის პროგრამები? რასაკვირველია, არა. ეს მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ არასაკმარისი

იმისათვის, რომ ქვეყანაში ეს პრობლემები დაიძლიოს. სოციალური მუშაკები დღესაც დიდი ძალისხმევით ლობირებენ ამ პროგრამის ყველა სკოლაში დანერგვას, თუმცა ჯერ მასშტაბების მხოლოდ გაათმაგება გახდა შესაძლებელი. ტენდენცია შთამბეჭდავია, რადგან 2019 წლიდან დღემდე ოთხი სკოლიდან 60 სკოლაში ხორციელდება, თუმცა, 2080 სკოლის ფონზე, ეს არ არის საკმარისი მოცვა. არადა, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს წარმომადგენელთა აზრით, ამაზე მთავარი საკეთებელი დღეს არც არის სხვა რამ. გადაწყვეტილების მიმღებთა შორის სოციალური მუშაკები რომ იყვნენ, სავარაუდოდ, ეს სახელმწიფო პოლიტიკად გადაიქცეოდა.

მიკრო- და მაკროპერსპექტივებს შორის ხანგრძლივ დაპირისპირებასთან დაკავშირებით, ოლსონმა (2007) განაცხადა, რომ ახლანდელი სიტუაცია წარმოიშვა მიკროს მაკროზე დომინირების ხანგრძლივი პროცესის შედეგად. ის ამტკიცებს, რომ ამის მიზეზია სოციალური სამართლიანობის ფასეულობის არამართებულად დაკნინება, პროფესიონალიზმისკენ სწრაფვის გამო. მისი აზრით, სოციალური მუშაობის მიზანი სოციალური წესრიგის ხელშეწყობა უნდა იყოს. ოლსონი ფიქრობს, რომ თანამედროვე სოციალური მუშაობა ზედმეტად არის დაკავებული უნარების და ცოდნის ძიებით, რომლებიც სოციალურ მუშაობას „ავთენტურ“ პროფესიად აქცევენ. შეერთებულ შტატებში *დასახლებების მოძრაობის* და *ქველმოქმედების ორგანიზაციების* სულისჩამდგმელებთან მიმართებით, ოლსონი ამბობს: სოციალური მუშაობა „ლაპარაკობს, როგორც ჯეინ ადამსი და იქცევა, როგორც მერი რიჩმონდი“ (Olson, 2007, p. 60).

დასაფიქრებელია იმაზეც, თუ რამდენად იზიარებს მიკრო- და მაკროდონეებს შორის განსხვავების შესახებ დისკუსია მოსაზრებას, რომ მაკროდონის პრაქტიკა უცილობლად უნდა საზრდოობდეს სოციალური სისტემების კრიტიკული ანალიზით, იყოს „პროგრესირებადი“ ან იზიარებდეს და იცავდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. სოციალური მუშაობის ნებისმიერი პრაქტიკის განხილვისას, იმაზე კი არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება, მისი ორიენტაცია მიკროა თუ მაკრო, არამედ იმაზე, თუ რამდენად არის ეს პრაქტიკა ჩართული ასეთ კრიტიკულ ანალიზში ან რამდენად იღვწის სოციალური სამართლიანობისაკენ (ლანდი, 2004).

მაკროპრაქტიკის თეორიული საფუძვლები

სოციალური მუშაობის მაკრომოდელი ფუნდამენტური სოციალური პოლიტიკის საკითხებზეა ორიენტირებული. ამიტომ აუცილებელია ის ემყარებოდეს სოციალურ თეორიასა და ანალიზს. რა თეორიული საფუძველი აქვს მაკროპრაქტიკას? სისტემის თეორია ყველაზე მეტად შეესაბამება მიკრო- და მაკროპრაქტიკას. იგი ამტკიცებს, რომ ნებისმიერი არსებული გაერთიანება შედგება შემადგენელი ნაწილებისაგან, იქნება ეს ჯგუფი, ორგანიზაცია თუ თემი. გაერთიანება არის სისტემა ურთიერდამოკიდებული კომპონენტებით, რომლებიც გარკვეული საერთო პრინციპებით ერთიანდება. სწორედ ეს პრინციპები გვეხმარებიან სისტემის გაგებაში, განურჩევლად იმისა, ეს სისტემა არის ისეთი დიდი, როგორც, მაგალითად, საერთაშორისო კორპორაცია თუ ისეთი პატარა, როგორც ოჯახი.

არის რესურსები, რომლებიც სისტემას ფუნქციონირებისათვის სჭირდება. ეს შესაძლოა იყოს: ადამიანები, აპარატურა, ფინანსები, ცოდნა და ა.შ. სწორედ ამ რესურსთა ურთიერთქმედებით სისტემის შიგნით წარმოიქმნება სისტემის პროდუქტი. საზოგადოებრივი სისტემის მომხიბლაობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი შედგება

თანადროულად არსებული განსხვავებული ფასეულობების მქონე მრავალი ჯგუფისა და ორგანიზაციისაგან. თემის მკვლევარი როლანდ უორენი (1978) სოციალურ სისტემას ისე განმარტავს, როგორც დროში მიმდინარე ერთეულთა ურთიერთობის სტრუქტურულ ორგანიზაციას. მას აქვს როგორც გარეგანი, ისე შიდა ასპექტები, რომლებიც მას სისტემასთან აკავშირებს და მის ერთეულებს ერთმანეთთან. ის ხასიათდება გარემოთი, რომელიც ასრულებს საზღვრის შენარჩუნების ფუნქციას. ის ცდილობს წონასწორობის შენარჩუნებას ისე, რომ გარედან მომდინარე ცვლილებამ მინიმალური ზეგავლენა მოახდინოს ორგანიზაციულ სტრუქტურაზე და დაარეგულიროს შესაბამისი ურთიერთობები. სისტემის თეორიის ნაწილია საზღვრების შენარჩუნებაც. საზღვრების დაწესება უმნიშვნელოვანესია სისტემის შენარჩუნებისათვის. საზღვრების გაუფერულების შემთხვევაში, საზოგადოება, როგორც კონკრეტული ურთიერთობის ფორმა ან ორგანიზაცია და როგორც ცალკეული ერთეული, ნაკლებ შესამჩნევი ხდება.

უორენის (1978) განმარტების მრავალი ელემენტი მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და ორგანიზაციის, როგორც პრაქტიკის ასპარეზის, გააზრებისათვის. მისი განმარტება, რომ სისტემა დროს უძლებს, ეხმაურება სოციალური მუშაკების პრაქტიკას. ისინი ხშირად მუშაობენ თემთან, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს ის ორგანიზაციული ფორმა, რომელიც მას წარსულში ჰქონდა. მაგალითად, მოხუცი, რომელიც ცხოვრობდა ერთ ქუჩაზე მთელი ცხოვრების მანძილზე, ყოყმანობს შეიცვალოს თუ არა საცხოვრებელი 60 წლის ასაკში, მიუხედავად იმისა, რომ ამ უბანში ძალიან იმატა კრიმინალურმა საფრთხემ, რაც მის სიცოცხლესა და უსაფრთხოებას ემუქრება.

უორენი (1978) შიდა და გარეგან სტრუქტურებს ვერტიკალური და ჰორიზონტალური საზოგადოებრივი კავშირების სახით წარმოგვიდგენს. ვერტიკალური კავშირები აკავშირებენ საზოგადოებრივ ერთეულებს (ადამიანები, ჯგუფები, ორგანიზაცია) საზოგადოების გარეთ მყოფ ერთეულებთან. ეს კავშირებია, მაგალითად, სოციალური მომსახურების სააგენტოს კავშირი მის მონათესავე სააგენტოებთან სხვა თემში, ადგილობრივი ერთეულის კავშირი ცენტრალურ ერთეულთან, რომლის მითითებებსაც ის ექვემდებარება. ვერტიკალური კავშირების წარმოდგენისას ის ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ ბევრი გადაწყვეტილება მიიღება ცენტრალური ერთეულის მიერ და შესაძლოა ადგილობრივი ერთეულის მონაწილეობის გარეშეც. შესაბამისად, დიდია ადგილობრივი ერთეულის საუკეთესო ინტერესების უგულებელყოფის შანსი. ჰორიზონტალური საზოგადოება გეოგრაფიულად შემოსაზღვრულია და წარმოდგენილია უამრავი კავშირით ამ ლოკაციაში არსებულ ორგანიზაციებსა და სამეზობლოებს შორის. მაგალითად, ადგილობრივი ხანდაზმულთა სახლი შესაძლოა თანამშრომლობდეს მეზობელი უბნის სკოლასთან თაობათაშორისი პროგრამის განვითარებისათვის რეზიდენტებსა და ბავშვებს შორის. ურთიერთობების ტიპებს შორის განსხვავებების ხაზგასმით, უორენი ცდილობს დაგვეხმაროს შიდა საზოგადოებრივ და ამ საზოგადოების უფრო ფართო საზოგადოებასთან შესაძლო ურთიერთობების გააზრებაში.

ფუკის (1993) მიერ შემთხვევაზე რადიკალურად მუშაობის თეორიის განვითარება მიკრო- და მაკროპრაქტიკის შეზავებას გულისხმობს. მისი აზრით, უშუალოდ პიროვნების და ოჯახის ცხოვრებაში ჩარევა შეიძლება გამდიდრდეს სოციალური საჭიროებების სტრუქტურული ანალიზით, რაზე დაყრდნობითაც შემუშავდება ინტერვენციის მეთოდები. ეს მიდგომების სინთეზს გვთავაზობს, დაახლოებით ისე, როგორც განვითარდა მოვლენები ანტირასისტულ და ანტიდისკრიმინაციულ პრაქტიკაში დიდ ბრიტანეთში,

სადაც ადვოკატობასა და გაძლიერებაზე დაფუძნებული ჩარევის მიკროდონის პრაქტიკაში სტრუქტურული ანალიზიც მონაწილეობს (Hugman, 2010).

მაკროპრაქტიკისთვის მახასიათებელი ეთიკური დილემები

რა ფასეულობები შეინარჩუნა პროფესიამ? ფასეულობები, რომლებსაც განვსაზღვრავთ, როგორც იმ ნორმებსა და პრინციპებს, რომლებსაც საზოგადოების ბევრი ან უმრავლესი წევრი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ფუნდამენტურია სოციალური მუშაობის პრაქტიკისათვის. გარკვეულწილად, ფასეულობები თეორიების მსგავსია – ისინი ქმნიან ჩარჩოს სიტუაციების გაგებისა და ანალიზისათვის. ეთიკის ნორმები კი (რასაც დაწვრილებით მე-6 თავში განვიხილავთ) ეთიკის მოდელის მსგავსია და წარმოადგენენ გზამკვლევს პრაქტიკისთვის. სოციალური მუშაობა ხშირად ეთიკური დილემის წინაშეა, რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც სიტუაცია, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანი კონკურენტული არჩევანის აუცილებლობის წინაშე აყენებს სოციალურ მუშაკს. მაკროპრაქტიკასთან ბევრი პრინციპის დაკავშირება შეიძლება, მაგრამ ჩვენ ამჟამად ჯენსონის (2008) მიერ კლასიფიცირებული სამეული განვიხილოთ, რომელიც სოციალურ მუშაობას ეთიკური დილემის წინაშე აყენებს: ავტონომია, მოწყალება, სოციალური სამართალი.

თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება ცხოვრებაში. უფლებამოსილების ცნება ავტონომიის პრინციპს ეფუძნება, რადგან საკუთარ ცხოვრებაზე ძალაუფლების ან კონტროლის ქონა ნიშნავს გადაწყვეტილების მიღების შანსის არსებობას. მაგალითად, აბორტის მომხრეთა აზრით, ქალის უფლების შელახვაა მისი აკრძალვა. მოწინააღმდეგეთა აზრით კი აბორტის ლეგალიზაცია ნაყოფის უფლების დარღვევაა. თუ ავტონომიას განვიხილავთ როგორც ინდივიდუალისტურ საკითხს და, შესაბამისად, უშუალო პრაქტიკის არეალში განვათავსებთ, გამოდის, რომ ორივე მხარის ინტერესები უნდა დავიცვათ თანაბრად. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალური მუშაკი არღვევს ავტონომიის პრინციპს.

მოწყალება მხარდამჭერი პროფესიის წარმომადგენელთა მოტივატორია. ეს კი მოითხოვს მომსახურების მიმღებისადმი ჰოლისტურ მიდგომას. მაგალითად, ხომ არ შეიძლება ექიმი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემას განიხილავს, არ ითვალისწინებდეს იმას, რომ მას არ აქვს საშუალება ჯანმრთელი დიეტა ჰქონდეს. მოწყალება მოითხოვს, რომ ექიმმა პაციენტი ჯანსაღი კვების პროგრამაში ან დამატებითი კვებითი ვაუჩერის მისაღებად გადაამისამართოს (რასაკვირველია იქ, სადაც ადამიანებს ამის ფუფუნება აქვთ), თუმცა ეს ექიმის ვალდებულება არ არის. ამ დროს სისტემაში აუცილებელია სოციალური მუშაკი იყოს. მაგრამ, თუ სოციალური მუშაკი ვერ აფასებს მომსახურების მიმღების ყველა საჭიროებას, ის უგულებელყოფს მოწყალების პრინციპს.

სოციალური სამართლიანობა ძალიან კომპლექსური ეთიკური პრინციპია. სოციალური სამართლიანობა მიიღწევა რესურსებისა და ბენეფიტების სამართლიანი დისტრიბუციის გზით. ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ ყოველი მოქალაქე დამსახურებულ პორციას იღებს. სოციალური მუშაობა რესურსების დისტრიბუციისა და რედისტრიბუციის ბიზნესია, განურჩევლად იმისა, არის ეს ისეთი ხელშესახები რესურსი, როგორიც ფული ან დასაქმებაა, თუ ისეთი არახელშესახები, როგორიც ქმედობაუნა-

რიანობა ან თვითღირებულების გრძნობა. ამიტომაც მაკროპრაქტიკოსები სოციალურ სამართლიანობასთან დაკავშირებული მუდმივი დილემის წინაშე დგანან.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განმარტებით, სოციალური სამართლიანობა სოციალური მუშაკისათვის ეთიკური პრინციპია. სოციალურ მუშაკთა ეთიკის სტანდარტების (2021) მე-3 მუხლის მიხედვით:

სოციალური მუშაკები ახორციელებენ სოციალურ ცვლილებებს საზოგადოების სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ფენების წარმომადგენელი ინდივიდებისა და ინდივიდთა ჯგუფების სახელით. სოციალური მუშაობის პროფესიაში აქცენტი კეთდება ისეთ საკითხებზე, როგორებიც არის: სიღარიბე, უმუშევრობა, დისკრიმინაცია და სოციალური უსამართლობის სხვა გამოვლინებები. სოციალური მუშაკები თავიანთი საქმიანობით ცდილობენ გამოიწვიონ საზოგადოების რეაგირება ადამიანთა ჩაგვრაზე და მოახდინონ საზოგადოების ინფორმირება კულტურული, ეთნიკური, გენდერული და სხვა მრავალფეროვნების არსებობისა და მნიშვნელობის შესახებ. სოციალური მუშაკები ხელს უწყობენ მოსახლეობისათვის ინფორმაციის, მომსახურებისა და რესურსების ხელმისაწვდომობას, საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის თანაბარ შესაძლებლობებს, ყველა ინდივიდის მონაწილეობას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

სამართლიანობის საკითხზე წუხილი მწვავდება, როდესაც მომსახურების მიმღებს არ შეუძლია მომსახურების ფასის გადახდა. მანამდე, სანამ მას შესწევს უნარი გადაიხადოს საჭირო მომსახურებაში, პრაქტიკოსის გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის წინააღმდეგობაში ფართო საზოგადოებასთან, რადგან არ დგება რესურსების რედისტრიბუციის საკითხი. შესაბამისად, სანამ ისინი იხდიან მომსახურებაში, პროფესიებს შეუძლიათ ოპერირება საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში. ხარისხიანი ზრუნვა გადაიცვლება ეკონომიკურ რესურსში, უფრო ხშირად მესამე მხარის ანგარიშსწორებით. უმთავრესი ელემენტი ის არის, რომ მომსახურებით მოსარგებლეს აქვს დაზღვევა ან საკმარისი პირადი კაპიტალი. მაგრამ, როგორც კი მას არ აღმოაჩნდება მომსახურების მიღებისათვის გადასახდელი თანხა, მისთვის საჭირო რესურსისადმი ხელმისაწვდომობაც შეიზღუდება. ამ რესურსებით მართვად სისტემაში, სოციალური მუშაკებისათვის ძალიან რთულია შეინარჩუნონ თანამგრძნობი საზოგადოების შესახებ ოცნება, რომელშიც ყველა იღებს საჭირო დახმარებას.

გამოდის, რომ ავტონომიის, მოწყალების და სამართლიანობის მოთხოვნის დაბალანსებას სჭირდება ანალიტიკური მიდგომა გადაწყვეტილების მიღებისა და ინტერვენციისათვის. ამიტომ მაკროპრაქტიკოსი ხშირად ისეთი ეთიკური დილემის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე, რომელიც სცდება ეთიკის კოდექსის ფარგლებს. ამ მიზეზით, სწორი გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება ძლიერი პროფესიული იდენტობა. დგება დრო ჩავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ გადავჭრათ ჩვენ წინაშე არსებული პროფესიული დილემები მაკროპრაქტიკის განხორციელებისას.

გარემო, რომელშიც სოციალური მუშაკი მოღვაწეობს, ინდივიდის თუ მაკროდონეზე საკმაოდ რთული და გამოწვევებით აღსავსეა. თუმცა არაფერი შეედრება პროფესიულ კმაყოფილებას, რომელიც დადებითი ცვლილებების მიღწევითაა გამოწვეული. საქართველოში, სადაც არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილი, არამედ კიდევ ბევრი სხვა დილემის წინაშეა სოციალური მუშაკი ყოველდღიურ საქმიანობაში, საქმეს ართულებს საზოგადოების, მათ შორის დამქირავებლების მხრიდან პროფესიის შესახებ დაბალი ინფორმირებულობა. საქმეს კიდევ უფრო ართულებს ის, რომ სოციალურ მუშაკთა უმ-

რავლესობა საჯარო სექტორშია დასაქმებული და დამქირავებელს ისინი სახელმწიფო პოლიტიკის ბრმა აღმსრულებლებად წარმოუდგენიათ. თუ სოციალურ მუშაკს ღრმად არ აქვს გააზრებული საკუთარი პროფესიული მანდატი, საფრთხე მართლაც რეალურია. შესაძლოა, რომ სოციალური მუშაკი მხოლოდ პოლიტიკის აღსრულების საცეცად გამოიყენონ. ამას კი პროფესიული მანდატის ეროზიამდე მივყავართ. ადამიანებს სურთ სასიკეთო ცვლილებები, რაც ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე ხორციელდება ნებისმიერ რეალობაში, განურჩევლად იმისა, მუშაობთ სოციალურად მისაღები თუ მიუღებელი ქცევის და/ან მდგომარეობის მქონე პირთან ამ საკითხებზე.

ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს შანსი სასიკეთოდ შეცვალოს ცხოვრება დროის ნებისმიერი მოცემული მომენტიდან. სურვილი კი ხშირად არაა საკმარისი, წინ ბევრი სტრუქტურული ბარიერია. ამიტომაც, ამ გზაზე მას ხშირად მხარდაჭერა სჭირდება. სწორედ ამ მხარდამჭერის როლშია სოციალური მუშაკი და მას ხანდახან სწორედ იმ სისტემის წინააღმდეგ უწევს გალაშქრება, რომლის ნაწილიცაა.

ადამიანებს სჭირდებათ ცვლილებისათვის დარაზმვა, კოორდინირება. ამ დილემების გადასაჭრელად შერმანი და ვენოკური (1983) შემდეგ გამოსავალს გვთავაზობენ:

1. გადაწვა და პროფესიის/სამუშაო ადგილის მიტოვება. იმედგაცრუებული სოციალური მუშაკისათვის ეს გამოსავალი სიტუაციის გარიდებასა და ახალი შესაძლებლობების წინაშე აღმოჩენას ნიშნავს. ცხოვრების ამ კონკრეტულ ეტაპზე ეს შესაძლოა მართლაც მართებული გადაწყვეტილებაა, თუმცა ამას დრო გამოავლენს. ზოგჯერ ორგანიზაციიდან წასვლა უკეთესი გამოსავალია, რადგან შესაძლოა იმ კონკრეტული ორგანიზაციის მანდატია პროფესიული ფასეულობების შემზღუდველი და შემლახავი, ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიიდან წასვლაა საჭირო. აქ, რასაკვირველია, ადამიანის ბუნებაა გადამწყვეტი: მისი რისკის გაღებისა და ბრძოლის, დღევანდელი სიტუაციისა და მომავლის განჭვრეტის, საკუთარი ძალების რეალისტურად შეფასების უნარი და ა.შ.

2. გადაწვა, მაგრამ პროფესიაში/სამუშაო ადგილზე დარჩენა. ზოგიერთი პრაქტიკოსი, გადაწვის მიუხედავად, არათუ არ იცვლის პროფესიას, არამედ სამუშაო ადგილზეც რჩება. ისინი თავს სისტემის მსხვერპლად, მასთან ბრძოლაში უუნაროდ გრძნობენ; ეგუებიან იმ ფაქტს, რომ არ აქვთ სიტუაციის კონტროლის ბერკეტი. ისინი ცდილობენ გააკეთონ მაქსიმალური კლიენტისათვის, მაგრამ უგულებელყოფენ უფრო ფართო პრობლემებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი იღებენ ორგანიზაციულ ნორმებს და თმობენ ადვოკატობის ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში პროფესია „მოწოდება“ აღარაა, ის „უბრალოდ სამუშაოა“.

3. „ტუნელის“ ხედვის განვითარება. ხშირ შემთხვევაში, ისეთ სოციალურ მუშაკსაც კი, რომელიც არ არის ჯერ გადამწვარი, უვითარდება პრობლემისადმი ძალიან ვიწრო ხედვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ეხმარება კლიენტს ინდივიდუალურ დონეზე, მას არ შესწევს უნარი იბრძოლოს უფრო ფართო ასპარეზზე, უფრო ზოგადი პრობლემების მოგვარებისათვის აშკარად და დაუფარავად. ის ორგანიზაციაში რჩება, მაგრამ ორგანიზაციისა და თემის ცხოვრების მიღმაა. იგი კლიენტზე ორიენტირებული რჩება და არ იბრძვის ცვლილებისათვის მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. განსხვავება წინა გამოსავალთან შედარებით ისაა, რომ, თუ წინა შემთხვევაში არსებობს ორგანიზაციასთან მიკუთვნებულობის გრძნობა, ამ შემთხვევაში ის არ არსებობს.

4. ენერგიის სადმე სხვაგან მიმართვა. ზოგიერთი სოციალური მუშაკი აქტივისტი ხდება და უერთდება იმდენ ორგანიზაციასა და ჯგუფს, რამდენის საშუალებასაც

დრო და ენერგია აძლევს. სისტემური ცვლილების მიღწევას ისინი ნებისმიერი შესაძლო გზით ცდილობენ. ორგანიზაციისაგან განყენებული და დამოუკიდებელი პოზიციის გამო, ისინი არათანამშრომლობით და მოუმწიფებელ პროფესიონალებადაც კი მიიჩნევიან ხანდახან, თუმცა ეს მათ ცვლილებისათვის ბრძოლაში არ აფერხებს.

5. ცვლილების ინიცირება. ეს ცვლილებისათვის უფრო მობილიზებული ბრძოლაა, წინა გამოსავლისაგან განსხვავებით. სოციალური მუშაკები ერთიანდებიან კოლეგებთან, კლიენტებთან და სხვა მოქალაქეებთან ერთად სისტემური ცვლილებისათვის საბრძოლველად. რეალურად განხორციელებად ცვლილებას სჭირდება სელექტიურობა, იმის აღიარება, რომ ყველა პრობლემა ერთდროულად მოგვარებადი არაა და საჭიროა გონივრული არჩევანის გაკეთება. ამავე დროს, არჩევანი გასაკეთებელია ცვლილების მიღწევის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე. ყველა ცვლილება დროს მოითხოვს, ერთბაშად მიზნის მიღწევა რთულია, ამიტომ ხშირად ნაბიჯ-ნაბიჯ სვლაა საჭირო. ამ სვლის თანმიმდევრობა კი პრობლემის შესახებ ღრმა ცოდნასა და მისი მოგვარებისათვის გონივრულად დაგეგმილ ბრძოლას ითხოვს. ხშირად ეს სოციალური მუშაკები კოლეგებისაგან კრიტიკას იმსახურებენ, ფართო პრობლემების მოგვარებისათვის ინდივიდუალური პრობლემების მსხვერპლად გაღების გამო.

ალბათ ხვდებით, სულით მებრძოლი და უდრეკი მაკროპრაქტიკოსისათვის რომელი ვარიანტია შესაფერისი და რატომ.

თავის შეჯამება

თუ ვთანხმდებით იმაზე, რომ პოლიტიკა მოიცავს პრაქტიკას და პრაქტიკა კი მრავალმხრივ ზემოქმედებს პოლიტიკაზე, სოციალური მუშაკის როლი ამ პროცესში მნიშვნელოვანია მუშაობის როგორც მიკრო-, ისე **მაკროდონეზე**, რადგან ის ჩართულია სოციალური პოლიტიკის ფორმირების ყველა ეტაპზე. ხოლო პოლიტიკის ციკლის რომელ ეტაპზეა მისი როლი უფრო მნიშვნელოვანი, ეს დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ მოწყობაზე. ჩვენს ქვეყანაში, პროფესიამ თავისი სიტყვა არაერთი რეფორმის განხორციელებასა და შეფასებაში თქვა. კიდევ უფრო მეტი საკეთებელი კი წინაა, რადგან პროფესიის პოტენცია მეტს იტევს.

დაუსრულებელ დავაში იმაზე, რა უნდა იყოს სოციალური მუშაობის მთავარი ფუნქცია: სტრუქტურულ პრობლემებთან ბრძოლა თუ სტაბილურობის შენარჩუნება, ძირითადად ორი განსხვავებული პოზიცია ყალიბდება. რადიკალური სოციალური მუშაობის ქომაგნი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო მუდამ დომინანტი ჯგუფის ინტერესების დამცველია და ვერ ან არ ახორციელებს მოწყვლად ინდივიდთა და/ან ჯგუფთა ინტერესების დაცვას. ეს ფუნქცია სწორედ სოციალურმა მუშაკებმა უნდა იკისრონ. სტაბილურობის შენარჩუნების იდეის მომხრენი კი თვლიან, რომ პროფესიის მისიაა დახმარების გაწევა ადამიანებისათვის, რომლებიც ამას საჭიროებენ. უთანასწორობასთან ბრძოლა და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება კი სახელმწიფოს ფუნქციაა. თუმცა, მათი ხედვით, ეს არ ათავისუფლებს სოციალურ მუშაკს რესურსების მომსახურების მიმღებთაკენ მიმართვისა და დისტრიბუციის ფუნქციისაგან, არც დისკრიმინირებულთა და ოპრესირებულთა დაცვისაგან, მაგრამ ამ ფუნქციების განხორციელებისათვის მათ ადვოკატობის მექანიზმის გამოყენებით ზღუდავენ.

სოციალური მუშაობისადმი კრიტიკა სტრუქტურული პრობლემების უგულებელყოფისათვის ჯერ კიდევ წინა საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. ის გამწვავდა რადი-

კალური სოციალური მუშაობის აღზევების შემდეგ. არადა, ახლაც რელევანტურია ამ მიდგომის გავრცელებული თეორიული ჰიპოთეზა, რომ სოციალურად დაუცველი პირები და/ან ჯგუფები უნდა იცავდნენ საკუთარ ინტერესებს ბრალეულობის განცდის გარეშე, რადგან უმეტესწილად ისინი სტრუქტურული ბარიერების მსხვერპლნი არიან.

ბევრ ქვეყანაში მიკროპრაქტიკის მაკროზე დომინირების მიზეზად სახელდება სოციალური სამართლიანობის ფასეულობის პროფესიონალიზმისკენ სწრაფვით დაჩრდილვა, რაც მრავალ სექტორსა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან გაფანტული, მუდამ პროფესიული იდენტობის მტკიცებაში მყოფი პროფესიის ხვედრია. მაკროდონის პრაქტიკა უცილობლად უნდა საზრდოობდეს სოციალური სისტემების კრიტიკული ანალიზით და ემსახურებოდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. ეს კი მიკროპრაქტიკის მაკროელემენტებით განაყიერებითაც არის შესაძლებელი, ფუკისეული (1993) შემთხვევაზე რადიკალურად მუშაობის თეორიის ჩარჩოში. ამასვე განამტკიცებს ნანავატის მოსაზრება, რომ სოციალური მუშაობა უცილობლად არის „ორივე – კონსულტირებაც და სოციალური ქმედებაც“ (2002).

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. მაკროპრაქტიკისთვის მახასიათებელი დილემების დასაძლევად შერმანისა და ვინოკურის მიერ შემოთავაზებულ რომელ გამოსავალს გამოიყენებდით? დაასაბუთეთ პასუხი.
2. როგორ უნდა მოიქცეს სოციალური მუშაკი, რომ არ დაარღვიოს არც დედის და არც ნაყოფის ავტონომიის პრინციპი აბორტის ლეგალიზების შემთხვევაში?
3. სოციალურ სამართლიანობასთან დაკავშირებული რომელი პროფესიული დილემის წინაშე დგას მაკროპრაქტიკოსი?
4. რა მოვლენებმა განაპირობა რადიკალური სოციალური მუშაობის დაწყება?
5. უთანასწორობისა და სტრუქტურული ცვლილებებისთვის ბრძოლა სოციალური მუშაკის მოვალეობად მიგაჩნიათ თუ სახელმწიფოს მოვალეობად? დაასაბუთეთ პასუხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

Colby, I., Dziegielewski, S. (2001). *Social Work: The People's Profession*. Lyceum

Fook, J. (2002). *Social Work. Critical Theory and Practice*. London: SAGE

Gupta, D.K. (2001). *Analyzing Public Policy: Concepts, Tools, And Techniques.* Congressional Quarterly Inc.

Hugman, R. (2010). *Understanding International Social Work: A Critical Analysis*. New York. Palgrave Macmillan.

Jones, C. (1983). *State Social Work and the Working Class.* London: Palgrave-Macmillan.

Laird, 2004.

Olson, J. (2007). Social Work's professional and social justice projects: conflicts in discourse. *Journal of Progressive Human Services, 18* (1), 45-69.

Payne, M. (2005). *The Origins of Social Work: Continuity and Change.* Basingstoke: Palgrave Macmillan.

Parry, N. & Parry, J. (1979). *Social work, professionalism and the state.* London: Edward Arnold.

Staub-Bernasconi, S. (2009). Social work as a discipline and a profession. In Leskošek, V. (ed.) *Theories and Methods of Social Work: Exploring Different Perspective*. Ljubljana: Faculty of Social Work, University of Ljubljana: 9-30.

ნათია ფარცხალაძე

თავი 5

სოციალური მუშაობის მაპროპრაქტიკა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისათვის

შესავალი

მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგი ყველა ქვეყანას მოუწოდებს გარდამტეხი ქმედებებისაკენ, რათა მიღწეულ იქნეს მშვიდობა და აღმშენებლობა ყველასათვის, ასევე, დაცული იყოს პლანეტა. წინამდებარე თავში საუბარია გაეროს 193 წევრი ქვეყნის მიერ მიღებული დღის წესრიგით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რომელთა გარკვეული ნაწილის შესრულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალური მუშაკები. მიჩნეულია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების 65 პროცენტის განსახორციელებლად საჭიროა ეფექტური სოციალური მომსახურებების მიწოდება (UNICEF & GSSWA, 2019). უშუალოდ სოციალური მუშაკები კი მაკრო-, მეზო- და მიკროდონეებზე განხორციელებული პრაქტიკით ჩართულები არიან სიღარიბის დაძლევაში, კეთილდღეობის გაძლიერებაში, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, გენდერულ თანასწორობაში, ღირსეული დასაქმების შესაძლებლობების შექმნასა და სხვა ამოცანების მიღწევაში (Shatberashvili & Sadzaglishvili, 2022).

მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო რეზოლუცია „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა. 2017 წელს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინდიკატორთა ჩამონათვალი. მდგრადი განვითარების მიზნები წარმოადგენს ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDG) ლოგიკურ გაგრძელებას, რომელთა შესრულების ვადა 2000-2015 წლების პერიოდს მოიცავდა. შესაბამისად, ამ მიზნების შესრულების ვადის დასასრულს, გაეროს ათასწლეულის მიზნები გარდაიქმნა უფრო ყოვლისმომცველ – მდგრადი განვითარების მიზნებად.

SDG ჩამოყალიბების პროცესი მოიცავდა თანამონაწილეობრივ აქტივობებს, მაღალი დონის პანელებისა და თემების დონეზე ჯგუფური განხილვების სახით, რომლებიც დაგვირგვინდა სახელმწიფოების მეთაურებთან მოლაპარაკებითა და მდგრადი განვითარების მიზნების დამტკიცებით. დოკუმენტი აერთიანებს ხუთ კრიტიკულად მნიშვნელოვან სფეროს (5 Ps), როგორებიცაა: ხალხი (People), პლანეტა (Planet), აყვავება (Prosperity), მშვიდობა (Peace) და პარტნიორობა (Partnership) და 17 მიზანს, როგორებიცაა:

მიზანი 1: *სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა*

სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა რჩება კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად. მიუხედავად იმისა, რომ უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რიცხვი 1990-დან იმ მომენტამდე, როდესაც შეიქმნა SDG, ნახევარზე მეტით შემცირდა, ძალიან ბევრი ადამიანი მაინც ვერ იკმაყოფილებდა საბაზისო საჭიროებებს. 2015 წლის მონაცემებით, დაახლოებით 736 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა დღეში 1,90 აშშ დოლარზე ნაკლებით და შეზღუდული ჰქონდა წვდომა საკვებზე, სუფთა სასმელ წყალზე და საბაზისო სანიტარიულ საჭიროებებზე. 2022 წელს მსოფლიო ბანკმა სიღარიბის საერთაშორისო მაჩვენებელი 1.9 აშშ დოლარიდან, 2.15-მდე გაზარდა. ამ პერიოდის მონაცემებით, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რიცხვმა 712 მილიონი შეადგინა. მსოფლიო მასშტაბით ქალები უფრო ღარიბები იყვნენ, ვიდრე მამაკაცები, რადგან მათი ანაზღაურება, განათლების დონე და საკუთრებაზე ხელმისაწვდომობა საგრძნობლად უფრო დაბალი იყო, ვიდრე კაცების.

სიღარიბის თვალსაზრისით გამოწვევები განსაკუთრებით დიდია სამხრეთ აზიასა და სუბსაჰარულ აფრიკაში, სადაც ბინადრობს უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების 80 პროცენტი. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის მაჩვენებელი 14.8 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი 3.7 პროცენტს (საქართველოს მთავრობა და გაეროს განვითარების პროგრამა, 2014). ამავე პერიოდში, საქართველოში სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვევით (2,15 აშშ დოლარი) მყოფი მოსახლეობის წილი 6.1 პროცენტი იყო. 2021 წელს კი ეს მონაცემი 5.5 პროცენტს გაუთანაბრდა. დამატებითი საფრთხეები, რომლებიც გამოწვეულია კლიმატის ცვლილებებით, კონფლიქტებითა და სასურსათო დაუცველობით, კიდევ უფრო ართულებს მსოფლიო მოსახლეობის სიღარიბიდან გამოყვანის მისიას. შესაბამისად, SDG მიზნად ისახავს ყველაზე დაუცველ პირებსა და ჯგუფებზე ძირითადი რესურსებისა და სერვისების გადანაწილებას და კლიმატთან დაკავშირებული კატასტროფებით გამოწვეული სოციალური უსამართლობის შემცირებას (UNDP, 2023).

მიზანი 2: *შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების უზრუნველყოფა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა*

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, სწრაფი ეკონომიკური ზრდის შედეგად არასაკმარისი კვების მქონე ადამიანების რიცხვი ორჯერ შემცირდა. განსაკუთრებით კოვიდ-19 პანდემიამდე პერიოდში, საგრძნობი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების უზარმაზარი პროგრესი უკიდურესი შიმშილის აღმოფხვრაში. 2009 წლის მონაცემებით, საქართველოში უკიდურესად წონანაკლული ბავშვების წილი 0.3 შეადგენდა (საქართველოს მთავრობა და გაეროს განვითარების პროგრამა, 2014). 2018 წელს კი საქართველოში მცხოვრები ბავშვების ერთ პროცენტს აღენიშნებოდა წონაში ზომიერად ან მკვეთრად გამოხატული გამოფიტვა (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2019). თუმცა უკიდურესი შიმშილი და არასრულფასოვანი კვება რჩება განვითარების დიდ ბარიერად ბევრ ქვეყანაში. 2017 წლის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით 821 მილიონი ადამიანი იღებდა ქრონიკულად არასაკმარის კვებას, რაც, ხშირ შემთხვევაში, გარემოს დეგრადაციის, გვალვისა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის პირდაპირი შედეგია (UNDP, 2023). ბოლო მონაცემებით,

ყოველ ოთხ წამში ერთი ადამიანი შიმშილით კვდება და ყოველდღიურად ეს რიცხვი 25.000 ადამიანს უახლოვდება (UN, 2023).

SDG მიზნად ისახავს 2030 წლისთვის აღმოფხვრას შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების ყველა ფორმა, რათა ყველა ადამიანს, განსაკუთრებით ბავშვებს, ჰქონდეთ საკმარისი და ნოყიერი საკვები მთელი წლის განმავლობაში. ეს გულისხმობს მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას, მცირე ფერმერების მხარდაჭერას და მიწაზე, ტექნოლოგიებსა და ბაზრებზე ქვეყნებისა და თემების თანაბარ ხელმისაწვდომობას (UNDP, 2023).

მიზანი 3: *ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის*

ჯანდაცვის სისტემების განვითარებამ განაპირობა სიკვდილიანობის შემცირება და სიცოცხლის ხანგრძლივობის მკვეთი ზრდა მთელს მსოფლიოში. შემცირდა ჩვილთა და დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლებიც. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, საქართველომ მიაღწია ათასწლეულის განვითარების მიზანს ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების თვალსაზრისით, თუმცა ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (11,4 ყოველ 1000 დაბადებულ ბავშვზე) ჯერ კიდევ მაღალია და ორჯერ აღემატება იმავე საშუალო მაჩვენებელს ევროკავშირის ქვეყნებში (გაეროს ბავშვთა ფონდი, n.d.). ამ თვალსაზრისით, ჯერ კიდევ დიდი განსხვავებაა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს შორის. არათანაბარი პროგრესი როგორც რეგიონებს და ქვეყნებს შორის, ისე მათ შიგნით, დიდ გამოწვევად რჩება მსოფლიო მასშტაბით. ამის კიდევ ერთი მაგალითია ქვეყნებში სიცოცხლის განსხვავებული ხანგრძლივობა, რომელიც, ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებში, 31 წლით განსხვავდება. კარგი ჯანმრთელობა აუცილებელია მდგრადი განვითარების არა მხოლოდ მესამე, არამედ არაერთი სხვა მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, ჯანდაცვის სფეროში მრავალსექტორული, უფლებებზე დაფუძნებული და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების დანერგვა აუცილებელია უთანასწორობის შესამცირებლად, მზარდი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, სიღარიბის აღმოსაფხვრელად და ა.შ. (UNDP, 2023).

მიზანი 4: *ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის*

2000 წლიდან მსოფლიოში საგრძნობლად გაუმჯობესდა მიღწევები საყოველთაო დაწყებითი განათლების მხრივ. განვითარებად რეგიონებში ჩარიცხვის საერთო მაჩვენებელმა 2015 წელს 91 პროცენტს მიაღწია, ხოლო მსოფლიო მასშტაბით სკოლიდან გამოსული ბავშვების რაოდენობა თითქმის განახევრდა. ასევე მკვეთრად გაიზარდა წიგნიერების მაჩვენებლები და განათლების პროცესში ჩართული გოგონების რაოდენობა. საქართველოში, საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე (სადოქტორო დონის ჩათვლით) მეტ-ნაკლებად თანაბარი ჩართულობის მიუხედავად, სფეროს ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქვეყანა სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს პრაქტიკაში მის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს განათლების სისტემაში ქალთა თანაბარი უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვასთან დაკავშირებით (გორგაძე, 2015).

ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა განსაკუთრებით რთული იყო ზოგიერთ განვითარებად რეგიონში სიღარიბის მაღალი დონის, შეიარაღებული კონფლიქტებისა და სხვა საგანგებო

სიტუაციების გამო. თუმცა, მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, კვლავ დიდია უთანასწორობა ღარიბ და მდიდარ ოჯახებს, სოფლებსა და ქალაქებს, ქვეყნებსა და რეგიონებს შორის. მაგალითად, ღარიბი შინამეურნეობების ბავშვები ოთხჯერ უფრო ხშირად ტოვებენ სკოლას, ვიდრე უმდიდრესი ოჯახების ბავშვები.

ყველასთვის ინკლუზიური და ხარისხიანი განათლება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია. ეს მიზანი უზრუნველყოფს, რომ ყველა გოგომ და ბიჭმა დაასრულოს უფასო დაწყებითი და საშუალო სკოლა 2030 წლისთვის. ის ასევე მიზნად ისახავს, უზრუნველყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა პროფესიულ ტრენინგზე, აღმოფხვრას გენდერული და კლასობრივი უთანასწორობა და მიაღწიოს საყოველთაო ხელმისაწვდომობას ხარისხიან უმაღლეს განათლებაზე (UNDP, 2023).

მიზანი 5: *გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება*

ქალებისა და გოგონების მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის შეწყვეტა არ არის მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლება, არამედ მდგრადი მომავლის აუცილებელი კომპონენტია. დადასტურებულია, რომ ქალებისა და გოგონების გაძლიერება ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით ბოლო ათწლეულებში სკოლაში უფრო მეტი გოგონა სწავლობს და შრომის ბაზარზე უფრო მეტი ქალია, ვიდრე ოდესმე, ზოგიერთ რეგიონში გენდერული უთანასწორობა კვლავ ძალიან მწვავე პრობლემად რჩება. ხშირია სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია, ოჯახში ძალადობა, დისკრიმინაცია სამსახურში. კლიმატის ცვლილება და კატასტროფები, კონფლიქტები და მიგრაცია ასევე არაპროპორციულ გავლენას ახდენს ქალებსა და გოგონებზე (UNDP, 2023).

საქართველოში განხორციელებული კვლევების მიხედვით, გენდერული თანასწორობის მიღწევა კვლად გამოწვევად რჩება. მაგალითისთვის, დაბალია ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის მაჩვენებელი. საოჯახო ვალდებულებები და რელევანტური სამუშაო ადგილების არარსებობა ხელს უშლის ქალებს, იმუშაონ სრულ განაკვეთზე, მიიღონ თანაბარი ანაზღაურება და სრულფასოვნად ისარგებლონ არსებული ბენეფიტებით. 2017 წლის მონაცემებით, შესწორებული საათობრივი გენდერული სახელფასო სხვაობა 24.8 პროცენტი იყო (საქართველოს მთავრობა, 2021). გამოწვევად რჩება სქესის ნიშნით სელექციური აბორტის, ადრეული ქორწინების და სხვა პრობლემები და ამ საკითხებზე დაზუსტებული სტატისტიკის არქონა. მაგალითად, არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში მცხოვრები ქალების 14 პროცენტი 18 წლის შესრულებამდე დაქორწინდა. თუმცა მონაცემები ვერ იქნება სრული, რადგან ნაადრევი ქორწინება ხშირად არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2023).

მიზანი 6: *წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა*

წყლის დეფიციტი, რომელიც ტემპერატურის მატებასთან ერთად, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაღრმავდება, გავლენას ახდენს მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტზე. ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის ყოველი მეოთხე ადამიანისთვის წყლის უკმარისობა პრობლემა იქნება. 2030 წლისთვის სასმელი წყლით უსაფრთხო და ხელმისაწვდომი უზრუნველყოფა ყველასთვის მოითხოვს ინვესტირებას ადეკვატურ ინფრასტრუქტურაში, სანიტარიული საშუალებებით მოსახლეობის უზრუნველყოფას და პი-

რადი ჰიგიენის წახალისებას. ასევე, აუცილებელია წყალთან დაკავშირებული ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა. უნივერსალური უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სასმელი წყლის უზრუნველყოფა გულისხმობს 800 მილიონზე მეტი ადამიანის ძირითადი სერვისებით უზრუნველყოფას. რაც შეეხება სანიტარიული ნორმების უზრუნველყოფას, გაეროს განვითარების პროგრამის 2023 წლის ანგარიშის თანახმად, მსოფლიო მასშტაბით, 4,5 მილიარდ ადამიანს არ გააჩნია უსაფრთხოდ მართული სანიტარიული მომსახურება, ხოლო 2,3 მილიარდს კი – ელემენტარული სანიტარიული პირობები (UNDP, 2023).

მიზანი 7: *ხელმისაწვდომ, საიმედო, სტაბილურ და თანამედროვე ენერგიაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა*

2000-დან 2018 წლამდე ელექტროენერგიაზე წვდომის მქონე ადამიანების რაოდენობა 78-დან 90 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო ელექტროენერგიის გარეშე მყოფთა რიცხვი 789 მილიონამდე შემცირდა. 2018 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 99 პროცენტს ჰქონდა წვდომა ელექტროენერგიაზე (მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, 2018). ამჟამად ეს მონაცემი 100 პროცენტს მიუახლოვდა. მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის მიმდინარე ზრდა, ზრდის ელექტროენერგიაზე მოთხოვნას და წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებული ეკონომიკის გაფართოებას, რაც კიდევ უფრო ამწვავებს კლიმატურ ცვლილებებს. მზის, ქარისა და თერმული ენერგიის გამომუშავებაში ინვესტირება, ტექნოლოგიების განახლება ყველა ქვეყანაში სუფთა და ეფექტური ენერგიის უზრუნველსაყოფად, ხელს შეუწყობს მოცემული მიზნის მიღწევას და დაეხმარება გარემოს აღდგენასა და მდგრად განვითარებას (UNDP, 2023).

მიზანი 8: *სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის*

ბოლო 25 წლის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ დასაქმებულ პირთა რიცხვი. ასევე გაზრდილია საშუალო კლასის წარმომადგენელთა პროცენტული რაოდენობა (UNDP, 2023).

თუმცა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2015 წელს 204 მილიონზე მეტი ადამიანი უმუშევარი იყო; ექვს მილიონზე მეტი დასაქმებული კი – ღარიბი. SDG დამტკიცების მომენტისთვის, ოფიციალური მონაცემებით, საქართველომ ბოლო 12 წლის მანძილზე უმუშევრობის ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია და 12 პროცენტი შეადგინა (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016). 2024 წლის მეორე კვარტალში ეს მონაცემი 13.7 პროცენტს გაუტოლდა (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024).

SDG მიზნად ისახავს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, პროდუქტიულობის მატებას და ტექნოლოგიურ ინოვაციებს. ამისთვის საკვანძოა მეწარმეობის წახალისება და სამუშაო ადგილების შექმნა, ისევე, როგორც ეფექტური ზომების გატარება იძულებითი შრომის, მონობისა და ადამიანებით ვაჭრობის აღმოსაფხვრელად. SDG მიზანია 2030 წლისთვის ყველა ქალისა და მამაკაცის სრული და პროდუქტიული დასაქმებისა და ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა (UNDP, 2023).

მიზანი 9: *მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა*

ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში და ინოვაციებში ეკონომიკური ზრდისა და განვითარების გადამწყვეტი მამოძრავებელი ძალაა. ვინაიდან მსოფლიოს მოსახლეო-

ბის ნახევარზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტი და განახლებადი ენერგია, ასევე, ახალი ინდუსტრიების და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ზრდა. საგულისხმოა, რომ, ჯერჯერობით, ოთხ მილიარდზე მეტ ადამიანს, რომელთა 90 პროცენტი განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს, არ აქვს ინტერნეტთან წვდომა. 2015 წელს საქართველოში ინტერნეტით მოსარგებლე ინდივიდთა პროცენტული მაჩვენებელი 45.2 შეადგენდა (გოგია და მაჭარაძე, 2018). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წელს ინტერნეტით უზრუნველყოფილია ქვეყნის შინამეურნეობების 91.5 პროცენტი (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024).

ამ ციფრული განხეთქილების გადალახვა გადამწყვეტია ინფორმაციისა და ცოდნის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, ინოვაციებისა და მეწარმეობის ხელშეწყობისთვის. ტექნოლოგიური პროგრესი საკვანძოა როგორც ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადასაჭრელად, ისე ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, ენერგოეფექტურობის, განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ხელშესაწყობად (UNDP, 2023).

მიზანი 10: *უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის*

ბოლო ათწლეულების განმავლობაში შემოსავლის უთანასწორობა თითქმის ყველგან იზრდება, მაგრამ სხვადასხვა სიჩქარით. მსოფლიოს უმდიდრეს 10 პროცენტს აქვს გლობალური შემოსავლის 40 პროცენტი, ხოლო ღარიბი 10 პროცენტი იღებს შემოსავლების მხოლოდ 2-7 პროცენტს. უთანასწორობა ყველაზე დაბალია ევროპაში და ყველაზე მაღალი ახლო აღმოსავლეთში. 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში შემოსავლების უთანასწორობის ე.წ. ჯინის კოეფიციენტი, ანუ მათემატიკური ინდექსი, რომელიც გამოიყენება შემოსავლების განაწილების უთანასწორობის გასაზომად, 0.39 შეადგენდა (0 აღნიშნავს ყველაზე თანასწორ მდგომარეობას, ხოლო 1 კი – უთანასწოროს). 2023 წელს ეს მონაცემი 0,36 იყო (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024). საქართველოში დაფიქსირებული ჯინის კოეფიციენტი, ისევე, როგორც სიღარიბის მაჩვენებელი, აღემატება შედარებისთვის გამოყენებული „მსგავსი ქვეყნების“ იმავე მონაცემებს 2020 წელს (German Economic Team, 2020). კონკრეტული შეფასებისთვის მსგავს ქვეყნებად ჩაითვალა მსოფლიო ბანკის მიერ აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში განვითარებად ქვეყნებად მიჩნეული ქვეყნების ჯგუფი, რომელთაც აქვთ სოციალისტური წყობის ისტორია.

მზარდ უთანასწორობაზე პასუხი მოითხოვს ჯანსაღი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს დაბალი შემოსავლის მქონე პირების ეკონომიკურ ჩართულობას, მიუხედავად მათი სქესისა, რასისა და ეთნიკური წარმომავლობისა. შემოსავლის უთანასწორობის შესამცირებლად ასევე საჭიროა ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების რეგულირება და მონიტორინგის გაუმჯობესება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისება იმ რეგიონებში, სადაც ამის ყველაზე დიდი საჭიროება არსებობს (UNDP, 2023).

მიზანი 11: *ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება*

მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს. 2022 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტი ქალაქებში ცხოვრობს

(თსუ, 2022; სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024). 2050 წლისთვის მთელი კაცობრიობის ორი მესამედი, ანუ დაახლოებით 6,5 მილიარდი ადამიანი იცხოვრებს ქალაქის ტიპის დასახლებებში. მოსახლეობის ზრდისა და მზარდი მიგრაციის შედეგად ქალაქების სწრაფმა ზრდამ, გამოიწვია მეგაქალაქების ბუმი, განსაკუთრებით განვითარებად სამყაროში, თუმცა ღარიბი უბნები კვლავ რჩება ურბანული ცხოვრების მნიშვნელოვან მახასიათებლად. ქალაქების მდგრადი განვითარება გულისხმობს კარიერისა და ბიზნესის შესაძლებლობების გაძლიერებას, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საცხოვრებლის, მედეგი საზოგადოებებისა და ეკონომიკის შექმნას. ის გულისხმობს ინვესტიციებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მწვანე საჯარო სივრცეების შექმნას, ურბანული დაგეგმარებისა და მართვის გაუმჯობესებას თანამონაწილეობრივი და ინკლუზიური გზებით (UNDP, 2023).

მიზანი 12: *მდგრადი მოხმარება და წარმოება*

ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების მისაღწევად საჭიროა აქტიურად შემცირდეს მსოფლიო მოსახლეობის ეკოლოგიური კვალი, საქონლისა და რესურსების წარმოებისა და მოხმარების შეცვლის გზით. აუცილებელია პლანეტის საერთო ბუნებრივი რესურსების ეფექტური მენეჯმენტი და ტოქსიკური ნარჩენების და დამაბინძურებლების მართვის გზების დახვეწა, მრეწველობის, ბიზნესისა და მომხმარებლების წახალისება, რათა მათ გადაამუშაონ და შეამცირონ ნარჩენები. ასევე საჭიროა საკვების ნარჩენების შემცირება საცალო და საწარმოო დონეზე, რათა ხელი შეეწყოს სასურსათო უსაფრთხოების მიღწევასა და უთანასწორობის აღმოფხვრას (UNDP, 2023).

მიზანი 13: *კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება*

პლანეტის ყველა ქვეყანა განიცდის კლიმატის ცვლილების მკვეთრ შედეგებს. კლიმატთან დაკავშირებული კატასტროფების საშუალო წლიური ეკონომიკური ზარალი ასობით მილიარდ დოლარს შეადგენს. კიდევ უფრო საგულისხმოა ადამიანური დანაკარგი. 1998-2017 წლებში კლიმატურ ცვლილებებს ემსხვერპლა 1,3 მილიონი ადამიანი, 4,4 მილიარდი კი დაშავდა (UNDP, 2023).

ძლიერი პოლიტიკური ნების, გაზრდილი ინვესტიციების და არსებული ტექნოლოგიის გამოყენებით, ჯერ კიდევ შესაძლებელია შეიზღუდოს გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდა პრეინდუსტრიული ტემპერატურიდან ორი გრადუსის ფარგლებში, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად. თუმცა აღნიშნული მოითხოვს დროულ და მასშტაბურ ქმედებებს. ასევე უნდა გაიზარდოს განსაკუთრებით მოწყვლადი რეგიონების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მე-13 მიზნის, არამედ მდგრადი განვითარების სხვა მიზნების მიღწევას (UNDP, 2023).

მიზანი 14: *ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის*

მსოფლიო ოკეანეების ტემპერატურა და ქიმიური შემადგენლობა დიდწილად განსაზღვრავს გლობალური სისტემების ფუნქციონირებას. ოკეანეები შთანთქავენ ადამიანის მიერ წარმოებული ნახშირორჟანგის დაახლოებით 30 პროცენტს, რამაც, ინდუსტრიული რევოლუციის დაწყების შემდეგ, ოკეანის მჟავიანობის 26-30 პროცენტით

გაზრდა გამოიწვია (National Oceanic and Atmospheric Administration, 2024). წყლის დაბინძურება, რომლის უდიდესი ნაწილი ხმელეთიდან ხდება, საგანგაშო დონეს აღწევს. შედეგად ხდება საზღვაო და სანაპირო ბიომრავალფეროვნების შემცირება, მათ შორის, თევზის ოდენობის მკვეთრი კლება. შესაბამისად, ის, თუ როგორ იმართება ოკეანის სასიცოცხლო რესურსი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კაცობრიობის ფუნქციონირებაზე.

SDG-ების მიზანია საზღვაო და სანაპირო ეკოსისტემების მდგრადი მართვა და დაცვა. საერთაშორისო სამართლის საშუალებით ოკეანის რესურსების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება ხელს შეუწყობს ოკეანეებისა და ზღვების წინაშე არსებული ზოგიერთი გამოწვევის შემცირებას.

მიზანი 15: *ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება*

ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებულია დედამიწაზე, როგორც საარსებო წყაროზე და საცხოვრებელ ადგილზე. დედამიწაზე არსებული ფაუნა და ფლორა უზრუნველყოფს ადამიანების საკვების 80 პროცენტს. ტყეები, რომელიც მოიცავს დედამიწის ზედაპირის 30 პროცენტს, უზრუნველყოფს სასიცოცხლო ჰაბიტატს (ცოცხალი ორგანიზმების საცხოვრებელი გეოგრაფიული არეალი) მილიონობით სახეობისთვის და მნიშვნელოვანი წყაროა სუფთა ჰაერისა და წყლისთვის. თუმცა, ყოველწლიურად იკარგება ტყის 13 მილიონი ჰექტარი. ეროზიის შედეგად ნადგურდება 17 მილიონ ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწა; კიდევ ოთხ მილიონ ჰექტარამდე, დამლაშებისა და ალკალინიზაციის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ დედამიწის ტერიტორიის 15 პროცენტი დაცულია, ბიომრავალფეროვნება კვლავ დიდი რისკის ქვეშ იმყოფება. ადგილი აქვს თითქმის 7000 სახეობის ცხოველითა და მცენარით უკანონო ვაჭრობას, რაც არა მხოლოდ ანადგურებს ბიომრავალფეროვნებას, არამედ აძლიერებს კონფლიქტებს და კვებავს კორუფციას (United Nations Office on Drugs and Crime, 2024).

აუცილებელია გადაუდებელი ზომების მიღება, რათა დროულად მოხდეს ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ბიომრავალფეროვნების შემცირების შეჩერება. ეს კი ხელს შეუწყობს გლობალურ სურსათისა და წყლის უსაფრთხოებას, კლიმატის ცვლილების შერბილებას და ადაპტაციას, მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

მიზანი 16: *მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე*

მდგრადი განვითარების მიღწევა შეუძლებელია მშვიდობის, სტაბილურობის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ეფექტური მმართველობის გარეშე. თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონს შორის დიდია უთანასწორობა, რომელიც თანდათან ღრმავდება. შეიარაღებული ძალადობა და დაუცველობა დესტრუქციულ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე, აფერხებს ეკონომიკურ ზრდას და იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას. კონფლიქტის ზონებში და ქვეყნებში, სადაც შეზღუდულია კანონის უზენაესობა, ასევე ხშირია ტრეფიკინგი, სექსუალური ძალადობა, დანაშაული, ექსპლუატაცია და წამება.

SDG-ები მიზნად ისახავს მნიშვნელოვნად შეამციროს ძალადობის ყველა ფორმა და იმუშაოს მთავრობებთან და თემებთან კონფლიქტის, დაუცველობისა და უთანასწორობის დასასრულებლად. ასევე აუცილებელია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობა, უკანონო იარაღის ნაკადის შემცირება და განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობის გაძლიერება გლობალური მმართველობის ინსტიტუტებში.

მიზანი 17: *პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად*

SDG-ების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ძლიერი გლობალური პარტნიორობითა და თანამშრომლობით. სამყარო უფრო ურთიერთდაკავშირებულია, ვიდრე ოდესმე. ტექნოლოგიებისა და ცოდნის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება წარმოადგენს ინოვაციების ხელშეწყობის და განვითარებისთვის აუცილებელი პოლიტიკის კოორდინირებულად დანერგვის მნიშვნელოვან გზას. SDG მიზნების მისაღწევად ასევე საჭიროა ჩრდილოეთ-სამხრეთის და სამხრეთ-სამხრეთის თანამშრომლობის გაღრმავება, საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა, განვითარებადი ქვეყნებიდან პროდუქციის ექსპორტის ზრდა და სამართლიანი სავაჭრო სისტემის დამკვიდრება.

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგში გაწერილი ჩვიდმეტივე მიზანი და ყველა ინდიკატორი თანაბარი რანგისაა და ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. მათი შესაბამისობა თითოეული ქვეყნისა და გეოგრაფიული რეგიონის საჭიროებებთან დამატებით არის განსაზღვრული და გამყარებული ეროვნული მთავრობების მიერ დამტკიცებული ეროვნული დოკუმენტებით, რომელთა მიზანია გლობალური მიზნების ქვეყნის დონეზე განხორციელების ხელშეწყობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეროვნული პოლიტიკის დანერგვა. ამგვარი დოკუმენტი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მომზადდა 2019 წელს და ის მოიცავს სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო, აკადემიური და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობით მისაღწევ სამიზნე მაჩვენებლებს (საქართველოს მთავრობა, 2015). საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი თანაზომიერად ეხება მდგრადი განვითარების სამ განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურს და გარემოსდაცვითს და წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანების და ინდიკატორების განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადაც საქართველომ უნდა უზრუნველყოს ეროვნული და სექტორული პოლიტიკის დაგეგმვა 2030 წლამდე.

2030 წლის დღის წესრიგის ამბიციურობა და მიზნების განხორციელების სირთულე გამოიკვეთა გაეროს არაერთ სპეციალურ ანგარიშში (UN, 2018; UNDESA, 2019; UN, 2020; UN, 2023). საგულისხმოა კოვიდ-19 პანდემიის შემდგომი ანგარიში, რომლის თანახმადაც, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ, კლიმატის ცვლილებებმა, უკრაინის ომმა და სხვა კატაკლიზმებმა საგრძნობლად შეაფერხა მიზნებისკენ პროგრესი (Global Civil Society Report, 2021). არსებობს ვარაუდი, რომ მხოლოდ პანდემიამ, რომელმაც უდიდესი ზიანი მოუტანა ჩვენი პლანეტის მოსახლეობას და კიდევ უფრო გაზარდა უთანასწორობა ძალიან მდიდარ და სიღარიბეში მცხოვრებ უმრავლესობას შორის, შესაძლოა 5-10 წლით გაახანგრძლივოს ამოცანების მისაღწევად საჭირო დრო (IFSW, 2021). მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვაში პროგრესის ნაკლებობა უნივერსალური გამოწვევაა მსოფლიოს ყველა რეგიონისა და ქვეყნისთვის. თუმცა საყურადღებოა ის გარემოება, რომ პანდემიის დროს მიზნების მიღწევა მეტად შეფერხდა განსაკუთრებით დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, რომელთა ყველაზე ღარიბი

და დაუცველი მოსახლეობის ფენები განიცდიან უპრეცედენტო გლობალურ გამოწვევებს (UN, 2023).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტის (UNDESA) მდგრადი განვითარების მიზნების განყოფილება (DSDG) უზრუნველყოფს გლობალური მდგრადი განვითარების ანგარიშების შემუშავებას. DSDG ასევე ასრულებს წამყვან როლს გაეროს სისტემაში 2030 წლის დღის წესრიგის კოორდინირებულად განხორციელების შეფასებასა და ადვოკატირებაში. იმისათვის, რომ მდგრადი განვითარების მიზნები რეალობად იქცეს, აუცილებელია მათ განსახორციელებლად ყველა დაინტერესებული მხარის გაერთიანება და მათი მხრიდან მტკიცე ვალდებულების უზრუნველყოფა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და სოციალურ მუშაობაში გამოყენებული ძირითადი ტერმინები და კონცეფციები

SDG ინსტრუმენტის ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად, სოციალური მუშაობის გლობალური ორგანიზაციები საჭიროდ მიიჩნევენ გამოიკვეთოს სოციალურ მუშაობაში და SDG-ში გამოყენებული ისეთი ძირითადი ტერმინების ურთიერთკავშირი, როგორებიცაა: მდგრადობა, კლიმატის ცვლილება, განვითარება, მიზნები. IFSW-ს მიერ 2021 წელს შემუშავებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ მდგრადობა სოციალურ მუშაობაში გულისხმობს პოლიტიკის ისეთ ფორმას, რომელიც გვთავაზობს მიმდინარე და მომავალი თაობების ეკოსისტემის, მათ შორის, ადამიანებისა და ბუნების კეთილდღეობისთვის გრძელვადიან გადაწყვეტილებებს. მდგრადობა ასევე მოიცავს მიდგომებს, რომლითაც შეგვიძლია შევამციროთ ჩვენი ეკოლოგიური ანაბეჭდი და მოხმარების ხასიათი, რათა შევამციროთ გარემოსთვის და ადამიანებისთვის მიყენებული ზიანი და ამის შედეგად წარმოქმნილი უსამართლობა. ეკოლოგიური ანაბეჭდი არის იმ ზიანის შეფასება, რომელსაც ჩვენ ვაყენებთ სამყაროს ენერგიის, საკვების, მიწისა და წყლის მოხმარებისას (IFSW, 2021).

კლიმატის ცვლილება გულისხმობს ტემპერატურისა და ამინდის გრძელვადიან ცვლილებას. ეს ბუნებრივი პროცესია, თუმცა ჩვენს ეპოქაში კლიმატის ცვლილებამ მიაღწია ისეთ მასშტაბებს, რომ მიმდინარე ტენდენციების შენარჩუნებამ შეიძლება გამოიწვიოს უპრეცედენტო ბუნებრივი კატასტროფები. სახეზეა წყლის, ნიადაგის, ჰაერის დაბინძურება მოგზაურობის, სამრეწველო ნარჩენების, არსებული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის, ნიადაგის ეროზიის, გაუდაბნოების და ადამიანების სხვა მავნე ქმედებების შედეგად (IFSW, 2021). კლიმატის ცვლილებასა და მდგრადობაზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია ამავე სახელმძღვანელოს მე-16 თავში, სათაურით: სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა გარემოსდაცვითი გამოწვევების საპასუხოდ.

სოციალური მუშაკებისთვის განვითარებაში არ იგულისხმება მხოლოდ ეკონომიკური განვითარება. სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ ადამიანების მცირე ჯგუფის მიერ, უმრავლესობის ხარჯზე, მოგების მიღება წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების უარყოფით ნიშანს. განვითარება კი არის ცვლილებების დინამიკური, ყოვლისმომცველი პროცესი ადამიანში, ჯგუფებში ან საზოგადოებაში, რომელიც მიზნად ისახავს თანაზომიერ და მდგრად კეთილდღეობას როგორც ადამიანებისთვის, ისე პლანეტისთვის (IFSW, 2021).

სოციალური მუშაობა, პროფესიის გლობალური დღის წესრიგის, სოციალური მუშაობის გლობალურ დეფინიციასა და ეთიკის კოდექსის ფარგლებში, ისახავს საკუთარ მიზნებს. სოციალური მუშაობის მიზნები ორიენტირებულია ინდივიდებსა და საზოგადოებაზე, მოითხოვს თანამონაწილეობას და სოციალური მუშაობის კლიენტების საჭიროებების სრულფასოვნად გათვალისწინებას (IFSW, 2021).

პარტნიორობა და თანამშრომლობითი ურთიერთობები წარმოადგენს სოციალური მუშაობის ერთ-ერთ წამყვან პრინციპს. იმავდროულად, გაეროს 2030 წლის დღის წესრიგი განიხილავს პარტნიორობას, როგორც ერთ-ერთ მიზანს (მიზანი 17) და ასევე, ყველა სხვა მიზნის განსახორციელებლად საჭირო მიდგომას. მათ მისაღწევად საჭირო მდგრადი და ეფექტური გადაწყვეტილებები და ქმედებები მოითხოვს ჰოლისტურ და მრავალსექტორულ ინტერვენციებს ინდივიდების, საზოგადოების, მთავრობებისა და გლობალურ დონეებზე (IFSW, 2021). პარტნიორობა ასევე გულისხმობს ცოდნისა და შეხედულებების გაცვლას, ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებასა და, მდგრადი ცვლილებების მისაღწევად, ერთობლივი ქმედებების განხორციელებას.

თემები, როგორებიცაა: სოციალური და კლიმატური სამართლიანობა, თანასწორობა, გაძლიერება და პარტნიორობა წარმოადგენს სოციალური მუშაობის ძირითად ელემენტებს და, შესაბამისად, სოციალურ მუშაკებს აქვთ პარტნიორობისა და გაძლიერების უზრუნველსაყოფად საჭირო კომპეტენციები, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ამ პროფესიონალების SDG მიღწევაში ჩართულობას (IFSW, 2021). ჩამოთვლილი მიზნების მიღწევა მოითხოვს ცვლილებებს როგორც ზემოდან ქვევით (top-down), ისე ქვემოდან ზევით (bottom-up). სოციალური მუშაობის გლობალური პროფესიული ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ სოციალური მუშაკებისთვის დამახასიათებელი ქვემოდან ზევით მიდგომის კომბინაცია გაეროს SDG-ისთვის მეტად დამახასიათებელ ზემოდან ქვევით მიდგომასთან ქმნის პოტენციალს, დაახლოვოს საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკა და ყოველდღიური პრაქტიკა. მთავრობების მზადყოფნა, გააფართოონ მულტიდისციპლინური და ტრანსდისციპლინური პარტნიორობა, მაგალითად, ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა სოციალური მუშაობის ეროვნული ასოციაციები, ქმნის უკეთესი და მდგრადი შედეგების მიღწევის შანსებს (IFSW, 2021).

სოციალური მუშაობა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები

2030 წლის დღის წესრიგი მკაფიოდ გამოკვეთს ადამიანებისთვის და პლანეტისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას და დასახული მიზნების მისაღწევად პარტნიორობის მნიშვნელობას. შესაბამისად, მდგრადი განვითარების მიზნები ნათელს ხდის აუცილებლობას, სოციალურმა მუშაკებმა და სოციალური დაცვის სფეროს სხვა პროფესიონალებმა დააკავშირონ თავისი საქმიანობის ადამიანური და გარემოსდაცვითი განზომილებები სოციალური და გარემოსდაცვითი სამართლიანობისა და მდგრადი განვითარების სხვა მიზნების მისაღწევად და, ერთმანეთთან და თემების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, იმუშაონ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციული ცვლილებების განსახორციელებლად (Shatberashvili & Sadzaglishvili, 2022). SDG ასევე ხაზს უსვამს სხვადასხვა დონის აქტორების, მათ შორის პრაქტიკოსების, მკვლევრების, აკადემიური პერსონალის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, მთავრობების გაერთიანების მნიშვნელობას მსოფლიოსთვის

ყველაზე მწვავე სოციალური, ეკონომიკური, ჯანდაცვისა და გარემოსდაცვითი პრობლემების ერთობლივად გადასალახად.

SDG-ებზე დაყრდნობით, სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის (IASSW), სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციისა (IFSW) და სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭოს (ICSW) მიერ შემუშავებულ იქნა სოციალური მუშაობისა და სოციალური განვითარების გლობალური დღის წესრიგი 2020-2030. დღის წესრიგი მიზნად ისახავს მთელს მსოფლიოში სოციალური განვითარებისთვის ძალისხმევის გაერთიანებას და ხაზს უსვამს სოციალური მუშაკების როლს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში (IFSW, 2014). გლობალურ დონეზე, ეს ორგანიზაციები იღებენ ვალდებულებას SDG მხარდასაჭერად განახორციელონ ხუთი სტრატეგია, კერძოდ, ხელი შეუწყონ სოციალურ და ეკონომიკურ თანასწორობას, უზრუნველყონ ადამიანების ღირსება, ხელი შეუწყონ თემების მდგრად და ეკოლოგიურად მგრძნობიარე განვითარებას, ხელი შეუწყონ კეთილდღეობას მდგრადი ადამიანური ურთიერთობების მეშვეობით და უზრუნველყონ საჭირო გარემო ეფექტური პრაქტიკისა და განათლებისთვის (IFSW, 2014). ორგანიზაციებმა ერთობლივად განაცხადეს: „ჩვენ სხვებთან ერთად ვიბრძოლებთ ხალხზე ორიენტირებული, რეგულირებული გლობალური ეკონომიკისთვის, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ სამართლიანობას, ადამიანის უფლებებს და მდგრად განვითარებას“ (IFSW, 2014, p. 3).

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში სოციალური მუშაკების ჩართვა გულისხმობს როგორც ცალკეული პროფესიონალების, ისე სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამების, ეროვნული პროფესიული ასოციაციების და გლობალური პროფესიული ორგანიზაციების ჩართულობას. სამიზნე ადამიანებისა და თემების მიმართ სენსიტიურობა, ურთიერთნდობის არსებობა, საჭიროებების ცოდნა საშუალებას აძლევს სოციალურ მუშაკებს, გავლენა მოახდინონ პოლიტიკის შემქმნელთა გადაწყვეტილებებზე და ინდივიდების, თემებისა და მათი გარემოს საკეთილდღეო სისტემებისა და მომსახურებების შექმნაზე. სოციალური მუშაობის მიდგომები, რომლებიც მხარს უჭერს საზოგადოების გაძლიერებას, ზრდის სოციალურ ინკლუზიას და აძლიერებს სოციალურ ურთიერთობებს, შესაბამისობაშია სოციალური მუშაობისა და სოციალური განვითარების გლობალური დღის წესრიგის მეოთხე სვეტთან, რომელიც ფოკუსირებულია ადამიანური ურთიერთობების მნიშვნელობის აღიარებაზე (Nhamo & Mjimba, 2020). SDG განხორციელებაში სოციალური მუშაკების ჩართულობა ასევე იძლევა შესაძლებლობას შეიქმნას ადგილობრივი მტკიცებულებები ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ ტრანსფორმაციების ეფექტურობისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მხრივ არსებული გამოწვევების შესახებ (Jayasooria, 2016).

სოციალური მუშაობის პროფესიული თემი ასევე მოწოდებულია ითანამშრომლოს ტრანსნაციონალურ კოალიციებთან და ალიანსებთან, რომლებიც ხშირად წარმოადგენენ გარემოსდაცვით და ადამიანის უფლებების დარღვევებზე პასუხისმგებელ აქტორებს. მათი როლია ამ აქტორებს შორის ცნობიერების გაზრდა ადამიანების გაძლიერების, უფლებების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, სოციალური ინკლუზიისა და განვითარების მნიშვნელობაზე. ასევე ადვოკატობა გაზრდის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი სამართლიანობის მისაღწევად საჭირო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას (Post-2015 Women’s Coalition, 2015). ამ მიმართულებით მუშაობისთვის, სოციალურმა მუშაკებმა უნდა გააცნობიერონ იმ პრობლემების გლობა-

ლური განზომილება, რომელსაც ისინი აწყდებიან საკუთარ ქვეყნებში (Ife, 2012). ასევე მათ უნდა გააანალიზონ გლობალური მაკროეკონომიკური გადაწყვეტილებების გავლენა მათი კლიენტების ცხოვრებაზე (IFSW, 2014).

ინდივიდების, თემებისა და გარემოზე მათი საერთო აქცენტების გარდა, SDG და სოციალურ მუშაკებს აერთიანებთ ძირითადი სამიზნე ჯგუფები, როგორებიც არიან: ქალები, ბავშვები, ახალგაზრდები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები, იძულებით გადაადგილებული პირები, მიგრანტები და ლტოლვილები. ამ ჯგუფებისათვის ასევე საერთოა ღირებულებები, როგორებიცაა: ადამიანის ღირსება, ინკლუზიურობა, მრავალფეროვნების პატივისცემა, თანასწორობა და არადისკრიმინაცია, გაძლიერება, ნდობა, მედეგობა, თვითდახმარება და სრული პოტენციალის რეალიზება.

სოციალური მუშაკების ჩართულობა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში საგულისხმოა მიკრო-, მეზო-, და მაკროდონეებზე. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მაკროდონეზე სოციალურ მუშაობას შეუძლია წვლილი შეიტანოს მიზნების შესრულებაში სოციალური პოლიტიკისა და სოციალური განვითარების დღის წესრიგზე ზემოქმედებით. მაგალითად, სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის ანალიზსა და ფორმულირებაში, რომელიც ეხება სიღარიბის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და გენდერული თანასწორობის სტრუქტურულ განმსაზღვრელ ფაქტორებს, რომლებსაც წამყვანი ადგილი უჭირავთ SDG სხვადასხვა მიზნის მიღწევაში. სოციალურ მუშაკებს ასევე შეუძლიათ ჩაერთონ ისეთი პოლიტიკის ადვოკატობაში და ლობირებაში, რომელიც ხელს უწყობს სოციალური და ეკოლოგიური სამართლიანობის მიღწევას, ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას, არაძალადობრივი და მშვიდობიანი გარემოს შექმნას.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები სოციალური მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამებში

როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ფუნქციონირების გაძლიერებაზე აქცენტით, SDG თანხვედრაშია სოციალური მუშაობის პროფესიის მიზნებთან და ასახავს ინტერვენციების განხორციელებისას ინდივიდებზე, ოჯახებზე, ჯგუფებზე, ორგანიზაციებზე, თემებსა და საზოგადოებაზე ყურადღების გამახვილების მნიშვნელობას. თუმცა აშკარაა ქვეყნის შიგნით ნაციონალიზებული მიზნების მიღწევაში ჩართული პროფესიონალების, მათ შორის, სოციალური მუშაკების ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავება, რისთვისაც საჭიროა აკადემიური სწავლების როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში მდგრადი განვითარების მიზნების ასახვა. IFSW ხაზს უსვამს ამ პროცესის მნიშვნელობას და მოუწოდებს სოციალური მუშაობის სკოლებს სასწავლო გეგმაში 2030 წლის დღის წესრიგის დროულად ასახვას (IFSW, 2016). სოციალური მუშაობის გლობალურმა ორგანიზაციებმა ვალდებულება აიღეს, შეიმუშაონ სოციალური მუშაობის პრაქტიკის და განათლების ისეთი სტანდარტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას (IFSW, 2014).

SDG-ების ინტეგრაცია სოციალური მუშაობის განათლებაში მოითხოვს აკადემიური კურიკულუმის განახლებას, რათა შესაბამის სილაბუსებში აისახოს გლობალური

დღის წესრიგი და მიზნები და ნაციონალური ამოცანები, რომლებიც კავშირშია კონკრეტულ სფეროებში სოციალური მუშაობის საერთაშორისო და ადგილობრივ მანდატთან (მაგ., SDG 3 განხილვა ინტეგრირებული უნდა იყოს ჯანდაცვის სფეროს სოციალური მუშაობის შესახებ კურსებში; SDG 4 – განათლების სფეროში სოციალური მუშაობის კურსებში). გარდა ამისა, საჭიროა SDG თემატიკის ინტეგრირება ზოგადი პრაქტიკის საფუძვლების კურსებშიც. SDG ასევე გამოკვეთს საჭიროებას, გადაილახოს სოციალურ მუშაობაში მიკრო- და მაკროპრაქტიკას შორის არსებული ბარიერები სოციალური მუშაკების ყოველდღიური საქმიანობისა და აკადემიური სწავლების დონეზეც (Rice et al., 2002).

ასევე მნიშვნელოვანია SDG მიზნების განხორციელებაში სოციალური მუშაკების როლის პრაქტიკის ასახვა სწავლების პროცესში. საძაგლიშვილის და შატბერაშვილის 2022 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში დეტალურად არის აღწერილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებში, პრაქტიკის სწავლების ფარგლებში, განხორციელებული სოციალური პროექტები, რომლებიც ემსახურება მაკრო-, მეზო- და მიკროდონეებზე მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად განხორციელებულ აქტივობებს (Shatberashvili & Sadzaglishvili, 2022). მსგავს პროექტებში ჩართულობა განამტკიცებს სოციალური მუშაობის პროგრამების სტუდენტების ცოდნას და ხელს უწყობს უნივერსიტეტებს განახორციელონ მათი ერთ-ერთი მისია – მონაწილეობა მიიღონ SDG დანერგვაში (Shatberashvili & Sadzaglishvili, 2022).

მდგრადი განვითარების მიზნების კომპლექსურობა ასევე აუცილებელს ხდის სოციალური მუშაობის აკადემიურ სწავლებაში ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას ისეთი სფეროების წარმომადგენლებთან, როგორებიცაა: გარემოსდაცვითი მეცნიერება, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეკონომიკა. ინტერდისციპლინური სწავლება განამტკიცებს სოციალური მუშაობის პროგრამების სტუდენტების თეორიულ და პრაქტიკულ უნარებს გამოავლინონ, შეაფასონ და, სხვა პროფესიონალებთან თანამშრომლობით, გადაჭრან კომპლექსური, ურთიერთდაკავშირებული საკითხები.

მაკროპრაქტიკის დონეზე სოციალური მუშაობის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს მალაიზიელი სოციალური მუშაკების ჩართულობა ინიციატივაში, რომელიც მიზნად ისახავდა ღარიბ ურბანულ დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან მუშაობას, რომელთაც ჰქონდათ აკადემიური მოსწრებისა და დასაქმების პრობლემები. წარმოდგენილი სირთულის აღმოფხვრაზე მუშაობამ ხელი შეუწყო SDG მიზნების #1, 3, 4 რამდენიმე ამოცანის შესრულებას და მალაიზიის მთავრობის მიერ გაცხადებული ეროვნული პოლიტიკის შესრულებას, რომლის თანახმადაც, ადამიანებს ცენტრალური ადგილი უჭირავთ ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე (Government of Malaysia, 2015).

თავის შეჯამება

წინამდებარე თავში წარმოდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2015 წელს მიღებული რეზოლუცია – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“. თავში აღწერილია დღის წესრიგის 17 მიზანი, რომლებიც, მათში გაერთიანებულ 169 ამოცანასთან ერთად, თანაბარი რანგისაა და ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან.

სოციალური მუშაობის პროფესიული მიზნები, ღირებულებები, კომპეტენციები და მიკრო-, მეზო- და მაკროპრაქტიკის მეთოდები, ნათელს ხდის მდგრადი განვითარების მიზნებთან მათ ჰარმონიულობას და SDG მიღწევაში სოციალური მუშაკების ჩართულობის აუცილებლობას. SDG-ებზე დაყრდნობით, IASSW, IFSW და ICSW მიერ შემუშავებულ იქნა სოციალური მუშაობისა და სოციალური განვითარების გლობალური დღის წესრიგი 2020-2030, რომელიც მიზნად ისახავს მთელს მსოფლიოში სოციალური განვითარებისთვის ძალისხმევის გაერთიანებას და ხაზს უსვამს სოციალური მუშაკების როლს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. სოციალური მუშაობის გლობალური ვალდებულებები SDG მხარდასაჭერად ყურადღებას ამახვილებს პროფესიისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ისეთ სტრატეგიებზე, როგორებიცაა: სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევა, ადამიანების ღირსების უზრუნველყოფა, თემების მდგრადი და ეკოლოგიურად მგრძნობიარე განვითარება, ადამიანების უფლებებზე დაფუძნებული კეთილდღეობის მიღწევა და ა.შ. თავში განხილულია სოციალური მუშაობის პრაქტიკასა და აკადემიურ განათლებაში მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირების აუცილებლობა და სტრატეგიები.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. რა მიზანს ემსახურება 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის და რა მიზნებს აერთიანებს ის?
2. როგორია საქართველოს ჩართულობა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში და როგორია მიზნების ნაციონალიზების პროცესი?
3. როგორია სოციალური მუშაობის გლობალური ვალდებულებები მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად?
4. სოციალური მუშაობის და მდგრადი განვითარების რომელი ღირებულებები და სამიზნე ჯგუფებია ერთმანეთთან თანხვედრაში?
5. როგორი შეიძლება იყოს სოციალური მუშაკების მაკროპრაქტიკა საქართველოში მდგრადი განვითარების ცალკეული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად?

გამოყენებული ლიტერატურა:

German Economic Team (2020). Income distribution and poverty reduction in Georgia A comparative analysis. GET_GEO_PP_01_2020_en (iset-pi.ge)

Global Civil Society Report on the 2030 Agenda and the SDGs (2021). Spotlight on Sustainable Development. 2030 Spotlight

Government of Malaysia (2015). Eleventh Malaysian Plan (11MP) 2016–2020. Anchoring Growth on People. Kuala Lumpur: Government Printers

Ife, J. (2012). Human rights and social work: Towards right-based practice. Cambridge University Press

IFSW (2014) Global Agenda for Social Work and Social Development http://cdn.ifsw.org/assets/ifsw_23031-6.pdf

IFSW (2016). The role of social work in social protection systems. The Universal right to social protection. Policy Paper. https://www.ifsw.org/the-role-of-social-work-insocial-protection-systems-the-universal-right-to-social-protection

IFSW (2021). Social Work and the United Nations Sustainable Development Goals. https://www.ifsw.org/social-work-and-the-united-nations-sustainable-development-goals-sdgs/

Jayasooria, D. (2016). Sustainable development goals and social work: Opportunities and challenges for social work practice in Malaysia. Journal of Human Rights and Social Work, 1(1), 19–29. https://doi.org/10.1007/s41134-016-0007-y

National Oceanic and Atmospheric Administration (2024). Ocean acidification | National Oceanic and Atmospheric Administration (noaa.gov)

Nhamo, G., & Mjimba, V. (Eds.). (2020). Sustainable development goals and institutions of higher education. https://doi.org/10.1007/978-3-030-26157-3_1

Post-2015 Women's Coalition. (2015). Feminist sustainable development: A transformative alternative for gender equality, development and peace. http://www.post2015women.com/wpcontent/uploads/2015/04/Post2015WomensCoalitionVisionStatement_FINAL.pdf

Rice, K., Fisher, C. and Moore, S. (2022). Social Work and the Sustainable Development Goals. Social Work Education, Volume 41, Issue 7

Shatberashvili, N., Sadzaglishvili, Sh. (2022). SDG-focused social work education in Georgia, Social Work Education. Social Work Education. Routledge

UNDESA (2019). The Future is Now: Science for Achieving Sustainable Development. GSDR 2019. SDG Indicators (un.org)

UNDP (2023). The SDGs in Action. Sustainable Development Goals | United Nations Development Programme (undp.org)

UNICEF and the Global Social Service Workforce Alliance (2019). The Social Service Workforce in the East Asia and Pacific Region: Multi-Country Review. UNICEF East Asia and the Pacific Regional Office, Bangkok

United Nations (2018). The 2030 Agenda and the Sustainable Development Goals: An opportunity for Latin America and the Caribbean. Santiago

United Nations (2020). Ten years to transform our world.

United Nations (2023). The Sustainable Development Goals Report – Special Edition. The-Sustainable-Development-Goals-Report-2023.pdf (un.org)

United Nations Office on Drugs and Crime (2024). World Wildelife Crime Report 2024. World Wildlife Report (unodc.org)

გაეროს ბავშვთა ფონდი (2019). მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა 2018. unicef.org/georgia/media/5896/file/Mics_Georgian.pdf

გაეროს ბავშვთა ფონდი (n.d.). დედისა და ბავშვის ჯანმრთელობა. https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

გაეროს მოსახლეობის ფონდი (2023). გენდერული თანასწორობა. https://georgia.unfpa.org/ka/topics/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

გოგია, ი. და მაჭარაძე, ნ. (2018). ციფრული უთანასწორობა ქართულ სოციუმში. ახალ-გაზრდა მკვლევართა ჟურნალი, N 6.

გორგაძე, ნ. (2015). გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, სადოქტორო დისერტაცია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2022). საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (2018). ენერგეტიკული სიღარიბე და მოწყვლადი მომხმარებლები საქართველოში. energy_poverty_web_ii_4.pdf (weg.ge).

საქართველოს მთავრობა (2015). საქართველოს მთავრობის განკარგულება #2329 მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე. თბილისი, 12 ნოემბერი.

საქართველოს მთავრობა და გაეროს განვითარების პროგრამა (2014). ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში. ეროვნული ანგარიში.

საქართველოს მთავრობა (2021). გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები.
https://www.undp.org/ka/georgia/publications/genderuli-tanascoroba-sakartveloshi-barierebi-da-rekomendatsiebi-2021

სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2016). დასაქმება და უმუშევრობა – 2015 წელი. 15 (geostat.ge)

სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2024). დასაქმება და უმუშევრობა – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge).

ნინო შატბერაშვილი

თავი 6

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის ეთიკა და ღირებულებები

შესავალი

წინამდებარე თავში გაშუქებულია სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსის, როგორც პროფესიული სახელმძღვანელო პრინციპების, მნიშვნელობა სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის განხორციელებისას, მისი როლი პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებაში სოციალურ საკითხებზე, პრობლემებზე თუ დილემებზე მუშაობისას. მასში წარმოდგენილია მაკროპრაქტიკის ეთიკის კოდექსის შექმნის ისტორია, მისი პრინციპების ტრანსფორმაციის ფონზე მაკროპრაქტიკაში. თავი განიხილავს სხვადასხვა ქვეყნის ეთიკის კოდექსის სპეციფიკას და მაკროპრაქტიკის განმსაზღვრელ პრინციპებს, ღირებულებებსა და სტანდარტებს. მასში წარმოდგენილია ტერმინოლოგიური განმარტებები, რაც დამწყებ სოციალურ მუშაკებს აცნობს პროფესიული ეთიკის ტერმინების ჯეროვან განსაზღვრებებსა და ეხმარება მართებული პროფესიული ლექსიკის გამოყენებაში; ყურადღებაა გამახვილებული მაკროპრაქტიკის დილემებსა და პარადოქსებზე მომსახურებით სარგებლობისადმი ხელმისაწვდომობის ფონზე. მკითხველი გაეცნობა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ეთიკის მაკროსტანდარტებს.

თავი აყალიბებს სოციალური მუშაობის ეთიკისადმი სხვადასხვა შეხედულებას. ის აცნობს მკითხველს ეთიკურ თეორიებს, აქცენტირებს სოციალური მუშაკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან თეორიებზე. ის მიმოიხილავს ინსტიტუციური გარემოს ზეგავლენას სოციალური მუშაობის პრაქტიკის აღსრულებაზე, წარმოგვიდგენს განსხვავებას ეფექტიან მართვასა და მენეჯერიალიზმს შორის.

წინამდებარე თავში განხილულია აგრეთვე, როგორ არის შესაძლებელი ეთიკური პრინციპების უგულებელყოფის არიდება პროფესიული ეთიკის შესახებ ცოდნის გაღრმავებით, რომ მან შეძლოს მუდმივცვალებად სოციალურ გარემოში, ღირებულებითი ტრანსფორმაციის ეპოქაში, მისი პროფესიული გადაწყვეტილების ეთიკურობის დასაბუთება; რა ეთიკური საკითხები დგას სოციალური მუშაობის წინაშე და როგორ უნდა გაართვას მან თავი სიტუაციას, როდესაც სხვადასხვა ეთიკური პრინციპისა და ურთიერთობის დაბალანსება უწევს; როგორ არის შესაძლებელი მომსახურების მიწოდების ეთიკის დაცვა მომსახურებით მოსარგებლეთათვის მომსახურების მიღებიდან დასრულებამდე, კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას; ვმსჯელობთ რამდენად ეთიკურია ზოგიერთთათვის მომსახურების დაუყოვნებლივ მიწოდება, სხვათათვის მომსახურების მიწოდების შეყოვნების ხარჯზე; რა იცავს სოციალურ მუშაკს მაკროპრაქტიკისას, რა გამოწვევებია კვლევითი საქმიანობის აღსრულებისას და რა ქმნის ამ სიტუაციებში სოციალური მუშაკისათვის მომსახურების მიწოდებისას უსაფრთხო ველში ყოფნისა და კლიენტისათვის მომსახურებით ღირსეულად სარგებლობის გარანტიებს.

თავში არის მსჯელობა იმაზე, თუ რომელია ეთიკური არჩევანი – როგორ არის შესაძლებელი მაკროპრაქტიკოსი სოციალური მუშაკი არ აღმოჩნდეს მომსახურების

სრულყოფის იდეის უგულებელყოფის რისკის წინაშე, მომსახურების მიწოდების ხარჯის გაუმართლებელი ზრდის არიდების გამო; მართებს თუ არა მაკროპრაქტიკოსს სრულიად ნეიტრალური პოზიციის დაჭერა, თუ აქვს პროფესიული თავისუფლება იხელმძღვანელოს იდეოლოგიური შეხედულებებით.

სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსი: ისტორია, სტრუქტურა, შინაარსი

სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის, ისტორიული და განმსაზღვრელი მახასიათებელია – ორიენტაცია ინდივიდისა და საზოგადოების კარგად ყოფნაზე. მატერიალიზმისა და ინდივიდუალიზმის აღზევების ეპოქაში, სოციალური მუშაობა რჩება თითქმის ერთადერთ პროფესიად, რომელიც არ ღალატობს თანაგანცდის, სოციალური სამართლიანობის, ზრუნვის ფასეულობებს. სოციალური მუშაობის მთავარი ღირებულება მის შესაძლებლობაშია, ასარგებლოს და გაამდიდროს სხვათა ცხოვრება, იქნება ეს ინდივიდის დონეზე განხორციელებული თუ საზოგადოების (Gray, Webb, 2010). ის მორალურად კარგ პრაქტიკად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ ხორციელდება სოციალურ მუშაკსა და კლიენტსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ფარგლებში. ეს კი ეთიკური პრაქტიკის განხორციელებას ითხოვს.

სოციალური მუშაობის ლიტერატურაში ეთიკის კოდექსის დანიშნულებად დასახელებულია ეთიკური სტანდარტების განსაზღვრა სოციალური მუშაობის პრაქტიკისათვის, სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება ეთიკური დილემების გადაჭრისათვის, პროფესიული თვითრეგულირების უზრუნველყოფა. ეთიკის კოდექსის ფუნქციაა სოციალური მუშაკების დაცვაც სადავო სიტუაციებში, რადგან სწორედ ეთიკის კოდექსია საიმედო ჩარჩო სოციალური მუშაკის პროფესიული ქმედების თუ უმოქმედობის შეფასებისათვის. ხოლო უმთავრეს ფუნქციად მოიაზრება საზოგადოების დაცვა არაკომპეტენტური პრაქტიკოსებისაგან. ჩვეულებრივ, კოდექსის შექმნის იდეასა და დანიშნულებას მიესადაგება თითოეული კოდექსი, განურჩევლად ქვეყნისა და მისი შექმნის პერიოდისა. მაგალითად, ბენკსის მიერ (1995) ამერიკაში 1995 წელს განხორციელებულმა 15 ეროვნული ასოციაციის პროფესიული ეთიკის კოდექსის შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ კოდექსებს შორის ღირებულებითი განსვლა არ ყოფილა. იგივე შეიძლება ითქვას ვეის-გალისა და ველბურნის ანალიზის შედეგებზე (2008).

ეთიკის კოდექსთა შექმნის მიზანი იდენტურია ყველა ქვეყანაში, თუმცა შექმნის ისტორია, მოცულობა, სტრუქტურა და შიგთავსი განსხვავებულია. თითქმის ყველა კოდექსი მოუწოდებს სოციალურ მუშაკს პოზიტიური სოციალური ცვლილებებისაკენ სწრაფვას, მომსახურების მიმღების ძალაუფლებით აღჭურვაზე ორიენტაციასა და მონაწილეობის ხელშეწყობას, კომპეტენტურობას, ანგარიშვალდებულებას კოლეგების, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე. თუმცა ზოგიერთი კოდექსი განმასხვავებლად შთამბეჭდავ შტრიხს ატარებს. მაგალითად, ახალი ზელანდიის ეთიკის კოდექსი, თავისი ბიკულტურული ბუნების გამო, მხარს უჭერს მაორთა დამოუკიდებლობის უფლებას (Congress, 2010).

ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნულმა პროფესიულმა ასოციაციამ დამოუკიდებლად შექმნა ეთიკის კოდექსი, მაგალითად, აშშ, გაერთიანებული სამეფო და უნგრეთი; სხვებმა კი *სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის* ეთიკის კოდექსის საფუძველზე, მაგალითად, გერმანია, შვედეთი, ესპანეთი. არიან ქვეყნები, რომლებშიც რამდენი-

მე სხვადასხვა პროფესიულ ორგანიზაციას სხვადასხვა კოდექსი აქვს ფორმირებული და მათი გაერთიანება ვერა და ვერ ხერხდება. ასეთი ქვეყანაა, მაგალითად, ინდოეთი (Weiss-Gal & Welbourne, 2008).

ეთიკის კოდექსთა მცირე ნაწილი შეიქმნა ქვეყანაში პროფესიის განვითარებისთანავე, როგორც კი ამ ქვეყანაში დაარსდა პროფესიული ასოციაცია. თუმცა სოციალური მუშაობის თითქმის ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყანაში – დიდ ბრიტანეთში ის მხოლოდ 1970-იან წლებში შეიქმნა ბრიტანელ სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ (Weiss-Gal & Welbourne, 2008; Congress, 2010). ზოგჯერ წყაროებში განსხვავებულ მონაცემებსაც კი ვაწყდებით. მაგალითად, ვეის-გალისა და ველბურნის (2008) მიხედვით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ის 1960 წელს შეიქმნა, პროფესიის განვითარების თითქმის საუკუნოვანი ისტორიის შემდეგ. თუმცა კონგრესი (2010) სოციალური მუშაობის პირველი ეთიკის კოდექსის შექმნაზე საუბრობს მის ნაშრომში, რომელიც ჩრდილოამერიკელ სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ 1920 წელს დაიწერა ტოლედოში, ოჰაიოს შტატში.

საქართველოში სოციალური მუშაობის პირველი ეთიკის კოდექსი შეიქმნა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დაარსებისთანავე, 2005 წელს. 2021 წელს კი მთავრობის N488 დადგენილებით, დამტკიცდა და გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა *სოციალური მუშაობის ეთიკის სტანდარტები,* „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, სტანდარტი სავალდებულოა სოციალური მუშაობის განმახორციელებელი ყველა ორგანიზაციისათვის.

ეთიკის კოდექსებს შორის ძირითადი განსხვავება მათ მოცულობაშია. კოდექსთა უმრავლესობა იცვლება დროშიც. მაგალითად, ამერიკის სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის (NASW) კოდექსი ერთგვერდიანი დოკუმენტი იყო 1960 წელს, ახლა კი 28-გვერდიანია. თუკი თავდაპირველ ვერსიაში მხოლოდ 14 ასპირაციული პუნქტია (Congress, 2010), ახლა მათი მოცულობა რამდენჯერმეა გაზრდილი. განსხვავდება აქცენტებიც დოკუმენტში. მაგალითად, ეთიკის კოდექსთა ნაწილში მეტი ყურადღება ეთმობა პრივატულობისა და კონფიდენციალობის საკითხებს, მეორე ნაწილში კი კულტურული კომპეტენციების პრინციპებს, ხოლო მესამე ნაწილში მეტი აქცენტია მიკრო-, მეზო- ან მაკროპრაქტიკაზე.

კოდექსის სტრუქტურა ძირითადად მსგავსია ყველა კოდექსში. ის წარმოგვიდგენს ღირებულებებს, პრინციპებსა და სტანდარტებს. მოდით, გავიაზროთ რა განსხვავებაა მათ შორის.

პროფესიული ღირებულებები უფრო მყარი რწმენებია იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და არასწორი; *პრინციპები* კი არის ღირებულებები, ინკორპორირებული პრაქტიკაში. თავისთავად ღირებულებებს ლიმიტირებული მნიშვნელობა აქვს ეთიკურ პრაქტიკაში გაცოცხლებამდე. თუმცა ღირებულებებიც შესაძლოა დროში იცვლებოდეს ან რეფორმულირდებოდეს. მაგალითად, ბისტეკისა (1961) და ტიმსის (1983) თავდაპირველი ჩამონათვალი (როგორებიცაა: ადამიანის პატივისცემა, თვითდეტერმინაცია, ინდივიდუალიზაცია, არაგანსჯითი მიდგომა) განოყიერდა არადისკრიმინაციული მიდგომისა და კულტურული კომპეტენციების დამატებით. კრიტიკული თეორიის ზეგავლენით კი *ადამიანის უფლებებითა* და *სოციალური სამართლიანობით* გამდიდრდა თავდაპირველი ჩამონათვალი. ამას დაემატა პროფესიული საქმიანობისას დაშვებული შეცდომების აღმოფხვრისაკენ მიმართული ღირებულებები, როგორიცაა *პროფესიული კომპეტენცია* და *ინტეგრაცია.*

რადგან წინამდებარე თავი მაკროდონეზე განხორციელებულ მუშაობას ეხება, ეთიკური პრინციპებიდან ჩვენ მხოლოდ მაკროპრაქტიკის განმსაზღვრელ პრინციპებზე შევაჩერებთ ყურადღებას. მოდით, ამ ეტაპზე განვიხილოთ *სოციალური სამართლიანობა* და *არადისკრიმინაციული მიდგომა*. ამ პრინციპებს სხვადასხვა ეთიკის კოდექსი სხვადასხვა დონეზე წარმოაჩენს. მაგალითად, ამერიკის სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაცია (NASW) *სოციალურ სამართლიანობას* ინდივიდუალურ კლიენტთან მუშაობის დონეზე განიხილავს; ახალი ზელანდიის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის კოდექსი კი საზოგადოების სტრუქტურის ცვლილების ვალდებულებასაც აკისრებს სოციალურ მუშაკს (Congress, 2010). კროსმანსი (2010) ხაზს უსვამს სამართლიანობის კომუნიტარიზმისეული გააზრების მნიშვნელობასაც სოციალურ მუშაობაში. კომუნიტარიზმის მიხედვით, სამართლიანობა ადამიანებს შორის ტევადი ცნება არ არის, ის საზოგადოების, თემის თვისებაა, რომელიც მის წევრებს ცხოვრების ხარისხის გარანტიებს უქმნის. ამიტომ, პროფესიის ეთიკური ვალდებულებაა ყველა სიტუაციაში და ყველა პრობლემაზე მუშაობისას თანასწორობისა და განსხვავებულობის აღიარება კაცობრიობის ატრიბუტად.

საინტერესოა ასევე *არადისკრიმინაციული მიდგომის* პრინციპის ტრანსფორმაციის ისტორიის განხილვაც. ეს პრინციპი, ერთი შეხედვით, მიკროპრაქტიკის პრინციპად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ეს აუცილებლად ასე არ არის. თუ ადრე ის გულისხმობდა კლიენტის მიმღებლობას, არაგანსჯით მიდგომას, ე.ი. კლიენტების წინასწარი დამოკიდებულების, წინასწარი განწყობის გარეშე მომსახურებას, ახლა არადისკრიმინაციულ, ტოლერანტულ დამოკიდებულებას გულისხმობს განსხვავებულის მიმართ. თუ მიმღებლობა გულისხმობდა კლიენტის, როგორც ღირსების გრძნობის მქონე ადამიანის, მიღებას, ახალი არადისკრიმინაციული მიდგომა გულისხმობს კლასის, რელიგიის, რასის, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, კულტურის, სოციოეკონომიკური სტატუსის, შეზღუდული შესაძლებლობების, მიგრანტის სტატუსის და ა.შ. ნიშნით მიღებას. ავსტრალიის სოციალურ მუშაკთა ეთიკის კოდექსი უკვე პოზიტიურსა და ნეგატიურ დისკრიმინაციასაც განასხვავებს. ის სოციალურ მუშაკებს ადგილობრივი მოსახლეობის რეკონსილიაციისა და რეპატრიაციისთვის ადვოკატობის ვალდებულებასაც აკისრებს (Congress, 2010).

ეთიკის კოდექსი და სტანდარტები სხვადასხვაგვარადაა სანქცირებული სხვადასხვა ქვეყანაში. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ რეგულირდება პროფესია. ზოგიერთ ქვეყანაში კოდექსისა და სტანდარტების დარღვევა ექვემდებარება ლიცენზიის შეჩერებას ან ჩამორთმევას. ქვეყნებში, რომლებშიც პროფესიის რეგულირება სავალდებულო რეგისტრაციით შემოიფარგლება, ეთიკური ნორმების დარღვევა დერეგისტრაციას იწვევს, სხვა ქვეყნებში ის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა (Weiss-Gal & Welbourne, 2008). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის არის პროფესიის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ატრიბუტი, რომელიც აწესებს სოციალური მუშაობის პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს (Congress, 2010).

სოციალური მუშაობის ეთიკის ფილოსოფიური საფუძვლები

რადგან ეთიკის კოდექსი და ეთიკური სტანდარტები თავს უყრის მორალურსა და ეთიკურ პრინციპებს, რომელთა მიმართ სოციალური მუშაკები უნდა იყვნენ თავდადებულნი, მნიშვნელოვანია გვესმოდეს განსხვავება მორალსა და ეთიკას შორის. ეს შეგვამზადებს ეთიკის ფილოსოფიური საფუძვლების განხილვისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ტერმინი ხშირად ერთმანეთის ჩანაცვლებით გამოიყენება, მათ შორის არის განსხვავება როგორც ეტიოლოგიური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ტერმინი „მორალი“ ბერძნული სიტყვაა და „ჩვეულების“, ხოლო ეთიკა „ჩვევის“ მნიშვნელობის მატარებელია (Gray, Webb, 2010). გამოდის, რომ, მორალური ცნობიერების განვითარების გარეშე, კაცობრიობა დღემდე ვერ მოვიდოდა არსებული სახით და სწორედ მორალური განათლების შედეგია ადამიანთა მისაღები ქცევები და ეთიკური დამოკიდებულება ერთმანეთისადმი (Gray, Webb, 2010). არისტოტელეს მიხედვით (1976), „ჩვევა აყალიბებს ხასიათს“. თუ ეს ასეა, მაშინ სოციალური მუშაკი, რომელიც ერთხელ უღალატებს ეთიკურ პრინციპს, ის ასეთივე წარმატებით მეორედაც იმავეს გააკეთებს (Gray, Web, 2010). ამიტომ მნიშვნელოვანია მაქსიმალურად ავირიდოთ ეთიკური პრინციპების უგულებელყოფა, რაც შესაძლებელია პროფესიული ეთიკის შესახებ ცოდნის გაღრმავებით.

თუ ფილოსოფიას განვმარტავთ, როგორც „სიბრძნის სიყვარულს“, ეთიკა კი მორალური ფილოსოფიის შესწავლას ემსახურება, გამოდის, რომ მორალური ცხოვრების შესახებ ცოდნას ეწაფება (Gray & Webb, 2010).

კოდექსის დანიშნულების უკეთ გააზრებისათვის კი, მოდით, უკვე ჩავუღრმავდეთ სოციალური მუშაობის ეთიკის ფილოსოფიურ საფუძვლებს. თანამედროვე ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციალური მუშაკი სარა ბენკსი (2001) აყალიბებს სოციალური მუშაობის ეთიკისადმი ორ შეხედულებას:

1. პრინციპებზე დამყარებული მიდგომები (რომლებიც მოქმედების პრინციპზე ამახვილებენ ყურადღებას)
2. პიროვნებასა და ურთიერთობებზე დამყარებული მიდგომები (რომლებიც ყურადღებას აქცევენ მორალური აგენტების ხასიათსა და ურთიერთობას მათ შორის).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პრინციპები პრაქტიკაში ჩაშენებული ღირებულებებია. პრინციპი ფიქრების, რწმენის, სისტემის უმთავრესი ნორმაა, რომელიც მორალური ქმედების საფუძველს წარმოადგენს. ის განსხვავდება წესისაგან, რომელიც მეტად სპეციფიკურია და არსობრივად ვიწროა. მაგალითად, „ადამიანის თვითგამორკვევის უფლების პატივისცემა“ პრინციპად ითვლება, რადგან მისი მასშტაბი ფართოა და ყველა ადამიანს ეხება ყველა სიტუაციაში. ხოლო, მაგალითად, „მომსახურების მიმღების უფლება მისი მომსახურების გეგმის შედგენაში მონაწილეობის მიღების შესახებ“ უფრო სპეციფიკურია და წესად ითვლება, რადგან კონკრეტული ორგანიზაციის შიდა რეგულირების საკითხია. მიუხედავად იმისა, რამდენად განსხვავებული იქნება შიდაორგანიზაციული წესები, კოდექსის პრინციპები სოციალური მუშაობის მომსახურების მართვაში აუცილებლად უნდა იყოს იკორპორირებული (Healy, 2010).

წინამდებარე თავში ყურადღებას გავამახვილებთ პრინციპებზე, რადგან მაკროპრაქტიკის ეთიკურ საკითხებზე ვსაუბრობთ. მარია მეისი (2009) წარმოგვიდგენს სამ პრინციპზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც უკავშირდება კანტის, უტილიტარისტთა და საერთო-მორალისტური მიდგომების ნაზავს მორალურ ფილოსოფიაში.

სოციალური მუშაობის ღირებულებებისა და ეთიკის შესახებ ლიტერატურა ყურადღებას ამახვილებს იმ პრინციპთა ჩამონათვალზე, თუ როგორ უნდა მოექცეს სოციალური მუშაკი მომსახურების მიმღებს. ეს პრინციპები გამყარებულია ერთი ფუნდამენტური და უმნიშვნელოვანესი პრინციპით „პიროვნების პატივისცემის“ შესახებ. ეს პრინციპი კი წარმოიშვა მე-18 საუკუნის უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის – კანტი-

საგან, რომელმაც ამას კატეგორიული იმპერატივი უწოდა. ერთ-ერთი ვერსია მისი კატეგორიული იმპერატივისა ასე ჟღერს: „მოიქეცი ისე, რომ კაცობრიობა როგორც შენი, ისე ყოველი სხვა პიროვნების სახით, შენთვის მუდამ იყოს მიზანი და არასოდეს – მხოლოდ საშუალება“.

ამით ის გულისხმობდა, რომ ადამიანს უნდა მოვეპყროთ არა როგორც ჩვენი საკუთარი მიზნებისა და სურვილებისათვის მისაღწევ საშუალებას, არამედ, როგორც საკუთარი არჩევანისა და სურვილების მქონე სუბიექტს. ადამიანი იმსახურებს პატივისცემას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის არის ადამიანი, განურჩევლად იმისა, მოგვწონს ჩვენ ის თუ არა, რაიმე სარგებლის მომტანია ის ჩვენთვის თუ არა ან დაგვიშავა რაიმე თუ არა. კანტის ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანი არის არსება, რომელსაც აქვს რაციონალური აზროვნებისა და თვითდეტერმინიზმის უნარი. სოციალური მუშაკი კი მხოლოდ ფასილიტაციას უწევს პროცესს, ეხმარება ადამიანს საკუთარ დანიშნულებასა და ქცევაზე აღიდგინოს კონტროლი. მორალურად გაუმართლებელია სოციალური მუშაკი ძალაუფლების გამოყენებით და მანიპულაციით ეცადოს კლიენტის ცხოვრებაში ცვლილებების მოხდენას (Howe, 1987).

კანტმა ჩამოაყალიბა რამდენიმე კატეგორიული იმპერატივი, რომელთა შორის ერთ-ერთი ხაზს უსვამს თანმიმდევრულობისა და მორალური განსჯის მნიშვნელობას: „იმოქმედე იმ პრინციპით, რომელიც თანახმა იქნები, რომ გადაიქცეს უნივერსალურ კანონად“. ილუსტრაციისათვის წარმოვიდგინოთ „დაპირების შესრულება“. თუ ტყუილად დავპირდებით სხვას, ვიცრუებთ სიტუაციიდან დაძრომის მიზნით, განა გვენდომება, რომ ყველა ასე მოიქცეს? კანტის პასუხი იქნებოდა „არა“, ისევე, როგორც, სავარაუდოდ, თითოეული ჩვენგანის, რადგან ეს მორალურად სწორია. კანტის მორალური ფილოსოფიის მთავარი ელემენტი, რომელსაც ყველაზე დიდი ზეგავლენა აქვს, არის ადამიანის პატივისცემის პრინციპი, რომელიც წარმოადგენს სოციალური მუშაკის მომსახურების მიმღებთან (ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად) ურთიერთობის საბაზისო პრინციპების ფუნდამენტს; თუმცა ეს მიდგომა კიდევ უფრო წონად მნიშვნელობას იძენს, როდესაც მაკროპრაქტიკის ჭრილში განვიხილავთ.

ადამიანის უფლებები შეიძლება იყოს დაცული მხოლოდ კოლექტიური პასუხისმგებლობის გააზრების ფონზე. ეს კი ეთიკურ პრინციპებზე სოციალური მუშაობის განაცხადის N2 პრინციპის – ადამიანის უფლებების დაცვა – გამოძახილია. ამას ეხმიანება ლევინასის (Levinas, 1989) კონცეფციის ფონზე წარმოდგენილი N1 პრინციპი – კაცობრიობის თანდაყოლილი ღირსების აღიარება. კონცეფცია ავალდებულებს სოციალურ მუშაკს ემპათიური ურთიერთობების დამყარებას კლიენტებთან და ადამიანთა ურთიერთანგარიშვალდებულების იდეას უსვამს ხაზს, როდესაც „სხვას“ იმავენაირ უპირატესობას ვანიჭებთ, როგორსაც საკუთარ თავს და არ ვახდენთ სხვაგვაროვნების რედუქციას (IASSW, 2018).

ამ პრინციპების დაცვა დაგვეხმარება იმ რთულ გადაწყვეტილებებსა და პასუხისმგებლობებთან გამკლავებაში, რომელთა წინაშეც ხშირად ვიმყოფებით.

ეთიკური თეორიები

ეთიკურ თეორიებს შორის გრეი და ვები (Gray, Webb, 2010) ნატურალისტურ და არანატურალისტურ ეთიკურ თეორიებს გვაცნობენ. არანატურალისტური ეთიკური თეორიები ეთიკას განიხილავენ ადამიანური ბუნებისაგან დამოუკიდებელ, ტრანსცენ-

დენტალურ და ობიექტურ რეალობად. არანატურალისტური თეორიებიდან სოციალური მუშაობისათვის ყველაზე აქტუალურია კანტის დეონტოლოგიური თეორია, რომლის მიხედვითაც ეთიკა მოვალეობითსა და ვალდებულებით მიდგომას გულისხმობს. მორალური რეალიზმის ფუძემდებელი ბანჯიც, ხაზს უსვამს რა უფლებებსა და მოვალეობებს შორის მჭიდრო კავშირს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ადამიანები ვალდებულნი არიან იზრუნონ სხვათა კარგად ყოფნაზე, ეხმიანება სწორედ დეონტოლოგიურ, უფლებებზე დაფუძნებულ ეთიკას. ის ვალდებულებებსა და უფლებებს ობიექტურ ფაქტად აღიქვამს, რადგან ისინი უნივერსალურია. მისი აზრით, ყველას აქვს უფლებები, მოვალეობები და ურთიერთვალდებულებები ერთმანეთისადმი (1989). თუმცა ბანჯის თეორია სოციალური მუშაობის ეთიკას პირველად შვეიცარიელმა სკოლარმა ობრეხტმა (2001, 2005) დაუკავშირა. ის კი, ეთიკისადმი დეონტოლოგიური დამოკიდებულების გარდა, ცდილობს ეთიკური საკითხებისა და პრობლემების შიდა ლოგიკის გააზრებას, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება გადაიჭრას იმაზე შეთანხმებით, თუ რა არის სწორი და კლიენტს „სწორის“ კეთებაში დარწმუნებით აძლიერებს. თუმცა ეს გამოგვადგება მხოლოდ იმგვარი ეთიკური საკითხების გადაჭრისას, რომელიც უკავშირდება „ლეგიტიმური სურვილებით“ გამოხატული ადამიანური საჭიროებების დაკმაყოფილებას (Borrmann, 2010:93).

ნატურალისტური თეორიები ეთიკას კაცობრიობის აყვავების პირობად, მორალურობის საბოლოო პროდუქტად მოიაზრებენ. ეთიკის თეორიები საბოლოო მიზნებზე ორიენტაციით ტელეოლოგიურ თეორიებად იწოდება. თეორიათა ამ ჯგუფს განეკუთვნება: უტილიტარიზმი, კონსექვენციალიზმი, სათნოების ეთიკის თეორია (Gray, Webb, 2010). მოდით, თითოეულს დავუთმოთ ყურადღება.

ტელეოლოგიური ეთიკის მიხედვით, ყველაფერი საბოლოო შედეგამდე მიღწევისთვისაა შექმნილი, ე.ი. ყველაფერს საბოლოო შედეგამდე მიღწევის ჟინი ამოძრავებს. სწორედ ეს იყო მე-19 საუკუნის უტილიტარიანიზმის დამფუძნებელთა მთავარი ფოკუსი – სიკეთის საზომი ნებისმიერი ქმედებისთვის არის უდიდესი სიამოვნების მიღება. თუმცა ეს ეთიკური ჰედონიზმი არ გულისხმობს მხოლოდ საკუთარი თავისთვის სიამოვნების მინიჭებას, არამედ სხვებისთვისაც. თავად არისტოტელეც მორალურობის იდეას განიხილავდა, როგორც კაცობრიობის აყვავების იდეას. უტილიტარისტთა მოსაზრებით, არავინ უნდა იქცეოდეს ისე, რომ გაანადგუროს საკუთარი ბედნიერება, ე.ი., არისტოტელესეულ ენაზე, მოახდინოს საკუთარი აყვავების პრევენცია (Gray, Webb, 2010).

კონსექვენტალიზმი ჩვენი ეთიკური გადაწყვეტილებებისა და ქმედებების შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას. კონსექვენტალიზმის ერთ-ერთი ფორმაა უტილიტარიანიზმი, რომელიც უდიდესი რაოდენობისათვის საერთო სიკეთის ზრდისაკენ მომართულ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს ანიჭებს უდიდეს მნიშვნელობას.

სათნოების ეთიკის თეორიის მიხედვით, სათნოების იმიტაციით ვაღვივებთ ნიადაგს მისაღები ქცევების ფორმირებისათვის. მაგალითად, არისტოტელესეული გაგებით, მორალურობა არის არა წესების შექმნისა და დამორჩილების, არამედ მორალური ცხოვრების კულტივაციის დასწავლის საკითხი. მისი აზრით, სათნოება გავარჯიშებასა და დასწავლას ექვემდებარება, რის საშუალებითაც მორალურად აზროვნებას ვსწავლობთ. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა აკეთილშობილებს ადამიანსა და საზოგადოებას (Gray, Webb, 2010). ეს მიემართება არა მხოლოდ კლიენტთან მუშაობის

პრინციპებს, არამედ თავად სოციალური მუშაკის პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესს და ამ პროცესის ჯეროვნად წარმართვის შედეგად მიღწეულ პროფესიულ მდგომარეობას.

სათნოების ეთიკა, სოციალური მუშაობის კონტექსტში, გვაბრუნებს სოციალური მუშაკის ბუნების და არა როლის შესახებ დებატებთან. ის ორიენტირდება კონკრეტული სოციალური მუშაკის წარმოდგენაზე, როგორც ცოცხალი და ინტელექტუალური არსებისა, დელიკატური განსჯისა და მგრძნობელობის უნარის მქონე აგენტისა. თანამედროვე სათნოების ეთიკა აქცენტირებს მორალურ განათლებაზე, არა როგორც წესების შემუშავებასა და დანერგვაზე, არამედ ხასიათის წვრთნაზე. სათნო სოციალურ მუშაკში თავმოყრილია გონების, განსჯის, სიტუაციის აღქმის და ქმედების უნარი. ის სწავლობს ქმედებათა ალტერნატივების გააზრებას უმაღლესი ანალიტიკური გზით. რთულ ან არაორდინარულ სიტუაციებში, ის, რაც ტექნიკური საკითხია ერთისათვის (მაგალითად, კონკრეტული წესის გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაზე მუშაობისას), შესაძლოა ეთიკურ პრობლემას წარმოადგენდეს მეორისათვის ან დილემას მესამისათვის. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხედავს თითოეული სოციალური მუშაკი სიტუაციას, რამდენად გამოცდილია მორალური გადაწყვეტილებების მიღებაში და როგორ ანიჭებს უპირატესობებს ეთიკურ პრინციპებსა და ღირებულებებს. სიტუაციის განხილვისას კი პროფესიონალი ახერხებს მისი გადაწყვეტილების ეთიკურობის დასაბუთებას.

თითქოს განსხვავება ტელეოლოგიურ თეორიებს შორის არის არა იმდენად მორალური დასკვნების გაკეთებასა და შედეგების მიღწევის მხრივ, რამდენადაც, როგორ მორალურ მიდგომას გამოვიყენებთ კონკრეტულ სიტუაციაში. მაგალითად, კონსექვენტალისტი თვლის, რომ ტყუილის თქმა ცუდია, რადგან მას უარყოფითი შედეგი მოსდევს, თუმცა უშვებს, რომ ზოგიერთ სიტუაციაში ის შეიძლება დაშვებულ იქნეს საბოლოო შედეგის მიღწევისათვის. დეონტოლოგი ტყუილს ყოველთვის არასწორად ჩათვლის, განურჩევლად იმისა, რა სიკეთის მომტანი შეიძლება იყოს ის კონკრეტულ სიტუაციაში. სათნოების ეთიკის თეორეტიკოსი ნაკლებ კონცენტრირებული იქნება ტყუილის თქმაზე თავისთავად და მეტად დაინტერესდება იმ ადამიანის ბუნებითა და მორალური იმიჯით, რომელმაც ტყუილის თქმის გადაწყვეტილება მიიღო.

სოციალურ მუშაკს მაკროპრაქტიკის დონეზე უწევს რესურსების გადანაწილებისა და რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის საკითხების გააზრება და დაორგანიზება; გადაწყვეტილების მიღება იმაზე, თუ უპირატესად ვის ეკუთვნის კონკრეტული ბენეფიტი თუ მომსახურება მოცემულ მომენტში, რა არის „უდიდესი სიკეთე“ და ა.შ. ამიტომ ის სისტემატურად დგას გადაწყვეტილების მიღების წინაშე, მოძებნოს ოქროს შუალედი დეონტოლოგიური თუ ტელეოლოგიური ეთიკური პრინციპების დაცვით. პირველი მას მოვალეობების აბსოლუტისტური გააზრებისაკენ უბიძგებს, მეორე კი შედეგებზე აკონცენტრირებს, რომელიც კლიენტის სარგებლის გაზრდაზეა ორიენტირებული (McAuliffe, 2010).

ბენკსი (2006) ოდნავ განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს. ის სოციალურ მუშაობასთან მიმართებით ეთიკის თეორიებს ორ ნაკრებად გვაცნობს: დეონტოლოგიას, კონსექვენტალიზმს, უტილიტარიანიზმს და ანტიოპრესიულ პრაქტიკას, ერთი მხრივ, და ზრუნვის ეთიკას, სათნოების ეთიკას, პოსტმოდერნულ ეთიკას, მეორე მხრივ. თეორიების პირველი ნაკრები უფრო მეტად ქმედებაზეა ორიენტირებული, მეორე კი – მორალურ აგენტებსა და მათ შორის ურთიერთკავშირზე (Borrmann, 2010). რადგან

ქმედებაზე ორიენტირებული თეორიები ზევით მიმოვიხილეთ, ახლა პოსტმოდერნისტული ეთიკის გააზრებას შევეცდებით ბაუმანის პოსტმოდერნისტული ეთიკური თეორიის განხილვით.

ბაუმანის ეთიკური თეორიისთვის ცენტრალურია მორალური პასუხისმგებლობის ცნება. მისთვის „პასუხისმგებლობა“ დეონტოლოგიური „მოვალეობის“ ანტითეზაა. პოსტმოდერნისტული ეთიკის ამოსავალი წერტილია მუდმივი დაურწმუნებლობის აღიარება მორალთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე მუდმივი დაძაბულობა ღირებულებით, ეთიკურსა და მორალურ საკითხებთან მიმართებით. ბაუმანის პოსტმოდერნული ეთიკა არ არის რაციონალური მსჯელობა, გადაწყვეტილებების მიღება ან არჩევანის კეთება. ის არის ეთიკის გულისხმიერი, პასუხისმგებლობით განმსჭვალული ფორმა, რომლის მთავარი მიზანია, საჭიროებაზე საპასუხოდ, საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება. მისთვის მორალურ სიტუაციაში ყოფნა არაფერია მეტი, თუ არა შანსი იმისა, რომ იყო კარგი (ან, პირიქით, ცუდი იმ კონკრეტულ სიტუაციაში). მორალური განზრახვა ან ქმედება მხოლოდ სოციალური ინჟინერიის შედეგი არ არის, როგორც ამას ტომას ჰობსის (1588-1679) მოსაზრებით ინსპირირებული და თანამედროვე საზოგადოებაში დამკვიდრებული, სოციალური მუშაობის მსგავს პროფესიებში გაბატონებული, ზემოხსენებული ბენთემისეული (1748-1832) უტილიტარიანიზმის თეორია ამტკიცებს – თითქოს ადამიანი თვითინტერესით მართული არსებაა მხოლოდ. ბაუმანის აზრით, ის არც ექსტერნალურად მიღებულია, ის შინაგანი საწყისიდანაა აღმოცენებული. მისთვის მორალური პასუხისმგებლობა მეორე ადამიანის წინაშე, წინ უსწრებს მეორე ადამიანთან ყოფნას. მორალური დამოკიდებულება სხვისადმი, მისდამი სიყვარული, მზრუნველობისთვის მზაობა მასთან ყოფნის მდგომარეობის წინმსწრებია. მისი აზრით, ჩვენ მორალურნი ვართ, რადგან ადამიანები ვართ, და სწორედ ამიტომაცაა შესაძლებელი სოციალური ცხოვრება (Gray, Webb, 2010).

რა არის მაკროპრაქტიკა?

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის ეთიკასა და ღირებულებებზე საუბრის დაწყებამდე, შევიხსენოთ რა არის მაკროპრაქტიკა. მაკროპრაქტიკა არის პროფესიული ინტერვენცია, რომლის მიზანია ცვლილებების განხორციელება ორგანიზაციის, თემის ან პოლიტიკის დონეზე. ის უფრო ფართო სოციალური პრობლემების ალაგმვას ემსახურება, ვიდრე მეზო- ან მიკროპრაქტიკა. ის სოციოეკონომიკური გარემოს სისტემების ცვლილებაზეა ორიენტირებული და შეიძლება იყოს როგორც პრევენციული, ისე რეაქციული ხასიათის. მაკროპრაქტიკა ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით, როგორიცაა: სათემო მუშაობა, ადვოკატობა, კვლევა, პოლიტიკის ანალიზი და შეფასება (Monnink, 2017).

მაკროპრაქტიკის ღირებულებათა შორის უმთავრესია სოციალური სამართლიანობა, რომელიც ეთიკურ პრინციპად სოციალურ მუშაკებს სოციალური უსამართლობის დაძლევისათვის ბრძოლას მოუწოდებს. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ეთიკის სტანდარტის მიერ წარმოდგენილი ექვსი ეთიკური პრინციპიდან, მაკროპრაქტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პრინციპებია: *სოციალური სამართლიანობა* და *ერთობა და სოლიდარობა*. პირველის შედეგად სტანდარტი განსაზღვრავს:

სოციალური მუშაკები ახორციელებენ სოციალურ ცვლილებებს საზოგადოების სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ფენების წარმომადგენელი ინდივიდებისა და ინ-

დივიდთა ჯგუფების სახელით. სოციალური მუშაობის პროფესიაში აქცენტი კეთდება ისეთ საკითხებზე, როგორებიც არის: სიღარიბე, უმუშევრობა, დისკრიმინაცია და სოციალური უსამართლობის სხვა გამოვლინებები. სოციალური მუშაკები თავიანთი საქმიანობით ცდილობენ გამოიწვიონ საზოგადოების რეაგირება ადამიანთა ჩაგვრაზე და მოახდინონ საზოგადოების ინფორმირება კულტურული, ეთნიკური, გენდერული და სხვა მრავალფეროვნების არსებობისა და მნიშვნელობის შესახებ. სოციალური მუშაკები ხელს უწყობენ მოსახლეობისათვის ინფორმაციის, მომსახურებისა და რესურსების ხელმისაწვდომობას, საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის თანაბარ შესაძლებლობებს, ყველა ინდივიდის მონაწილეობას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში;

მეორის შედეგად კი:

პროფესიულ საქმიანობაში სოციალური მუშაკები მოქმედებენ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. ამით ისინი უზრუნველყოფენ ეთიკურ პრაქტიკას თავიანთ ორგანიზაციებში.

2021 წელს დამტკიცებული ეთიკის სტანდარტების მიხედვით, მაკროპრაქტიკის სტანდარტები მოექცა N4 სტანდარტის, N8 პუნქტის ქვეშ – *ეთიკური პასუხისმგებლობა ფართო საზოგადოების მიმართ* ფარგლებში და ხაზს უსვამს სოციალური მუშაკის ვალდებულებებს სოციალურ კეთილდღეობაში. სტანდარტში ვკითხულობთ, რომ სოციალური მუშაკი ვალდებულია:

8.ა.ა. ხელს უწყობდეს საზოგადოების საერთო კეთილდღეობის ამაღლებას როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე;

8.ა.ბ. იღვწოდეს ინდივიდებისა და ინდივიდთა ჯგუფების, თემებისა და ზოგადი სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად;

8.ა.გ. ხელი შეუწყოს ისეთი სოციალური გარემოს შექმნას, რომელშიც დაცულია ადამიანის ძირითადი უფლებები;

8.ა.დ. წინ წამოსწიოს საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გაუმჯობესების საკითხი.

როგორც ვხედავთ, ადამიანთა სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა სოციალური მუშაკის არჩევანი კი არ არის, არამედ ეთიკური პრინციპი და პროფესიული პასუხისმგებლობაა. სტანდარტი ზოგად ვალდებულებებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ყველა სფეროში და ყველა სამიზნე ჯგუფთან მომუშავე სოციალური მუშაკის პასუხისმგებლობაა. ყველა სოციალური პრობლემის, საკითხის, სფეროსა და სამიზნე ფოკუსის შესაბამისად კი უწყებებსა და სოციალურ მუშაკთა პროფესიულ ერთობებს შესაძლებლობა აქვთ დააკონკრეტონ ეთიკური სტანდარტები და გახადონ ისინი უფრო სპეციფიკური. ასე მაგალითად, მაკროპრაქტიკის ნაწილია სამართლიანი ვაჭრობის საკითხიც და ეკოლოგიური საკითხებიც (Eskelinen et al., 2024). პირველი ძალიან აქტუალურია დღევანდელ უთანასწორო სამყაროში, სადაც გლობალური ვაჭრობა და ღია საბაზრო ეკონომიკა არათანაბრად ასარგებლებს სხვადასხვა ქვეყანასა და მოსახლეობას. შესაბამისად, გლობალური ვაჭრობა ეკოლოგიურ უთანასწორობას მოიცავს, რადგან გლობალური სამხრეთის რესურსები მილევაშია გლობალური ჩრდილოეთის ცხოვრების ხარისხის შენარჩუნებისათვის (Parks & Roberts, 2010; Rice, 2007).

ასევეა გარემოსდაცვითი საკითხებიც. დესტრუქციულ გარემოსდაცვით ქცევაზე ზეგავლენის მოხდენა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ადამიანები თავს ძალაუფ-

ლების მქონედ თვლიან სისტემების ცვლილებისათვის. ამაში კი მაკროსოციალური მუშაობის როლი დიდია. ადამიანებს სჭირდებათ მხარდაჭერა უთანასწორობის, ამასთან, არა მხოლოდ მატერიალური უთანასწორობის, არამედ პოლიტიკური, სოციალური და კულტურული უთანასწორობის დაძლევისათვის (Grénman at al., 2024). ამისათვის კი მათ, უპირველეს ყოვლისა, ზომიერი წარმოებისა და მოხმარების როლი უნდა ესმოდეთ გარემოსდაცვით ეთიკაში, რაც ეხმიანება „ქმედითობის“ კონცეფციას, რომელიც ილიჩის (1973) „ქამრების შემოჭერის“/“austerity” ცნების ზეგავლენით ფორმირდა. სოციალურ განათლებაში, გლობალური სოციალური პრობლემების დაძლევასა და, ზოგადად, სოციალური ნორმების შეცვლასა და ტრანსფორმაციაში, სოციალური მოძრაობების ინიცირებასა და განხორციელებაში სოციალურ მუშაკს უდიდესი როლი აკისრია. ო’ბრაინის (2018) მიხედვით, სოციალური ტრანსფორმაცია სამ ურთიერთდამოკიდებულ სფეროში ხდება: პერსონალურში (ფასეულობები და მსოფლმხედველობა), პოლიტიკურში (სისტემები და სტრუქტურები) და პრაქტიკულში (ტექნოლოგიები და ქცევა). ის (სოციალური ტრანსფორმაცია) ზომიერების, თვითკმარობის, შინაარსიანი ცხოვრების მხარდაჭერას ითხოვს, რაც ეკოლოგიურად მდგრადი ცხოვრების შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, კარგი ცხოვრების „ეთიკა“, ნაცვლად იმისა, რომ თვითკმარობა განიხილოს, როგორც ეკონომიკური წარუმატებლობის და სარგებლის შემცირებაზე მიმანიშნებელი, სოციალურ ტრანსფორმაციას აყვავებული *ცხოვრების შანსად მიიჩნევს, რომელიც იძლევა ადამიანთა* და ყველა სხვა ცოცხალი არსების კარგად ყოფნის შესაძლებლობას დედამიწის ლიმიტების აღიარებითა და გააზრებით.

გლობალური კრიზისებისას სოციალური მუშაკები მიმდინარე პროცესების ჯეროვნად გააზრების გარეშე რთულ პროფესიულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე (Banks et al., 2020). მაგალითად, ჩვენი დროის უდიდესი გამოწვევის – კოვიდ პანდემიისას სოციალური მუშაკები დისტრესს განიცდიდნენ, როცა ზოგიერთ პოპულისტურ პოლიტიკურ ლიდერს პანდემიის საფრთხის აღიარება არ სურდა ან პოლიტიკური გზავნილები პროფესიულ სახელმძღვანელო პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა და მომსახურების მიმღებს რისკის წინაშე აყენებდა. პანდემიისას „ახალი ნორმალურის“ პირობებში, სოციალური მუშაკები რთული გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყვნენ, თუმცა გადაწყვეტილების არმიღება და მომსახურების მიმღებთა თუ საკუთარი თავის გაურკვევლობაში დატოვება სიტუაციას, ადამიანებს კიდევ უფრო სავალალო შედეგებთან მიიყვანდა. პანდემიურ სიტუაციაში რისკებთან, გაურკვევლობებთან, ბუნდოვანებასთან, მოულოდნელობებთან და უთანასწორობასთან დაკავშირებულმა ეთიკურმა სირთულეებმა კიდევ უფრო მკვეთრად გამოკვეთა, რა მნიშვნელოვანია „ეთიკური ლოჯისტიკა“ იმისათვის, რომ შევძლოთ ეთიკურად და ეფექტიანად მივაწოდოთ მომსახურება.

სხვადასხვა ქვეყნის სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსი სხვადასხვაგვარ აქცენტს აკეთებს მაკროპრაქტიკაზე და, შესაბამისად, სხვადასხვა პრინციპსაც აწინაურებს. ამერიკის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი, სოციალურ მუშაკებს, სოციალური პროგრამების განხორციელების და მომსახურების მიწოდების გარდა, უსაზღვრავს *პოლიტიკის მონიტორინგისა* და *შეფასების* ვალდებულებასაც. კოდექსი *სოციალური სამართლიანობის* ღირებულების ქვეშ ხაზს უსვამს სოციალურ მუშაკთა ცოდნის მნიშვნელობას კულტურულ და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე, მგრძნობელობას ოპრესიასა და უსამართლობისადმი, ისეთი სოციალური ცვლილებებისათვის ძალისხმევის გაღებას, როგორიცაა: სიღარიბე, უმუშევრობა, დისკრიმინაცია და სოციალური უსამართლობისა და უთანასწორობის სხვა ფორმები (NASW, 2021).

ზოგიერთი კოდექსი ანტიოპრესიულ მაკროპრაქტიკაზე ამახვილებს ყურადღებას. დომინელი (2010) ოპრესიის სამ დონეზე საუბრობს: პიროვნული, ინსტიტუციური და კულტურული. ჩვენ, მაკროპრაქტიკაზე ორიენტაციით, ინსტიტუციურს მიმოვიხილავთ. ინსტიტუციური მოიცავს კანონმდებლობას, პოლიტიკას, რეგულაციებს. მათ დიდი ზეგავლენა აქვთ პრაქტიკაზე, რეალურად განსაზღვრავენ სოციალური მუშაობის ჩარევას. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია კულტურული ასპექტების გათვალისწინება, რადგან კულტურა ზოგჯერ, ძალადობის საფარქვეშ, ადამიანების უფლებების შელახვას ემსახურება, სოციალური მუშაკი კი კულტურული მედიატორია, რომელიც კონსენსუსის მიღწევაში უნდა დაეხმაროს ადამიანებს, ჯგუფებს, საზოგადოებას. მან უნდა შეძლოს უფლებრივი დისბალანსის წონასწორობაში მოყვანა.

პრაქტიკაში სოციალურ მუშაკებს ხშირად უხდებათ მუშაობა ისეთ ინსტიტუციურ გარემოში, სადაც არა მხოლოდ კლიენტთა ღირსება და თავისუფლებაა დაკნინებული (მაგალითად, პენიტენციურ სისტემაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრებში), არამედ კლიენტის, პროფესიისა და კანონის წინაშე ანგარიშვალდებულება მტკივნეული გამოცდილების მიღების საფრთხის წინაშე აყენებს მორალური ცნობიერების მქონე სოციალურ მუშაკს, რომელსაც დაუღალავი ბრძოლა უწევს სტრუქტურული და ორგანიზაციული რეფორმირებისთვის. ამ ბრძოლაში კი მოტივაციისა და შემართების შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობა. მეისის აზრით (2010), მის წინაშე უდიდესი ამოცანაა – როგორ დაამყაროს ასიმეტრიული ურთიერთობა იმგვარად, რომ ეს არ იყოს ღირსების შემლახავი კლიენტისთვის ეგზომ მწვავე მოწყვლადობის მდგომარეობაში და სხვაზე დამოკიდებულების სიტუაციაში.

თითქოს მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობის ან მათთვის პოლიტიკის, პროგრამების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას არა მხოლოდ პროფესიული, არამედ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ნებისმიერი მენეჯერი იდენტურად იაზრებს, მაგრამ თუ ჰილის (2010) მოსაზრებას გავიზიარებთ, ამგვარ გარემოს განსაკუთრებით ამშვენებს სოციალური მუშაკი მმართველ როლში, რომელსაც მისი აზრით, „უფრო დიდი პასუხისმგებლობა“ აქვს. არადა, ამგვარი გარემო ყოველთვის არ იმართება სოციალური მუშაკების მიერ, რაც კიდევ უფრო ურთულებს სოციალურ მუშაკს ცვლილებებისთვის ბრძოლას. მკვეთრად ფორმირებული ეთიკური გარემო ორგანიზაციაში თუ სოციალურ ინსტიტუტში ამცირებს ეთიკური ჩავარდნების შანსებს.

წამოიდგინეთ, რა არის სოციალური მუშაობის მაკროდონეზე განხორციელების ვალდებულებები და მასშტაბი და როგორ რთულდება აღსრულება იმგვარ სიტუაციაში, როდესაც სოციალური მოძრაობის, პოლიტიკური პარტიის თუ სააგენტოს მიზნები და ღირებულებები არათავსებადია სოციალური მუშაობის ღირებულებებსა და ეთიკის სტანდარტთან (ამ საკითხს დეტალურად ქვევით მიმოვიხილავთ, თუმცა რამდენიმე საკითხის ხაზგასმას ითხოვს წინამდებარე ქვეთავიც). განსვლა განსაკუთრებით საგრძნობია, თუ ის ინსტიტუციური დამოკიდებულებებისა და დოქტრინების დონეზეა, მაგალითად, რწმენაზე დაფუძნებულ ორგანიზაციაში თუ მუშაობს სოციალური მუშაკი, რომელსაც ადამიანის უფლებების დაცვა და სოციალური სამართლიანობა ესმის სხვაგვარად; ან განსხვავებულია ხედვა სოციალურ მუშაკსა და ორგანიზაციის ფინანსურ მხარდამჭერთა შორის; ან სახელმწიფო პოლიტიკა სოციალური მუშაკისაგან მოითხოვს იმგვარ ქმედებას, ან შედეგის მიღწევის იმგვარად არარეალისტურ ტემპს, რაც ეთიკურ პრინციპებსა და სოციალური მუშაობის ღირებულებებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ასეთი ეპიზოდები ჩვენს რეალობაშიც იყო, როდესაც, მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეფორმა – დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმა, მისი მიმდინარეობის კონკრეტულ ეტაპზე, წარმატების რეპორტირების წნეხს სისტემის განვითარების ან სოციალური მუშაობის ეთიკური სტანდარტების უგულებელყოფის ფონზე აღწევდა; ან, მაგალითად, სისტემა სოციალურ მუშაკს სამართლიანობის ღირებულების უგულებელყოფას აიძულებდა იუსტიციის სისტემის რეფორმისას.

მრავალია მიზეზი სოციალური მუშაობის პროფესიის ხიბლს ჩრდილქვეშ რომ აქცევს. მენეჯერიალიზმის ტექნოკრატული ბუნებაც აკნინებს სოციალური მუშაობის ჰუმანიზმს (Chu et al., 2009). ჩუსა და კოლეგების აზრით, არავინ დავობს იმაზე, რომ არაეთიკურია რესურსების არაგონივრულად გამოყენება რესურსთა სიმწირის ფონზე, თუმცა კიდევ უფრო არაეთიკური არ გამოდის უყაირათო ხარჯვაზე უფრო მეტი აქცენტირება, ვიდრე ზრუნვის ხარისხზე? ჰილი ამტკიცებს, რომ გარკვეული დოზით შედეგებზე ორიენტირება და მათი გაზომვა მნიშვნელოვანია პრაქტიკის ეთიკური მართვისთვის ისევე, როგორც ქმედითობის ფაქტორის გათვალისწინება, მაგრამ მენეჯერული მიდგომა შეუძლებელს ხდის სოციალური მუშაობის სხვა ეთიკური სტანდარტების დაკმაყოფილებას, როგორებიცაა: ადეკვატური რესურსებისათვის ადვოკატობა, თანამშრომლების პროფესიულ მორალსა და სოციალურ სამართლიანობაზე პასუხისმგებლობა. ის მიგვითითებს, რომ ეფექტიანი მართვა არ უნდა აგვერიოს მენეჯერიალიზმში. ის კომპეტენციის, როგორც ეთიკური იმპერატივის, კომპონენტად უნდა იქცეს, რადგან ეთიკური შეცდომების არიდებისა და/ან შემცირების წინაპირობაა. 1980-იანი წლებიდან ლამის დღემდე სოციალური მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებში დაიჩრდილა მათივე მთავარი ფუნქცია – იმ ადამიანების დახმარება, რომლებსაც ეს სჭირდებათ და საზოგადოებრივი პრობლემების შემცირება, თუ არ ან ვერ ხერხდება მათი ალაგმვა. მენეჯმენტის ეთიკის მთავარი თავსატკივარია ახლა ამ როლის დაბრუნება (მახარაძე & შატბერაშვილი, 2018).

ასევე არაეთიკურია მხოლოდ ინსტიტუციური გარემოს დადანაშაულება სოციალური მუშაობის მომსახურების არაეფექტიანობაში. კრიტიკულია ვეინბერგიც (2016), როდესაც ის ამბობს, რომ პრობლემების მოგვარების აუცილებლად ურთიერთობებზე ან ინტრაფიზიკურ ურთიერთობაზე ორიენტაციით, სოციალური სფეროს მუშაკებს ენიჭებათ „დამხმარეთა“ სტატუსი იმისათვის, რომ „დააკორექტირონ“ ეს პრობლემები; ორგანიზაციებს კი უდიდესი როლი, რომ ასეთი ექსპერტებით დაკომპლექტდნენ, თუმცა ამ ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობას, ძალაუფლებას, სტატუსს და შემოსავლებს განსაზღვრავს სწორედ „პრობლემის“ სწორად იდენტიფიცირება და ამ პრობლემებით შეწუხებულთა უარით გასტუმრება.

კლიენტის საჭიროების დაკმაყოფილების უუნარობა შესაძლოა აიხსნას სოციალური მუშაკის უუნარობით სისტემური პრობლემების გამოაშკარავებისათვის. ამიტომ საფრთხილოა „ქუჩის დონის ბიუროკრატიას“ (Weinberg, 2016, p.114) არ შეეწიროს პროფესია. ხშირად მომსახურება, პოლიტიკა იგეგმება, ხორციელდება და ფასდება მომსახურების მიმღების მონაწილეობის გარეშე. არადა, მოქალაქეთა მონაწილეობა დიდწილადაა დაკავშირებულ პროფესიულ ფასეულობებთან და ინსტიტუციური სისტემის კულტურასთან. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მოქალაქეთა მონაწილეობის, განსაკუთრებით, მომსახურების მიმღებთა მონაწილეობის საკითხი სოციალური პოლიტიკის დღის წესრიგში აქტიურად დადგა. ამან სოციალური მუშაობის არა მხო-

ლოდ უშუალო პრაქტიკის, არამედ მაკროპრაქტიკის, კვლევის მეთოდოლოგიაზეც კი მოახდინა დიდი ზეგავლენა – ის საგრძნობლად გადახარა მონაწილეობითი მიდგომების გამოყენებისაკენ (ამაზე უფრო დეტალურად მომდევნო ქვეთავში ვისაუბრებთ). თუმცა, მიუხედავად ამისა, მონაწილეობითი პრაქტიკის დანერგვა დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს სოციალურ მუშაკებს, განსაკუთრებით ავტორიტარული სისტემების წიაღში მოღვაწე კოლეგებს, რადგან ასეთ გარემოში მათ განსაკუთრებული კომპეტენცია, რეფლექსიის უნარი და პოლიტიკური ალღო სჭირდებათ წარმატებისათვის (Matthies, 2010).

მოქალაქეთა მონაწილეობა მაკროპრაქტიკის კიდევ ორ ღირებულებას – ემანსიფიკაციისა და ლიბერაციის ღირებულებას ეხმიანება, რასაც შვედეთის სოციალურ მუშაკთა ეთიკის კოდექსი ხაზგასმით აღნიშნავს (2015). გროსმანსის (2010) აზრით, ამისათვის საჭიროა შესაბამისი მხარდამჭერი ინსტიტუციური და მოქნილი სამუშაო გარემო, მომსახურების მიწოდების მეთოდების არჩევანის თავისუფლება. ეს კი განსაკუთრებით გართულდა მენეჯერიალიზმის ეპოქის დაწყებიდანვე. არადა, პროფესიის პოტენცია მოქალაქეთა, განსაკუთრებით კი დაუცველ მოქალაქეთა გაძლიერებასა და ძალაუფლებით აღჭურვაში განუზომლად დიდია. თუმცა ნებისმიერ მხარდაჭერას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანებს შორის განსხვავებულობის დაშვებისთვის ტოვებს ადგილს. ამით ის ლევინასის „სხვაგვაროვნებისადმი“ მიმღებლობის კონცეფციას ეხმიანება. ავტორი ხაზს უსვამს სამართლიანობაზე, პატიოსნებაზე, ადამიანის უფლებებზე რეფლექსიისას, ადამიანების თანასწორ და თანაბარ დონეზე პარტნიორულ ურთიერთობებში მყოფებად მოაზრებას, მაშინ, როცა ზრუნვასა და სოლიდარობაზე რეფლექსიისას ასიმეტრიული ურთიერთობები ფორმირდება. ამიტომაცაა ღრმად დასაფიქრებელი, როგორი უნდა იყოს სოციალური მუშაობის პრაქტიკა, რომ ეთიკური პრინციპებით მუშაობის გარანტიებს ქმნიდეს როგორც მიკრო-, ისე მაკროდონეზე. ფართოდაა აღიარებული, რომ სელექტიურ შემთხვევაზე მუშაობის პრაქტიკა, განსაკუთრებით თუ პრობლემა ფართოდაა გავრცელებული, ე.ი. არ არის კონკრეტული ადამიანის ამ პრობლემასთან გაუმკლავებლობის მიზეზით წარმოქმნილი, უკუშედეგის მქონეა ხშირად. ასეთ სიტუაციაში კი, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანმა დაფასებულად იგრძნოს თავი, მას სტიგმა და სირცხვილის განცდა ეუფლება.

სოციალურ მუშაობას, როგორც პროფესიას, დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ევერსის მიერ კლასიფიცირებულ „პარტისიპატორიზმში“, სადაც მომსახურების მიმღები მოაზრებულია არა ირიბად მონაწილე მოქალაქედ, როგორც ეს „ველფეარიზმშია“ (Evers, 2006), არამედ, როგორც კოლექტიური თვითდახმარების პროცესის უშუალო მონაწილე. ამას კი არა მხოლოდ მომსახურების მიმღებთა, არამედ სათემო მომსახურებების მიმწოდებელთა გაძლიერება და თვითმმართველობის განვითარება სჭირდება, რაშიც სოციალურ მუშაკთა მხარდაჭერაა საჭირო. შესაბამისად, *სოციალური მუშაობის ეთიკის სტანდარტების* N4 სტანდარტის N8 პუნქტი – *ეთიკური პასუხისმგებლობა ფართო საზოგადოების მიმართ,* სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას, როდესაც აცხადებს, რომ სოციალური მუშაკი ვალდებულია:

8.ბ.ა. ხელი შეუწყოს მოსახლეობის ინფორმირებულ მონაწილეობას სოციალური პოლიტიკისა და ინსტიტუტების ფორმირებაში.

სოციალურ მუშაკებს, პროფესიული საქმიანობის ყოველ ნაბიჯზე, პასუხისმგებლობით აღსავსე გადაწყვეტილების მიღება მართებთ, პროფესიულ არჩევანზე პრაქტი-

კის ყველა დონეზე – იქნება ეს რესურსების შერჩევაზე, ძალაუფლებით აღჭურვაზე, სოციალურ ადვოკატობასა თუ პოლიტიკურ ქმედებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილება. ბენკსის (2010) აზრით, ეთიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია რამდენად ახდენს სოციალური პოლიტიკა თუ კვლევა მონაწილეთა ძალაუფლებით აღჭურვას.

კოდექსის დანიშნულება ეთიკურ დილემებთან გასამკლავებლად

სოციალური მუშაობის ეთიკის ადგილობრივი სტანდარტის განმარტებით (მთავრობის დადგენილება, 2021), რომელიც სრულ თანხვედრაშია სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის და სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციების მიერ შემუშავებულ დეფინიციასთან (IFSW, IASSW, 2014), სოციალური მუშაობა წარმოადგენს:

პრაქტიკაზე დამყარებულ პროფესიასა და აკადემიურ დისციპლინას, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებასა და განვითარებას, სოციალურ ერთობას, გაძლიერებასა და გათავისუფლებას. სოციალურ მუშაობას საფუძვლად უდევს სოციალური სამართლიანობის პრინციპები, ადამიანის უფლებების და განსხვავებულობის პატივისცემა და ინდივიდუალური/გუნდური/ პასუხისმგებლობა. სოციალური მუშაობის თეორიაზე, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ცოდნაზე, ადგილობრივი სპეციფიკის ცოდნასა და გააზრებაზე დაყრდნობით, სოციალური მუშაობა ითვალისწინებს ადამიანებსა და სხვადასხვა სტრუქტურასთან მუშაობას ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.

განმარტებიდანაც ჩანს, რა რთული ეთიკური და პოლიტიკური, ტექნიკური და სამართლებრივი ასპექტების ურთიერთკავშირით გამოწვეული სირთულის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს სოციალური მუშაკი. ამიტომ მისი გადაწყვეტილებები, გარდა ტექნიკური და პრაგმატული ხასიათისა, ეთიკური ხასიათის მატარებელიცაა. საჭიროების კრიტერიუმი, რის მიხედვითაც ზოგს ენიჭება შეღავათი ან დახმარება ამა თუ იმ სოციალურ მომსახურებაზე, ზოგს კი არა, ეთიკური განსჯის საკითხია იმის შესახებ, თუ რა სოციალური პასუხისმგებლობა გვაკისრია სოციალური საკითხებისა და პრობლემების გადაჭრისა და მწირი რესურსების ეფექტიანად და სამართლიანად გადანაწილებაში. ეთიკური საკითხია მომსახურების მიწოდების დაწყების წესი – რომელი კლიენტი ან სიტუაცია ითხოვს მომსახურების მიწოდებას დაუყოვნებლივ, რომელთათვის შეგვიძლია მომსახურების მიწოდების შეყოვნება გადატვირთული განრიგისას.

სარა ბენკსი (Babks, 2001) ასეთ განმარტებას აძლევს სოციალურ საკითხებს, სოციალურ პრობლემებსა და სოციალურ დილემას:

- სოციალურ მუშაობაში ულევია სოციალური საკითხები, რადგან იგი სოციალური კეთილდღეობის კონტექსტში ხორციელდება სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვით;
- ეთიკური პრობლემა წარმოიქმნება, როდესაც სოციალური მუშაკი რთული მორალური გადაწყვეტილების წინაშე დგას;
- ეთიკური დილემა წარმოიქმნება, როდესაც სოციალური მუშაკი ორი თანაბრად არასასურველი ალტერნატივის წინაშე დგას, რაც მორალურ პრინციპებს შორის კონფლიქტს იწვევს და გაუგებარია რომელი არჩევანია უფრო მართებული.

ბენკსის განმარტებას ეხმიანება ბორმანის (2010) განმარტებაც, როდესაც ის ამბობს, რომ ეთიკური დილემა წარმოიქმნება, როცა პრაქტიკოსის წინაშე ორი ან მეტი თანაბრად წონადი ღირებულების დაცვის საკითხი დგას, მაგალითად, როგორიცაა სამართლიანობა და თანასწორობა ან კონფიდენციალობა და სიცოცხლის დაცვა (Dolgoff et al., in Borrmann, 2010) და როდესაც ჩვენი ნებისმიერი არჩევანი არასასურველ შედეგს მოგვიტანს, მაგალითად, კონფიდენციალობის დაცვა, როდესაც საფრთხე ემუქრება სხვას და ამის გამომზეურება საფრთხეს უქმნის ჩვენსა და კლიენტს შორის ნდობას (Rhodes, 1991, cited in Borrmann, 2010).

რა ეთიკური საკითხები დგას სოციალური მუშაობის წინაშე?

- ინდივიდუალური უფლებისა და კეთილდღეობის საკითხი;
- საზოგადოებრივი კეთილდღეობის საკითხი;
- უთანასწორობისა და ჩაგვრის საკითხი (მეისი, 2008).

სამივე აქტუალურია პრაქტიკის სამივე დონისათვის – მიკრო, მეზო და მაკრო. მეისის (2009) აზრით, უმრავლეს შემთხვევაში სამივე საკითხი წამოიჭრება ხოლმე ერთდროულად, რაც პრობლემას ქმნის, მაგრამ საქმე უფრო რთულდება, როდესაც სოციალურ მუშაკს სხვადასხვა ეთიკური პრინციპისა და ურთიერთობის დაბალანსება უწევს და დილემასაც მისთვის სწორედ ეს წარმოადგენს, რადგან სხვადასხვა სახის უფლებებისა და ინტერესების დაცვას და პასუხისმგებლობების და ვალდებულებების კისრებას ითხოვს. სოციალური მუშაობა რთული საქმიანობაა, მოვალეობისა და პასუხისმგებლობების უამრავი შრეებით.

რთულია მკვეთრი პოზიცია გქონდეს ეთიკური დილემებისა და პარადოქსების პირისპირ. არადა, ეს თანმდევია სოციალური მუშაკის პრაქტიკისათვის ნებისმიერ დონეზე. შტაუბ-ბერნასკონი (2009) ამას პროფესიის სამმაგი მანდატით ხსნის: მისი პასუხისმგებლობიდან კლიენტისა და საზოგადოების წინაშე და მისი პროფესიული ვალდებულებიდან – მეცნიერულ საფუძველზე ფორმირებული ქმედებების სახელმძღვანელო პრინციპებიდან და პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე. მეისის (2009) აზრით, სიტუაციას ამწვავებს საკუთარი მორალი მომსახურების მიმღების, სააგენტოსა და საზოგადოების წინაშე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სოციალური მუშაობა უმრავლეს ქვეყანაში არის საჯარო სამსახურის მომსახურება, სოციალური მუშაკები კი ძირითადად მოწყვლად მოსახლეობასთან მუშაობენ, ემსახურებიან მათ დაცვას დისკრიმინაციის, ოპრესიისა და უსამართლობისაგან. მეორე პრობლემას ის წარმოშობს, რომ სოციალური მუშაობა არის კეთილდღეობის სისტემის ნაწილი, რომელსაც თავისთავად ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები, ფუნქცია და ღირებულებები აქვს, როგორებიცაა: ზრუნვა და კონტროლი, კერძო კაპიტალის აკუმულირება და არსებული სოციოეკონომიკური წესრიგის ლეგიტიმაცია, ინდივიდუალური უფლებების დაცვა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მხარდაჭერა. სწორედ ეს წარმოშობს დაძაბულობას, დილემასა და კონფლიქტს სოციალურ მუშაობაში.

რაიმე წესების შემუშავება, რომელიც სოციალურ მუშაკს დაეხმარება ასეთი საკითხების გადაჭრაში, არც სასურველია და არც შესაძლებელი. უმრავლესი ეთიკის სტანდარტი ვერ აწესებს უნივერსალურ წესს, თუ როგორ უნდა მოიქცეს კონკრეტული სოციალური მუშაკი კონკრეტულ სიტუაციაში, როდესაც ის რთული ეთიკური ამოცანის წინაშეა; ან მისი და მისი კოლეგების შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა ღი-

რებულებების, ეთიკური პრინციპების და სტანდარტების უპირატესობების წესით ხელმძღვანელობისას. ეს კიდევ უფრო რთულდება, როდესაც საქმე მაკროპრაქტიკას ეხება. ამიტომ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღება თანასწორთა განხილვის შედეგად, ეს კი ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებზე შეთანხმებასა და თანაზიარობას მოითხოვს. სოციალურ მუშაკებს ჰენდი (1994) სთავაზობს ოქროს წესს, რომლის მიხედვითაც არის დილემები, რომლებიც ვერ გადაიჭრება, მაგრამ იმართება (Borrmann, 2010). ხოლო, როგორ უნდა იმართოს პროცესები სწორად და საზოგადოებისათვის სასიკეთოდ, სოციალურმა მუშაკებმა საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით თეორიული ჩარჩოს ფარგლებში და ეთიკური პრინციპების ხელმძღვანელობით უნდა შეძლონ, რადგან ამ გადაწყვეტილებით პასუხისმგებელნი არიან კლიენტის, საზოგადოებისა და პროფესიის წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ (ბენკსი, 2010) მკაცრად ეთიკური პრინციპების ფორმირებული იერარქია არ არსებობს სოციალური მუშაობის პრაქტიკაში გადაწყვეტილების მიღების არცერთ ეტაპზე, არსებობს რამდენიმე მოდელი, რომლითაც შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ პრაქტიკის სხვადასხვა დონეზე. ზოგიერთი მათგანი მაკროპრაქტიკისათვისაა დამხმარე. ასეთია გუვაერტის (Goovaerts, 2003) მიერ შექმნილი სწორხაზოვანი თანმიმდევრული მოდელი, რომელიც შემთხვევის (ყველა დონეზე) სისტემატურად გაანალიზების საშუალებას აძლევს პრაქტიკოსს, რაზე დაყრდნობითაც მიიღებს გადაწყვეტილებას ქმედებისათვის. მნიშვნელოვანია გქონდეთ პასუხები 1-დან მე-6 კითხვაზე და შეძლოთ მე-7:

1. რა ფაქტები გაქვთ?
2. ვისი ინტერესები ზარალდება?
3. რა დილემა ახლავს?
4. რა ალტერნატივები არსებობს?
5. რა დასკვნას აკეთებთ?
6. როგორ აღასრულებთ გადაწყვეტილებას?
7. შეფასება და რეფლექცია.

შეფასება უმთავრესი ეტაპია სოციალური მუშაობის პრაქტიკის აღსრულებისას ნებისმიერ დონეზე, მაგრამ მაკროდონეზე მას კიდეც უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ემსახურება მთელი საზოგადოების სოციალურ პრობლემებზე რეაგირებას, აღსრულებულის გააზრებას, გაგრძელებას, მოდიფიცირებას ან გაუქმებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ენიჭება კვლევის, როგორც მაკროპრაქტიკის პრედიქტორის ან განმსაზღვრელის, ეთიკის პრინციპების დაცვას. სოციალური მუშაობის კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები აქტუალურია არა მხოლოდ ეთიკური, არამედ ჰუმანური თვალსაზრისითაც.

მიუხედავად არცთუ ხანგრძლივი ისტორიისა, სოციალურ მუშაობაში უკვე დაგროვდა ეთიკური თვალსაზრისით საამაყო, არცთუ ისე საამაყო და უსიამოვნო ეპიზოდები. პირველს თამამად მიეწერება მაღალეთიკური სტანდარტით მოხელმძღვანელე სამხედრო სოციალური მუშაკის – პიტერ ბაქსტონის მიერ მხილებული უდიდესი დანაშაული, როდესაც მან 1972 წელს კონგრესმენთა ყურადღება მიაპყრო ალაბამაში 1932 წელს განხორციელებულ, ათაშანგით დაავადებულთა ცრუ მიზეზით მკურნალობის ფაქტს. ამ დროს ამ დაავადების სამკურნალო მედიკამენტი უკვე გამოგონილი იყო (Rubin &

Babbie, 2011). ამ მოვლენამ ხაზი გაუსვა სოციალურ მუშაკთა ეთიკურ ვალდებულებას არა მხოლოდ კვლევის განხორციელებისას, არამედ არაეთიკური პრაქტიკისა და კვლევის მხილებისას მისი აღსრულების შემდეგაც.

ზოგადად, ცოცხალ არსებებთან, განსაკუთრებით კი ადამიანებთან დაკავშირებული კვლევების ირგვლივ ეთიკური საკითხები და დილემები ყოველთვის აქტუალური იყო, განსაკუთრებით კი უახლესი წარსულის გახმაურებული უსიამოვნო მოვლენების გამო. ჯერ მარტო ჰოლოკოსტის ექსპერიმენტის გახსენება რად ღირს, რომელშიც, სამწუხაროდ, სწორედ მხარდამჭერი პროფესიის წარმომადგენლები იყვნენ აქტიურად ჩართულნი, მათ შორის სოციალური მუშაკებიც (Rubin & Babbie, 2011, Blackstone, 2023). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ექსპერიმენტი იდეოლოგიური ზეგავლენის შედეგია და არ ემსახურებოდა მხოლოდ სამეცნიერო „ცნობისმოყვარეობას“. ამ საკითხს კი მომდევნო ქვეთავში შევეხებით უფრო დეტალურად.

ასეთივე უსიამოვნოა 1960-იან წლებში განხორციელებული მილგრამის, ჰამპრის ექსპერიმენტები, რომლებმაც დიდი დავა გამოიწვია კვლევის ეთიკური ასპექტების ირგვლივ.

პირველი მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, თუ რამდენად დიდი ტანჯვის მიყენება შეუძლიათ ადამიანებს უდანაშაულო ადამიანებისთვის, თუ მათ ეს „ევალებათ“. კვლევის ნამდვილი მიზანი შენიღბული იყო. მონაწილეები ფიქრობდნენ, რომ კვლევა ეხებოდა ტკივილის გავლენის შესწავლას მეხსიერებაზე. მეორე კი შეისწავლიდა ანონიმურ სექსუალურ ურთიერთობაში მყოფ მამაკაცთა შორის ურთიერთობის სპეფიციკას საზოგადოებრივ ტუალეტებში. ის ცდილობდა დაედგინა ადამიანთა დამოკიდებულება საკუთარი სურვილებისა და იმიჯისადმი, შეესწავლა განსვლის მიზეზები მათ რეალურ და საზოგადოებრივ იმიჯს შორის. თუმცა ამ კვლევაშიც არ გაცხადებულა კვლევის რეალური მიზნები. მკვლევარი თავად იყო შენიღბულად კვლევის მონაწილის როლში.

სწორედ ამ და სხვა დაუნდობელი ექსპერიმენტების გამოძახილია ნიურნბერგის კოდექსად წოდებული ექიმთა და სხვა მხარდამჭერ სპეციალისტთა კვლევის კოდექსის შექმნაც, რომელიც არეგულირებს ადამიანებზე ჩატარებული კვლევის პროცესებს (Blackstone, 2023). ასევე არეგულირებს სხვადასხვა ქვეყანაში მოთხოვნას ეთიკის კომისიის ინსტიტუციონალიზაციის შესახებ. ეს კომისიები, სწორედ ეთიკური სტანდარტის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, წინასწარ და დეტალურად ითხოვენ კვლევაში მონაწილეთა, კვლევის განხორციელების ადგილის, დროის, ხანგრძლივობის, რაგვაროვნობის, დაშვებების შესახებ ინფორმაციას კვლევის პროცესში წარმოქმნილი კომპლექსური ეთიკური საკითხების სრულად გააზრებისა და კვლევის შედეგების ზეგავლენის ჯეროვნად და სხვადასხვა პერსპექტივიდან გაშუქების მიზნით. კომისიებში მუშაობისათვის მოწვეულები არიან თემის, უმაღლესი სასწავლებლების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, სასჯელაღსრულების დაწესებულებების და ა.შ. წარმომადგენლები.

მართალია, სოციალური მუშაობის კვლევები იშვიათად აყენებენ ადამიანებს ფიზიკური ზიანის რისკის წინაშე, მაგალითად, როგორც ეს სამედიცინო სფეროში ხდება (Blackstone, 2023), როდესაც იტესტება ახალი ნივთიერება, წამალი ან ვაქცინა, მაგრამ მათი კვლევის შედეგებს დიდი ცვლილებების მოხდენა ან, პირიქით, შეფერხება ძალუძთ. სოციალური მუშაობის კვლევები სხვა რისკების მატარებელია. მაგალითად, თუ ვერ მოხერხდა კვლევის მონაწილის იდენტიფიცირების არიდება, რაც მას საგრძნობი სოციალური პრობლემის წინაშე დააყენებს. ხშირად მხოლოდ კანონის მოთხოვნების

გათვალისწინებითაც არ არის გარანტირებული ეთიკური სტანდარტების დაცვა. მაგალითად, წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც ადამიანი ეწევა კანონით ნებადართულ საქმიანობას, თუმცა მისი ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა და ნათესავებმა მისი ამ საქმიანობის შესახებ არაფერი იციან. ეს ქცევა კი მათთვის მიუღებელია.

ასეთივე დიდი დავის საგანი იყო დემათის შემთხვევა, როდესაც მან ცხოველთა ულებადამცავებთან ერთად ვანდალურად გაანადგურა ლაბორატორიები, სადაც ცხოველებზე ტარდებოდა ცდები, გაათავისუფლა ცხოველები. იგი სასამართლოში მიიწვიეს ჩვენების მიცემისა და თავდამსხმელთა მხილებისათვის, რაზეც მან უარი განაცხადა. ამის გამო ის პატიმრობაშიც კი იყო მცირე ხნით, კონსპირაციისა და ცხოველთა თავშესაფარზე თავდასხმისათვის (Blackstone, 2023). დაუსრულებლად განიხილებოდა საკითხები: ვნებდა დემათი ავტომატურად მათ, ვისი ლაბორატორიებიც ასე ვანდალურად განადგურდა, მაშინ, როდესაც ის მისი კვლევის სუბიექტებს იცავდა? ვნებდა ის ამ ვანდალური აქტით მხოლოდ ლაბორატორიებში მომუშავე კოლეგებს, თუ გადასახადის გადამხდელებსაც ზიანს აყენებდა, ვისი ფინანსური რესურსითაც ეს ლაბორატორიები ფუნქციონირებდა? ის უფრო მნიშვნელოვანი ხომ არაა, რომ იგი მისი კვლევის სუბიექტების იდენტიფიკაციას ირიდებდა მათთან შეთანხმებისამებრ? დემათის შემთხვევამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მის კოლეგებში აკადემიური სფეროდან, რომლებიც მას ედავებოდნენ კოლეგებისა და სტუდენტების ხანგრძლივი შრომის უკანმოუხედავად განადგურებას ამ ლაბორატორიებზე ვანდალური თავდასხმით. მიუხედავად ასეთი მტრული დამოკიდებულებებისა, მას მომხრეებიც გამოუჩნდა, რომლებიც ამბობდნენ, რომ მეცნიერის დამოუკიდებლობა უმთავრესია და ის დაცული უნდა იყოს განურჩევლად იმისა, ვიზიარებთ თუ არა ჩვენ კვლევის თემას და/ან ვუჭერთ თუ არა მხარს კვლევის მონაწილეებს.

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მტკიცებულებით ინფორმირებული პრაქტიკის განხორციელება. მტკიცებულებითი პრაქტიკის უგულებელყოფა ან სუსტ მტკიცებულებაზე დაყრდნობით მოქმედება, სოციალური მუშაობის მთავარ ეთიკურ პრინციპს ეწინააღმდეგება – „არ ავნო“ პრინციპს, რომლის დაცვაც აქტუალურია როგორც მიკრო-, ისე მაკროპრაქტიკის დონეზე. მაკროპრაქტიკა კი ზიანის გამომწვევი მიზეზების პრევენციის საშუალებასაც გვაძლევს და აღმოფხვრაზე მუშაობისას შეცდომების მაქსიმალურად არიდებისაც. მტკიცებულებებით ინფორმირებული პრაქტიკის მიწოდების გარეშე, სოციალური მუშაკი ექსპერიმენტირებს. მტკიცებულებებით ინფორმირებული პრაქტიკა პროფესიულ გაურკვევლობებთან გამკლავების ერთგვარი ეთიკური საშუალებაა. ის პირდაპირაა დაკავშირებული სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსთან (Soydan & Palinkas, 2014). უმრავლესი ეთიკის კოდექსი აღნიშნავს მტკიცებულებითი პრაქტიკის დიდმნიშვნელოვნებას, თუმცა მაგალითად, ამერიკის სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის ეთიკის კოდექსი ხაზს უსვამს იმას, რომ კვლევით გაჯერებული პრაქტიკის განხორციელებაზე უარის თქმაც კი, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ეს ნაკარნახევი, არაეთიკურია (Rubin & Babbie, 2011). თუმცა აქაც შეიძლება წამოიჭრას დასაფიქრებელი ეთიკური დილემა: მართებულია თუ არა მტკიცებულების მოპოვების ან მისი განმტკიცებისთვის მომსახურების მიწოდების შეყოვნება (ე.ი. მოკლევადიანი მიზანი) მომსახურების მიმღებთა კეთილდღეობისთვის სწრაფვის მიზნით (ე.ი. გრძელვადიანი მიზანი). ეს ერთ-ერთი რთულად შესაჯერებელი საკითხია, რომლის ირგვლივაც აზრები უფრო მკვეთრად შორდება ერ-

თმანეთს, ვიდრე უახლოვდება. ნაწილის მოსაზრებით, საჭიროების მქონე ადამიანებს არ უნდა შეუფერხდეთ მომსახურების მიწოდება გარკვეული პერიოდით ან კვლევის მიზნებისათვის. სხვათა აზრით კი არ არის მართებული და არც ეთიკური ისეთი მომსახურების მიწოდება, რომლის ეფექტიანობაზეც ჯერ მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაცია არ არსებობს. მათი აზრით, ასეთ დროს მომსახურების მიწოდების შეყოვნება ჯობს. ამ რთულ სიტუაციაში ამოსავალი შეიძლება იყოს მომსახურების მიმღების მდგომარეობის სირთულის გააზრება. თუ მდგომარეობა უკიდურესად რთულია, ალბათ უფრო ეთიკურია არსებული სხვა, თუნდაც ნაკლებეფექტიანი, მაგრამ ნაცადი ინტერვენციების გამოყენება. თუ ალტერნატივა გვაქვს, კონფლიქტი მომსახურების მიღების უფლებასა და მიწოდებული მომსახურების ეფექტიანობაზე პასუხისმგებლობას შორის თითქოს მცირდება (Rubin & Babbie, 2011).

ხშირია შემთხვევა, როდესაც მკვლევარი და/ან პოლიტიკის ანალიტიკოსი გარკვეულ ნორმებს არღვევს იდეოლოგიური ზეგავლენით და არა ჭეშმარიტების იდეალისტური ძიებისათვის. თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მიზანმიმართულად ნიღბავენ კვლევის ჩატარების რეალურ მიზეზებს, მაგრამ ამას მხოლოდ კვლევის სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით აკეთებენ. მაგალითად, ზოგჯერ კვლევის მიზნის შენიღბვითაა განპირობებული მოხალისეობრივი მონაწილეობის ნორმის დარღვევა, რადგან, მკვლევრების აზრით, მიზნის გამჟღავნება რადიკალურად შეცვლის კვლევის მონაწილეთა ქცევას და/ან შესასწავლ მოვლენას (Rubin & Babbie, 2011).

ერთ-ერთი ასეთი მაგალითია როზენჰანის (1973) კვლევა, რომელშიც მკვლევრები ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ჰოსპიტალში, სამედიცინო პერსონალის ინფორმირების გარეშე, პაციენტის როლში ცდილობდნენ იმის გარკვევას, შესაძლებელია თუ არა „ნორმალური“ ადამიანის ამოცნობა, რომელსაც აღარ სჭირდება ჰოსპიტალიზაცია. კვლევამ დაადგინა კიდეც, რომ ექიმებმა ვერ შეძლეს „ნორმალური“ პაციენტების ამოცნობა. ეს კვლევა, სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა არა იმდენად სისტემის ხარვეზების გამოვლენას ვინმეს დასჯის მიზნით, არამედ სისტემის გაჯანსაღებას, პაციენტთა უფლებების დაცვას; ან მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ ხართ მაკროპრაქტიკოსი სოციალური მუშაკი და პოლიტიკის ანალიზის დოკუმენტს ამზადებთ სოციალური შემწეობის სისტემის დახვეწისათვის. ამას სჭირდება კვლევის ჩატარება შემწეობის მიმღებთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შესწავლის მიზნით. იმისათვის, რომ რეალური სურათის აღწერა შეძლოთ, რაზე დაფუძნებითაც უნდა ააგოთ პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ათასობით ადამიანის ცხოვრების ხარისხს განსაზღვრავს მომავალში, თქვენ ფიქრობთ, რომ ვიზიტისას მონაწილეებს არ უნდა გაუმჟღავნონ კვლევის რეალური მიზანი, რადგან, თუ გაუცხადებთ, გაიზრდება შანსი იმისა, რომ მიიღოთ არაზუსტი ინფორმაცია სიტუაციის დამძიმებისათვის. მცდარ მონაცემებზე დაყრდნობით კი ცხოვრების გაუმჯობესების სტრატეგიაც არაქმედითი იქნება. ასე თითქოს გამოდის, რომ ვიზიტის რეალური მიზეზის არგამხელით, კვლევა მეტად სანდო იქნება, ვიდრე გამხელით. მაგრამ, აქ ისმის მთავარი კითხვა – ეთიკურია ეს საქციელი? ამ კვლევის ჩაუტარებლობა ხომ არ იქნებოდა უფრო ეთიკური? ამ კითხვებზე პასუხი კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საზოგადო სიკეთეს მოიტანს კვლევა.

სხვა მაგალითიც ავიღოთ. ვთქვათ, თქვენ გსურთ დააკვირდეთ რა სიტუაციაა სკოლებში, მოსწავლეთადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, როგორც საგაკვეთილო, ისე არასაგაკვეთილო პროცესისას; ან რა სიტუაციაა კლინიკებში, ზრუნვის თვალსაზ-

რისით, ყველაზე მოწყვლად პაციენტებთან მომუშავე სამედიცინო პერსონალის მხრიდან. ხშირად აშკარაა, რომ რეალური მიზეზის გაცხადება რეალური სიტუაციის დანახვის საშუალებას არ მოგცემთ. დავუშვათ და გამოავლინეთ საოცარი ფაქტები, რომელზე რეაგირებაც დაუყოვნებლივაა საჭირო. გადაწონიდა ეს მასწავლებლების ან სამედიცინო პერსონალისათვის მიყენებულ ზიანს ნებაყოფლობითი მონაწილეობის ან მონაწილეობის მიუღებლობის შანსის არმიცემით? თუმცა იმის დადგენა, რამდენად გადაწონა კვლევის სარგებელმა ეთიკურად სათუო პრაქტიკის განხორციელებისაგან მიყენებული ზიანი, ეთიკური ნორმის დადგენის საკითხია და სცდება ნებაყოფლობითი მონაწილეობის საკითხს. მოხალისეობრივი მონაწილეობის პრინციპი უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ, თუ ამ ნორმის დარღვევის აუცილებლობაში დარწმუნებული არ ხართ, იმაში მაინც უნდა იყოთ დარწმუნებული, რომ სამეცნიერო კვლევის სხვა მნიშვნელოვან ნორმებს არ არღვევთ – არ ვნებთ კვლევაში მონაწილეებს (Rubin & Babbie, 2011).

ამ გამოწვევების არიდების მიზნითაა სწორედ შექმნილი სოციალურ მუშაკთა ეთიკის სტანდარტები, რომლითაც თითოეულმა სოციალურმა მუშაკმა უნდა იხელმძღვანელოს, განურჩევლად იმისა, საველე სამუშაოებს ახორციელებს თუ მაკროპრაქტიკას, კვლევით საქმიანობას თუ აკადემიურს. კოდექსი გვეხმარება არა მხოლოდ ეთიკური პრობლემების გადაჭრაში, არამედ საშუალებას გვაძლევს ჩვენივე პროფესიული ქცევის ეთიკურობა შევაფასოთ. ეთიკური სტანდარტის დაცვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევისას. სოციალური მუშაობის ეთიკის სტანდარტებში კვლევის სტანდარტი მოექცა N4 სტანდარტის N7 პუნქტის ქვეშ – *ეთიკური პასუხისმგებლობა სოციალური მუშაობის პროფესიის მიმართ* ფარგლებში. წარმოგიდგენთ სტანდარტის ზოგიერთ ქვეპუნქტს:

7.ბ. შეფასება და კვლევა – სოციალური მუშაკი ვალდებულია:

- 7.ბ.ა. აწარმოოს სოციალური მუშაობის პოლიტიკის, პროგრამებისა და პრაქტიკული საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება;
- 7.ბ.ბ. პროფესიული ცოდნის წყაროების გამდიდრების მიზნით, პოპულარიზაცია გაუწიოს კვლევას სოციალურ მუშაობაში;
- 7.ბ.გ. კრიტიკულად მიუდგეს სოციალური მუშაობის სფეროში აღმოცენებულ სიახლეებს და შეისწავლოს ისინი;
- 7.ბ.დ. გამოიყენოს შეფასების მეთოდები და კვლევის შედეგები პროფესიულ პრაქტიკაში;
- 7.ბ.ე. შეფასების/კვლევის განხორციელებისას გაითვალისწინოს მისი საქმიანობის შესაძლო შედეგები და დაიცვას ის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია კვლევისა და შეფასების მონაწილე ინდივიდების დასაცავად, ასევე, მიიღოს კონსულტაციები შესაბამისი ორგანიზაციიდან;
- 7.ბ.ვ. შეფასების/კვლევის განხორციელებისას კვლევის ყველა მონაწილისგან მიიღოს კვლევაში ნებაყოფლობით მონაწილეობაზე წერილობითი თანხმობა, რომელშიც უნდა იყოს ახსნილი, თუ რა მოეთხოვება კვლევაში/შეფასებაში მონაწილე ინდივიდს, რა სახისა და ხანგრძლივობისაა მისი მონაწილეობა, ასევე კვლევაში მონაწილეობის რისკები და სარგებელი პოტენციური მონაწილისათვის;
- 7.ბ.ზ. თუ სხვადასხვა მიზეზის გამო კვლევის/შეფასების მონაწილეებს არ შეუძლიათ კვლევაში ჩართვის შესახებ ინფორმირებული თანხმობის მიცემა

წერილობით ან ზეპირსიტყვიერად, პოტენციურ მონაწილეებს დაწვრილებით, მათთვის გასაგებ ენაზე აუხსნას კვლევაში მონაწილეობის დეტალები და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაატაროს კვლევა/შეფასება, თუ დარწმუნებულია, რომ მონაწილეებმა ნამდვილად გაიგეს კვლევის მიზანი და თანხმობას აცხადებენ კვლევაში მონაწილეობაზე ან/და მათ მონაწილეობაზე იღებენ ნებართვას კანონიერი წარმომადგენლისაგან/მხარდამჭერისაგან;

7.ბ.თ. არ დაგეგმოს ან აწარმოოს კვლევა/შეფასება თანხმობის პროცედურების შესრულების გარეშე ან ისეთი კვლევა, როგორიცაა, მაგალითად, ნატურალისტური დაკვირვებისა და საარქივო კვლევის გარკვეული ფორმები (ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ არსებობს ძლიერი მტკიცებულება იმისა, რომ ასეთი კვლევა გამართლებულია შესაძლო სამეცნიერო, საგანმანათლებლო და/ან სხვა მნიშვნელოვანი ღირებულებების გამო და რომ არ არსებობს სხვა ასეთი ეფექტური ალტერნატიული პროცედურა წერილობითი თანხმობის მოპოვების პირობებში);

7.ბ.ი. კვლევის/შეფასების მონაწილეებს შეატყობინოს, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეწყვიტონ კვლევაში მონაწილეობა ყოველგვარი ჯარიმის გარეშე;

7.ბ.კ. უზრუნველყოს კვლევის/შეფასების მონაწილეები შესაბამისი რესურსებით/მომსახურებით;

7.ბ.ლ. კვლევის მონაწილეები დაიცვას ფიზიკური თუ გონებრივი სტრესის, კვლევასთან ასოცირებული სხვადასხვა სახის ზიანისა და საფრთხისგან;

7.ბ.მ. მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს მხოლოდ პროფესიული მიზნებით და გაამჟღავნოს იგი მხოლოდ იმ ინდივიდებთან, რომლებსაც პროფესიული კავშირი აქვთ აღნიშნულ ინფორმაციასთან;

7.ბ.ნ. უზრუნველყოს მონაწილეთა კონფიდენციალობის დაცვა, ისევე, როგორც მათგან მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. მონაწილეებს შეატყობინოს იმ შეზღუდვების შესახებ, რომლებიც მათ კონფიდენციალობასთან დაკავშირებით არსებობს. შეატყობინოს მონაწილეებს, თუ რა ზომები იქნება მიღებული მათი კონფიდენციალობის დასაცავად და როდის მოხდება კვლევის ჩანაწერების ლიკვიდაცია;

7.ბ.ო. კვლევის/შეფასების ანგარიშის მომზადებისას არ გამოააშკარაოს მონაწილეთა კონფიდენციალური ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ მას არ აქვს მოპოვებული თანხმობა მონაწილისგან ინფორმაციის საჯაროობაზე;

7.ბ.პ. ზუსტად გადმოსცეს კვლევის/შეფასების შედეგები, არ გააყალბოს კვლევის/შეფასების შედეგები;

7.ბ.ჟ. სიფრთხილით მოეკიდოს ისეთ შემთხვევებს, როდესაც არსებობს კვლევის მონაწილეებთან ინტერესთა კონფლიქტის ან ორმაგი ურთიერთობის საფრთხე;

7.ბ.რ. კვლევის მონაწილეებს შეატყობინოს შესაძლო ან არსებული ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და ეცადოს ასეთი საკითხების გადაჭრას ისე, რომ მონაწილეთა ინტერესები იყოს მაქსიმალურად დაცული;

7.ბ.ს. გაიღრმავოს ცოდნა კვლევის პრაქტიკის ეთიკასთან დაკავშირებით და გაუზიაროს იგი სტუდენტებსა და კოლეგებს.

კვლევის სხვადასხვა მეთოდში ეთიკის საკითხებიც განსხვავებულია. მაგალითად, პელედმა და ლიჩენტრიტმა განსაზღვრეს სოციალური მუშაობის კვლევის, განსაკუთრებით კი თვისებრივი კვლევის, ხუთი ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპი (Peled & Leichtentritt, 2002):

1. კვლევის ეთიკა კვლევის თითოეული ეტაპის განუყოფელი ნაწილია;
2. ეთიკური კვლევა ძალაუფლებით აღჭურავს მონაწილეებს, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველ, ხმის უფლების არმქონე ადამიანებს/ჯგუფებს;
3. ეთიკურ კვლევას სარგებელი მოაქვს მონაწილეებისათვის;
4. ეთიკური კვლევა „არ ავნო“ პრინციპს იცავს როგორც უშუალოდ მონაწილეების, ისე მათთან დაკავშირებული პირების მიმართ (მაგალითად, ოჯახის წევრები);
5. ეთიკური კვლევა მკვლევრისგან ტექნიკურ კომპეტენციებს ითხოვს.

როგორც ხედავთ, სოციალურ მუშაკთა ეთიკის სტანდარტიც (2021) და პელედისა და ლიჩენტრიტის (2002) მიერ ფორმირებული კვლევის ეთიკის სტანდარტებიც სოციალურ მუშაკს მრავალ ვალდებულებას აკისრებს. სტანდარტები ხაზს უსვამს კვლევაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის, კონფიდენციალურობის, კონფიდენციალურობის შეზღუდვების შესახებ შეტყობინების ვალდებულებას, მონაწილეთა ინფორმირებულობის ვალდებულებებს, მკვლევრის პასუხისმგებლობას კვლევის ანგარიშის მომზადებისას; ის ასევე წარმოადგენს კვლევაში მონაწილეობის შეწყვეტის უფლებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სტანდარტი წარმოადგენს მისგან გადახვევის შესაძლო მიზეზებსა და/ან დასაშვებ ნორმებს. ის ხაზს უსვამს სოციალური მუშაკის ვალდებულებას აწარმოოს მაკროპრაქტიკის მონიტორინგი და შეფასება; სთხოვს სოციალურ მუშაკს კრიტიკულად მიუდგეს სოციალური მუშაობის სფეროში აღმოცენებულ სიახლეებსა და კვლევის შედეგებს; ანგარიშვალდებულს ხდის სოციალურ მუშაკს გასაგებ ენაზე აუხსნას მონაწილეებს კვლევის შედეგები თუ კვლევის წარმართვის პროცესში წამოჭრილი საკითხები. ის ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალური მუშაკების პასუხისმგებლობას გაიღრმავონ ცოდნა კვლევის პრაქტიკის ეთიკის საკითხებში. პელედი და ლიჩენტრიტი (2002) კი დამატებით ხაზს უსვამენ მონაწილეთა ძალაუფლებით აღჭურვის საკითხს და მკვლევარი სოციალური მუშაკის ტექნიკურ კომპეტენციებს.

როგორც აღვნიშნეთ, სტრესულია გარემო, რომელშიც სოციალური მუშაკი მოღვაწეობს, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც იგი დგას რესურსების სიმწირის, საზოგადოების, მათ შორის დამქირავებლების, მხრიდან პროფესიის შესახებ დაბალი ინფორმირებულობის პრობლემის წინაშეც. ეს კი სოციალური მუშაობის ეთიკის საკითხებზე მათ ბუნდოვან წარმოდგენას უქმნის. მაკროპრაქტიკას ხომ საერთოდ ერთეული სოციალური მუშაკი თუ ახორციელებს და პრაქტიკის ამ საფეხურზე ეთიკურად აღსრულებისთვის ხომ ცოდნის კიდევ უფრო მწვავე დეფიციტია. ადამიანებს კი სურთ სასიკეთო ცვლილებები, მათ სჭირდებათ ამ ცვლილებისათვის დარაზმვა, კოორდინირება. ეს კი სოციალური მუშაკისაგან მყარი ცოდნის ბაზას მოითხოვს.

ამ დილემების გადასაჭრელად შერმანი და ვენოკური (Sherman & Vinocour, 1983) რამდენიმე გამოსავალს გვთავაზობენ, რომელთა კლასიფიცირება შეგვიძლია *დანებებისა და არდანებების* პოზიციით, რომელთაგან ჩვენ წინამდებარე თავში მხოლოდ მაკროპრაქტიკისთვის რელევანტურ გამოსავლებს მიმოვიხილავთ. ესენია:

– „გვირაბის“ ხედვის განვითარება. ხშირად სოციალურ მუშაკს უვითარდება პრობლემისადმი ძალიან ვიწრო ხედვა და ეხმარება მომსახურების მიმღებს ინდივიდუა-

ლურ დონეზე. მას არ შესწევს უნარი იბრძოლოს მისი კლიენტის წინაშე არსებული პრობლემის მოგვარებისათვის, რომელიც სხვა ბევრი ადამიანის პრობლემაცაა და ხშირად გამოწვეულია სტრუქტურული ან ინსტიტუციური ბარიერების გამო.

– ენერგიის სადმე სხვაგან მიმართვა. ზოგიერთი სოციალური მუშაკი აქტივისტი ხდება და სისტემური ცვლილების მიღწევას ნებისმიერი შესაძლო გზით ცდილობს. ორგანიზაციისაგან განყენებული და დამოუკიდებელი პოზიციის გამო, ისინი არათანამშრომლობით და მოუმწიფებელ პროფესიონალებადაც კი მიიჩნევიან ხანდახან, თუმცა ეს მათ ცვლილებისათვის ბრძოლაში არ აფერხებს.
– ცვლილების ინიცირება. ეს ცვლილებისათვის უფრო მობილიზებული ბრძოლაა, წინა გამოსავლისაგან განსხვავებით. სოციალური მუშაკები ერთიანდებიან კოლეგებთან, მომსახურებით მოსარგებლეებთან და სხვა მოქალაქეებთან ერთად სისტემური ცვლილებისათვის საბრძოლველად.

ისეთი შემთხვევებიც არსებობს, როდესაც სოციალური მუშაკები (Weinberg, 2016) ტოვებენ სფეროს, მათი აღქმით, მათივე უუნარობის გამო, გამოიყენონ პროფესიული მანდატით ბოძებული ძალაუფლება და მოახერხონ პოზიციონირება ინსტიტუციურ გარემოში, თავი გაართვან პროფესიულ დილემებს. ისინი თვითკრიტიკულნი არიან, არადა, ხშირად თავადვე არიან ამ სისტემისა და სტრუქტურების აღმშენებლებიც და მსხვერპლნიც, ზოგჯერ მათდა უნებურადაც კი. „ეთიკური სამუშაო“ მოიცავს პრაქტიკის განხორციელების პოლიტიკური კონტექსტის გააზრებასა და თავად პრაქტიკოსის პროფესიული ძალაუფლების გააზრებას, ე.ი. რეფლექსურობას (Banks, 2010, p.126).

მაკროპრაქტიკის ღირებულებების თავსებადობა იდეოლოგიურ შეხედულებებთან

მაკროპრაქტიკის განხორციელებისათვის საჭიროა ორიენტირი ინდივიდიდან სტრუქტურული უთანასწორობების შესუსტებაზე გადაიტანოს სოციალურმა მუშაკმა, რომ კიდევ უფრო არ მოძლიერდეს იდეოლოგიების დომინირება, იქნება ეს კაპიტალიზმის, პატრიარქალური იდეოლოგიის თუ სხვა.

ამერიკის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ეთიკის სტანდარტში „სოციალური და პოლიტიკური ქმედება“ ხაზგასმულია, რომ სოციალურ მუშაკებს უნდა ესმოდეთ პოლიტიკური იდეოლოგიის ზეგავლენა პრაქტიკაზე და ამის შესაბამისად უნდა ახდენდნენ პოლიტიკისა და კანონმდებლობის დონეზე ცვლილებების ადვოკატობას (NASW, 2021). სოციალური მუშაკები ხშირად აწყდებიან პრობლემებს, როდესაც დომინანტ იდეოლოგიასთან წინააღმდეგობაშია მათი ხედვები პოლიტიკის ფორმირების, განხორციელების, შეფასების თუ კვლევის ეტაპზე. განსაკუთრებით დიდია წინააღმდეგობა, თუ პოლიტიკის ფორმირების დოკუმენტი, ანალიზი ან კვლევის შედეგები სოციალური პოლიტიკის, პროგრამის თუ პროექტის ან მომსახურების არაეფექტიანობას ან მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებისადმი წინასწარგანმაპირობებელი ფაქტორების, კონკრეტული პრობლემების, ან სოციალური მოვლენების ჭრილში წარმოაჩენს (Rubin & Babbie, 2011). ის მძაფრდება, თუ ეს ჯგუფი სოციალურად გავლენიანია. ის კიდევ უფრო მძაფრდება, თუ ეს ანგარიში, პროექტი თუ პოლიტიკის კურსი საჯარო რესურსითაა დაფინანსებული.

ხშირად მსჯელობენ იმაზე, თუ რამდენად ემსახურება კვლევა საკითხის მეცნიერულ შესწავლას. ამის ნაცვლად, ხომ არ არის ის მკვლევრის პოლიტიკური შეხედულე-

ბების დემონსტრირების საშუალება. მართალია, მეცნიერების აბსტრაქტული მოდელი თავისუფალია იდეოლოგიისაგან, თუმცა სამეცნიერო პრაქტიკა – არა. ხშირია ასევე, სხვადასხვა მოსაზრებით კვლევის რეალური მიზეზების შენიღბვის ან დაფარვის შემთხვევებიც იდეოლოგიური ზეწოლის შედეგად (Rubin & Babbie, 2011).

ამის კარგი მაგალითია კოლმენის კვლევა, რომელიც 1966 წელს განხორციელდა და რომელმაც წარმოაჩინა, რომ მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე გაცილებით დიდ გავლენას ახდენს ოჯახი და სამეზობლო/თემი, ვიდრე საერთო სამეცადინო სივრცეები, ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები ან ხარჯი თითო მოსწავლეზე. მკვლევარი სასტიკად გაიკიცხა, რადგან მისი კვლევა მიიჩნიეს სეგრეგაციონალისტური პოლიტიკის გამოძახილად, მაშინ, როდესაც სოციალური სფეროს წარმომადგენელთა უმრავლესობა, დეკლარირებულად მაინც, მხარს უჭერდა დე ფაქტო სეგრეგაციას სკოლებში (Rubin&Babbie, 2011). იგივე ბედი ეწია მურეისა და ჰერნშტეინის კვლევას, რომელიც ინტელექტის მაჩვენებელში ეთნიკური განსხვავებების ნაწილობრივ გენეტიკური ფაქტორით განპირობებულობაზე საუბრობდა და ამტკიცებდა, რომ, რადგან ინტელექტის დონის ცვლილება რთულია, ინტელექტის მაჩვენებლის ზრდისაკენ მიმართულ სოციალურ პროგრამებზე რესურსის ხარჯვა აზრს მოკლებულია. ეს მხოლოდ სოციალური მუშაობის ან, ზოგადად სოციალური მეცნიერებების წიაღში აღმოცენებულ კვლევას არ ეხება. მაგალითად, ჯონსის კვლევა, რომელიც პოლიტიკური ტაბუების მსხვერპლი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ 1990-იან წლებში დაინტერესდა, რატომ არის ასეთი სიმწირე აფროამერიკელ ქალებში მკერდის კიბოს ფატალური შედეგების თაობაზე, კავკასიური რასის წარმომადგენელ ქალებთან შედარებით. აღმოჩნდა, რომ მკვლევრები ერიდებოდნენ ამგვარი კვლევის ჩატარებას, მხოლოდ იმის შიშით, რომ აფროამერიკელ ქალებში არ აღმოჩენილიყო უფრო მაღალი რისკის მაჩვენებელი, ვიდრე კავკასიური რასის ქალებში. ასეთ შემთხვევაში ისინი პოლიტიკურად რისკავდნენ (Rubin & Babbie, 2011).

ხშირად საკითხის შესწავლაზე ზეგავლენას ახდენს ფესვგადგმული პოლიტიკური ტაბუები, რაც ხელშემშლელიც კი შეიძლება აღმოჩნდეს მათთვის, ვინც ამ კვლევებმა უნდა ასარგებლოს (Rubin & Babbie, 2011). პრობლემის მიჩქმალვა, თუნდაც იმ სარჩულით, რომ მისი გამომზეურება ვინმეს გულს ატკენს ან ღია დისკუსიები, საზიანოა ისედაც მოწყვლადი ჯგუფებისათვის, პრობლემის მოუგვარებლობისთვის განწირვაა. ან პრობლემის გაზვიადება იმ მიზნით, რომ ზოგიერთი ჯგუფი სხვაზე უპირატესად წარმოაჩინოს, შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს საზოგადოებისათვის. სოციალური პოლიტიკის ერთი და იგივე მიზანი შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, სახელმწიფო აპარატი მიზნად ისახავს ადამიანთა კეთილდღეობის სისტემაზე დამოკიდებულების შესუსტებას, მათი სოციალური ფუნქციონირების გააქტიურების მიზნით. ეს შეიძლება მოტივირებული იყოს დიადი იდეით – ადამიანები გახდნენ უფრო აქტიურნი, სოციალურად ფუნქციონირებადნი, გაიზარდოს მათი ცხოვრების ხარისხი, მათი კარგად ყოფნის მაჩვენებელი; ან მათი დამოკიდებულების ტვირთი შეუმსუბუქონ დანარჩენებს, რომელთა ინტერესების გატარებაც უფრო მომგებიანია კონკრეტულ სიტუაციასა და პოლიტიკურ ვითარებაში.

ასეთი არაერთი პოლიტიკა გატარებულა და კვლევა ჩატარებულა რეალურ ცხოვრებაში, რომელთაგან ზოგიერთი ზევით მიმოვიხილეთ კიდეც. ამ თვალსაზრისით საინტერესო კვლევაა ასევე „უიღბლო ტეხასელების“ სახელით ცნობილი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა იმის შესწავლას, თუ როგორ გაიტანდა შემწეობის მიმღებთა ნაწილი

თავს შემწეობის გარეშე, მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი იყო შემწეობით მოსარგებლე. ექსპერიმენტში მონაწილეებმა არ იცოდნენ კვლევის ამ დეტალის შესახებ.

ამ იდეის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ეს გზა პროგრამის უნებლიე უარყოფით ეფექტებსაც გამოავლენდა. კრიტიკოსები კი მათ ეთიკური სტანდარტის უხეშ დარღვევაში ადანაშაულებდნენ, მოხალისეობრივი მონაწილეობისა და ინფორმირებული თანხმობის პრინციპის უგულებელყოფის გამო. ამ კვლევას ათაშანგის კვლევასაც კი უტოლებდნენ ეთიკური პრინციპების დარღვევის კუთხით, განაცხადეს რა, რომ „ადამიანებს არ უნდა მოვექცეთ როგორც ნივთებს, თუნდაც ამით სასარგებლო ინფორმაციას ვიღებდეთ“ (Rubin & Babbie, 2011, p.114). მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკა იდეოლოგიური ზეგავლენისადმი პროტესტით არ შემოიფარგლებოდა და მეთოდოლოგიურ ხარვეზებზეც მახვილდებოდა ყურადღება, აშკარაა, რომ ორივეს ნაზავმა შექმნა ეთიკური პრობლემები. კრიტიკოსთა ერთი ჯგუფი აქცენტს პროგრამის დეფიციტის გამოვლენის არამართებულ პროცედურაზე აკეთებდა. მათ მიაჩნდათ, რომ, ნაცვლად საკონტროლო ჯგუფის მონაწილეებისა, პროგრამის დეფიციტის გამოვლენის სხვა სტატისტიკური პროცედურა უნდა მოეფიქრებინათ.

მაკროპრაქტიკის თავსატეხია გადანაწილების ეთიკური დილემის შესამსუბუქებელი მექანიზმების შექმნა იმგვარად, რომ, რესურსების სიმწირის დაძლევისათვის საკონტროლო ჯგუფის შექმნის ნაცვლად, სხვა გზა იყოს გამოყენებული. მაგალითად, მომლოდინეთა სიის წარმოება. ეს საშუალებას იძლევა, მომლოდინეთა სიაში მყოფთა რიგის მოსვლამდე, მოხდეს დაკვირვება იმაზე, თუ რა ზემოქმედებას ახდენს მომსახურება მომსახურებით მოსარგებლეებზე. რადგან, მომლოდინეთა სიების შექმნის შემთხვევაში, ყველა იღებს მომსახურებას, რიგში მყოფნი თავად არიან გადაწყვეტილების მიმღებნი, მიიღონ თუ არა მონაწილეობა კვლევაში, მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობის შეზღუდვის გარეშე (Rubin & Babbie, 2011).

მაკროპრაქტიკის განხორციელებას ხშირად პოლიტიკური გარემო აფერხებს ან, პირიქით, ხელს უწყობს, თუ საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში მოხვდება. ძალაუფლების სტრუქტურა დიდწილად განსაზღვრავს მაკროპრაქტიკის, მათ შორის, კვლევის პოლიტიკურ ან მორალურ დონეზე წარმატებას (Sobocan, 2010). რთულია ეთიკური და პოლიტიკური საკითხების შერწყმა, რადგან ორივე იდეოლოგიურ საფარქვეშ ვითარდება. თუმცა პოლიტიკური თვალსაზრისით მისაღებობა საკითხს ავტომატურად ეთიკურსაც არ ხდის. ადამიანები არ ეთანხმებიან ერთმანეთს როგორც პოლიტიკურ, ისე ეთიკურ საკითხებში. იმისათვის, რომ გავიგოთ ამის მიზეზი, მოდით, შევეცადოთ პოლიტიკურსა და ეთიკურს შორის არსებული განსხვავებები წარმოვაჩინოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ეთიკური და პოლიტიკური ხშირად გადაჯაჭვულია, სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის ეთიკა არცთუ იშვიათად უპირისპირდება პოლიტიკურ ხედვას. ასე მაგალითად, ზოგიერთი სოციალური მუშაკი ეთიკური თვალსაზრისით აკრიტიკებს მომსახურებების ეფექტიანობის შეფასებას, კლიენტთა ერთი ჯგუფისათვის მიწოდებული მომსახურებების შეფასების ფონზე, მაშინ, როდესაც მომსახურების მიღება უგვიანდება კლიენტთა მეორე ჯგუფს (რადგანაც შედეგების გაზომვის გააზრებას დრო სჭირდება). ამ საკითხზე ზევითაც ვისაუბრეთ. მათი აზრით, ზიანი, რომელიც გამოწვეულია მომსახურების დაგვიანებით, გადაწონის ეფექტიანობის კვლევის შედეგებისგან მიღებულ სარგებელს. ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით თუ შევხედავთ, თუ ეფექტიანობის კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მომსახურება არ არის ეფექტი-

ანი, მისი მიწოდების გაგრძელება აზრს მოკლებულია და არც მიმწოდებელი ორგანიზაციის იმიჯზე ან მხარდაჭერის მოპოვების შანსებზე აისახება დადებითად. თუმცა პოლიტიკოსებს ისიც ადარდებთ, მომსახურების მიწოდებისაგან თავშეკავება მომსახურებისგან მიღებული საფასურის შემცირებას რომ გამოიწვევს და მომსახურების მიღების საჭიროების მქონეთათვის მისი მიუწოდებლობისთვის საზოგადოებრივ პროტესტსაც რომ გააღვივებს (Rubin & Babbie, 2011).

მაკროპრაქტიკოსის, იქნება ეს მკვლევარი თუ პოლიტიკის ანალიტიკოსი, გადაწყვეტილების მიმღები პირი თუ პოლიტიკოსი, პოლიტიკურმა ორიენტაციამ არ უნდა მოახდინოს გავლენა მის გადაწყვეტილებებსა და ინიციატივებზე და პოლიტიკური ინტერესის გამო არ უნდა შეამსუბუქოს ან დაამძიმოს დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც პოლიტიკის ფორმირება ან განხორციელება იგეგმება. ასე მაგალითად: არ არის ეთიკური, თუ სოციალური მუშაკი დაინტერესებულია დანაზოგითა და ეფექტით, მომსახურების მიწოდების ხარისხის უგულებელყოფის ხარჯზე. მაგალითად, რაიმე კომპონენტით მომსახურების ან პროგრამის გამდიდრება მხოლოდ იმიტომ არ უნდა დაიბლოკოს, თუ ის მომსახურებას აძვირებს. სოციალური მუშაკისათვის ამოსავალი ეს ვერ იქნება, თუნდაც რომ ის სახელმწიფო მოხელე იყოს; ან რომელ კითხვაზეა პასუხი უპირატესად მნიშვნელოვანი სოციალური მუშაკისათვის – იზოგება თუ იზრდება რეჰოსპიტალიზაციის ხარჯი იმ შემთხვევაში, თუ პოსტჰოსპიტალური საველე ვიზიტები სოციალური მუშაობის მომსახურების ნაწილი გახდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტებთან მუშაობისას? ემსახურება თუ არა ადამიანის კარგად ყოფნას სოციალური მუშაკის ჩართულობა პოსტჰოსპიტალურ მომსახურებაში?

ცხადია, რომ სოციალური მუშაკები ცხოვრების ხარისხზე ზეგავლენის მიხედვით გაზომავთ, რადგან გჯერათ, რომ ეს გაცილებით მნიშვნელოვანი და ეთიკურია, ვიდრე მხოლოდ გადასახადის გადამხდელთა თანხების დაზოგვის მაჩვენებლის ზრდაზე ორიენტაცია. ეს პრაგმატული თვალსაზრისითაც სწორი გამოსავალია.

ზოგიერთთა მოსაზრებით, მაკროპრაქტიკოსი არც უნდა იყოს სრულიად ნეიტრალური, იდეოლოგიური თუ ღირებულებითი თვალსაზრისით, თუმცა მნიშვნელოვანია მას გააზრებული და გამომზეურებული ჰქონდეს პოზიცია და დამოკიდებულებები. რომ არა შერწყმული პროფესიული და იდეოლოგიური ფასეულობები, ჩვენი მაკროპრაქტიკოსი კოლეგები, პროფესიის დასაბამიდან დღემდე, ვერ შეძლებდნენ ძლევამოსილი სოციალური მოძრაობების ინიცირებას, რომლებმაც სრულიად შეცვალეს სამყარო. სოციალური მეცნიერების კრიტიკული თეორიის პარადიგმის გადმოსახედიდან, სოციალური მეცნიერება და ქმედება ერთი მთლიანობაა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ზიმბალისტის (1977) მიერ შთამბეჭდავად აღწერილი პროცესი, თუ როგორ მოიცვა პროფესიამ *სოციალური გამოკითხვის მოძრაობა* ურბანული პრობლემების ასალაგმად მეოცე საუკუნის დასაწყისში. მოძრაობა საკმაოდ შერჩევითი მიდგომით გამოირჩეოდა გარემოსდაცვითი რეფორმის განხორციელების აუცილებლობაში საზოგადოების დასარწმუნებლად.

როგორც ხედავთ, მაკროპრაქტიკოსი რთული ამოცანების წინაშე დგას, რომ პრაქტიკა საზოგადოებისათვის სასიკეთო ცვლილებების ხელშემწყობ და სოციალური სამართლიანობის მხარდამჭერ ძალისხმევად ჩაითვალოს. ამასთან, მისი პოლიტიკა მიემართება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის ჩართულობას აღსრულების პროცესში: პოლი-

ტიკოსებს, პოლიტიკის ანალიტიკოსებს, მკვლევრებს, სოციალური მომსახურებების მიმწოდებლებს. ეს კი მიჯნავს პოლიტიკის მწარმოებლებსა და განმახორციელებლებს. რადგან ასეთი გამიჯვნა ხდება, მაკროპრაქტიკის განხორციელების საკითხიც (სად, როდის, ვის და როგორ) ეთიკურია. ამიტომ დასაფიქრებელია, რომელი ცოდნა უნდა გაზიარდეს და რა დოზით. ხომ არ ჯობს ან რა დოზითაა უკეთესი ის პოლიტიკური მოსაზრებებით არ გაზიარდეს. ეთიკური არჩევანი არის სოციალური სამართლიანობითა და ადამიანის უფლებებით ნაკარნახევი არჩევანი (Mertens, & Ginsberg, 2009).

უმრავლეს ეთიკის კოდექსში ნათლადაა სოციალურ მუშაკთა ეთიკური ვალდებულებები ასახული, თუმცა ბევრი კოლეგისაგან გვსმენია, რომ, მიუხედავად ამისა, პრაქტიკის განხორციელების ადგილას ეთიკური ნორმების დაცვა რთულდება. ეთიკური სოციალური მუშაობის განხორციელებისთვის ორგანიზაციული კლიმატის მნიშვნელობაზე ბევრს საუბრობენ. მის ფორმირებაზე პასუხისმგებლობა ხაზგასმულია სოციალური მუშაობის საერთაშორისო თუ ეროვნულ ეთიკის კოდექსებში (Healy, 2010). ამაზე ბევრი კოლეგა წერს, საუბრობს, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. ამის მიზეზად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ახსნას გვთავაზობენ. ზოგიერთი ავტორი თავად პროფესიის მრავალმანდატიანობას ასახელებს, განსაკუთრებით, როდესაც უშუალო პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი სახელმწიფო სისტემაშია დასაქმებული და სახელმწიფო პოლიტიკის ბრმა აღმსრულებლად წარმოუდგენია დამქირავებელს (იმედია, თავად სოციალური მუშაკი ასე არ ფიქრობს). ზოგიერთი კოლეგა ამას სოციოეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცვლილებებს მიაწერს და/ან იდეოლოგიური პარადიგმების ცვლას მსხვერპლშეწირულ პროფესიად მიიჩნევს. ფაქტი ერთია, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმება სოციალურ მუშაკს პრობლემათა ინდივიდუალიზაციისაკენ უბიძგებს. სოციალური მუშაკები ხშირად მორჩილად ასრულებენ ამ „დაკვეთას“ მაშინ, როდესაც მათი ცოდნაც და, ხშირად, პოლიტიკური შეხედულებებიც სულ სხვა მიმართულებით სვლას სთხოვს (Simpkin, 1979). ეს კი პირდაპირი გზა იქნებოდა მაკროპრაქტიკისკენ.

თავის შეჯამება

ეთიკის კოდექსი და ეთიკური სტანდარტები თავს უყრის მორალურსა და ეთიკურ პრინციპებს, რომელთა მიმართ სოციალური მუშაკები უნდა იყვნენ თავდადებულნი, და რომლებიც ეხმარებიან მათ გააკეთონ სოციალური სამართლიანობითა და ადამიანის უფლებებით ნაკარნახევი არჩევანი. ადამიანებს სჭირდებათ მხარდაჭერა უთანასწორობის, თანაც, არა მხოლოდ მატერიალური უთანასწორობის, არამედ პოლიტიკური, სოციალური და კულტურული უთანასწორობის დაძლევისათვის (Grénman et al., 2024). ამაში კი მათ სოციალური მუშაკი მეგზურობს. ამ საპასუხისმგებლო პროცესში სოციალურ მუშაკს ეთიკური პრინციპების დაცვაში ეთიკის სტანდარტები ეხმარება. სწორედ ეთიკურ სტანდარტებზე დაყრდნობით ირიდებს სოციალური მუშაკი მანკიერი პრაქტიკის განხორციელების ხაფანგებს, რომელთა წინაშეც საკმაოდ ხშირად შეიძლება აღმოჩნდეს, განსაკუთრებით, თუ ის საჯარო სექტორშია დასაქმებული, მაგალითად, არ შემოსაზღვროს მისი პროფესიული როლი სახელმწიფო პოლიტიკის ბრმა აღმასრულებლად; ახსოვდეს, რომ იგი თანაბრადაა პასუხისმგებელი კლიენტის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მისი პროფესიული მანდატის წინაშე (Staub-Bernasconi, 2010).

კოდექსი ეფუძნება სოციალური მუშაობის ძირითად ეთიკურ პრინციპებს და ნათლად წარმოადგენს მაკროპრაქტიკის ღირებულებებსა და სტანდარტებს – სოციალური

პოლიტიკის, ადვოკატობის, კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის. საქართველოში სოციალური მუშაობის პირველი ეთიკის კოდექსი შეიქმნა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დაარსებისთანავე, 2005 წელს. 2021 წელს კი მთავრობის 488 დადგენილებით, დამტკიცდა და გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა *სოციალური მუშაობის ეთიკის სტანდარტები,* რომლის მიხედვითაც სტანდარტი სავალდებულოა სოციალური მუშაობის განმახორციელებელი ყველა ორგანიზაციისათვის. ჩვეულებრივ მაკროპრაქტიკა ეხმიანება საზოგადოებრივი კეთილდღეობის, უთანასწორობისა და ჩაგვრის საკითხებს, რაც ასახულია ეროვნული ეთიკის სტანდარტებშიც, რასაკვირველია. მაკროპრაქტიკას ძირითადად მოიცავს N4 სტანდარტის N7 და N8 პუნქტი: *ეთიკური პასუხისმგებლობა სოციალური მუშაობის პროფესიის მიმართ* და *ეთიკური პასუხისმგებლობა ფართო საზოგადოების მიმართ. სწორედ ეს პუნქტები აშუქებენ სოციალური მუშაკის ეთიკურ ვალდებულებებს, პოლიტიკის, კვლევის, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და სხვა მაკროსაკითხებს.*

პრაქტიკაში სოციალურ მუშაკებს ხშირად უხდებათ მუშაობა ისეთ გარემოში, რომელიც ეთიკური სოციალური მუშაობის აღსრულებისთვის ხელშემშლელია. თუმცა, ავტორთა ნაწილის აზრით, არაეთიკური მუშაობა მხოლოდ ინსტიტუციური გარემოს შედეგი არ არის. ამიტომ სოციალური მუშაკის ღრმა ცოდნა ეთიკურ საკითხებზე დასაქმების ადგილზე ეთიკური გარემოს ფორმირების ხელშემწყობია.

პროფესიის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იდეოლოგიური პარადიგმების ცვლის ზეგავლენაც მოიაზრება პროფესიულ საქმიანობაზე. ბოლო ათწლეულებში გაბატონებულმა მეჯერიალიზმმაც ღრმა კვალი დაატყო პროფესიას, რადგან პროფესიული მანდატი სოციალურ მუშაკს პროცესზე ორიენტაციას სთხოვს და არამხოლოდ შედეგზე, თანაც, ლიმიტირებულ დროში. ამან კი წამოჭრა მრავალი ეთიკური დილემა და პრობლემა. სოციალურ მუშაკს უწევს გააზრება, ირღვევა თუ არა კლიენტის უფლება, როდესაც მას ვუზღუდავთ მომსახურების გახანგრძლივების შესაძლებლობას, დადგენილი ვადებისა და პროცედურების გამო, ან ხომ არ ხელყოფს ცხოვრებისა და მომსახურების ხარისხს შედეგზე ფოკუსირება რესურსების ქმედითად ხარჯვაზე ორიენტაციისას; ან ვუყოვნებთ თუ არა მომსახურების მიღებას ამ მომსახურების ეფექტიანობაში დარწმუნების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესი ეთიკის კოდექსი ხაზს უსვამს მტკიცებულებითი პრაქტიკის დიდმნიშვნელოვნებას, წამოიჭრება დასაფიქრებელი ეთიკური დილემა – მართებულია თუ არა მტკიცებულებით ინფორმირებული პრაქტიკის უზრუნველყოფისა და მომსახურებით მოსარგებლეთა კეთილდღეობისთვის მომსახურების მიწოდების შეყოვნება, თუ უმჯობესია ნაკლებეფექტიანი, მაგრამ ნაცადი ინტერვენციების გამოყენება, რადგან ამცირებს კონფლიქტს მომსახურების მიღების უფლებასა და მიწოდებული მომსახურების ეფექტიანობაზე პასუხისმგებლობას შორის (Rubin & Babbie, 2011)?

პოლიტიკოსების თავსატეხია ისიც, რომ მომსახურების მიწოდებისაგან თავშეკავება მომსახურებისგან მიღებული საფასურის შემცირებას გამოიწვევს, მაგრამ არანაკლებ დასაფიქრებელია, რომ მომსახურებისადმი ხელმიუწვდომლობას საზოგადოებრივი პროტესტი შეიძლება მოჰყვეს. უდავოა, რომ არაეთიკურია, თუ სოციალური მუშაკი, მომსახურების მიწოდების ხარისხის უგულებელყოფის ხარჯზე, ორიენტირდება დანაზოგსა და ქმედითობაზე.

მაკროპრატიკის თავსატეხია გადანაწილების ეთიკური დილემის შესამსუბუქებელი მექანიზმების შექმნაც, იმგვარად, რომ რესურსების გადანაწილება სამართლიანად და თანასწორობის პრინციპების დარღვევის გარეშე მოხდეს. რამდენადაც ნათელია მიკროპრატიკოსის დამოკიდებულება რესურსების განაწილებისა და მართვის პროცესში, იმდენად პრობლემური ხდება მაკროპრაქტიკოსისათვის ამ საკითხის გადაწყვეტა. მაკროპრაქტიკოსი თავად შეიძლება პოლიტიკოსიც იყოს, ე.ი. ახორციელებდეს სოციალური მუშაობის პრაქტიკას პოლიტიკის დონეზე, როგორც სოციალური კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი სვეტი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეთიკური საკითხია, რამდენად ნეიტრალური უნდა იყოს მაკროპრაქტიკოსი. მიუხედავად გაბატონებული მოსაზრებისა, თითქოს სოციალური მუშაკი ნეიტრალური უნდა იყო, წინამდებარე თავში წარმოდგენილია კონტრმოსაზრება, რომლის მიხედვითაც სოციალური მუშაკი არ უნდა იყოს სრულიად ნეიტრალური, იდეოლოგიური თუ ფასეულობითი თვალსაზრისით, თუმცა მნიშვნელოვანია მას გააზრებული და გამომზეურებული ჰქონდეს პოზიცია და დამოკიდებულებები. სრული ნეიტრალობის პირობებში არც *სოციალური გამოკითხვის მოძრაობა* მიაღწევდა ამგვარ წარმატებას.

დიდად დასაფიქრებელია ასევე სოციალური მუშაობის კვლევის ეთიკის საკითხებიც. ხშირია შემთხვევა, როდესაც მკვლევარი და/ან პოლიტიკის ანალიტიკოსი გარკვეულ ნორმებს არღვევს იდეოლოგიური ზეგავლენით და არა ჭეშმარიტების იდეალისტური ძიებისათვის. თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მიზანმიმართულად ნიღბავენ კვლევის ჩატარების რეალურ მიზეზებს საზოგადო სიკეთისათვის. დასაფიქრებელია, რამდენად ღირს კვლევის მიზნის შენიღბვა განზრახულის მიღწევისათვის ან ერთთა ძალაუფლებით აღჭურვის მცდელობა სხვათა დისკრედიტაციას ხომ არ გამოიწვევს; ან მაგალითად, თუ ვერ მოხერხდა კვლევის მონაწილის იდენტიფიცირების არიდება, რაც მას საგრძნობი სოციალური პრობლემის წინაშე დააყენებს. ხშირად მხოლოდ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებითაც არ არის გარანტირებული ეთიკური სტანდარტების დაცვა. თუმცა ეს მოსაზრება დღემდე დებატების საგანია. კითხვებზე ცალსახა პასუხების მოძიება თითქმის შეუძლებელია, თუმცა წინამდებარე თავში წარმოდგენილი მაგალითები დამხმარეა რთულ ან დილემურ სიტუაციებზე საპასუხოდ.

მეცნიერის დამოუკიდებლობა უმთავრესია და ის დაცული უნდა იყოს განურჩევლად იმისა, ვიზიარებთ თუ არა ჩვენ კვლევის თემას და/ან ვუჭერთ თუ არა მხარს კვლევის მონაწილეებს. პოლიტიკოსისთვის კი სავალდებულოა უმრავლესობის ინტერესების გათვალისწინება. ამავე დროს, სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია განსხვავებულობის აღიარება და უმცირესობათა ინტერესების დაცვა. პოლიტიკოსისთვის დროის ფაქტორიც უმნიშვნელოვანესია, რაც ხშირად მტკიცებულებითი პრაქტიკის უგულებელყოფას უშვებს, მაშინ, როდესაც სოციალური მუშაკისათვის არათუ მტკიცებულების გარეშე, არამედ სუსტ მტკიცებულებაზე დაყრდნობით მოქმედება ეთიკურ პრინციპს ეწინააღმდეგება. ამდენად, მაკროპრაქტიკოსის როლში კიდევ უფრო რთულდება ეთიკური პრაქტიკის განხორციელება. ამაში კი სოციალურ მუშაკს ეხმარება ეთიკური თეორიებისა და მათი აღმოცენების ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ მყარი თეორიული ცოდნა.

ეთიკურ თეორიებს შორის, რომლებიც წინამდებარე თავშია მიმოხილული გრეის, ვებისა (Gray & Webb, 2010) და ბენკსის (Banks, 2007) თეორიულ კლასიფიკაციაზე დაყ-

რდნობით, თავად სპეციალისტის გადასაწყვეტია, რას გამოიყენებს მაკროპრაქტიკის განხორციელების თეორიულ საყრდენად – დეონტოლოგიურ თუ ტელეოლოგიურ ეთიკურ პრინციპს. პირველი მას მოვალეობების აბსოლუტისტური გააზრებისაკენ უბიძგებს, მეორე კი კლიენტის სარგებლის გაზრდაზეა ორიენტირებული საბოლოო შედეგად; ან მოუწევს არჩევანის გაკეთება ტელეოლოგიურ თეორიებსა, რომლებიც არა იმდენად მორალური დასკვნების გაკეთებასა და შედეგების მიღწევაზეა ორიენტირებული, და თეორიებს შორის, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან იმაზე, თუ როგორ მორალურ მიდგომას გამოიყენებს სპეციალისტი კონკრეტულ სიტუაციაში; ან მაგალითად, პოსტმოდერნისტულ ეთიკაზე ორიენტირება, რომლის ამოსავალი წერტილია მუდმივი დაურწმუნებლობის აღიარება მორალთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე მუდმივი დაძაბულობა ღირებულებით, ეთიკურსა და მორალურ საკითხებთან მიმართებით.

წინამდებარე თავში ხაზგასმულია სამართლიანობაზე, პატიოსნებაზე, ადამიანის უფლებებზე რეფლექსიისას ადამიანების თანასწორ და თანაბარ დონეზე პარტნიორულ ურთიერთობებში მყოფებად მოაზრება და, მომსახურების, პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების შეფასებისას, მომსახურების მიმღების მონაწილეობის მნიშვნელობა. ამას ეთიკის კოდექსიც კი ავალდებულებს სოციალურ მუშაკს. ზოგადად, ადამიანთა სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა სოციალური მუშაკის არჩევანი კი არ არის, არამედ ეთიკური პრინციპი და პროფესიული პასუხისმგებლობაა.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. თქვენი აზრით, რომელია უფრო არაეთიკური – უყაირათო ხარჯვაზე უფრო მეტი აქცენტირება თუ ზრუნვის ხარისხზე? დაასაბუთეთ პასუხი.
2. რას ფიქრობთ, დაირღვა „უიღბლო ტეხასელების“ უფლებები? დაასაბუთეთ პასუხი.
3. რა შემთხვევაში ჩათვლიდით ეთიკურად კვლევას, რომლის ფარგლებშიც რეალური მიზეზის გაცხადება აირიდა მკვლევარმა? დაასაბუთეთ პასუხი.
4. თქვენი აზრით, უნდა გაემხილა დემითს მისი კვლევის მონაწილეთა ვინაობა? დაასაბუთეთ პასუხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

Aristotle (1976). Nicomachean ethics. Middlesex: Penguin Books

Banks, S. (1995). Ethics and Values in Social Work. Basingstoke: Palgrave Macmillan

Banks, S. (2010). From Professional Ethics to Ethics in Professional Life: Reflections on Learning and Teaching in Social Work. In Zavirsek, D., Rommelspacher, B., Staub-Bernasconi, S., (Ed.). E*thical Dilemmas In Socal Work: Internatonal Perspective* (pp. 119-131). Faculty of Social Work, University of Ljubljana Faculty of Social Work, University of Ljubljana

Banks, S., Cai, T., Jonge, E., Shears, J., Shum, M., Sobocan, A.M., Strom, K., Truell, R., Uriz, M.J.,

Winberg, M. (2020). Practising ethically during COVID-19: Social work challenges and responses. *International Social Work*,Vol. 63 (5) 569-583

Banks, S. (2007). Critical Commentary: Social Work Ethics. The British Journal of Social Work, *Volume 38*, (6), pp. 1238–1249

Biestek, F.P. (1961). The casework relationship. London: Allen and Unwin.

Borrmann, S. (2010). Ethical Dilemmas in Practice Stefan Borrmann. In Gray, M., Webb, S.A. (Ed.) *Ethics and Value Perspectives in Social Work* (pp.88-100). Palgrave Macmillan.

Blackstone, A. (2023). *Principles of Sociological Inquiry – Qualitative and Quantitative Methods.* LibreTexts Project https://LibreTexts.org

Chu, W.C.K., Tsui, M-S, Yan, M-C (2009), Social Work as a Moral and Political Practice. International Social Work, 52, 3: 287– 298

Congress, E. (2010). Codes of Ethics Elaine In Gray, M., Webb, S.A. (Ed.) *Ethics and Value Perspectives in Social Work* (pp.37-55). Palgrave Macmillan.

Dolgoff, F., Loewenberg, F., & Harrington, D. (2009). Ethical decisions for social work practice. (8th edn) Belmont, CA: Thomson, Brooks Cole

Dominelli, L. (2010) Anti-Oppressive Practice Lena Dominelli. In Gray, M., Webb, S.A. (Ed.) *Ethics and Value Perspectives in Social Work* (pp.258-277). Palgrave Macmillan.

ETHICS IN SOCIAL WORK – A code of conduct and ethical behaviour for social workers (2015). Board of the Swedish Union for Social Sciences Professionals (Akademikarförbundet SSR) in International Federation of Social Workers – Global Online conference (ifsw.org)

Goovaerts, H. (2003), Working with a Staged Plan. In: Banks, S., Nohr, K. (Eds.), *Teaching Practical Ethics for the Social Professions.* Copenhagen: FESET (83–93).

Gray, M., Webb, S.A.(2010). Ethics and Value Perspectives in Social Work. Practising Values in Social Work. In Gray, M., Webb, S.A. (Ed.) *Ethics and Value Perspectives in Social Work* (pp.3-35). Palgrave Macmillan.

Gray, M., Webb, S.A.(2010). Practising Values in Social Work. In Gray, M., Webb, S.A. (Ed.) *Ethics and Value Perspectives in Social Work* (pp.352-358). Palgrave Macmillan.

Illich I (1977). *Disabling professions*. London, New Hampshire, Salem.

Eskelinen, Toro, V., Obeng, G. (2024). Local Knowledge And Global Justice From hegemonic development to planetary well-being. In Elo, M., Hytonen, J., Karkulenho, S., Kortetmaki, T., Kotiaho, J., Puurtinen, M., Salo, M., *Interdisciplinary Perspectives on Planetary Well-being.* (pp. 1132-127). Routledge

Global Definition of Social Work (2014). Approved by the IFSW General Meeting and the IASSW General Assembly

Healy, L.H. (2010). Ethics in Social Work Management: Contesting the Encroachment of Menegerialism in the Social Services. In Zavirsek, D., Rommelspacher, B., Staub-Bernasconi, S., (Ed.). E*thical Dilemmas In Socal Work: Internatonal Perspective* (pp. 189-206). Faculty of Social Work, University of Ljubljana Faculty of Social Work, University of Ljubljana

Howe, D. (1987). An Introduction to Social Work Theory:Making Sense of Practice. Ashgate Publishing Ltd.

Levinas, E. (1989), Ethics as First Philosophy. Translated by Seán Hand. In: Hand, S. (Ed.), *The Levinas Reader.* Oxford: Blackwell (75–87).

Lorenz, W. (1994). *Social Work in Changing Europe.* London: Routledge.

Maiss, M. (2010). Social Work in the service of human being and happiness. INDOSOW seminar.

IASSW, 2018.

Maiss, M., & Panticek, P. (2009). Theory with Passion: Ilse Arlt and Current Questions in Social Work, 45- 60. Staub-Bernasconi, S. (2009). Social work as a discipline and a profession. In Leskošek, V. (ed.) *Theories and Methods of Social Work: Exploring Different Perspective*. Ljubljana: Faculty of Social Work, University of Ljubljana: 9-30.

Maiss, M. (2010). Ethical Learning And Ethical Deliberation In Social Work: Remembering Some Aspects Of The Pragmatist Approach Of Social Ethics. In Zavirsek, D., Rommelspacher, B., Staub-Bernasconi, S., (Ed.). E*thical Dilemmas In Socal Work: Internatonal Perspective* (pp. 39-63). Faculty of Social Work, University of Ljubljana

Matthies, A.L. (2010). Citizenship and Participation. In Gray, M., Webb, S.A. (Ed.) *Ethics and Value Perspectives in Social Work* (pp. 278-297). Palgrave Macmillan.

McAuliffe, D. (2010). Ethical Decision making Donna McAuliffe. In Gray, M., Webb, S.A. (Ed.) *Ethics and Value Perspectives in Social Work* (pp. 72-87). Palgrave Macmillan.

Mertens, M., Ginsberg, P..E. (2009). The Handbook of Social Research Ethics. SAGE Publications, Inc.

Monnink, H. (2017). *The Social Workers Toolbox: Sustainable Multimethod Social Work*. Routledge.

Obrecht, W. (2001). Das Systemtheoretische Paradigma der Disziplin und der Profession der Sozialen Arbeit: Eine transdisziplinäre Antwort auf das Problem der Fragmentierung des professionellen Wissens und die unvollständige Professionalisierung der Sozialen Arbeit (The systemic paradigm of social work. An answer to the problem of fragmentation of knowledge in social work). Zürich: Hochschule für Soziale Arbeit Zürich.

Obrecht, W. (2005). Umrisse einer biopsychologischen Theorie menschlicher Bedürfnisse: Geschichte, Probleme, Struktur, Funktion (A biopsychosocial Theory of human needs: History, Problems, structure and function). Wien: Skript zur gleichnamigen Lehrveranstaltung im ISMOS der Wirtschaftsuniversität Wien.

Peled, E., Leichtentritt, R. (2002), The Ethics of Qualitative Social Work Research.*Qualitative Social* Work: 1, 2: 145–169.

Rhodes, M.L. (1991). Ethical dilemmas in social work practice. Milwaukee: Families Service America

Rubin, A., Babbies, E.R. (2011). Research in Social Work, Boos/Cole Cengage Learning

Shaw, I. (2007). Is Social Work Research Distinctive? *Social Work Education,* 26(7):659-669. Routledge

შატბერაშვილი, ნ. (2018). პროფესიული ღირებულებები და ეთიკური საკითხები კვლევაში. მახარაძე, თ., შატბერაშვილი, ნ. *კვლევა სოციალურ მუშაობაში.*

Sobocan, A. (2010). Ethics in / after Social Work Research in Ethical Dilemmas in *Social Work:International Perspective* in Zavirsek, D., Rommelspacher, B., Staub-Bernasconi, S., (Ed.). Faculty of Social Work, University of Ljubliana

Social Work Code of Ethics (2019). ANZASW Home (anzasw.nz)

Social Work Code of Ethics (2021). NASW Code of Ethics of the National Association of Social Workers – National Association of Social Workers (naswma.org)

სოციალური მუშაობის ეთიკის სტანდარტები (2021). დადგენილება N488, დამტკიცებული 2021 წლის 6 ოქტომბერს https://www.matsne.gov.ge/document/view/5265771?publication=0.

Soydan, H., Palinkas, L. (2014). *Evidence-based Practice in Social Work: Development of a New Professional Culture*. Routledge

Weinberg, M., (2016). Paradoxes in Social Work Practice: Mitigating Ethical Trespass. Comtemporary Socia Work Studies Routledge, London, NY

Weiss-Gal, I., Welbourne, P. (2008). The Professionalization Of Social Work: a cross-National Exploration. *International Journal of Social Welfare*, 17 (4): 281-290.

Zimbalist, S.E. (1977). *Historic themes and landmarks in social welfare research.* New York, NY: Harper & Row.

ნინო შატბერაშვილი

თავი 7

სოციალური კეთილდღეობის იდეოლოგია

შესავალი

წინამდებარე თავის მიზანია მკითხველს გააცნოს კეთილდღეობის სისტემისადმი სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა დამოკიდებულებები; წარმოუდგინოს მათ ამა თუ იმ იდეოლოგიის თეორიული საფუძვლები. მასში საუბარია კეთილდღეობის სახელმწიფოს ფუნქციებსა და მიზნებზე სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა ხედვით; ცდილობს მკითხველს დაანახოს როგორ პოზიციონირებს სხვადასხვა ჯგუფი უთანასწორობასთან, სოციალური რისკების პრევენციასა და ამ რისკებით გამოწვეული პრობლემების დაძლევასთან მიმართებით; დაანახოს, რომელია, მათი აზრით, უფრო ეფექტიანი მიდგომა.

თავი ცდილობს დაეხმაროს სოციალურ მუშაკებს იმის გააზრებაში, თუ რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს მათ საქმიანობაზე და, შესაბამისად, მათი მომსახურებით მოსარგებლეთა ცხოვრებაზე ხელისუფლების სათავეში მყოფთ. დააფიქროს ისინი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: კეთილდღეობის სახელმწიფო ადამიანის რისკებთან გამკლავების მექანიზმია თუ სოციალური კონტროლის საშუალება; დახმარების მიღება საჭიროებას უნდა ეფუძნებოდეს თუ დაფასების აღიარებას; მომსახურებები და შემწეობები უპირობოდ უნდა გაიცემოდეს საჭიროებისამებრ თუ მათ მიღებას პირობითობა უნდა ახლდეს.

კეთილდღეობის გააზრება სხვადასხვა იდეოლოგიურ ჭრილში

სოციალური მუშაობა, როგორც პროფესია, ადამიანების კეთილდღეობას ემსახურება, თუმცა სხვადასხვა იდეოლოგიურ საფარქვეშ ამას განსხვავებული ეფექტიანობით ახერხებს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაობა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, საოჯახო პოლიტიკა ჰუმანიტარული სფეროებია ერთი შეხედვით და ამ სფეროებში დასაქმებულებს დიადი და კეთილი განზრახვები ამოძრავებთ, ისინი, სურთ ეს თუ არა, იაზრებენ ამას თუ ვერა, ეხმარებიან ეკონომიკური სისტემების მუშაობას, სადაც ყველაფერი საბაზრო ღირებულებითაა განსაზღვრული.

სოციალური მუშაკი იშვიათად ენიშნება მდიდარს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მდიდარი არღვევს მისივე ოჯახის წევრის უფლებებს ან მდიდარი მოხვდება მართლმსაჯულების სისტემაში და ა.შ. უფრო ხშირად კი მას მდიდრები სოციალური ფუნქციონირებისთვის ხელშემშლელი პირობების და/ან მდგომარეობის დასაძლევად თავად მიმართავენ. განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც სოციალური მუშაობის მომსახურება კერძო სექტორშია განვითარებული და ყოველგვარი სახელმწიფო ბიუროკრატიისა და კონტროლის გარეშეა შესაძლებელი მომსახურების მიღება. საზოგადოებაში სოციალური მუშაკი უფრო ხშირად დასაქმებულ რიგით მომხმარებლებს ენიშნებათ, სოციალურად უფრო ქმედითები რომ გახდნენ, ან სრულიად მოწყვლადებს, რომელთათვისაც ის

შეიძლება რეპრესიულ აპარატადაც კი იქცეს, თუ სოციალურ მუშაკს კარგად არ აქვს გააზრებული საკუთარი პროფესიული როლი.

ყველა სოციალურ სისტემას უხდება, გარკვეულწილად, უთანასწორობის შედეგებთან გამკლავება პერსონალური თუ საზოგადოებრივი *კარგად ყოფნისათვის,* მაგრამ, მემარცხენე იდეოლოგიის წარმომადგენელთა აზრით, არ ხდება ანაზღაურებითი მონობის წინააღმდეგ ბრძოლა. არადა, სწორედ ეს იწვევს ადამიანთა მენტალური, ფიზიკური თუ ემოციური ენერგიის განლევას. იდეოლოგიას კი შეუძლია როგორც რეპრესირება, ისე გათავისუფლება (Fitzpatrick, 2011). ამიტომ, სოციალური კეთილდღეობის სისტემის გაანალიზებისათვის აუცილებელია გავეცნოთ კეთილდღეობის სხვადასხვა იდეოლოგიას.

კეთილდღეობის თეორეტიკოსები კეთილდღეობის სისტემების სხვადასხვა კლასიფიკაციას გვთავაზობენ. ჩვენ ფიცპატრიკის (Fitzpatrick, 2011) კლასიფიკაციას დავეყრდნობით, რადგან ის, იდეოლოგიათა სოციალურ მუშაობასთან მიმართებით, გაანალიზების ეფექტიან მექანიზმადაა მიჩნეული. თუმცა ის არ არის ამომწურავი ჩამონათვალი და ჩვენ არ შევეხებით ან ძალიან ზედაპირულად შევეხებით სხვა არსებულ იდეოლოგიებს ამ თავში (მაგალითად, მწვანე იდეოლოგიას, მესამე გზას და სხვა), რომელთა ხედვაც სახელმწიფოს, ოჯახსა და ბაზარს შორის ვალდებულებების გადანაწილებაზე, თავისთავად, საინტერესოა.

ფიცპატრიკი (Fitzpatrick, 2011) კეთილდღეობის იდეოლოგიაზე საუბრისას განიხილავს რადიკალ-მემარჯვენეთა, კონსერვატორთა, სოციალ-დემოკრატთა, მარქსისტთა და ფემინისტთა ხედვას. ეს, გარკვეულწილად, სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის იმ ძირითადი პრინციპების გააზრებისთვისაც შეგვამზადებს, რომლებიც საფუძვლად უდევს კეთილდღეობის სხვადასხვა მოდელს, რომლებზეც მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

რადიკალ-მემარჯვენეთა დამოკიდებულება კეთილდღეობისადმი

როდესაც რადიკალმემარჯვენეობაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ეკონომიკური ლიბერალიზმისა და მორალური კონსერვატიზმის ნაერთს ვგულისხმობთ (Fitzpatrick, 2011). ფიცპატრიკი (Fitzpatrick, 2011) ტერმინს *რადიკალური მემარჯვენეობა* (Radical Right) შეგნებულად იყენებს და არიდებს თავს ტერმინებს: *ახალი მემარჯვენეობა* (New Right) და *ნეოლიბერალიზმი* (Neoliberalism), რადგან, ავტორის აზრით, პირველი აღარაა ახალი უკვე დიდი ხანია, მეორე კი მოიცავს კონსერვატიზმის და არალიბერალიზმის ასპექტებს, რაც მას მიჯნავს რადიკალური მემარჯვენეობისაგან. რადიკალ-მემარჯვენეთა აზრით, მხოლოდ კაპიტალისტური ბაზრების, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური ჩარევით არის შესაძლებელი თავისუფლების გარანტირება და მხოლოდ პირად ინტერესებს შეუძლია ინდივიდუალური შემოქმედებითობის ზრდა. თუმცა მემარჯვენე ლიბერტარიანელთა და საბაზრო კონსერვატორთა შეხედულება განსხვავებულია, მათ აერთიანებთ კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეისადმი უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება, როგორც ეკონომიკისა და საზოგადოების მორალის შემასუსტებელი ფაქტორისა. პირველნი თავისუფლების დაცვის შანსს მხოლოდ სრული ჩაურევლობით ხედავენ, ხოლო მეორენი ეკონომიკური ლიბერალიზმის არსებობას სოციალურ და მორალურ ეთნოსზე დაყრდნობით. ეს უკანასკნელი ოჯახური ფასეულობების, კანონის, წეს-ჩვეულებების, რელიგიის, ძლიერი სამუშაო ეთიკის, ეროვნული იდენტობის, კულ-

ტურული ინსტიტუტებისადმი პატივისცემაზეა დაფუძნებული. ამ უკანასკნელთა შეხედულებით, მინიმალური სახელმწიფო ჩარევის გარეშე ცხოვრების კონკრეტული სტილის დომინირება წარმოუდგენელია. თავისუფალი ბაზარი თავისთავად ვერ შექმნის პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე ოჯახებსა და ინდივიდებს. ისინი სახელმწიფო ხარჯებს მხარს უჭერენ ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებისათვის.

რადიკალ-მემარჯვენეთა ორივე ფრთა იაზრებს სახელმწიფო კეთილდღეობის ურთიერთწინააღმდეგობრივ ბუნებას. მათი აზრით, აცდენაა დაპირებებსა და შედეგებს შორის. დაპირებები სრულ დასაქმებაზე, რედისტრიბუციულ თანასწორობაზე, საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, საჯარო სექტორის გაფართოებაზე, მაკროეკონომიკაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესებაზე, კორპორაციულ გარიგებებზე დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის, გაუმკლავებელი ამოცანა აღმოჩნდა ეკონომიკისათვის.

რადიკალ-მემარჯვენეთა ხედვით, კერძო ინვესტიციების შემცირებით და გადასახადების ზრდით, კეთილდღეობის სახელმწიფომ დააკნინა მისი მორალური და ფინანსური მდგომარეობა. შესაბამისად, 80-იან წლებში აქცენტი გაკეთდა დაბალ ინფლაციაზე, მიწოდების პოლიტიკის რეფორმირებაზე (როგორიცაა, მაგალითად, კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის და არა სამუშაო ადგილების შექმნა), მონეტარულ მოტივატორებზე, პასუხისმგებლობებზე, დერეგულაციისა და პრივატიზაციის პოლიტიკაზე სამეწარმეო და რისკის გამწევ კერძო სექტორზე, შრომის ბაზრის ფლექსიბურობაზე, მენეჯერთა და მეწილეთა უფლებებზე, მომხმარებლის არჩევანზე. საჭირო გახდა სოციალური თანასწორობისა და უთანასწორობის კონცეფციების გადააზრება, მოტივაციის შენარჩუნების შესაძლებლობის მქონე უთანასწორობის არსებობის საკითხზე ჩაფიქრება (Fitspatrick, 2011). ეს ის პერიოდია, როდესაც სოციალური ექსკლუზიის კონცეფცია უკვე მომწიფებულია და მასზე დაყრდნობით ყალიბდება სოციალური პოლიტიკა ევროკავშირის უმრავლეს ქვეყანაში, სოციალური პრობლემების განსაზღვრისა და მათზე საპასუხოდ. ამის პარალელურად კი ზოგიერთნი მაინც თვლიდნენ, რომ საჭირო იყო კეთილდღეობის სახელმწიფოს სრული გაუქმება (McGee, 2002); სხვანი კი ფიქრობდნენ, რომ მინიმალური შემოსავლის გარანტია მაინც უნდა არსებობდეს (Murray, 2006).

რადიკალ-მემარჯვენეთა აზრით, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს სოციალური კეთილდღეობის მართვაში, რადგან ჩარევით ის საბაზრო წესრიგს რევს და, ამავე დროს, ასუსტებს საზოგადოების მორალს. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დარღვევით კი ის ამცირებს წარმატების წახალისების შანსს და ამსუბუქებს წარუმატებლობის ტვირთს. იგი ადამიანებს კაპიტალის ინვესტირებისა და მუყაითად მუშაობის მოტივაციას უქრობს მაღალი გადასახადების გამო, რადგან, თუ ბევრს იმუშავებენ, ბევრითაც დაიბეგრებიან. ხოლო საზოგადოების მორალს რყვნის, რადგან, თუ არ იმუშავებენ, მსუყე სოციალურ დახმარებას მაინც მიიღებენ სახელმწიფოსგან. მათი აზრით, კეთილდღეობის სახელმწიფო თრგუნავს კონკურენციისა და ინოვაციების წარმოქმნას. ამით კი ეკონომიკის დეპრესიას, მაღალ უმუშევრობასა და ინფლაციას იწვევს (Fitzpatric, 2011). სხვაზე დამოკიდებულების მდგომარეობისადმი მიმღებლობა კი საზოგადოებისათვის მიუღებელი ქცევების ფორმირებას იწვევს და, შესაბამისად, აღვივებს კრიმინალურ გარემოს.

მათი აზრით, რაც უფრო ფართოვდება საჯარო სექტორი, მით უფრო მცირდება კერძო, რადგან მათ ერთმევათ რესურსები, რომლის საშუალებითაც უნდა აყვავდნენ. ეს

კი იმას ნიშნავს, რომ ბევრი არამწარმოებელი სარგებლობს დოვლათით, ცოტა მწარმოებლის შრომის ხარჯზე. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს მონოპოლია კეთილდღეობის მიწოდებაზე. რადგან სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებს აქვთ ყველა „ხმა“, მაშინ, როდესაც მომსახურების მიმღებებს არა აქვთ კეთილდღეობის ბაზრიდან ნებაყოფლობით „გამოსვლის“ საშუალება და სხვა მომსახურებების შესყიდვის არჩევანი. ამავე დროს, თუ მონოპოლია ბაზარზე მუდმივი რისკის წინაშეა, ხისტი სახელმწიფო მონოპოლია არ არის მგრძნობიარე ბაზრის პრინციპებისა და მომხმარებლის არჩევანის მიმართ, რასაც მივყავართ ფართოდ გავრცელებულ უყაირათობამდე.

საჯარო არჩევანის თეორეტიკოსები ფიქრობენ, რომ პოლიტიკურ პარტიებს აქვთ დიდი ინტერესი საჯარო სექტორის გაფართოებისა და სოციალური დანახარჯის გაზრდისა, რადგან სჭირდებათ ელექტორალური ხმები. არადა, ფუნქციურად გადატვირთულ მთავრობას არ შესწევს უნარი გაუმკლავდეს კეთილდღეობის მიწოდების ფუნქციასაც და თან ეფექტიანად. მათი აზრით, ამას ემატება ისიც, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კეთილდღეობა ამცირებს სხვაობას შემოსავლებსა და დოვლათს შორის, ის, ამავე დროს, ზრდის უმწეოთა სახელმწიფოზე დამოკიდებულების ხარისხს.

კეთილდღეობის სახელმწიფოს არაეფექტიანობის დასაბუთებისათვის, რადიკალ-მემარჯვენეები იშველიებენ მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს სიღარიბის მიზეზების ახსნისათვის. მათი აზრით, კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის ქომაგნი მცდარ ინტერპრეტაციას უკეთებენ სიღარიბეს, როგორც სოციალურ მოვლენას და მის გამომწვევ მიზეზებს. ისინი თვლიან, რომ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სიღარიბე სტრუქტურული ბარიერების შედეგია, ნიველირდება ღარიბთა ქცევის, დამოკიდებულებების, ფასეულობების სიღრმისეულად გააზრებისთანავე. მათი აზრით, ღარიბთა მდგომარეობა მხოლოდ მათ ინდივიდუალურ მახასიათებლებსა და სახელმწიფო კეთილდღეობის ქომაგთა „დამოკიდებულების კულტურის“ გაღვივებას მიეწერება იმ ილუზიის შექმნით, თითქოს კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეა შემოსავლების უთანასწორობის დაძლევას ემსახურება. პატერნალისტური სახელმწიფო და მსუყე დახმარებები ადამიანებში კლავს მთავარ იმპულსს – განვითარებისა და წინსვლის იმპულსს. ამასთან ის აკნინებს თემის ეთიკის, ანგარიშვალდებულების, დაფასების გრძნობებს. სწორედ ამით ადამიანებში სუსტდება საერთო სიკეთისათვის გაღების სურვილი და ყალიბდება მოჩვენებითი, ვალის მოხდის მიზნით გაცემის ჩვევა. მდიდრები ფიქრობენ, რომ გადასახადის გადახდით საკმაოდ დიდი და სრულიად საკმარისი სოციალური კონტრიბუცია გასწიეს, ღარიბები კი პასიურად ელოდებიან დახმარებას. არადა, საზოგადოებრივი განვითარებისა და სოციალური კონტრიბუციისთვის ეს არასაკმარისია. მათი აზრით, კოლექტივიზმი იმგვარი დამოკიდებულების გაღვივებას იწვევს, როდესაც ჩვენ ველოდებით ჩვენ ნაცვლად სახელმწიფომ აკეთოს, ჩვენ კი აღარ გვქონდეს ჩვენივე თავის, ოჯახებისა და სამოქალაქო ასოციაციების იმედი, როგორც ჩვენივე კარდად ყოფნის მთავარი წყაროსი.

კონსერვატორთა დამოკიდებულება კეთილდღეობისადმი

მოდით, ახლა კონსერვატორების იდეოლოგია განვიხილოთ. ფიცპატრიკის აზრით (2001, 2011), მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციებზე, კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციაზე და იერარქიულ ძალაუფლებაზე ფოკუსირება, კონსერვატიზმს პოლიტიკურ მემარჯვენეობად წარმოაჩენს, მაინც მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ ფილოსოფიური და სოციალური კონსერვატიზმი.

ფილოსოფიური კონსერვატიზმი ედმუნდ ბურკესაგან (Burke, 1968 cited in Pitzpatrick 2001, 2011; Heywood, 2003; Mullard, 2005; დიაკონიძე & ჯულუხაძე 2014) იღებს სათავეს. კონსერვატორთა აზრით, ახლის კეთება ძველ გამოცდილებაზე დაკვირვებით უნდა დავიწყოთ, რადგან ისტორია და კულტურა მრავალი თაობის მიერ გამოყენებულ ცოდნას ემყარება. ამიტომაც, ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ. მათი აზრით, ყველა სახის ლიბერალიზმი, მარქსიზმი და სოციალიზმი ემყარება საზოგადოების ყოფიერების გააზრებას არსებული გამოცდილებისაგან განყენებულად. ისინი ფიქრობენ, რომ სოციალური ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმატებული, თუ ის არსებული სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარეობს; გარედან თავს მოხვეულ რევოლუციებსა და ტრანსფორმაციებს კი დიქტატურასა და/ან ანარქიამდე მივყავართ. კონსერვატიზმი არის ჩარჩოებისა და შეზღუდვების ფილოსოფია. კონსერვატორთა აზრით, უთანასწორობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღმოიფხვრას, თუ ის არსებულ სტაბილურობასა და სოციალურ წესრიგს შორის წონასწორობას არ დაარღვევს. კითხვას კონსერვატორები სვამენ არა იმის შესახებ, თუ რომელია საზოგადოების საუკეთესო ფორმა, არამედ იმაზე, თუ რომელია ყველაზე ნაკლებად ცუდი ფორმა (Fitzpatrick, 2001). მათი აზრით, საზოგადოება სოციალური ჯგუფების ერთობლიობაა და ადამიანებს არ შეუძლიათ ოჯახისა და თემის გარეშე ცხოვრება. თავისუფლება კი სოციალური ვალდებულებების აღსრულებაა და არა უფლებების რეალიზება (Heywood, 2003).

სოციალ-კონსერვატორები მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტური იდეებით ხასიათდებიან. მათი აზრით, დამკვიდრებული ტრადიციები და მემკვიდრეობით გადმოცემული ფასეულობებია ძირითადი გზამკვლევი სახელმწიფო მართვაში. ისინი მიესალმებიან სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემას. ისინი ხშირად სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკის მომხრენიც კი არიან, ანიჭებენ რა უპირატესობას შერეულ ეკონომიკას. სახელმწიფო განათლებისა და ოჯახის მხარდაჭერის ქომაგნი, თავისუფალი ბაზრის დესტრუქციულ და სოციალური წესრიგის დესტაბილიზატორულ როლზეც საუბრობენ (Fitzpatrick, 2001, 2011). თუმცა ისინი კეთილდღეობის მიწოდებას სტრატიფიცირების პრინციპზე დაყრდნობით მიიჩნევენ რაციონალურად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანები საზოგადოებაში მათი როლის, მის განვითარებაში მათი წვლილის და სხვადასხვა ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის მიხედვით უნდა სარგებლობდნენ კეთილდღეობის მომსახურებებით. უფრო მეტიც, ისინი უთანასწორობას ფუნქციონალისტური თეორიის პრიზმიდან უყურებენ. ამ თეორიის მომხრეები კი, იქნება ეს პარსონი, დევისი, ბარბერი თუ ლევი, სხვადასხვა საქმიანობის ფუნქციურ მნიშვნელობაზე აქცენტირებენ და უთანასწორობას „ინდივიდუალური უნარების დისტრიბუციას“ მიაწერენ.

სოციალური კონსერვატიზმი, გარკვეულწილად, ბუფერულ ზონას ქმნის ავტორიტარული კონსერვატიზმისაგან დისტანცირებისა და ქრისტიანულ ფუნდამენტალიზმთან დაახლოებისათვის (Fitzpatrick, 2001). ისინი, კეთილდღეობისათვის სახელმწიფო ხარჯების შემცირების მიზნით, კერძო ქველმოქმედების ზრდასაც გამოსავლად ხედავენ.

სოციალ-დემოკრატთა დამოკიდებულება კეთილდღეობისადმი

სოციალური კეთილდღეობის იდეოლოგიაზე საუბრისას არ შეიძლება დეტალურად არ განვიხილოთ სოციალ-დემოკრატიული მოდელი, რომელიც კლასიკური *კეთილდღეობის სახელმწიფოს* იდეოლოგიაა. ის ორი თეორიის ნაზავია: სოციალური ლიბერალიზმისა და დემოკრატიული სოციალიზმისა (Fitzpatrick, 2001). მოდელი განსაკუთრებულ

ყურადღებას იმსახურებს უფლებადაცვითი და მხარდამჭერი პროფესიის წარმომადგენელთაგან, რადგან ის სოციალური უფლებების აღიარების თვალნათელი დემონსტრირებაა. სოციალ-დემოკრატიზაცია ნიშნავს „ლიბერალურსა და კონსერვატულ რეჟიმებში დომინანტური მიდგომების ჩანაცვლებას უნივერსალური, დეკომოდიფიკაციის და დასაქმების გარანტიების შემქმნელი“ კეთილდღეობის სახელმწიფოს მიდგომებით (Esping-Andersen, 1990, p.110).

დაუსრულებელი დებატები მიმდინარეობს იმაზე, თუ რა არის ამ იდეოლოგიისა და შემდეგ მის წიაღში აღმოცენებული კეთილდღეობის მოდელის განმაპირობებელი ფაქტორი. მოსაზრებები განსხვავებულია. ზოგი თვლის, რომ, მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, ფინეთში ლუთერანული ეკლესია თავგამოდებით იცავდა კეთილდღეობის ნორდიკულ მოდელს, რადგან თვლიდა, რომ მისი ფესვები სწორედ ლუთერანიზმშია, თავად ეკლესიას არანაირი ძალისხმევა არ გაუღია კეთილდღეობის სახელმწიფოს კონსტრუირებისთვის. თუმცა აშკარაა, რომ ლუთერანული რეფორმაციის შედეგია ნორდიკული კეთილდღეობის სახელმწიფოს კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე ფოკუსირება (Kersbergen, 2011; Markkola, 2011).

სოციალური ლიბერალიზმის თეორიის მიხედვით, ადამიანის თავისუფალ არჩევანს ენიჭება უმთავრესი მნიშვნელობა, თუმცა ინდივიდუალური ავტონომია სოციალურ ვაკუუმში არ წარმოიშობა და საბაზრო ეკონომიკა, მართლაც, თავისუფლების აუცილებელი ატრიბუტია, მაგრამ არა ერთადერთი. მათი აზრით, სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქცია დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შექმნა და ეროვნული დოვლათის თანაბარი დისტრიბუციაა. სოციალ-ლიბერალიზმი აღიარებს ძლიერ ურთიერთკავშირს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ თანასწორობას შორის (Fitzpatrick, 2001, 2011).

ზემოგანხილულ სოციალ-კონსერვატორთა იდეებისაგან განსხვავებით, რომლებიც მხარს უჭერენ კეთილდღეობის მომსახურებას სოციალური არეულობის არიდების მიზნით, სოციალ-ლიბერალები მხარს უჭერენ მას ლიბერალ-დემოკრატიული საზოგადოების გაძლიერების მიზნით. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ, თუ პირველი არსებული სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას ემსახურება, უკანასკნელი სოციალური თანასწორობის სასურველი დონეების მიღწევას ისახავს მიზნად. სოციალური ლიბერალების აზრით, თანასწორობა ნიშნავს შესაძლებლობათა თანასწორობას და არა შედეგთა თანასწორობას. ისინი სოციალურ მობილობასა და ყველაზე წარუმატებელთა დახმარებისთვის რედისტრიბუციის, კეინსიანური ეკონომიკის, საერთო სიკეთეებისა და უნივერსალური მოქალაქეობისა და სოციალური უფლებების აღიარებას დეკლარირებენ. სოციალ-ლიბერალებისათვის ინდივიდის საჭიროება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ისტორიისა და ტრადიციის საჭიროება, თუმცა ისინი მემარცხენე იდეოლოგებზე ნაკლებად ზრუნავენ უთანასწორობის აღმოფხვრაზე და კლასის სტრუქტურაზე. სოციალ-ლიბერალები, კეთილდღეობის სახელმწიფოს მიერ მერიტოკრატიულ საზოგადოებაში ჯილდოს გაცემას ძალისხმევისა და დამსახურების მიხედვით მიიჩნევენ სამართლიანად. ამით კი ისინი, როგორც ნამდვილი პრიორიტარიანელები, უპირატესობას „მინიმალური წარმოების“ ზრდას ანიჭებენ, ოღონდაც ქვედა ზღვრის აწევით და არა ზედა ზღვრის დაწევით. მათთვის სოციალური უფლებები საბაზრო ეკონომიკის საზღვრებში უნდა იყოს მოქცეული და ამით კეთილდღეობის მიწოდების შერეულ მოდელს ინარჩუნებენ (Fitzpatrick, 2011).

მაშინ, როდესაც სოციალ-კონსერვატიზმი და სოციალ-ლიბერალიზმი თავისუფალ საბაზრო ეკონომიკასა და სახელმწიფო კოლექტივიზმს შორის მერყეობს, დემოკრატი-

ული სოციალიზმი მერყეობს კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის. დემოკრატ-სოციალისტები თავიანთ მემარჯვენე კოლეგებს თუ იმაში ეთანხმებიან, რომ ლიბერალური დემოკრატიის კონსტიტუციური და ელექტორული პროცედურები უნდა იყოს დაცული, თავიანთ მემარცხენე კოლეგებსაც ეთანხმებიან, რომ საზოგადოების ტრანსფორმაცია შესაძლებელი და სასურველიცაა. ასე რომ, დემოკრატიული სოციალიზმი ალტერნატიულ ხედვას გულისხმობს როგორც საბაზრო კაპიტალიზმისა, რომელიც ჩაფლავდა სოციალური სამართლიანობის გააზრებაში, ასევე კომუნიზმისა, რომელმაც თავისი დაგეგმილი ეკონომიკით ვერც დემოკრატიას და ვერც სამოქალაქო თავისუფლებას ვერ მიაღწია. დემოკრატ-სოციალისტები სიღარიბეს კაპიტალიზმის მუდმივთანმხლებ მოვლენად მიიჩნევენ, რადგან საბაზრო ეკონომიკა, რომელიც მოგებასა და კერძო საკუთრებაზეა დამყარებული, მოითხოვს დაბალშემოსავლიან მუშახელს. ისინი, სოციალ-დემოკრატების მსგავსად, კლასობრივ უთანასწორობას ებრძვიან და კონკურენციას თანამშრომლობას ამჯობინებენ. ისინი კაპიტალიზმს, დაუსაქმებლობის გამო, ადამიანური რესურსების ფუჭად გახარჯვასა და ჭარბპროდუქტიულობის გამო, მატერიალური რესურსების არაეფექტიანად გამოყენებაში ადანაშაულებენ (Fitzpatrick, 2001).

სოციალ-დემოკრატიის ეგალიტარული რედისტრიბუციის ძველმოდურად მიჩნევამ, ახალი სოციალური დემოკრატიის იდეოლოგიის ფორმირებას შეუწყო ხელი, რომელიც „მესამე გზას“ იმკვიდრებს „ძველ მემარცხენეობასა“ და რადიკალურ მემარჯვენეობას შორის. მესამე გზა მატერიალურ უთანასწორობას ნაკლებყურადსაღებ მოვლენად მიიჩნევს, თუმცა აღიარებს სოციალური ინკლუზიის მნიშვნელობას. ამ იდეოლოგიის მიმდევართა აზრით, საჯარო მომსახურებები კონკურენციის წნეხს უნდა უძლებდნენ. ისინი ვალდებულების, მუყაითი შრომის, დისციპლინის, საერთო სიკეთისა და ეროვნული იდენტობის ფასეულობებს აღიარებენ. სახელმწიფო უნდა გახდეს „სოციალური ინვესტირების სახელმწიფო“, რომელიც ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე სოციალური პერფექციონიზმის იდეალისტურ ხედვაზე (Fitzpatrick, 2001). ის უღრმავდება ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, როგორ უნდა შევათავსოთ სამუშაო და საოჯახო საქმიანობა და ვალდებულებები; როგორი უნდა იყოს განათლების სისტემა კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის. ის ამტკიცებს, რომ სოციალური პოლიტიკა ეკონომიკის განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშემწყობია. ის გულისხმობს არა დაუსაქმებელთა ბულინგს, არამედ მათ მხარდაჭერას უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ზრდაში.

მარქსისტთა დამოკიდებულება კეთილდღეობისადმი

მოდით, ახლა განვიხილოთ მარქსისტული შეხედულება სოციალური კეთილდღეობის იდეოლოგიაზე კაპიტალისტურ სამყაროში. მარქსისტთა აზრით, კაპიტალიზმი ძალიან დინამიკური ეკონომიკური სისტემაა. ეს დინამიკურობა წარმოშობილია მწარმოებელთა მუდმივი წადილით ინვესტირება გააკეთონ პროდუქციაში, ახალ ტექნოლოგიებში, შექმნან ახალი დოვლათი, გაყიდონ სულ უფრო მეტი საქონელი. ის არის ძალაუფლების მქონე კლასის მაორგანიზებელი კომიტეტი (Fitzpatrick, 2001, 2011). მარქსისტული იდეოლოგიის მომხრეები პრობლემას იმაში ხედავენ, რომ მაშინ, როცა თითოეული კომპანია დაკავებულია თავისი წარმოების დაგეგმარებით, თავად სისტემა დაუგეგმავი რჩება. სახელმწიფო კაპიტალის საშუალებით იღებს ფინანსებს, რომლითაც მან უნდა მოახერხოს ეკონომიკური მდგომარეობის ზრდა და აკუმულირება. ამავე ფინანსებს იყენებს სახელმწიფო სოციალური კეთილდღეობის პროგრამების მიწოდე-

ბისათვის, რომლის საშუალებითაც სანაცვლოდ იღებს მოქალაქეთა ლოიალობასა და მადლიერებას.

კეთილდღეობა ორგანიზებული კაპიტალიზმის განუყოფელი ნაწილია. მართალია, ეს კაპიტალიზმს „აკუმულირების კრიზისის“ წინაშე აყენებს (რაც სოციალური ხარჯებითა და მაღალი გადასახადებითაა გამოწვეული), მაგრამ ამის გარეშე კაპიტალიზმი ვერასოდეს ვერ მიაღწევდა ლეგიტიმურ სტატუსს, რომელიც მას ასე სჭირდება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კეთილდღეობის სისტემა უკეთ უმკლავდება ისეთი სოციალური პრობლემების დაძლევას, როგორიცაა, მაგალითად, სიღარიბე. რადგან კაპიტალიზმი დაფუძნებულია ექსპლოატაციაზე, ის დამოკიდებულია შრომის დაბალ ანაზღაურებაზე და უმუშევრობის იმ დონეზე შენარჩუნებაზე, რაც უზრუნველყოფს ანაზღაურების ამგვარ დაბალ დონეს (Fitzpatrick, 2001, 2011).

სოციალური პოლიტიკის პროფესორი ნორმან გინსბურგი, კეთილდღეობის სისტემის დახასიათებისას, ამბობს, რომ სახელმწიფო ძალაუფლება გამოიყენება სამუშაო ძალის რეპროდუქციის მოდიფიცირებისთვის (Ginsburg, 1992). მუშახელი კი, ნაცვლად იმისა, რომ არ მიიჩნიოს კეთილდღეობა დიდ მიღწევად, არ ჩათვალოს ის დიდ გამარჯვებად და აღუდგეს მაექსპლოატირებელ სისტემას, კაპიტალისტური ოცნების მსხვერპლი ხდება რეკლამისა და კონსუმერიზმის ზეგავლენით – თავიანთ ცხოვრებას ფლანგავენ იმ საქონლის და მომსახურების შეძენაში, რასაც თავადვე აწარმოებენ. ამით კაპიტალის მოთხოვნების ხაფანგში იმწყვდევენ თავს (Fitzpatrick, 2001, 2011).

მარქსისტული პოლიტეკონომიკის სკოლის კიდევ ერთი ცნობილი წარმომადგენელი იან გოფი (Gough, 1979) მიუთითებს კეთილდღეობის სახელმწიფოს წინააღმდეგობრივ ხასიათზე. ეს, მისი აზრით, განასახიერებს ორ ტენდენციას: ერთი მხრივ – გაზარდოს ადამიანთა კეთილდღეობა და გააკონტროლოს ბაზარი, მეორე მხრივ კი – ადამიანთა კონტროლისა და რეპრესიის, მათი კაპიტალისტური ეკონომიკის მოთხოვნებისათვის დამორჩილების ტენდენციას. ეს წინააღმდეგობრივი ხასიათი განპირობებულია კაპიტალისტური ეკონომიკის მისწრაფებით, გაზარდოს მოგება კაპიტალის აკუმულაციით და არა იმ მისწრაფებით, რომ დააკმაყოფილოს ადამიანთა საჭიროებები. ეს ორი მიზანი შეუთავსებელია. ნებისმიერი მცდელობა გააუმჯობესო ადამიანთა მდგომარეობა სახელმწიფოს ჩარევით, იწვევს პირველი მიზნის შემცირებას. თუმცა, მეორე მხრივ, შრომის თვითწარმოება, რაც კაპიტალიზმისთვის აუცილებელია, შეუძლებელია ადამიანთა გარკვეული, ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარეშე. წარმატებული სოციალური მობილიზაციის პირობებში მშრომელთა კლასს შეუძლია საკუთარი სოციალური უფლებების დაცვა. მაგალითად, უნივერსალური ჯანდაცვა და სოციალური ტრანსფერები მართლაც აუმჯობესებს მშრომელთა კეთილდღეობას და ეწინააღმდეგება კაპიტალისტური ეკონომიკის მოთხოვნებს.

მარქსისტები ფემინისტური იდეოლოგიის გამზიარებლებიც არიან. მათი აზრით, კაპიტალისტურ სამყაროში ქალის ფუნქცია სამუშაო ძალის რეპროდუქციითა და ინდუსტრიის სარეზერვო ფონდში ყოფნით შემოიფარგლება მხოლოდ. მარქსისტული შეხედულებით, სამუშაო ძალის რეპროდუქცია განსაკუთრებით სასარგებლოა კაპიტალისათვის. ბავშვები იზრდებიან მინიმალური დანახარჯით ქალის აუნაზღაურებელი შრომის – დიასახლისობის ხარჯზე. ამიტომ, მათ ირიბი კავშირი აქვთ კაპიტალთან, მაგრამ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ, რაც მამაკაცი მუშახელის ექსპლუატაციის საშუალებასაც იძლევა. სოციალური უსაფრთხოების სისტემამ კი არა მარტო ასახა, არამედ

გააძლიერა ქალის დაქვემდებარებული პოზიცია, როგორც უხელფასო შინა მოსამსახურისა ოჯახში და ხელფასზე მომსახურისა ოჯახს გარეთ. გამოვიდა, რომ მას არც გადაწყვეტილების მიმღების და/ან ძალაუფლებისა და აღიარების მომტანი პოზიცია აქვს და არც დასაქმების ბაზარზე და საზოგადოებაში აქვს რაიმე როლი.

ფემინისტთა დამოკიდებულება კეთილდღეობისადმი

დაბოლოს, განვიხილოთ ფემინისტური იდეოლოგია, რომელიც ცენტრალურ მნიშვნელობას გენდერის კატეგორიას ანიჭებს. ფემინისტთა ერთი სკოლის წარმომადგენლები მუდამჟამს არსებულ სქესობრივ ბრძოლას ანიჭებენ მნიშვნელობას. სხვა სკოლის წარმომადგენლები გენდერულ პრობლემებს კლასობრივ, რასულსა და ეთნიკურ უთანასწორობას უკავშირებენ. პოსტფემინისტები აქცენტს აკეთებენ შეზღუდულ შესაძლებლობასა და ქალის, როგორც ძირითადი მზრუნველისა და ზრუნვის მიმღების როლზე. არიან ასევე ასაკის ანალიტიკოსი ფემინისტები, რომლებიც ხაზს უსვამენ ასაკოვანი ქალის სხეულის დევალვაციისა და სილამაზისა და ახალგაზრდობის რევალვაციის ტენდენციებს. არსებობენ ეკოფემინისტები, რომლებიც ქალისა და ბუნების დომინანტობას უსვამენ ხაზს და ორივე პატრიარქალური სამყაროს მსხვერპლად ესახებათ. თუმცა ყველა ერთიანდება იმ მოსაზრების გარშემო, რომელიც უარყოფს ქალთა ექსპლოატაციის შემოფარგვლას მხოლოდ ანაზღაურების, სამუშაო საათების ან სამუშაო პირობების უთანასწორობით. იდეოლოგიურად, უმრავლესი ფემინისტი მემარცხენე ცენტრისტული იდეოლოგიის გამზიარებელია, თუმცა ზოგიერთნი მემარჯვენეობისკენაც იხრებიან (Fitzpatrick, 2011).

ფემინისტთა კრიტიკა სოციალური პოლიტიკისადმი სამ სფეროს მოიცავს: ოჯახი, სახელმწიფო და დასაქმების ბაზარი. ამ კრიტიკის ძირითადი ობიექტი ის არის, რომ სოციალური პოლიტიკა განასახიერებს პატრიარქალური საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ძალაუფლებას, რომელსაც ინარჩუნებს მამაკაცებზე ქალთა დამოკიდებულების ზრდით და მასკულინური ფასეულობებისათვის უპირატესობის მინიჭებით. „მარჩენალის“ მოდელი ქალის როლს ოჯახის შიდა მეურნეობის გაძღოლით, ბავშვის აღზრდით და ოჯახის წევრებისადმი „ძალდატანებითი ალტრუიზმით“, დამოკიდებულ პირთა დახმარებისა და მამაკაცთა ბენეფიტებზე მიბმით შემოფარგლავს (Fitzpatrick, 2001:142). მარგარეტ სტეისის აზრით კი აუცილებელია „მომსახურებებს“ ერთ მთლიანობაში შევხედოთ, დავაკავშიროთ ის, რასაც ქალი სახლში აკეთებს იმასთან, რაც პროფესიონალიზებულია კეთილდღეობის სისტემაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რეფორმები ნაწილობრივი გამარჯვება იყო ფემინისტებისათვის: ოჯახური შეღავათები უკვე პირდაპირ დედებს ეძლეოდათ, თუმცა ოჯახსა და საშინაო მეურნეობაში მათ მაინც შეუნარჩუნდათ დომინანტი როლი. 1960-იანი წლების ფემინისტური მოძრაობა გაიჟღინთა პათოსით: „პირადი პოლიტიკურია“ და ყურადღება მიმართა ორი საკითხისადმი. პირველი იყო იმაზე ფოკუსირება, თუ რამდენად განსაზღვრავს კერძო სფეროში წარუმატებლობა დისკრიმინაციასა და უთანასწორობას საჯარო სივრცეში და მეორე, რამდენად შესწევს უნარი საზოგადოებრივი საქონლის, მომსახურებების და შესაძლებლობების სამართლიან გადანაწილებას ოჯახების და საოჯახო მეურნეობების როლის, მნიშვნელობისა და შემადგენლობის რეკონფიგურაცია (Fitzpatrick, 2011). ამიტომაც ფემინისტთა კრიტიკა სოციალური პოლიტიკისადმი, ქალებსა და მამაკაცებს შორის შრომის უთანასწორო დანაწილებასაც ეხება.

მოვალეობები, რომლებიც ადამიანს მოქალაქედ აყალიბებს და მას მოქალაქეობრივი უფლებებით სარგებლობის საშუალებას აძლევს, არის ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების თანმხლები მოვალეობები. არაანაზღაურებად სამუშაოს – მოხალისეობა, მშობლობა, ხანდაზმულზე ზრუნვა – მოაქვს შეზღუდული ან საერთოდ არ მოაქვს მოქალაქეობრივი უფლებები. ამასთან, ფემინისტებს აღიზიანებთ ეს „საჭიროებისამებრ“ ხელოვნურად გათანაბრების ან, პირიქით, გამიჯვნის რიტორიკა. მათი აზრით, საგულისხმო უთანასწორობებსა და განსხვავებებს თვალი უნდა გავუსწოროთ ისევე, როგორც მსგავსებებს. გენდერული თანასწორობა პროგრესული მოძრაობაა, მაგრამ, თუ ეს თანასწორობა არ იქნება მგრძნობიარე თეთრი/შავი, დასავლეთელი/არადასავლეთელი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ქალთა/არა შშმ ქალთა, ჰეტერო/ლესბოსელ ქალთა შორის განსხვავებებზე, შეიძლება დისკრიმინაციის უფრო დახვეწილი ფორმების ინსტიტუციონალიზაცია მოხდეს (Fitzpatrick, 2001).

რადგან ჩვენი ფოკუსი სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკაზეა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალურ მუშაობას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ფემინურ პროფესიას, დიდი როლი აქვს ამ სტერეოტიპების ნგრევაში. სოციალური მუშაკები ნათლად ორგანიზებული ფემინური ძალაა, რომელმაც წინა საუკუნის დასაწყისიდან ქალის, როგორც მხოლოდ საოჯახო აქტორის, როლი უარყო.

კრიტიკული მოსაზრებები სხვადასხვა იდეოლოგიისადმი

ახლა, როდესაც განვიხილეთ სხვადასხვა იდეოლოგიის გამზიარებელთა პოლიტიკური პოზიცია და ხედვა კეთილდღეობის სისტემაზე, შევეცადოთ გავაშუქოთ მათი ხედვებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებებიც.

რადიკალ-მემარჯვენეთა კრიტიკა სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან

რადიკალ-მემარჯვენეთა კრიტიკოსები ფიქრობენ, რომ დაბალი სოციალური დანახარჯი, გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს სოციალური პრობლემების წარმოქმნას, რაც ყველას ცხოვრების ხარისხს ამცირებს, აღრმავებს რა სოციალურ უთანასწორობას, აღვივებს კრიმინალურ გარემოს, ამცირებს მოხმარებას და უსაფრთხოების შეგრძნებას. ის მხოლოდ „დაუმსახურებელი ღარიბების“ ტვირთია, მაშინ, როცა, დაუმსახურებლად გამდიდრებულებს არანაირ დისკომფორტს არ უქმნის. მათი აზრით, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფო რეგულირებისა და ინტერვენციის გარეშე დაინგრეოდა. ეს განსაკუთრებით სოციალური კეთილდღეობის მომსახურებების მიწოდების საკითხს ეხება, სულ მცირე, იმის გამო, რომ ბაზარს არ უყვარს ღარიბები. უთანასწორობა არ იწვევს შრომის მოტივაციის ზრდას. პირიქით, მდგომარეობასა და შემოსავლებს შორის სხვაობა კიდევ უფრო განამტკიცებს არსებულ სიტუაციას: არც ეკონომიკურად და სოციალურად დაწინაურებულები და არც ყველაზე მოწყვლად მდგომარეობაში მყოფნი აღარანაირ ძალისხმევას არ გაიღებენ და სიტუაციის სიმძიმე საშუალო ფენას აწვება. სოციალური სისტემების ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ იქცევა ბრძოლად ღარიბებზე (King, 1999). რადიკალ-მემარჯვენეთა იდეოლოგიის წნეხი ღარიბთა მდგომარეობას მხოლოდ აუარესებს, მაგრამ ისინი სწორედ ღარიბებს ადანაშაულებენ, როდესაც ეს უკანასკნელნი მათივე პოლიტიკის მსხვერპლნი არიან.

კრიტიკის ქარცეცხლში ექცევიან რადიკალ-მემარჯვენეები კეთილდღეობის სისტემაზე დამოკიდებულთა – მუქთა მომხმარებელთა შერჩევითი კრიტიციზმის გამო. ისინი მხოლოდ კეთილდღეობის სისტემაზე დამოკიდებულებს აკრიტიკებენ, მაშინ, როდესაც არაფერს ამბობენ სხვა სახის დამოკიდებულებაზე, მაგალითად, მამაკაცთა დამოკიდებულებაზე ქალთა შრომაზე, დამსაქმებელთა დამოკიდებულებაზე დაქირავებულებზე. თუ კეთილდღეობის სისტემით მოსარგებლეებს განიხილავენ, როგორც ტვირთს გადასახადის გადამხდელებზე; რატომ არაფერს ამბობენ მამაკაცთა დამოკიდებულებაზე ქალთა უფასო შრომაზე ოჯახში. თავისუფლების „საბაზრო თავისუფლებასთან“, ხოლო დამოკიდებულების „სახელმწიფოზე დამოკიდებულებად“ იდენტიფიცირებისას, ისინი ვიწრო განზომილებაში განიხილავენ იმას, თუ რამდენადაა ერთთა თავისუფლება და დამოკიდებულება გადაჯაჭვული სხვებისაზე. ამასთან, ისინი აკნინებენ ვალდებულებისა და მოვალეობის ეთიკას. თუ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის აქტორებს ნდობისა და ურთიერთდამოკიდებულების განცდა არ ექნებათ და მხოლოდ საკუთარი ინტერესების ტყვეობაში დარჩებიან, გაუგებარი ხდება, რატომ ან როგორ ითანამშრომლებენ სხვებთან (Fitzpatrick, 2001, 2011). ამასთან, თავად ადამ სმიტი უსვამს ხაზს სახელმწიფოს როლს ქცევის მორალური და სოციალური კოდექსის დაცვისთვის, რის გარეშეც საბაზრო ეკონომიკა უუნაროა ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის (Hume, 1969).

კონსერვატორთა კრიტიკა სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან

კონსერვატორთა კრიტიკოსების აზრით, სახელმწიფო მართვაში მემკვიდრეობით გადმოცემული ფასეულობებით ხელმძღვანელობა კაცობრიობის განვითარებისათვის შემაფერხებელია, რადგან პროგრესი ძიებასა და დამოუკიდებელი არჩევანის კეთებაშია. მემარჯვენე ლიბერალები თვლიან, რომ ადამიანის თავისუფალი არჩევანი უწყობს ხელს კაცობრიობის განვითარებას. ეს კი გამოხატულია მომხმარებელთა უფლებაში, საკუთარი არჩევანის მიხედვით ისარგებლონ საქონლითა და მომსახურებებით ბაზარზე. ამ დროს კონსერვატორები ანტიმომხმარებლური ეთიკისა და კეთილდღეობის ინსტიტუციონალიზაციის მომხრეები არიან.

მემარცხენეებიც აკრიტიკებენ სოციალ-კონსერვატორებს იმის გამო, რომ ისინი სიღარიბისა და უთანასწორობის მიმართ უფრო ლოიალურნი არიან, ვიდრე ამას სოციალური სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს და, ამავე დროს, იმის გამოც, რომ ისინი მქუხარე ნაციონალისტები არიან. მემარცხენე იდეოლოგები კი ინტერნაციონალიზმის პოლიტიკის გამტარებლები არიან, რაც სხვადასხვა ქვეყნის მშრომელთა ექსპლუატაციასთან ბრძოლას ნაციონალიზმის საზღვრებში ვერ ატევს. მათი აზრით, კონსერვატორთა დილემას ის წარმოადგენს, რომ, ერთი მხრივ, ისინი თითქოს პასიურად მიჰყვებიან ისტორიულ დინებას, მეორე მხრივ კი თვალთმაქცურად წარმატებულთა ინტერესებს წარუმატებელთა ინტერესებზე მაღლა აყენებენ.

ფემინისტები სოციალ-კონსერვატორებს აკრიტიკებენ მათი დამოკიდებულებისათვის ოჯახის ინსტიტუტის მიმართ, რაც ქალს არახელსაყრელ და დამაკნინებელ პოზიციაში აყენებს, შემოსაზღვრავს რა მის როლს მხოლოდ ოჯახში. ამით კი ხელს უწყობს ქალთა ეკონომიკურ და სოციალურ უთანასწორობას, ძალადობასა და სექსიზმს. ამასთან, თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც უკვე ოჯახის სხვადასხვა ფორმა დამკვიდრდა, კონსერვატორები ისევ მხოლოდ ჰეტეროსექსუალურ ქორწინებას – ტრადიციული კომპოზიციის ოჯახს აღიარებენ. კონსერვატორები დილემის წინაშე არიან, რადგან,

ოჯახის არატრადიციული ფორმების აღიარებით, ისინი ინდივიდუალური არჩევანის პატივისცემას, მაგრამ, ამავე დროს, დამკვიდრებულ მორალურ ფასეულობებთან შეუთავსებლობას გამოხატავენ. ეს ორივე კი ეწინააღმდეგება კონსერვატულ ფასეულობებს. ხოლო, თუ არ აღიარებენ, ისინი თავადვე დააკნინებენ ოჯახის ფასეულობებს (Fitzpatrick, 2001, 2011).

სოციალ-დემოკრატთა კრიტიკა სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან

მიუხედავად ბევრთა აღფრთოვანებისა სოციალ-დემოკრატიული კეთილდღეობის მოდელის მიმართ, არც სოციალ-დემოკრატია განიცდის კრიტიკის სიმწირეს. აკრიტიკებენ როგორც სოციალ-ლიბერალებს, ისე დემოკრატ-სოციალისტებს. სოციალ-კონსერვატორები მიიჩნევენ, რომ სოციალური ლიბერალების მიერ მხარდაჭერილი სოლიდარობა ვერ იარსებებს ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში, რადგან ადამიანის ეგოისტურ ბუნებას სოციალურ ფრაგმენტაციამდე მივყავართ.

ფემინისტები სოციალურ ლიბერალებს ადანაშაულებენ გენდერის როლის დაკნინებაში, რადგან ისინი მას განიხილავენ, როგორც ინდივიდუალური ინტერაქციის პროდუქტს და არა როგორც სოციალური აგენტისა და ურთიერთობების მაფორმირებელს. მხოლოდ თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით ვერ მოხერხდება გენდერული უთანასწორობით გამოწვეული ღრმად ფესვგადგმული სოციოეკონომიკური და კულტურული უსამართლობის შემცირება (Fitzpatrick, 2001, 2011). სოციალისტები კი მათ აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ისინი შესაბამის მნიშვნელობას არ ანიჭებენ სოციალური გარემოს როლს ინდივიდთა ბედის ფორმირებაში. ამით კი ისინი შესაბამისად ვერ იაზრებენ სოციალური ტრანსფორმაციის რა მასშტაბია საჭირო სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისათვის (Fitzpatrick, 2001, 2011).

როდესაც თავად დემოკრატ-სოციალისტებს მიაჩნიათ, რომ თავიანთი ხედვა პრაქტიკულიცაა და რადიკალურიც, კრიტიკოსები არც მათ ინდობენ. მაგალითად, რადიკალ -მემარჯვენეები კატეგორიულად არ ეთანხმებიან მათ შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ თანამშრომლობას შეუძლია გახდეს ეკონომიკის ორგანიზების პრინციპი და მას მიამიტურს უწოდებენ. მათი აზრით, ადამიანს შეუძლია იყოს ალტრუისტი, მაგრამ ალტრუიზმს არ შესწევს საზოგადოების ორგანიზების უნარი, რადგან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბაზარი არის საუკეთესო საშუალება სოციალური პროდუქტის დისტრიბუციისათვის, რამეთუ იგი კონკურენციის საფუძველზე ფასების შემცირებას იწვევს (Fitzpatrick, 2001, 2011).

კონსერვატორები მათ იდეებს მიიჩნევენ უტოპიურად. მათი აზრით, დემოკრატ-სოციალისტთა იდეები ძალიან რაციონალურია და იმგვარ სოციალურ ინჟინერიას ნერგავს, რომელიც სოციალურ ერთობასა და სტაბილურობას აკნინებს (Fitzpatrick, 2001, 2011).

ფემინისტები მათ აკრიტიკებენ კლასისა და ეკონომიკური სტრატიფიკაციის ხაზგასმის გამო და ამით სოციალური დაყოფის, ექსპლოატაციისა და დომინაციის სხვა ფორმების უგულებელყოფას საყვედურობენ. მარქსისტები კი თვლიან, რომ სოციალიზმის შენება გრადუალისტური და პარტიული პოლიტიკით შეუძლებელია, დემოკრატიული პროცესი კაპიტალისტურ საზოგადოებაში ვერასდროს მიგვიყვანს ნამდვილ რეფორმებამდე, ხოლო მარგინალური რეფორმები და მცირე გამარჯვებები (როგორიც

იყო კეთილდღეობის სახელმწიფო წინა საუკუნის ბოლო ათწლეულებში) გაბატონებული ელიტების მხრიდან კონტრშეტევისადმი მოწყვლადია. თავად სოციალ-ლიბერალები კი კოლექტივიზმის გამო აკრიტიკებენ დემოკრატ-სოციალისტებს (Fitzpatrick, 2001, 2011).

მარქსისტთა კრიტიკა სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან

მარქსისტთა კრიტიკოსების აზრით, მარქსისტები გადაჭარბებულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კლასის ერთიანობას, მაშინ, როცა სათანადოდ ვერ აფასებენ შიდა კონფლიქტებსა და დაჯგუფებებს სახელმწიფოში, რომელიც ფლურალისტური ბრძოლისა და პოლიტიკური კონკურენციის შედეგია. კრიტიკოსები მარქსისტებს ბრალს სდებენ კეთილდღეობის სისტემისათვის მხოლოდ კაპიტალის რეპროდუქციის ფუნქციის მინიჭებაშიც. მათი აზრით, კეთილდღეობის სისტემას ტრანსფორმაციული პოტენციაც გააჩნია, რასაც მარქსისტები უგულებელყოფენ. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მარქსისტები პრაქტიკული რეფორმებისათვის ბევრს ვერაფერს გვთავაზობენ, რადგან მათი იდეოლოგია მხოლოდ მორალურ პრინციპებს ეფუძნება და არა ისტორიულ გამოცდილებას, ამიტომ შეუძლებელია წინასწარ იმის გათვლა, თუ რამდენად იმუშავებენ ისინი პრაქტიკაში. გარდა ამისა, რომც მივიღოთ სასურველი რეალობად, ბრძოლა ფესვგადგმული კაპიტალისტური ინტერესების წინააღმდეგ ძალიან გრძელვადიანად მიაჩნიათ. მათი აზრით კი შეუძლებელია იყო ნეიტრალური სოციალისტურსა და კაპიტალისტურ სისტემებს შორის, რამეთუ ეს ორი სამართლიანობის სრულიად განსხვავებულ კონცეფციას ეფუძნება (Fitzpatrick, 2001, 2011, Lavalette, Pratt, 2006).

ფემინისტთა კრიტიკა სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან

ფემინისტებს დაუნდობლად აკრიტიკებენ ამ მოძრაობის დასაბამიდანვე. მათ აკრიტიკებენ თეორიულ ექსტრემიზმსა და ბუნების კანონების წინააღმდეგ გალაშქრებაში. კონსერვატორები მათ აკრიტიკებენ, რადგან, მათი აზრით, მამაკაცი არსებითად ნადავლის მომხვეჭელია, ქალი კი მზრუნველი და ისინი ამ როლების შეცვლის აუცილებლობას არ აღიარებენ. რადიკალ-მემარჯვენეები მათ აკრიტიკებენ იმის გამო, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს მიერ მიწოდებული მომსახურებების მხარდაჭერა უგულებელყოფს იმ სიკეთეს, რისი მოტანაც ღია საბაზრო ეკონომიკას შეუძლია სექსუალური თანასწორობისათვის: პატრიარქალური მიდგომები სწორედ იმიტომ ყვავის, რომ სახელმწიფო მამაკაცით დომინირებული ინსტიტუტია, რომელიც ძალიან უძალიანდება ცვლილებას, მაშინ, როდესაც ღია კონკურენციაში დამქირავებლები, რომლებიც ქალთა ნიჭსა და უნარებს უგულებელყოფენ, ისჯებიან მათ მიერ, რომლებიც ამას არ აკეთებენ (Fitzpatrick, 2001, 2011).

კეთილდღეობის გააზრება თეორეტიკოსთა მიერ

სოციალური კეთილდღეობის ცნობილ თეორეტიკოსთა მოსაზრებების გაცნობა სოციალური პასუხისმგებლობების გადანაწილების, რედისტრიბუციის პრინციპების, სოციალური კეთილდღეობის სისტემის რაგვარობის შესახებ, დაგვეხმარება კეთილდღეობის იდეოლოგთა პოზიციების უკეთ გაგებასა და ცოდნის განმტკიცებაში.

მე-19 საუკუნის ინგლისელი კეთილდღეობის ეკონომისტის, პიგოუს აზრით (Fitzpatrick, 2001, 2011), ინდივიდუალური კეთილდღეობა დაკავშირებულია საბაზრო არჩევანზე და სოციალური კეთილდღეობა მატულობს ან კლებულობს ნაციონალური

კეთილდღეობის კლებასა და მატებასთან ერთად და იზომება ისეთი ეკონომიკური ინდიკატორით, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი. მისი აზრით, კეთილდღეობა სურვილის საკითხია და სურვილი კი მონეტარული ერთეულით იზომება, რაც ნიშნავს იმას, რომ, რაც უფრო მეტს იხდის ადამიანი რაღაცაში, მით უფრო სურს მას ის. მისი მოპოვების შემთხვევაში კი უფრო მაღალია მისი კეთილდღეობის მაჩვენებელი. თუმცა პიგოუს კრიტიკოსების აზრით, ადამიანის სურვილს ყოველთვის მისი მონეტარული ქმედითობა ვერ განსაზღვრავს, რამეთუ არსებობს ლიმიტი, რომელიც ზღუდავს სურვილისა და მონეტარული გადამხდელუნარიანობის დიადას. მაგალითად, ყველას სურს სუფთა ჰაერი ისუნთქოს, მაგრამ ლიმიტირებულია ზღვარი, რომლის მიღმაც ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ჰაერის სისუფთავე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენის გადახდის სურვილი გვაქვს ჩვენ ამაში ბაზარზე.

ასევე, მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, ადამიანების ცხოვრების დონე შეიძლება საფრთხეში აღმოჩნდეს ნეგატიური თანმხლები მოვლენების გამო (იზრდება ტრანსპორტის ნაკადი, მატულობს ხმაური, გადატვირთულია ქალაქები, ხშირდება დანაშაული, ბინძურდება გარემო და მატულობს სტრესი). *მთლიანი შიდა პროდუქტის* მაჩვენებელი ძალიან მოსახერხებელია, რადგან მარტივი დასათვლელია (ქვეყანაში წარმოებული ყველა პროდუქტის და მომსახურების ღირებულება, იმპორტ-ექსპორტის ბალანსის ჩათვლით), მაგრამ სწორედ ეს სიმარტივე იწვევს ხარვეზებს. *მთლიანი შიდა პროდუქტი* გვიჩვენებს წარმოებას და მოხმარებას, იმ ნეგატიური ფენომენის გარეშე, რაც ასოცირებულია მათთან (წარმოება-მოხმარებასთან). მაგალითად, წარმოების ზრდა შეიძლება გამოიწვიოს ბუნებრივმა კატასტროფამ (ტარდება აღდგენითი სამუშაოები), ომმა (მეტი იარაღი იწარმოება), ტერორიზმმა (იზრდება უსაფრთხოების ხარჯები) და გადატვირთულმა გზებმაც კი (მეტი საწვავი იხარჯება). *მთლიანი შიდა პროდუქტის* მაღალი მაჩვენებელი თავისთავად არ გულისხმობს, რომ ადამიანებისათვის იზრდება ხელმისაწვდომობა საკვებსა და სუფთა წყალზე, საცხოვრებელზე, ჯანდაცვაზე და სოციალურ უსაფრთხოებაზე; უკეთესად არის დაცული ადამიანის უფლებები და უზრუნველყოფილია საზოგადოების წევრთა *კარგად ყოფნა*. გარდა ამისა, ის არ ითვალისწინებს, თუ როგორ ნაწილდება შემოსავალი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფზე (Fitzpatrick, 2001, 2011).

ამავე საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსის, ეკონომისტისა და სოციოლოგ პარეტოს აზრით კი საზოგადოება, რომელსაც ძალუძს გააუმჯობესოს თავისი ერთი წევრის სოციალური პირობებიც კი, აუმჯობესებს თავის კეთილდღეობის სისტემას, თუ ამის შედეგად არავის მდგომარეობა არ უარესდება. მისი აზრით, თუ ცვლილება ერთი ადამიანის მდგომარეობას მაინც აუარესებს, ასეთი ცვლილება უსამართლოა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად არათანაბარია საზოგადოება და რამდენად მდიდარი გახდება სოციალურად დაუცველი ადამიანი, რომლის სოციალური პირობების გაუმჯობესებასაც სხვისი სოციალური პირობების გაუარესება მოჰყვება. პარეტოს პრინციპს აკრიტიკებენ, რადგან თვლიან, რომ ის ძალიან კონსერვატიულია და არ ითვალისწინებს სიმდიდრის თავდაპირველ დისტრიბუციას და იმას, თუ რამდენად უსამართლო იყო ის თავიდანვე; და იმის გამოც, რომ ის საჯარო პოლიტიკის რედისტრიბუციულ ფუნქციას არ განიხილავს. მისი პრინციპი შეუთავსებელია მთავრობის ყველა ქმედებასთან. ისინი თვლიან, რომ, პარეტოს აზრით, ჩვენ უნდა უარვყოთ ნებისმიერი საზოგადოებრივი რესურსი ეროვნული თავდაცვიდან, გარემოს დაცვით დამთავრებული, რადგან ისინი სა-

გადასახადო შემოსავლებიდან უნდა დაფინანსდეს, რომლის ტვირთი ძირითადად მდიდრებსა და საშუალო კლასზე ნაწილდება (Fitzpatrick, 2001, 2011).

მე-19 საუკუნის ინგლისელი სოციალური რეფორმისტისა და უტილიტარიზმის ქომაგის – ბენთემისათვის სოციალური კეთილდღეობა არის სოციალური სარგებლისა და ბედნიერების უდიდესი რაოდენობისათვის გადანაწილება. მისი აზრით, ბუნებამ კაცობრიობა ორი ბატონის მმართველობაში მოაქცია: სიამოვნების და ტკივილის. მხოლოდ მათზეა დამოკიდებული რას გავაკეთებთ, რას ვამბობთ ან ვფიქრობთ. მისი აზრით, ინდივიდის სწრაფვა საკუთარი ბედნიერებისაკენ არ არის აუცილებლად „სწორი“ ქმედება, რადგან ხშირად ინდივიდუალური ძალისხმევა საზოგადოებისათვის უფრო მეტი ტკივილისა და ნაკლები სიამოვნების მომტანი შეიძლება იყოს (Fitzpatrick, 2001:12). ამიტომ, საზოგადოება ისეთ სამართლებრივ სივრცეში უნდა მოვაქციოთ, რომ სიამოვნების ოპტიმალური შენარჩუნება და ტკივილის მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობა შეიქმნას საზოგადოების წარმომადგენელთა უმრავლესობისათვის. ამისათვის კი საზოგადოების თითოეული წევრის სუბიექტური კარგად ყოფნის მაჩვენებელი გაცილებით მრავლისმეტყველია, ვიდრე მათი ჰედონისტური აღტყინება. ხალხს სურს, რომ იყოს არა მხოლოდ ბედნიერი, არამედ მათ სურთ, რომ მათი მიღწევები და მათი შეხედულებები დაფასებული და ღირებული იყოს. ამიტომ კარგად ყოფნის თანამედროვე გაგება მულტიგანზომილებითია და ის შეიცავს როგორც ჰედონისტურ, ისე ევდემონისტურ ასპექტებს (Fitzpatrick, 2011).

უტილიტარიზმის მთავარი ამოსავალი სარგებლიანობაა – იმ კმაყოფილებისა და ბედნიერების ზომა, რომელსაც ადამიანი განიცდის გარკვეულ სიტუაციაში. მათი აზრით, მთავრობის მთავარი მიზანია საზოგადოების ყველა წევრის სარგებლიანობათა ჯამის მაქსიმალიზაცია. შემოსავლების გადანაწილების უტილიტარისტული მიდგომა ეფუძნება დაშვებას კლებადი ზღვრული სარგებლიანობის შესახებ. მათი აზრით, შემოსავლის ერთი დამატებითი ფულადი ერთეულით გაზრდა ღარიბს უფრო მეტ დამატებით სარგებელს აძლევს, ვიდრე მდიდარს. გამოდის, რომ, როდესაც პიროვნების შემოსავალი იზრდება, დამატებითი ფულადი ერთეულიდან მიღებული დამატებითი კეთილდღეობა მცირდება. ეს გულისხმობს იმას, რომ მთავრობა უნდა ცდილობდეს შემოსავლების უფრო თანასწორ გადანაწილებას. თუმცა ისინი უარყოფენ შემოსავლების სრულ გათანასწორებას, რადგან აღიარებენ ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს, რომ ადამიანები რეაგირებენ სტიმულებზე. გამოდის, რომ უტილიტარისტული მთავრობა შეეცდება გააწონასწოროს თანასწორობის გაზრდით მიღებული სარგებლობა და სტიმულების დამახინჯების შედეგად მიღებული დანაკარგი (Fitzpatrick, 2001, 2011).

მე-20 საუკუნის ამერიკელი ფილოსოფოსის, ლიბერალიზმის ქომაგის – როულსის აზრით კი საზოგადოება, სადაც რესურსები სამართლიანად ნაწილდება, კეთილდღეობის უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. სამართლიანი გადანაწილება კი მიუსაფართა სარგებელს გულისხმობს. სოციალური კეთილდღეობა ამიტომაც უსამართლო უთანასწორობის აღკვეთას მოითხოვს და არა თავისთავად უთანასწორობისა. თანასწორობა კი არის როგორც ფილოსოფიური ცნება, ისე პოლიტიკური პრინციპი. როულსის აზრით, თუ ჩვენი მიზანი ღარიბთა მდგომარეობის გაუმჯობესებაა, მაშინ კერძო მესაკუთრეობამ და თავისუფალმა ბაზარმა უნდა შექმნას დოვლათი და უზრუნველყოს მისი ეფექტიანი გადანაწილება. დამატებით კი, მისივე აზრით, ამ დოვლათის სამართლიანი გადანაწილების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია რედისტრიბუციული

საგადასახადო სისტემის, ეგალიტარული კეთილდღეობის სისტემის, გარკვეულწილად, სოციალიზებული საკუთრების მფლობელობის არსებობა და ლიმიტირებული საბაზრო რეგულირება. როულსი მოიაზრება, როგორც სახელმწიფო კეთილდღეობის კაპიტალიზმის მხარდამჭერი (Fitzpatrick, 2001).

როულსის აზრით (მენკიუ, 2000), სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი ყველაზე უარეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის კეთილდღეობის გაზრდა უნდა იყოს. ყველა ადამიანის სარგებლიანობათა ჯამის მაქსიმიზაციის ნაცვლად, რასაც უტილიტარისტები გვთავაზობენ, როულსი მინიმალური სარგებლიანობის მაქსიმიზაციას გვთავაზობს. მის მიერ ჩამოყალიბებულ ამ წესს მინიმაქსის კრიტერიუმი ეწოდება. იმის გამო, რომ ეს კრიტერიუმი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საზოგადოების ყველაზე უიღბლო ადამიანს, მინიმაქსის კრიტერიუმი ამართლებს სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია შემოსავლების თანაბარი განაწილებისაკენ. მდიდრებიდან ღარიბებისკენ შემოსავლების გადანაწილებით საზოგადოება აუმჯობესებს ყველაზე ღარიბი ადამიანის კეთილდღეობას. ხოლო, როდესაც ჩვენ მდიდრებისაგან მიღებულ თანხებს ღარიბთა დასახმარებლად ვიყენებთ, თავს ვიზღვევთ სიღარიბისაგან. თუმცა, მიუხედავად ამისა, მინიმაქსის კრიტერიუმს არ მივყავართ სრულიად თანაბარ საზოგადოებამდე. თუ მთავრობა შემოსავლების სრული გათანაბრების პირობას იკისრებს, მაშინ ადამიანებს აღარ ექნებათ თავდაუზოგავი მუშაობის სტიმული, საზოგადოების მთლიანი შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდება და ყველაზე ღარიბი ადამიანის ეკონომიკური მდგომარეობაც გაუარესდება. ამგვარად, ის შემოსავლებს შორის უთანასწორობის არსებობას უშვებს, ვინაიდან ეს უთანასწორობა იწვევს სტიმულების გაზრდას და აძლიერებს საზოგადოების უნარს, დაეხმაროს ღარიბებს. რადგან როულსის ფილოსოფიაში წონა მხოლოდ საზოგადოების ყველაზე უიღბლო წევრებს აქვთ, ამიტომ ეს ფილოსოფია შემოსავლების უფრო მეტ გადანაწილებას მოითხოვს, ვიდრე უტილიტარისტთა ფილოსოფია.

ამერიკელი პოლიტიკური ფილოსოფოსის, ლიბერტარიანელი რობერ ნოზიკის აზრით კი, თუ შემოსავლის განაწილების განმსაზღვრელი პროცესი სამართლიანია, შედეგად, მიღებული განაწილებაც სამართლიანია, როგორი უთანასწოროც არ უნდა იყოს. ლიბერტარიანელთა აზრით, შესაძლებლობათა თანასწორობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შემოსავალთა თანასწორობა. მათი აზრით, მთავრობამ უნდა გააძლიეროს ინდივიდთა უფლებები, რათა ყველას ჰქონდეს თავისი უნარის გამოვლენისა და წარმატების მიღწევის ერთნაირი შესაძლებლობა. თამაშის ასეთი წესების შემოღების შემდეგ, მთავრობას აღარ აქვს იმის მიზეზი, რომ შეცვალოს შემოსავლის საბოლოო განაწილება. მათი აზრით, დაუშვებელია, რომ მთავრობამ წაართვას ერთს და მისცეს მეორეს, თუნდაც იმ მიზნით, რომ შემოსავლების უფრო სამართლიან გადანაწილებას მიაღწიოს (მენკიუ, 2000).

როგორც დავინახეთ, უტილიტარიზმი და ლიბერალიზმი საზოგადოების მთლიან შემოსავალს განიხილავს, როგორც განაწილებულ რესურსს, რომელსაც სოციალური მგეგმავი თავისუფლად გადაანაწილებს ამა თუ იმ სოციალური მიზნის მისაღწევად, ლიბერტარიანიზმი კი ამტკიცებს, რომ თვითონ საზოგადოება არანაირ შემოსავალს არ იღებს – შემოსავალს იღებენ მხოლოდ საზოგადოების ინდივიდუალური წევრები (მენკიუ, 2000). გოსტა ესპინ-ანდერსენი (1990) კი თვლის, რომ კეთილდღეობის სისტემა არა მხოლოდ მექანიზმია, რომელიც სოციალური უთანასწორობის სტრუქტურაში იჭ-

რება, არამედ ის აქტიურადაა ჩართული სტრატიფიკაციის პროცესში ბენეფიტებზე დიფერენცირებული უფლებების დაწესებით. როგორც ვხედავთ, ძალიან რთულია თანასწორობის გარანტორი სოციალური კეთილდღეობის სისტემის შექმნა.

საუკუნეების მანძილზე თანასწორობის ცნება სადავო საკითხია. ფიცპატრიკის (2011) აზრით, სოციალური თანასწორობა შეიძლება განისაზღვრებოდეს სიმდიდრის მინიმუმის ზღვრით, რომლის ქვევით არავინ არ უნდა აღმოჩნდეს, და რომლის ზევითაც არავის არ უნდა ჰქონდეს აღმოჩენის უფლება. თუმცა საზოგადოებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით თანასწორები, რამეთუ ჩვენ ყველა ვართ განსხვავებულები, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ არსებობს ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ჩვენ ყველა განვსხვავდებით, იმ ნიშნებზე დამატებით, რომელთა მიხედვითაც ჩვენ ყველა მსგავსნი ვართ. არ უნდა აგვერიოს თანასწორობა იდენტურობაში. არსებობს ის დასაკმაყოფილებელი მინიმუმი, განურჩევლად დროისა და სივრცისა, რომელიც საბაზისო აუცილებლობებს წარმოადგენს ყველასათვის განურჩევლად. ესენია: საჭმელი, სუფთა წყალი, თავშესაფარი, ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება, საიმედო გარემო, ჯანმრთელობა, განათლება, და ავტონომია (Fitzpatrick, 2001).

თავის შეჯამება

რადიკალ-მემარჯვენეთა, კონსერვატორთა, სოციალ-დემოკრატთა, მარქსისტთა და ფემინისტთა დამოკიდებულებას თუ გავიაზრებთ კეთილდღეობისადმი, განსხვავებებსაც შეხვდებით და მსგავსებებსაც. უფრო მეტიც, განსხვავებებია თითოეული იდეოლოგიის ქვეჯგუფებს შორისაც.

რადიკალ-მემარჯვენეთა დამოკიდებულება კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეისადმი უკიდურესად უარყოფითია, როგორც ეკონომიკისა და საზოგადოების მორალის შემასუსტებელი ფაქტორისა, როგორც აცდენისა დაპირებებსა და შედეგებს შორის. ისინი სოციალური ფუნქციონირების ტვირთს ძირითადად ინდივიდს აკისრებენ, მაშინ, როცა, სხვათა აზრით, ადამიანის და საზოგადოების მდგომარეობა მხოლოდ ინდივიდის ძალისხმევაზე არ არის დამოკიდებული. მათი აზრით, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს სოციალური კეთილდღეობის მართვაში, რადგან ჩარევით ის საბაზრო წესრიგს არღვევს და, ამავე დროს, ასუსტებს საზოგადოების მორალს. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დარღვევით კი ის ამცირებს წარმატების წახალისების შანსს და ამსუბუქებს წარუმატებლობის ტვირთს. მათი კრიტიკოსები კი მათ ედავებიან იმაში, რომ ამგვარი დამოკიდებულებით სარგებლობენ დაუმსახურებლად დაწინაურებულები, მოწყვლადთა უკიდურესად დაზარალების ხარჯზე. მათი აზრით, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფო რეგულირებისა და ინტერვენციის გარეშე დაინგრეოდა. ამასთან, კრიტიკოსები თვლიან, რომ ისინი მხოლოდ კეთილდღეობის სისტემაზე დამოკიდებულებას აკრიტიკებენ, მაშინ, როდესაც მათთვის მისაღებია ერთთა თავისუფლების შეზღუდვა სხვათა წარმატებისათვის.

კონსერვატორები უთანასწორობას ფუნქციონალისტური თეორიის პრიზმიდან უყურებენ და ლოიალურნი არიან მისდამი. თუმცა მათი ერთი ფრთა თავისუფალი ბაზრის მადესტაბილიზებელ როლს უსვამს ხაზს და აღიარებს სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემის საჭიროებას. მათი აზრით, კეთილდღეობის მომსახურებებით ადამიანები მათი წვლილის შესაბამისად უნდა სარგებლობდნენ. კონსერვატორებს სიღარიბისა და

უთანასწორობისადმი მათი ლოიალობის გამო აკრიტიკებენ. ასევე, ერთი მხრივ, ინდივიდუალური არჩევანისა და ოჯახური ფასეულობების მოტრფიალე კონსერვატორებს, ოჯახის არატრადიციული ფორმების არაღიარებით, ოჯახის ფასეულობების დაკნინებასა და ინდივიდუალური არჩევანის უგულებელყოფაში სდებენ ბრალს.

სოციალ-დემოკრატები სოციალური უფლებების აღიარებით გამოირჩევიან. ეს იდეოლოგია უნივერსალური დაფარვით, დეკომოდიფიკაციისა და დეფამილიზაციის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. ის მოქალაქეების დასაქმების პასუხისმგებლობას იაზრებს, აღიარებს თანამშრომლობის პრინციპებს. კრიტიკოსთა აზრით, თანამშრომლობას არ შეუძლია გახდეს ეკონომიკის ორგანიზების პრინციპი. მხოლოდ ბაზარია სოციალური პროდუქტის დისტრიბუციის საუკეთესო საშუალება, რამეთუ იგი კონკურენციის საფუძველზე ფასების შემცირებას იწვევს. შესაბამისად, კეთილდღეობის მომსახურებებზე სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს მონოპოლია და მას ბაზარიც უნდა სთავაზობდეს მომხმარებლებს.

მარქსისტთა აზრით, კეთილდღეობა ორგანიზებული კაპიტალიზმის განუყოფელი ნაწილია. ის კაპიტალიზმს „აკუმულირების კრიზისის“ წინაშე აყენებს, მაგრამ ამის გარეშე კაპიტალიზმი ვერ მიაღწევდა ლეგიტიმაციას. კეთილდღეობით მოსარგებლე მუშახელი კი ნაცვლად იმისა, რომ აღუდგეს მაექსპლოატირებელ სისტემას, კაპიტალისტური ოცნების მსხვერპლი ხდება კონსუმერიზმის ზეგავლენით და ამით კაპიტალის მოთხოვნების ხაფანგში ექცევა. კრიტიკოსები მარქსისტებს კეთილდღეობის სისტემისათვის მხოლოდ კაპიტალის რეპროდუქციის ფუნქციის მინიჭებაში ადანაშაულებენ, მაშინ, როდესაც მას ტრანსფორმაციული პოტენციაც გააჩნია.

ფემინისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კეთილდღეობის მომსახურებებს, განსაკუთრებით, ბავშვზე ზრუნვის მომსახურებებს, რაც მათი სოციალური ფუნქციონირების გარანტიაა. ამის გარეშე, ბავშვები ქალის აუნაზღაურებელი შრომის ხარჯზე იზრდებიან და მამაკაცი მუშახელიც ამის ხარჯზე იკიდებს ფეხს დასაქმების ბაზარზე.

სოციალური მუშაკები ხშირად აწყდებიან სიტუაციას, როდესაც, რაც უფრო მეტად უჭირს მისი მომსახურებით მოსარგებლეს, მით მეტი პირობა ახლავს დახმარების მიღებას. რამდენად მადლიერები უნდა იყვნენ მომსახურებისა და დახმარების მიმღებნი? ხომ არ უნდა დაეხმარონ სოციალური მუშაკები მათ იმის გააზრებაში, რომ კეთილდღეობა, როგორი მსუყეც არ უნდა იყოს ის, ვერ შეძლებს მათ მხარდაჭერას იმ სირთულეების დაძლევაში, რასაც არაფექტიანი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის თუ დასაქმების პოლიტიკა შობს? ხომ არ არის საჭირო ადამიანების უფრო მეტად ინფორმირება სოციალური და სამოქალაქო უფლებების შესახებ? ამისათვის კი აუცილებელია თავად სოციალურ მუშაკს ზედმიწევნით კარგად ჰქონდეს გააზრებული ის იდეოლოგიური ხედვები, რომელთა ზეგავლენითაც ფორმირდება სოციალური კეთილდღეობის სისტემა სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა ისტორიულ მომენტში.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. რა განაპირობებს განსხვავებას კონსერვატორთა მიდგომებს შორის კეთილდღეობის სისტემისადმი?
2. რომელი თეორეტიკოსის მიდგომას იზიარებთ რესურსების გადანაწილების შესახებ? დაასაბუთეთ პასუხი.

3. რომელი იდეოლოგიის წარმომადგენლებთან გაუჭირდებოდა სოციალურ მუშაკს მუშაობა მათი მმართველობის დროს? დაასაბუთეთ პასუხი.
4. იზიარებთ სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემის მოწინააღმდეგე რომელიმე იდეოლოგიის პოზიციას? დაასაბუთეთ პასუხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

Burke, E. (1968). Reflections on the Revolution in France. Middlesex: Penguin.

დიაკონიძე, ა., ჯულუხაძე, თ. (2014). *სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები.* საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

Diener, E., Lucas, R., Schmmack, U., Helliwell, J. (2009). *Well-Being for Public Policy*. Oxford University press

Fitzpatrick, T. (2001). *Welfare Theory: An Introduction*. New York: Palgrave.

Fitzpatrick, T. (2011). *Welfare Theory: An Introduction To The Theoretical Debates In Social Policy* (2nd ed.)New York: Palgrave.

Gough, I. (1979). *ThePolitical Economy of the Welfare State.* Macmillan

Greve, B. (2015). *Welfare And Welfare States.* Routledge

Gupta, D.K. (2001). *Analyzing Public Policy: Concepts, Tools, And Techniques.* Congressional Quarterly Inc.

Jansson, B.S. (2016). *Social Welfare Policy And Advocay: Adancing Social Justice Through 8 Policy Secttors.* SAGE

King, D. (1999). *In the Name of Liberalism*. Oxford: Oxford University Press

Lavalette, M. & Pratt, A. (2006). *Social Policy, Theories, Concepts and Issue.* Sage Publication, London

Mankiw, N.G. (2004). Principles of Economics (3rd ed.). Thomson

McGee, R. (2002). “Ending Welfare as We Know It”. *Economic Affairs, 22* (1), 12-16

Mullard, 2005;

Murray, C. (2006). In Our Hand. Washington:The American Enterprise Institute.

Pierson, J., (2013). Social Exclusion In Greve, B. (Eds.). *The Routledge Handbook of the Welfare State.* Routledge (pp. 71-83). Routledge

Rokicka, E. (2014). The Concept Of “Quality Of Life” In The Concept Of Economic Performance And Social Progress. In D. Eißel et al. (eds.), *Welfare State at Risk*. Springer

Ryff, C. D., & Singer, B. (1998). The contours of positive human health. Psychological Inquiry, 9(1), 1–28.

Staub-Bernasconi, S. (2009). Social work as a discipline and a profession. In Leskošek, V. (ed.) *Theories and Methods of Social Work: Exploring Different Perspective*. Ljubljana: Faculty of Social Work, University of Ljubljana: 9-30.

Townsend, P. (1979). Poverty in the United Kingdom: a survey of household resources and standards of living, Harmondsworth: Penguin Books

ნინო შატბერაშვილი

თავი 8

სოციალური კეთილდღეობის მოდელები

შესავალი

წინამდებარე თავის მიზანია, მიმოიხილოს ევროპული კეთილდღეობის მოდელები მათი პირველსაწყისი ვერსიით და ამ ვერსიის ძირითადი ცვლილებები მიმდინარე გლობალური პროცესების შედეგად. ის მომოიხილავს ასევე კეთილდღეობის სახელმწიფოს, როგორც სახელმწიფოს სპეფიციკურ ფორმას და შეეცდება დააფიქროს მკითხველი იმაზე, თუ რა განაპირობებს ამგვარი სახელმწიფოს ფორმირებას – საზოგადოება თუ პოლიტიკა.

თავი მკითხველს საშუალებას მისცემს გაიაზროს მაკროპრაქტიკის ფორმირების პროცესი და ამ პროცესზე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ზეგავლენა. ის მიზნად არ ისახავს მოდელების მიმოხილვას კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე, არამედ წარმოაჩენს თავად მოდელს, როგორც სოციალური მომსახურებების ადმინისტრირების განმაპირობებელ ჩარჩოს და მის პრინციპებს. ის ასევე მკითხველს გააცნობს კეთილდღეობის სისტემების ანალიზის მეთოდებზე საბაზისო ინფორმაციას, ზედაპირულად შეეხება ბოლო პერიოდში კეთილდღეობის სახელმწიფოს შედარებითი ანალიზის შედეგად გაშუქებულ კეთილდღეობის სისტემათა კლასიფიცირების მცდელობებსაც.

კეთილდღეობის იდეოლოგიის მსგავსად, არც კეთილდღეობის მოდელებია „წმინდა“ სახით წარმოდგენილი დღევანდელ მსოფლიოში, რადგან სოციალური პრობლემებიცა და მათი მოგვარების სურვილი და შესაძლებლობები დროსთან ერთად იცვლება. იცვლება თავად კეთილდღეობის გაგებაც და მისდამი დამოკიდებულებაც. ამიტომაც, თავში მიმდინარე პროცესების გავლენაცაა წარმოდგენილი კეთილდღეობის მოდელებზე. მაკროპრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისთვის ამგვარი ცოდნის შეძენა პროფესიული საქმიანობის აღსრულებისთვის მნიშვნელოვანია. მით უფრო ისეთ ქვეყანაში, სადაც მკაფიოდ ფორმირებული კეთილდღეობის მოდელი არ გვაქვს, სოციალური მუშაკები კი ძირითადად სოციალური პოლიტიკის განმახორციელებელ უწყებებში არიან დასაქმებულნი.

კეთილდღეობის სისტემის ფორმირების მიზეზები

რა განაპირობებს კეთილდღეობის სისტემის განვითარებას ქვეყანაში, რთული სათქმელია, რადგან დღესაც არიან ქვეყნები, სადაც, მაღალი ეკონომიკური განვითარების მიუხედავად, კეთილდღეობის მომსახურებები უფრო ნაკლებ განვითარებულია, ვიდრე გაცილებით ღარიბ ქვეყნებში. ისტორიულადაც ბევრია შემთხვევა, როდესაც კეთილდღეობის სისტემა უფრო გვიან ვითარდება ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყანაში, ვიდრე იქ, სადაც ამგვარი მაჩვენებლები გაცილებით დაბალია. ხშირად სამეზობლო პოლიტიკასაც აქვს გავლენა, თუმცა იდეების დიფუზია შეიმჩნევა ტერიტორიულად

დაშორებულ ქვეყნებს შორისაც. ზოგიერთი ქვეყანა კეთილდღეობის მომსახურებებს კრიზისებზე საპასუხოდ უმალვე ავითარებს, ახალ სოციალურ რისკებთან მყისიერად გამკლავებისთვის. იმის მიხედვით, თუ როგორ პასუხობს კეთილდღეობის სახელმწიფო ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებს, გრევი (2015) შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს:

ცხრილი N1. ცვლილების ტიპი (Farnsworth, Irving, 2011)

	ინკრემენტალური	ტრანსფორმაციული
თანდათანობითი	კლასიკური ინკრემენტალიზმი კუ	თანდათანობითი ფუნდამენტური სტალაქტიტი
სწრაფი	რადიკალური კონსერვატიზმი ბუმერანგი	უცაბედი რადიკალური მიწისძვრა

კონვერგენციის და დივერგენციის თეორიებზე დაყრდნობით, კეთილდღეობის თეორეტიკოსები ცდილობენ კეთილდღეობის სისტემებისა და მომსახურებების განვითარების განმაპირობებელი ფაქტორების ახსნასა და ქვეყნების კლასიფიკაციას. პირველი კეთილდღეობის მომსახურებების აღმოცენებას ინდუსტრიალიზაციით გამოწვეულ მოვლენად წარმოგვიდგენს, რადგან სწორედ ამ პერიოდში მრავლდება და მრავალფეროვნდება ამგვარი მომსახურებები ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში. თუმცა გლობალიზაციის თეორეტიკოსები კაპიტალის საერთაშორისო მობილობას მიაწერენ ამ მოვლენას. მეორე კი კეთილდღეობის მომსახურებებს შორის განსხვავებულობის ფონზე წარმოადგენს ქვეყნებს და ამ განსხვავებებს ქვეყანაში კლასის სტრუქტურასა და პოლიტიკას მიაწერს (Kasza, 2006).

კასზა (2006) ქვეყნების შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს: კეთილდღეობის მოწინავე და ჩამორჩენილი ქვეყნები. პირველს ის მიაკუთვნებს იმ ქვეყნებს, სადაც კეთილდღეობის პოლიტიკა განვითარდა, მიუხედავად იმ ქვეყნის იმჟამინდელი დაბალი ეკონომიკური განვითარებისა, ხოლო ჩამორჩენილს იმ ქვეყნებს, სადაც ის განვითარდა უფრო მაღალი ეკონომიკური განვითარების დროს. ამ კლასიფიკაციის მიხედვით სორტირებულ ქვეყნებში, სადაც წარმოდგენილია კეთილდღეობის მომსახურებების განვითარების საწყისი პერიოდი და ამ პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე, რთულია კეთილდღეობის სისტემის ჩამოყალიბების განმაპირობებელი ფაქტორების ზუსტად ჩამოყალიბება. ფაქტი ერთია, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს ოქროს ხანად 1960 წლიდან, ვიდრე ნავთობის კრიზისამდე, პერიოდი მოიაზრება. ამ პერიოდში იყო ის ყველაზე განგრძობითი და მზარდი, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ყველაზე მაღალი წილით (Greve, 2015).

ბევრი ავტორი კეთილდღეობის სისტემას კაპიტალიზმის თანმხლებ და აუცილებელ შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (როგორც ეს ამ სახელმძღვანელოს წინა თავში განვიხილეთ). ჰაბერმასისა (1975) და ოფეს (1984) აზრით, კაპიტალიზმი სამი ქვესისტემისაგან შედგება:

1. ეკონომიკური სისტემა (კაპიტალი), რომელიც სახელმწიფოს ფინანსებით უზრუნველყოფს.

2. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული (სახელმწიფო), რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის და აკუმულირების ტენდენციის შენარჩუნებას და კეთილდღეობის მიწოდებას.
3. სოციოკულტურული (ფასეულობები და ნორმები), რომელიც, კეთილდღეობის მინიმალური გარანტიების სანაცვლოდ, მასობრივი ლოიალობის კულტურას აყალიბებს.

გამოდის, რომ კეთილდღეობის სახელმწიფო „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არადა, მემარჯვენე იდეოლოგიის გამზიარებელთა აზრით, ის „აკუმულირების კრიზისის“ რისკის წინაშე აყენებს სახელმწიფოს, რომელშიც მის გარეშე რესურსები კერძო სექტორის გაძლიერებისაკენ წარიმართებოდა. აი, სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რატომაც მემარჯვენე იდეოლოგიის გამზიარებლები ითხოვენ კეთილდღეობის სისტემის, შესაბამისად, მისკენ მიმავალი რესურსების შემცირებას. თუმცა გაუგებარია მათი ხედვა, როგორ შეინარჩუნებდა კაპიტალიზმი ლეგიტიმაციას მის გარეშე.

ალთუზერი (1969) ასხვავებს „წარმომადგენლობითსა“ და „იდეოლოგიურ“ სახელმწიფო აპარატს. ის პირველს კაპიტალიზმის აგრესიულად შენარჩუნების ფუნქციის განმახორციელებლად ხედავს. მასში წარმოდგენილია პოლიცია, ჯარი, მართლმსაჯულების სისტემა. მეორეს კი, რომელიც წარმოდგენილია ეკლესიის, ოჯახის, განათლების სისტემით, იმავე ფუნქციის აღმსრულებლად ხედავს, მხოლოდ სწორედ მათივე დახმარებით (ღარიბების, ექსპლოატირებულების, დისკრედიტირებულების), რომლებსაც ყველაზე მეტად უნდა სწადდეთ მისი ნგრევა. კეთილდღეობის სახელმწიფო კი სწორედ მეორეს მიაკუთვნა ავტორმა, რომელიც ეხმარება კაპიტალიზმს, რომ ის უფრო ადამიანური გამოჩნდეს. კეთილდღეობის სახელმწიფო შეზავებულიცაა წარმომადგენლობით აპარატთან, ეს კი განსაკუთრებით შესამჩნევია, როდესაც სოციალური მუშაობის მომსახურება ძირითადად ღარიბებისკენაა მიმართული, მაშინ, როცა მათი ერთადერთი სამიზნე ისინი არ არიან, ძირითადი რომც იყვნენ (Fitxpatrick, 2011).

კეთილდღეობის სისტემა ყველაზე უფრო განვითარდა კეთილდღეობის სახელმწიფოებში, რომელთა მიზანია: რედისტრიბუცია, სოციალური ინვესტირება, თაობათაშორის ტრანსმისია. მისი ძირითადი ფუნქცია ბაზრის ჩავარდნებთან გამკლავებაა (Greve, 2015). მის დანიშნულებას სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარად განმარტავს: სტრუქტურულად განსხვავებულ ურთიერთდამოკიდებულ პოლიტიკურ ან ეკონომიკურ სისტემას შორის კოორდინაცია (Kaufmann, 2012); „[...] სახელმწიფო, სადაც ორგანიზებული ძალაუფლება მიზანმიმართულად გამოიყენება საბაზრო ძალების ქმედებების მოდიფიცირებისთვის“ (Briggs, 1961:226).

კეთილდღეობის სისტემისათვის მნიშვნელოვანია: დეკომოდიფიკაციის, სოციალური ინკლუზიის, დეფამილიზაციის, უნივერსალიზაციის საკითხები. ბოლო პერიოდში ამ ჩამონათვალს მარკეტიზაციაც დაემატა. ზოგიერთთა აზრით, კეთილდღეობის სახელმწიფო არაქმედითი და არაეფექტიანია, მას არათუ სოციალური რისკების პრევენცია, არამედ ამ რისკებით გამოწვეული ზიანის შემსუბუქებაც კი უჭირს. პირობითობა კი, რომელიც სხვადასხვა სოციალური დახმარებებისადმი ხელმისაწვდომობას განსაზღვრავს (მაგალითად, მომსახურებით მოსარგებლემ სისტემის წარმომადგენელს აჩვენოს სამსახურის მაძიებლობის დამადასტურებელი საბუთები), უფრო მომთხოვნია მოწყვლადებისადმი, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისადმი. სხვათა მოსაზრებით, კეთილდღეობა და წარმოება ორი სხვადასხვა სფერო არ არის. კეთილდღეობას უჭირს წარმოებით გამოწ-

ვეულ არასასურველ შედეგებთან გამკლავება. ამიტომ, აუცილებელია ძლიერი სოციალური დაცვის სისტემა, რომელსაც წარმოების პროცესზეც ექნება კონტროლი და კეთილდღეობის სისტემით პოტენციურ მოსარგებლეებს დაეხმარება მათივე სოციალური და სამოქალაქო უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში (Offe, 1984).

კეთილდღეობის ევროპული მოდელები

ფიცპატრიკი (2001, 2011) გვთავაზობს კეთილდღეობის განმსაზღვრელი კომპონენტების კლასიფიკაციას: ბედნიერება, უსაფრთხოება, უპირატესობები, საჭიროება, დაფასება, შედარებითობა. იდეალურ სამყაროში სოციალური კეთილდღეობის სისტემა მოქალაქეთა ექვსივე მახასიათებლით დაკმაყოფილებას უნდა ცდილობდეს. გავეცნოთ კეთილდღეობის ზოგიერთი ევროპული მოდელის ძირითად ჩარჩოსა და პრინციპებს და შევეცადოთ გავიაზროთ მათი განვითარების მიზანი. ასევე გავაანალიზოთ მიმდინარე პროცესების ზეგავლენა მათზე და შევეცადოთ დავასკვნათ, რამდენად მოიცავენ ისინი ფიცპატრიკის მიერ წარმოდგენილ მახასიათებლებს.

არსებობს სხვადასხვა ტიპის სოციალური კეთილდღეობის მოდელი, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს განვიხილავთ: ლიბერალურ, ცენტრალურევროპულ, სამხრეთევროპულ და სოციალ-დემოკრატიულ მოდელს.

ლიბერალური მოდელი

ბევერიჯის (იგივე ანგლოსაქსური, ივივე რეზიდუალური, იგივე ლიბერალური) მოდელის მიხედვით, სოციალური დახმარება უკიდურესად უმწეოებს უნდა გაეწიოთ. დიდმა ინგლისელმა ეკონომისტმა და სოციალურმა რეფორმატორმა – უილიამ ჰენრი ბევერიჯმა, მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან აქტიურად დაიწყო მუშაობა სოციალური კეთილდღეობის სისტემის რეფორმირებაზე და ომი გამოუცხადა „სურვილს, სნეულებას, უცოდინრობას, სიბინძურესა და უსაქმურობას“ (Greve, 2015:30). მისი აზრით, ბენეფიტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს. საარსებო მინიმუმის საზომად კი მან ჯოზეფ როუნტრის მიერ დადგენილი უკიდურესი სიღარიბის ზღვარი აიღო. ამ პრინციპზე დაყრდნობით აგებული სისტემის ფუნქციონირებისათვის გათვლილი ღირებულების შესანარჩუნებლად, როუნტრი იძულებული იყო კომპრომისზე წასულიყო ადამიანის დასაქმების ვალდებულებაზე უარის თქმით. თავად ბევერიჯის ერთ-ერთი ჩანაწერი ცხადყოფს მის მიერ იმის დაშვებას, რომ დაგეგმილი დანახარჯი არ იქნებოდა საკმარისი პრობლემის მოგვარებისათვის, მაგრამ მას სურდა: „თუ სოციალური პოლიტიკა მოითხოვს ბენეფიტებისა და კონტრიბუციების საარსებო მინიმუმზე ზევით გაზრდას, არ დაზიანებულიყო სქემის სტრუქტურა“. ბევერიჯის მოდელის მიხედვით, არავის არ უნდა ეტვირთა სამედიცინო და განათლების ღირებულების ტვირთი. ეს მოსახლეობის უმეტესობას სიღარიბიდან ამოიყვანდა. შესაბამისად, მხოლოდ მცირე ოდენობა ისარგებლებდა ეროვნული დახმარების უსაფრთხოების ქსელით. უნივერსალური საოჯახო დახმარება უნდა დაწესებულიყო ბავშვის აღზრდისათვის, მისი აღზრდის ხარჯის შესაბამისად (Glennerster et al., 2004).

ბევერიჯის მოდელმა დიდი სახეცვლილება განიცადა ისტორიის მანძილზე, რადგან თავდაპირველი ჩანაფიქრი დაგეგმილისამებრ ვერ ამუშავდა. მოდელის უპირველესი ნაკლი ის იყო, რომ გათანაბრებული სადაზღვევო ბენეფიტები დასახმარებელთა გან-

სხვავებული ეკონომიკური მდგომარეობისადმი არ იყო მგრძნობიარე, რაც გამოწვეული იყო დიდწილად საცხოვრებელი რენტის ნაირგვაროვნებით ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. რენტის ღირებულების კალკულაციაში გაუთვალისწინებლობა მოითხოვდა *ეროვნული დახმარების საბჭოს* მიერ დაწესებული მიზნობრივი დახმარებების ტესტირებით იდენტიფიცირებას. ამჟამად რენტის საფასური გათვალისწინებულია საბინაო ბენეფიტში, თუმცა ოჯახების სიღარიბის მიზნობრივი დახმარების პროგრამაში ჩართვის ფასად. ეს საკითხი დღემდე გადაუჭრელია.

მოდელმა არც პენსიონრებისთვის იმუშავა ჯეროვნად. უნივერსალური, თანაბარი საპენსიო ბენეფიტები არაღარიბთა მოცვას გულისხმობდა, რაც სცილდებოდა ხაზინის შესაძლებლობებს. ბევერიჯის სურვილი, რომ ეს ბენეფიტები საგადასახადო ფონდიდად არ გახარჯულიყო და დახმარებები გაცემულიყო თანაბარი კონტრიბუციული სადაზღვევო სქემიდან, ღირებულების შემცირებას ისახავდა მიზნად. ეს კი ღარიბთა ზურგზე გადაივლიდა. ხაზინას სურდა, რომ ბენეფიტები გადასახადების გადამხდელთა ტვირთად არ ქცეულიყო, ხოლო პროფესიული კავშირები დაბალშემოსავლიანთა ინტერესებს იცავდნენ (Glennerster et al., 2004).

სქემა დაქორწინებულ ქალებს დამოკიდებული პირის სტატუსს ანიჭებდა, ხოლო დაუქორწინებელ ქალბატონებს კონტრიბუტორის იმავე სტატუსს ანიჭებდა, რაც მამაკაცს ჰქონდა. ქორწინება სოციალური დაზღვევის კონტრაქტს წარმოადგენდა ბევერიჯის მოდელის მიხედვით. ქალისა და ბავშვების საჭიროებები მეუღლის ვალდებულება იყო. სწორედ ამიტომაც, ბევერიჯის 1943 წლის რეფორმას ქალთა თავისუფლების ლიგის წარმომადგენლებმა, აბოტმა და ბომპასმა, „შეცდომა“ უწოდეს ქალისათვის დამოუკიდებელი სტატუსის არმინიჭების გამო, რომელთა აზრითაც, სოციალური უსაფრთხოება გათხოვილი ქალებისათვის მეორად დატვირთვას ატარებს, მათთვის მეუღლეების მიერ შეთავაზებული უსაფრთხოების გამო. თუმცა იგი იმასაც აღიარებდა, რომ, განქორწინების შემთხვევაში, ეს უსაფრთხოება გაუჩინარდება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე (შშმპ) ვალდებულებას კი სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში კისრულობდა, თუ მათ ეს დაზიანება ომის ან საწარმოო ტრავმის შედეგად მიიღეს. ეს საკითხი მოდელმა მომდევნო ათწლეულებში გამოასწორა შშმპ-თვის შემოსავლების მიხედვით და საგადასახადო სქემებიდან გადასახადების გაცემის საშუალებით (Pratt, 2006, p.128).

ცენტრალურევროპული მოდელი

ბისმარკის (იგივე ცენტრალურევროპული, იგივე კონსერვატიული, იგივე მიღწევებზე ორიენტირებული) მოდელი გერმანელი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის – ოტო ფონ ბისმარკის სახელს ატარებს. ზოგიერთ ავტორთა აზრით, ის კეთილდღეობის მოდელის შექმნის ისტორიას უდებს დასაბამს მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამ მოდელის გამტარებელი ქვეყნები არიან: გერმანია, ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, ჰოლანდია. თუმცა ჰოლანდია უნივერსალური ელემენტებით ხასიათდება და ამიტომ არ წარმოადგენს წმინდად ბისმარკისეულ მოდელს (Sykes et al., 2001).

მოდელის მიხედვით, სოციალური დახმარება მხოლოდ შრომის ბაზარზე მყოფთ უნდა გასწეოდათ. მოდელის მახასიათებლებში, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ბენეფიტების გაცემის პრინციპი – ბენეფიტებს გამომუშავება და დამსახურება სჭირდება. სოციალური დაცვა შესრულების ხარისხზეა დამოკიდებული და სოციალური უსაფ-

რთხოების სისტემის ორგანიზებით ხორციელდება, ხოლო მათთვის, ვინც „დაბალ საშემსრულებლო კულტურას“ ავლენს, საგადასახადო სისტემიდან ორგანიზებული მწირი უსაფრთხოების ქსელის სქემებია ხელმისაწვდომი (Espin-Andersen, 2002). დახმარების ოდენობა დამოკიდებულია ფინანსურ კონტრიბუციასა და შემოსავალზე. ამ მოდელის მიხედვით, ფულადი ბენეფიტის ფუნქცია მამაკაცთა ხელფასის ჩანაცვლებაა – კომპენსირება დასაქმების ბაზარზე გამომუშავების ლეგიტიმურად დაკარგვის შემთხვევაში. ხელფასის ჩამნაცვლებელი ფუნქციის გამო, კეთილდღეობის ეს მოდელი უპირატესობას შემოსავლების უსაფრთხოებასა და სტატუსის დიფერენცირების შენარჩუნებას ანიჭებს.

ბისმარკის მოდელი, მისი შექმნის თავდაპირველ ვერსიაში, ოჯახზე ორიენტირებული მოდელია და დახმარებაც შემომტანზეა მიბმული. ამ მოდელის მიხედვით, მამაკაცი გამოიმუშავებს დასაქმების ბაზარზე და დახმარებების ოდენობაც ამაზეა დამოკიდებული, ხოლო ქალისათვის დახმარება ხელმისაწვდომია ქორწინებისა და ოჯახის შუამავლობით. გამოდის, რომ ბენეფიტებისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობისათვის ორი ბაზარია აქტიური – დასაქმებისა და ქორწინების. ქალი პასიურ საზოგადოებრივ როლშია დანახული, მისი კონტრიბუცია მეტად დაფასებულია ოჯახში, ვიდრე კარიერაში. მოდელის მკვეთრი მახასიათებელია ფოკუსირება არა ინდივიდებზე თავიანთი პერსონალური მახასიათებლებისა და შესაძლებლობების მიხედვით, არამედ მათი ოჯახური და სოციალური სტატუსის მიხედვით. ის უპირატესობას მაღალანაზღაურებად, სრულ განაკვეთზე მომუშავე გარკვეული სოციალური ჯგუფისა და საქმიანობის მქონე მამაკაცსა და ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ან საერთოდ უმუშევარ ოჯახის დედას ანიჭებს.

რადგან ბისმარკისეული მოდელი ტრადიციული ოჯახის ერთეულზეა აგებული, ამ სოციალური კომპონენტის რღვევის შემთხვევაში სისტემა სერიოზულ ხარვეზებს განიცდის, რაც სოციალურ რისკებთან გამკლავების მექანიზმს არყევს. მიმდინარე გლობალური პროცესების ფონზე, მოდელიც სახეცვლილებას განიცდის. გლობალიზაცია ინდივიდუალისტური ორიენტაციის ჩამოყალიბებას ემსახურება, ის მობილურობას გულისხმობს. ადამიანების საჭიროებათა კომპენსირება მათი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით კი არა მარტო სახელმწიფოს ხარჯზე მყოფთა რიცხვს ზრდის, არამედ მათ უფრო ნაკლებ მობილურსა და ადაპტირების უნარიანს ხდის. ამასთან, ქალთა მაღალი დასაქმების მაჩვენებელი საჭიროა არა მხოლოდ მოსახლეობის სიბერესთან ბრძოლისათვის, არამედ ოჯახებში სიღარიბის რისკების შემცირებისათვისაც. ეს გამოუყენებელი სამუშაო პოტენცია კი, მობილიზების შემთხვევაში, მომავალი კეთილდღეობის სისტემის ფინანსირების უზრუნველყოფის საშუალებაა.

ეს მოდელი ჰორიზონტალური რედისტრიბუციის პრინციპზეა აგებული. მისი ადმინისტრირება კი სამმხრივი ერთობით ხორციელდება: დამქირავებლები, დაქირავებულები და სახელმწიფო, ოღონდ ავტონომიის დაცვით. თვითადმინისტრირება ხორციელდება სუბსიდირების პრინციპის დაცვით, იმიჯნება რა დაცვა და ზეგავლენის ქვეშ მოქცევა სახელმწიფოს მხრიდან. პირდაპირი სახელმწიფო ინტერვენცია უკანასკნელი ზომაა და ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქვედა იერარქიის (მაგალითად, თემი, ოჯახი) ბუნებრივი წყობის შენარჩუნებას ან აღდგენას ემსახურება.

ბისმარკისეული მოდელი საშემოსავლო გადასახადებზეა დამოკიდებული, ამიტომ პირდაპირ ექცევა გლობალიზაციის ზეგავლენის ქვეშ. დასაქმების დაღმავალი ტენ-

დენცია, რაც გლობალიზაციის თანმხლები მახასიათებელია, ამცირებს შემოსავალს როგორც საგადასახადო, ისე სოციალური დაზღვევის კონტრიბუციებიდან და, ამავე დროს, ზრდის მოთხოვნას სოციალურ დანახარჯზე. ამასთან, ყველა განვითარებული დემოკრატიის ქვეყანაში მოსახლეობის დაბერების მზარდი ტენდენცია ზომების გატარებას ითხოვს. მაგალითად, გერმანიაში, ანალიტიკოსთა პროგნოზის მიხედვით, 2050 წლისათვის მოსახლეობა განახევრდება, მეორე ნახევარი კი 65 წელს ზევით იქნება. ეს მიწოდების პოლიტიკის გადახედვას მოითხოვს, რომ მცირერიცხოვანმა შრომის ძალამ შეძლოს მრავალრიცხოვანი, სხვაზე დამოკიდებული, პენსიონერების უზრუნველყოფის ტვირთვის ზიდვა (Steinfeld, 2006 in Hajighasemi, 2019).

ამასთან, ამ მოდელის მიხედვით, სოციალური უსაფრთხოება დამყარებულია მაღალკვალიფიციურ მუშახელსა და მარგინალურ მუშახელს შორის ბალანსის შენარჩუნებაზე. გლობალიზაციის თანმხლებ რისკს – რისკს უმუშევრობის ზრდისა, დისბალანსი შემოაქვს სისტემაში, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში მუშაობს ეფექტიანად, თუ მაღალკვალიფიციური მუშახელი რაოდენობრივად აღემატება დაბალკვალიფიციურს. რადგან ბისმარკისეული მოდელი ჰორიზონტალური რედისტრიბუციით ხასიათდება, მას არ აქვს საშუალება ვერტიკალურ უთანასწორობას გაუმკლავდეს. ეს მოდელი საზოგადოებრივი რესურსების გამოყენებაზეა აგებული, რაც მას დროსთან და ცვლილებებთან რეზისტენტულს ხდის. გლობალიზაცია კი მუდმივ ცვლილებას ნიშნავს.

რაც შეეხება მაკროეკონომიკურსა და საგადასახადო პოლიტიკას, ბოლო პერიოდში ამ ქვეყნებში შეიმჩნევა მონეტარული დისციპლინა და ზოგიერთ მათგანს (ჰოლანდია, ავსტრია) ვალების კლების ან მოცემულ დონეზე შეჩერების მაჩვენებლები აქვს. საგადასახადო პოლიტიკის მსგავსება კი ამ ქვეყნებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ბისმარკისეული მოდელის ყველა ქვეყნის საგადასახადო შემოსავალი ძირითადად მაღალ საშემოსავლო გადასახადს გულისხმობს და შედარებით დაბალ კორპორაციულ გადასახადს. ბოლო წლების მაჩვენებლებით, საგრძნობლად გაიზარდა საშემოსავლო გადასახადის წილი ბიუჯეტში. მაგალითად, გერმანიაში კორპორაციული გადასახადი საგრძნობლად შემცირდა, რაც აიხსნება გლობალიზაციის მიმდინარე პროცესებით და კონკურენციის ზრდით. ეს ქვეყნები, გარდა ჰოლანდიისა, სადაც არ ფიქსირდება საშემოსავლო გადასახადის ზრდა, ძალიან დიდ სოციალურ ღირებულებას ადებენ შრომას. დასაქმების მაჩვენებლები ამ ხუთ ქვეყანაში საგრძნობლად იკლებს, გარდა ჰოლანდიისა. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ამ ქვეყნებში კეთილდღეობას ენიჭება უპირატესობა შრომაზე და სოციალური მომსახურების მიწოდება, სხვა მოდელებისაგან განსხვავებით, წარმოებს არა სახელმწიფოს მხრიდან, არამედ კერძო სექტორის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან. ეს ქვეყნები ხასიათდებიან შრომის ფლექსიბილიზაციით, რაც ნიშნავს არასრულ სამუშაო განაკვეთსა და ფიქსირებულვადიან კონტრაქტებს. ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო დღე ძალიან მზარდი ტენდენციაა, განსაკუთრებით ჰოლანდიაში. ხუთივე ქვეყანა, გარდა ჰოლანდიისა, პასიურ ტრანსფერული გადასახადების პოლიტიკას ამჯობინებენ აქტიურ დასაქმების პოლიტიკას, რაც, მაღალი ხელფასების მიღების ხარჯზე, პენსიაზე ადრეულ ასაკში გასვლით მთავრდება. ამ ყველაფრის შედეგი კი მაღალი საშემოსავლო გადასახადებია. თუმცა, მეტწილად, მომსახურეთა ხარჯზე, ვიდრე დამქირავებელთა ხარჯზე. მაგალითად, გერმანიაში, სოციალური უზრუნველყოფის კონტრიბუციები ძირითადად მომსახურეთა ხარჯზე იზრდება და დამქირავებელთა განთავისუფლება ამგვარი ვალდებულებისაგან სამუშაო

ადგილების შექმნის ზრდაზეა გათვლილი. საფრანგეთში 1995 წლიდან დაიწყო ჟუპეს გეგმის განხორციელება, რაც გულისხმობდა უნივერსალიზმის პრინციპზე გადასვლას ჯანმრთელობის სფეროში, უნივერსალური ჯანმრთელობის სქემების წარმოდგენით. ამ გეგმის მეორე ნაწილი იყო სოციალური უზრუნველყოფის სისტემის კონტრიბუციული დაფინანსებიდან გადასახადებით ფინანსირებად სისტემაზე გადასვლა, რამაც ახალი გადასახადების სახეობები დანერგა. ამ სვლებით, მაგალითად, საფრანგეთი ბისმარკისეული მოდელიდან ბევერიჯის მოდელისაკენ გადაიხარა, განსაკუთრებით ჯანმრთელობის, ოჯახისა და სოციალურ პოლიტიკაში (Daly, 2001).

თუ დავაჯამებთ, ურთიერთდამოკიდებულება გლობალიზაციასა და ბისმარკისეულ კეთილდღეობის მოდელს შორის ორ ასპექტში იკვეთება: სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსებასა და მართვაში და დახმარების მაძიებლების მოთხოვნათა სტრუქტურირებაში. იმისათვის, რომ გავაანალიზოთ სოციალური პოლიტიკის ამ და სხვა ასპექტებზე როგორ იმოქმედა გლობალიზაციამ, აუცილებელია მაკროეკონომიკის პოლიტიკისა და დასაქმების ბაზრის მუშაობის ტენდენციების გაანალიზებაც. მაგალითად, ჰოლანდიამ შეძლო თავისი დასაქმების ბაზრის ფლექსიბილიზაცია, შეინარჩუნა რა დასაქმების ბაზარში ჩართვის მოტივაცია და ამით წარმატებით გაუმკლავდა უმუშევრობას; საგრძნობლად შეამცირა დამსაქმებელთა საშემოსავლო გადასახადი და, ამავე დროს, შეძლო სოციალური დანახარჯის შემცირება. გერმანიამ ძალიან გაზარდა დაუსაქმებლობის დანახარჯი, შეამცირა ბენეფიტები და გაანახევრა შემოსავალი კორპორაციული გადასახადებიდან მთლიან საგადასახადო შემოსავლებში. საფრანგეთმა, ჯანმრთელობის მომსახურების უნივერსალიზაციით და დასაქმების ბაზრის პოლიტიკის განვითარებით, დიდი ცვლილებები მოახდინა. მოკლედ, რაც უფრო ინარჩუნებს ქვეყანა ბისმარკისეულ კეთილდღეობის მოდელს, მით უფრო რეზისტენტული რჩება გლობალიზაციისადმი (Daly, 2001).

შესაბამისად, დალი (2001) ასეთ დასკვნებს აკეთებს:

1. იმ თვალსაზრისით, რომ ფულადი ტრანსფერების განმახორციელებელი სოციალური პოლიტიკის მოდელი უფრო მიესადაგება გლობალიზებულ გარემოს, ვიდრე მომსახურებების მიმწოდებელი, ბისმარკის მოდელი სავსებით თავსებადია მზარდი გლობალიზაციის პროცესებთან.
2. თუმცა, რადგან გლობალიზაცია ფლექსიბურობას ღაღადებს და ეწინააღმდეგება გრძელვადიან სახელმწიფო მხარდაჭერაზე აგებულ სოციალური პოლიტიკის მოდელს, ბისმარკის მოდელი შეუთავსებელია გლობალიზაციასთან. გლობალიზებული სოციალური დაცვის სისტემა გულისხმობს მწირ სოციალურ დახმარებებს და მოუწოდებს ადამიანებს ინდივიდუალური გზების ძიებისაკენ სისტემის გარეთ და არა სისტემისაგან.
3. ბისმარკის მოდელი ასევე ერთი მახასიათებლითაა გლობალიზაციასთან შეუთავსებელი: ის ორიენტირებულია ოჯახების და არა ინდივიდების სოციალურ მოთხოვნებზე და აღიარებს სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ რისკებთან გამკლავების პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ ინდივიდები უკეთ გაუძღვნენ თავიანთ ოჯახურ პასუხისმგებლობებს. გლობალიზებული სოციალური პოლიტიკა კი ადამიანებს განიხილავს, როგორც ინდივიდებს, ხოლო მათ ოჯახურ პასუხისმგებლობებს, როგორც მათ პირად პრობლემებს.

4. დაბოლოს, ბისმარკის მოდელი ადამიანებს სთავაზობს დახმარებას სოციალურ რისკებთან გამკლავებისთვის საკმაოდ დიფერენცირებული მიდგომით. გლობალიზებული სოციალური პოლიტიკა კი ზოგად პროგრამებს მოიცავს, რაც დაეხმარება ადამიანს მხოლოდ მანამდე, სანამ ისინი ვერ შეიმუშავებენ თავიანთი ცხოვრების ალტერნატიულ წყაროებს.

სამხრეთევროპული მოდელი

სუბსიდირებული (იგივე სამხრეთევროპული, იგივე კათოლიკური) მოდელი სოციალური პრობლემების გადაჭრის ოჯახზე ორიენტირებული მოდელია. სუბსიდირებული მოდელი სამხრეთევროპული ქვეყნების კულტურულსა და რელიგიურ მახასიათებლებზე გაღვივდა. მოდელზე რელიგიის გავლენაზე არაერთი ავტორი საუბრობს. ისინი ხაზს უსვამენ კათოლიციზმში დამკვიდრებულ ხედვას, რომ მოყვასის დახმარება ხსნის გზაა. გამოდის, რომ ღარიბთა, დამოკიდებულ პირთა არსებობა შეძლებულთა გადარჩენის აუცილებელი პირობაა (Raunio, 1999, 2002; Arffman, 2002,2008).

ამ მოდელის ფუნდამენტს ამ საზოგადოებაში არსებული ოჯახური და გენდერული ტრადიციები განაპირობებენ. ამ მოდელისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიდან აღსანიშნავია კეთილდღეობის მომსახურებების უნივერსალიზაცია (ჯანდაცვა, განათლება), რაც სოციალურ აქტორთა (პროფესიული კავშირების, მემარცხენე პარტიების და მოსახლეობის, ზოგადად) დაკვეთაა. შემოსავლების შენარჩუნების პოლიტიკა (შშმპთა და პენსიონერთა, ავადმყოფობისა და დაუსაქმებლობის ბენეფიტები) ოკუპაციური ხასიათისაა და ორიენტირებულია დასაქმებულებსა და მათზე დამოკიდებულ პირებზე. კეთილდღეობის მომსახურებების მიწოდება საჯარო სექტორის ადმინისტრირებით ხორციელდება სახელმწიფო შემოსავლებიდან. თუმცა სხვადასხვა ქვეყანა სოციალური პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში რედისტრიბუციის განსხვავებული პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ამ მოდელისათვის ასევე ხანდაზმულთა კეთილდღეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამუშაო ასაკის მოსახლეობისა. პენსიებზე ამ ქვეყნებში სოციალური დანახარჯის უდიდესი წილი მოდის, გაცილებით მეტი, ვიდრე უმუშევრობის ბენეფიტებზე, საოჯახო დახმარებებზე, საგადასახადო შეღავათებზე, მინიმუმ, ხელფასზე. ამ სისტემის სახელმწიფო სოციალური და ზრუნვის მომსახურებები ყველაზე დაბალ განვითარებულ დონეზეა, სხვა მოდელებთან შედარებით, როგორც დანახარჯის, ისე ხელმისაწვდომი მომსახურებების თვალსაზრისით.

ამ მოდელის განმასხვავებელი ნიშანი სამხრეთევროპული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი „ფემილიალიზმია“, რაც იმას გულისხმობს, რომ ოჯახი უფრო მეტად, ვიდრე სახელმწიფო ან ბაზარი, ეწევა კეთილდღეობის წარმოებას. გაფართოებული ნათესაური ქსელი ინაწილებს რესურსებს, ზრუნვისა და ეკონომიკურ პასუხისმგებლობას. ოჯახი კისრულობს სესხისა და დასაქმების ვალდებულებას თავისი წევრებისათვის ურთიერთობების კაპიტალის გამოყენებით.

ისმის კითხვა: „ფემილიალიზმი“ სამხრეთევროპული ქვეყნების კეთილდღეობის სისტემის პოლიტიკური არჩევანია თუ ის ავსებს კეთილდღეობის სისტემაში არსებულ დეფიციტს? თუ უკანასკნელია მიზეზი, მაშინ გამოდის, რომ „ფემილიალიზმი“ ამ მოდელისათვის გარემოებით გამოწვეული აუცილებლობაა, სანამ იგი არ იზრუნებს არსებული დეფიციტის ამოვსებაზე. ზოგიერთი მეცნიერი „ფემილიალიზმს“ კულტურულ

ტრადიციებსა და კათოლიციზმს უკავშირებს; ზოგიერთი კი ოჯახების თავდადებას, შეუნარჩუნონ თავიანთ შვილებს ცხოვრების სტანდარტი უმუშევრობის დროს, ან ხანდაზმულ დიასახლისთა მოვალეობის გრძნობას მოხუცების ან შშმ ოჯახის წევრებისადმი. გაფართოებული ოჯახის ქსელი ინაწილებს ეკონომიკურ და ზრუნვის პასუხისმგებლობას ურთიერთობითი კაპიტალის გამოყენებით. მაღალი რენტისა და უმუშევრობის პირისპირ მყოფი ახალგაზრდები მშობლების სახლში იმაზე მეტხანს ცხოვრობენ, ვიდრე მათი თანატოლები ევროპის სხვა ქვეყნებიდან (Guillen, Alvarez, 2002).

ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები თავიანთი მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალოდ 2,6 პროცენტს ხარჯავენ საოჯახო შეღავათებზე (ქვეყნებს შორის დიდი სხვაობაა), მაგრამ სხვადასხვა სახელმწიფოში შეღავათების დონე, ტიპი და გამოყენებაც მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ირლანდია, ლუქსემბურგი და დიდი ბრიტანეთი სახელმწიფო საოჯახო შეღავათებზე მთლიანი შიდა პროდუქტის 4 პროცენტს ხარჯავენ, მაშინ, როცა სამხრეთ ევროპაში (საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში) ეს მაჩვენებელი დაახლოებით 1,5 პროცენტია (Trager, 2014). ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვანაირია ნაღდი ფულით, მომსახურებით თუ საგადასახადო შეღავათებით გაწეული დანახარჯების თანაფარდობა. ქვეყნების უმრავლესობა ნაღდი ფულის სახით მეტ დახმარებას გასცემს, ვიდრე მომსახურებით ან საგადასახადო შეღავათებით. გამონაკლისია რამდენიმე ქვეყანა (დანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ნორვეგია, შვედეთი), სადაც მომსახურებაზე იმდენივე ან უფრო მეტი იხარჯება, რაც ნაღდი ფულის სახით გაიცემა.

ზოგიერთი თეორეტიკოსის აზრით, სუბსიდირებული მოდელი არ მოიაზრება კეთილდღეობის ცალკე მდგომ მოდელად, რადგან არ გააჩნია სხვა მოდელებისაგან მკვეთრად განმასხვავებელი მახასიათებლები. ის მცირედ განსხვავდება კეთილდღეობის ბისმარკის (კონსერვატიული) მოდელისაგან. მათი აზრით, ეს მოდელი ნაკლებ განვითარებულ კონსერვატიულ მოდელს წააგავს. ზოგიერთნი კი მას კონსერვატიულისა და სოციალ-დემოკრატიული (სკანდინავიური) მოდელების ნაზავად მიიჩნევენ. ფერერასი (1996, 1997) მოდელს შერეულს უწოდებს, რადგან ის უნივერსალურია ჯანმრთელობის პოლიტიკის, ხოლო ოკუპაციური სოციალური უზრუნველყოფის მხრივ. მაფელსი და ფნუარგი მიიჩნევენ (Muffels, Fnuarge, 2002), რომ არ უნდა იყოს მართებული იტალიის ერთ ქვეყნად განხილვა. მათი აზრით, სამხრეთი იტალია აშკარად არის „სამხრეთული“ ჯგუფის წარმომადგენელი, მაგრამ ჩრდილოეთ იტალიას უფრო ახასიათებს კორპორაციული მოდელის თავისებურებები და ის უფრო ჰგავს საფრანგეთს. სხვანი კი მას ყველაზე პრიმიტიულ მოდელად და კეთილდღეობის ინსტიტუციონალიზაციის მცდელობად მიიჩნევენ, რომელიც სოციალური დახმარებებით შემოიფარგლება (Esping-Andersen, 2002). ესპინგ-ანდერსენი (1990), კასტელსი (1994), კერსბერგერი (1995) იტალიურ და ესპანურ მოდელს საერთოდ ბისმარკის მოდელის ტრადიციაზე აღმოცენებულ მოდელებად მიიჩნევენ.

გლობალიზაციამ უფრო მეტი ზეგავლენა მოდელის მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე მოახდინა, ვიდრე სოციალური დაცვის პოლიტიკაზე, ამასთან, დადებითი კვალი დაატყო მას: მაატრიხის კრიტერიუმების დაკმაყოფილებით როგორც ინფლაციის, ისე დეფიციტის კონტროლით, რაც ამ მოდელისათვის უფრო დიდი გამოწვევა აღმოჩნდა, ვიდრე სხვა ევროპული მოდელებისათვის; სოციალურმა პოლიტიკამ ადრე გარიყული ჯგუფები მეტად მოიცვა (Guillen, Alvarez, 2001).

სოციალურ-დემოკრატიული მოდელი

სკანდინავიური (იგივე ნორდიკული, იგივე სოციალურ-დემოკრატიული, იგივე ინსტიტუციური) მოდელი, მის თავდაპირველ ვერსიაში, კეთილდღეობის ყველაზე მომზიდველი მოდელია ბევრისთვის. ნორდიკული ქვეყნები, გარკვეული განსხვავებების მიუხედავად, მსგავსნი არიან კეთილდღეობის ღირებულებების გაზიარების თვალსაზრისით. ისინი „ერთა ოჯახს“ ქმნიან; ერთა ოჯახები კი განისაზღვრება საზიარო გეოგრაფიული, ენობრივი, კულტურული და/ან ისტორიული მსაზღვრელებით, რასაც თვისებრივად იდენტური საჯარო პოლიტიკის შედეგებამდე მიჰყავს ქვეყნები (Kettunen, Petersen, 2011:92). სხვადასხვაგან შეღავათების დონე სხვადასხვანაირი იყო და ესა თუ ის ქვეყანა თავისებურად აგვარებდა ერთსა და იმავე პრობლემას. მიუხედავად განსხვავებებისა, მთავარი გადაწყვეტილებები და პოლიტიკური არგუმენტები, რომლებიც სხვადასხვა ეროვნულ მოდელს ასაზრდოებდნენ, ერთნაირი იყო. თუმცა მისი ამჟამინდელი მდგომარეობა ბადებს კითხვას: ინარჩუნებს თუ არა ის მის ძირითად მახასიათებლებს?

მისი ძირითადი მახასიათებლები კი გულისხმობს საზოგადოების ყველა წევრის დახმარებას, განურჩევლად მათი დასაქმებისა და სოციალური სტატუსისა. უნივერსალური სოციალური უფლებები, რომელიც ყველას საჭიროებების დაკმაყოფილებას გულისხმობს, საჯარო სექტორის პასუხისმგებლობაა, როგორც კეთილდღეობის ბენეფიტებისა და მომსახურებების მთავარი მიმწოდებლის.

სკანდინავიური მოდელის მიხედვით, ბენეფიტები ეძლევა ყველა ინდივიდს და არა მხოლოდ ოჯახს. მაგალითად, თუ ქალი გაშორებულია მეუღლესთან, მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ბენეფიტი და/ან მომსახურება. მას ახასიათებს თანასწორობა არა მხოლოდ შემოსავლების დისტრიბუციაში, არამედ გენდერულიც. ერთადერთი გამონაკლისია ავადმყოფობისა და დაუსაქმებლობის ბენეფიტი. ეს დამოკიდებულია უკანასკნელ დამქირავებელზე და/ან პროფესიული კავშირის წევრობაზე. ბენეფიტები გაიცემა სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებული გადასახადებისაგან. გარდა იმისა, რომ ნორდიკული მოდელი ყველაზე გენდერულად თანასწორი მოდელია, ის მაღალი დეფემილიალიზაციის მაჩვენებლითაც ხასიათდება, რაც საშუალებას აძლევს ოჯახის არმქონე ადამიანებს დამოუკიდებელი და სრულფასოვანი ცხოვრება ჰქონდეთ (Greve, 2015).

რადგანაც სკანდინავიური მოდელი ყველაზე მსუყე ბენეფიტებით ხასიათდება, გადასახადებიც ძალიან მაღალია. თუმცა მაღალი გადასახადები არ იწვევს სახალხო მღელვარებას, რადგან მოსახლეობა თავს სოციალურად დაცულად გრძნობს, განურჩევლად სოციალური კლასისა და ეკონომიკური მდგომარეობისა. კეთილდღეობის მიწოდებაზე სახელმწიფოა უმეტესწილად პასუხისმგებელი, მხოლოდ მცირე ნაწილშია ჩართული ოჯახი, ეკლესია ან არასამთავრობო სექტორი (გათსისი, 2002).

მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა მოდელზეც იმოქმედა, ბუნებრივია. თუმცა მოდელი მაინც ინარჩუნებს კეთილდღეობის თვალსაზრისით მიმზიდველ კომპონენტებს. მისი განსაკუთრებული ხიბლია ბავშვთა და ქალთათვის მომსახურებების მიწოდების მაღალი დონე, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

კეთილდღეობის სახელმწიფო ყოველთვის ეკონომიკას და პოლიტიკას უკავშირდება. კეთილდღეობის სახელმწიფო ვერ იარსებებს ეკონომიკური რესურსების გარეშე.

ნორდიკულ მოდელში მოხერხდა ერთმანეთთან შერწყმულიყო მდგრადი ეკონომიკური ზრდა და მაღალი გადასახადები. დამქირავებლებსაც და დაქირავებულ მუშაკებსაც სურდათ გადაეხადათ საყოველთაო სახელმწიფო მომსახურებების საფასური. ახლა სიტუაცია შეიცვალა. ნეოლიბერალური ეკონომიკური იდეოლოგია დაბალ გადასახადებს და მეტ მოგებას გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ კეთილდღეობის სახელმწიფო ძალიან ძვირია. დაქირავებული მუშაკები კვლავაც ძალიან უჭერენ მხარს მაღალ გადასახადებს. ხალხი ხედავს, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოსთვის ღირს მაღალი გადასახადების გადახდა. სოლიდარობის იდეა ისევ ცოცხალია, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო კლასი იცვლის ქცევის მანერას.

მელინი (2014) ცდილობს გააანალიზოს, თუ რამდენად შეინარჩუნა მოდელმა მისი მთავარი პრინციპი – თანასწორობის პრინციპი. კეთილდღეობის სახელმწიფოს მიზანი იყო უმაღლესი სტანდარტების თანასწორობის ხელშეწყობა და არა მინიმალური საჭიროებების სტანდარტების თანასწორობა (როგორც სხვა ქვეყნებში) (Esping-Andersen, 1990:168). ავტორი აღნიშნავს, რომ კეთილდღეობის ნორდიკულ სახელმწიფოებს ჰქონდათ უფრო ძლიერი დეკომოდიფიკაციის ეფექტი, ვიდრე რომელიმე სხვას (Erikson et al., 1987). მოდელმა ასევე წარმატებული ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური ნაყოფიერება გვიჩვენა. შედარებითმა ანალიზმა ნორდიკული ქვეყნების ზოგიერთი განსაკუთრებული თვისება გამოავლინა. ისინი განსხვავდებიან ქვეყნების უმრავლესობისგან სამი თვალსაზრისით მაინც:

1. ისინი საკუთარ მოქალაქეებს განათლების მიღების ძალიან თანასწორ შესაძლებლობებს სთავაზობენ. ეს ნიშნავს, რომ მშრომელები უფრო მომზადებული არიან რისკთან, გადაადგილებებთან და ცვლილებებთან გასამკლავებლად.
2. სახელმწიფო და მოქალაქე აქტიურად იზიარებენ რისკს. სახელმწიფო მხარს უჭერს მოქალაქეს, რომ ის ეკონომიკურად აქტიური და მობილური იყოს.
3. სახელმწიფო ქალსაც და მამაკაცსაც აწოდებს სოციალურ მომსახურებას ისე, რომ იცხოვრონ რუტინაზე, ადგილმდებარეობაზე და პროფესიაზე მიჯაჭვულობის გარეშე (Hull Kristensen, 2009 pp. 36–37).

სკანდინავიური მოდელის კიდევ ერთი მახასიათებელია მოსახლეობისათვის უპირატესად სხვადასხვა მომსახურების მიწოდება, ნაცვლად ფულადი დახმარებებისა. სოციალურ სფეროში ბენეფიტების ორგანიზებაცა და ფინანსირებაც (იქნება ეს ტრანსფერები თუ მომსახურება) ერთი და იმავე უნიფიცირებული სისტემიდან წარმოებს.

კეთილდღეობის სახელმწიფოს გაფართოების შემდგომი ეტაპი მართვის ახალ მოდელს ითხოვდა. ამას კი სჭირდებოდა არა მხოლოდ სოციალური მომსახურების ხარჯების შემცირება, არამედ მართვის ახალი მექანიზმები, სადაც ხარჯვაზე კონტროლია მეტად მნიშვნელოვანი. ამ ახალ გზაზე დადგომის პირველი ნიშანი საგადასახადო რეფორმები იყო, რომლებიც 1990-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა. საშემოსავლო გადასახადები შემსუბუქდა და განსაკუთრებით გაიზარდა სხვადასხვა სახის საყოველთაო-სამომხმარებლო გადასახადი (Julkunen, 2001).

სკანდინავიური მოდელის უპირველეს ამოცანას მეორე მხოფლიო ომის შემდეგ მოქალაქეთა დასაქმება წარმოადგენდა. ამასთან, სრული დასაქმება არა მხოლოდ, როგორც მიზანი თავისთავად, არამედ, როგორც კეთილდღეობის პოლიტიკის დაფინანსების გარანტორი. განვითარებული სახელმწიფო კეთილდღეობა მცირე ადგილს

ტოვებდა მომსახურებების კერძო ბაზარზე განვითარებისათვის. თუმცა, მიუხედავად სკანდინავიის ქვეყნებში დასაქმების ბაზარზე დაფიქსირებული მაღალი მაჩვენებლისა, რაც ალბათ ნაწილობრივ ქალთა და მამაკაცთა თითქმის თანაბარი აქტიურობით აიხსნება დასაქმების ბაზარზე, ეს გაჭირდა 70-იან წლებიდან დანიაშიც, ნორვეგიაშიც და შვედეთშიც. 90-იანი წლებიდან კი ნეოლიბერალური შეხედულებების აღზევებამ სიტუაცია შეცვალა, ნორდიკული მოდელისადმი კრიტიციზმი გაზარდა, განსაკუთრებით მაღალი გადასახადებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობაზე მონოპოლიის გამო. თუმცა ნეოლიბერალური დოქტრინა მაინც ვერ გახდა დომინანტი ნორდიკულ ქვეყნებში. გლობალურმა პროცესებმა გაართულა უნივერსალური, მოქალაქეობასა და სოციალურ უფლებებზე დაფუძნებული ორიენტაციის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ ნორდიკული ქვეყნები უფრო მდიდრები ხდებიან, დისტრიბუცია აღარაა თანაბარი. აღარც სახელმწიფო სექტორი აღარაა კეთილდღეობის მომსახურებების ერთადერთი მიმწოდებელი. ნელ-ნელა მცირდება ბენეფიტების დონე, იზრდება ბიუროკრატია და კონტროლი კლიენტებზე, პრევენციული მიდგომა რეაქციულით შეიცვალა.

არადა, სწორედ პრევენციული მიდგომაა უთანასწორობის არიდების გზა. უთანასწორობა მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას. ამერიკელი ეკონომისტ ჯოზეფ სტიგლიცის (Stiglitz, 2002) აზრით, საზოგადოებას ძვირად უჯდება უთანასწორობა. ის დაღს ასვამს ეკონომიკასაც, რადგან დაბალი პროდუქტიულობისა და ქმედითობის, დაბალი ზრდისა და არასტაბილურობის პრერეკვიზიტია. მისი აზრით, „უთანასწორობის ცოტათი მაინც შემცირება იმდენ სიკეთეს მოიტანს, რომ აუცილებლად გადააჭარბებს ამ საქმისთვის გაღებულ ხარჯებს“ (იქვე 117).

ამ მოდელის სხვა მოდელებისაგან ყველაზე მეტად განმასხვავებელი მახასიათებელი ის არის, რომ ის იმართება კონტროლირებადი კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც შემოსავლების უთანასწორობა, კეთილდღეობისა და ძალაუფლების დისტრიბუცია იზღუდება. ეს კი სკანდინავიის ქვეყნებში არსებული საპარლამენტო დემოკრატიის შედეგია, სადაც, პოლიტიკური სისტემის გარდა, წარმოდგენილია დამქირავებელიცა და დაქირავებულიც.

მოდელი სოციალურ-დემოკრატიულ მოდელად იწოდება ხშირად, რაც არცთუ ისე მართებულია, რადგან იგი არ წარმოადგენს სოციალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის სრულ განსახიერებას. ის უფრო ეროვნული პოლიტიკური შეთანხმებაა სოციალური სისტემის ორგანიზებისა და დაფინასების თაობაზე. განურჩევლად იმისა, თუ რომელი პარტიაა ქვეყნის სათავეში, ამ საკითხის ირგვლივ საერთო ფასეულობები და პრინციპები დომინირებდნენ განსხვავებულ შეხედულებებზე. ამიტომაც, საერთო ინტერესები არ დაზარალებულა და შეთანხმებაც უფრო ადვილი მისაღწევი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყნებში.

მიუხედავად ამ კომპრომისებისა შეხედულებებსა და პრინციპებს შორის, გლობალიზაციის ეპოქამ მაინც დააყენა მოდელი იმის გარკვევის აუცილებლობის წინაშე, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ კომპრომისების შენარჩუნება 21-ე საუკუნეში იმ სახით, რა სახითაც ის წინა საუკუნეში ფუნქციონირებდა. ამჟამინდელი ეკონომიკური სიტუაციისადმი ამ მოდელის ადაპტაციის აუცილებლობის საკითხი წამოიჭრა. სკანდინავიის ყველა ქვეყანაში სუპლიმენტარული კეთილდღეობის სისტემა განვითარდა ბოლო წლებში, რომელიც ბენეფიტების გაცემის დიფერენცირებით ხასიათდება. ამ სისტემის მიხედვით, უფრო მსუყე ბენეფიტები ეძლევათ შრომის ბაზარზე დასაქმებულთ, რაც

სკანდინავიური მოდელის თანასწორობის პრინციპისაგან აშკარა გამიჯვნაა. ამ ცვლილებამ გააუმჯობესა დასაქმებულთა დეკრეტული, ავადმყოფობისა და საპენსიო ბენეფიტები, დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის სამუშაო ბაზრის პირობების რეგულირების თაობაზე კოლექტიური შეთანხმების შედეგად.

კეთილდღეობის სახელმწიფოებს მოქალაქეებისგან დიდი მხარდაჭერა აქვთ. საზოგადოებრივი აზრის არაერთმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა თანახმაა, ჯანდაცვისა და განათლების სახელმწიფო სისტემის შესანარჩუნებლად, მეტი გადასახადი გადაიხადოს. ფინეთში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვისას (Eva, 2013 p.61), გამოკითხულთა 80 პროცენტმა თქვა, რომ, მართალია, კარგი სოციალური უზრუნველყოფის და სხვა სახელმწიფო მომსახურების შენარჩუნება ძვირი ჯდება, მაგრამ ფინური კეთილდღეობის სახელმწიფო ამად ღირს. გამოკითხულთა მხოლოდ 10 პროცენტი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

ჯულიანო ბონოლიმ (Bonoli, 2000) და მისმა კოლეგებმა მოდელის ცვლილების განმაპირობებელი ოთხი ფაქტორი გამოჰყვეს:

1. გლობალიზაცია. ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში, კეთილდღეობის ის სახელმწიფოები აწესებენ ნორმას, რომლებიც ყველაზე ნაკლებს ხარჯავენ ამ მიმართულებით და სხვები, რომლებიც უფრო მეტს ხარჯავენ, უნდა მოერგონ ამ ნორმას.
2. ეროვნული ცნობიერება უფრო ვიწროა, ვიდრე ადრე. საშუალო კლასი იზრდება. მას მეტი ეკონომიკური რესურსი აქვს და თავისით შეუძლია თავის გატანა. მას აღარ აინტერესებს სოლიდარობა და საერთო პასუხისმგებლობა.
3. ეკონომიკის ნეოლიბერალური პოლიტიკა ისწრაფვის შეამციროს სახელმწიფოს როლი. ბაზრის მიერ მართული სოციალური მომსახურება უფრო ეფექტიანად ითვლება, ვიდრე სახელმწიფო მომსახურება.
4. არსებული ეკონომიკური რესურსებით სულ უფრო ძნელად ხერხდება მზარდი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება.

მოსაზრებები კეთილდღეობის სისტემაზე გლობალიზაციის ზეგავლენაზე

გლობალიზაციის ზემოქმედების შესახებ კეთილდღეობის სისტემაზე მოსაზრებები არაერთგვაროვანია. ერთთა აზრით, გლობალიზაცია პრობლემებს უქმნის კეთილდღეობას, რადგანაც გლობალიზაციის თანმხლები პროცესია საბაზრო ეკონომიკის ზრდა, რომელსაც სავაჭრო ექსპანსია მოსდევს (რაც, თავის მხრივ, დიდ ზეგავლენას ახდენს კეთილდღეობის სისტემაზე), რომელიც, თავის მხრივ, უმუშევრობასა და უთანასწორობის ზრდას იწვევს. სოციალური სტაბილურობა კი მხოლოდ მასობრივი უმუშევრობის არიდებითაა შესაძლებელი. ვაჭრობა და ტექნოლოგიური ცვლილებები იწვევს დაბალპროფესიულ მუშახელზე მოთხოვნის შემცირებას, რაც, თავის მხრივ, ასუსტებს სოციალური დაცვის იდეოლოგიის პოლიტიკას. ამავე დროს, თავისუფალ სავაჭრო სივრცეში შეუძლებელია დაცული იყოს ადამიანთა სოციალური, ჯანმრთელობისა და დასაქმების უფლებები, გონივრული ქვეყანათშორისი და ქვეყნის შიდა სოციალური რედისტრიბუციის პოლიტიკის შემუშავების გარეშე. მეორენი კი თვლიან, რომ კეთილდღეობის სისტემის სახეცვლილების მიზეზი გლობალიზაცია კი არ არის, არამედ ისეთი საშინაო ფაქტორები, როგორებიცაა: დემოგრაფიული, ტექნოლოგიური, ოჯახური სტრუქტუ-

რების ცვლა და ახალი სოციალური რისკები. დემოგრაფიული ცვლილებები კი, სულ მცირე, ორ პრობლემას წარმოშობს: ხანდაზმულთა პროცენტულ ზრდას მთელს მოსახლეობაში, რაც სამუშაო კაპიტალის სიმცირეს იწვევს, რაც, თავის მხრივ, ამცირებს კეთილღეობისათვის ფისკალურ დანახარჯს (Kosonen, 2001).

კეთილდღეობის მოდელების ტიპოლოგია

კეთილდღეობის სისტემების დაჯგუფებას სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარად ახდენს. ავტორები ამ ჯგუფებს სხვადასხვა სახელწოდებას ანიჭებდნენ და ქვეყნების გადანაწილებაც სხვადასხვანაირია.

მაფენსისა და საპირის მიხედვით, ევროკავშირში კეთილდღეობის სისტემები ოთხ ჯგუფად იყოფა: ანგლოსაქსური, კონტინენტური, სკანდინავიური და სამხრეთული (Muffels et al., 2002; Sapir, 2006). არსებობს კეთილდღეობის სქემების კატეგორიებად განაწილების ბევრი გზა, მაგრამ ყველაზე მარტივი და გავრცელებული გახლავთ ე.წ. კეთილდღეობის სამკუთხედი. ამ სამკუთხედის მთავარი ელემენტი არის იმის დადგენა, თუ რა არის კეთილდღეობის მთავარი ამოცანა. მთავარი გადაწყვეტილება იმას უკავშირდება, სისტემა ადამიანს დასაქმებაში დაეხმაროს თუ, უბრალოდ (მიუხედავად იმისა, იპოვის თუ არა სამუშაოს), უნდა უზრუნველყოს იგი თავის გასატანი შემოსავლით. რა თქმა უნდა, რეალობაში ვერცერთი რეჟიმი ვერ მიუდგება საქმეს ასე რადიკალურად. ის სახელმწიფოები, რომლებიც უფრო შემწეობით მხარდაჭერაზე არიან ფოკუსირებული, მოწადინებული არიან ხალხი დასაქმებული იყოს, რადგან სისტემის სიცოცხლისუნარიანობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ხალხმა გამოიმუშაოს და დახარჯოს ფული. იმ სისტემებმაც, რომლებიც დასაქმებაში ხელშეწყობისკენ იხრებიან, იმ ადამიანებსაც უნდა მიხედონ, ვისაც მუშაობა არ შეუძლია. ამიტომ ამ ორი სისტემის ურთიერთშეუთავსებლობაზე ლაპარაკი გამორიცხულია. აგრეთვე მნიშვნელოვანია ვაღიაროთ, რომ ეს კლასიფიკაცია ასახავს რეჟიმის ბალანსს და არ არის უბრალო დაანგარიშება იმისა, თუ რამდენი ძალისხმევა იხარჯება თითოეული მიმართულებით, ან როგორია შედეგების მასშტაბი (სახელმწიფო სექტორის ინტერვენციის წყალობით თუ მის გარეშე). მაგალითად, ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობა, გადასახადების და დანახარჯების თვალსაზრისით, ბრიტანეთში უფრო დიდია, ვიდრე გერმანიაში. არტსმა და გელისენმა (Arts, Gelissen, 2002, p.137), ლიტერატურის გულდასმით შესწავლის შედეგად, დაასკვნეს, რომ „ნამდვილი კეთილდღეობის სახელმწიფო ნაკლებად მოსალოდნელია იყოს მხოლოდ ერთი რომელიმე ტიპის; ჩვეულებრივ, ის არის ჰიბრიდული მოდელი“. ეს, შესწავლისა და გაუმჯობესების მიზნით, ფასს არ უკარგავს რეჟიმების კლასიფიკაციას. მართლაც, როგორც ესპინგ-ანდერსენი (1997) ამტკიცებს, კეთილდღეობის ამ „იდეალიზებული“ ტიპების შექმნა ძალიან გვეხმარება იმის გაგებაში, რომ რეალური სახელმწიფოები უფრო ჰიბრიდულები არიან.

ამ სამკუთხედში დასახული მესამე პრინციპული ამოცანა უფრო ზოგადია. ის გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ მუშაობდე ან გქონდეს იმდენი შემოსავალი, რომ სიღარიბეში არ იცხოვრო, არამედ საშუალებას, იყო საზოგადოების ნაწილი და ჩართული იყო მის ცხოვრებაში. ეს მიდგომა უფრო მეტად ფოკუსირებულია „საშუალებებზე“, ადამიანის უნარზე, სრულად შეასრულოს თავისი როლი საზოგადოებაში. ამგვარად, კეთილდღეობა გაიაზრება სოციალური ინკლუზიის ბევრად უფრო ფართო თვალსაზ-

რისით, რომელიც სცილდება სათანადო შემოსავლის და დასაქმების გაგებას. ამგვარი ინკლუზია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმცირესობათა ჯგუფებისთვის და იმიგრანტებისთვის.

პოპულარულია ესპინგ-ანდერსენის კლასიფიკაციის მოდიფიცირებული ვერსია. ის ევროპაში გამოვლენილი ოთხი ძირითადი რეჟიმის ტრადიციული დახასიათებაა. ესპინგ-ანდერსენის (1990) სამრეჟიმიანი კლასიფიკაცია განახლდა, როდესაც მას ლიბფრიდმა (1992), ფერერამ (1996) და ბონოლიმ (1997) მეოთხე რეჟიმი დაამატეს. ამ მოდელის მიხედვით, ჩრდილოკონტინენტური რეჟიმები კორპორატისტულ/კონტინენტურ ჯგუფში არიან. ამ ჯგუფის ტიპობრივი წარმომადგენელია გერმანია. ნორდიკული ქვეყნები ნორდიკულ/სოციალ-დემოკრატიულ რეჟიმს მიეკუთვნებიან. სამხრეთ ევროპის ქვეყნები სამხრეთულ/ხმელთაშუაზღვისეულ რეჟიმს განეკუთნებიან, ხოლო დიდი ბრიტანეთი და ირლანდია – ანგლოსაქსურს (არ იგულისხმება ეთნიკური წარმომავლობა).

თუ მკაფიო დახასიათებას მივმართავთ, კორპორატისტული/კონტინენტური რეჟიმები (თავიანთი სადაზღვევო ბაზიდან გამომდინარე) ფოკუსირებულია სირთულეების შემთხვევაში შემოსავლის ჩანაცვლებაზე მაშინ, როცა ნორდიკული/სოციალ-დემოკრატიული რეჟიმები დასაქმებაზე ამახვილებენ ყურადღებას. ამიტომ ეს რეჟიმები უფრო მეტად ცდილობენ ადამიანი სამსახურში დააბრუნონ. აქ გადამწყვეტი ასპექტია ბავშვზე ზრუნვა. ნორდიკული რეჟიმი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ორივე მშობელს ჰქონდეს საშუალება, რაც შეიძლება დიდხანს იმუშაოს სრული დატვირთვით. ამიტომ ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ არსებობდეს ბავშვზე ზრუნვის სისტემა და საბავშვო ბაღები და არა იმისკენ, რომ ოჯახს მივცეთ შემწეობა, რათა ერთ ან ორივე მშობელს (როგორც ჰოლანდიაში) ჰქონდეს საშუალება, დარჩეს სახლში და მიხედოს ბავშვებს. სოციალ-დემოკრატიული რეჟიმები, კორპორატისტულთან შედარებით, მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ პიროვნების/ოჯახის ჩართულობას საზოგადოებაში. ანგლოსაქსური და სამხრეთული რეჟიმები მეტად ამახვილებენ ყურადღებას რიგ ამოცანებზე, თუმცა ანგლოსაქსური უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს შემოსავლის შენარჩუნებას.

კეთილდღეობის სისტემის კლასიფირების ახალი და საინტერესო მიდგომა წარმოადგინეს გაფმა და ვუდმა (Gough et al., 2004; Wood&Gough, 2004), სისტემათა ინსტიტუციონალიზების ხარისხზე დაყრდნობთ. მათ შემოგვთავაზეს რეალურ- და იდეალურ-ტიპური კეთილდღეობის სისტემების კლასიფიკაცია, რაც საშუალებას იძლევა შედარება განხორციელდეს უფრო მკაფიო მეთოდოლოგიური მიდგომით სხვადასხვა სისტემასა და სხვადასხვა დონეზე (უფრო მასშტაბურ – გლობალურ დონეზე ან მხოლოდ რეგიონულ დონეზე).

რეალურ-ტიპური კლასიფიკაციის მიზანია კეთილდღეობის ინსტიტუტების მსგავსებების და განსხვავებების შესწავლა ქვეყნებს შორის. მკვლევარი ორიენტირებულია დეტალებზე, ინსტიტუციურ განსხვავებებზე და არა მსგავსებებზე, მიკრო კროსნაციონალურ დონეზე. თეორიულ საფუძვლად კვლევას სისტემების მახასიათებლების შედარების მკვლევრის მიერ შერჩეული მეთოდი უდევს. იდეალურ-ტიპური კლასიფიკაციის მიზანი კი პირიქით, თითოეული რეჟიმის კლასტერული შესწავლაა ფართო კროსნაციონალურ დონეზე შედარებისათვის და მცირე ან ზოგიერთი ძირითადი განსხვავებები იგნორირებულია. თეორიულ საფუძვლად კვლევას მაქს ვებერის „იდეალური ტიპების“ თეორია უდევს.

დგება დრო დავსვათ კითხვა – როგორ განვსაზღვროთ „კეთილდღეობის სისტემა“? შევთანხმდეთ, რომ ის არის სოციოეკონომიკური სისტემა, რომელიც ემსახურება კეთილდღეობის პრინციპებს სოციალური ცვლილებების განსახორციელებლად. იმის მიხედვით, თუ რა სოციალური პოლიტიკის კურსს ატარებს სახელმწიფო, განისაზღვრება სოციალური კეთილდღეობის ხარისხი ქვეყანაში. თუმცა იდეოლოგიური პრობლემა სახელმწიფოს, ბაზარსა და ოჯახებს შორის სოციალური კეთილდღეობის როლისა და ამ როლთა გადანაწილების შესახებ კვლავ გადაუჭრელია. ორივე მეთოდს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს. რეალურ-ტიპურის უპირატესობაა ის, რომ მეთოდოლოგია იძლევა უფრო დეტალურ სურათს, ასახავს ლეგალურ და ადმინისტრაციულ დეტალებს, პროგრამულ, მოკლევადიან განვითარებას; იძლევა იდეალურ-ტიპური მოდელების შესახებ ცოდნის შევსების საშუალებას. იდეალურ-ტიპური მეთოდის უპირატესობა კი ის არის, რომ ფოკუსირებს ფუნქციურ ეკვივალენტობაზე, იძლევა დიდ სურათში გარკვევისა და რეალურ-ტიპური მოდელების შესახებ ცოდნის შევსების საშუალებას. შესაბამისად, თუ რეალურ-ტიპურის შეზღუდვაა ის, რომ დიდი სურათი ბუნდოვანია საერთაშორისო დონეზე, იდეალურ-ტიპური მეთოდი სისტემის ეროვნულ დონეზე გააზრების საშუალებას არ იძლევა.

თავის შეჯამება

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების შედეგად, კეთილდღეობის მოდელებს გაუჭირდათ პირვანდელი სახის შენარჩუნება. თითქმის ვეღარ ვხვდებით სოციალური კეთილდღეობის მოდელს, რომელიც სრულად თავსდება ერთ იდეოლოგიურ ჩარჩოში და ნულოვან განზომილებას გვიჩვენებს დანარჩენ იდეოლოგიურ ჩარჩოებში. მაგალითად, როგორც ეს იყო შვედეთის შემთხვევაში ესპინგ-ანდერსენის მიერ წარმოდგენილ მოდელთა კლასიფიკაციაში, რომელიც უჩვენებდა უმაღლეს მაჩვენებელს სოციალ-დემოკრატიის განზომილებაში და ნულოვანს დანარჩენ ორ განზომილებაში: ლიბერალურსა და კორპორაციულში, ან ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც უმაღლესი მაჩვენებლებით მოთავსდა ლიბერალურ განზომილებაში და ნულოვანით რომელიმე სხვაში. ამაზე გლობალიზაციაც ახდენს გავლენას, მაგრამ არაპროპორციულად – ზოგიერთი მოდელის ზოგიერთ კომპონენტზე მეტად, სხვაზე კი ნაკლებად. თუმცა კეთილდღეობის თეორეტიკოსთა მოსაზრებები, გლობალიზაციის ზეგავლენის შესახებ კეთილდღეობის სისტემებზე, ორად იყოფა. თეორეტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ კეთილდღეობის სისტემის სახეცვლილების მიზეზი საშინაო ფაქტორებია და არა გლობალიზაცია. განსაკუთრებით დიდ როლს დემოგრაფიული ცვლილებები თამაშობს, რაც სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდისა და, შესაბამისად, მოსახლეობაში ხანდაზმულთა პროცენტული წილის ზრდის შემთხვევაში, შობადობის მაჩვენებლის კლების ფონზე, სამუშაო კაპიტალის სიმცირეს იწვევს. ეს კი, თავის მხრივ, ამცირებს კეთილდღეობისათვის ფისკალურ დანახარჯს.

ფიცპატრიკი (2001) გვთავაზობს კეთილდღეობის განმსაზღვრელი კომპონენტების კლასიფიკაციას: ბედნიერება, უსაფრთხოება, უპირატესობები, საჭიროება, დაფასება, შედარებითობა. იდეალურ სამყაროში სოციალური კეთილდღეობის სისტემა მოქალაქეთა ექვსივე მახასიათებლით დაკმაყოფილებას შეეცდებოდა, მაგრამ, ზემოთ წარმოდგენილი კეთილდღეობის მოდელებიდან რომელი ან/და რამდენად ქმნის ფიცპატრიკის

მიერ წარმოდგენილი კეთილდღეობის ყველა ან უმრავლესი კომპონენტით მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველყოფის გარანტიას, ძნელი სათქმელია.

ამ სახეცვლილების ფონზე, მნიშვნელოვანია მოდელების სისტემატური შეფასება, რათა შესაძლებელი იყოს მათი ეფექტიანობის გააზრება და თავდაპირველ ვერსიასთან შედარება. კეთილდღეობის სისტემების იდეალურ-ტიპურსა და რეალურ-ტიპურ მოდელებად კლასიფიცირება შედარებითი კვლევების განხორციელების საინტერესო და განსხვავებულ მასშტაბებს გვთავაზობს. პირველის მიზანი კეთილდღეობის თითოეული რეჟიმის კლასტერული შესწავლაა, ფართო კროსნაციონალურ დონეზე შედარებისათვის, ხოლო მეორის – კეთილდღეობის ინსტიტუტების მსგავსებების და განსხვავებების შესწავლა ქვეყნებს შორის.

კეთილდღეობის სისტემები, ნაკლებსავარაუდოა, დაუბრუნდნენ მათი განვითარების ოქროს ხანას. ამის ფონზე, სოციალური მუშაკის როლი უფრო და უფრო აქტუალიზდება, როგორც ადამიანთა სუბიექტური და ობიექტური კარგად ყოფნის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი აგენტი, რომელიც კეთილდღეობის სისტემების შესუსტების შედეგად მიღებული არეულობისა და დესტაბილიზაციის შემცირებას ემსახურება.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. თქვენი აზრით, კეთილდღეობის რომელი მოდელის წიაღშია სოციალური მუშაკის როლი უფრო აქტუალური?
2. რატომ უჭირავს ბავშვზე ზრუნვას ცენტრალური ადგილი კეთილდღეობის სისტემაში?
3. გთხოვთ დააჯგუფოთ წინა თავში განხილული იდეოლოგიები და მოცემულ თავში განხილული მოდელები, მათ შორის შესაბამისობის მიხედვით, და გაიაზროთ დაწყვილებულ ერთეულში შეუთავსებლობა. შეეცადეთ ახსნათ შეუთავსებლობის მიზეზები.

გამოყენებული ლიტერატურა:

Esping-Andersen, G. (1990). *The Three Worlds Of Welfare Capitalism.* Princeton University Press

Esping-Andersen, G. (2002). *Why We Need A Welfare State.* Oxford University Press

Fitzpatrick, T. (2001). *Welfare Theory: An Introduction*. New York: Palgrave

Glennerster, H., Hills, G. R., Piachaud, D., & Webb, J. (2004). *One Hundred Year of Poverty and Policy.*

Greve, B. (2015). *Welfare And Welfare States.* Routledge

Hajighasemi, A. (2019). *European Welfare State and Globalization:Strategies in an Era of Economic Restructuring.* Edward Elgar Publishing

Kasza, G.J. (2006). One World of Welfare. Cornel University Press

Kettuken, P. Peterson, K. (2011). *Beyond Welfare State Models:Transitional Historical Perspective on SocialPolicy.* Edward Elgar Publishing Inc.

Kosonen, P. (2001). Globalization and the Nordic welfare State. In Sykes, R., Palier, B., Prior, P.M. (Eds.) *Globalization And European Welfare States: Challenges And Change* (pp.153-172). PALGRAVE

Pratt, J. (2006). Citizenship, Social Solidarity and Social Policy. In Lavalette, M. & Pratt, A. *Social Policy, Theories, Concepts and Issue (pp.128-140).* Sage Publication, London

Mayers, D.G., Michalski, A. (2013). Social Models In The Enlarged European Union. In Mayers, D.G., Mustaffa, Z., (Ed.), *The Changing Welfare State in Europe: The Implications for Democracy* (pp. 23-55). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

Melin, H. (2014). Nordic Model and Social Inequalities. In Eisel, D, Rokicka, E., Leaman, J. (Ed.). *Welfare State At Risk: Rising Inequality In Europe.* Springer

Offe, C. (1984). Contradictions of the Welfare State, Cambridge, MA: MIT Press.

Stiglitz, J. (2002). Emploment, social ustice and societal well-being. *International Labour Review, 141*(1-2), 9-29.

Sykes, R., Palier, B., Prior, P.M. (2001). *Globalization And European Welfare States: Challenges And Change.* PALGRAVE

Trager, J. (2014). Social Inequalities of Families in Europe. In Eisel, D, Rokicka, E., Leaman, J. (Ed.). *Welfare State At Risk: Rising Inequality In Europe.* Springer

ნინო შატბერაშვილი

თავი 9

სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ანალიზი

შესავალი

წინამდებარე თავში მიმოხილულია პოლიტიკის ფორმირების წინმსწრები და დამაგვირგვინებელი პროცესი – ანალიზის ეტაპი. გავეცნობით პოლიტიკის ანალიზის სხვადასხვა ინსტრუმენტს, რომლებიც გამოიყენება სოციალური პოლიტიკისა და მომსახურებების ფორმირებისას. თავში წარმოჩენილია თეორიული ჩარჩო ზოგიერთი სოციალური დილემის გადალახვისთვის; წარმოდგენილია დროითი ჩარჩოს ზეგავლენა სხვადასხვა პრობლემის დაძლევისათვის.

თავში წარმოდგენილი მასალა ეხება სხვადასხვა რესურსის მფლობელებისა და სოციალური საქონლის მწარმოებლების ინტერესებს შორის განსვლას და ამ ინტერესებით ნაკარნახევი გადაწყვეტილებების მოსალოდნელ შედეგებს. ის ცდილობს წარმოაჩინოს სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა მიერ სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის გააზრების შესახებ განსხვავებული ხედვა – უნდა ემყარებოდეს სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა მხოლოდ საბაზრო პრინციპებს, თუ ის საჯარო და ღირსებაზე ორიენტირებული საქონელიცაა. სტუდენტები გაეცნობიან მიდგომებს, რომლითაც პოლიტიკა ფასდება და განიხილავს სოციალურ მუშაკთათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს: პოლიტიკის ფორმირებისას და/ან შეფასებისას რომელია უფრო რაციონალური და სამართლიანი – არჩევანის შეჩერება ქმედითობაზე თუ ეფექტიანობაზე.

პოლიტიკის ფორმულირება და შეფასება

პოლიტიკის ციკლის მნიშვნელოვანი სტადიაა მისი ფორმულირებისა და შეფასების ეტაპები. პირველი ციკლის საწყის ეტაპზე, მეორე კი ბოლო ეტაპზე ხორციელდება და სწორედ ამ შედეგებზე დაყრდნობით იწყება და, შესაბამისად, იცვლება ან უქმდება პოლიტიკის კურსი, პროგრამა თუ ინიციატივა (Gupta, 2001).

მრავალი ალტერნატიული პოლიტიკიდან კანონმდებლები გამოარჩევენ ერთ ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს, რომელიც ყველაზე ეფექტიან შედეგს იძლევა სავარაუდოდ. ანალიზის დასრულებისთანავე ის გადაიგზავნება კანონმდებელ ან აღმასრულებელ ორგანოში დამტკიცებისათვის. დამტკიცებისთანავე კი იწყება მისი აღსრულება. პოლიტიკის შეფასების დანიშნულებაა განსაზღვროს რამდენად მიაღწია გატარებულმა პოლიტიკამ დასახულ მიზანს და რამდენად მოემსახურა საზოგადოებრივ საჭიროებას. ხანდახან პოლიტიკის ესა თუ ის კურსი და საზოგადოების საჭიროება ურთიერთწინააღმდეგობრივიც კი არის. ხდება ისეც, რომ ერთი პოლიტიკის ეფექტიანობა ზღუდავს მეორისას, ან პოლიტიკის ერთი ასპექტი პოზიტიურად განხორციელდა და, შესაბამისად, შედეგებიც პოზიტიურია, მაგრამ მეორე ასპექტში ხარვეზებია, ან ამ პოლიტიკის გატარების შედეგად წარმოიქმნა ხარვეზები. ამიტომ, პოლიტიკის შეფასებისას, ხშირად აღმოვაჩენთ შემთხვევებს, როცა პოლიტიკის მიზნის მიღწევის მაჩვენებელი უფ-

რო მაღალია, ვიდრე მისი ზეგავლენისა საზოგადოებაზე (Gupta, 2001). სოციალური მუშაკები, განსაკუთრებით, თუ ისინი მაკროპრაქტიკას ახორციელებენ, აქტიურად არიან ჩართული პოლიტიკის ციკლის ამ ორ მნიშვნელოვან ეტაპზე.

როგორც ვთქვით, პოლიტიკის ანალიზი უმთავრესი ეტაპია პოლიტიკის გატარებისათვის. მასზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ პოლიტიკას გავატარებთ, რა რესურსი დასჭირდება მის გატარებას და ა.შ. მაგრამ, თუ უფრო საფუძვლიანად განვიხილავთ იმას, თუ რამდენად უნარიანია პოლიტიკის ანალიზი მოიპოვოს გადაწყვეტილებები რთული სოციოპოლიტიკური პრობლემების გადაჭრისათვის, დავინახავთ, რომ ის საკმაოდ შეზღუდულია. გადაწვეტილებებს ხომ გადაწვეტილების მიმღები პირები იღებენ საბოლოოდ.

პოლიტიკის ანალიზის ტექნიკები

ანალიზის ტექნიკების განხილვის დაწყებამდე, აუცილებელია გააზრებული გვქონდეს მისი ლიმიტები (Gupta, 2001), რადგან:

1. ჩვენ ვერ დავამტკიცებთ ან უარვყოფთ ჩვენს ჰიპოთეზას ლაბორატორიული სიზუსტით;
2. ჩვენი ტექნიკები რეალობის შეზღუდულ აღქმას გვთავაზობენ;
3. ჩვენი მიდრეკილებები, ცრუ შეხედულებები და შეგონებები საღი განსჯის უნარს გვიზღუდავენ;
4. ჩვენ ვერ ავირიდებთ დაურწმუნებლობას, რომელიც ხშირად გვეუფლება;
5. ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ სოციალურ ფასეულობებს.

თანამედროვე სოციალურ მეცნიერებათა სიძლიერე გამოიხატება მის უნარში, აქციოს ბუნდოვანი ფილოსოფიური კამათი ზუსტ ობიექტურ ანალიზად – ობიექტურ პროფესიონალიზმად. გუფთასა და სხვა კოლეგების (2001) მეცნიერული არგუმენტაციის პარადიგმა რთული პრობლემების ანალიზისათვის შემდეგ ხუთეტაპიან პროცესს გვთავაზობს:

1. განვსაზღვროთ ძირითადი საკითხი და ჩამოვყალიბდეთ ანალიზის მიზანზე; ამის გარეშე ანალიზის დაწყება თითქმის შეუძლებელია ან დროში ძალიან წამგებიანია.
2. ჩამოვაყალიბოთ მოქმედების ალტერნატიული მსვლელობის გეგმა; ალტერნატივის შერჩევა ორ ფაქტორს უნდა ეფუძნებოდეს: თანმიმდევრულობა და განხორციელებადობა. ჩვენი ალტერნატივა ჩვენს მიზანს უნდა შეეფერებოდეს. უპირველესი არჩევანი უნდა გავაკეთოთ ამ კონკრეტული პროექტის კეთებასა და არაფრის კეთებას შორის. თუ კეთებას ავირჩევთ, უნდა გავითვალისწინოთ:
   - რა დამატებით შემოსავალს მოიტანს პროექტი;
   - რა გარეგანი დადებითი თუ უარყოფითი ეფექტები ექნება მას;
   - შანტაჟის ფაქტორი;
   - სიმდიდრის გადანაწილების ტენდენცია.
3. ალტერნატიული ქმედების შედეგების პროგნოზირება; ამის გარეშე შეუძლებელია მართებული არჩევანის გაკეთება. თუ დაახლოებით მაინც არ ვიცით რას მოგვიტანს ეს თუ ის პროექტი/ღონისძიება, ვერანაირად ვერ მივიღებთ სწორ გადაწყვეტილებას, რომელი პროექტის/ღონისძიების გატარებაა უმჯობესი ამ მოცემულ მომენტში, ამ მოცემული რესურსებით.

4. სისტემატურად შევადაროთ და შევაფასოთ ყველა მოსალოდნელი შედეგი; შედეგების განჭვრეტის გარეშე ვერც პროცესს შევარჩევთ და ვერც მის მოსალოდნელ და ჩვენთვის სასურველ შედეგს გავთვლით.
5. შევარჩიოთ უპირატესი ალტერნატივა; აქ, რასაკვირველია, დიდ როლს თამაშობს ანალიტიკოსის ბუნება. თუ თქვენ რისკიანი ხართ, უპირატესობას მაღალშემოსავლიან პროექტს მიანიჭებთ, მიუხედავად მაღალი რისკისა. თუ თქვენ არ ხართ რისკიანი, მაშინ თქვენ გარანტირებულ დაბალ მოგებას არჩევთ გაურკვეველ და საფრთხის შემცველ მიმზიდველ ვარიანტს. თქვენი რისკის გაღების უნარი და სურვილი დიდწილად განაპირობებს საქმის ვითარებას, რადგან ეს დიდ როლს თამაშობს რეალურ ცხოვრებაში, სადაც პოლიტიკის ანალიზის ზოგიერთი ეტაპი არ იძლევა უდავო და ზუსტი პასუხების გაცემის საშუალებას.

ამ რეალობის ცოდნით, მოდით, შევუდგეთ ანალიზური მიდგომებისა და ანალიზის ტექნიკების განხილვას, გავიაზროთ განსხვავებები მათ შორის და მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

რაციონალური მიდგომა

სანამ ანალიზის ამ თუ იმ მეთოდს ჩავუღრმავდებით, გავიაზოთ მისი შედეგები კერძო და საჯარო სექტორისთვის, რადგან ისინი შესაძლოა ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს. წარმოიდგინეთ პატარა ქალაქში საცალო ვაჭრობის ქსელის მაღაზიის გახსნის გეგმაზე მუშაობს ქალაქის მუნიციპალიტეტი. ქალაქის მცხოვრებთა და მუნიციპალური სამსახურის წარმომადგენელთა აზრით, ამ იდეის განხორციელებით მათ ქალაქში ადამიანები დასაქმდებიან, საშემოსავლო და დამატებითი ღირებულების გადასახადი, საკუთრების ფასი გაიზრდება ამ ტერიტორიულ ერთეულში, მაგრამ კერძო ფირმის, კონკრეტულად, ამ საცალო ვაჭრობის ქსელის მშენებლობით დაინტერესებულ ბიზნესმენს ამ არგუმენტებით ვერ დააინტერესებთ. ის საკუთარ სარგებელზეა ორიენტირებული. ამიტომ ამ გეგმის აღსრულებით გამოწვეული სოციალური სარგებელი სრულიად სხვაა და კერძო კი სხვა. მისი პოზიტიური გარე ეფექტებიც საინტერესოა მუნიციპალიტეტისთვის და იქ მცხოვრებლებისათვის, კერძო მეწარმე კი ამაში დამატებით ჯილდოს არ იღებს. კერძო მეწარმე ამიტომ არც უარყოფითი გარე ეფექტების ხარჯებს და არც დადებითის სარგებელს არ ანგარიშობს მის მიერ ნაწარმოები დანახარჯთსარგებლიანობის ანალიზში. თუმცა ქვეყნებში არსებობს სპეციალური სანქციები ან ნებართვები, რაც კერძო სექტორს წარმოების უარყოფითი გარეგანი ეფექტისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს (Gupta, 2001).

პოლიტიკის ანალიზის ერთ-ერთი ინსტრუმენტია *რაციონალური მიდგომა.* ის გადაწყვეტილების მიღების მატრიქსს ეფუძნება. პრობლემის შესწავლის შემდეგ ანალიტიკოსები ამოცანებს ისახავენ და მათ ოპერაციონალიზაციას ახდენენ ერთ ან მეტ კრიტერიუმად. სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისას რაციონალური მიდგომა იყენებს ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა: ქმედითობა, ეფექტიანობა, დანახარჯთსარგებლიანობა (Midgley, Tracy, Livermore, 2000). ჩვენ სწორედ ანალიზის ამ ინსტრუმენტებს განვიხილავთ უფრო დეტალურად – დანახარჯთსარგებლისა და დანახარჯთეფექტიანობის ანალიზს, რომ თქვენ მათი გამოყენების საშუალება მოგეცეთ. წარმოგიდგენთ მიკროსიმულაციურ ანალიზსაც, რომელსაც მხოლოდ განვმარტავთ, რომ თქვენ ამ ეტაპზე მასზე ზოგადი წარმოდგენა შეგექმნათ.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი

დანახარჯთსარგებლიანობის ანალიზის პროცესი ასეთია (Gupta, 2001):

1. **პროექტის მიზნის (მიზნების) განსაზღვრა.** მიზნის განსაზღვრისას აუცილებელია გავიაზროთ ვისი მიზნების მაქსიმიზაციას ვცდილობთ. ზემოწარმოდგენილი მაგალითის განხილვას თუ გავაგრძელებთ და საცალო ვაჭრობის ქსელის მაღაზიის გახსნის პროექტს განვიხილავთ, უნდა გავიაზროთ ვისი ინტერესები უნდა გავითვალისწონოთ უპირატესად: ქალაქის, ქვეყნის თუ ამ მაღაზიათა ქსელის მფლობელის. ასევე ამ პროექტის მიზნები უნდა ვიცოდეთ: ეს საგადასახადო შემოსავლის ზრდაა, ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებაა თუ ამ ქალაქის იმიჯის განახლება.
2. **ალტერნატივების გააზრება.** აუცილებელია გავიაზროთ ჩვენი პროექტის ალტერნატიული პროექტი. თუ ალტერნატივა არ არსებობს, მაშინ დანახარჯთსარგებლის შეფასება ხდება არაფრის კეთებასთან მიმართებით. ხოლო, თუ სხვა რეალისტური პერსპექტივები არსებობს ამ ტერიტორიის გამოსაყენებლად, მაგალითად, ბიბლიოთეკის, გასართობი ცენტრის, პარკის, საბავშვო ბაღის, სკოლის, დღის ცენტრის აშენების, მაშინ მასთან მიმართებით უნდა ავწონ-დავწონოთ მოცემული პროექტის ხარჯიცა და სარგებელიც.
3. **ყველა ალტერნატივის ხარჯისა და სარგებლის გაანალიზება.** შესაბამისი ალტერნატივის შერჩევის შემდეგ, ყველა ალტერნატივის ხარჯი და სარგებელი უნდა აიწონ-დაიწონოს. მათი კლასიფიცირება ორ კატეგორიად შეიძლება: პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯი და სარგებელი. პირდაპირია ხარჯი და სარგებელი, რომელიც პროექტს უშუალოდ უკავშირდება; არაპირდაპირია დანახარჯი და სარგებელი, რომელიც არ არის პროექტის ფინანსურ ანგარიშებში, მაგრამ ზემოქმედებს საზოგადოებაზე.

ჩვენს მაგალითს თუ დავუბრუნდებით, საცალო ვაჭრობის ქსელის მაღაზიის პირდაპირი სარგებელი იქნება მოგება ახალი მაღაზიიდან, ხოლო პირდაპირი ხარჯი კი მშენებლობის ხარჯები. არაპირდაპირი სარგებელი იქნება ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურება შემოგარენში, რომელიც, ამავე დროს, შესაძლოა პროექტის ირიბი ხარჯიც აღმოჩნდეს, შექმნის რა საცობებს და ხმაურს სამეზობლოში. გამოდის, რომ კერძო სარგებელი, ე.ი. პირდაპირი სარგებელი პროექტის ავტორთათვის შესაძლოა აღმოჩნდეს ირიბი დანახარჯი, ე.ი. სოციალური ხარჯი საზოგადოებისთვის.

ცხრილი 1. ხარჯისა და სარგებლის კლასიფიკაცია

ხარჯისა და სარგებლის კლასიფიკაცია							
პირდაპირი				არაპირდაპირი			
ხელშესახები		არახელშესახები		ხელშესახები		არახელშესახები	
დანახარჯი	სარგებელი	დანახარჯი	სარგებელი	დანახარჯი	სარგებელი	დანახარჯი	სარგებელი
მშენებლობის ხარჯები	მოგება მაღაზიიდან	შემცირებული დრო სხვა ბიზნეს-პროექტებისთვის	მაცხოვრებლების სიამაყე	საცობები სამეზობლოში	ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურება სამეზობლოში	გადინება სამეზობლოდან, მშენებლობასთან დაკავშირებული დისკომფორტის გამო	მზარდი სამოქალაქო და საზოგადოებრივი სიამაყე
დანადგარების ხარჯები	დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა	ახალი ბიზნესის დაწყებით გამოწვეული შფოთვა	ახალი საქმიანობით მიღებული გამოცდილება	დასუფთავების სამსახურის მომსახურების შესყიდვა	მზარდი ბიზნესი შემოგარენში მოიზიდავს ახალ ბიზნესებს, რაც გაზრდის უძრავი ქონების საფასურს	მშენებლობის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი ხალხმრავლობა შემოგარენში	

ყველა ხარჯი და სარგებელი არ არის გაზომვადი. მრავალი მათგანი თვისებრივია და ამიტომაც ადვილად ვერ გამოისახება ფულად ერთეულში. ჩვენი მშვენიერი სავაჭრო ცენტრი არახელშესახებ სარგებელსაც წარმოქმნის, ის ქალაქში მცხოვრებლებს სიამაყით აღავსებს ან პირიქით, თუ ამგარი მშენებლობა გარემო პირობების გაუარესებას გამოიწვევს. ეს სოციალური ხარჯიცა და სარგებელიც პროექტის არახელშესახები ხარჯი და საფასურია. ამიტომ ანალიტიკოსს ყველა სახის ხარჯისა და სარგებლის დაანგარიშება და გათვალისწინება უნდა შეეძლოს პროექტის შეფასებისას.

4. **დანახარჯისა და სარგებლის გამოანგარიშება მონეტარულ ერთეულში.** დანახარჯი-სარგებლის ანალიზის ყველაზე მეტი სირთულე არის ის, რომ ზოგიერთი დანახარჯი და სარგებელი მონეტარულად არ იზომება. ისიც პრობლემაა, რომ მათი სამომავლო დაანგარიშება მხოლოდ სავარაუდო გამოთვლებითაა შესაძლებელი. ხშირად ისეც ხდება, რომ ესა თუ ის პროექტი სასარგებლოა და კეთილდღეობის მომტანია ერთთათვის, მხოლოდ მეორეთა დაზარალების ხარჯზე. მაგრამ, როდესაც წაგებულთა წაგება უტოლდება მოგებულთა მოგებას, საზოგადოებრივი კეთილდღეობა უცვლელია, თუ, რასაკვირველია, ერთთა წაგებასა და მეორეთა მოგებას სხვადასხვა საზომით არ გავზომავთ.

ჩვენს მაგალითს მივუბრუნდეთ და წარმოიდგინეთ სავაჭრო ცენტრში მოწყობილი საკონფერენციო დარბაზი, რომელიც მეზობელი ქალაქებიდანაც მოიზიდავს ხალხს საქმიანი შეხვედრებისათვის. მომრავლებულ სტუმრებს კი დამატებითი სასტუმრო ფართი დასჭირდებათ. ამჟამად თუ ქალაქში 5 სასტუმროა და ოთახი 50 ლარი ღირს, დამატებითი მიწოდება ოთახის ფასის შემცირებას გამოიწვევს. ქალაქში არსებული სასტუმროების მეპატრონეების შემოსავალი იკლებს, მაგრამ, მთლიანობაში, ქალაქის შემოსავალი მატულობს. გამოდის, რომ მთლიანი სოციალური სარგებელი იზრდება.

ყველაზე რთული კი არახელშესახები ხარჯისა და სარგებლის დაანგარიშებაა. წარმოიდგინეთ როგორ გაჭირდება ადამიანის სიცოცხლის შეფასება, ჯანმრთელობის და გარემო პირობების ზიანის შეფასება. ჩვენი მაგალითის შემთხვევაშიც შესაძლოა არახელშესახები ხარჯებიც გაჩნდეს და სარგებელიც. წარმოიდგინეთ მშენებლობის ტრავმა ან ფატალური შემთხვევა, რაც არცთუ ისე იშვიათია რეალურ ცხოვრებაში. როგორ უნდა დავიანგარიშოთ ამგვარი ხარჯი? ამისათვის რამდენიმე მეთოდი არსებობს: სიცოცხლის დაზღვევა, ჩამოფასებული სამომავლო გამომუშავება, მოთხოვნილი კომპენსაცია.

სიცოცხლის დაზღვევა ადამიანის სიცოცხლის საფასურის მონეტარული დაანგარიშებაა, თუმცა ადამიანები სიცოცხლის დაზღვევას სხვადასხვა მიზეზით იძენენ და ამ შენაძენს შესაძლოა არც ჰქონდეს კავშირი მათ მიერ მათივე სიცოცხლის საფასურის რეალურ აღქმასთან.

ჩამოფასებული სამომავლო გამომუშავების მეთოდი სასამართლოში გამოიყენება ხშირად. სამომავლო გამომუშავების ოდენობა ჩამოფასებულია იმ მოტივით, რომ დღევანდელ ფულს მეტი ფასი ადევს, ხვალინდელთან შედარებით. რადგან ეს მიდგომა სოცოცხლეში ადამიანის გამომუშავების შანსების მიხედვით გამოითვლება, ის არაჯეროვნად აფასებს იმ ადამიანთა სიცოცხლეს, რომელთა ნიჭს დაბალი საბაზრო ღირებულება აქვს, ან, საერთოდაც, არ იზრდება ბაზარზე, ან მათ შეწყვიტეს ფულის გამომუშვება. გამოდის, რომ დიასახლისების, პენსიონერთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამომავლო გამომუშავების გამოთვლა ამ მეთოდით არ გამოვა.

რაც შეეხება *მოთხოვნილ კომპენსაციას,* ის მთავარ კითხვას აჩენს: რამდენადაა გათვალისწინებული ანაზღაურებაში საქმიანობის რისკის ხარისხი? არის პროფესიები, რომელთა სიცოცხლის რისკის მაჩვენებელი ნულს უდრის, მაშინ, როდესაც სხვა პროფესიის წარმომადგენელთა სიკვდილის რისკი მაღალია. ამიტომ, თუ ავიღებთ ამ პროფესიების წარმომადგენელთა ასაკს, განათლებას, გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, როგორც კონსტანტას გამომუშავების განსაზღვრისათვის, უფრო მაღალ ანაზღაურებას დავიანგარიშებთ სარისკო სამუშაოს შემსრულებლისათვის, დამატებითი რისკის კომპენსირების მიზნით. ეს საფასური ხუთიდან ათჯერ მეტია სიცოცხლის საფასურზე, რომელიც *ჩამოფასებული სამომავლო გამომუშავების* პრინციპითაა დაანგარიშებული. თუმცა შესაძლოა ადამიანებს, რომლებსაც გააზრებული აქვთ მათ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, არ ჰქონდეთ სიცოცხლის რისკის ადეკვატური მონეტარული დაცვისთვის სავაჭრო ძალაუფლება. ამასთან, ეს საზომი არ ითვალისწინებს ამ დანაკარგის გარე ფაქტორებს, როგორიცაა ადამიანის სიკვდილით გამოწვეული დანაკლისი მისი ოჯახისა და ახლობლებისათვის ან იმ პირების კეთილდღეობისთვის, რომლებიც მასზე იყვნენ დამოკიდებული ფინანსურად და/ან ემოციურად.

სამომავლო ხარჯის გამოთვლის სირთულეს უკავშირდება ასევე ე.წ. „ნიმბიზმი/ჩემგან შორს“ (NYMBY – not in my Backyard) ფაქტორიც. რაში მდგომარეობს ის? ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალი პროექტის განხორციელების არაპირდაპირი სარგებლის მიუხედავად, ის სპეფიციკურ საფასურს წარმოქმნის კონკრეტული თემისათვის. მაგალითად, აეროპორტის მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ მას იმ კონკრეტული რაიონისთვის ეკონომიკური წარმატების გარანტიაც ახლავს, აეროპორტის არსებობით გამოწვეული ხმაური და საცობები ამ რაიონში ცხოვრების სურვილს აქვეითებს. ეს კი საკუთრების საფასურს ამცირებს ამ ლოკაციაში.

5. **დანახარჯისა და სარგებლის მომავალი ტენდენციის პროგნოზირება.** ეს ბევრ სირთულეს მოიცავს: ფასდაკლების კოეფიციენტის გამოთვლას, ამ კონკრეტული ფინანსური რესურსის დაბანდების ალტერნატიული გზების აწონ-დაწონვას. ეს კი შესაძლებლობის საფასურს, ე.ი. ჩრდილოვან ფასს წარმოქმნის. მნიშვნელოვანია დროის ფაქტორის გათვალისწინებაც. კონკრეტული პროექტის თუ ინიციატივის შედეგი დიდწილად განისაზღვრება მისი დასრულების პერიოდით. მაგალითად, ნივთიერებების მოხმარების შემცირებისაკენ მიმართული პროექტის შედეგი სხვადასხვა დროშია მიღწევადი, შედეგის მიზნის დასახვის შესაბამისად. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შემცირება მათი მიწოდების აკრძალვითაა უფრო ეფექტიანი თუ ცნობიერების ამაღლების კამპანიებით? პასუხია – დროის რომელ წერტილს ავირჩევთ შედეგის გასაზომად. აკრძალვით მიღებულ მოკლევადიან შედეგს შესაძლოა უფრო მცირე დროში მივაღწიოთ, მაგრამ შედეგი არ იქნება ეფექტიანი მდგრადობის თვალსაზრისით, ხოლო განათლების გზით – უფრო გრძელ ვადაში, მაგრამ უფრო მდგრად შედეგს მივაღწევთ. გამოდის, რომ პროექტის სასურველი შედეგის მიღწევას დროის ჰორიზონტი განსაზღვრავს დიდწილად. ამიტომ, გულდასმითაა განსასაზღვრი, რა მიზნის მიღწევას ემსახურება ჩვენი ამოცანა.

კიდევ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია გასათვალისწინებელი: ჩრდილოვანი ფასი (შესაძლებლობის საფასური) და სოციალური დროითი უპირატესობა. პირველი დაგვაფიქრებს იმაზეც, თუ რა შანსის გამოყენებას გამოვტოვებთ თანხის დახარჯვით ახლა

და ამგვარად. ხომ არ არსებობს მისი დახარჯვისთვის უფრო ეფექტიანი და მომგებიანი გზა? ანალიტიკოსი ამ გამოთვლებსაც აწარმოებს. მეორე კი ანალიტიკოსს დააფიქრებს პროექტისათვის რესურსების გამოყენების სახეობაზე. რა იქნება უპრიანი – ამ პროექტისთვის კერძო რესურსების მოხმარება თუ სახელმწიფო რესურსებისა?

6. **ყველაზე მაღალსარგებლიანი ალტერნატივის შერჩევა დანახარჯთან შედარებით.** ალტერნატივის შერჩევისას დანახარჯსა და სარგებელს შორის თანაფარდობის გააზრება ჯობია, ვიდრე მათ შორის სხვაობისა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ორივე იდენტურ დასკვნამდე მიგვიყვანს, თანაფარდობა უფრო ეფექტიან საზომად ითვლება. აი, გავიაზროთ ავტორის მიერ ცხრილში N1 მოწოდებული მაგალითი. წარმოდგენილია ორი პროექტის ხარჯი და სარგებელი: წმინდა სარგებელი (რომელიც მიიღება ხარჯსა და სარგებელს შორის სხვაობის დაანგარიშებით) და ბოლო სვეტში წარმოდგენილი მათ შორის თანაფარდობა.

ცხრილი 2. პროექტის ხარჯთსარგებლიანობის დაანგარიშება

	სარგებელი	ხარჯი	წმინდა სარგებელი	სარგებელ-დანახარჯის თანაფარდობა
პროექტი N1	10	3	+7	3.33
პროექტი N2	50	25	+25	2.00

როგორც ცხრილში ვხედავთ, პროექტებს შორის დიდი განსხვავებაა, ამიტომ თანაფარდობის მეთოდის გამოყენებით პირველ პროექტს შევარჩევთ. განსხვავების გამოანგარიშების მეთოდი რომ გამოგვეყენებინა, მეორე პროექტს შევარჩევდით. თანაფარდობის გამოთვლის მეთოდი მიჩნეულია უფრო ქმედით მეთოდად. ამიტომ, თუ სამიზნე ქმედითობაა, ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ, ხოლო, თუ სხვა რამ, მაგალითად, ღარიბ ლოკაციაში გრანდიოზული პროექტის განხორციელება ელექტორატის დასაკმაყოფილებლად ან, მაგალითად, ისტორიულად მიტოვებული სამეზობლოს გამოსაცოცხლებლად, მისი მოსახლეობის ხანგრძლივი დისკრიმინაციის გამო, პოზიტიური დისკრიმინაციის პრინციპს გამოვიყენებთ და ქმედითობის პრინციპით არ ვიხელმძღვანელებთ. დანახარჯი-სარგებლის ანალიზზე საუბრისას ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა უნდა გავიაზროთ: თითქმის ყველა სახელმწიფო პროგრამა საზოგადოებას მოგებულთა და წაგებულთა ჯგუფად ყოფს. საქმე ისაა, როგორ დავაბალანსებთ მოგებას, წაგებასთან მიმართებით.

ხარჯთეფექტიანობის ანალიზი

მოდით, ახლა განვიხილოთ დანახარჯთეფექტიანობის ანალიზი. ის დანახარჯ-სარგებლის ანალიზის დაჩქარებულ, შემოკლებულ ვერსიას გვთავაზობს. რა შესაძლებლობები აქვს მას? რა შემთხვევაში გამოიყენება? დანახარჯთეფექტიანობის ანალიზის მთავარი პრინციპია ისეთი ალტერნატივის შერჩევა, რომელიც, მაქსიმუმ, წმინდა სარგებელს იძლევა. მაგრამ ხშირად, განსაკუთრებით საზოგადოებრივი დანახარჯის შემთხვევაში, ბენეფიტის გაზომვა რთულია (Gupta, 2001, 2010). აი, წარმოიდგინეთ, პოლიციის უწყებას ახალი მანქანების შეძენა სურს, რაც, პრინციპში, იმავე საქმეს მოემსახურება, რასაც ამჟამად. ამავე უწყებას ახალი კომპიუტერული სისტემის შეძენაც

სურს, ესაც იმავე ფუნქციური დატვირთვის მქონეა, რაც ამჟამინდელ სისტემას აქვს. გამოდის, რომ ყველა ალტერნატივა სანაცვლოა, ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოველი მათგანი თანაბარი სარგებლის მომტანია, ე.ი. სარგებელი უცვლელია. ამიტომ, უნდა ავირჩიოთ უფრო იაფი ალტერნატივა, ე.ი. მცირედანახარჯიანი.

ახლა წარმოიდგინეთ, ფული გამოყოფილია უსახლკარო ოჯახების შვილების სწავლებისათვის და საუკეთესო პროექტი უნდა შევარჩიოთ. ყველა ალტერნატივა ზუსტად იდენტური დანახარჯისაა, ე.ი. დანახარჯი უცვლელია. ასეთ შემთხვევებშიც ჩვენ დანახარჯთეფექტიანობის ანალიზს გამოვიყენებთ. მას კი ორი მარტივი წესი აქვს:

1. თუ სარგებელი იდენტურია, ნაკლებდანახარჯიან ალტერნატივას ვირჩევთ.
2. თუ დანახარჯი იდენტურია, მეტადსარგებლიან ალტერნატივას ვირჩევთ.

ასე რომ, ზემოთ მოყვანილი პოლიციის მანქანების შემთხვევაში, ფოკუსირებულნი ვიქნებით შესყიდვის დანახარჯის მინიმიზაციაზე, ხოლო უსახლკარო ბავშვების სწავლების შემთხვევაში – სარგებლის მაქსიმალიზაციაზე.

დანახარჯ-სარგებლის ანალიზი ძალიან მძიმე სამუშაოა, განსაკუთრებით კი მთავრობისათვის, რომელიც საზოგადოებრივი საქონლის ძირითადი მწარმოებელია. მან უნდა განსაზღვროს, რა სახის საზოგადოებრივი საქონელი მიაწოდოს და რა რაოდენობით (Mankiw, 2011). მაგალითისათვის წარმოვიდგინოთ, რომ მთავრობას სურს გზატკეცილის გაყვანა სოფლამდე, რომელიც დედაქალაქიდან საკმაოდ ახლო მანძილზეა, მაგრამ, იმის გამო, რომ ცუდი გზაა, 4-ჯერ მეტ დროს ანდომებს ადამიანი იქ ასვლას. სოფლის მცხოვრებლებსაც და ამ სოფლიდან ქალაქად დასახლებულებსაც ეს ძალიან უხარიათ, რადგან უფრო სწრაფად და, შესაბამისად, უფრო ხშირად შეძლებენ იქ ასვლას. ეს გზა ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის და მას ყველა უფასოდ გამოიყენებს. ამიტომ მათთვის არ არსებობს ფასი, რომელსაც შეიძლება მისი სარგებელი გაუტოლდეს. სარწმუნო შედეგებს ვერც მოსახლეობის გამოკითხვა მოგვცემს იმის თაობაზე, თუ როგორ აფასებენ ადამიანები გზატკეცილის გაყვანის იდეას, ვინაიდან სარგებლის დაანგარიშება რთულია კითხვარში მოცემული შედეგების მეშვეობით და, ამასთანავე, რესპონდენტებს არ აქვთ სიმართლის თქმის სტიმული. ის, ვინც ამ გზატკეცილის გამოყენებას აპირებს, გააზვიადებს სარგებელს, რათა ხელი შეუწყოს ამ პროცესს. ის კი, ვისაც მისი გაყვანა დააზარალებს, გააზვიადებს დანახარჯს, პროცესისათვის ხელის შეშლის მიზნით.

საზოგადოებრივი საქონლის ეფექტიანი მიწოდება გაცილებით რთულია, ვიდრე კერძო საქონლისა. ამ უკანასკნელის მიწოდებას ბაზარი უზრუნველყოფს. კერძო საქონლის და/ან მომსახურების მყიდველები, განურჩევლად იმისა, ეს სურსათია, ტანსაცმელი, ტექნიკა თუ სოციალური მომსახურება, საქონლის შეფასებისას შემოიფარგლებიან იმ ფასით, რომლის გადახდაც უღირთ ამ საქონელში და/ან მომსახურებაში. გამყიდველები კი თავიანთ დანახარჯებს იმ ფასით გამოხატავენ, რომლის მიღებაც უღირთ ამ საქონელში და/ან მომსახურებაში. სწორედ ამიტომ შეიძლება იყოს მიახლოებითი და არა ზუსტი ანალიტიკოსთა მიერ შესრულებული დანახარჯ-სარგებლის ანალიზი საზოგადოებრივი რესურსების მიწოდებისას (Mankiw, 2001).

საქმეს ართულებს ისიც, რომ რთულია ანალიტიკოსი დარწმუნებული იყოს მის ხელთ არსებული მონაცემების თვითკმარობასა და კიდევ იმაში, თუ რამდენად უნდა იხელმძღვანელოს *ქმედითობის* საზომით. ხომ არ არის საჭირო სხვა სოციალური

ღირებულების შემოტანა საზომად, რაც ანალიზს უფრო ზუსტსა და მიზნის შესატყვისს გახდიდა (Weimer, Vining, 1999)? ვაიმერი და ვინინგი წარმოგვიდგენენ სიტუაციას, როდესაც საჭირო გახდა, ახალგაზრდა მძღოლების მიერ ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო, ფატალური შემთხვევების შემცირებისთვის ზომების მიღება. ანალიტიკოსებმა იფიქრეს, რომ, შესაძლოა, ალკოჰოლზე გადასახადის გაზრდამ შეამციროს ეს შედეგები. მათი ვარაუდით, ალკოჰოლზე ფასის ზრდა, საფასურში სააქსიზო გადასახადის ინკორპორირებით, ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვით გამოწვეულ როგორც სიკვდილიანობას, ისე სოციალურ საფასურს შეამცირებს. სააქსიზო გადასახადის შემოღებით, ახალგაზრდები ვერ შეიძენენ და, შესაბამისად, ვერ მიიღებენ იმ ოდენობის ალკოჰოლს, რასაც გადასახადის დაწესების გარეშე შეძლებენ. ამისათვის მათ სჭირდებოდათ გამოეთვალათ მოხმარების ცვლილებისთვის საჭირო ამპლიტუდა და შეერჩიათ სასმელის სახეობა, რომელზეც უპირატესად უნდა გაზრდილიყო ფასი. მათი დასკვნით, 7-პროცენტიანი ზრდა ლუდსა და სპირტიან სასმელზე (აღმოჩნდა, რომ ღვინის მოხმარება არ იყო დამოკიდებული ფასზე, ე.ი. ღვინოზე ფასის ზრდა მისი შეძენის შემცირებას არ იწვევდა; ახალგაზრდების არჩევანი უპირატესად ლუდზე იყო შეჩერებული) იმავე ეფექტის მატარებელია, რაც ლეგალურად ალკოჰოლური სასმელების მოხმარების ასაკის ზრდა. ამ დასკვნამდე მისვლისათვის მათ დიდი შრომა გასწიეს: შეისწავლეს ალკოჰოლის მოხმარების ინტენსივობა (სასმელის მომხარების რაოდენობა ერთ მირთმევაზე) ახალგაზრდებში, სასმელის მიღების სიხშირე (ყოველდღე, კვირაში ერთხელ და ა.შ.), ნასვამი მძღოლების გარდაცვალების მაჩვენებელი, ნასვამი მძღოლების მიერ სხვა ადამიანთა დაშავების ან გარდაცვალების მაჩვენებელი.

ანალიტიკოსთა გამოთვლით, 30-პროცენტიანი გადასახადი 16-დან 21 წლამდე ასაკის 1650-ით ნაკლები მძღოლის სიკვდილს გამოიწვევდა წელიწადში. ეს კი 1270 არამძღოლთა სიცოცხლეს გადაარჩენდა, რადგან ყოველი 100 მძღოლის სიკვდილი იწვევს 77 არამძღოლის სიკვდილს. გამოდის, რომ 30-პროცენტიანი გადასახადი წელიწადში 2920-ით შეამცირებს ახალგაზრდა ნასვამი მძღოლების ქცევით გამოწვეულ ფატალობის მაჩვენებელს. აქ, რასაკვირველია, გასათვალისწინებელია, რომ ალკომოხმარება, სასმელის სახეობისადმი უპირატესობები და დოზები დამოკიდებულია კულტურასა და ტრადიციებზეც და ამიტომ დასკვნები ყველა ქვეყნისათვის იდენტურად სასარგებლო შეიძლება არ აღმოჩნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ 30 პროცენტით გადასახადის ზრდა ამცირებს ფატალურ შემთხვევათა რაოდენობას, ისინი ბოლომდე დარწმუნებულები არ იყვნენ, 30-პროცენტიანი ზრდა არის თუ არა ოპტიმალური გადაწყვეტილება (Weimer&Vining, 1999). ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რადენად რთული და საპასუხისმგებლოა პოლიტიკის ანალიტიკოსის საქმიანობა, როგორი ეფექტიანი ანალიზის ინსტრუმენტიც არ უნდა გამოიყენოს.

მიკროსიმულაციის მოდელი

მოკლედ მიმოვიხილოთ მიკროსიმულაციის მოდელი. ნაცვლად იმისა, რომ გამოიკვლიოს პროგრამის ზემოქმედება, ზოგადად, მაგალითად, ეკონომიკაზე ან დემოგრაფიაზე, ეს მოდელი იკლევს მის ზეგავლენას ინდივიდუალურ ერთეულზე, მაგალითად, ოჯახზე, თუ ეს შემოსავლის მხარდაჭერის პროგრამაა, საავადმყოფოებსა და ექიმებზე,

თუ ეს ჯანდაცვის ხარჯების ანაზღაურების პროგრამაა და ა. შ. ამ მოდელში ყოველი ერთეული წარმოდგენილია უნიკალური განმსაზღვრელით და ისეთი ასოცირებული განსაზღვრებებით, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანთა სია ასაკის, სქესის, ოჯახური მდგომარეობის, დასაქმების სტატუსის მიხედვით. ამ ერთეულებზე დაწესებული წესების (სატრანზიტო ალბათობა) გამოყენებას მივყავართ მათი მდგომარეობისა და საქციელის სიმულაციურ ცვლილებამდე. ეს წესები შეიძლება იყოს დეტერმინისტული (ალბათობა=1), როგორიცაა, მაგალითად, საგადასახადო ვალდებულების ცვლილება საგადასახადო რეგულაციების ცვლილების შედეგად, ან სტოკასტური (შემთხვევითი ალბათობა <=1), მაგალითად, როგორებიცაა: სიკვდილის, დაქორწინების, ბავშვის გაჩენის შანსი. ნებისმიერ შემთხვევაში, დისტრიბუციაში ცვლილებების გააზრებისათვის, მიკროსიმულაციის მოდელები ხშირად გამოიყენება ფისკალური და დემოგრაფიული ცვლილებების (და მათი ინტერაქციის) სოციალურ თანასწორობაზე ზეგავლენის გამოსაკვლევად. მაგალითად, სატრანსპორტო მიმოქცევის პოლიტიკის შესამუშავებლად ამ მოდელს იყენებენ (National Research Council, 1991).

მინიმაქსის სტრატეგია

თუ ჩვენ არ გვაქვს ე.წ. „კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის“ ჩასატარებლად საკმარისი დრო ან/და მონაცემები, გადაწყვეტილების მიღება „მიახლოებით გამოთვლაზე“ დაყრდნობით გვიწევს, როგორიცაა, მაგალითად, მინიმაქსის სტრატეგია, რომელიც ყველაზე არასასურველი ვარიანტის მინიმიზაციას გვთავაზობს. ბენი და ვაუპელი (Bhen&Vaupel, 1982) სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების ხუთ საფეხურს გვთავაზობენ:

1. **ფიქრი.** ამ საფეხურზე პრობლემის ფორმულირებას ვახდენთ. კომპლექსური პრობლემის, მრავალგანზომილებიანი პოლიტიკის დილემის საკვანძო საკითხს ვუკირკიტებთ. დიდი პრობლემის ადვილად გასამკლავებელ პრობლემად გადაქცევისთვის რიცხვებს ვიყენებთ, რომლითაც პრობლემის არსს გამოვსახავთ.
2. **დეკომპოზიცია.** პრობლემა შემადგენელ ნაწილებად უნდა დავშალოთ, რომ მისი სხვადასხვა ელემენტის გააზრება შევძლოთ. თუ პრობლემას დავინახავთ სხვადასხვა ნაწილად -– ზოგს ურთიერთშემავსებელ, ზოგს კი არათავსებად ნაწილებად, ე.ი. მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, კვლევითი პროექტის დაწყებისას სტუდენტს შფოთვა რომ აქვს; რა წუთშიც სათაურს და შიგთავსის დეტალურ გეგმას გაწერს, შვებას გრძნობს. სარჩევის მომზადება მათ პრობლემის დეკომპოზიციას აიძულებს.
3. **გამარტივება.** მცირე დროში ჩვენ პრობლემის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტებზე უნდა ვკონცენტრირდეთ. ასე ჩვენი ინტელექტუალური შესაძლებლობების დაზოგვასაც შევძლებთ და არც მხოლოდ ინტუიციაზე დაყრდნობით მივიღებთ გადაწყვეტილებას.
4. **სპეციფიცირება** – ზუსტად განსაზღვრა. გადაწყვეტილების მიღება ინტუიტიური პროცესია. მიუხედავად იმისა, რამდენად დამაჯერებელია ჩვენი ანალიზი, ჩვენ მაინც დაგვჭირდება სუბიექტური განსჯა. ჩვენს სუბიექტურ განსჯას გავაუმჯობესებთ, როცა პრობლემას უფრო სპეფიციკურს გავხდით. შეეცადეთ რაც შეიძლება სპეციფიკურად აღწეროთ პროცესი, რომელსაც აანალიზებთ. გადაწყვეტილების მიღების ხე დაგეხმარებათ. განსაზღვრეთ ქმედებათა მინიმალური ტოტები

(როგორც ავტორები უწოდებენ „ახალგაზრდა ნარგავები“) და „არაფრის კეთების“ ოფცია. გადაწყვეტილების მიღების ხე იძულებულს გაგხდით, ახსნათ, რას გულისხმობთ, როდესაც იყენებთ სიტყვებს „დაურწმუნებლობა“, „რისკი“, „თუ“. სიტუაციის თქვენეული შეფასება რიცხვებში გამოსახეთ. თუ ფიქრობთ, რომ თქვენი საყვარელი გუნდი მოიგებს, გაამრავლეთ თქვენი წინასწართქმა. ბოლოს, 55-პროცენტიანი და 95-პროცენტიანი მოგების შანსები შეიძლება აღწეროთ „დიდი ალბათობით“. რიცხვის მიწერით თქვენი თვითდაჯერებულობის ხარისხს გამოსახავთ, რომელიც შეგიძლიათ შეადაროთ სიტუაციის თქვენი კოლეგისეულ შეფასებას.

5. **გადახედვა/ხელახლა გააზრება.** პირველი ოთხი ნაბიჯის გამოყენებით, თქვენ გადაწყვეტილებამდე მიხვედით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უნდა დაყაბულდეთ ამ გადაწყვეტილებას. თუ დრო გაქვთ, ხელახლა გაიაზრეთ სიტუაცია. რადგან ყველა ანალიზი საბოლოოდ არასრულყოფილია და დამოკიდებულია სუბიექტურ განსჯაზე, უნდა გამოიყენოთ შანსი და კიდევ ერთხელ გადახედოთ და გადაიაზროთ თქვენი პოზიცია, თუ, რასაკვირველია, ამის დრო გაქვთ.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პოლიტიკის ფორმირებისათვის ანალიზი აუცილებელია, მაგრამ მას თავისთავად არ აქვს გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ამისათვის ხშირად ურთიერთდაპირისპირებული მხარეების, განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიისა და ფასეულობების მქონე პირთა (მათ შორის, კოლეგათა შორის) შეთანხმებაა საჭირო. ამას სირთულეები ახლავს და სპეციალურ ცოდნასა და ტექნიკების გამოყენებას საჭიროებს.

ანალიზის სირთულეები

პოლიტიკის ანალიზზე ჩამოყალიბებისას, ყველაზე დიდ სირთულეს დაურწმუნებლობა წარმოადგენს. როგორ გავუმკლავდეთ მას? ცნობილი ეკონომისტი ფრანკ ნაიტი (Gupta, 2001) ასხვავებდა რისკს დაურწმუნებლობისაგან. მისი აზრით, რისკია, როდესაც შეგიძლია გამოითვალო მომავალი შედეგის ალბათობა, ხოლო დაურწმუნებლობაა, როდესაც ამას ვერ აკეთებ. რისკის გამოთვლისას ჩვენ ობიექტური ალბათობით ვხელმძღვანელობთ, დაურწმუნებლობის შემთხვევაში კი ობიექტურ ვარაუდებს ვეყრდნობით. დაურწმუნებლობის შესახებ ლიტერატურა მის ოთხ ძირითად წყაროს ასახელებს:

1. ცოდნის არასაკმარისობა;
2. ტენდენციური/არაობიექტური არგუმენტაცია;
3. ადამიანთა ქმედებების ურთიერთდამოკიდებულება;
4. დაურწმუნებლობის მთავარი არსი.

თამაშის თეორია

ნიუმანისა და მორგენსტერნის (2001) მიხედვით, მოქმედების ოპტიმალური კურსის გაანალიზებისათვის სოციალურ მეცნიერებათა და გამოყენებითი მათემატიკის განშტოებას, რომელიც დაურწმუნებლობისას გადაწყვეტილების მიღების პროცესს შეისწავლის, თამაშის თეორია ეწოდება (მას ჩვენ მოგვიანებით დეტალურად განვიხილავთ). როდესაც გადაწყვეტილების მიმღები აკეთებს მოქმედების არჩევანს, ის იყენებს **გადაწყვეტილების ხეს** – ქვევით წარმოდგენილ დიაგრამას, რომელიც გამოხატავს სამომავლო ქმედებებს მოსალოდნელ ციფრებში(Gupta, 2001).

დიაგრამა 1. გადაწყვეტილების ხე



გადაწყვეტილების ხე

გადაწყვეტილების ხე სქემატურად იყოფა მოქმედებებად და შედეგებად. ქმედებები წინასწარ განსაზღვრულია, შედეგები კი სავარაუდო.

გადაწყვეტილების ხე შედგება ოთხი განაყოფისაგან:

1. **გადაწყვეტილების განაყოფი.** პუნქტი, რომელშიც გადაწყვეტილების მიმღები ირჩევს მოქმედების კურსს.
2. **შესაძლებლობის განაყოფი.** პუნქტი, რომელიც მოქმედების შედეგს გვიჩვენებს.
3. **ალბათობის განაყოფი.** პუნქტი, რომელიც მოქმედების შედეგს აფასებს. ალბათობა განისაზღვრება ან ობიექტურ ალბათობაზე დაკვირვებით, ან ექსპერტთა სუბიექტური შეფასებების შედეგად.
4. **უკუგება.** ამ კონკრეტული გადაწყვეტილების შედეგად მიღებული მოგება ან წაგება. ის შეიძლება მონეტარულად გამოისახოს ან რაიმე სხვა შეთანხმებულ ერთეულში. ის შეიძლება იყოს რეალური ან აღქმადი მოგება ან წაგება.

იმისათვის, რომ გადაწყვეტილების ხე ანალიზის ეფექტიანი ინსტრუმენტი იყოს, მან უნდა მოახერხოს ყველა შესაძლო შედეგის იდენტიფიკაცია. ალტერნატივების იდენტიფიკაციის პროცესი *კოლექტიურად ამომწურავი* უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ არცერთი პოტენციურად განხორციელებადი ვარიანტი არ უნდა აღმოჩნდეს განხილვის მიღმა, მისი გამოცხრილვის დაწვრილებითი დასაბუთების გარეშე. უფრო მეტიც, ვარიანტები *ერთობლივად გამორიცხვადი* უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა განისაზღვროს ისე, რომ მათ ერთმანეთი არ გადაფარონ.

გადაწყვეტილების ხე გაურკვეველ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღების სქემატური გამოსახვის მეთოდია. ის, როგორც ზევით აღვნიშნეთ, თამაშის თეორიის ქვეშ მოიაზრება. **თამაშის თეორია არის მათემატიკური ტექნიკა** ორი ან მეტი ოპონენტის სტრატეგიული ურთიერთქმედების შესაფასებლად, რომელიც მათი შესაძლო ქმედების

მოლოდინს ეფუძნება. ეს ტექნიკა განსაკუთრებით გამოსადეგია აქტიური კონფრონტაციის სიტუაციებში, როცა სტრატეგიული გადაწყვეტილებაა მისაღები, და დარწმუნებული არ ხართ თქვენი ოპონენტის მოსალოდნელ ქმედებაში. მისი ხიბლი იმაშია, რომ სტრატეგიის ახსნის შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა სცენარში, იქნება ეს ჭადრაკის თამაში, პროფკავშირების გარიგება თუ საერთაშორისო მოლაპარაკებები (Gupta, 2001). რადგან მათემატიკურ მოდელირებას ეფუძნება, ლიტერატურა მასზე შესაძლოა იყოს მარტივიც და ძალიან რთულიც, პრაქტიკულიდან ეზოთერულამდე.

თამაშის თეორიაზე დაყრდნობით, შეგვიძლია მივაგნოთ დომინანტურ სტრატეგიას – სტრატეგიას, რომელიც ყველაზე მომგებიანია ჩვენთვის იმ კონკრეტულ სიტუაციაში. ოპტიმალური სტრატეგიის შერჩევას კი შეცდომის დაშვების ალბათობის მინიმიზაცია სჭირდება, რაც გაურკვეველ სიტუაციებში ყველაზე სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მოგვცემდა. გუფთა (2001) ამისათვის ოთხ ოქროს წესს გვთავაზობს:

1. **დავგეგმოთ და, იმავდროულად, საწინააღმდეგო ვერსიაც გავიაზროთ.** წარმატებული სტრატეგია დამოკიდებულია წინასწარ გააზრებულ ანალიზზე. თუმცა, დაგეგმვისას აუცილებელია ვიფიქროთ ოპონენტების მოსალოდნელ რეაქციაზე და მოქმედებათა მსვლელობის საწინააღმდეგოდ განვითარებაზე.
2. **თუ დომინანტი სტრატეგია გვაქვს, განვახორციელოთ.** ეს შესაძლოა მეგობრებსა და/ან თანამოაზრეებს არ შეგვძენს, მაგრამ, თუ გვაქვს დომინანტი სტრატეგია, უნდა გავითამაშოთ, მიუხედავად სიტუაციისა. ეს წესი განსაკუთრებით სასარგებლოა ნულოვანი ანგარიშის თამაშის შემთხვევაში, როცა მოთამაშეთა ინტერესები მკვეთრად გადაკვეთილია და ერთის მოგება მეორის წაგებას ნიშნავს.
3. **თანმიმდევრულად გამოვცხრილოთ ყველა დომინანტი სტრატეგია განხილვიდან.** თუ რამდენიმე ალტერნატივა გვაქვს, უნდა შევადაროთ შედეგები და გამოვცხრილოთ დომინანტი სტრატეგიები, რაც ოპტიმალურ, ყველაზე სასურველ სტრატეგიამდე მიგვიყვანს.
4. **ერთადერთი დომინანტი სტრატეგიის უქონლობის შემთხვევაში, ვიპოვოთ წონასწორობის წერტილი (ეკვილიბრიუმი).** დომინანტი სტრატეგიის უქონლობისას, დავყაბულდეთ ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტზე მოცემულ სიტუაციაში მოცემული მოთამაშეებისათვის. თამაშის თეორეტიკოსები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ სიტუაციაში ერთზე მეტი წონასწორობის წერტილიც არსებობს და არცერთიც.

პატიმრის დილემა

სოციალური თანამშრომლობის საკითხის განხილვას თუ დავიწყებთ, აუცილებლად მოგვიწევს თამაშის თეორიის ერთ-ერთი განშტოების – **პატიმრის დილემის განხილვა,** რაც არის სოციალური ერთიერთობების ახსნის მათემატიკური მცდელობა.

ნებისმიერი თამაში რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება – მოთამაშეები, წესები, სტრატეგიები, შედეგები, რომლებიც ურთიერთკავშირში არიან: ჩემი სტრატეგია განვითარდება ან შეიცვლება ჩემი შეხედულების მიხედვით შენს სტრატეგიაზე და პირიქით. ამიტომ თამაში არის ურთიერთგარდაქმნის, მუდმივი უკუკავშირის პროცესი და თამაშის თეორეტიკოსებს სჯერათ, რომ სოციალური ინტერაქცია რთული თამაშია, რომელშიც მონაწილე (სოციალური აქტორი) ცდილობს მისთვის სასურველი შედეგის უზრუნველყოფას მოწინააღმდეგის ქმედების ან საპასუხო რეაქციის მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით (Gupta, 2001).

ძირითადად ორი ტიპის თამაში არსებობს: კონფლიქტური და თანამშრომლობითი. კონფლიქტურია თამაში, რომელშიც მოსაგებ რესურსთა გარკვეული რაოდენობაა, ე.ი. რესურსი განსაზღვრულია (ნულოვანი ანგარიშის თამაში ან „უარყოფითი თამაში“), სადაც მოთამაშე იძულებულია ბრძოლით მოიპოვოს და არა თანამშრომლობით: ეს შესაძლოა საბაზრო ინდივიდუალიზმიდან დაწყებული, კლასობრივი კონფლიქტებით დამთავრებული (დამოკიდებულია იმაზე, მოთამაშე ინდივიდია თუ კლასი). თანამშრომლობითი თამაშები ის თამაშებია, რომელშიც რესურსები განუსაზღვრელია (არანულოვანი თამაში ან „პოზიტიური თამაში“). ასეთ თამაშებში შესაძლოა ყველა იყოს მოსარგებლე, თუ ისინი ითანამშრომლებენ. ეს თანამშრომლობა ასოციაციურია და სპონტანური. იგი დასაბამს საზოგადოების „ძირიდან“ იღებს ან, შესაძლოა, თავს მოხვეული და ცენტრალიზებული იყოს, „ზემოდან“ მომავალი. რადგან კეთილდღეობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ლიბერალური დემოკრატიის ფორმა, რომლის განხორციელება „ზევიდან-ქვევით“ თანამშრომლობითაა შესაძლებელი, პატიმრის დილემა თეორიულ საშუალებას გვაძლევს ვიდავოთ იმაზე, თუ რომელ მოდელს შეესაბამება სოციალური ურთიერთობა: კონფლიქტურს თუ თანამშრომლობითს.

ფიცპატრიკმა (2001) ასეთი მაგალითი წარმოგვიდგინა: წარმოვიდგინოთ ჰიპოთეზური სიტუაცია, რომელშიც ორი ეჭვმიტანილია დაკავებული ჩადენილ ყაჩაღობაზე, რომლის დროსაც მკვლელობა მოხდა. არცერთს არ ჰყავს მოწმე და ვერცერთს ვერ უმტკიცებენ მკვლელობას, თუმცა დარწმუნებულნი არიან, რომ ეს დანაშაული მათი ჩადენილია. ისინი ცალ-ცალკე საკანში არიან, ერთმანეთთან კომუნიკაციის გარეშე. გამოძიებას მათგან აღიარებითი ჩვენება სჭირდება. აღიარების მიღწევის მიზნით, გამომძიებელი თითოეულ მათგანს სთავაზობს სამ ვარიანტს და ეუბნება, რომ ამავე ვარიანტებს სთავაზობს მის მეგობარს. ვარიანტები ასეთია:

1. პირველი დაკავებული აღიარებს, რომ მისმა მეგობარმა ჩაიდინა მკვლელობა. ასეთ შემთხვევაში მას მიუსჯიან 2 წელს, ხოლო მეგობარს 15 წელს;
2. თუ ისიც და მისი მეგობარიც აღიარებენ მკვლელობას, ორივეს მიუსჯიან 15-15 წელს;
3. თუ ის არ აღიარებს დანაშაულს, ხოლო მისი მეგობარი აღიარებს, მას მიუსჯიან 20 წელს, ხოლო მეგობარს გაათავისუფლებენ.

მას არ ეუბნებიან რა ხდება, თუ არცერთი არ აღიარებს, მაგრამ იგი ხვდება: ორივეს ათავისუფლებენ, რადგან არ არსებობს არც აღიარება და არც მოწმე. საქმე ისაა, ენდობა კი ის თავის მეგობარს ამდენად? ან ენდობა მას მისი მეგობარი? თუ ამ კითხვაზე პასუხი არის „არა“ ან „არ ვარ დარწმუნებული“, მაშინ პირველ დაკავებულს ურჩევნია თავად აღიაროს და 5 წლით ნაკლები სასჯელი მოიხადოს, ვიდრე მისი დუმილისას მეგობარმა აღიაროს და მას 5 წლით მეტი მიესაჯოს. საქმე ისაა, რომ მეორე პატიმარიც სწორედ ამ ლოგიკას მიჰყვება. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს უპირატესი არჩევანი არის დუმილის შენარჩუნება, პირადი ინტერესი, კომუნიკაციის ნაკლებობა, სხვა მსგავსი შემთხვევების შესახებ მათი ცოდნა ორივე მათგანს აღიარებისაკენ უბიძგებს, რაც 15-წლიან პატიმრობას ნიშნავს ორივესათვის. პატიმრის დილემა ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ როგორ შეუძლია პირად ინტერესს სიტუაციის ყველასათვის უარესობისაკენ წარმართვა და ასევე იმის დემონსტრირებაც, რატომ შეიძლება პირადი ინტერესი იყოს უფრო რაციონალური სტრატეგია, ვიდრე ალტრუიზმი.

პატიმრის დილემის წარმოდგენილ ვერსიაში სოციალური ურთიერთობის კონფლიქტური მოდელი დომინირებს, რომელიც რაციონალური ადამიანის თვითკოორდინირების საუკეთესო საშუალებად ბაზარს მიიჩნევს. თუმცა წარმოდგენილი ექსპერიმენტის პირუკუ ეფექტის მიღებაა შესაძლებელი, თუ თანამშრომლობითა და რესიპროკალური ალტრუიზმით ვხელმძღვანელობთ. თუ, მაგალითად, თამაშის წესებს შევცვლიდით და პატიმრებს კომუნიკაციის საშუალებას მივცემდით ან ისინი მეტად ალტრუისტები იქნებოდნენ. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ძნელია სრული სიზუსტით იმის თქმა, თუ რომელი მოდელია უმჯობესი. საზოგადოება არც არსებითად კონფლიქტურია და არც თანამშრომლობითი. ამიტომ, სოციალური პოლიტიკა სოციალურ ფაქტებზე პასუხი კი არ არის, არამედ ნორმატიული ნააზრევით ნაკარნახევი სოციალური ფაქტების კონსტრუირების საშუალებაა იმის თაობაზე, თუ როგორი საზოგადოების ფორმირება გვსურს. ასე რომ, სოციალური პოლიტიკისადმი ნორმატიული დამოკიდებულება განისაზღვრება არა იმდენად იმ საზოგადოების მიერ, რომელშიც ვცხოვრობთ, არამედ იმ საზოგადოების მიერ, რომელშიც გვინდა ცხოვრება (Fitzpatrick, 2001, 2011).

როგორ გადავლახოთ *პატიმრის დილემა?* ახლა განვიხილოთ სტრატეგია, რომელიც პატიმრის დილემას გადაგვალახინებს. როგორც ვხედავთ, უმთავრესი მიზეზი, რატომაც ადამიანები პატიმრის დილემის წინაშე აღმოჩნდებიან, არის ის, რომ მათ ერთმანეთის ნდობა არ აქვთ. ასევე ისიც, რომ მათ ვერ შეძლეს „თანხმობამდე“, ე.ი. ორივე მხარისათვის მეტ-ნაკლებად მისაღებ პოზიციამდე მისვლა. მარტივად რომ ვთქვათ, მათ ვერ მოახერხეს გარიგება. ეს ორივე კი ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიად მიიჩნევა.

კონფლიქტური და თანამშრომლობითი მოდელი

კონფლიქტური და თანამშრომლობითი მოდელი შეესაბამება რაციონალური არჩევანისა და კოლექტიური ქმედების თეორიას. მოდით, თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ. რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით, საზოგადოება შედგება რაციონალური ინდივიდებისაგან, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი ინტერესი ამოძრავებთ. ინდივიდები, განურჩევლად მათი ფასეულობებისა და უპირატესობების იერარქიისა, რაციონალურად მოქმედებენ, როდესაც ისინი ცდილობენ საკუთარი სარგებლის მაქსიმალიზაციას და დანახარჯის მინიმალიზაციას. ხოლო, რადგანაც თანამედროვე საზოგადოება ინდივიდუალიზმისაკენ მიექანება და არჩევანის თავისუფლებას აღიარებს, ბაზარი მიიჩნევა უფრო მეტი ალტერნატივის შემთავაზებლად, ვიდრე ბიუროკრატია.

რაციონალური თეორიის მიხედვით, სოციალური პოლიტიკა არის რაციონალური და ინდივიდუალური ინტერესის ნაერთი. საუკეთესო შემთხვევაში, მისი პროკეთილდღეობის პოზიცია შემოიფარგლება ინდივიდუალისტური და არა კოლექტიური ხედვით. უარეს შემთხვევაში კი ის აღიარებს ანტიკეთილდღეობით პოლიტიკას, რომელიც სახელმწიფო სოციალური მომსახურებების მიმწოდებელთა (ექიმები, მასწავლებლები და ა.შ.) ინტერესების დაცვას ემსახურება და არა მომსახურების მომხმარებელთა (Fitzpatrick, 2001). რაციონალური არჩევანის თეორია სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემის პრივატიზაციისა და მარკეტიზაციისკენაა მიდრეკილი. არსებობს უამრავი მიზეზი, რატომაც ეს თეორია უარყოფილია, როგორც საზოგადოებისა და სოციალური აქტივიზმის არაადეკვატური განმარტება.

ფიცპატრიკის აზრით (2001), უპირველეს ყოვლისა, ის სუბიექტის შეზღუდული განმარტებაა. ანალიზის ცენტრალურ ერთეულად ინდივიდის განხილვა, როგორც საზოგადოების ატომად, მისი კლასიკური ეკონომიკისათვის საყვარელ რობინზონ კრუზოს ფიგურამდე დაყვანაა. ეს ასევე ბევრი თეორიის უარყოფაა, რომლებიც გასული საუკუნე-ნახევრის განმავლობაში სუბიექტებს ურთიერთდამოკიდებულ და სოციალურად განსაზღვრულ არსებებად წარმოაჩენდნენ. მეორე, თეორია მოისუსტებს ძალაუფლების გააზრებაში. რაციონალური არჩევანის თეორია, მიიჩნევს რა ძალაუფლებაში უთანასწორობას რაციონალური და თვითინტერესით გამოწვეული გადაწყვეტილებების საბოლოო პროდუქტად, უგულებელყოფს იმას, თუ რა როლს თამაშობს ძალადობრივი ქმედება ადამიანურ ურთიერთობებში. მაგალითად, იმ ფაქტს, რომ ადამიანი ხშირად რჩება ისეთ სიტუაციაში, სადაც დანახარჯი სარგებელს აღემატება და ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ აქვს ან ჰგონია რომ არ აქვს არჩევანის თავისუფლება. მესამე, თეორია უუნაროა ახსნას ალტრუიზმის არსებობა და კოლექტიური ქმედება. დაბოლოს, ის სათანადოდ ვერ აფასებს იმას, თუ რამდენად დამოკიდებულია საბაზრო ურთიერთობები ისეთ არარაოდენობრივ მაჩვენებლებზე, როგორებიცაა: ნდობა, მეგობრობა და თანამშრომლობა. ბაზარი არ არის უბრალოდ ეკონომიკურ გამოთვლებზე დამოკიდებული, როგორც ამის წარმოჩენა რაციონალური არჩევანის თეორიას სურს. ამ თეორიის მოწინააღმდეგეთა აზრით, ის უბრალოდ უუნაროა, ზოგადად, სოციალური ქმედებების და, კერძოდ კი, სოციალური პოლიტიკის ახსნისათვის.

კოლექტიური ქმედების თეორიის მიხედვით, ადამიანებს საერთო ინტერესებისათვის გაერთიანება მეტ სიკეთეს მოუტანს და უფრო მცირე დროში, ვიდრე ერთეული ინიციატივისას. ამ თეორიის კრიტიკოსთა აზრით კი არავინ მოისურვებს საზოგადოებრივი რესურსით სარგებლობისაგან თავშეკავებას. მათი მოტივაცია, ასეთი რესურსისათვის კონტრიბუცია გაიღონ, მცირეა ან არ არსებობს. მაგრამ, რა იქნება, რომ საზოგადოებრივი რესურსი კოლექტიურ მფლობელობაში იყოს? რა იქნება, რომ ადამიანები ჩაერთონ ეგალიტარულ, დემოკრატიულ დებატებში თავიანთ მეზობლებთან იმის თაობაზე, თუ როგორაა უმჯობესი, გამოიყენონ საერთო რესურსი და ცენტრალური მთავრობა დაფიქრდეს იმის თაობაზე, თუ როგორ მოაგვაროს მუქთა მომხმარებლის პრობლემა უფრო ნაკლებ ავტორიტარული გზით? როგორც ვხედავთ, რაციონალური არჩევანის თეორიაცა და კოლექტიური ქმედების თეორიაც საკმაოდ უუნაროა ახსნას, ზოგადად, სოციალური ქცევა და თანამშრომლობა, თუმცა პირველი სრულიად უუნაროა, მეორე კი გარკვეულ გამოსავალს მაინც გვთავაზობს.

რეალურად ეს დებატები უდევს საფუძვლად მემარჯვენეთა და მემარცხენეთა დამოკიდებულებას კეთილდღეობისადმი. მემარჯვენეები მიიჩნევენ, რომ კეთილდღეობა არის ინდივიდუალისტური, კოლექტიური აგრეგაცია კი შეუძლებელია, რადგან უმეტესი საქონელი კერძოა თავისი მოცემულობით მუქთა მომხმარებლის საფრთხისა და იმის გამო, რომ ინდივიდუალური ინტერესების სამსახური ადამიანის ქმედების ყველაზე რაციონალური სტრატეგიაა. ამიტომაც, მათი აზრით, სოციალური პოლიტიკა საბაზრო პრინციპებს უნდა ემყარებოდეს. მემარცხენეები კი თვლიან, რომ კეთილდღეობა ინდივიდუალურიციაა და კოლექტიურიც, რადგან არსებობს სოციალური კეთილდღეობა და არსებობს უამრავი საჯარო, გუნდური და ღირსებაზე ორიენტირებული საქონელი და ჩვენ ყველა ვართ მუქთა მომხმარებლები გარკვეულწილად. თანამშრომლობა კი ყველაზე რაციონალური სტრატეგიაა მართებულ სიტუაციაში. ამიტომაც, სოციალური

პოლიტიკა კოლექტიურ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, რაც სახელმწიფო ჩარევას ითხოვს (Fitzpatrick, 2001).

მემარჯვენეთა აზრით, ძალიან მცირეა ადამიანის სურვილი იზრუნოს სხვების ინტერესების დაკმაყოფილებაზე, თუ ის ამ სხვებს არ იცნობს. მათი აზრით უმჯობესია, რომ ბაზარს მივანდოთ ინდივიდუალური ქმედებები, რაც უკეთეს სოციალურ შედეგს მოგვიტანს, ვიდრე განზრახ მიმართული ქმედებები. მემარცხენეთა აზრით კი ჩვენ გვმართებს სხვა ადამიანებზე ზრუნვა, მაშინაც კი, თუ ჩვენ მათ არ ვიცნობთ, რადგან პირადი ინტერესი არის და უნდა იყოს რეგულირებული თანამშრომლობით, თანაზიარობითა და ალტრუიზმით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ერთის კეთილდღეობა დამოკიდებულია სხვათა კეთილდღეობაზეც.

ობიექტური ანალიზის საჭიროება

რადგან ნებისმიერი საჯარო პოლიტიკის და, მათ შორის, სოციალური პოლიტიკის უპირველესი მიზანია სოციალური კეთილდღეობის ზრდა, აუცილებელია ობიექტური ანალიზი. ამისათვის კი უნდა ჩამოვყალიბდეთ, ანალიზის რა მეთოდს გამოვიყენებთ. საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსები პროექტის მიზანს ინვესტირებას უკავშირებენ, ე.ი. შედეგს უკავშირებენ მისი მიღწევისთვის გაწეულ შენატანს. ეს სამ მიზეზს ემსახურება:

1. იმ მეთოდისა ან ანალიტიკური პროცესის არჩევას, რომელიც დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირის იდენტიფიცირებას მოახდენს;
2. შედეგების განზოგადებას;
3. კონტროლის ან პოლიტიკის მიმართულების დადგენას.

პრობლემა ისაა, რომ ხშირად ყოვლისმომცველი სოციალური მიზანიც კი წინააღმდეგობაში მოდის ინდივიდუალურ თავისუფლებასა და ინდივიდუალურ უფლებებთან. ხოლო, თუ ჩვენ დავუშვებთ კოლექტიური სურვილის არსებობის ფაქტს, ეკონომიკურ ტერმინებში კი „სოციალური მიზნის“ არსებობას, ჩვენ აშკარად ვაღიარებთ მის დომინირებას ინდივიდუალურ მისწრაფებებზე. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის ანალიზს თავისთავად არ ძალუძს გადაწყვეტილების მიღება, გარემოს, რომელშიც ამგვარი გადაწყვეტილებები მიიღება, დიდი მნიშვნელობა აქვს. ხშირად კი სწორედ გარემოა იმის განმსაზღვრელი, თუ ანალიზის რა მეთოდებსა და მიდგომებს გამოიყენებენ ანალიტიკოსები.

თავის შეჯამება

ანალიზი სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის გატარების უმთავრესი ფაზაა. სწორედ ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას ამ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი ძალაუფლების მქონე პირი.

ანალიზის სხვადასხვა ტექნიკა სხვადასხვა რესურსს ითხოვს. წინამდებარე თავში მიმოხილული ტექნიკებიც განსხვავდება გამოყენების სირთულის, სიზუსტის, პროგნოზირების პოტენციის მხრივ. ხარჯებისა და სარგებლის გააზრებაც სხვადასხვა პარამეტრით ხორციელდება. პირდაპირი და ირიბი, ხელშესახები და არახელშესახები ხარ-

ჯგებისა და სარგებლის შეფასებაც ცალმხრივად არ უნდა განხორციელდეს, რადგან ერთთა სარგებელი შესაძლოა აღმოჩნდეს დანახარჯი სხვათათვის.

ანალიტიკოსებს უწევთ რთული მოვლენებისა და ფაქტების შედეგების შეფასება და მათზე საპასუხო ხედვის ფორმირება. მათ ადამიანთა სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი გარემოებებისა და ფატალური შემთხვევების შედეგების შეფასებაც უწევთ. სწორედ ამიტომ განვიხილეთ მეთოდები, რომლებიც ადამიანის სიცოცხლის რისკებისა და/ან ამ რისკების გაღების კომპენსირებისთვის გამოიყენება.

ანალიზის ტექნიკების განხილვის პარალელურად, მისი შეზღუდვების გააზრებაც აუცილებელია. აქ მთავარი გამომწვევი ფაქტორებია ანალიტიკოსთა მიერ რეალობის შეზღუდული აღქმები, სუბიექტური შეხედულებები, დაურწმუნებლობა და ვარაუდები, სოციალური ფასეულობების განსაზღვრის სირთულე. სოციალური პოლიტიკა კი, ფიცპატრიკის აზრით (2001, 2011), სოციალური ფაქტების კონსტრუირების საშუალებაა და მისდამი ნორმატიული დამოკიდებულება განისაზღვრება იმ ფასეულობებით, რომლითაც ხელმძღვანელობს ის საზოგადოება, რომელშიც გვსურს ცხოვრება.

რადგან საზოგადოებრივი საქონლის ეფექტიანი მიწოდება რთულდება მისი გამოყენებისადმი ბარიერებისა და წარმოებისადმი ენთუზიაზმის არარსებობის გამო, სახელმწიფოს უწევს ამგვარი რესურსების მიწოდება-არმიწოდების საკითხზე პასუხისმგებლობის აღება. ამას კი სახელმწიფო მოხელეები სწორედ ანალიზზე დაყრდნობით ახორციელებენ. დროისა და რესურსების დაზოგვის მიზნით, ანალიტიკოსს და/ან ანალიზის დამკვეთ პოლიტიკოსს არჩევანის გაკეთება უწევს – „მიახლოებით გამოთვლაზე“ გააკეთონ არჩევანი თუ უფრო ზუსტ ანალიტიკურ მექანიზმებზე. მათ იმაზეც უწევთ ჩამოყალიბება, თუ რა პრინციპით იხელმძღვანელოს ანალიზის მომზადებისას – *ქმედითობის* თუ ისეთი სოციალური ღირებულებით, როგორიცაა ეფექტიანობა და სამართლიანობა. რადგან უმრავლესი სახელმწიფო პოლიტიკა თუ პროგრამა საზოგადოებას მოგებულთა და წაგებულთა ჯგუფად ყოფს, მნიშვნელოვანია, მოგებულთა და წაგებულთა ინტერესების გაწონასწორება და რესურსების მაქსიმალურად სამართლიანად გადანაწილება.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკის ფორმირებისათვის ანალიზი აუცილებელია, მაგრამ მას თავისთავად არა აქვს გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ამისათვის ხშირად ურთიერთდაპირისპირებული მხარეების, განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიისა და ფასეულობების მქონე პირთა შეთანხმებაა საჭირო და იმგვარი გარემოს ფორმირება, რომელიც ანალიტიკოსს დამოუკიდებლად მუშაობის და ანალიზის ობიექტურად მომზადების საშუალებას მისცემს. გარემო დიდწილად განსაზღვრავს იმას, თუ ანალიზის რა მეთოდებს გამოიყენებენ ანალიტიკოსები.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. თქვენი აზრით, რა არის ყველაზე დიდი გამოწვევა სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ანალიტიკოსისთვის? დაასაბუთეთ პასუხი.
2. პოლიტიკის ანალიზის რომელ ტექნიკას ანიჭებთ უპირატესობას? დაასაბუთეთ პასუხი.
3. თქვენი აზრით, რა არის ობიექტური ანალიზის გაკეთების მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი? დაასაბუთეთ პასუხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

Behn, D. R., Vaupel, J, W. (1982). Quick analysis for busy decision makers. *Journal of Policy Analysis and Management,V 3* (1) pp.1-173

Fitzpatrick, T. (2001). *Welfare Theory: An Introduction*. New York: Palgrave

Gupta, D.K. (2001). *Analyzing Public Policy: Concepts, Tools, And Techniques.* Congressional Quarterly Inc.

Mankiw, N.G. (2011). Principles of Economics (3rd ed.). Thomson

Midgley, J., Tracy, M.B., Livermore,M. (2000). *The Handbook of Social Policy.* London. Sage Publication.

National Research Council (1991). Microsimulation Models: Then And Now", ch.4 pp. 101-122. In Improving Information for Social Policy Decisions: The Uses Of Microsimulation Modeling, Vol 1. Washington D.C. National Academy Press.

Weimer, D.L.,Vining, A.R. (1999). *Policy Analysis: Concepts and Practice*. Prentice Hall

ნინო შატბერაშვილი

თავი 10

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობისათვის

შესავალი

წინამდებარე თავი ცდილობს დაგვეხმაროს სოციალური ინკლუზიის, როგორც ადამიანის კარგად ყოფნისა და ცხოვრების ხარისხის განმაპირობებელი ფაქტორის, გააზრებაში. ის სოციალური ექსკლუზიის კონცეფციასაც განიხილავს, როგორც სოციალური პოლიტიკის ფორმირების განმსაზღვრელ კონცეფციას; როგორც უთანასწორობის აღმოფხვრის ერთ-ერთ მიდგომას. ის გვაცნობს მისი წარმოშობის ისტორიას, ვიდრე სოციალური პოლიტიკის კონცეპტუალურ ჩარჩოდ დამკვიდრებამე.

ავტორი ცდილობს დაეხმაროს მკითხველს იმის გააზრებაში, თუ როგორ და რა დონეზე მოიცავს ან რიყავს კეთილდღეობის სისტემა ერთ ჯგუფს, სხვათა მოცვისა და/ან გარიყვის ხარჯზე; რა მექანიზმებს ძალუძთ ინკლუზიისა და ექსკლუზიის გაძლიერება; რა როლი აქვს სოციალურ მუშაკს სისტემის ფუნქციონირებასა და ადამიანთა მხარდაჭერაში, რომ თავი სოციალური ქსოვილის ნაწილად იგრძნოს. თავში განხილულია, რამდენად განაპირობებს სხვადასხვა საკითხი და/ან მოვლენა კეთილდღეობის სისტემათა ფორმირებას; ამ თუ იმ ჯგუფის ადამიანთა სოციალური მდგომარეობა ან პოზიცია მათ დაწინაურებას ამ სისტემებში. მკითხველი გაეცნობა ასევე თანასწორობის პრინციპებს, საზომ მეთოდებს. თავი მკითხველს წარმოუდგენს ურთიერთსაპირისპირო ხედვებსაც სოციალური ინკლუზიისა და თანასწორობის საკითხებზე, რაც მას კრიტიკული ხედვის ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

სოციალური ექსკლუზია და ინკლუზია

სოციალური ექსკლუზიის კონცეფციის ფორმირების ისტორია

სოციალური ექსკლუზია, როგორც ტერმინი, 1970-იან წლებში გაჩნდა. მას ქამელეონ კონცეფციასაც კი უწოდებენ, რადგან სხვადასხვა სოციალური რეფორმის, პროექტისა და ანალიზის მოცვა შეუძლია (Daly, 2011). ის კონცეპტუალურად კონკრეტული ჯგუფების ძირითადი საზოგადოებისაგან მოწყვეტას გულისხმობს, რაც პოსტინდუსტრიული კაპიტალიზმის თანმხლები პროცესია (Daly, 2011, Pierson, 2013). გაჩნდა შიში იმისა, რომ ხალხი აღარაა კონტაქტში ოჯახთან და ახლობლებთან, შორდება ძირითად სოციალურ ფასეულობებს (Silver, 1994). 1990-იანი წლებიდან ამ კონცეფციაზე დაყრდნობით ყალიბდება სოციალური პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებში, სოციალური პრობლემების განსაზღვრისა და მათზე საპასუხოდ (Pierson, 2013).

ეს კონცეფცია თითქმის არცერთ ქვეყანაში არ გამხდარა სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელი იმ მასშტაბით, როგორც ეს დიდ ბრიტანეთში მოხდა 1990-იანი წლების მიწურულს. ამ პერიოდში შრომის პარტია ქვეყანაში არსებული უთანასწორობის

დაძლევას სწორედ ამ მიდგომის გამოყენებით ცდილობდა. მთავრობამ სოციალური ექსკლუზიის დეპარტამენტთშორისი ერთეულიც კი შექმნა, რომლის მიზანი იყო ერთობლივი ძალისხმევით საერთო პრობლემების დაძლევა. ამ პერიოდში განვითარებული სამყაროს თითქმის ყველა ქვეყანა (გარდა ახალი ზელანდიისა) საშემოსავლო უთანასწორობის, ბავშვთა სიღარიბის (გარდა იტალიისა) წინაშე იდგა კონსერვატიული მთავრობების პოლიტიკის შედეგად (Sutherland, 2002).

საწინააღმდეგო დამოკიდებულება ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. სოციალურმა ექსკლუზიამ, როგორც კონცეფციამ, ფეხი ვერ მოიკიდა სოციალურ პოლიტიკასა და კვლევაში. ის უპირატესად სივრცით ასპექტებზე ფოკუსირდა და ორი მიმართულებით დაიწყო მოქმედება: ადამიანთა ადგილმდებარეობის შეცვლა, ე.წ. რელოკაცია, მათი არასასურველი სამეზობლოდან უფრო სასურველში გადაყვანა და კომპლექსური სათემო ინიციატივები (ორივე მიდგომას დეტალურად მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ).

რელოკაციისა და კომპლექსური სათემო ინიციატივები

რელოკაციის მიდგომამ ახალ გარემოში განსახლებული ოჯახების უმრავლესობას დადებითი ცვლილებები მოუტანა: მათი შვილების კოლეჯში სწავლის გაუმჯობესებული მაჩვენებლები, საცხოვრისის საკითხის სტაბილიზაცია, ახალგაზრდათა დასაქმებისა და ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებლების ზრდა. რელოკაციის პოლიტიკა აისახა მაღალფასიანი საცხოვრებლების ბაზარზეც, რადგან ინკლუზიური ზონირების პოლიტიკის პრინციპები ჩამოყალიბდა. ზონირების პოლიტიკა დაბალშემოსავლიანი მოსახლეებისათვის იყო არადროებითი ზომა. მან, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ამ საცხოვრისების გარკვეული ნაწილის შესყიდვისა და ფედერალური სუბსიდირების საშუალებით, სიღარიბის ზღვრის ქვევით მყოფებს მდიდრულ უბნებში ცხოვრების საშუალება მისცა. ეს კი, თავის მხრივ, სოციალური ინკლუზიის ხელშემწყობია. ბავშვებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან სკოლასა და სამეზობლოში სოციალურად დაწინაურებულთა შვილებთან ერთად სიარულის საშუალება მიეცათ, რაც სოციალური კაპიტალის ფორმირების პროცესის ხელშემწყობია. შედეგად კი იღებენ საოჯახო სტრუქტურის სტაბილობას, მომსახურებებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდილ მაჩვენებლებს, დასაქმების უნარ-ჩვევების გაუმჯობესების შანსებს, მშობლებისათვის სახლთან ახლოს დასაქმების შესაძლებლობების ზრდას, პროსოციალური დამოკიდებულებისა და ქცევების და სოციალურად მიუღებელი ქცევის მქონე თანატოლებთან და/ან ჯგუფებთან ურთიერთობის ან დაკავშირების შემცირებულ შანსებს.

დაბალპროდუქტიული და მაღალი დაუსაქმებლობის მაჩვენებლების მქონე დასახლებებიდან მოსახლეობის გაყვანა, დაუსაქმებლობის დაბალი მაჩვენებლების შენარჩუნების გარანტიაა. ამასთან, ლოკაციაზე ცენტრირებული პროგრამები სოციალურ ექსკლუზიას უწყობს ხელს, რადგან მათი სიკეთეები მესაკუთრეთა კეთილდღეობას უფრო ხმარდებოდა, ვიდრე პირდაპირ სამიზნეს. ასევე, სახელმწიფოს მიერ საგადასახადო კრედიტების შეთავაზება ფირმებისათვის, ასეთ ტერიტორიებზე ინვესტირებისათვის, ზრდის რენტისა და კერძო საკუთრების ფასს. ეს მზარდი ეკონომიკური აქტივობა საცხოვრისის ფასსაც ზრდის და დაგეგმილი სარგებელი მცირდება. ამიტომ სამუშაო ბაზარზე მარგინალიზებულთა დასაქმების მოტივირებისა და წახალისების პოლიტიკა უფრო ეფექტიანი მექანიზმია (Mankiw, 2004).

კომპლექსური სათემო ინიციატივები მრავალგანზომილებიანი სიღარიბის და დაბალშემოსავლიანი სამეზობლოების წინაშე არსებული პრობლემების ალაგმვას ისახავს მიზნად. ისინი ისეთი დიდი ორგანიზაციების მიერაა მხარდაჭერილი, როგორებიცაა: ფორდი, ენი ქეისი, როკფელერის ფონდი. ისინი მხარს უჭერენ ადამიანთა გაძლიერებას მათი უნარ-ჩვევების განვითარებით ამ სამეზობლოებში და საცხოვრებელი გარემოს განახლებაში. დაუსაქმებლობის მაღალი მაჩვენებელი, ჯანმრთელობის პრობლემები, დანაშაულის მაღალი მაჩვენებელი ურთიერთგამაძლიერებელი ფაქტორებია. სამეზობლო ეფექტი დიდია ექსკლუზიის ფაქტორების გაძლიერებისა და გამრავლებისათვის. ახალშობილთა სიკვდილიანობა, არასრულწლოვანთა ორსულობა, სკოლის გაცდენა, ანტისოციალური ქცევა შესაძლოა სამეზობლოსთან იყოს დაკავშირებული.

ლატრონი და პაუერი (2002) ცდილობენ ახსნან ციკლური ექსკლუზია, რომელშიც ერთხელ მოხვედრა იქიდან თავის დაღწევის შანსებს ამცირებს. მკვლევრებმა წარმოაჩინეს კავშირი ანტისოციალური ქცევის და კონტროლის ნაკლებობასა და სოციალური კავშირებისა და პროსოციალური ნორმების ზედამხედველობის შესუსტებას შორის. გარემოსთან დაკავშირებული რისკები ცვლის უძრავი ქონებისადმი დამოკიდებულებასაც. ამგვარ გარემოში აღარავის სურს ცხოვრება, რადგან მისი რეპუტაცია მცირდება და ვისაც შეუძლია ტოვებს იქაურობას. მასში კი ახალი მობინადრეები სახლდებიან, რომლებსაც სხვა არჩევანი არ აქვთ. სოციალური კაპიტალი განლეულია, სამეზობლო მოწყვეტილია შემოგარენის სხვა დასახლებებს. დალი (2011, p. 55) ცდილობს გაიაზროს, სოციალური კაპიტალი „სოციალური წებოს“ როლს ასრულებს, რომელიც ჯგუფებს, თემებსა და საზოგადოებას აკავშირებს თუ „სოციალური ლუბრიკანტის“, რომელიც ადამიანებს ერთმანეთთან მშვიდი ურთიერთობის საშუალებას აძლევს, როგორც ამას ამერიკელი პოლიტოლოგი პუტნემი წარმოაჩენს; თუ ის ჯგუფებს შორის საზღვრებისა და სოციალური უთანასწორობის განმტკიცების საშუალებაა, როგორც ამას ფრანგი სოციოლოგი ბურდიე ამტკიცებს.

სოციალური ექსკლუზიის კონცეფციის ძლიერი და სუსტი მხარეები

ბონკე (Bonke, 2008ბ) სოციალური ექსკლუზიის კონცეფციის ოპერაციონალიზაციას ახდენს, როგორც აღიარების, დაფასების გრძნობა, მონაწილეობის შეგრძნება. მან აღმოაჩინა, რომ ევროკავშირის პირველი 15 წევრი სახელმწიფოს მოსახლეობას უფრო მაღალი მიკუთვნებულობის გრძნობა აქვს, ვიდრე შედარებით ახლადგაწევრიანებული ქვეყნებიდან. ზოგადად, მიკუთვნებულობის განცდა უფრო მძაფრია მდიდარ ქვეყნებში, თუმცა განსვლა მიკუთვნებულობის გრძნობაში ეკონომიკურად დაწინაურებულთა და ღარიბთა შორის უფრო მცირეა შედარებით ნაკლებად მდიდარ ქვეყნებში. მდიდარ ქვეყნებში კი, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკონომიკურად დაწინაურებულია, წარუმატებლობა ეკონომიკურად წარუმატებელთა მცირე ნაწილს მიეწერება, როგორც მათი ინდივიდუალური და არა სტრუქტურული პრობლემა. საზოგადოებისაგან გარიყულთათვის ეს უსიამოვნო, მათი სუბიექტური კარგად ყოფნის დამაკნინებელი ფაქტორია, თუმცა ოჯახიდან გარიყულობის შეგრძნება სოციალური გარიყულობის უფრო მძაფრი პრედიქტორია. ამიტომ, ასეთი სოციალური ქსელების არარსებობას კეთილდღეობის სისტემა აკომპენსირებს (დალი, 2011).

სოციალური ექსლუზია, როგორც კონცეფცია, ერთი მხრივ, ცდილობს სიღარიბის სტრუქტურული მიზეზების, მეორე მხრივ კი მათი მორალური, კულტურული და ქცე-

ვითი მახასიათებლების აღმოფხვრას. მისი განმსაზღვრელია წარუმატებელი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის ნაზავი. შესაბამისად, ის მრავალშრიანი წარუმატებლობაა, ე.ი. ის „არაკეთილდღეობაა“. ის ამცირებს ადამიანის შანსს ეკუთვნოდეს სოციალურ ერთობას, რომელშიც მას არა მხოლოდ ჩართულობის, არამედ ანგარიშვალდებულების განცდა აქვს (Spicker, 1997). ის ამოცანად ისახავს სიღარიბის ხელშემწყობი ინდივიდუალური და ოჯახური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების განსაზღვრას; ასევე, ფსიქოლოგიური გარიყულობის, როგორც სიღარიბის თანმხლები მოვლენის, გააზრებას. ამიტომაც ამ პრობლემაზე პოლიტიკის დონეზე რეაგირებისათვის საჭირო გახდა ადამიანთა დახმარება არა მხოლოდ შემოსავლების გზით, არამედ მათ ქცევით ცვლილებებზე ორიენტირება.

ვინ მოიაზრება გარიყულად? მაგალითად, რენე ლენუარი (1974, 1989) სოციალურად გარიყულებად არა მხოლოდ ღარიბებს მიიჩნევს, არამედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს (შშმპ), კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს, ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე პირებს, სოციალურად არაადაპტირებულ პირებს. მათ მოქალაქეობის შეზღუდული უფლებები აქვთ ან იმის გამო, რომ დისკრიმინირებულნი არიან, ან იმის გამო, რომ მათი ქცევა შეუსაბამოა იმ საზოგადოებასთან, რომელშიც ცხოვრობენ. შესაბამისად, ისინი კეთილდღეობის სისტემიდან ამოვარდნილები არიან და ვეღარ სარგებლობენ იმ ძლევამოსილი მექანიზმებით, რომლებსაც მათი დახმარების ძალა შესწევთ, როგორიცაა, მაგალითად, სასამართლო, პროფესიული კავშირები.

სოციალური ექსკლუზიის კონცეფციას ბევრი საზიარო აქვს პიტერ ტაუნსენდის (1979) შედარებითი სიღარიბის კონცეფციასთან. თავის კლასიკურ ნაშრომში ის ამბობს, რომ ცხოვრების სტანდარტი განისაზღვრება ცალკეული საზოგადოების მიერ. ეს მხოლოდ შემოსავლებს არ უკავშირდება, არამედ ჯანმრთელობის მდგომარეობას, კარგად ყოფნას, ხელმისაწვდომობას იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც კონკრეტული საზოგადოება მიიჩნევს საჭიროდ.

ზოგადად, სოციალური ექსკლუზიის, როგორც კონცეფციის, განმარტება საკმაოდ რთულია, რადგან განსხვავებულ იდეოლოგიურ ხედვებს ითავსებს. ლევიტასი (Pantazis et al., 2006) სამ ურთიერთსაწინააღმდეგო დისკურსს გვაცნობს სოციალურ ექსკლუზიაზე საუბრისას: „რედისტრიბუციონისტული“, „ქვეკლასის“ და „სოციალური ინტეგრაციონისტული“. „რედისტრიბუციონისტული“ დისკურსი, უკიდურესი უთანასწორობის დაძლევის გზად საგადასახადო სისტემას, ბენეფიტებისა და მომსახურებების სისტემას მიიჩნევს. „ქვეკლასის“ დისკურსი, რომელიც სოციალური ნორმების დაცვის უუნარობას, განსაკუთრებით სამუშაო ეთიკის თვალსაზრისით, ინდივიდუალური მახასიათებლებით ხსნის და გარიყულთა მთელ პრობლემებს მათივე ინდივიდუალური ქცევისა და დამოკიდებულების პრობლემად მიიჩნევს. „სოციალური ინტეგრაციონისტული“ დისკურსი ფოკუსირებს შრომის კულტურასა და დასაქმების ბაზარზე ფეხის მოკიდებაზე, როგორც სოციალურად შეჭიდული საზოგადოების მახასიათებელზე.

დალი (2011) კონცეფციის სისუსტეებსა და ბუნდოვანებაზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, არ არის ნათელი, რამდენად უსვამს ის ხაზს ისეთ სტრუქტურულ ფაქტორს, როგორიცაა უთანასწორობა; თუ ის ინდივიდუალურ ფაქტორებზე აპელირებს, მაგალითად, როგორიცაა ინდივიდუალური ქცევები და დამოკიდებულებები. ასევე, ის აქცენტირებს ღარიბთა და მარგინალიზებულთა და არა მთელი საზოგადოების პრობლემების შესწავლაზე. ის კონცეფციის სისუსტედ მიიჩნევს ასევე ბუნდოვანებას

იმის თაობაზე, სოციალური უთანასწორობა ტრადიციული – კლასობრივი დაყოფის საფუძველზე კონცეპტუალიზდება თუ ის ჩაანაცვლა უთანასწორობის ახალმა ფორმებმა.

თანასწორობა, როგორც სოციალური ინკლუზიის საწინდარი

თანასწორობა/უთანასწორობის საკითხზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია მათი გააზრება თეორიულ ჩარჩოში. ამისათვის უნდა ჩამოვყალიბდეთ, შესაძლებლობების თანასწორობაზე ვსაუბრობთ თუ შედეგების. ამას მივყავართ სამართლიანობის გააზრების აუცილებლობისაკენ. გრევი (2015) გვთავაზობს სამართლიანობის გააზრებას იდეოლოგიური და დროითი თვალსაზრისით. პირველს ავტორი სამ ჭრილში განიხილავს: უტილიტარული, ეკონომიკურ-ეგალიტარული, ლიბერტარიანული; მეორეს კი დროის მოკლე პერიოდსა და თაობათაშორის განსხვავებების ჭრილში. ამასთან ის თანასწორობის საკითხს ფიცპატრიკის მიერ წარმოდგენილ მიდგომაზე დაყრდნობით განიხილავს. პიცპატრიკი (2001, 2011) ასხვავებს: შესაძლებლობათა თანასწორობას კეთილდღეობისთვის, შესაძლებლობათა თანასწორობას რესურსებისთვის, კეთილდღეობის თანასწორობას და რესურსთა თანასწორობას.

თანასწორობა ითხოვს ყველა ადამიანისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. მაგალითად, იდენტური განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებისადმი თანაბარ ხელმისაწვდომობას, რომ მას შეეძლოს მისთვის სასურველი მომავლისთვის გარანტიების შექმნა. თუმცა აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ცხოვრების ერთ მომენტში მიღებული გადაწყვეტილება ზეგავლენის მქონეა ცხოვრების მომდევნო ეტაპებზე შესაძლებლობების გახსნასა და/ან შეზღუდვაზე. ან დგება საკითხი, თანაბრად უნდა მიეწოდოს თუ არა ბენეფიტები და/ან მომსახურებები ყველას? მაგალითად, მათაც, რომლებმაც იშრომეს და დანაზოგი აქვთ და მათაც, რომლებმაც, ხარჯვითი უყაირათობის გამო, დანაზოგი ვერ დააგროვეს? ან მათ, რომელთაც საერთოდ არ უშრომიათ და სიღარიბეში ცხოვრობენ? ასევე კითხვა ჩნდება, რომ, თუ საწყისი რესურსი უთანასწოროა, მაგალითად, მსუყე მემკვიდრეობის მიღების გამო, მოიტანს თანასწორობას თანაბარი შესაძლებლობების შექმნა?

როგორც ვხედავთ, ფიცპატრიკის მიერ წარმოდგენილი თანასწორობის საზომის პირველი ორი მიდგომა (შესაძლებლობათა თანასწორობა კეთილდღეობისთვის და შესაძლებლობათა თანასწორობა რესურსებისთვის) შესაძლებლობებს უკავშირდება, მეორე ორი (კეთილდღეობის თანასწორობა და რესურსთა თანასწორობა) კი შედეგებს. სწორედ ამგვარი გადაჯაჭვულობა მიდგომებს შორის ართულებს მხოლოდ ერთ მიდგომაზე ორიენტაციით საკითხზე მსჯელობასა და გამოსავლის გამოძებნას. შედეგებზე ორიენტაციით საშუალება გვეძლევა დავადგინოთ უთანასწორობის ხარისხი. ამასთან, მოკლე პერიოდის შედეგებზე ან შესაძლებლობებზე კი არ უნდა ვკონცენტრირდეთ, არამედ იმაზე, თუ რამდენად ნარჩუნდება თანაბარი შესაძლებლობები და შედეგები ცხოვრების მანძილზე. თეორიულად ეს მომხიბლავი იდეაა, თუმცა ძალიან რთული ამოცანაა პრაქტიკაში განხორციელებისათვის. ამასთან, თუ ცხოვრების ბოლოს გაკეთებული ანალიზით უთანასწორობის მაღალ მაჩვენებელს მივიღებთ კონკრეტულ ადამიანთან მიმართებით, რთული იქნება ამ უთანასწორობების აღმოფხვრა პოსტფაქტუმ.

მნიშვნელოვანია, განვასხვაოთ ვერტიკალური და ჰორიზონტალური თანასწორობა. პირველი ე.წ. რობინ ჰუდის რედისტრიბუციის სახელით მოიხსენიება – მდიდრები-

დან ღარიბებზე რედისტრიბუციის გამო. მეორე კი იდენტურთა იდენტურად მოპყრობასა და შესაძლებლობებისა და შედეგების თანასწორობას გულისხმობს. განურჩევლად იმისა, თუ რა რესურსების მფლობელები არიან ადამიანები, მომსახურებებს ისინი ზუსტად ერთნაირად იღებენ.

არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ უთანასწორო საზოგადოებაში, გარდა იმისა, რომ დანაშაულის უფრო მაღალი მაჩვენებელია, ურთიერთნდობისა და სოციალური შეჭიდულობის მაჩვენებელი დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ზუსტად არ ვიცით რამდენად შეამცირებს სოციალურ შეჭიდულობას უთანასწორობის მაჩვენებლების ზრდა, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კავშირი მათ შორის არსებობს. ამასთან, სულ უფრო მეტი კვლევა ცხადყოფს, რომ მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდით სოციალური შეჭიდულობა, რაც ადამიანთა კეთილდღეობისათვის ასე მნიშვნელოვანია, არააუცილებლად იზრდება. თუ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ არანაირი დადებითი ზეგავლენა არ მოახდინა ადამიანთა სუბიექტურ კარგად ყოფნაზე და არაერთმნიშვნელოვნად ცხადყო უთანასწორობის მაჩვენებლების გაუარესება, გამოდის, რომ მშპ-ის ზრდამ საზოგადოებას საერთო სარგებელი არ მოუტანა (Toynbee & Walker, 2008).

ჯინის კოეფიციენტის ყოველი ერთი ერთეულით ზრდას სდევს დაბალი კოგნიტური განვითარების მქონე ადამიანთა წილის 1.3 პროცენტით ზრდა. ეს ცხადყოფს უთანასწორობის ზრდის გვერდით ეფექტებს, რომელიც საზოგადოებას სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვება ყოველ დაგვიანებულ დღეზე. ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებლების ყოველი 10 პროცენტით ზრდას, კოგნიტური პრობლემების მქონე ზრდასრულების რაოდენობის 8.5-პროცენტიანი ზრდა მოჰყვება (Esping-Andersen, 2002). ნათელია, რომ, რაც უფრო ადრე დაიწყება უთანასწორობის მაჩვენებლების შემცირებისკენ მიმართული სოციალური პოლიტიკის განხორციელება, მით უფრო შთამბეჭდავი შედეგი მიიღება არა მხოლოდ სოციალური და მორალური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

როგორ ვზომავთ უთანასწორობას

უთანასწორობას სხვადასხვა მეთოდით ვზომავთ. ყველაზე ხშირად კი გამოიყენება ჯინის კოეფიციენტი, სიღარიბის რისკი და 80/20 წესი. განვიხილოთ თითოეული ცალცალკე.

ჯინის კოეფიციენტი უთანასწორობის ხარისხს ზომავს შემოსავლების ფაქტობრივი დისტრიბუციის შედარების საფუძველზე, იმ ჰიპოთეტური დაშვებით, რომ ყველას იდენტური შემოსავალი აქვს. ინდექსის კოეფიციენტი 0-დან 1-მდე მერყეობს, სადაც 0 ნიშნავს შემოსავლების სრულად თანაბრად გადანაწილებას, ხოლო 1 – მაქსიმალურად არათანაბრად გადანაწილებას. შესაბამისად, რაც უფრო ახლოსაა მაჩვენებელი 0-თან, მით უფრო ნაკლებია უთანასწორობა. ეს ნიშნავს, რომ დაბალშემოსავლიანი ადამიანები მოსახლეობის მთლიანი შემოსავლის მცირე წილს იღებენ. ხოლო, რაც უფრო ახლოსაა მაჩვენებელი 1-თან, მით მეტია უთანასწორობა საზოგადოებაში. ეს კი ნიშნავს, რომ მაღალშემოსავლიანი ადამიანები მოსახლეობის მთლიანი შემოსავლის დიდ წილს იღებენ.

ჯინის კოეფიციენტს, როგორც უთანასწორობის საზომს, თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს. მისი ძლიერი მხარეა ის, რომ მისი გამოყენებით უთანასწორობის დონე იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთლიანი უთანასწორობა იცვლება. ის არ იცვლება მცირე ცვლილებების გამო მაღალ- ან დაბალშემოსავლიანთა ცხოვრებაში.

მისი სისუსტე კი ის არის, რომ ჯინის კოეფიციენტი არაფორმალურ შემოსავალს ვერ აღრიცხავს, რაც მაღალი დონის კორუფციის მქონე ქვეყნებში მნიშვნელოვნად ცვლის რეალურ სურათს.

სიღარიბესა და მის საზომებზე დეტალურად მე-11 თავში ვისაუბრებთ, თუმცა აქ უნდა ვახსენოთ სიღარიბის სოციალური ასპექტები, რაც პირდაპირ უკავშირდება თანასწორობა/უთანასწორობის საკითხსა და სოციალურ ინკლუზიას. შემოსავალი ადამიანს განუსაზღვრავს, რა სახის სოციალურ ღონისძიებებში შეძლებს ჩართვას, რამდენად შეძლებს სოციალიზაციის სასურველ ფორმებს მიმართოს ან სიხშირეს მიაღწიოს. მაგალითად, საქართველოს რეალობაში, მეგობრებსა და ნათესავებთან დროის გატარება სოციალური ნორმაა, თუმცა ბევრ ადამიანსა და ოჯახს იცნობთ ალბათ, რომლებსაც მეგობრების შინ მოპატიჟების ან მათთან ერთად დროის გატარების საშუალება არ აქვს.

80/20 წესი უთანასწორობის დასადგენად ადარებს მოსახლეობის უმდიდრესი 20 პროცენტის შემოსავლებს უღარიბესი 20 პროცენტისას. თუ წლის განმავლობაში, მოსახლეობის უმდიდრესი 20 პროცენტი მთელი შემოსავლის 40 პროცენტს გამოიმუშავებს და უღარიბესი 20 პროცენტი 8 პროცენტს, 80/20 წესის მიხედვით, უთანასწორობის მაჩვენებელი იქნება 5 (40 : 8 = 5). 80/20 წესს უფრო მაღალი გაფანტულობის მაჩვენებელი აქვს, ვიდრე ჯინის კოეფიციენტს, რადგან ის მერყეობს ერთიდან (სრულიად თანასწორსა და) უსასრულომდე (სრულიად უთანასწოროს შორის) (Greve, 2015).

უთანასწორობა უკავშირდება განათლების მიღებით განპირობებულ წარმატებასაც. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (Organization for Economic Co-operation and Development/OECD) მიერ განხორციელებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ადამიანის შესაძლებლობა, მიიღოს უმაღლესი განათლება, კავშირშია მისი მშობლების განათლების მაჩვენებელთან (Causa et al., 2009). ეს წარმოქმნის რისკს, რომ უთანასწორობა თაობიდან თაობას გადაეცემა, სოციალური მობილობის დაბალი დონის გამო, თითქმის ყველა სისტემაში. ამ ფენომენს „სოციალურ მემკვიდრეობას“ უწოდებენ (Greve, 2015, p.150). ეს არ ნიშნავს, რომ არანაირი სოციალური მობილობა არ ხდება, მაგრამ ეს ხაზს უსვამს იმას, რომ უწყვეტი უთანასწორობა ვერ აღმოიფხვრება კეთილდღეობის სისტემის ჩარევის გარეშე. სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია სოციალური მუშაკი, რომელსაც ასფალტერი „სოციალური პოლიტიკის ფუნდამენტს“-აც კი უწოდებს. ის იხსენებს მის ლექციაზე დამსწრე, კანონთან კონფლიქტში მყოფ, არასრულწლოვნებს, რომლებიც მალაიზიის *ქალთა, ოჯახისა და თემის განვითარების სამინისტრომ* სწორედ მათი სოციალური და კულტურული შესაძლებლობების, ე.ი. სოციალური და კულტურული კაპიტალის შესაქმნელად საგანგებოდ მიიწვია 2007 წელს. მნიშვნელოვანი იყო მათ თავი დაფასებულად და საზოგადოების ნაწილად, მის სრულფასოვან წევრებად ეგრძნოთ და საპასუხო პატივისცემაც გამოეხატათ (Aspalter, 2014). ამასვე უსვამს ხაზს ვაცლავ ჰაველი, როდესაც ის ამბობს, რომ ყოველდღიური ცხოვრების ცივილიზებულობის დონის გაუმჯობესებას ბევრი თვალსაზრისით შეუძლია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაც (Havel, 2002 cited in Aspalter, 2014).

სხვადასხვა ქვეყანაში ზემო მობილობის შანსებიც განსხვავებულია. ეს ყოველთვის ქვეყნის განვითარების მაჩვენებლებთან არ არის კავშირში. მრავალმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ზემო მობილობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ევროპასა და კანადაში, ვიდრე ამერიკაში (DeParle, 2012). მაგალითად, ახლახან ჩატარებულმა ხუთმა კომპლექსურმა კვლევამ ამერიკული ოცნების შესახებ მითი გაახუნა. აღმოჩნდა, რომ დაბალშე-

მოსავლიანი ოჯახებიდან მამაკაცთა 42 პროცენტი შემოსავლების ქვედა მეხუთედიდან დარჩნენ იქ ზრდასრულობისასაც, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი დანიაში 25 პროცენტს შეადგენს. ამ დროს მამაკაცთა და ქალთა 62 პროცენტი ზედა მეხუთედიდან ზედა 2/5-ში დარჩა ზრდასრულობისასაც, ხოლო ქვედა მეხუთედში დაბადებული 65 პროცენტიდან დარჩნენ კიდეც ქვედა 2/5-ში (Pew Charitable Trusts). ამასვე მოწმობს კიდევ ერთი კვლევა, რომელმაც გამოავლინა, რომ 22 პროცენტი ქვედა მეათედში დარჩა ამავე დონეზე ზრდასრულობისას, ევროპაში კი ეს მაჩვენებელი 16 პროცენტია (DeParle, 2012). ეს გვარწმუნებს იმაში, რომ უთანასწორობის აღმოფხვრის გზას არ მივყავართ ეკონომიკური განვითარების აუცილებლობამდე, როგორც ერთადერთ უალტერნატივო გამოსავლამდე. აქ სხვა მექანიზმებია ასამოქმედებელი (Jansson, 2016).

პარადოქსულია, მაგრამ ურთიერთკავშირი ქვეყნის განვითარების დონესა და უთანასწორობის მაჩვენებელს შორის სუსტია ან საერთოდ არ არის. არიან ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური განვითარება საშურ მაჩვენებლებს გვთავაზობს, თუმცა მათ უთანასწორობის მაღალი მაჩვენებელი აქვთ (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია, გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი) და პირიქით, არიან ქვეყნები შედარებით ნაკლებ განვითარებული ეკონომიკით და უთანასწორობის მაღალი მაჩვენებლით (მაგალითად, უნგრეთი, ჩეხეთი).

კეთილდღეობის მომსახურებების როლი სოციალური ინკლუზიის უზრუნველსაყოფად

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჩასაფიქრებლად არის ის, თუ ვინ იყენებს კეთილდღეობის მომსახურებებს. თუ კეთილდღეობის მომსახურებებს უპირატესად საშუალო კლასის წარმომადგენლები იყენებენ, მაშინ ეს კიდევ უფრო ხომ არ ზრდის უთანასწორობის ნაპრალს? ამისათვის უნდა განვმარტოთ კლასი, როგორც ცენტრალური ანალიტიკური კონცეფცია კეთილდღეობის სახელმწიფოების განვითარების გააზრებისათვის.

თუ ადრე კლასები პროდუქციაში (დასაქმებულთა და კაპიტალის) ადამიანთა სტრუქტურული პოზიციის მიხედვით ფორმირდებოდა, ამჟამად დასაქმების ბაზრისა და სიკეთეებისადმი ხელმისაწვდომობისა და/ან მათი ფლობის მიხედვით ფორმირდება. ამჟამად სწორედ ეს განსაზღვრავს ადამიანთა კეთილდღეობის დონეს, სისტემას კი უწევს კონკრეტულ ჯგუფებზე ფოკუსირება, მათი კლასობრივი მდგომარეობის მიხედვით.

კეთილდღეობის სახელმწიფოებში, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა უნივერსალური მომსახურებების მიმწოდებელია, რადგან ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება უპირატესია და აღემატება ამ მომსახურებებისათვის გადახდისუნარიანობის ფაქტორს. მაგრამ კეთილდღეობის სისტემის მიერ ერთთა მოცვა, მეორეთა გარიყვას გულისხმობს ხშირად. საინტერესოა ამ საკითხის განხილვა გენდერული, შესაძლებლობისეული, ასაკობრივი, რასობრივი და ეთნიკური თვალსაზრისით.

გენდერული თანასწორობა

განვიხილოთ, რამდენად არის დასაქმების ბაზარზე ინკლუზიის თანაბარი შესაძლებლობები და თანაბარი შედეგების მიღწევის შანსი გენდერული თვალსაზრისით. თუ ისტორიულად მამაკაცები უპირატეს მდგომარეობაში იყვნენ როგორც განათლები-

სადმი, ისე დასაქმებისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ამჟამად ქალები ლიდერობენ ბევრ ქვეყანაში. უფრო მეტიც, ბევრ ქვეყანაში მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო დაბალია, ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობასთან შედარებით. მამაკაცებს, სოციალური პრობლემების ცვლილების გამო, მეტი სირთულეები ხვდებათ, ვიდრე ქალებს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ევროკავშირის ქვეყნებში, ანაზღაურებისა და შემოსავლების მიხედვით, ქალები ისევ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს, იდენტურ პოზიციებზე თანაბარი ანაზღაურების რეგულაციების მიუხედავად. გრივი (2015) ვერ ასახელებს ერთ მიზეზსაც კი გენდერული ხვრელის გამომწვევი ფაქტორების ასახსნელად ევროკავშირის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: გერმანია, ჩეხეთი, გაერთიანებული სამეფო და ესპანეთი. ამასთან, საგულისხმოა, რომ ამ ქვეყნებში განსხვავებული კეთილდღეობის სისტემებია. ის ვარაუდობს, რომ ეს განსხვავება სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული: განსხვავებული დასაქმების ხანგრძლივობის ისტორია, განათლების დონე, შრომის ბაზარზე პოზიცია, შრომის განაკვეთი. უფრო ხშირად ქალები ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ, ოჯახში მათი ვალდებულებების აღსრულების გამო. ქალები უფრო ნაკლებად არიან დასაქმებულნი კერძო სექტორში. ამასთან, დედობის როლის აღსრულებისას, ქალებს უწევთ რამდენიმე წლით ჩამოშორდნენ შრომის ბაზარს. სწორედ ეს არის ხელფასებში განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი. ასევე, ოჯახში გადაწყვეტილების მიღებისას ვინ უნდა განახორციელოს საოჯახო საქმიანობა, შეასრულოს მზრუნველის როლი, ისარგებლოს დეკრეტული შვებულებით. უფრო ხშირად ეს ფუნქციები ქალის მოვალეობად განისაზღვრება ბევრ ქვეყანაში.

ამ თვალსაზრისით საპირისპირო სურათია ნორდიკულ ქვეყნებში. აქ კეთილდღეობის სისტემას დიდი როლი აქვს დღის ცენტრებისა და ბავშვზე ზრუნვის სხვა მომსახურებების მიწოდების უზრუნველყოფით. დღის ცენტრები, ქალთა დასაქმების შეწყვეტის არიდებით, მათი ცხოვრების მანძილზე კუმულაციური გამომუშავების მაჩვენებლების საგრძნობ ზრდას იწვევს. ეს კი საგადასახადო შემოსავლების ზრდაშიც აისახება. რეგრესული ანალიზი ცხადყოფს, რომ დღის ცენტრების რაოდენობის 10-პროცენტიანი ზრდა დედათა დასაქმების მაჩვენებლის ზრდას იწვევს 5.3 პროცენტით (Esping-Andersen, 2002). ამასთან, ეს დასაქმებისა და საოჯახო ვალდებულებების დაბალანსების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამით კეთილდღეობის სახელმწიფო „სოციალური ინვესტირების“ სახელმწიფოდ ფორმირდება. შესაბამისად, კეთილდღეობის სისტემის წინაშე ახალი ამოცანა დგება – ხომ არ არის საჭირო გენდერული სხვაობების რებალანსირება ბაზარსა და ოჯახში საქმიანობის შედეგების შესაბამისად.

შესაძლებლობისეული თანასწორობა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ეფექტიანი მონაწილეობა და ინკლუზია საზოგადოებაში.

ცხოვრება, სხვების მსგავსად, შესაძლებლობებისეული პოლიტიკის ქვაკუთხედია. ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელია როგორც რედისტრიბუციული (მაგალითად, შემოსავლების ტრანსფერი, სხვა ფულადი ბენეფიტები და მომსახურებების მიწოდება), ისე მარეგულირებელი სოციალური მექანიზმებით (მაგალითად, არადისკრიმინაციული და ხელმისაწვდომობის გარანტიების შემქმნელი კანონმდებლობა) (Hvinden, 2013). სამ-

წუხაროდ, ევროკავშირის ქვეყნებშიც კი, მათი ინკლუზიის მაჩვენებელი შრომის ბაზარზე, შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე პირებთან შედარებით, სასურველისგან დაშორებულია. ისევე, როგორც ხშირად, მონაწილეობის ხელშემშლელი ბარიერების გამო, ისინი ვერც საზოგადოებრივ ცხოვრებაში იღებენ მონაწილეობას. ამიტომ მათი ინკლუზია უკავშირდება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი დისკრიმინაციის ფაქტორებს შრომის ბაზარსა თუ საზოგადოებაში. ეს ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განათლებისადმი სრულფასოვანი ხელმისაწვდომობის საკითხებზეც და შემდეგ, დასაქმებისას შესაბამისი გამომუშავების საკითხებზეც.

1970-იან წლებში *შეზღუდული შესაძლებლობების სამედიცინო ჯანდაცვის ორგანიზაციამ* განასხვავა განვითარების პრობლემები (ფიზიკური და მენტალური), შეზღუდულობა (შეზღუდვა საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო) და შეზღუდული შესაძლებლობები (შეზღუდვა სოციალური ბარიერების გამო). სოციალური მოდელი კი უფრო შორს მიდის და ფოკუსირებს არა ინდივიდის, არამედ „შეზღუდული“ საზოგადოების არაადეკვატურობაზე, როგორც სოციალური ფუნქციონირების ხელშემშლელ ფაქტორზე (Fitzpatrick, 2011). არადა ბაზარს, კონკრეტულად კი კერძო სამეწარმეო ბაზარს, დიდი პოტენცია აქვს შშმპ-თა მხარდაჭერისთვის, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარებით. ამგვარი ინიციატივები შესაძლოა წახალისებული იყოს კეთილდღეობის სისტემის, ფინანსური ან საგადასახადო პოლიტიკის საშუალებით.

ბენეფიტების სისტემა, მისი კონტრიბუტორული წესის გამო, ხშირად არ არის შშმ პირების მომცველი, ამიტომ ისინი ხშირად მინს-ტესტირებული ბენეფიტებით მოსარგებლეები არიან. შემოსავლების, სიკეთეებისა და ცხოვრების სტანდარტის შემოწმების გზით რესურსების მიწოდების უარყოფით შედეგზე მრავალი მკვლევარი და მეცნიერი საუბრობს. მათი აზრით, ამას ახლავს „სიღარიბისა და დანაზოგის ხაფანგი“ (Midgley & Aspalter, 2014). ამიტომ, მნიშვნელოვანია მათი ჩანაცვლება უნივერსალური და არაეკონომიკურად გამიზნული ფულადი გადარიცხვებითა და მომსახურებებით (Aspalter, 2014). მხარდაჭერა კი აუცილებელია, რადგან შშმ პირები თავიანთი შემოსავლის 25 პროცენტს ხარჯავენ შეზღუდულობასთან დაკავშირებული საჭიროებებისთვის.

ასაკობრივი თანასწორობა

ინკლუზია/ექსკლუზიის საკითხის განხილვა ასაკთან მიმართებითაც აუცილებელია. ხანდაზმულთა დაბალი მონაწილეობა განგრძობით განათლებაში თითქმის ყველა ქვეყანასა და კეთილდღეობის სახელმწიფოში მიუთითებს იმაზე, რომ, გარკვეული ასაკის მიღწევისას, კომპეტენციების გაუმჯობესებისთვის დამსაქმებლები ნაკლებმოტივირებულნი ხდებიან. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს დამსაქმებლის დამოკიდებულებით. ის შესაძლოა მიიჩნევდეს, რომ, რადგან ხანდაზმული თანამშრომლები მალე დატოვებენ შრომის ბაზარს, აღარ ღირს მათში ინვესტირება ან ისინი საკმარისად გამოცდილებად და კვალიფიციურებად მიაჩნიათ იმისათვის, რომ მათ დამატებით გაწაფვა სჭირდებოდეთ. მათ დასაქმებას ხშირად თავს იმის გამოც არიდებს დამსაქმებელი, რომ ცხოვრების მეორე ნახევარში ხშირია ინდუსტრიული ტრავმისა და დაავადებების რისკი. არადა, მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე, მათი განათლება სოციალური ინვესტირების მიდგომის დემონსტრირება იქნებოდა ამ პრობლემის მოსაგ-

ვარებლად. შრომის ბაზარზე მათი დისკრიმინაცია არააუცილებლად ფორმალური და პირდაპირი ხასიათისაა.

რასობრივი და ეთნიკური თანასწორობა

მიგრანტებს სხვადასხვა მდგომარეობა და ადგილი აქვთ საზოგადოებასა და შრომის ბაზარზე. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის სოციალური ქსელები, რომლებიც, იმის მიხედვით, ძლიერია ის თუ სუსტი, სხვადასხვა შესაძლებლობას სთავაზობს მათ ინკლუზიის თვალსაზრისით.

ამავე მოსაზრებას ავითარებს ბრიგი (1997), როდესაც ის ასხვავებს მეგობრების და ოჯახის წევრებისა და მეზობლებისაგან შემდგარ სოციალურ ქსელებს იმ ქსელებისაგან, რომელთა დახმარებითაც ადამიანები ინდივიდუალური კაპიტალის განვითარების შესახებ იღებენ ინფორმაციას დასაქმებაზე, განათლებაზე, განგრძობით განათლებაზე. სოციალურად გარიყულებისთვის ორივე ქსელი ხელმიუწვდომელია, განსაკუთრებით კი მეორე, რადგან ამგვარი ქსელები მათი სამეზობლოს მიღმაა, ჩვეულებრივ.

ძლიერი ქსელები ხშირად აიოლებს სოციალურ ღონისძიებებში და შრომის ბაზარზე ჩართულობას, მაგრამ, ამავე დროს, შეიძლება ფრაგმენტაციის რისკს მოიცავდეს ძლიერად დიფერენცირებულ ჯგუფებში, რაც სხვა სოციალურ ქსელებში გადანაცვლების საშუალებას ზღუდავს. სუსტ ქსელებსაც ახლავს პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები. ნეგატიური ასპექტია შრომის ბაზარზე შეღწევისა და ფართო საზოგადოებაში ინტეგრაციის სირთულე. თუმცა, ამავე დროს, მას შეუძლია დასაქმებისა და საზოგადოების უფრო ფართო ჯგუფებში ინტერგაციისაკენ გზის გახსნას უფრო მეტად შეუწყოს ხელი, ვიდრე ეს ძლიერ ქსელებს ძალუძს, რომლებიც უფრო ლიმიტირებულ არჩევანს სთავაზობენ.

არაერთი კვლევა ამახვილებს ყურადღებას სოციალური ქსელების ფუნქციასა და მახასიათებლებზე, სოციალურად მარგინალიზებულთა ინკლუზიის ხელშეწყობის მიზნით. გამოცდილებამ და ინკლუზიის პოლიტიკის შედეგებმა ცხადყო, რომ ქსელები, რომლებიც „სუსტი კავშირების სიძლიერეზეა“ დაფუძნებული, ხელს უწყობს ადამიანთა დაკავშირებას, დასაქმებისა და კულტურული შესაძლებლობებისადმი ხელმისაწვდომობას საკუთარი გარემოს მიღმა, იმ გარემოს მიღმა, სადაც ამგვარი შესაძლებლობები თითქმის არ არსებობს (Granovetter, 1973).

გასააზრებელია ის საკითხი, თუ რამდენადაა კეთილდღეობის სისტემის დანიშნულება ადამიანებს შორის სოციალური კონტაქტების გაძლიერება, თუ ეს სამოქალაქო საზოგადოების ან მხოლოდ ოჯახის ფუნქციაა; თუ უფრო ეფექტიანი იქნება ბალანსის მიღწევა ამ სამს შორის. თუ ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, მაშინ უდიდესია სოციალური მუშაკის როლი სოციალური ინკლუზიის საქმეში.

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის რეფორმა საქართველოში

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 2013 წელს მოახდინა. კონვენცია ხაზგასმით აღნიშნავს განათლების დიდ მნიშვნელობას შშმპ-თვის. ამიტომაცაა, რომ ინკლუზიურ განათლებას სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მთელს მსოფლიოში.

ინკლუზიური განათლების საკითხია მოსწავლეთა და სტუდენტთა ინკლუზია განათლების სისტემაში. ინკლუზია კი გულისხმობს ყველა მოსწავლის ჩართვის ხელშეწყობას განათლების პროცესში, იქნება ეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ), ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები და სტუდენტები.

საქართველოში ინკლუზიური განათლების საკითხი საკანონმდებლო დონეზეა დარეგულირებული. ინკლუზიური განათლება რეგულირდება კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“, კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“ და კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“. თითოეული კანონის აღსრულებისთვის უწყებებს შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმები ან თემატური მიმართულებები. სფეროს მიხედვით შემუშავებულია გამაერთიანებელი სამოქმედო გეგმა, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა, რომლის 19.1.3 პუნქტი სწორ განათლების საკითხებს უთმობს ყურადღებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამივე კანონი არეგულირებს სწავლის პირობების შექმნას ამ სამიზნე ჯგუფისათვის, გარკვეული გამოწვევები მაინც სახეზეა განათლების მიღების ყველა დონეზე.

საგანმანათლებლო სივრცეებში ინკლუზიური გარემოს ფორმირება სოციალური სამართლიანობის პრინციპებს ეფუძნება, რაც ავტომატურად გულისხმობს მრავალფეროვნების აღიარებას და არა დეფიციტზე ორიენტაციას. როგორც ფიცპატრიკი მოხდენილად აყალიბებს ზემოთ, „შეზღუდული საზოგადოების არაადეკვატურობის“ დაძლევის პოლიტიკაა. არადა, საზოგადოებაში არცთუ იშვიათად ვაწყდებით ნიმბიზმს (NYMBY), როდესაც ადამიანები ცდილობენ აირიდონ მათ სიახლოვეს შშმპ-თა დღის ცენტრები, საცხოვრისები, შვილის კლასელები, სხვადასხვა მიზეზის გამო (Zavirsek, 2007). ზოგიერთთა აზრით, ეს მათ გარემოს ფასს უგდებს; სხვათა აზრით, მათი და მათი შვილების განათლებისთვისაა ხელშემშლელი. არადა, ამგვარი ქცევითა და დამოკიდებულებით, ისინი უარს ამბობენ მრავალფეროვნებაზე.

ამას სჭირდება პროაქტიული პოლიტიკის ფორმირება და, მისი დანერგვის პროცესში, გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირება. გამოწვევები კი მრავლადაა და რეაგირების მექანიზმები გულდასმითაა შესამუშავებელი. ხშირად დამაბნეველი და მადისკრიმინირებელია მიდგომა, რომელიც ადამიანთა მხარდაჭერას ემსახურება ჩანაფიქრის მიხედვით. მაგალითად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება პოზიტიური დისკრიმინაციის სამართლიანობის საკითხი, რადგან ეს ცოდნის მიწოდების და შეფასებისთვის თანაბარი პირობების არსებობის საკითხს აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.

დღეს, როდესაც საქართველოში განათლების სისტემაში სოციალური მუშაკები გაჩნდნენ, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ღონისძიებებიც მომძლავრდა. სოციალურმა მუშაკებმა არაერთი შთამბეჭდავი საადვოკატო ჩარევა განახორციელეს. მაგალითად, ბოშა ბავშვთა მხარდამჭერი საადვოკატო ღონისძიებები, როდესაც ერთ-ერთ სკოლაში ენის სწავლების დამატებითი გაკვეთილების მობილიზება მოხდა და ამ ბავშვების ოჯახის მოტივირება, რომ ბავშვები დამატებით გაკვეთილებზე ეტარებინათ.

სსსმ და შშმ არაერთი ბავშვის უფლებების დაცვაში აქტიურად არიან ჩართულები სოციალური მუშაკები და კიდევ უფრო მეტი იგეგმება ინკლუზიური განათლების რეფორმის პარალელურად. საგანმანათლებლო სფეროს სოციალური მუშაკები ერთვებიან როგორც სასწავლო, ისე გასართობ ღონისძიებებში. ერთ-ერთ სკოლაში, ერთი თავდა-

დებული სოციალური მუშაკის ძალისხმევით, ეტლიანი ბავშვის საკლასო ოთახი მეოთხედან პირველ სართულზე ჩამოიტანეს. თითქოს, სკოლას არ უნდა სჭირდებოდეს განათლებისა და ინკლუზიის ამ დონეზე ელემენტარული ღონისძიებების გატარება, მაგრამ ფაქტი უტყუარია. მეორე სკოლაში, კრიზისულ სიტუაციაში მყოფი მოსწავლის სკოლიდან დათხოვნის არიდება სწორედ სოციალური მუშაკის ჩართულობით განხორციელდა. მოსწავლის გართულებულ ქცევას მისი სასწავლო პროცესიდან დროებით ჩამოშორების რჩევა მოჰყვა სკოლის მხრიდან, თან სხვა მოსწავლეთა „ინტერესების დაცვის“ მიზნით. სოციალური მუშაკის მიერ სკოლის წარმომადგენელთა და ბავშვის მშობლის კონსულტირებას, ბავშვის ქცევის ნორმალიზება და საკლასო გარემოში დაბრუნება მოჰყვა. აღმოჩნდა, რომ დედამ ბავშვს, გვერდითი მოვლენების არიდების მიზნით, ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტის მიღება შეუწყვიტა, რამაც მისი ქცევა დაამძიმა, ის აგრესიული გახდა და საკუთარ ქცევასა და ემოციებს ვეღარ მართავდა. ბავშვი კი „მარტივი გამოსავლით“ სკოლიდან დაითხოვეს. სოციალუმა მუშაკმა კი, გამოიკვლია რა რეალური მიზეზი, დედის ინტენსიუსი კონსულტაცია გასწია და ბავშვი სკოლას დაუბრუნდა. სხვა მაგალითი მშობლების დაპირისპირების ფაქტს გვიამბობს, რაც ბავშვის სხვა სკოლაში გადაყვანის აუცილებლობას ქმნიდა. თუმცა ამ შემთხვევაშიც, სოციალური მუშაკის ორთვიანი მუშაობით, დაპირისპირებული მშობლები საერთო ინტერესებისთვის ბრძოლაში ჩაერთნენ და მათი, ისევე, როგორც სხვისი, შვილების დიდ მხარდამჭერებად იქცნენ. კლასში სიტუაცია დარეგულირდა, ბავშვები მშვიდობიანად აგრძელებენ სწავლას და სოციალურ ცხოვრებას სკოლაში (სოციალურ მუშაკებთან შეხვედრა, 2023).

რამდენიმე ქვეყანაში ეფექტიანად მუშაობს ე.წ. სათემო ან სასკოლო მოდელი (wraparound model), რომელიც მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ოჯახზე ცენტრირებული გუნდის ფორმირებისა და პრერეფერირების პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენამდე ან შემდეგ. ის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებზე დაფუძნებით მძლავრ სათანამშრომლო პლატფორმას ქმნის ბავშვის ირგვლივ მყოფ აქტორთა შორის, ბავშვისვე ინტერესების გათვალისწინებით (Kelly at al., 2022). ხშირად ნათლად გაწერილ, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასაც სჭირდება სასკოლო თემის გაერთიანება აღსრულებისთვის. მართალია, ის სპეციალურად შედგენილი გეგმაა, გარკვეული ინსტრუქციაა, რომელსაც ბავშვის გარშემო მყოფი ყველა პირი უნდა მიჰყვეს, მაგრამ ხშირად მის ამოქმედებას დამატებითი რესურსები სჭირდება. ის მშობლის მიერ ხარჯების გაღების გარეშე მზადდება. საქართველოში, ისევე, როგორც უმრავლეს ქვეყნებში, ეს უფასო მომსახურებაა როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებში მყოფი მოსწავლეებისთვის. ბავშვის საჭიროებების შესაბამისად, სისტემის გარე აქტორების ჩართვა და მათ მიერ მონაწილეობითი წილით გეგმის აღსრულების ხელშეწყობა დასაშვებია, თუ ეს არ ითხოვს მშობლისაგან დამატებითი ხარჯების გაღებას (Kopels, et al., 2022).

ზოგადად, განვითარებულ სამყაროში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის სკოლიდან დათხოვნა, თუ ქცევა შეზღუდული შესაძლებლობით არის განპირობებული, დაუშვებელია. ამის უფლება სკოლას არ აქვს. რაც შეეხება ბავშვებს შორის კონფლიქტებს, ჩვენს ქვეყანაში ინერგება სასკოლო მედიაციის კომპონენტი. ის ბავშვებს შორის კონფლიქტების დარეგულირებას გულისხმობს. ამჟამად კონცეფცია არ მოიცავს არატიპური განვითარების მოსწავლეებთან სამედიაციო პროცესების წარმართვის კომპონენტს, თუმცა სხვა ქვეყნებში ეს ეფექტიანად ინერგება. ამიტომ სასურვე-

ლია, არსებული კონცეფციის ამგვარ სიტუაციებზე მორგებით სრულყოფა (Kopels & et al., 2022).

უამრავი ასეთი მაგალითის გახსენება შეიძლება, როდესაც სსსმ მოსწავლეს სწორედ სოციალურმა მუშაკმა მისცა მათი განათლების უფლების რეალიზების საშუალება. გაკვეთილიდან, მისი ჩაშლის მიზეზით, გამოძევებულ ბავშვში, რომლის ქცევის დასარეგულირებლად სოციალურ მუშაკს მიმართეს, სოციალურმა მუშაკმა განვითარების სირთულეები შენიშნა და მშობლებს სამინისტროსთვის მიმართვა ურჩია, შეფასებისთვის მულტიდისციპლინური ჯგუფის მოსახმობად. ბავშვს მართლაც აღმოაჩნდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. მიმართვა დაგვიანებულიც კი იყო, რადგან ყოველ დღეს მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვის განვითარებისა და განათლების პროცესში წარმატებით ჩართვისთვის. მისი სიტუაცია რეალურად რამდენიმე წლის წინ ითხოვდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნას. სოციალურმა მუშაკმა სისტემურ დონეზეც იმუშავა, სასკოლო გარემოს გაძლიერებისა და სამომავლოდ ამგვარი შემთხვევების არიდების მიზნით (სოციალურ მუშაკებთან შეხვედრა, 2023). რამდენი ასეთის გახსენება შეიძლება, სოციალური მუშაკების სასკოლო გარემოში მოღვაწეობის საჭიროების განსამტკიცებლად.

თავის შეჯამება

კეთილდღეობის სისტემას სხვადასხვა ინსტრუმენტი აქვს სოციალური გარიყულობის ასარიდებლად და ინკლუზიის ხელშეწყობისთვის. დისკრიმინაცია კანონმდებლობითაც აკრძალულია უმრავლესი ქვეყნის კანონმდებლობით, მაგრამ არაფორმალური გზით ის მაინც არსებობს. დისკრიმინაციის წყაროდ მხოლოდ შემოსავალი არ უნდა ჩავთვალოთ. ხშირად მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა შეიძლება აღმოჩნდეს დისკრიმინაციის წყარო ერთთათვის, როდესაც ამ შემწეობებითა და მომსახურებებით სხვები სარგებლობენ. თუმცა დავა არ არის იმაზე, რომ დაბალი შემოსავალი ხელს უწყობს დისკრიმინაციასა და სოციალურ გარიყულობას. უკიდურესი მატერიალური დეპრივაცია ხშირად გარიყულობის გარდაუვალი წინაპირობაა. სწორედ ამიტომ, კეთილდღეობის სისტემის უმთავრესი ამოცანაა სოციალურად ექსკლუზირებულთა რაოდენობის შემცირება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, როგორც სოციალური შეჭიდულობისა და მდგრადობის ზრდის შეუდარებელი საშუალება. ეს მოითხოვს პოლიტიკის ფორმირებას და მისი შედეგების შეფასებას ინკლუზიის და ექსკლუზიის კონცეფციების ჩარჩოში, რადგან თანასწორობა ითხოვს ყველა ადამიანისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. ეს, დაბალი სოციალური მობილობის შესაძლებლობების არსებობისას, კეთილდღეობის სისტემის ჩარევის გარეშე ვერ მიიღწევა, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს სისტემის ინკლუზიის ხელშემწყობ როლზე.

კვლევების თანახმად, უთანასწორო საზოგადოებაში სოციალური შეჭიდულობის მაჩვენებელი დაბალია და ის დაკავშირებულია ამ უკანასკნელის შემცირებასთან. ასეთ საზოგადოებაში დისკრიმინაციის მაჩვენებელიც მაღალია, ჩვეულებრივ. თანასწორობის სათანადო დონის მიღწევას და დისკრიმინაციის აღმოფხვრას და/ან პრევენციას განსხვავებული მიდგომების დანერგვა სჭირდება. კეთილდღეობის სისტემამ საზოგადოებისაგან უნდა მიიღოს მკაფიო დაკვეთა იმაზე, რა ორიენტირი უნდა აიღოს თანას-

წორობის იმ დონემდე მიღწევისა და დისკრიმინაციის იმ დონემდე შემცირებისათვის მაინც, რაც არ დაემუქრება საზოგადოების უსაფრთხოებას (მაგალითად, შემცირდება კრიმინალის დონე) – რესურსთა თანასწორობის თუ საბოლოო პროდუქტის, ე.ი. შედეგთა თანასწორობისკენ.

კეთილდღეობის სისტემა, როგორც უკეთესი ცხოვრებისა და მუშაობის პირობების მიღწევისათვის ბრძოლის ინსტრუმენტი, ლავირებს პირდაპირი ჩარევებიდან ირიბ ჩარევებამდე. სწორედ პირდაპირი ჩარევის ერთ-ერთი ინსტრუმენტია უშუალო პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი, ხოლო ირიბი ჩარევისა – მაკროპრაქტიკოსი.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. უთანასწორობის რომელ საზომს მიიჩნევთ უფრო სანდოდ?
2. უთანასწორობის რომელი საზომის გამოყენება იქნებოდა უფრო საიმედო სათემო დონეზე შეფასებისთვის?
3. ზოგიერთთა აზრით, სოციალური ქსელები სოციალური დისინტეგრაციის ხელშემწყობიც კი შეიძლება აღმოჩნდეს. იზიარებთ ამ მოსაზრებას?
4. უფრო მძლავრი ცვლილებებისაკენ გეზად შესაძლებლობების თანასწორობაზე ორიენტაცია გესახებათ თუ შედეგებზე?

გამოყენებული ლიტერატურა:

Aspalter, C. (2014). Social Work Services and Developmental Social Policy, Social Work in the East Asia. *Journal of Social Policy, 1*(04), 8-10.

Bohnke, P. (2008). Are Poor Socially Integrated? The Link Between Poverty and Social Support. *Journal of European Social Policy, 18*(133), pp. 133-150

Different Welfare Regimes. *Journal of European Social Policy*, 18 (2):133-150.

Causa, O., Dantan, S., Johansson, A. (2009). Intergenerational Social Mobility in Europe OECD Countries. OECD Economics Department Working Papers, no. 709, Paris, OECD

Daly, M. (2011). *Welfare*. Malden: Policy Press.

DeParle, J. (2012). Harder for Americans to rise from lower rungs. *New York Times*. Retrieved from https://www.nytimes.com/

Dragoš, S. Leskošek, V. (2003). *Social Inequality and Social Capital*. Ljubljana: Peace Institute.

Esping-Andersen, G. (2002). *Why We Need A Welfare State.* Oxford University Press

Fitzpatrick, T. (2011). *Welfare Theory: An Introduction To The Theoretical Debates In Social Policy* (2nd ed.)New York: Palgrave.

Fitzpatrick, T. (2001). *Welfare Theory: An Introduction*. New York: Palgrave.

Granovetter, M. (1973). Mixed Economics Of Welfare: A Comparative Perspective. London, Prentice Hall.

Greve, B. (2015). *Welfare And Welfare States.* Routledge

Hvinden, B., (2013). Disability In Greve, B. (Eds.). *The Routledge Handbook of the Welfare State.* Routledge (pp. 371-380). Routledge

Jansson, B.S. (2016). *Social Welfare Policy And Advocay: Adancing Social Justice Through 8 Policy Secttors.* SAGE

Kelly, M., S., Massat, C.R., Constable, R. (2022). *School Social Work:Practice, Policy, and*

Research (9th ed.,). Oxford University Press.

Kopels, S., Rich, M., Massat, C.R. (2022). Educational Mandates for Children With Disabilities: School Policies, Cae Law, And The School Social Woker. In Micheal, S., Kelly, M.S., Rippey, M. (Ed.), School Social Work: Practice, Policy and Research (pp.155-172). Oxford University Press

Mankiw, N.G. (2004). Principles of Economics (3rd ed.). Thomson

Pantazis, C., Gordon, D., Levitas, R. (2006). Poverty and social excluusion in Britain: The millennium msurvey. Polic Press

Toynbee, P. & Walker, D. (2008) Unjust Rewards: Exposing Greed and Inequality in Briatin Today. Granta Publication

Zavirsek, D. (2007). Communities of Gatekeepers and Communities of Advocates: Being Disabled in Eastern Europe. In Domineli, L. (ed.), Revitalizing Communities in a Globalizing World, (pp.207-219). Ashgate.

ნინო შატბერაშვილი

თავი 11

კეთილდღეობის სისტემის რეაგირება სოციალური პრობლემების დაძლევაზე: სიღარიბე, უმუშევრობა

შესავალი

წინამდებარე თავი წარმოადგენს კეთილდღეობის სისტემის რეაგირების მექანიზმებს იმგვარი კომპლექსური სოციალური პრობლემების დაძლევისთვის, როგორიცაა სიღარიბე და უმუშევრობა. მასში წარმოდგენილია სიღარიბის სხვადასხვა განმარტება, სიღარიბის თეორიები, სიღარიბის საზომები. თავში მიმოხილულია სხვადასხვა სოციალური მოვლენის გავლენა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის სიღარიბეზე.

თავი ეხება უთანასწორობისა და სოციალური ექსკლუზიის კონცეფციას, როგორც სიღარიბის თანმხლებ, ხშირ შემთხვევაში კი გამომწვევ მოვლენას და ცდილობს მკითხველს დაანახოს მტკიცე ურთიერთკავშირი მათ შორის. თავში გაშუქებულია სიღარიბის დაძლევის სხვადასხვა მიდგომის ძლიერი და სუსტი მხარეები, სხვადასხვა თეორეტიკოსთა წინააღმდეგობრივი მოსაზრებები, რაც მკითხველს კრიტიკული ხედვის ფორმირებისაკენ უბიძგებს.

თავში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უმუშევრობას, როგორც სიღარიბის გამომწვევ მნიშვნელოვან ფაქტორს. ის მკითხველს აცნობს უმუშევრობის ფორმებსა და მისი დაძლევის პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტს; ცდილობს, ამ კომპლექსური სოციალური პრობლემების ფონზე, წარმოაჩინოს სოციალური მუშაკის როლი მაკროპრაქტიკის დონეზე.

რა არის სიღარიბე – განსაზღვრებები

სიღარიბეზე საუბარი მისი განმარტებით უნდა დავიწყოთ. მას სხვადასხვა თეორეტიკოსი თუ ექსპერტთა ჯგუფი სხვადასხვაგვარად განმარტავს. ერთნი სიღარიბეს განსაზღვრავენ, როგორც მინიმალური რესურსების უქონლობას. ეს მისი ფართო კონცეპტუალიზაციისათვის მართლაც ერთ-ერთი უპირველესი ელემენტია, რადგანაც იგი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების პრერეკვიზიტად მიიჩნევა – „პოზიტიური თავისუფლების“ გარანტად. მეორენი, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უუნარობას, რადგან მოხმარებისა (ხარჯვის) და მონაწილეობის საშუალებას ფინანსური რესურსების ფლობა იძლევა, მათ ნაკლებობას კი მოაქვს ცხოვრების დაბალი სტანდარტი. არსებობს უფრო ფართო განსაზღვრებებიც, მაგალითად, სიღარიბის გაეროსეული განსაზღვრება, რომელიც ისეთ არამატერიალისტურ ელემენტებსაც მოიცავს, როგორებიცაა: „გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ნაკლებობა“, „ადამიანური ღირსების ხელყოფა“, „ძალაუფლების ნაკლებობა“. სიღარიბის სხვადასხვა თეორეტიკოსი სხვადასხვა განმარტებას გვთავაზობს სხვადასხვა დროს. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს განვიხილავთ: მაგალითად, ადამ სმიტის

აზრით, „სიღარიბის კონცეფცია უნდა მოიცავდეს იმას, რაც აუცილებელია, რომ იცხოვრო საბაზრო დონეზე იმ საზოგადოებაში, რომელსაც ეკუთვნი და არა მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია, რომ სიკვდილს გადაურჩე“ (მორაზესი & პინტაკი, 2007:108). პიტერ ტაუნსენდის განმარტებით (Townsend, 1979, p. 31), „ადამიანი ღარიბია, თუ მას არ აქვს საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ შეიძინოს ისეთი საკვები, ჰქონდეს ისეთი საცხოვრებელი პირობები, მონაწილეობა მიიღოს ისეთ ღონისძიებებში, როგორიც დამახასიათებელია იმ საზოგადოებისათვის, რომელშიც იგი ცხოვრობს“.

სიღარიბის თეორიები

სიღარიბის თეორიებიდან რამდენიმეს გაცნობა დაგვეხმარება მისდამი სხვადასხვა კონცეპტუალური ხედვის გააზრებაში.

სიღარიბის **ფუნქციონალისტური თეორია** ამტკიცებს, რომ სიღარიბე აუცილებელია საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ამიტომ არ არის საჭირო მისი აღმოფხვრა. ამ თეორიის მიხედვით, სიღარიბეზე საუბრისას უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ მისი ღირებულება, არამედ სარგებელიც საზოგადოებისთვის: რომ არ იყვნენ ღარიბები, ვერავინ შეასრულებდა „ჭუჭყიან“ სამუშაოს, როგორიცაა დალაგება, შინამოსამსახურეობა და ა.შ. სიღარიბე ეხმარება წარჩინებულებს წინსვლაში, რადგან კიდევ უფრო ზრდის მდიდართა ზევით მიმართულ მობილობას. იგი არის დემარკაციის ხაზი, ერთგვარი საპირწონე, რომლის ქვევითაც ისინი არ უნდა აღმოჩნდნენ, რადგან „ქვევით“ ყოფნა ასოცირებულია სიზარმაცესთან, უუნარობასთან, კრიმინალთან, დასაქმების შანსების ნაკლებობასთან და ა.შ. სიღარიბე ეხმარება ეკონომიკურ განვითარებასაც, რადგან, რომ არა ღარიბები, ვინ იყიდდა გაფუჭებულ საკვებს, მეორად ტანსაცმელს და ა.შ. ამავე დროს, ამ თეორიის მიხედვით, სიღარიბე აუცილებელია მთელი რიგი პროფესიების არსებობისთვის, როგორებიცაა: პოლიცია, სამხედრო სამსახური, პროსტიტუცია, ნარკოტიკებით ვაჭრობა და ა.შ. ასე რომ, ამ შეხედულების მიხედვით, საკითხავია, საჭიროა თუ არა სიღარიბის აღმოფხვრა.

სიღარიბის **ინდივიდუალისტური თეორიის** მიხედვით, სიღარიბე ღარიბთა ინდივიდუალური თვისებების შედეგია. ეს თვისებები მათ ან თანდაყოლილი აქვთ, ან შეძენილი. ამ თეორიის ერთ-ერთი განშტოების მხარდამჭერი თეორეტიკოსები გენეტიკურ ფაქტორსაც უსვამენ ხაზს და ამტკიცებენ, რომ სიზარმაცეს აქვს გენეტიკური წინასწარგანწყობა. ამ მოსაზრების მომხრე თეორეტიკოსი ჰოლმანი (Holman, 1978) აკავშირებს სოციალურ სტატუსსა და პრესოციალურ მახასიათებელს, როგორიცაა ინტელექტი და ამტკიცებს, რომ ისინი განაპირობებენ ადამიანის მიღწევებს ან წარუმატებლობებს სხვა თანდაყოლილ თუ შეძენილ პერსონალურ თვისებებთან კომბინაციაში. თუმცა თავადვე ამ დასკვნის საწინააღმდეგო შედეგებსაც ამზეურებს, როდესაც ამბობს, რომ მათი უმრავლესობა, ვინც სიღარიბის განმაპირობებელი თვისებების მატარებელია, თავად არ განიცდის სიღარიბეს (Alcock, 2006, p. 38). ამერიკელმა მწერალმა უილიამ რაიანმა სიღარიბის ინდივიდუალისტურ თეორიას „მსხვერპლთა დადანაშაულება“ უწოდა (შავი აკადემია, 2002). ლისტერი (Lister, 2004) კი თვლის, რომ სიღარიბის „მსხვერპლნი“ თავად არიან თავიანთი გამოცდილების შემქმნელები, რადგან არასოდეს არ ცდილობენ სტრუქტურული ბარიერების განადურებისათვს ბრძოლას.

ინდივიდუალისტური თეორიის მეორე განშტოების მხარდამჭერები სიღარიბის გამომწვევ ფაქტორებად ოჯახსა და საზოგადოებას მიიჩნევენ. ამ მოსაზრების მხარდამჭერთა აზრით, არასაკმარისი ზრუნვა მშობლის მხრიდან და სოციალური გარემოა ადამიანის ფასეულობების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლის მქონე და სწორედ ეს განსაზღვრავს მისი ცხოვრების შანსებს (Alcock, 2006, p. 38). მაგრამ ეს მოსაზრებაც შეარყია ჯოზეფის კვლევამ, რომელმაც ცხადყო, რომ ყველა ღარიბის შვილი როდია ღარიბი და ყველა ღარიბი როდია ღარიბთა ოჯახიდან (რუტერ და მეჯი, 1976; ბრაუნი და მეჯი, 1982, ალკოკთან, 2006) და, პირიქით, წინა თაობის ეკონომიკური წარმატება არ არის შემდგომი თაობის ეკონომიკური წარმატების უპირობოდ განმაპირობებელი ფაქტორი. თაობიდან თაობამდე ეკონომიკური წარმატების გაანალიზებისას, ეკონომისტებმა აღმოაჩინეს საგრძნობი მობილობა. მათ დაასკვნეს, რომ, თუ მამა მისი თანამედროვეების საშუალო შემოსავალზე 20 პროცენტით მეტს გამოიმუშავებს, მისი შვილი, სავარაუდოდ, მისი თანამედროვეების საშუალო შემოსავალზე 8 პროცენტით მეტს გამოიმუშავებს, ხოლო ბაბუისა და შვილიშვილის გამომუშავებას შორის კორელაცია არ არსებობს (Mankiw, 2004). სწორედ ამ დასკვნების საფუძველზე კიდევ უფრო აშკარა ხდება სტრუქტურული ფაქტორის დიდმნიშვნელოვნება სიღარიბის ფენომენში, რადგან ის აშკარად არ შემოიფარგლება პათოლოგიური მახასიათებლებით (Alcock, 2006), ხოლო ბევრი პათოლოგიური ფაქტორი ამძაფრებს „სტრუქტურულ მიზეზებს“ (Weiss & Gall, 2007, p. 905).

საინტერესოა ასევე **სტრუქტურული თეორია**, რომლის მიხედვითაც სიღარიბე სისტემურ პრობლემებში წარმოიშობა, ამცირებს სიცოცხლის შანსებს, რესურსებისა და მომსახურებებისადმი ხელმიუწვდომლობისა და მონაწილეობის დაბალი დონის გამო (Gans, 1995; Gill, 1998). სიღარიბის სტრუქტურული თეორია ორიენტირებულია სისტემის ცვლილებაზე და არა თავად ღარიბთა შეცვლაზე (Strier & Binyamin, 2014). სიღარიბის პრობლემის გადაჭრის გზად მიიჩნევა სისტემის ანალიზი და მისი ზეგავლენის გააზრება საზოგადოებაზე. ჯეინ ადამსი მოგვიწოდებს სტრუქტურის ზედმიწევნით გააზრებისაკენ და ახალი სოციალური რეგულაციების შექმნისაკენ. სწორედ ამიტომაცაა, რომ რადიკალური სოციალური მუშაობის თეორია აკრიტიკებს სოციალური პრობლემების „შერჩევით ფსიქოლოგიურ ახსნა-განმარტებებს“, რასაც მივყავართ მათი (პრობლემების) ინდივიდუალიზაციისაკენ, ნაცვლად პოლიტიკური დისკუსიისა (Staub-Bernasconi, 2009, p.19, შატბერაშვილთან, 2010). ალკოკის აზრით (Alcock, 2006, შატბერაშვილთან, 2010), სიღარიბის ფაქტი არის მისი არამართებული იდენტიფიკაციის და/ან მისი აღმოფხვრისაკენ მიმართული სტრატეგიის არამართებულობის შედეგი.

ბრედშოუს **სიღარიბის კუმულაციური და ციკლური ურთიერთდამოკიდებული თეორია** ინდივიდსა და თემს „შესაძლებლობებისა და პრობლემების სპირალში დატყვევებულად“ ხედავს (Bradshow, 2000; Bradshow, 2007, p.10). ამ თეორიის მიხედვით, პრობლემების დომინირება შესაძლებლობების განვითარებას აფერხებს. ეს თეორია ინდივიდსა და თემს ურთიერთდაკავშირებულად ხედავს, როგორც ხალხს, რომელსაც არ აქვს რესურსები ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობისთვის და ამით აფერხებს ეკონომიკის განვითარებას, როგორც სუსტი გადასახადის გადამხდელის პოტენციის მქონე. მათი აზრით, სიღარიბის გამომწვევ ფაქტორთა ურთიერთგადაჯაჭვულობა მძაფრდება ეკონომიკური დაღმავლობის ციკლისას. საზოგადოებრივი ცვლილებები ინდივიდებზეც აისახება. მაგალითად, ერთი ქარხნის დახურვა უმუშევრობას ზრდის,

რასაც გარე მიგრაცია ან შემოსავლების შემცირება და მსყიდველობითუნარიანობისა და დაზოგვისუნარიანობის შემცირება მოჰყვება. ეს ყველაფერი კი ადგილობრივი ბაზრის ეროზიასა და ინვესტირების პოტენციის შესუსტებას იწვევს, რასაც მოსდევს ამ საზოგადოების შესაძლებლობების სიმწირე (Bradshow, 2007, შატბერაშვილთან, 2016).

გეოგრაფიული სიღარიბის თეორია ცდილობს ახსნას ეკონომიკური შესაძლებლობების უუნარობა სიღარიბის დაძლევისათვის კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაში. ეს თეორია უკავშირდება *ეკონომიკური აგლომერაციის თეორიას,* რომელიც ცდილობს დაამტკიცოს ძლევამოსილი ინდუსტრიული კლასტერების *მულტიპლიკატორის ეფექტი,* რომელიც იზიდავს ერთსა და იმავე ფირმებსა და მომსახურებებს. ეს თეორია *ცენტრალური ადგილის* თეორიისა და სელექციური გარე მიგრაციის ზეგავლენასაც განიცდის, როდესაც განათლებული და თავისი საქმის მცოდნე ადამიანები ღარიბი დასახლებებიდან საცხოვრებლად სხვაგან გადადიან (Bradshow, 2007). ბევრ ურბანულ დასახლებაში მდიდრებსა და ღარიბებს შორის მძაფრი ტერიტორიული სეგრეგაციაა. ეს თეორია *უმცირესობების ჯგუფთა თეორიასაც* იზიარებს, როდესაც ხაზს უსვამს სიღარიბის სოციალურ ფაქტორებს. თუმცა, განსხვავებით ინდივიდუალისტური თეორიისა, ის არ აპელირებს პრესოციალურ ფაქტორებზე.

კიდევ ერთი საინტერესო თეორიაა **დუალური შრომის ბაზრის თეორია,** რომელიც აქცენტირებს დაბალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებზე დასაქმების ბაზრის წარუმატებლობის უგულებელყოფაზე. ის აპელირებს დასაქმებულთა წარუმატებლობაზე შრომის ბაზარზე მათივე დასაქმების უკვე არსებული – წარუმატებელი სტატუსის გამო. ამით ის ეხმიანება ზემოხსენებულ *უმცირესობების ჯგუფთა* თეორიას, რომელიც ავტომატურ წარუმატებლობას უსვამს ხაზს. *უმცირესობების ჯგუფის* თეორეტიკოსები ადამიანებს სხვადასხვა სოციალურ კატეგორიად ყოფენ, სადაც ზოგიერთათვის (მაგალითად, ხანდაზმულები, შშმპ, დაუსაქმებლები) ხელმისაწვდომია მხოლოდ მწირი რესურსები და დაბალი სტატუსი. ახალი მომსახურებებისა ან რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის გარეშე, ისინი თანდათან დეპრივაციას განიცდიან მათ მიმართ „ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“ (Townsend, 1979, p. 65).

როგორ გავზომოთ სიღარიბე

სიღარიბე უნდა გაიზომოს მისი მასშტაბების, სიღრმისა და კომპოზიციის გათვალისწინებით. სიღარიბე სხვადასხვა პარამეტრით იზომება. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

აბსოლუტური სიღარიბე

აბსოლუტური სიღარიბე განისაზღვრება, როგორც საბაზისო ფიზიკური საჭიროებებისათვის არასაკმარისი ფინანსური რესურსების ფლობა. აბსოლუტური სიღარიბე გადარჩენას უკავშირდება. ის, ჩვეულებრივ, განსაზღვრავს არსებობას, რომელიც გამოიხატება პროდუქციისა და რეპროდუქციისათვის საჭირო მინიმალურ ფიზიკურ შესაძლებლობებში.

აბსოლუტური სიღარიბე უკავშირდება ისეთი საბაზისო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას, როგორებიცაა: საჭმელი, სუფთა სასმელი წყალი, ჰიგიენური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, განათლება, ინფორმაცია და დაკავშირებულია არა მარტო სოცი-

ალური მომსახურებების ხელმიუწვდომლობასთან, არამედ შემოსავლის არქონასთან. ის განსხვავდება, მაგრამ, ამავე დროს, უკავშირდება სიღარიბის უფრო ფართო ცნებას **– საერთო სიღარიბეს,** რაც განისაზღვრება ქვეყანაში სიღარიბეში მცხოვრებთა საერთო რაოდენობით. გვაქვს სიღარიბის კიდევ ერთი საზომი – **შედარებითი სიღარიბე.** შედარებითი სიღარიბე განისაზღვრება არა როგორც საბაზისო ფიზიკური საჭიროებებისათვის არასაკმარისი ფინანსური რესურსების ფლობა, არამედ, როგორც სრულფასოვან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უუნარობა. შედარებითი სიღარიბის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ერთი და იმავე საზოგადოების წევრების ცხოვრების პირობების შედარებით მოცემულ ისტორიულ ეტაპზე. მეცნიერებმა შემოიტანეს აგრეთვე **სიღარიბის სუბიექტური საზომი,** რაც ადამიანებს ანიჭებს იმის განსაზღვრის პრეროგატივას, თუ რამდენაც ღარიბები არიან ისინი (Bulter & Watt, 2007).

როგორც ვნახეთ, სიღარიბე სხვადასხვა პარამეტრით იზომება და ამ პარამეტრებისა და განსაზღვრებების ნაირსახეობა ხაზს უსვამს არა იმას, რომ ეს სხვადასხვა რეალობაა, არამედ იმას, რომ აბსოლუტური და შედარებითი სიღარიბის არსიცა და ურთიერთკავშირიც მასზე განსხვავებული შეხედულებების დემონსტრირებაა, რამეთუ კაცობრიობის გაგებაცა და მოთხოვნილებაც პირველად საჭიროებებზე განსხვავებულია. ასე რომ, სიღარიბის განსაზღვრა პოლიტიკურ ფუნქციას წარმოადგენს.

შედარებითი სიღარიბე

სიღარიბის მაჩვენებლები ინდივიდებზე გამოითვლება, თუმცა იზომება ოჯახებზე და არა ამ ოჯახის თითოეულ წევრზე, რამაც შეიძლება დიდი ცდომილება მოიტანოს რესურსების არათანაბრად გადანაწილების გამო ოჯახის შიდა სტრუქტურებში. აქედან გამომდინარე, შესაძლოა არაზუსტი მონაცემი მივიღოთ სიღარიბეში მცხოვრებთა შესახებ, განსაკუთრებით კი ეს ეხება ქალებსა და ბავშვებს. ამასვე უკავშირდება ის პრობლება, თუ როგორ შევადაროთ სხვადასხვა კომპოზიციის ოჯახი. ამის გასაზომ ინსტრუმენტს *შესაბამისობის სკალა* (equivalent scale) ეწოდება და გამოიყენება მოზრდილთა და ბავშვთა სხვადასხვა საჭიროების დასადგენად, მსგავსთა შედარების მიზნით.

განვიხილოთ შედარებითი სიღარიბის საზომად გამოყენებული შედარებითობის საშუალებები: გეოგრაფიული საფუძველი და მიმართება ბავშვებთან. ტრადიციულად სიღარიბე იზომებოდა ეროვნულ შედარებითობაზე დაყრდნობით, რამეთუ ხალხი ცხოვრების დონეს ადგილობრივი შედარებითობით საზღვრავს. მიმდინარე გლობალური პროცესები კი სულ უფრო აფართოებს შედარებითობის დიაპაზონს.

სიღარიბის გეოგრაფია

ლისტერი ამბობს, რომ „სიღარიბეს აქვს გეოგრაფიაც“ (Lister, 2004, p.69). ეს ძირითადად ურბანული ფენომენია, თუმცა რურალური სიღარიბის პრეცედენტებიც უხვადაა იზოლაციის, მობილურობის შეზღუდვის გამო, რაც ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემებითაა გამოწვეული.

ღარიბთა უბნები ხასიათდებიან: მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურითა და ფიზიკური გარემოთი, მეზობელთა შორის უნდობლობით, მაღალი დანაშაულით, დაბალი ხარისხის მომსახურებებით და სავაჭრო ცენტრებით (Bulter & Watt, 2007). ღარიბთა უბნების დაარსება ემსახურებოდა გეოგრაფიულ ლოკაციაზე მიმართული პროგრამე-

ბის შექმნას, თუმცა მას მოჰყვა აშკარა სეგრეგაცია მოსახლეობაში, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ღარიბთა სტიგმატიზაციის საკითხი. მენკიუს აზრით (2001), ლოკაციების სუბსიდირებით, ღარიბები რჩებიან ამ უბნებში და ხელოვნურად მცირდება მათი გარე მობილობა. ამ უბნებში, ფირმების დაარსების მოტივირებით (მაგალითად, საგადასახადო კრედიტების მიცემით) და პროდუქციის შექმნით, იზრდება საკუთრების საფასური, რენტა და მიზანი – მათი დაარსებით გაჭირვებულებისათვის სარგებლის მოტანა – მიუღწეველი რჩება. ამიტომ, ნაცვლად ლოკაციაზე ორიენტირებული პროგრამებისა, უმჯობესია საგადასახადო კრედიტების შეთავაზება იმ კომპანიებისათვის, რომლებიც დაასაქმებდნენ ღარიბებს.

მიმართება ბავშვებთან

ახლა განვიხილოთ სიღარიბის ტენდენციები ბავშვებთან მიმართებით. როგორ უნდა გავზომოთ ბავშვთა სიღარიბე, სხვა ბავშვების ცხოვრების სტანდარტთან შედარებით თუ მთელ მოსახლეობასთან შედარებით? თუ ბავშვები ვერ იღებენ მონაწილეობას სოციალურ ცხოვრებაში, დაბალი ცხოვრების სტანდარტის გამო, ემყარება ეს შედარება სხვა ბავშვების ცხოვრების წესთან შედარებას? გამოდის, რომ, იმ ქვეყნებში, სადაც ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მოზრდილთა, ეს უთანასწორობა ვერ დაფიქსირდება და ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი რეალურზე დაბალი იქნება. მაგალითად, აშშ-ში დაფიქსირდა სხვადასხვა შედეგი ბავშვებთან მიმართებით, ამასთან, უფრო მდიდარ შტატებში უფრო მაღალი მაჩვენებლით და ღარიბ შტატებში უფრო დაბლით. ეს იმის შედეგია, რომ აბსოლუტურად უგულებელყოფილი იყო ეკონომიკური უთანასწორობის მაჩვენებელი.

ბავშვები ოჯახებისათვის დამატებით ხარჯებთან არიან დაკავშირებული. ბევრ ქვეყანაში მშობელთა გამომუშავება დაბალია, ბავშვიან ოჯახებში დედის შემცირებული შრომისუნარიანობის გამო. ამ კუთხით, ქვეყნებს შორის სრულიად განსხვავებულ შედეგებს ვაწყდებით. ასევე არის შემთხვევები, როდესაც მატერიალური და სოციალური დანაკლისის დონე აღემატება ან ჩამოუვარდება ბავშვებში აბსოლუტური სიღარიბის დონეს. საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის „ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში“ (2023) შედეგად, გამოვლინდა, რომ მატერიალური და სოციალური დანაკლისის დონე არის 37.8 პროცენტი და აღემატება ბავშვებში აბსოლუტური სიღარიბის დონეს, რომელიც არის 19.6 პროცენტი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსახლეობის აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელია 15.6 პროცენტი (საქსტატი, 2023). გამოდის, რომ ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი კვლავ აღემატება მოსახლეობისას.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კორელაციაში არ არის ბავშვთა სიღარიბის დონესთან. მნიშვნელოვან როლს თამაშობს რასა და სოციალური კლასი. კვლევები ცხადყოფენ სიღარიბის უარყოფით ზეგავლენას ბავშვთა განვითარებაზე, განათლებაზე, ჯანმრთელობაზე და სამუშაო ბაზარზე ადგილის დამკვიდრებაზე. რუქსტონისა და ბენეტის აზრით (Ruxton & Bennet, 2002 cited in Lister, 2004, p. 35), აუცილებელია სიღარიბე დავინახოთ „ბავშვების თვალით“, რადგან ეს უფრო რეალურ სურათს დაგვიხატავს. ტეს რიჯის ბავშვზე ორიენტირებული სიღარიბის კვლევამ გამოააშკარავა, რომ ბავშვებს ადარდებთ ის, რომ ისინი სტიგმატიზებული არიან; ისიც, რომ ისინი არიან „განსხვავებულნი“; ისიც, რომ ინკლუზიასთან დაკავშირებული პრობლემები

მათში აგრესიას ზრდის და ისინი კონფლიქტამდე მიჰყავს (Ridge, 2002; cited in Lister, 2004). სტიგმა მოწიფული ადამიანებისთვისაც დიდი პრობლემაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვებისა და მოზარდების შემთხვევაში შეიძლება გამანადგურებელი აღმოჩნდეს, რადგან ისინი სწორედ თავიანთი იდენტობის გრძნობის ფორმირების პროცესში არიან (Lister, 2004).

ბევრი ქვეყანა ბავშვთა სიღარიბის დაძლევას პოლიტიკურ პრიორიტეტად აღიარებს. ამ მიზანს კი სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით აღწევს. ჰილისა და კოლეგების აზრით (2006), გრძელ ვადაში ანტისიღარიბის სტრატეგია დამოკიდებულია „განათლების, დასაქმების და სხვა პოლიტიკებზე, რომლებიც მშობლების საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვასა და გამომუშავების უნარიანობას უზრუნველყოფენ“ (Healy et al., 2009, p.34). ოჯახი მთავარ როლს თამაშობს ბავშვთა სიღარიბის საკითხში. გენეტიკასაც თავის როლი აქვს, თუმცა გაშვილებული ბავშვების შემთხვევების შესწავლამ ცხადყო, რომ სოციალური გარემო, სადაც ისინი იზრდებიან, გადამწყვეტი როლის მატარებელია. უდიდესი როლი აქვს მშობლების განათლებასაც, რადგან ეს ბავშვების განათლების განმსაზღვრელია (Toynbee, 2008).

ქალთა სიღარიბე

ბევრს საუბრობენ ასევე **სიღარიბის ფემინიზაციაზე.** ქალები ღარიბთა შორის ყოველთვის ჭარბობდნენ. რატომ? ამის გააზრებაში დაგვეხმარება იმაზე ჩაფიქრება, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ქალებისათვის რესურსები და შესაძლებლობები. რადგანაც ისინი ჯერ კიდევ არათანაბრადაა განაწილებული დედამიწის ბევრ ქვეყანაში, ამიტომაც არსებობს უთანასწორობა. ის კვლევები კი, რომლებიც, ოჯახის შემოსავალზე დაყრდნობით ზომავენ სიღარიბეს, ასკვნიან, რომ ოჯახში არ არიან ღარიბები, თუ ოჯახის შემოსავალი სიღარიბის ზღვარს აღემატება. ოჯახის ყველა წევრი ერთნაირად ღარიბი ან მდიდარია. ასეთი დაშვებების დამტკიცება შეუძლებელია ისეთი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, რომლებიც მათ სისწორეს ასაბუთებენ (Daly, 1989).

უმრავლესი ქვეყნების სოციალური დაცვის სისტემა იმ ეპოქაში ჩამოყალიბდა, როდესაც ქალის როლი განსხვავებული იყო და ის ნაკლებად მოიაზრებოდა ოჯახს გარეთ, მას დამოკიდებული პირის სტატუსი ჰქონდა. ამიტომაც, სწორედ სოციალური დაცვის პოლიტიკის მიერ გამოწვეული უთანასწორობის შედეგია უამრავი ასაკოვანი ქალის ეკონომიკური პრობლემები. უმრავლესი თანამედროვე სოციალური დაცვის სისტემა, შრომის ბაზარზე ქალის შრომის სტაჟის გათვალისწინებასთან ერთად, არ ითვალისწინებს მის თავდაუზოგავ აუნაზღაურებელ შრომას ოჯახში. სწორედ ოჯახში არსებული უამრავი პასუხისმგებლობები ბოჭავს ქალს, უფრო მეტი დრო გაატაროს სამსახურში და, შესაბამისად, მიიღოს უფრო მაღალი სოციალური დახმარება ხანდაზმულობისას. წარმოიდგინეთ, ქალი რომ იღებდეს მინიმალურ კრედიტს სოციალური დაცვის სისტემაში ყოველ სახლში გატარებულ დღეზე, რომელსაც ის უთმობს შვილებს, მასზე დამოკიდებულ სხვა პირებსა და სხვადასხვა საოჯახო საქმეებს, ეს ხომ მის ღირსეულ სიბერეს უზრუნველყოფდა (Dinitto, 2005). თუ ქალი არაფორმალური ზრუნვის მიმწოდებელი არ იქნებოდა, მაშინ ეს ხარჯები ხომ სახელმწიფოს უნდა აენაზღაურებინა? გამოდის, რომ პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი ქალი იჩაგრება, მისი შრომა არ არის დაფასებული და აღიარებული სოციალური მომსახურების სისტემის მიერ.

დალის აზრით (1998), სიღარიბისადმი ყველაზე მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ ქალები, რომლებიც:

- ზრდიან შვილებს
- არიან ხანდაზმულები
- არიან უსახლკარონი
- დაბალანაზღაურებად სამუშაოზე მუშაობენ
- სრულ სამუშაო განაკვეთზე მუშაობენ შინ.

განსხვავებულია სიღარიბისაგან თავის დაღწევის სტრატეგიებიც ქალებსა და მამაკაცებს შორის. ქალების „გადარჩენის" სტრატეგიებს შორის ვაწყდებით, მაგალითად, ხარჯების შემცირებას, ძირითადად, საკვებზე და საწვავზე. ღარიბი ოჯახებისათვის საკვებზე დანახარჯი ფიქსირებული დანახარჯი არ არის, არამედ რანჟირებს არსებული ფინანსების მიხედვით (Daly, 1989). ალბათ წარმოგიდგენიათ რამდენად არასახარბიელოა ეს ჯანმთელობისათვის და შემდგომ რა პრობლემებსა და, შესაბამისად, გაორმაგებულ სამედიცინო ხარჯებს იწვევს. ქალების მიერ სიღარიბესთან გამკლავების კიდევ ერთი გზა, რომელსაც დალი წარმოგვიდგენს, ძალიან ამაღელვებელია: უქმეებზე ბავშვების ლოგინში შექცევა სადილამდე, რომ საუზმის მიწოდება არ იყოს აუცილებელი. ამ დღეს, ნაცვლად სამი ულუფისა, ორი ულუფა მიეწოდებათ ბავშვებს. ამავე დროს, ერთი ხელი ტანსაცმელი გადაურჩება გარეცხვას.

როდესაც ქალებს სიღარიბის განმარტება სთხოვეს, ის მრავალგანზომილებიანი აღმოჩნდა (Daly, 1989):

- სამზარეულოს დალაგება ღამით, როდესაც ბავშვებს სძინავთ, რომ სასუსნავები არ მოითხოვონ;
- შიში, რომ ბავშვები იზრდებიან იმ შეგრძნებით, რომ ცხოვრება ასეთია და მისგან არაფერ სხვას არ უნდა ელოდო;
- არჩევანის არქონა;
- ტრანკვილიზატორების მიღება პრობლემებთან გამკლავების უნარის გამოსამუშავებლად.

გრეჰემი (Graham, 1992, cited in Alcock, 2006) გვიამბობს ქალზე, რომელიც გათბობას მხოლოდ მაშინ რთავს, როდესაც მეუღლეა სახლში, ხოლო, როდესაც ის მარტოა, ის პლედშემოხვეულია. ლენდი და როუზი კი თვლიან (Land & Rose, 1985 cited in Alcock, 2006), რომ თვითუარყოფა ქალის სპეციფიკურ ხვედრადაა მიჩნეული და ეს მსხვერპლშეწირვა ან იძულებითი ალტრუიზმია. როგორც ზევით განვიხილეთ, ქალი ოჯახურ მეურნეობაში შენაძენითაც კი შეიძლება ყველაზე ნაკლებად სარგებლობდეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნივთი შესაძლოა მისივე შეძენილიც კი იყოს. ოჯახის ერთი წევრის შენაძენი შესაძლოა სხვების საცხოვრებელ მდგომარეობას უფრო აუმჯობესებდეს, ვიდრე მისას.

საქმეს ისიც ართულებს, რომ ქალები და მამაკაცები შრომას თანაბრად არ იყოფენ, რადგან მამაკაცები უმეტესწილად არ კისრულობენ თავიანთ წილ პასუხისმგებლობას სახლში და ბავშვების აღზრდაში. ისეთ ოჯახებშიც კი, სადაც ქალია მხოლოდ დასაქმებული და ოჯახის ყველა სხვა წევრი მასზე დამოკიდებული პირი, ის მაინც მარტოა ოჯახის საქმეების პასუხისმგებლობის წინაშე. სტერნი საუბრობს ქალთა რთულ ცხოვრებაზე, როდესაც ურთიერთგადახლართული ცვლილებები შინ თუ გარეთ იძულებულს

ხდის თანამედროვე ქალს, რომ იკისროს ოჯახის წინამძღოლობა. იგი ამას „არეული ოჯახის ინდექსს“ უწოდებს (Stern, 1997).

სიღარიბის გაზომვის სხვადასხვა მეთოდი

მთავარია ჩამოყალიბებულნი ვიყოთ იმაზე, თუ როგორ გვინდა სიღარიბის გაზომვა, შემოსავალთან, ცხოვრების სტანდარტთან თუ დანახარჯთან მიმართებით. სიღარიბის გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება სხვადასხვა შედეგი მიგვაღებინოს. თუ სიღარიბის გაზომვას **შემოსავალთან მიმართებით** ვაპირებთ, აუცილებელია განვსაზღვროთ მხოლოდ ფაქტიურ შემოსავალთან მიმართებით ვზომავთ თუ მატერიალურ რესურსებთან და აქტივებთან მიმართებით. კვლევებმა ცხადყო, რომ დაბალი შემოსავალი არ არის ცხოვრების დაბალი სტანდარტის პირდაპირი განმსაზღვრელი ფაქტორი.

შეუთავსებლობა შეიმჩნევა განსაკუთრებით მაშინ, როცა შემოსავლის გაზომვა გათვლილია ოჯახზე, ხოლო საცხოვრებელი სტანდარტის ან კეთილდღეობისა – ინდივიდზე, გენდერული იმპლიკაციით.

ზოგჯერ ადამიანის ცხოვრების ცუდი პირობების მიზეზად მხოლოდ დაბალ შემოსავალს ვერ მივიჩნევთ ან, პირიქით, ადამიანი შესაძლოა თავს აღწევს ცხოვრების ცუდ პირობებს სხვადასხვა საშუალებით: დანაზოგის აქტივიზაციით, სესხის აღებით, საქველმოქმედო ორგანიზაციებში დახმარებისთვის მიმართვით, მათხოვრობით, ქურდობით და სხვა. ასე რომ, მხოლოდ შემოსავლის გაზომვით ვერ მივიღებთ სიღარიბის ზუსტ მაჩვენებელს. ამასთან, შემოსავლის მომატებასთან ერთად, შესაძლოა არ გაუმჯობესდეს ცხოვრების პირობები, თუ, მაგალითად, ინდივიდი მთელს ნამატს ვალებში დახარჯავს. ამიტომ, როდესაც საცხოვრებელი პირობები სიღარიბის განსაზღვრის ფაქტორია ნაწილობრივ, საჭიროა როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი საშუალებების გამოყენება. ამიტომ, ზოგიერთ ქვეყანაში ორდონიან საზომს იყენებენ, მაგალითად, ბავშვთა სიღარიბის გასაზომად, რომელიც მოიცავს როგორც დაბალშემოსავლიანობის ინდიკატორს, ისე მატერიალური სიდუხჭირისა და დაბალი შემოსავლის კორელაციურ ინდიკატორს, როგორც საცხოვრებელი პირობების დამატებით საზომს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ფულადი შემოსავლის გარდა, კიდევ 4 ტიპის შემოსავალს ვხვდებით უმრავლეს ქვეყნებში: კაპიტალურ აქტივებს, დამქირავებლის მიერ მოწოდებულ ბენეფიტებს, სახელმწიფო მომსახურებებს, კერძო შემოსავლებს. ეს რესურსები კი ქალებისა და მამაკაცებისათვის სხვადასხვაა ხშირ შემთხვევაში. ამავე დროს, რესურსების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად გადაქცევა დროს მოითხოვს – უმეტესწილად კი ქალების დროს. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც რესურსები იზომება, განსაკუთრებით შემოსავალი, შედეგებზე ზემოქმედებს. რაც უფრო მოკლეა პერიოდი, მით უფრო დიდია სხვაობა შემოსავალსა და მოხმარებას შორის, ე.ი. მაღალია სიღარიბის მაჩვენებელი. რაც უფრო გრძელია პერიოდი, მით უფრო დაბალია სიღარიბის მაჩვენებელი, რადგან დროებითი შეუსაბამობა შემოსავალსა და საჭიროებებს შორის არ ფიქსირდება.

სიღარიბის საზომად იყენებენ კიდევ ერთ საზომს – სოციალურ ინდიკატორს, იმავე შეთანხმებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია დეპრივაციის (დანაკლისის) ინდექსის აგებაზე (Bulter & Watt, 2007). ტაუნსენდის (1979) ინდექსი შედგება საზოგადოებისათვის „საჭირო“ იმ საგნებისაგან, რომლებიც თავად ტაუნსენდმა ჩათვალა საჭირო

საგნებად. ამ ინდექსის განახლებული ვერსიაა გორდონისა და მისი კოლეგების (2000) მიერ შემუშავებული ინდექსი, რომელიც ეფუძნება საზოგადოების და არა ექსპერტების მიერ იდენტიფიცირებულ საჭირო საგანთა ჩამონათვალს. ევროსტატის მონაცემებით (2020), მატერიალური დეპრივაზია განისაზღვრება ცხრიდან ოთხი ინდიკატორის დანაკლისით: რენტის გადახდის უნარი, საცხოვრებლის გათბობის უნარი, გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღების უნარი, ხორცის, თევზის ან შესაბამისი ცილოვანი პროდუქტის მიღების საშუალება ყოველ მეორე დღეს, ერთკვირიანი დასვენების უნარი, მანქანის, სარეცხი მანქანის, ფერადი ტელევიზორის, ტელეფონის ქონა.

ზოგიერთნი მიიჩნევენ, რომ დანახარჯი არის სიღარიბის უფრო ზუსტი საზომი, როგორც უფრო საიმედო საზომი შემოსავლისა და საცხოვრებელი სტანდარტისა. თუმცა ამასაც თავისი პრობლემები ახლავს, მაგალითად, პერიოდული მსხვილი დანახარჯი და დანაზოგებისა და სესხების ფაქტორი. ამავე დროს, ოჯახურ მეურნეობაში ერთი წევრის შენაძენი შესაძლოა სხვების საცხოვრებელ მდგომარეობას უფრო აუმჯობესებდეს, ვიდრე მისას, მაგალითად, ოჯახის დედის უმრავლესი საოჯახო შენაძენი. ასე რომ, არც შემოსავლისა და არც დანახარჯის ინდიკატორებზე დაყრდნობით არაა შესაძლებელი რეალური კეთილდღეობის გაზომვა.

ზოგიერთ ქვეყანაში სიღარიბის ანალიზისთვის შემდეგ ინდიკატორებსაც იყენებენ: სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლების ხარისხი და განათლების დონე. ზოგიერთში კი სიღარიბესა და დანაკლისს ზომავენ შემდეგი მონაცემების შეგროვებით: საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, სოციალური და რეკრიაციული ღონისძიებების განხორციელება, სამომხმარებლო ნივთების შეძენის უნარი, საცხოვრისის მდგომარეობა, საკუთარი მდგომარეობის შეფასების უნარი, სოციალური გარემოს მახასიათებლები, საცხოვრისის გათბობის საშუალება, სასურველი საკვების შეძენის საშუალება, ცუდი გარემო პირობები, კომუნალური გადასახადების გადახდის უნარი, საცხოვრისის ქირაობის ან შეძენის უნარი (Greve, 2015).

სიღარიბის ზღვარი, როგორც სიღარიბის გაზომვის სტანდარტი

სიღარიბის გაზომვისათვის აუცილებელია განსაზღვრულ იქნეს სიღარიბის ინდიკატორები და სტანდარტი, ე.წ. სიღარიბის ზღვარი, რასთან მიმართებითაც უნდა შეფასდეს ეს ინდიკატორები. „სიღარიბის ზღვარი“ მიიჩნევა იმ ზღვრად, რომლის ქვევითაც აღმოჩენილი ადამიანი ღარიბად მიიჩნევა. ამ ზღვრის დადგენისთვის სხვადასხვა მიდგომა გამოიყენება. ეს მიდგომები იყოფა დაუსაბუთებელ და მეცნიერულ მიდგომებად.

დაუსაბუთებლად მიიჩნევა მიდგომა, რომელიც არაა დაკავშირებული საჭიროების ან სიდუხჭირის კრიტერიუმთან. დაუსაბუთებელი მიდგომა მეტად გამოსადეგია და შედეგიანია ოფიციალური სიღარიბის გამოსათვლელად, თავისი სიმარტივისა და საერთაშორისო მოხმარებისათვის ვარგისიანობის გამო. მეცნიერულ მიდგომას კი მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ.

სიღარიბის ზღვარზე დიდ ზეგავლენას ახდენს დროის განზომილება. როგორც კი ეს ზღვარი დადგინდება, თანდათანობით ცვლილებების მონიტორინგისთვის ის ან უნდა დაფიქსირდეს რეალურ ვადებში, ან დამოკიდებული გახდეს შემოსავლის ზრდაზე, ან რეგულარულად შეიცვალოს მოსალოდნელ ცვლილებებთან მიმართებით. სიღარიბის ზღვარი ადგენს ღარიბთა რაოდენობას და შემადგენლობას, რასაც მოსდევს იმ პოლი-

ტიკის სწორად განსაზღვრა, რომელმაც ეს ხალხი უნდა ამოიყვანოს ამ გაჭირვებიდან სიღარიბის ზღვრამდე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხშირად არაფერს გვეუბნება სიღარიბის სიღრმესა და ინტენსიურობაზე, ე.ი. იმაზე, თუ რამდენად სიღარიბის ზღვარს ქვევითაა ხალხის შემოსავალი. ამიტომაც, აუცილებელია „სიღარიბის დონეების“ გაზომვა, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ სიღარიბის დაძლევის მხოლოდ რაოდენობრივ ინდიკატორებს არ დავეყრდნოთ. ისინი, ვინც ოდნავ სცილდებიან სიღარიბის ზღვარს, უფრო ადვილი „ამოსაყვანები“ არიან ამ ზღვრამდე, ვიდრე ისინი, ვისი შემოსავალიც საგრძნობლად სცილდება დაწესებულ ზღვარს, ე.ი. რაოდენობრივი მაჩვენებელი არაფერს გვეუბნება სიღარიბის დონეებს შორის სხვაობის გაუქმებაზე.

როგორ დგება სამომხმარებლო კალათა

როგორ დგება სამომხმარებლო კალათა, ეს უკვე ე.წ. „მეცნიერული“ მიდგომის პრეროგატივაა. ხშირად მას ექსპერტები ადგენენ და დროშიც ყოველთვის განახლებადი არ არის. სიღარიბე იზომება მათი შეხედულებისამებრ, ღარიბთა ცხოვრებისათვის აუცილებელი საარსებო მინიმუმისა და საბაზისო მოთხოვნილებების საგნების აღრიცხვით. ასევე გამოიყენება მონაცემი დანახარჯის არარსებობის შესახებ ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე და ფუფუნების საგნებზე. მაგალითად, საქართველოს სამომხმარებლო კალათა მოიცავს 305 დასახელების სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას (საქსტატი, 2023).

ეს მიდგომა კი ვერანაირად ვერ გამოდგება მათზე, ვინც ამჯობინებს ხანგრძლივი მოხმარების ან ფუფუნების საგნებზე ხარჯვას, აუცილებელი მოთხოვნილებების საგნებზე უარის თქმის ხარჯზე. რასაკვირველია, ხარჯვის ამგვარ მონაცემებზე დაყრდნობით შეგროვებული ინფორმაცია არ იძლევა ობიექტური რეალობის ასახვის საშუალებას. აქ კულტურულ ფაქტორსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და პერსონალურსაც. მაგალითად, ალდერფერის (Alderfer, 1969) საჭიროების თეორია აღიარებს უპირატესობებს საჭიროებების დაკმაყოფილებაში სწორედ კულტურებს შორისაც და ადამიანებს შორისაც. მას შემოაქვს „შიმშილით სიკვდილის პირას მყოფი მხატვრის“ ფენომენიც, რომელიც ზრდის საჭიროებას ეგზისტენციურზე მაღლა აყენებს.

ბოლო პერიოდში ტარდება სოციალური გამოკითხვები იმისათვის, რომ საზოგადოებამ თავადვე განსაზღვროს მინიმუმი საცხოვრებელი სტანდარტი. ეს სამ მიზანს ემსახურება:

1. დაადგინოს ის საგნები და აქტივობები, რასაც უმრავლესობა მიიჩნევს აუცილებელ მინიმუმად და არ შემოიფარგლება ექსპერტთა ერთი ჯგუფის შეთანხმების საფუძველზე მიღწეული კონსენსუსით;
2. გამოავლინოს ისინი, ვინც იძულებულია, რესურსების სიმწირის გამო, ამ აუცილებელი მინიმუმის გარეშე იცხოვროს;
3. დაადგინოს შემოსავლის ზღვარი, როდესაც აუცილებელი მინიმუმის შეძენა შეუძლებელია.

ჰოლმანი გვთავაზობს ღარიბთა ჩართვას სიღარიბის დაძლევის ინიციატივებში, რადგან, მისი აზრით, მხოლოდ მათ შეუძლიათ „სიღარიბის გამომწვევი მიზეზების ადვოკატობა“ (Holman, 1978). „წარმომადგენელთა“ ჩართულობის პრეცედენტი „მხარდამჭერთა“ ჩართულობაზე უფრო ეფექტიანი იქნება (Whitney & Winnieard, 1983; cited in

Alcock 2006, p.196), რადგან „კამპანიები ღარიბთათვის“ ნაკლებეფექტიანია, „ღარიბებისგან ინიცირებულ“ კამპანიებთან შედარებით (Hills, 2006, p.197). ჰოლმანი ამბობს, რომ სიღარიბის ინიციატივებმა უნდა მისცეს ღარიბ ხალხს გამოხატვის საშუალება, ამავე დროს, გარანტიით, რომ „მათ აზრს შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვება“, რადგან ღარიბთა წარმომადგენლები ხშირად თავს სწორედ ამ გარანტიაში დაურწმუნებლობის გამო იკავებენ (Holman, 1978).

სოციალური ექსკლუზია

რადგან სიღარიბის განმარტებისას ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შეზღუდულ შესაძლებლობაზე ვსაუბრობთ, ეს ავტომატურად სოციალური ექსკლუზიის საკითხს წამოჭრის. რა არის სოციალური ექსკლუზია? მასაც, სიღარიბის მსგავსად, ბევრი განმარტება აქვს. ეკონომიკური და სოციალური კვლევის ორგანიზაციის განმარტებით, ექსკლუზია არის „პროცესი, რომლის დროსაც საზოგადოება პოლარიზებულია, სოციალურად დიფერენცირებული და უთანასწოროა“. უოლკერისა და უოლკერის განსაზღვრებით (Walker & Walker, 1997), სოციალური ექსკლუზია არის „დინამიკური პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი გარიყულია სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული სისტემიდან, რომელიც საზოგადოებაში მის სოციალურ ინტეგრაციას განაპირობებს“. მრავალ თეორეტიკოსთა აზრით, სოციალური ექსკლუზია მოიცავს სხვადასხვა ფენომენს, დაწყებული სიღარიბიდან, უმუშევრობიდან და რასიზმიდან, დანაშაულამდე და ანტისოციალურ ქცევამდე. სოციალური ექსკლუზია და სიღარიბე განუყოფელი დიადაა, თუმცა ზოგიერთები პირველს უფრო მრავალასპექტიან პრობლემად მიიჩნევენ, ვიდრე მეორეს (Levitas, 1998; Bulter & Watt, 2007).

სოციალური ექსკლუზია მულტიმიზეზობრივია, ფარდობითია და მოიცავს უფრო ნაკლებ ხელშესახებ ასპექტებს, ვიდრე სიღარიბე; ეს ასპექტებია: სტატუსის, ძალაუფლების, თვითპატივისცემისა და მომავლის რწმენის დაკარგვა. პატივისცემისა და აღიარების საკითხი ცენტრალურია სიღარიბისთვისაც. სტრუქტურული მახასიათებლები, როგორებიცაა: უთანასწორობა, პოლარიზაცია, სოციალური მობილობა მიიჩნევა სოციალური ექსკლუზიის არა თანმხლებ, არამედ განმაპირობებელ ფაქტორებად. *სოციალური ექსკლუზიის სააგენტო* სოციალური ექსკლუზიის სამ მაკროგანმაპირობებელ ფაქტორს გამოყოფს:

- დემოგრაფიულს;
- შრომის ბაზრის;
- სოციალურ პოლიტიკას.

წარსულში არსებული დემოგრაფიული ფაქტორები, როგორებიცაა: ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის სიჭარბე, ხანდაზმულები და, შესაბამისად, დამოკიდებულ პირთა მაღალი თანაფარდობა, ასევე მარტოხელა დედობა, სოციალურ ექსკლუზიაზე ნაკლები ზეგავლენის მქონეა ამჟამად. თუმცა დღეს არსებული ფაქტორების სიჭარბე, როგორებიცაა: შიდა მიგრაცია, მარტო ცხოვრება, თანაცხოვრება, შესაძლოა იყოს სოციალური ექსკლუზიის ზრდის ფაქტორები.

რაც შეეხება სამუშაო ბაზრის ფაქტორს, ის მოიცავს: უმუშევრობას, „ფლექსიბურობას“ და სოციალური უსაფრთხოების შემცირებას სამუშაო ბაზარზე, შემოსავლებსა და სამუშაოზე კონცენტრაციის დისპერსიას. სოციალური პოლიტიკის კუთხით კი

ექსკლუზია, ბენეფიტების ფასებთან და არა შემოსავლებთან შესაბამისობაში გაცემის, მათი მაქსიმალურად შეკვეცის ან გაუქმების პოლიტიკის, ბენეფიტების ოდენობის ზრდის დროსაც კი საჭიროების უგულებელყოფის შედეგია. თუმცა, ბრედშოუს აზრით, თუ სოციალურ პოლიტიკას შეუძლია იყოს სოციალური ექსკლუზიის განმაპირობებელი ფაქტორი, მას მისი შემცირებაც ძალუძს.

მილიბანდი სამი სახის სოციალურ ექსკლუზიაზე საუბრობს:

- ფართო
- კონცენტრირებულ და
- ღრმა ექსკლუზიაზე.

ფართოა ექსკლუზია, თუ ადამიანთა დიდ რაოდენობაში ექსკლუზიის ერთი ან ერთზე ცოტა მეტი ინდიკატორი მჟღავნდება. კონცენტრირებული ექსკლუზია ნიშნავს ექსკლუზიის პრობლემის გეოგრაფიული კონცენტრაციის მიხედვით განხილვას. ხოლო ღრმაა ექსკლუზია, თუ მრავალი და ერთმანეთის მომცველი ინდიკატორი მჟღავნდება. ერთ ან მეტ ასპექტში სოციალური ექსკლუზია კი ძალზედ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე.

სიღარიბესა და სოციალურ ექსკლუზიაზე საუბრისას, ბუნებრივია, სოციალური უთანასწორობის თემას ვერ ავუვლით გვერდს. სიღარიბე დაკავშირებულია უთანასწორობასთან, რამეთუ ეს უკანასკნელი სიღარიბის განმაპირობებელი ფაქტორია, თუმცა არა ყოველგვარი უთანასწორობა. მაგალითად, ქონებრივი უთანასწორობა საშუალო და მდიდართა კლასს შორის, კომპანიებში ან პოლიტიკურ პარტიებს შორის ძალაუფლების გადანაწილება ვერ იქნება სიღარიბის განმაპირობებელი ფაქტორი. დომინანტი ლიბერალური იდეოლოგიის მესვეურები უთანასწორობის აღკვეთაზე ყოველგვარ საუბარს მემარცხენეობად აღიქვამენ. მათი მტკიცებით, მდიდართა წახალისება ისევ ღარიბთა კეთილდღეობას ემსახურება. მთავარია ქვეყანა ეკონომიკური განვითარების გზაზე იყოს, დანარჩენს ბაზარი დაარეგულირებს. თუმცა ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი მზარდი შიდა ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე არ იგივდება სიღარიბის მაჩვენებლის შემცირებასთან და, პირიქით, ხშირად ზრდის კიდეც უთანასწორობას (Dragoš, Leskošek, 2003). ღარიბთა რიცხვის მაქსიმალურად შემცირება ეკონომიკურადაც გამართლებულია. სიღარიბის დაძლევისათვის გამოყენებული საშუალებები არათუ არ შეამცირებს მდიდართა სიმდიდრეს, არამედ, პირიქით, რამეთუ გაზრდის იმ სეგმენტის მსყიდველობით უნარს, რომელსაც ეს ადრე არ ჰქონდა. ასე რომ, სიღარიბის აღკვეთა უთანასწორობის აღკვეთის გარეშე სრულიად შესაძლებელია.

ვერც ღარიბთა სოციალური ინტეგრაციის თემას ავუვლით გვერდს, ექსკლუზიაზე საუბრისას. ამ მხრივ საინტერესოა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჰიპოთეზის განხილვა: *კომპენსაციისა* და *აკუმულაციის* თეზისი. პირველი ამტკიცებს, რომ მატერიალური სიდუხჭირისას სოლიდარობის განცდა და სოციალური ჯგუფები ძლიერდება. აკუმულაციის თეზისი კი სოციალურ დისინტეგრაციას სიღარიბის კომპანიონად ხედავს. პიერ ბურდიეს მოსაზრებით, სოციალურ ქსელს შენარჩუნება სჭირდება, ამას კი ხარჯი ახლავს, ოჯახისაგან განსხვავებით, სადაც პირდაპირ რესიპროკალურობაზე არ არის დამოკიდებული სოლიდარობა. ოჯახგარე ურთიერთობები რესიპროკალურობასა და გაცვლა-გამოცვლის პრინციპზე დაყრდნობით მუშაობს. სწორედ ამიტომ ღარიბ ადამიანს უჭირს დაიცვას რესიპროკალურობის პრინციპი (Bourdieu, 1983 cited in Bonke, 2008).

როგორ შევამციროთ სიღარიბის მაჩვენებელი

დადგა დრო დავსვათ შეკითხვა – როგორ შევამციროთ სიღარიბის მაჩვენებელი? ერთნი მიიჩნევენ, რომ მთავრობამ უნდა შექმნას უსაფრთხოების ქსელი, რომელიც მოქალაქეების სიღარიბის დადგენილ ზღვარს ქვევით ჩავარდნის პრევენციას უზრუნველყოფს. ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მიზნობრივი საჭიროების ტესტირების საფუძველზე შექმნილი დახმარებები მიეწოდებათ ღარიბებს – მათ, ვინც ამას უკიდურესად საჭიროებს. მიზნობრივი დახმარების მეთოდები მოიცავს: ა) სოციალურ და დემოგრაფიულ მახასიათებლებს ან ქონებრივ მახასიათებლებს და ბ) შემოსავლის მახასიათებლებს. მიზნობრივი დახმარების მეთოდი, რომელიც სოციალურ-დემოგრაფიულ ან ქონების მფლობელობაზეა აგებული, გრძელვადიან ღარიბებს უწევს სოციალურ დახმარებას, რამეთუ ეს ინდიკატორები უფრო სტაბილური ინდიკატორებია დროში გაწერილი, მაშინ, როცა შემოსავლის ინდიკატორი ამჟამინდელ ღარიბებს ასარგებლებს მეტად. რადგან ამჟამინდელი ღარიბები მეტნი არიან რაოდენობრივად, ვიდრე გრძელვადიანი ღარიბები, ამ უკანასკნელთა უგულებელყოფა, მიზნობრივი დახმარების პოლიტიკის გატარებისას, საგრძნობლად ამცირებს პროგრამის ღირებულებას. სწორედ ამიტომაც, ბევრი ქვეყანა სწორედ ამ პოლიტიკას ატარებს, თუმცა მოკლევადიან შედეგს იძლევა და გრძელ ვადაში სიღარიბის მაჩვენებელი მკვეთრი კლებით არ ხასიათდება.

მიზნობრივი დახმარებების პოლიტიკას მოწინააღმდეგენიც ჰყავს. მაგალითად, სოციალური პოლიტიკის განვითარებისეული მიდგომის წარმომადგენელთა აზრით, ღარიბებისთვის მხოლოდ რესურსების მიწოდებას სიკეთეებისა და ცხოვრების სტანდარტების შემოწმების გზით ნეგატიური ეფექტი აქვს (Midgley, 2008), რადგან ამგვარ მიდგომას ორი მუხანათი ასპექტი ახლავს – „სიღარიბის ხაფანგი“ და „დანაზოგის ხაფანგი“, რომლებიც არიან განუყოფელი ატრიბუტები ნებისმიერი მცდელობისა, დადგინდეს გარკვეული შემოსავლის თუ ქონების/დანაზოგის ფონზე სოციალური ბენეფიტის ან სოციალური მომსახურების მიწოდების პირობები. არადა, როცა ადამიანის შემოსავალი თუ დანაზოგი მიაღწევს გარკვეულ ზღვარს, ის ჯარიმდება სწორი ქცევისთვის. ამ დროს, ბენეფიტებით და/ან მომსახურებით მოსარგებლენი რაციონალურად უდგებიან მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობების აღსრულებას ოჯახის წინაშე და ასე ცდილობენ თავის გატანას.

მეორენი კი ფიქრობენ, რომ ქვეყანაში მინიმალური ხელფასის დაწესება დაეხმარება მოქალაქეს სიღარიბის პრობლემის დაძლევაში და, თანაც, მინიმალური დანახარჯით სახელმწიფოს მხრიდან. ამ, ერთი შეხედვით, უნივერსალურ მიდგომას საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მათი აზრით, მაღალი მინიმალური ხელფასის დაწესებით დაბალკვალიფიციური მუშახელისათვის, ირღვევა ეკონომიკის მთავარი პრინციპი, რომ ბაზარმა უნდა დაარეგულიროს მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსი. ხელფასის ხელოვნურად ზრდისას წონასწორული დონის ზემოთ კი უმუშევრობას ვიღებთ (Aspalter, 2014).

სამწუხაროდ, სიღარიბის დაძლევისა და მასთან გამკლავების უნივერსალური მიდგომა არ არის შემუშავებული სამყაროში, რადგან ის, რაც მუშაობს ერთთათვის, არ არის იმდენად ეფექტიანი მეორეთათვის; ის, რაც ეხმარება სიღარიბის დაძლევაში ერთგან, არა აუცილებლად ვარგისიანია მეორეგან. ერთთა პრობლემის მოგვარება ზოგჯერ მე-

ორეთა პრობლემის წარმოშობის მიზეზია და ეს ყველაფერი მგრძნობიარეა დროსთან, ადგილმდებარეობასთან და პოლიტიკურ ვითარებასთან მიმართებით როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალურ კონტექსტში.

სიღარიბის დონეზე დიდ გავლენას ახდენს კეთილდღეობის სისტემა. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული ტრადიციის მქონე ქვეყნები უკეთ ახერხებენ მოკლე- და გრძელვადიანი სიღარიბის პრევენციას. ლიბერალური ტრადიციის მქონე და სამხრეთევროპულ ქვეყნებში სიღარიბის უფრო მაღალი მაჩვენებლები ვლინდება და უფრო ხანგრძლივად, მაშინ, როდესაც კორპორაციული ტრადიციის მქონე ქვეყნებში შუალედური მდგომარეობაა. არასტაბილური დასაქმება და მუდმივცვალებადი სამუშაო გარემო სამჯერ ზრდის სიღარიბის მაჩვენებელს, მაშინ, როდესაც დაუსაქმებლობიდან დასაქმებაზე გადასვლა 1,5-ჯერ ამცირებს მას (Eurostat, 2002). ის, თუ როგორი დასაქმების პოლიტიკა ტარდება ქვეყანაში, დიდ ზეგავლენას ახდენს სიღარიბის მაჩვენებლებზე. ლუისი (Lewis, 1961) კი სიღარიბის დაძლევის უფრო ეფექტიან გზად ეკონომიკური და სოციალური რეკონსტრუქციიდან ინდივიდუალურ ტრენინგსა და თვისებებისა და უნარ-ჩვევების რეფორმირებაზე გადასვლის პოლიტიკას მიიჩნევდა და ძვირად ღირებული რედისტრიბუციული პოლიტიკიდან ნაკლებფასიანი სოციალური მუშაობისა და საზოგადოებრივი ფსიქიატრიის გამოყენებისაკენ მოუწოდებდა პოლიტიკოსებს.

დასაქმება

ქვეყნის ცხოვრების სტანდარტის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი დასაქმების დონეა. დაუსაქმებლობის პრობლემა ორ კატეგორიად იყოფა: მოკლე- და გრძელვადიანი პრობლემა. დასაქმების მაჩვენებლები განისაზღვრება დასაქმების ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობით, მუშაობის მსურველთა და სამუშაო უნარების მქონეთა პროპორციით. შრომის ძალა არის დაუსაქმებელთა და დასაქმებულთა რაოდენობის ჯამი. დაუსაქმებლობის დონე კი დაუსაქმებელი მუშახელის პროცენტული მაჩვენებლით განისაზღვრება. დაუსაქმებლობის ბუნებრივი დონე ქვეყანაში 5-6-პროცენტიან დაუსაქმებლობას გულისხმობს. თითქმის არ არსებობს დაუსაქმებლობის ნულოვანი მაჩვენებელი. ციკლური დაუსაქმებლობა კი დაუსაქმებლობის მაჩვენებლის წლიურ ცვალებადობას ნიშნავს, მისი ბუნებრივი მაჩვენებლის გარშემო.

სამუშაო ბაზრის პოლიტიკა მოიცავს პასიურ და აქტიურ სამუშაო ბაზრის პოლიტიკას. აქტიური სამუშაო ბაზრის პოლიტიკა, თავის მხრივ, მოიცავს: დასაქმების დაზღვევას ან მხარდაჭერას; დასაქმების კანონს, რომელიც მინიმალურ ხელფასს განსაზღვრავს. ხოლო აქტიური სამუშაო ბაზრის პოლიტიკა კი მოიცავს: პირდაპირი დასაქმების პროგრამების შექმნას სახელმწიფო სამუშაო ადგილების შექმნით, მათ შორის; საინფორმაციო და კვლევით დასაქმებით ცენტრებს; ტრენინგებს უნარების გაუმჯობესებისათვის.

დასაქმების პოლიტიკა

სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა დასაქმების პოლიტიკა აქვს. უმუშევრობასთან გამკლავების განსხვავებულ მექანიზმებს ქმნიან და ეკონომიკური ზრდისა და ადამიანური რესურსების გამოყენების სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ. მაგალითად, აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოს ახასიათებთ უმუშევრობიდან-დასაქმებაზე გადასვლის სა-

ვალდებულო პროგრამები, რაც გულისხმობს მწირ უმუშევრობის დაზღვევასა და სოციალურ დახმარებას, მაგრამ მკაცრი მოთხოვნით, რომ პოტენციური დასასაქმებელი პირი ჩაერთოს დასაქმების პროგრამებში; კვლევებმა აჩვენა, რომ უმუშევრობის დაზღვევა დაუსაქმებელთა სამუშაოს მოძიების დემოტივაციას იწვევს და, თუ დაუსაქმებელი არ იქნება დახმარების იმედზე, მისი დასაქმების მოტივაცია საგრძნობლად იზრდება. გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ დასაქმების ბენეფიტებზე დანახარჯის შემცირებით და, ბენეფიტების გამომუშავების ნაცვლად, ფასებთან მიბმით გამოათავისუფლა რესურსები საგადასახადო კრედიტებისა და სახელმწიფო მომსახურებებისათვის. ამან კი ბენეფიტების სისტემის ჰორიზონტალური თანასწორობის საკითხი წამოსწია წინა პლანზე და გამოთავისუფლებული რესურსები, სელექტივიზმის პრინციპზე დაყრდნობით, პენსიონერებისა და ბავშვიანი ოჯახებისათვის ბენეფიტების ზრდის მდგრადობის უზრუნველყოფას მოხმარდა.

უმუშევრობის დაზღვევის მომხრეთა აზრით კი, გარდა იმისა, რომ ის არწმუნებს ადამიანებს, რომ, განთავისუფლების შემთხვევაში, მათ შეუნარჩუნდებათ გარკვეული შემოსავალი, მათი სოციალური უსაფრთხოების გრძნობაც იზრდება. ამავე დროს, ისინი ნაჩქარევად არ იწყებენ ახალ სამუშაოს და ეძლევათ საშუალება მათი კვალიფიკაციისა და სურვილების შესაბამისად მოიძიონ სამუშაო. ეს კი ზრდის მათი კმაყოფილების ხარისხს და, შესაბამისად, მათ კეთილდღეობასაც.

დასაქმების უფლებას იგივე სტატუსი აქვს, რაც შემოსავლის დაცვის უფლებას. ნორდიკულ ქვეყნებში დასაქმების პოლიტიკის დასაქმებულებსა და დასაქმების მაძიებლების ინტერესებზე მორგება სოციალური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ამას შრომითი ურთიერთობის ახალი ფორმებიც ცხადყოფენ, მაგალითად, როგორიცაა „ფლექსექიურითი“ (ტერმინი, რომელიც ფლექსიბურობისა და უსაფრთხოების ნაზავია). ის დასაქმებულებისა და დასაქმების მაძიებლების სამუშაო პირობებზე მაქსიმალურად მორგებას გულისხმობს. მაგალითად, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში ნახევარგანაკვეთიანი სამუშაოს სიმცირე მეტყველებს იმაზე, რომ დასაქმების ბაზარი არ არის გაჯერებული ქალებით და, თუ ქალები არიან დასაქმებულნი, ისინი სრულ განაკვეთზე მუშაობენ (ესპინ-ანდერსენი, 2002). ეს, ბუნებრივია, ზღუდავს მათი დედობის ფუნქციას. სოლიდური, უნივერსალური კეთილდღეობის სისტემა კი ამცირებს სოციალურ პრობლემებს და ზრდის შემოსავლის მოსაკრებელს, ქმნის ასევე სოციალური სამართლიანობის განცდას.

დასაქმების წამახალისებელი ზომებია ბონუს სისტემის დანერგვა გარკვეული რაოდენობის საათების დაგროვების შემთხვევაში (მაგალითად, გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული დასაქმების შენარჩუნებისა და წინსვლის პროგრამები). მიუხედავად ხარჯისა მოკლე ვადაში, ამგვარი პროგრამები მაღალი უკუგებით ამართლებენ ამ ინვესტირებას. ისინი სოციალური სამართლიანობის, სისტემური ხარვეზების აღმოფხვრისა და პროდუქტიულობის ზრდისაკენ მიმართული პროგრამებია.

ეკონომისტთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ, მაღალი მინიმალური ხელფასის დაწესებით დაბალკვალიფიციური მუშახელისათვის, ირღვევა ეკონომიკის მთავარი პრინციპი, რომ ბაზარმა უნდა დაარეგულიროს მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსი. დაბალკვალიფიციური მუშახელის მაღალი ხელფასით უზრუნველყოფა შრომის საფასურს ზრდის დამქირავებლისათვის და ამცირებს ფირმების მიერ შრომის რაოდე-

ნობაზე მოთხოვნას. ამის შედეგი კი უმუშევრობის მაჩვენებლის ზრდაა იმ მუშახელს შორის, რომლებიც, მაღალი მინიმალური ხელფასის დაწესების გამო, უმუშევრები აღმოჩნდნენ. იმ დასაქმებულთა მდგომარეობა, რომლებიც იღებენ მაღალ მინიმალურ სახელფასო ანაზღაურებას, საგრძნობლად გაუმჯობესდა იმათ ხარჯზე, ვინც დაბალ ანაზღაურებაზეც თანახმა იყო. თუმცა ამ შედეგების მასშტაბები დიდწილადაა დამოკიდებული მოთხოვნის ელასტიკურობაზე და, მაღალი მინიმუმ ხელფასის მომხრეთა აზრით, დაბალკვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნა ნაკლებად ელასტიკურია, ამიტომაც მინიმუმალური ხელფასის დაწესება მხოლოდ უმნიშვნელოდ ამცირებს დასაქმების შესაძლებლობებს.

საგადასახადო კრედიტები განიხილება, როგორც მიწოდების მოდერნიზაციის საშუალება და მიიჩნევა უფრო მარტივი და ეფექტიანი მიზნობრივი ტესტირების ფორმად. გადასახადის კრედიტის სისტემა ეფუძნება პროგრესული უნივერსალიზმის პრინციპებს. ეს ნიშნავს ყოველი ბავშვიანი ოჯახის დახმარებას, მაგრამ უფრო მეტ დახმარებას მეტად გაჭირვებულთათვის, შემოსავლის ტესტირებაზე დაყრდნობით.

დასაქმების პოლიტიკაზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ პროფესიული კავშირების თემას. შრომის ბაზარზე პროფკავშირები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. პროფკავშირების მიზანია მშრომელთათვის სამუშაო პირობების გაუმჯობესება შრომის ატრიბუტების მართებული კომბინაციის უზრუნველყოფით. შრომის ბაზარზე პროფკავშირები ორნაირი სტრატეგიით მოქმედებენ: ან ცდილობენ შრომაზე მოთხოვნის ამაღლებას, ან ზღუდავენ შრომის მიწოდებას (ბიწაძე და კოლეგები, 2009).

1970-იან წლებში სოციალური მუშაკების მეზოდონის საქმიანობის გააქტიურება და წარმატება დიდწილად იყო დაკავშირებული მათ მიერ პროფესიული კავშირების შექმნასთან და კოლექტიური ქმედების ინიცირებასთან. მაგრამ მომდევნო პერიოდის ეკონომიკურ კრიზისს მოჰყვა პრე-კენესის პერიოდის „წმინდა კაპიტალისმისკენ“ სწრაფვა. ამან კი მთავრობები დააფიქრა ბაზრის ფუნქციონირებისათვის ხელის შემშლელი ყველა არსებული თუ წარმოსახვითი ბარიერის მოხსნაზე, ძირითადად, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ობიექტების პრივატიზაციაზე და პროფკავშირების დასუსტებაზე (Ferguson, 2009). ეს ტენდენცია სოციალურ მუშაკთა ორგანიზებულ ქმედებაზე უარყოფითად აისახა.

კეთილდღეობიდან დასაქმებისკენ პოლიტიკა

„კეთილდღეობიდან დასაქმებისაკენ“ პროგრამები მიმართულია იმ უმუშევრების დასაქმებისაკენ, რომლებიც სოციალური კეთილდღეობის დახმარებას იღებენ და მათი ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების ხელშეწყობას ემსახურება. ასეთი სახის პროგრამები ორი ტიპის ჯგუფზეა გათვლილი:

1. უმუშევრებზე, რომლებიც ეძებენ სამუშაოს, რადგან ისინი ვალდებულნი არიან იმუშაონ;
2. მუშაობისთვის უუნარო უმუშევრებზე, რომლებიც იღებენ შშმ-თა დახმარებას ან რაიმე სხვა ტიპის დახმარებებს და მოხსნილი აქვთ დასაქმების ვალდებულება.

ასეთი პროგრამების მიზანია შეამციროს არა მარტო დაუსაქმებლობა, არამედ გადაჭრას კიდევ უფრო დიდი პრობლემა – შექმნას სამუშაო ადგილები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში დაუსაქმებლობისა და სამუშაო ადგილების არქონის პრობლემის მოგვა-

რება სამ პარამეტრზე დაფუძნებით ყალიბდება: ეკონომიკურზე, ქცევითსა და ინსტიტუციურზე (ბრისონი, 2000, მილერთან, 2003).

მოდით, განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე: ეკონომიკური პარამეტრის მიხედვით, უმუშევრობის ძირითად მიზეზებად მიიჩნევა დასაქმების მოთხოვნისა და დასაქმების მიწოდების დეფიციტი. მოთხოვნის დეფიციტი შეიძლება ციკლური იყოს, თუმცა ეკონომიკური აღმავლობის დროსაც კი საყოველთაო უმუშევრობის მიზეზით გამოწვეული დაუსაქმებელთა პრობლემა შეიძლება არც გადაიჭრას, რადგან დამსაქმებელს ყოველთვის ურჩევნია დაიქირაოს ის პირი, რომელსაც არ აქვს უმუშევრობის ისტორია. 1970 წლიდან დღემდე, განვითარებულ სამყაროში მთავრობები არ ცდილობენ ინდუსტრიული განვითარების მართვას უმუშევრობის პრობლემის მოგვარებისათვის ან ფულის ჩადებას ეკონომიკაში, დასაქმების ზრდის მიზნით, შრომის მოთხოვნაზე ზემოქმედებისათვის. მთავრობას რომ უნდოდეს ამის გაკეთება, მათი მანევრირება შეზღუდულია ევრომონეტარული გაერთიანების, ინვესტორებისა და ბაზრის ბირჟის მოთხოვნებით, რაც გულისხმობს, რომ პირდაპირი სუბსიდიები დაღმავალი ინდუსტრიისათვის აკრძალულია ევროგაერთიანების რეგულაციების მიხედვით. ამის სანაცვლოდ, მთავრობები ატარებენ მიწოდების პოლიტიკას, ავითარებენ რა საშუალებას, რომლითაც მთავრობას შეუძლია ინდივიდებისა და მომსახურეების დახმარება ეკონომიკური პრობლემების გადალახვაში. ეს მოიცავს:

- სუბსიდიებს დაუსაქმებელთა შერჩევის ღირებულების შესამცირებლად – პირდაპირ სახელფასო სუბსიდიებს, ტრენინგების საფასურის დასაფარ გრანტებს, შემცირებულ სახელფასო გადასახადებს;
- უმუშევართა ტრენინგებს იმ უნარ-ჩვევებში, რაც დამქირავებელს სჭირდება;
- დასაქმების სქემებს, რომელთა საშუალებით დაუსაქმებელი იძენს სამუშაო გამოცდილებას, რომელსაც ბაზარზე ვერ შეიძენდა;
- სამუშაოს შეთავაზების პოლიტიკის გაუმჯობესებით, სამუშაოს ძებნაში დახმარებით.

ახლა განვიხილოთ ქცევითი თეორია, რომელიც უმუშევრობას უდევს საფუძვლად: ერთნი ამტკიცებენ, რომ დაუსაქმებლობა გამომდინარეობს დაუსაქმებელი ადამიანის ხასიათიდან და არა სამუშაო ადგილების არარსებობიდან. თავად ისინი არ არიან მზად დასაქმდნენ იქ, სადაც ეს შესაძლებელია. ხშირად დაუსაქმებელს აქვს არარეალისტური მოლოდინი თავისი დასაქმების პერსპექტივის შესახებ და სრულიადაც ვერ ათვითცნობიერებს საკუთარ შესაძლებლობებს. ამ შემთხვევაში აუცილებელია დაუსაქმებლის ქცევისა და დამოკიდებულებების შეცვლა. მეორეთა აზრით, დაუსაქმებლები მოტივაციის დეფიციტით ხასიათდებიან, რაც გრძელვადიანი უმუშევრობის ზეგავლენის შედეგია პიროვნების მორალურ, მატერიალურსა და სოციალურ ასპექტებზე.

ინსტიტუციური პარამეტრის მიხედვით, აქცენტი სახელმწიფო სტრუქტურების როლზეა გადატანილი. სოციალური დახმარებები, ზოგ შემთხვევაში, აკარგინებს ადამიანს მის უმთავრეს სამოქალაქო ფასეულობას – შრომის სურვილს. აუცილებელია გაუმჯობესდეს სამუშაო ტესტირების სისტემა, დაიხვეწოს დამსაქმებელთა მომსახურება, რაც ერთდროულად გულისხმობს როგორც დამსაქმებელთათვის შესაფერისი კანდიდატურის მოძებნაში დახმარებას, ისე პოტენციური მომსახურების სამუშაოთი უზრუნველყოფას. ამით დამსაქმებლის დროც დაიზოგება. შესაძლოა დამქირავებლისთვის სხვადასხვა ინიციატივის შეთავაზებაც, მაგალითად, როგორებიცაა: ხელფასების

სუბსიდირება, ტრენინგის გრანტების გამოყოფა, საგადასახადო და ეროვნული დაზღვევის შეღავათები. დამქირავებლებს უნდა მიეცეთ საშუალება, გრძელვადიანი ვალდებულებების აღების გარეშე, გამოსცადონ კლიენტის მუშაობის ხარისხი.

როგორ და რა კრიტერიუმით გავზომოთ კეთილდღეობიდან-დასაქმებისკენ პოლიტიკის წარმატება? ერთი შეხედვით, თითქოს მხოლოდ დაუსაქმებელთა ინტერესებს ემსახურება ეს პოლიტიკა, რეალურად კი ის ასრულებს როგორც მთავრობის, ისე დაუსაქმებლისა და ეკონომიკის მრავალ ფუნქციას. მოდით, განვიხილოთ ყველაზე აშკარა კრიტერიუმები, რომლითაც ეს პროგრამები უნდა შევაფასოთ. ერთ-ერთი არის ეკონომიკური შედეგები ინდივიდუალურ მონაწილეთათვის, რაც შეგვიძლია გავზომოთ შემდეგი მაჩვენებლებით:

- დაუსაქმებელთა რაოდენობა, რომელიც აღარ იღებს დახმარებას;
- დახმარების პროგრამიდან გამოსვლის ტემპი;
- დაუსაქმებელთა რაოდენობა, რომელიც დასაქმდა;
- დასაქმების ხანგრძლივობა;
- დასაქმებისათვის მზაობის მაჩვენებელი: ახალი უნარები და კვალიფიკაცია.

პოლიტიკის ინიციატივა შეძლებს დასაქმებულთა რიცხვის შემცირებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დახმარებაზე დახმარების მსურველ დაუსაქმებელთა ახალი ნაკადის შედინებას არ გაზრდის. ამისათვის აუცილებელია დასაქმების გრძელვადიანი პროგრამების შექმნა. თუმცა არსებობს სხვა გზაც, ე.წ დივერსიის გზა, – დახმარებაზე უფლებამოსილებისთვის კრიტერიუმების მაქსიმალურად გამსხვილება, მაგრამ სათუოა, რამდენად გამოასწორებს ეს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას.

მეორე კრიტერიუმი, რომლითაც შესაძლოა ამ პროგრამების წარმატების შეფასება, არის ეკონომიკური შედეგები ოჯახებისათვის. ეს ეხება შემოსავლის დისტრიბუციას და ოჯახებზე გადანაწილებას. პოლიტიკა, რომელიც ანაწილებს შემოსავალს ოჯახში ინდივიდებს შორის, შეიძლება წარმატებულ პოლიტიკად ჩაითვალოს. მაგალითად, საბავშვო ბენეფიტები, რომელიც მშობელს ეძლევა, მაგრამ ბავშვის საჭიროებებს ხმარდება, დასაქმების მოტივაციას ზრდის, რადგან ის მხოლოდ დასაქმებისას ნარჩუნდება. წარმატების გაზომვა შესაძლოა ასევე მოიცავდეს შემოსავლის სხვაობის შემცირებას მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

მესამე კრიტერიუმია ეკონომიკური შედეგები ეკონომიკისათვის. კეთილდღეობიდან-სამუშაოზე გადასვლის პოლიტიკის უმთავრესი მიზანია – გაზარდოს სამუშაო ასაკის მოსახლეობის პროპორცია სამუშაო ბაზარზე. პირველ რიგში იმიტომ, რომ სამუშაო ასაკის მუშახელს შეუძლია უზრუნველყოს შრომის ეფექტიანი მიწოდება დამსაქმებლებისათვის. მეორე, მათ შეუძლიათ გაზარდონ სამუშაოს მიწოდების სისწრაფე, რა დროსაც ეკონომიკა ქმნის სამუშაო ადგილებს, ინფლაციის წარმოქმნის გარეშე. ეს მოხდება, თუ პოლიტიკა შეამცირებს შრომის ღირებულებას – დასაქმების მსურველთა სახელფასო მოლოდინის შემცირებით, დამსაქმებლებისათვის სახელფასო სუბსიდიების შეთავაზებით და დამსაქმებლისა და მომსახურების მომღებთა ეფექტიანი დაწყვილებით.

მეოთხე კრიტერიუმია მოგება ხაზინისათვის გაუმჯობესებული საგადასახადო შემოსავლებით და შემცირებული დახმარებების გაცემით. პროგრამა, თუნდაც მაღალხარჯიანი, რომელიც უმუშევარს სამუშაო ბაზარზე დაასაქმებს, შესაძლოა ღირდეს ამად, თუ დასაქმებული გადასახადების გადამხდელი გახდება.

მეხუთე კრიტერიუმია პროგრამის პოპულარობა, რაც იზომება პროგრამაში ჩართულთა ოდენობით და მათი კმაყოფილებით ამ პოლიტიკის მიმართ.

მეექვსე კი არის მორალი და ეთიკა, რომელიც ცვლის ადამიანის ქცევას და დამოკიდებულებას შრომისადმი და მათ საზოგადოებრივი მოვალეობის შეგრძნებას უღვივებს.

იმისათვის, რომ პოლიტიკა წარმატებულად ჩაითვალოს, არ არის საკმარისი ის ფაქტი, რომ დაუსაქმებლები დავასაქმეთ: პოლიტიკის შედეგობრივი მოქმედება რომ გავაანალიზოთ, გვჭირდება ვიცოდეთ: რა მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ ეს უმუშევრები ამ კონკრეტული პოლიტიკის არგატარების შემთხვევაში? რა ზეგავლენა ექნება პოლიტიკას სამუშაო ბაზარზე? მოიტანს ის საერთო ეკონომიკურ სარგებელს თუ არა? უნდა წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა სამუშაო ბაზარი ამ პოლიტიკის გარეშე. მაგალითად, ეკონომიკური თვალსაზრისით, ამერიკის კეთილდღეობიდან-დასაქმებამდე პროგრამების შედეგები, ზოგადად, გამამხნევებელია, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მათ ეკონომიკური ზრდის მდგრადობის საწინააღმდეგო მაჩვენებლები აქვთ და არავინ იცის, რა შედეგები ექნებოდათ მათ ეკონომიკური დაღმავლობის პერიოდში.

კვლევებმა ცხადყო, რომ ხშირად სამუშაო ბაზარზე უმუშევართა დასაქმების დემოტივაცია გამოწვეულია სამუშაოს მოძებნის შიშით და ამ სამუშაოს მუდმივობის გარანტიის არარსებობით, ასევე გარდამავალ პერიოდთან გამკლავების შიშით; დაბალხელფასიანი სამუშაოს შემთხვევაში, ამ ხელფასით საჭიროებების დაკმაყოფილებასთან გამკლავების შიშით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელფასი დახმარებაზე გაცილებით მაღალია. მათ ხშირად ურჩევნიათ უმუშევრობის დახმარება მიიღონ, ვიდრე ამ არასტაბილურ და წინასწარ გაუთვალისწინებელ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რომელიც გარდამავალ პერიოდთანაა დაკავშირებული – დაბალხელფასიანი სამუშაო და თანაც მოკლევადიანი. ამ კვლევების შედეგად, მთელი რიგი ღონისძიებები და ზომები გატარდა, რომელიც ხელს შეუწყობს დაუსაქმებლების სამუშაო ბაზარზე შესვლას (მაგალითად, საბინაო დახმარებების მიღება, ბავშვზე ზრუნვის ღირებულების გადახდა).

რადგანაც დაბალი ანაზღაურება არის დახმარებაზე მყოფთა დასაქმების ძირითადი დემოტივატორი, შესაძლოა ხელფასის სუპლიმენტირება აღმოჩნდეს წამახალისებელი ფაქტორი. ამ პოლიტიკის გატარებამ საკმაოდ შეუწყო ხელი მარტოხელა დედების დასაქმების მაჩვენებლის ზრდას. საოჯახო კრედიტმა დახმარების მიმღებნი ფინანსურად მეტად მოამაგრა დასაქმებისას, ვიდრე ისინი იქნებოდნენ დაუსაქმებლობის შემთხვევაში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი მოტივაცია შერყეული იყო იმაში დაურწმუნებლობით, ექნებოდათ თუ არა ამ დახმარების მიღების უფლება და როგორ ინტერაქციაში იქნებოდა ეს დახმარება სხვა შემოსავლებთან.

მიუხედავად იმისა, რომ სახელფასო სუპლიმენტები ზრდიან დასაქმებულთა მოტივაციას, დარჩნენ სამუშაო ბაზარზე და აღარ მოუნდეთ დაბრუნება დაუსაქმებელთა დახმარების მიღების პროგრამებში, მაინც არსებობს სუპლიმენტარული დახმარების ორი ნეგატიური ასპექტი:

1. სახელფასო სუპლიმენტაციას შეუძლია შეამციროს გამომუშავების პროგრესია შუალედურ ვადებში, რადგან მომსახურეები მუშაობისას დამოკიდებულნი ხდებიან სახელმწიფო დახმარებებზე. ხოლო ამ სუპლიმენტების შეწყვეტა, გამომუშავების ზრდასთან ერთად, კვალიფიკაციის ამაღლების, კარიერაში წინსვლის ან მეტი სამუშაო საათების შესრულების დემოტივაციას იწვევს ხოლმე;

2. ოჯახის დახმარებისა და დასაქმებული ოჯახების საგადასახადო კრედიტის შეფასებამ გვიჩვენა, რომ სახელფასო სუპლიმენტები წყვილებში „ორშემოსავლიანის“ სტატუსის მიღების დემოტივაციაა და დაუსაქმებლობას იწვევს, ე.ი. დემოტივირებს დახმარების არმიმღებს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც, უნარების მიუხედავად, სხვადასხვა გენდერული თუ ეთნიკური ნიშნით ხდება მუშაობისუნარიანი ადამიანების დისკრიმინაცია. უხვადაა მაგალითები, როდესაც ადამიანები დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან უსამართლოდ, რაიმე ნიშნით, ან გამოცდილების, ან მომხდარი კონკრეტული ფაქტის გამოც. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ, რა მოხდა აშშ-ში პირველი 8 თვის განმავლობაში 9/11 შემდეგ. აშშ-ის თანაბარი დასაქმების შესაძლებლობის კომისიამ მიიღო 488 საჩივარი 9/11 დაკავშირებული დასაქმებითი დისკრიმინაციის თაობაზე, ამასთან, 301 იყო იმ პირთა საჩივარი, რომლებიც დაითხოვეს სამსახურიდან. საადვოკატო ჯგუფების გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამერიკელ მუსულმანთა და არაბთა 20-60 პროცენტმა განიცადა პირადი დევნა (Healy, 2008).

სოციალური მუშაობა სიღარიბისა და დაუსაქმებლობის პრობლემის დაძლევისთვის

სიღარიბეს კიდევ უფრო ამწვავებს და სტიგმატიზებულს ხდის მისდამი საზოგადოების დამოკიდებულება. რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სოციალური მუშაკების დამოკიდებულებაც ღარიბებისა და სიღარიბისადმი საკმაოდ ამბივალენტური, სიღარიბისა და მისი გამომწვევი მიზეზებისადმი კი განსხვავებულია. მაგალითად, ბრიტანეთში, როდესაც 1969 წელს ჩატარდა გამოკითხვა ფიგინსის (Figgins, 2023) მიერ, სიღარიბის გამომწვევ მიზეზად სოციალურმა მუშაკებმა ინდივიდუალური მახასიათებლები დაასახელეს. ხოლო ჰედრიკრონისა და ალექსონის მიერ ჩატარებულ კვლევაში 1985 წელს, პროფესიულ ორგანიზაციებში, მხოლოდ 16 პროცენტმა მიაწერა სიღარიბე ინდივიდუალურ მახასიათებლებს, 56 პროცენტმა კი ეკონომიკურ სისტემას. შესაბამისად, პროფესიონალთა მზაობა და თავდადება მოახდინონ სასიკეთო სოციალური ცვლილებები და ღარიბთა დახმარება სოციალურ მუშაკთა პრიორიტეტად მიიჩნიონ, 1985 წელს უფრო გამოვლინდა, ვიდრე წინა კვლევაში, მაშინ, როცა 60-იანი წლები რადიკალური სოციალური მუშაობის აღზევების პერიოდია და სოციალური ცვლილებისათვის ბრძოლა პროფესიულ მისიადაა მიჩნეული. ამას კვლევაც მოწმობს, როდესაც 1969 წელს გამოკითხულ სოციალურ მუშაკთა 53 პროცენტმა დაასახელა სოციალური ცვლილება პროფესიის მთავარ მიზნად, შედარებით 37 პროცენტისა, 1985 წელს. 80-იანი წლების სოციალური მუშაკები უფრო მოსურნენი არიან ემსახურონ უფრო მაღალი კლასის წარმომადგენლებს, საზოგადოებაში მეტი პატივისცემის დამსახურებისათვის, ღარიბებს კი გარემოსთან ადაპტირებას ასწავლიან, ნაცვლად სოციალური ცვლილებებისათვის ბრძოლისა. საქართველოში 2012 წელს ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ არც სოციალურ მუშაკებს აქვთ ჯეროვნად გააზრებული საკუთარი როლი სიღარიბესთან ბრძოლაში. გამოდის, რომ რაც პიონერმა სოციალურმა მუშაკებმა იცოდნენ მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც სტრუქტურული ცვლილებებისთვის ბრძოლა წამოიწყეს, მივიწყებას ეძლევა დროდადრო.

საქართველოში სოციალურ მუშაკთა ნაწილი ღარიბებს ადანაშაულებს სიღარიბეში. მათი აზრით, ისინი არ არიან საკმარისად მოტივირებულნი, რომ გაიუმჯობესონ მდგომარეობა (შატბერაშვილი, 2009). მეორე, მცირე ნაწილი კი ხვდება, რომ სტრუქტურული ცვლილებებია გასატარებელი და, რამდენიც არ უნდა შეეცადოს ღარიბი ადამიანი, ის მაინც უძლურია გაუმკლავდეს მის უმწეო მდგომარეობას. მაგრამ ამ სტრუქტურული მანკიერებების გამოსწორებაში სოციალური მუშაკის როლი ნაკლებადაა გააზრებული. თავად ფაქტი, რომ ქვეყანაში მიმდინარე სიღარიბის დაძლევის პროგრამებში, ცენტრალურ თუ მუნიციპალურ დონეზე, სოციალური მუშაკის როლი არ არის ფორმალიზებული, მოწმობს იმას, რომ არცერთ დონეზე არ არის გააზრებული სოციალური მუშაობის პროფესიული მისია.

ადამიანის შრომის უფლების დაცვაშიც დიდია სოციალური მუშაკის როლი, რადგან დასაქმება ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი სოციალური უფლებაა, რაც მას გარკვეულ პასუხისმგებლობებსაც აკისრებს. სოციალური მუშაკები მთელს მსოფლიოში ეხმარებიან მომსახურების მიმღებთ როგორც დასაქმების უფლების აქტივიზაციაში, ისე პასუხისმგებლობების გააზრებაში. ამავე დროს, მას აქტუალური ფუნქციის შესრულება შეუძლია შრომის ბაზრისა და ტრენინგ საჭიროებების განსაზღვრაში.

დღეს საქართველოში, ინსტიტუციურ დონეზე, სოციალური მუშაკები დასაქმებაზე არ მუშაობენ, თუმცა პროფესიულ დონეზე, იქნება ეს ბავშვზე ზრუნვის, მართლმსაჯულების თუ სხვა სფერო, ისინი აქტიურად ცდილობენ საკუთარი რესურსი მოახმარონ კლიენტთა უმუშევრობის დაძლევას. თუმცა მაკროპრაქტიკის ასპარეზი ჯერ კიდევ აუთვისებელია.

ზოგადად, სიღარიბის დაძლევისთვის ბრძოლა სულ უფრო ნაკლებად მიიჩნევა პროფესიულ მისიად, არადა უდიდესია სოციალური მუშაკის როლი როგორც სიღარიბის დაძლევისათვის ბრძოლაში, ისე მისი ტვირთის შემსუბუქებისათვის. სიღარიბესთან ბრძოლის სარბიელზე სოციალური მუშაკის როლი მკვეთრად დააკნინა და შებოჭა ნეოლიბერალურმა შეხედულებებმა, მომსახურების უტილიტარიზაციისადმი ინდივიდუალისტური მიდგომის გამო. არადა, სიღარიბის დაძლევისათვის ბრძოლა მათ სათემო მობილიზაციისა და „აქტივებზე დაფუძნებული“ კეთილდღეობის სქემების განვითარებისაკენ მოუწოდებს ადგილობრივ დონეზე. ეს კი, მომსახურების სრული ინდივიდუალიზაციის ფონზე, რთული ამოცანაა.

თავის შეჯამება

სიღარიბის განმარტება, რომელიც სცდება საბაზისო საჭიროებებისადმი ხელმიუწვდომლობას, კომპლექსური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს სახელმწიფოსაგან. ეს გარკვეულწილად ართულებს სიღარიბის დონის შეფასებას. როგორც წარმოდგენილი საზომების განხილვიდან ვხედავთ, დამოუკიდებლად ყველას გამოყენებას თავისი სუსტი მხარე აქვს. სწორედ ამიტომაა, რომ სხვადასხვა საზომისა და კრიტერიუმის ერთად გამოყენებას მიმართავენ ხშირად, ხოლო არამატერიალური რესურსების დაანგარიშება კიდევ უფრო ართულებს დასკვნის მომზადებას.

რადგან ქვეყნის ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კორელაციაში არ არის მოსახლეობაში სიღარიბის მაჩვენებელთან, მით უფრო ბავშვთა სიღარიბის დონესთან, მხოლოდ ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით არც უნდა გავზომოთ ის. მით უფ-

რო არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას ადამიანთა სიღარიბისა და ექსკლუზიის მაჩვენებლების შემცირება ავტომატურად მოსდევს. სიღარიბის პრობლემის წარმოქმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს: რასა, ეთნიკურობა, გენდერი, ასაკი, სოციალური კლასი. სიღარიბეს სტიგმაც ახლავს, რომლის დაღიც, ეკონომიკური წარმატების შემთხვევაშიც კი, შესაძლოა არ გაქრეს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ბავშვებისა და მოზარდების შემთხვევაში, რადგან ისინი სწორედ თავიანთი იდენტობის განცდის ფორმირების პროცესში არიან.

სიღარიბესა და სოციალურ ექსკლუზიაზე საუბრისას, ბუნებრივია, ვერ ავირიდებთ სოციალური უთანასწორობის თემას. სიღარიბე დაკავშირებულია უთანასწორობასთან. ის შეიძლება სიღარიბის განმაპირობებელი ფაქტორიც კი იყოს და პირიქით, სიღარიბემ წარმოქმნას უთანასწორობა. უთანასწორობის შემცირება კი უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საზოგადოების ფორმირებას განაპირობებს.

სიღარიბის გამომწვევი ხშირად უმუშევრობაა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიღარიბეში მცხოვრებთა ხელშეწყობას დასაქმებაში. კეთილღეობიდან-დასაქმებისკენ პოლიტიკის წარმატება დიდწილადაა დამოკიდებული როგორც დასაქმების პოლიტიკის, ისე თავად დამსაქმებელთა და პოტენციურ დასასაქმებელთა მზაობაზე, რასაც დიდწილად განსაზღვრავს ბაზრის მგრძნობელობა ამ საკითხისადმი. ის ითხოვს იმგვარი მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობს დაუსაქმებელთა მოტივაციის ზრდას. ეს არ ემსახურება მხოლოდ დაუსაქმებელთა ინტერესებს, არამედ მთავრობის და ეკონომიკის ინტერესებსაც. დაუსაქმებელთა დასაქმების ხელშეწყობითა და სიღარიბის შემცირებით, მსყიდველობითუნარიანი მოსახლეობის ზრდას ვუწყობთ ხელს, რაც ასე მნიშვნელოვანია ეკონომიკის ქმედითობისათვის.

ექსლუზიური გარემო სიღარიბის ხელშემწყობიცაა და გამომწვევიც და, პირიქით, სიღარიბე, თავის მხრივ, ექსკლუზიის განმაპირობებელია. ამიტომ მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკთა ჩართულობა ამგვარი გარემოს ფორმირების პრევენციისა და მის შედეგებზე რეაგირებისათვის. ყველაზე რეზონანსული თავად ღარიბების მიერ ინიცირებული ქმედებები შეიძლება აღმოჩნდეს. მაგრამ, რადგან ღარიბ ხალხს გამოხატვის სურვილს უმყარებს იმის გარანტია, რომ მათ აზრს შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვება, საჭიროა მათი მობილიზება, გაძლიერება და ძალაუფლებით აღჭურვა სტრუქტურული ცვლილებისათვის საბრძოლველად.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. სიღარიბის რომელ თეორიას იზიარებთ? დაასაბუთეთ პასუხი.
2. სიღარიბის რომელ საზომს ანიჭებთ უპირატესობას? დაასაბუთეთ პასუხი.
3. რა ზომებსა და მიდგომებს მიმართავდით ქცევითი პატერნის შესაცვლელად?
4. იზიარებთ უმუშევართა მიმართ ქცევით თეორეტიკოსთა დამოკიდებულებას? დაასაბუთეთ პასუხი.
5. შრომის მოტივაციისთვის სახელფასო სუპლიმენტირების პოლიტიკა მიაგაჩნიათ უფრო ეფექტიან მექანიზმად, თუ მინიმალური ხელფასის შესახებ კანონი? დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

Alcock, P. (2006). *Understanding Poverty*. London: Palgrave Macmillan.

Alcock, P. (1987). *Poverty and State Support*. New York: Longman Group UK Limited.

Alderfer, C. P. (1969). An empirical test of a new theory of human needs. *Organizational Behavior and Human Performance, 4* (2), 142-175

Aspalter, C. (2014). Social Work Services and Developmental Social Policy, Social Work in the East Asia. *Journal of Social Policy, 1*(04), 8-10.

Bitsadze, B., Lopartia, Z., Tsimintia, K. (2009). Microeconomics. (2nd ed.) [მიკროეკონომიკა]. Apkhazian Academy of Sience

Black academy (2002). Retrieved from www.blacksacademy.net/content/3253.html (accessed 8th Deceber, 2011).

Bohnke, P. (2008). Are Poor Socially Integrated? The Link Between Poverty and Social Support in

Levitas, R., Pantazis, C., Fahmi, E., Gordon, D., Lloyd, & E., Patsios, D. (2008). *Multidiemntional Analysis of Social Exclusion*. Department of Sociology and School for Social Policy Townsend Centre for the International Study of Poverty and Bristol Institute for Public Affairs University of Bristol.

Different Welfare Regimes. *Journal of European Social Policy*, 18 (2):133-150.

Bradshow, T.K. (2007). Theories of Poverty and Anti-Opressive Programs in Community Development. *Journal of the Community Development Society,* 38 (1): 7-25.

Butler, T., Watt, P. (2007). Understanding Social Inequality. Social Exclusion and te Weflare State, p. 100-134London: SAGE

Campbell, M.(1996). Needs Assessments in Public Policy. *Assessing Labour Market and Training Needs,* pp. 129-141. Open University Press

Daly, M. (1989). *Women and Poverty*. Dublin: Attic Press.

Dinitto, D.M. (2005). Social Welfare:Politics and Public Policy. Pearson Education , Inc

Dragoš, S. Leskošek, V. (2003). *Social Inequality and Social Capital*. Ljubljana: Peace Institute.

Ferguson, I. (2012). The Politics of Social Work. In Gray, M., MIdgkley, J., Webb, S, A., (Ed.). *Sage Handbook of Social Work* (pp. 740-754). Sage

Figgins, M. M., Sharon D. Feld, S.D. DeShaw, K.J. (2023). Student Perceptions of Integrating Interprofessional Education and Overcoming Barriers: A Case Report. *Athletic Training Education Journal 18* (2), 1–7.

Gans, H. (1995). The War against the Poor: The Underclass and Antipoverty Policy. New York: Basic Books.

Gill, D. (1998). Confronting Injustice and Oppression: Concepts and Strategies for Social Workers. *The Journal of Sociology and Social Work,* 26 (1)

Greve, B. (2015). *Welfare And Welfare States.* Routledge

Holman, R. (1978). *Poverty: Explanations Of Social Deprivation*. Blackwell/ Martin Robertson

Healy, L.M. (2008). *International Social Work: Professional Action in an Independent Wold*. New York: Oxford University Press Hill, E., Mora, L., Garcia, L. (2008). The Role Of Social Security Social Workers In The Aftermath Of 9/11. In Ramon, S. (Ed.), *Social Work In The Context Of Political Conflict* (pp. 169-188). Hobbs the Printers Ltd

Kopels, S., Rich, M., Massat, C.R. (2022). Education Mandates for Children with Disabilities. In Kelly, S. M., Capio, M., Swanlund, L., Constable, R. (Eds.), *School Social Work: Practice, Policy and Resrach,* (pp. 249-278). Oxfird University Press

Levitas, R. (1998) The inclusive society: Social exclusion and New Labour, Basingstoke: Macmillan. Lister, R. (2004). *Poverty.* Cambridge. Polity Press.

Mankiw, N.G. (2004). Principles of Economics (3rd ed.). Thomson

Oppenheim, C. (1998). An inclusive society: Strategies for tackling poverty, London: IPPR

Stern, M. J. (1997). Poverty and Postmodernity. In Reisch, M.S., Gambrill, E. D. *Social Work in the 21st Century* (Ed.). SAGE Publications, Inc.

Staub-Bernasconi, S. (2009). Social work as a discipline and a profession. In Leskošek, V. (ed.) *Theories and Methods of Social Work: Exploring Different Perspective*. Ljubljana: Faculty of Social Work, University of Ljubljana: 9-30.

Strier, R., Binyamin, S. (2014). Introducing Anti-Oppressive Social Work Practices in Public Services: Rhetoric to Practice *The British Journal of Social Work 44* (8), 2095-2112. Oxford University Press

Townsend, P. (1979). Poverty in the United Kingdom: a survey of household resources and standards of living, Harmondsworth: Penguin Books

Toynbee, P., Walker, D. (2008). *Unjust Rewards: Exposing Greed and Inequality in Briatin Today.* London: Granta Publication.

Walker, A. and Walker, C. (eds) (1997) Britain divided: The growth of social exclusion in the 1980s and 1990s, London: Child Poverty Action Group

ნათია ფარცხალაძე

თავი 12

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში

შესავალი

წინამდებარე თავში საუბარია ჯანმრთელობის არსზე და ადამიანის ჯანმრთელობისთვის სოციალური ფაქტორების მნიშვნელობაზე. თავში განხილულია ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტები, რომლებიც წარმოადგენენ არასამედიცინო ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავენ ჯანმრთელობის მდგომარეობას და, იმავდროულად, ხსნიან ჯანმრთელობასთან მიმართებაში არსებულ უთანასწორობას. თავში საუბარია, ჯანმრთელობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სოციალური გარემოს გათვალისწინებისა და ჯანდაცვაში სოციალური ზრუნვის ინტეგრირების მნიშვნელობაზე.

მოსახლეობის ჯანმრთელობაში სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი წვლილი მკაფიოდ არის გამოკვეთილი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (World Health Organization – WHO) დოკუმენტებში და სფეროს არაერთი ექსპერტის მოსაზრებებში. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ სოციალური მუშაობის პროფესიული განვითარების ამ ეტაპზე, სოციალური მუშაკებისთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას სწორედ ჯანმრთელობის სფეროში უთანასწორობა და, შესაბამისად, ჯანმრთელობის გამოწვევების აღმოფხვრაზე მუშაობა წარმოადგენს (Bywaters, 2007). ჯანმრთელობის დაცვაში სოციალური მუშაკის როლის დამკვიდრებას საუკუნოვანი ისტორია აქვს, თუმცა საერთაშორისო დონეზე ამ როლის გაძლიერება განსაკუთრებით ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოხდა. ამჟამად, ბევრ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში ჯანდაცვის სოციალური მუშაკები მიკრო-, მეზო- და მაკროდონეებზე მუშაობენ ჯანდაცვის პირველადი, მეორეული და მესამეული დონის მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებებში, აკადემიურ ორგანიზაციებში, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების სტრუქტურებში.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სოციალური მუშაკების ჩართულობა დაიწყო მე-20 საუკუნის ბოლო წლებში, არასამთავრობო სექტორში ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სოციალური მუშაკების დაქირავებით (Doel et al, 2016). 2018 წლის საქართველოს კანონმა სოციალური მუშაობის შესახებ, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სოციალური მუშაობა გამოყო, როგორც ოთხიდან ერთი პრიორიტეტული მიმართულება. კანონმა დაადგინა ჯანმრთელობის დაცვის სოციალური მუშაკების ფუნქციები და დაავალდებულა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განსაზღვროს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, სტაციონარებსა და ამბულატორიებში სოციალური მუშაკების საჭირო რაოდენობა და მათი მუშაობის წესი (საქართველოს მთავრობა, 2018).

ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) კონსტიტუციის თანახმად (1948), ჯანმრთელობა განისაზღვრება, როგორც სრული ფიზიკური, გონებრივი თუ სოციალური კეთილდღეობა და არამხოლოდ დაავადების ან უძლურების არარსებობა (WHO, n.d.). გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის განმარტების თანახმად, ჯანმრთელობა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რომელიც საკვანძოა სხვა უფლებებით სარგებლობისთვისაც. ჯანმრთელობაზე უფლება არ შემოისაზღვრება ჯანმრთელობის დაცვაზე ხელმისაწვდომობით და ამ უფლებით სარგებლობა მოითხოვს ისეთი უფლებების რეალიზებას, როგორებიცაა: უფლება საკვებზე, საცხოვრისზე, სამუშაოზე, განათლებაზე, დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოზე და ა.შ. (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2000). ადამიანის კარგი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მთლიანი საზოგადოების და ცალკეული დარგებისთვის უმნიშვნელოვანესი რესურსია. ჯანმრთელობა ასევე წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკვანძო ფაქტორს ცალკეული ოჯახისათვის. შესაბამისად, XXI საუკუნეში ჯანმრთელობის დაცვა უნდა მოიცავდეს მოქალაქეთა, ოჯახებისა და მთელი საზოგადოების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის კომპლექსურ მხარდაჭერას. მოსახლეობის კარგი ჯანმრთელობის და კეთილდღეობის უზრუნველყოფის საუკეთესო გზას კი სახელმწიფოში ყველა იმ დარგის კოორდინირებული საქმიანობა წარმოადგენს, რომლებიც ჯანმრთელობის სოციალური და ინდივიდუალური დეტერმინანტების გაუმჯობესებაზე არის მიმართული (დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2015).

არასამედიცინო ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავენ ჯანმრთელობის მდგომარეობას და, იმავდროულად, ხსნიან ჯანმრთელობასთან მიმართებაში არსებულ უთანასწორობას, ჯანმრთელობის სოციალურ დეტერმინანტებს (Social Determinants of Health – SDOH) უწოდებენ. ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტები გაერთიანებულია სამ ჯგუფში, კერძოდ: სოციალური და ეკონომიკური გარემო, ფიზიკური გარემო და ადამიანის ინდივიდუალური მახასიათებლები და ქცევა (WHO, n.d). ქვემოთ ჩამოთვლილია ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების მაგალითები, რომელთაგან ნებისმიერმა შესაძლოა დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს თითოეული ინდივიდის ჯანმრთელობაზე და ჯანმრთელობაზე თანასწორ ხელმისაწვდომობაზე:

- ეკონომიკური სტაბილობა: დასაქმება, სიღარიბე, სასურსათო უსაფრთხოება
- განათლებაზე ხელმისაწვდომობა და ხარისხი: ბავშვთა ადრეული განვითარება, წერა-კითხვის ცოდნა, საშუალო სკოლის დამთავრება, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა
- ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და ხარისხი: ხელმისაწვდომობა პირველად ჯანდაცვაზე, ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სხვა მომსახურებებზე, ჯანმრთელობის წიგნიერება
- საცხოვრებელი გარემო: ჯანმრთელობისთვის სასარგებლო საკვებზე წვდომა, დანაშაულის და ძალადობის დონე, გარემო პირობები, საცხოვრებლის ხარისხი
- სოციალური კონტექსტი: დისკრიმინაცია, სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური თანასწორობა, პატიმრობა.

ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტები დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენენ ყველა ინდივიდზე, თუმცა განსაკუთრებით საგულისხმოა დეტერმინანტების უარყოფითი ეფექტი, როდესაც არსებული სოციალური რისკფაქტორები ხელს უწყობენ ავადობისა და სიკვდილიანობის გაზრდას (NASEM, 2019). მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დახმარება მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, კვლევები ადასტურებს, რომ აშშ-ში სამედიცინო მომსახურება გავლენას ახდენს სიკვდილის თავიდან აცილებადი მიზეზების მხოლოდ 10-15 პროცენტზე (Braveman & Gottlieb, 2014). ძირითადად კი ადამიანების ჯანმრთელობას განსაზღვრავს მათი სოციალური და ფიზიკური გარემო. მაგალითისთვის, ბავშვთა სიკვდილობის მიზეზთა შორის წამყვანი ადგილი უჭირავს ოჯახის სოციალურ იზოლაციას, სიღარიბეს, განათლების და დასაქმების დაბალ დონეს, უსაფრთხო საცხოვრებლის არქონას, უმცირესობებით დასახლებულ უბანში ცხოვრებას, რომელშიც მწირადაა განვითარებული ჯანდაცვის, განათლების და სოციალური მომსახურებები (UPSTREAM, 2022).

ჯანმრთელობის სოციალურ დეტერმინანტებთან მჭიდრო კავშირშია სოციალური საჭიროებების კონცეფცია. ეს არის ინდივიდზე ორიენტირებული კონცეფცია, რომელიც აერთიანებს თითოეული ადამიანის აღქმას საკუთარ ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საჭიროებებზე, რომლებიც, შესაბამისად, განსხვავდება ინდივიდებს შორის (NASEM, 2019). სოციალურ საჭიროებებს ასევე განსაზღვრავენ, როგორც ინდივიდის საჭიროებებს, რომლებიც გამომდინარეობს მისი ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტებიდან. მაგალითად, როდესაც იზოლირებულ რეგიონში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მარტოხელა ხანდაზმულ ადამიანს აქვს ჯანდაცვის ობიექტამდე ტრანსპორტირების პრობლემა, ეს წარმოადგენს ინდივიდის სოციალურ საჭიროებებს, რომელიც გამომდინარეობს ჯანმრთელობის ისეთი დეტერმინანტებიდან, როგორებიცაა: სიღარიბე, სოციალური იზოლაცია და ა.შ. (Champ Software, n.d.). მსგავს ინდივიდუალურ საჭიროებაზე მიმართული პროგრამები, მაგალითად, ტრანსპორტირების პროგრამა შესაძლოა ეფექტური აღმოჩნდეს ინდივიდების ცალკეული საჭიროების დასაკმაყოფილებლად, თუმცა ისინი საგულისხმო ზეგავლენას ვერ მოახდენენ ჯანმრთელობის სოციალურ დეტერმინანტებზე, რომლებიც მნიშვნელოვან რისკებს ქმნიან ღარიბ, იზოლირებულ უბნებში მცხოვრები პირებისა და, მთლიანად, თემის ჯანმრთელობისთვის. სოციალური მუშაობის ინტერვენციების ჭრილში, სოციალური საჭიროებების მოგვარებაზე მუშაობა, ძირითადად, გულისხმობს მიკრო- და მეზოდონის ჩარევას, მაშინ, როდესაც სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედება მოითხოვს მაკროდონის ინტერვენციების განხორციელებას. საცხოვრებელი ადგილიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტები გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდების ჯანმრთელობაზე მთელი მათი ცხოვრების განმავლობაში, არამედ ასევე ზემოქმედებენ რისკებისა და დამცავი ფაქტორების თაობათაშორის გავრცელებაზე (Sharkey, 2013). საშუალო ან მაღალი შემოსავლის მქონე უბნების ეკონომიკური შესაძლებლობები, სამედიცინო და სოციალურ მომსახურებებზე წვდომა, ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებებზე წვდომა, ძლიერი სოციალური კავშირები, წარმოადგენენ დადებითი გავლენის მქონე ჯანმრთელობის სოციალ-დეტერმინანტებს და ხელს უწყობენ ჯანმრთელობის პრობლემების პრევენციას და კარგი ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებას არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდებისთვის, არამედ ამ გარემოში მცხოვრები თაობებისთვის (Cubbin et al., 2011).

ჯანმოს ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების ზედამხედველობის კომისიამ შეიმუშავა სამი ძირითადი რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კერძოდ:

- გაუმჯობესდეს ყოველდღიური ცხოვრების პირობები და გარემოებები, რომლებშიც იბადებიან, იზრდებიან, ცხოვრობენ, მუშაობენ და ბერდებიან ადამიანები
- გადაიჭრას ძალაუფლების, ფინანსური და სხვა რესურსების არათანაბარი განაწილების პრობლემა, რომელიც წარმოადგენს ყოველდღიური ცხოვრების განმსაზღვრელ სტრუქტურულ გარემოებას
- გაანალიზდეს პრობლემების მიზეზები და შეფასდეს მათ დასაძლევად გადადგმული ნაბიჯების შედეგები; მომზადდეს კადრები და ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების შესახებ (WHO, 2012).

ჯანდაცვის უთანასწორობა

საგულისხმოა გლობალურ დონეზე ჯანმრთელობის საკითხებთან მიმართებაში არსებული უთანასწორობა, რომელიც მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისთვის ფიზიკური, გონებრივი თუ სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად. ჯანმრთელობის უთანასწორობა გულისხმობს სისტემატურ და უსამართლო განსხვავებებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის ჯანმრთელობის მდგომარეობაში, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია შესაბამისი სტრუქტურული და პოლიტიკური მიდგომების დანერგვის გზით (WHO, 2008). უთანასწორობა გამოწვეულია პირობებით გარემოში, რომელშიც იბადებიან, ცხოვრობენ, სწავლობენ, მუშაობენ, თამაშობენ და ბერდებიან ადამიანები და რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ჯანმრთელობაზე, ფუნქციონირებაზე და ცხოვრების ხარისხზე (U.S. Department of Health and Human Services, n.d.).

ჯანმრთელობის უთანასწორობა არაპროპორციულად მაღალ გავლენას ახდენს გარკვეულ ჯგუფზე, განსაკუთრებით კი იმ სოციალურ უმცირესობებზე, რომლებიც ისტორიულად განიცდიდნენ დისკრიმინაციას და სტრუქტურულ რასიზმს (Abbott & Elliott, 2017). მათ შორის არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებიც (Iezzoni, 2011), რომელთა შორის უთანასწორობის წამყვან მიზეზს წარმოადგენს არა მათი დიაგნოზი, არამედ სიღარიბის და უმუშევრობის პრობლემების განსაკუთრებულად მაღალი დონე, შეზღუდული ხელმისაწვდომობა საცხოვრისსა და ტრანსპორტზე (Frier et al., 2018).

უთანასწორობის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა ქვეყნებს შორის და ქვეყნების შიგნით სიცოცხლის ხანგრძლივობის სხვაობა. მაგალითად, 2006 წლის კვლევის თანახმად, გლაზგოში (დიდ ბრიტანეთში), ყველაზე დაუცველ უბნებში, მამაკაცების მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 45 წელი იყო, მაშინ, როდესაც ეროვნული საშუალო მაჩვენებელი 75 წელს შეადგენდა (Hanlon et al., 2006). სუბსაჰარული აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 60 წელია, ხოლო იაპონიაში თითქმის 90 წელი. მაღალ- და დაბალშემოსავლიან ქვეყნებს შორის სიცოცხლის ხანგრძლივობაში საშუალოდ 18-წლიანი სხვაობა და ასევე ქვეყნების შიდა სხვაობები, სამედიცინო ფაქტორების გარდა, აიხსნება შემოსავლებისა და განათლების განსხვავებული დონით, ჯანსაღ საკვებსა და ჯანმრთელობის დაზღვევაზე განსხვავებული ხელმისაწვდომობით, საფრთხის შემცველი სამუშაო გარემოთი, მოწყვლად ჯგუფებზე

ეკოლოგიური ცვლილებების არაპროპორციულად მაღალი გავლენით – ანუ ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტებით (National Academy of Sciences, 2021).

ჯანმრთელობის უთანასწორობის მაგალითია ასევე ჩვილ ბავშვთა სიკვდილობის განსხვავებული დონე მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში. მაგალითისთვის, აშშ-ში შავკანიან მოსახლეობაში ჩვილების სიკვდილობა სამჯერ აღემატება თეთრკანიანთა შორის ჩვილების სიკვდილობის მაჩვენებელს (Arcaya, 2015). ხოლო, ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნებს შორის, ჩვილების სიკვდილობა ორმოცდაათჯერ განსხვავდება. კერძოდ, 2000 წელს სიერა ლეონეში ჩვილების სიკვდილობა 1000 ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე 80.5 შეადგენდა, სან მარინოში კი, 1.6 (World Population Review, 2024). იუნისეფის მონაცემებით, ამავე წელს საქართველოში ჩვილების სიკვდილობა 8.5 უტოლდებოდა (World Population Review, 2024). მსგავსი ჯანმრთელობის უთანასწორობა აიხსნება აშშ-ში შავკანიანი მოსახლეობის და მსოფლიო მასშტაბით დაბალშემოსავლიანი ქვეყნების მოსახლეობის შეზღუდული წვდომით ჯანმრთელობის ისეთ სოციალურ დეტერმინანტებზე, როგორებიცაა: სოციალური და ჯანდაცვის მომსახურებები, განათლება, სრულფასოვანი კვება, უსაფრთხო საცხოვრისი.

სიკვდილობის გარდა, ჯანმრთელობის უთანასწორობა ასევე ვლინდება ავადობის პრევენციის, ავადმყოფობის დროს მკურნალობისა და ტკივილის მართვის, ცხოვრების ხარისხის შენარჩუნების თვალსაზრისით უთანასწორობაში. მთლიანობაში, ჯანმრთელობის უთანასწორობა წარმოადგენს როგორც ჯანდაცვის და სოციალური დაცვის პრობლემას, ისე სერიოზულ მორალურ გამოწვევას (Nadkarni, 2006), რომელთან გამკლავებაც წარმოადგენს სოციალური მუშაობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ვალდებულებას (IFSW, 2005).

საერთაშორისო დონეზე ჯანდაცვის უთანასწორობის დაძლევაში სოციალური მუშაობის როლის შესახებ დისკუსია განსაკუთრებით გააქტიურდა 21-ე საუკუნეში, 2004 წელს სოციალური მუშაობისა და ჯანმრთელობის უთანასწორობის ქსელის (The Social Work and Health Inequalities Network) დაფუძნების შემდეგ. ქსელი აერთიანებს 400 წევრს მსოფლიოს 25 ქვეყნიდან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სოციალური მუშაობის პრაქტიკით, პოლიტიკით, კვლევითა და განათლებით, რომელიც ემსახურება ჯანმრთელობის უთანასწორობის აღმოფხვრას.

სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში

სამედიცინო მომსახურებების სისტემაში სოციალური მუშაობა არის სოციალური მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნის ბოლოს, როდესაც გააცნობიერეს, რომ პაციენტების, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტების კლინიკიდან გაწერის შემდეგ, საჭიროა მათი მხარდაჭერა სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების მოგვარებაში და გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებაში (ტატანაშვილი & შაღაშვილი, 2017). მერი სტიუარტი იყო ჯანდაცვის, კერძოდ კი საავადმყოფოს პირველი სოციალური მუშაკი, რომელიც ინგლისში 1895 წელს დაიქირავეს. აშშ-ში კი ამ სფეროს პირველმა სოციალურმა მუშაკმა მუშაობა 1905 წელს დაიწყო (Gehlert & Browne, 2006). ჯანდაცვის სისტემასა და სოციალურ მუშაობას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მერი რიჩმონდმაც. სამედიცინო სოციალური მუ-

შაობის პირველი სატრენინგო პროგრამა აშშ-ში 1912 წელს დაინერგა. საავადმყოფოს სოციალურ მუშაკთა პირველი ასოციაცია (შემდგომ სამედიცინო სოციალურ მუშაკთა ამერიკის ასოციაცია) კი 1918 წელს დაფუძნდა. ამ ასოციაციის მიერ 1934 წელს შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, სამედიცინო სოციალური მუშაობა განისაზღვრა, როგორც სოციალური მუშაობის მიმართულება, რომელიც კონცენტრირებულია დაავადებისა და სოციალური ფაქტორების ურთიერთქმედებაზე. „ის ხელს უწყობს და აგრძელებს მედიკამენტოზურ მკურნალობას“ (p. 99, Bartlett cited in Gehlert & Browne, 2006). ჯანდაცვის სისტემაში სოციალური მუშაობის როლის დამკვიდრებიდან, ის ასრულებდა ექიმებს, პაციენტებსა და მათ ოჯახებს შორის ხიდის როლს (Browne et al., 2017)

იმ პერიოდში ჯანდაცვის სფეროში სოციალური მუშაკის როლის დამკვიდრება განაპირობა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულმა ფენომენმა, კერძოდ: მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოკვეთილმა დემოგრაფიულმა ცვლილებებმა; ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ დამოკიდებულების ცვლილებამ; ადამიანის ჯანმრთელობისთვის სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გაცნობიერებამ (Gehlert & Browne, 2006). საყურადღებოა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში სიკვდილობის წამყვან მიზეზს წარმოადგენდა ინფექციური დაავადებები. ხალხმრავალი საცხოვრებელი გარემო და ანტისანიტარია ხელს უწყობდა ინფექციების გავრცელებას. ჰიგიენის უზრუნველყოფისთვის საჭირო უნარებისა და რესურსების არქონა კი კიდევ უფრო ზრდიდა არსებულ რისკებს. სოციალური მუშაკების მიერ სოციალური საცხოვრისისა და ჰიგიენური ნორმების დანერგვის პოლიტიკის შემუშავების ადვოკატობა, საგანმანათლებლო პოლიტიკის დანერგვა, ბავშვთა დაცვის სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართვა, წარმოადგენდა ისტორიის იმ ეტაპზე ჯანდაცვის სფეროში სოციალური მუშაობის, მათ შორის, მაკროსოციალური მუშაობის კარგ მაგალითს. აღნიშნული ინტერვენციები საგრძნობლად ამცირებდა ამ ტიპის საცხოვრისში მცხოვრები ემიგრანტებისა და ღარიბი ადამიანების სიკვდილობის რისკებს და ხელს უწყობდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას (McGinnis et al., 2002).

მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ჯანდაცვის სოციალური მუშაკების საქმიანობაზე ასევე გავლენა იქონია სიკვდილობის რისკების ხასიათის შეცვლამ. წინა საუკუნეებში ინფექციური დაავადებებით გამოწვეული მაღალი სიკვდილობისგან განსხვავებით, სიკვდილობის მიზეზებს შორის წამყვანი ადგილი დაიკავა არაგადამდებმა დაავადებებმა. კერძოდ, ჯანმოს 2023 წლის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით სიკვდილობის გამომწვევ მიზეზთა 74 პროცენტს გულსისხლძარღვთა დაავადებები, სიმსივნური დაავადებები, დიაბეტი და ფილტვის ქრონიკული დაავადებები შეადგენს. თამბაქოს მოხმარება, ფიზიკური უმოქმედობა, ალკოჰოლის მავნე ზემოქმედება, არაჯანსაღი დიეტა, ჭარბი წონა და ჰაერის დაბინძურება კი იწვევენ ამ დაავადებების განვითარების რისკების მომატებას (WHO, 2024).

არაგადამდები დაავადებების განვითარების ერთ-ერთი წამყვანი გამომწვევი რისკ-ფაქტორის – ჭარბი წონის მაგალითზე კარგად შეიძლება დავინახოთ მაკროდონეზე მომუშავე ჯანდაცვის სოციალური მუშაკების როლი. ისინი მონაწილეობას იღებენ იმგვარი საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც ხელს უწყობს მოწყვლად მოსახლეობაში სიმსუქნის პრევენციას, ღარიბ თემებში სასურსათო მაღაზიების ჯანსაღი პროდუქტებით მომარაგების ხელშეწყობას, უსაფრთხო ფეხით სასიარულო ადგილები-

სა და ველოსიპედის ზოლების ორგანიზებას, რაც ამცირებს სიმსუქნის ჩამოყალიბების და, შესაბამისად, ზოგიერთი ქრონიკული დაავადების რისკებს (McGinnis et al., 2002). მაკროდონეზე მომუშავე სოციალური მუშაკების როლი ასევე კარგად ვლინდება აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთის შტატების მაგალითიდან, სადაც სიღარიბეში მცხოვრები არათეთრკანიანი და აბორიგენი მოსახლეობით დასახლებულ უბნებში, რომელთა მოსახლეობა ძირითადად სარგებლობდა Medicaid-ით, ბევრად უფრო მწირი იყო სამედიცინო დაწესებულებებისა და ექიმების ქსელი, ვიდრე Medicare-ით და კერძო დაზღვევით მოსარგებლე პირებით დასახლებულ უბნებში. არსებული ექიმების ნაწილი არ ემსახურებოდა Medicaid-ის კლიენტებს, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა მოწყვლადი მოსახლეობის წვდომას ჯანდაცვის მომსახურებებზე და აუარესებდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას. სოციალური მუშაკების დახმარებით შეგროვდა მტკიცებულებები არსებული გამოწვევის შესახებ და მათი მხრიდან ადვოკატობის შედეგად, გაიზარდა აღნიშნულ უბნებში მომუშავე ექიმების რიცხვი. აღნიშნული მაგალითი რელევანტურია ბევრი ქვეყნის და, მათ შორის, საქართველოს ჯანდაცვის სისტემისთვის, რომელიც საშუალებას აძლევს სამედიცინო დაწესებულებებსა და სამედიცინო პერსონალს არათანაბრად მოაწოდოს მომსახურებები კერძო და სახელმწიფო დაზღვევებით მოსარგებლე ან დაზღვევის არმქონე მოქალაქეებს. წარმოდგენილი მაგალითი ნათელს ხდის, რომ ჯანდაცვის სისტემაში აუცილებელი ცვლილებების გატარება ხშირად შეუძლებელია სოციალური მუშაკების პირდაპირი დაკვირვებისა და მუდმივი ადვოკატობის გარეშე. სოციალური მუშაკების ფოკუსი მიკრო- და მაკროდონეებზე საშუალებას აძლევს მათ, დააკავშირონ ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემები ცალკეული სოციალური ჯგუფების გამოწვევებთან; სოციალური დეტერმინანტების კავშირი არსებულ ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და სხვა სფეროების პოლიტიკის გამოწვევებთან (Bussey & Dobrof, 2023).

მეოცე საუკუნის განმავლობაში განვითარებულ ქვეყნებში ჯანდაცვის სოციალური მუშაკების პრაქტიკამ მოიცვა ჯანმრთელობის დაცვის სამივე დონე. პირველადი ჯანდაცვის დონე ემსახურება საზოგადოებაში არსებული ჯანმრთელობის რისკების იდენტიფიცირებასა და მართვას, ფიზიკური, გონებრივი და სოციალური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ურთიერთდაკავშირებულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებით (WHO & UNICEF, 2022). პირველადი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება თემის დონეზე. მეორადი ჯანმრთელობის დაცვა მოიცავს უკვე არსებული დაავადების გართულების თავიდან აცილებას. ამ დონის ამოცანაა ჯანმრთელობის აღდგენა და მართვა. მეორადი ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებია სტაციონარული დაწესებულებები, სადაც მკურნალობენ მწვავე და ზოგიერთ ქრონიკულ მდგომარეობას. მესამეული ჯანმრთელობის დაცვა გულისხმობს, არსებული დაავადების გართულებების დროს, სპეციალიზებულ სამედიცინო ზრუნვასა და ადამიანის ცხოვრების ხარისხის მაქსიმალურად შენარჩუნებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დაავადება აღარ ექვემდებარება განკურნებას (ტატანაშვილი & შაღაშვილი, 2017). მიკრო- და მეზოდონეებზე ჯანდაცვის სოციალური მუშაკები დასაქმებულნი არიან: ამბულატორიებში, სათემო ცენტრებში, შინ მოვლის მობილურ სერვისებში, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ხანდაზმულთა რეზიდენტულ დაწესებულებებში, რეპროდუქციულ ცენტრებში, სადაზღვევო კომპანიებში და პირველადი, მეორეული და მესამეული დონის მომსახურების მიმწოდებელ სხვა დაწესებულებებში. მაკროდონის

ჯანდაცვის სოციალური მუშაკები მუშაობენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის განყოფილებებში, სამთავრობო უწყებებში, უნივერსიტეტებში, კვლევით ორგანიზაციებში და მათი საქმიანობა მოიცავს ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებას, პროგრამის დაგეგმვას, საზოგადოების განათლებასა და სკრინინგს, ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტებისა და ჯანმრთელობისა და სოციალური გამოწვევების ურთიერთდამოკიდებულების კვლევას.

სოციალური მუშაკების კომპეტენციები მოიცავს ჯანდაცვის მომსახურებების მთელს სპექტრში ინდივიდების სოციალური საჭიროებების იდენტიფიცირებას, სოციალური მომსახურებების მიწოდებას და სხვა მომსახურებების მიწოდების ხელშეწყობას, კოორდინირებასა და მონიტორინგს, კლიენტებისთვის ოპტიმალური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად. იყენებენ რა ეკოლოგიურ, კლინიკურ და ბიოფსიქოსოციალურ მიდგომებს, ინდივიდებიდან, ოჯახებიდან, თემებთან, ორგანიზაციებთან და მთავრობებთან მუშაობისას, სოციალური მუშაკები ზრუნავენ კლიენტისთვის საჭირო რესურსების მის ოჯახსა და გარემოში გამოსავლენად. ეს საქმიანობა მოიცავს ჯანდაცვის, განათლების, დასაქმების, სისხლის სამართლის და სხვა სისტემებთან დამაკავშირებლის როლს, რათა მოხდეს კლიენტისთვის ყველა საჭირო რესურსის მობილიზება. სოციალური მუშაკები რეგულარულად აწარმოებენ მოლაპარაკებებს სხვადასხვა სისტემასთან, კლიენტების მრავალმხრივი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, და კოორდინაციას უწევენ მულტისექტორულ მხარდაჭერას. ეს პროფესიონალები ასევე მუშაობენ პაციენტების ოჯახის წევრებთან და მომვლელებთან, რათა მათ კარგად გაიაზრონ საავადმყოფოდან გაწერის შემდგომი ინსტრუქციები და დაადასტურონ მოვლისთვის საჭირო რესურსების არსებობა (Browne et al., 2017).

სოციალური მუშაობის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, ჯანდაცვის სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი როლი აქვთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს. ისტორიულად, სოციალური მუშაობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა ემსახურებიან სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას და მიზნად ისახავენ ადამიანების კარგად ყოფნას (well-being), მოწყვლად პოპულაციაში ჯანმრთელობის პრობლემების გამომწვევი სოციალური გამოწვევების შემცირებას (Marshall et al., 2011). ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ, აშშ-ში თვლიდნენ, რომ სოციალური მუშაობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა განუყოფელი სფეროებია და სოციალურმა მუშაობამ დიდწილად განსაზღვრა საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარება (Ruth & Marshall, 2017). საზოგადოებრივი ჯანდაცვის სოციალური მუშაკები, ჯანდაცვის სპეციალისტებთან და მრავალდარგობრივი გუნდების სხვა პროფესიონალებთან ერთად, საკვანძო როლს თამაშობენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფაში, ადამიანების ჯანმრთელობის სტატუსის გაუმჯობესებასა და ჯანდაცვაში უთანასწორობის აღმოფხვრაში (Petrakis, 2023).

საზოგადოებრივი ჯანდაცვა ჯანდაცვის სფეროში სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის ყველაზე დიდ ასპარეზად შეიძლება ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში გამოიყენება როგორც მიკრო-, ისე მეზოპრაქტიკის მეთოდები. მაკროდონეზე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სოციალური მუშაკების ცოდნა ფსიქოსოციალურ საკითხებზე და სხვადასხვა კულტურასთან მუშაობის სპეციფიკა აუცილებელია ეფექტური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერვენციების გასავითარებლად. სოციალური მუშაკები ასევე ჩართულნი არიან იმ პროგრამების ზედამხედველობასა და შეფასებაში,

რომლებიც ემსახურება დაბალშემოსავლიანი და დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და უთანასწორობის შემცირებას. მუშაობის პროცესში სოციალური მუშაკები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები იყენებენ თემის შეფასების მეთოდს და ახორციელებენ კვლევებს, რათა შეიმუშაონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამები (Gehlert, S. & Browne, 2006).

ჯანდაცვის სფეროს სოციალური მუშაკების, აშშ-ის პროფესიული ასოციაციის სტანდარტი ხაზგასმით გამოყოფს სოციალური მუშაკის ვალდებულებას, გააძლიეროს კლიენტი და განახორციელოს მისი ინტერესების ადვოკატობა როგორც ინდივიდუალურ, ისე სისტემურ დონეზე. ადვოკატობას წინ უძღვის ინდივიდების, ოჯახების, თემების და საზოგადოების საჭიროებებისა და ინტერესების შეფასება, საკუთარი ინტერესების დასაცავად ადამიანების გაძლიერება, სხვა სფეროების წარმომადგენლებთან და პოლიტიკის შემქმნელებთან თანამშრომლობა და, შედეგად, მომსახურებებზე წვდომის გასაუმჯობესებლად და მომსახურებების ხარისხის გასაზრდელად, საჭირო პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავება (NASW, 2005). აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებთან, მაგალითად, ლტოლვილებთან და დევნილებთან, უსახლკარო და ნივთიერებაზე დამოკიდებულ პირებთან ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა პროფესიონალების მუშაობისას, სოციალური მუშაკის როლია დაეხმაროს მათ ინდივიდის საჭიროებებზე მორგებული მიდგომების დასახვაში. გარდა ამისა, სოციალური მუშაკების როლია, პაციენტების კვლევებსა და ადვოკატობის პროცესში ჩართვით, საშუალება მისცეს უკეთ გამოავლინონ საკუთარი საჭიროებები და დაიცვან ინტერესები (Bywaters, 2007).

ჯანდაცვის სოციალური მუშაობის მოდელები

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში გამოყოფენ რამდენიმე მიმართულებას, რომლებიც ქმნის ამ სფეროს პრაქტიკის წამყვან მოდელებს და გავლენას ახდენს ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების ეფექტზე. ეს მიმართულებებია:

1. სკრინინგისა და პრევენციის გაძლიერება

ადამიანების წახალისება, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ სკრინინგსა და პრევენციულ მომსახურებებში, ჯანდაცვის სოციალური მუშაკების მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს. სკრინინგი შეიძლება მოიცავდეს სოციალური იზოლაციისა და მარტოობის შეფასებას, რასაც, თანამდროვე მტკიცებულებების თანახმად, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა აქვს ჯანმრთელობის შედეგებზე (Holt-Lunstad & Smith, 2016). სკრინინგით ასევე ხდება მატერიალური დეპრივაციისა და სხვა უარყოფითი ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების განსაზღვრა (Valtorta et al., 2016). სოციალური მუშაკების ინტერვენციებმა შესაძლოა შეამციროს სკრინინგით გამოვლენილი რისკების უარყოფითი გავლენა ჯანმრთელობაზე. მაგალითისთვის, ონკოლოგიის სფეროში სოციალური მუშაკები ეხმარებიან თემებს კიბოს სკრინინგის ბარიერების გადალახვაში (Burg et al., 2010); ისინი ეხმარებიან პაციენტებს კიბოს გენეტიკური ტესტირებისთვის ფსიქოსოციალური ბარიერების გადალახვაში (Werner-Lin et al., 2016).

2. ჯანდაცვის სფეროში ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების მართვა

სოციალური მუშაობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სტრესების, მათ შორის ჯანმრთელობის უთანასწორობის გამომწვევი მიზე-

ზების, მართვაში. მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევაზე და ჯანდაცვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით სოციალური მუშაკები ხელს უწყობენ ჯანდაცვის სისტემის კლიენტების სოციალური იზოლაციის და დისკრიმინაციის შემცირებას, რაც დადებითად მოქმედებს ჯანმრთელობის შედეგებზე (Allen, 2012).

3. ზრუნვის მენეჯმენტისა და კოორდინაციის გაუმჯობესება

სოციალური მუშაკები ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობენ ჯანდაცვის მომსახურებების კოორდინაციის გაუმჯობესებაში. კვლევები ადასტურებს, რომ კიბოს პრევენციის, გამოვლენისა და მკურნალობის სერვისებში სოციალური მუშაკების მიერ მოვლის კოორდინაციას აქვს მნიშვნელოვანი ეფექტი, განსაკუთრებით, რასობრივი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის (Ell et al., 2010, 2011, 2012).

4. ზრუნვის ეტაპებს შორის წარმატებული ტრანზიციის ხელშეწყობა

ჯანდაცვის ერთი მომსახურებიდან მეორეში გადასვლა, განსაკუთრებით კი ჰოსპიტალიზაციის შემდეგ პაციენტის სახლში გაწერა, ხშირად მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის ინდივიდებისთვის და მათი ოჯახებისთვის. პაციენტის გაწერის ცუდად დაგეგმვამ შესაძლოა გამოიწვიოს სახლში პაციენტზე ზრუნვის სირთულეები, განმეორებითი ჰოსპიტალიზაცია, ოჯახისთვის და ჯანდაცვის სისტემისთვის გაუმართლებლად მაღალი ხარჯები (Browne et al., 2017). 2016 წლის მონაცემებით, წელიწადში 2,6 მილიონი ხანდაზმული, საავადმყოფოდან გაწერის არასათანადოდ ორგანიზების გამო, გაწერიდან 30 დღეში დაბრუნდა კლინიკაში, რაც მედიქეარს (Medicare) 26 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდა (Centers for Medicare & Medicaid Services, 2016).

სოციალური მუშაკების მიერ ჯანმრთელობის კონცეპტუალიზაცია, როგორც ინდივიდუალური გამოცდილება, რომელსაც ადგილი აქვს გარკვეულ სოციალურ კონტექსტში, საშუალებას აძლევს მათ შეიმუშაონ ეფექტური გარდამავალი მოდელები, რომელთა განხორციელებაში ჩართულები არიან ჯანდაცვის პროფესიონალები და სოციალური მომსახურებების მუშაკები (სოციალური მუშაკების, შემთხვევის მმართველების, სათემო მუშაკების) (Browne et al., 2017).

5. მოწყვლად მოსახლეობაზე მორგებული ინტერვენციების დანერგვა

როგორც უკვე აღინიშნა, მოწყვლადი მოსახლეობა უფრო მეტად განიცდის ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების უარყოფით შედეგებს. სოციალური მუშაკები წარმართავენ კვლევებს და შეიმუშავებენ თანასწორობის მიღწევაზე მიმართულ ინტერვენციებს. მათ შორისაა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის ინტეგრირებული მოდელები, რომელთა დადებითი შედეგები არაერთი კვლევით არის დადგენილი (Tang et al., 2014).

ჯანდაცვისა და სოციალური ზრუნვის ინტეგრირება

როგორც უკვე აღინიშნა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, ადამიანების ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის უთანასწორობის უდიდესი ნაწილი აიხსნება ჯანმრთელობის სოციალური განმსაზღვრელებით და, შესაბამისად, ჯანმრთელობის უთანასწორობის პრობლემების მოგვარება მოითხოვს გაცილებით მეტს, ვიდრე დაავადების კონტროლი, პრევენცია და მკურნალობა (WHO, 2008). ჯანმოს სოციალური

დეტერმინანტების ზედამხედველობის კომისიის რეკომენდაციებში ხაზგასმულია ჯანდაცვის მიღმა არსებული სექტორების, მათ შორის სოციალური დაცვის, მნიშვნელოვანი წვლილი მოსახლეობის ჯანმრთელობაში და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების ინტეგრირების საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი მკაფიოდ არ გამოყოფს აღნიშნული მიზნების რეალიზებაში სოციალური მუშაკების ჩართვის მნიშვნელობას, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჯანდაცვის სფეროს სოციალური მუშაკების ჩართულობა ნაგულისხმევია ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალთა ფართო კატეგორიაში, ვინაიდან, სწორედ სოციალური მუშაობა წარმოადგენს სოციალური ცვლილების მექანიზმს და ვალდებულია წვლილი შეიტანოს ჯანმრთელობის სფეროში სოციალური სამართლიანობის და ადამიანის უფლებების დაცვაში და სტრუქტურული რასიზმის აღმოფხვრაში (NASW, 2005; Teasley et al., 2021). ბაივატერსის თანახმად, პროფესიის განვითარების ამ ეტაპზე სოციალური მუშაობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას სწორედ ჯანმრთელობის სფეროში უთანასწორობა და მის აღმოფხვრაზე მუშაობა წარმოადგენს (Bywaters, 2007).

ჯანმრთელობის შედეგების გაუმჯობესებისა და ჯანდაცვაში სოციალური ზრუნვის ინტეგრირების თვალსაზრისით, გარდაუვალ ნაბიჯს წარმოადგენს სოციალური გარემოს, რისკფაქტორებისა და საჭიროებების გათვალისწინება, რაც სოციალური მუშაობის წამყვან ფუნქციას წარმოადგენს. სოციალურ მუშაობაში მიდგომა „ადამიანი გარემოში“, რომელიც ეფუძნება ადამიანისთვის მისი სოციალური გარემოს მნიშვნელობას, მე-20 საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა. ამ პერიოდში, აშშ-ის მასაჩუსეტსის შტატის ზოგადი პროფილის ჰოსპიტალში დასაქმებული სოციალური მუშაკი იდა ქენონი, რომელიც ჯანდაცვის სფეროში სოციალური მუშაობის ერთ-ერთ ფუძემდებლად არის მიჩნეული, თვლიდა, რომ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური გარემო ფაქტორები ერთმანეთზე ზემოქმედებენ და ამის გათვალისწინება აუცილებელია იმისათვის, რომ სრულად იქნეს გაგებული კლიენტის მდგომარეობა და დროული და ეფექტური გამოჯანმრთელებისთვის გაეწიოს მას ამ მდგომარეობის შესაბამისი დახმარება (ტატანაშვილი & შაღაშვილი, 2017). 1930 წელს იდა ქენონი წერდა, რომ აუცილებელია საავადმყოფოში არსებობდეს „ვიღაც, ვისაც დაევალება პაციენტის თვალსაზრისის წარმოჩენა და ექიმებთან მუშაობა, სამედიცინო მკურნალობის პაციენტის სოციალურ მდგომარეობასთან ადაპტირებისთვის“ (Social Welfare History Project, 2012, p. 96).

ჰოსპიტალურ სექტორში იდა ქენონის საქმიანობის გარდა, აშშ-ში სოციალური ზრუნვის ჯანდაცვის მომსახურებებთან ინტეგრირების ადრეული მაგალითია მეოცე საუკუნის დასაწყისში საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ დეპარტამენტებში ინფექციური დაავადებების მართვის პროგრამებში შემთხვევის მართვის ინტეგრირება. აღნიშნულ პროგრამებში სოციალური მუშაკების მიზანს წარმოადგენდა რთულად ხელმისაწვდომ თემებთან მუშაობა, დასაქმების ხელშეწყობა, დასნებოვნებისა და ჰოსპიტალიზაციის პრევენციისთვის ოჯახის როლის გაძლიერება (Ruth & Marshall, 2017). ინტეგრირების კიდევ ერთი, თანამედროვე მაგალითია სოციალური მუშაკის ჩართვა ორგანოთა ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პაციენტებთან მუშაობაში. ამ სფეროში მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკების ფუნქციას წარმოადგენს პაციენტების ფსიქოსოციალური შეფასება და შეფასების საფუძველზე მკურნალობის ინდივიდუალური სტრატეგიების შემუშავებაში ჩართვა, პაციენტების და მათი ოჯახის წევრების განათლება, მხარდაჭერა და გაძ-

ლიერება, გადანერგვის რთული პროცესის ოპტიმალური შედეგების მიღწევის მიზნით (West & Winnike, 2018).

ჯანდაცვისა და სოციალური ზრუნვის ინტეგრირებას მოითხოვს ჯანდაცვის სისტემებში საზოგადოებაზე ორიენტირებული პირველადი ზრუნვის (Community Oriented Primary Care – COPC) პრინციპებისა და მეთოდოლოგიის დანერგვა (Lee, 1999). საზოგადოებაზე ორიენტირებული პირველადი ჯანდაცვა წარმოადგენს მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია საზოგადოებისა და პროფესიონალების პარტნიორობაზე და გულისხმობს მედიცინას, საზოგადოებრივ ჯანმრთელობას და სოციალურ მაკროდონის სამუშაოს წარმომადგენელთა ინტერდისციპლინური გუნდების მეშვეობით ინდივიდებისა და თემების გაძლიერებას. მიდგომა მოითხოვს თემის ორგანიზებას, მიზანზე ორიენტირებულ ჯგუფურ მუშაობას და დაგეგმვისა და პროგრამის შემუშავების პროცესში თანამონაწილეობის პრინციპების გამოყენებას, რაც წარმოადგენს სოციალური მუშაკების ძირეულ კომპეტენციებს (Staples, 1999).

ჯანდაცვაში სოციალური ზრუნვის ინტეგრირებისა და ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ დასახული პრიორიტეტების სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭიროა ჯანდაცვის პროფესიონალებისა და სოციალური მუშაკების თანამშრომლობის გაძლიერება და ყველა მათგანის ფოკუსირება ინდივიდებისა და თემების სოციალურ საჭიროებებზე. აშშ-ის ჯანდაცვის სისტემების მკვლევრების თანახმად, მოცემულ ეტაპზე ჯანდაცვაში სოციალური ზრუნვის სრულყოფილად ინტეგრირებას ხელს უშლის სოციალური ფაქტორების მნიშვნელობაზე ჯანდაცვის სფეროს ხელმძღვანელობისა და პერსონალის ცნობიერების ნაკლებობა (Andermann, 2018). ასევე აქტუალურია ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციული კულტურის შეცვლა და სფეროს აქტორების როლების უკეთ განსაზღვრა (NASEM, 2019; Andermann, 2018). აღნიშნული ამოცანის მიღწევა სოციალური მუშაობის ადვოკატობისა და პროფესიული როლის გაძლიერებაზეც არის დამოკიდებული.

თანამედროვე მსოფლიოში ტერმინი *ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის ინტეგრაცია* გულისხმობს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების, მათ შორის, სოციალური მუშაკის მომსახურებების ერთობლივ ძალისხმევას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უწყვეტი და ადამიანზე ორიენტირებული ჰოლისტური ზრუნვა. 2021 წელს გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში, სახელწოდებით „ჯანმრთელობის და სოციალური ზრუნვის ინტეგრაცია: ზრუნვა ადამიანებზე, ადგილებზე და მოსახლეობაზე“, წარმოდგენილია რეკომენდაციები ეფექტური ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად (Department of Health and Social Care, 2022). დოკუმენტში ხაზგასმულია მულტიდისციპლინური, ანუ მრავალპროფილური გუნდური მუშაობის, პაციენტების საჭიროებების მოსაგვარებლად საჭირო სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი ორგანიზაციების და სოციალური მუშაკების ჩართვის და კოორდინირებული ქმედებების მნიშვნელობა.

ემპირიული მტკიცებულება მიუთითებს, რომ ჯანდაცვის მომსახურებები, რომელიც, ჯანდაცვის მუშაკების გარდა, აერთიანებს სოციალურ მუშაკებს, განაპირობებს უკეთეს შედეგებს პაციენტებისთვის (Browne, 2006). გარდა ამისა, ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობა და გუნდში სოციალური მუშაკის ჩართვა არ ზრდის, პირიქით, ამცირებს მკურნალობის ხარჯებს. 2000 წ. სამერსმა და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს კვლევა, რომელშიც ჩართული იყვნენ პაციენტები, რომელთა ნაწილს მომსახურებას

აწვდიდა ინტერდისციპლინური გუნდი და მასში შემავალი სოციალური მუშაკი, ნაწილს კი ემსახურებოდა მხოლოდ პირველადი ჯანდაცვის ექიმი. მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ჯგუფს, რომელზეც ზრუნავდა ინტერდისციპლინური გუნდი, ჰქონდა მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ჰოსპიტალიზაციისა და საავადმყოფოში ხელახლა განთავსების მაჩვენებელი, ნაკლები განმეორებითი ვიზიტები ექიმთან და გაზრდილი მონაწილეობა სოციალურ აქტივობებში. ინტერდისციპლინურმა მიდგომამ თითო პაციენტზე დაზოგა მინიმუმ 90 აშშ დოლარი, დამატებითი პერსონალის ღირებულების ჩათვლით (Sommers, 2000).

ჯანდაცვის სისტემური გამოწვევების დაძლევის სოციალური მუშაობის სტრატეგიები

როგორც წინა თავებიდან ჩანს, ჯანმრთელობის სტატუსის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის უსამართლობის დაძლევა მოითხოვს ყოვლისმომცველ და სისტემურ მიდგომას, რომელიც ცდება ინდივიდუალურ დონეზე ჯანდაცვის ინტერვენციებს. სისტემის დონის სტრატეგიები აუცილებელია ჯანმრთელობის უთანასწორობის ხელშემწყობი ფაქტორების დასაძლევად და ინდივიდებზე, თემებსა და საზოგადოებაზე ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების დადებითი ეფექტის გასაზრდელად. სისტემის დონის ინტერვენციები მოიცავს პოლიტიკის ცვლილებებს, საზოგადოების ჩართულობას და თანამშრომლობას სხვადასხვა სექტორში. ის მოითხოვს ფინანსური და ადამიანური რესურსების უფრო სამართლიან განაწილებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოწყვლადი მოსახლეობისთვის საჭირო მხარდაჭერა. გარდა ამისა, აუცილებელია პრევენციულ ზომებში ინვესტირება და სისტემური უთანასწორობის აღმოფხვრა, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის უთანასწორობის შემცირებას. ჰოლისტური და ინტეგრირებული მიდგომის დასანერგად მნიშვნელოვანია სხვადასხვა სექტორის პოლიტიკის შემქმნელების, ჯანდაცვის სფეროს და სხვა პროფესიონალების და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა, რათა შეიქმნას უფრო სამართლიანი და ინკლუზიური ჯანდაცვის სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის თანასწორობას ყველასთვის. აღნიშნული მიზნების მიღწევაში საგულისხმო როლს ასრულებს სოციალური მუშაობა, განსაკუთრებით კი ჯანდაცვის სისტემაში მაკროდონის სოციალური მუშაობის პრაქტიკა. ამერიკელი ავტორები გამოყოფენ ჯანდაცვის სისტემური გამოწვევების დაძლევისთვის მნიშვნელოვან შემდეგ სტრატეგიებს:

1. ჯანდაცვის სფეროში სოციალური მუშაობის ლიდერობის გაზრდა

სოციალური მუშაკების პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების პარალელურად, ჯანმრთელობის შედეგების გასაუმჯობესებლად სოციალური მუშაობის პროფესიამ უნდა გააძლიეროს ამ პროფესიონალების უნარი, ადვოკატობა მოახდინოს სოციალურად ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების მოდელების დასანერგად. ჯანდაცვის სისტემების ტრანსფორმაციაში ლიდერის როლის შესასრულებლად პროფესიას სჭირდება ჩამოაყალიბოს ეფექტური ჯანდაცვის სისტემის ხედვა, რომელიც მოემსახურება ყველა ადამიანის და განსაკუთრებით კი მოწყვლადი ინდივიდების საჭიროებებს.

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ჯანდაცვის სისტემების რეფორმირებისას მნიშვნელოვანია ამ პროცესში სოციალური მუშაკების ჩართვა. ეს ხელს შეუწყ-

ობს განვითარების პროცესში მყოფი სისტემების, მათ შორის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვისას სოციალური საჭიროებების და შესაბამისი ხარჯების გათვალისწინებას. სახელმწიფო დონეზე, პროფესია უნდა მიისწრაფოდეს იმისკენ, რომ წარმოდგენილ იქნეს ჯანდაცვის სისტემაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (Browne et al., 2017).

2. ლიდერობის ტრენინგი სოციალური მუშაობის აკადემიურ პროგრამებში და პრაქტიკის ადგილებზე

სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია გაიზარდოს სოციალური მუშაობის პროგრამების სტუდენტების და პრაქტიკოსების ცოდნა ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების და ადამიანების ჯანმრთელობისთვის მათი მნიშვნელობის შესახებ; ასევე ჯანდაცვის სფეროს მართვაში სოციალური მუშაკების როლის თაობაზე (Browne et al., 2017). COVID-19-ის მსოფლიო პანდემიამ კიდევ უფრო აშკარა გახადა ინტეგრირებული ჯანდაცვის, როგორც პრიორიტეტული მოდელის, პოპულარიზების აუცილებლობა და ამ მოდელის დანერგვაში სოციალური მუშაკების ლიდერობის მნიშვნელობა (Dennelly, Sousa & Roberts, 2021)

3. საზოგადოებრივი ურთიერთობები

სოციალური მუშაობის პროფესიამ მკაფიო უნდა გახადოს თავისი წვლილი და შესაძლებლობები ჯანდაცვის გაუმჯობესებასა და ჯანმრთელობის არასასურველი სოციალური დეტერმინანტების გავლენის შემცირებაში, განსაკუთრებით სოციალური აქტივიზმის, ადვოკატობისა და ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის შექმნაში აქტიურად ჩართვის გზით. გარდა ამისა, სოციალური მუშაობის აკადემიურმა პერსონალმა და სფეროს წამყვანმა პროფესიონალებმა უნდა ითანამშრომლონ მედიასთან ჯანმრთელობის თემების გაშუქებისას, რათა გაიზარდოს მოსახლეობის და გადაწყვეტილებების მიმღებთა ცნობიერება ჯანმრთელობისთვის სოციალური ფაქტორების მნიშვნელობასა და ამ სფეროში სოციალური მუშაობის შესაძლო როლზე (Browne et al., 2017).

4. სოციალური მეწარმეობა

სოციალური მეწარმეობა წარმოადგენს კიდევ ერთ გზას, რომლითაც სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას. ის საშუალებას აძლევს სოციალურ მუშაკებს დანერგონ ახალი და კრეატიული მიდგომები მოწყვლადი მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებლად (Seelos & Mair, 2005). აღნიშნულის მაგალითია პროგრამა ქალაქ ენ არბორში (მიჩიგანის შტატი, აშშ), სადაც სოციალურმა მუშაკებმა გამოავლინეს მეორადი საქორწინო კაბების გაყიდვისთვის ხელსაყრელი კომერციული ბაზარი, მიღებული მოგებით სიმსივნით დაავადებულთა ფსიქოსოციალური დახმარების სერვისების დასაფინანსებლად (Browne et al., 2017; The Brides Project, n.d.).

სოციალური მეწარმეობა საშუალებას აძლევს ჯანდაცვის სოციალურ მუშაკებს შეიძინონ ახალი პარტნიორები და მოიზიდონ ინვესტიციები სფეროსთვის ნაკლებად ტრადიციული წყაროებიდან (Nandan et al., 2015).

5. ინტერპროფესიული განათლება და ტრენინგი

ერთობლივი სწავლება საშუალებას აძლევს სოციალურ მუშაკებს, ნათელი გახადონ საკუთარი როლი სოციალურ და გარემოს კონტექსტზე ორიენტირებული ჯანდაც-

ვის სისტემის შექმნაში და გაარკვიონ ჯანდაცვის სოციალური მუშაკების როლი ინტერპროფესიონალი გუნდების ფუნქციონირებაში. ამისთვის მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ უნივერსიტეტების მრავალპროფილური აკადემიური სივრცე, რათა სწავლების ადრეული ეტაპებიდან მოხდეს სოციალური მუშაკების და ჯანდაცვის პროფესიონალების ერთობლივი სწავლება. მსგავსი სწავლების დანერგვა რეკომენდებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO, 2010), აშშ-ის სოციალური მუშაობის განათლების საბჭოს (CSWE, 2015) და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ.

6. სოციალური მუშაობის კვლევა

მტკიცებულებები ჯანდაცვაში სოციალური მუშაობის როლის შესახებ დეტალურად არის წარმოჩენილი სამ პუბლიკაციაში, ციკლიდან „სოციალური მუშაობის ძირითადი გამოწვევები“ (Grand Challenges for Social Work), კერძოდ: ალკოჰოლის გამოყენების პრევენცია და მისი უარყოფითი შედეგების პრევენცია (Begun et al., 2015), ჯანდაცვის სამართლიანობა: უთანასწორობის დაძლევა შემდგომი თაობებისთვის (Walters et al., 2016) და ჯანდაცვის სისტემების გაძლიერება: უკეთესი ჯანმრთელობა მთელ ამერიკაში (Browne et al., 2017). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არაერთი მტკიცებულება მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით კი ზრუნვის კოორდინაციისა და გარდამავალ მართვაში სოციალური მუშაობის როლის შესახებ, საჭიროა დამატებითი კვლევები სხვადასხვა კონტექსტში ჯანმრთელობის დაცვის სისტემებში სოციალური მუშაკების ეფექტურობის დოკუმენტაციისთვის. სფეროს შემდგომი განვითარებისთვის საჭიროა სოციალურმა მუშაკებმა აჩვენონ არა მხოლოდ მუშაობის შედეგები, არამედ ჯანდაცვის ხარჯების შემცირების პოტენციალიც (Browne et al., 2017).

ჯანმრთელობის დაცვის სოციალური მუშაობა საქართველოში

საქართველოში, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის პარალელურად, სოციალურ მუშაობაში პირველი მოკლევადიანი ტრენინგები 1999 წელს მენტალური ჯანმრთელობის სფეროში დაიწყო (Doel et al.,). 2002-2003 წლებში ჩატარდა მცირემასშტაბიანი ტრენინგები საავადმყოფოების სოციალური მუშაკებისთვის და ჯანდაცვას სფეროს სოციალური მუშაკებისთვის. ქვეყანაში სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამების დაფუძნების შემდეგ კი, ჯანდაცვის სისტემაში სოციალური მუშაობის კურსები ისწავლება როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეებზე. თუმცა თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე სფეროში პროგრესი შემოიფარგლა არასამთავრობო სექტორში ნივთიერებებზე დამოკიდებულ და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებთან მუშაობით (ტატანაშვილი & შაღაშვილი, 2017). გარკვეულწილად განვითარდა სოციალური მუშაობა აივ/შიდსით ინფიცირებულ, ტუბერკულოზის მქონე და ტერმინალურად დაავადებულ პირებთან.

2018 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სოციალური მუშაობის შესახებ, რომელმაც განსაზღვრა ქვეყანაში სოციალური მუშაობის განვითარების ოთხი ყველაზე პრიორიტეტული სფერო. მათ შორის ერთი-ერთი არის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სოციალური მუშაობა. კანონის თანახმად, ჯანმრთელობის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სოციალური მუშაკი ვალდებულია შეაფასოს ბენეფიციარის მდგომარეობა, განსაზღვროს მისი საჭიროებები და იზრუნოს

მათ დაკმაყოფილებაზე. სოციალურ მუშაკს ასევე ევალება კლიენტის კონსულტირება და საგანმანათლებლო დახმარების გაწევა, ჯანსაღი ქცევის მხარდაჭერა, მკურნალობის წახალისება და, ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, კრიზისული ინტერვენცია, ბენეფიციარის ფსიქოსოციალური მხარდაჭერა და რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობა, 2018). კანონი და შესაბამისი სამოქმედო გეგმა ავალდებულებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განსაზღვროს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, სტაციონარებსა და ამბულატორიებში სოციალური მუშაკების საჭირო რაოდენობა და მათი მუშაობის წესი.

კანონოს მოთხოვნის შესაბამისად, სფეროში, მათ შორის ჯანდაცვის სისტემაში დაქირავებული სოციალური მუშაკების რაოდენობის აღწერა განხორციელდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ 2022 წელს. ასოციაციის ანგარიშის თანახმად, სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო დაწესებულებებში დაქირავებულია 100-მდე სოციალური მუშაკი, რომელთაგან სამს აქვს აკადემიური განათლება სოციალურ მუშაობაში, 36 კი სერტიფიცირებულია სამინისტროს მიერ ამ სფეროში სოციალურ მუშაკად დასაქმებისთვის (სსმა, 2022). ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სოციალური მუშაობა საჭიროებს მნიშვნელოვან განვითარებას, რათა ქვეყანაში მოხერხდეს სფეროს თანამედროვე ტენდენციების გავრცელება და მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსისა და ჯანმრთელობის უთანასწორობის დაძლევაში სოციალური მუშაობის პროფესიული რესურსის უკეთ გამოყენება.

თავის შეჯამება

წინამდებარე თავში განხილულია ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სოციალური მუშაობის როლი. აღნიშნული როლის შესრულებას საფუძველი მე-19 საუკუნის მიწურულს ჰოსპიტალურ სექტორში სოციალური მუშაკების დაქირავებით ჩაეყარა. ასევე ხანგრძლივია საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური მუშაობის თანამშრომლობა, ვინაიდან, ისტორიულად, ორივე სფერო ემსახურება სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას და მოწყვლად პოპულაციაში პრობლემების, მათ შორის, ჯანმრთელობის გამოწვევების შემცირებას. ჯანდაცვის სფეროში სოციალური მუშაობის დამკვიდრების ადრეულ ეტაპზევე მიჩნეული იყო, რომ ჯანდაცვის სოციალური მუშაობა კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო დაავადებისა და სოციალური ფაქტორების ურთიერთქმედებაზე. ეს მოსაზრება კიდევ უფრო განმტკიცდა 1948 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციით ჯანმრთელობის განსაზღვრების დამკვიდრებით, რომელიც ამბობს, რომ ჯანმრთელობა გულისხმობს არა მხოლოდ დაავადების ან უძლურების არარსებობას, არამედ სრულ ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურ კეთილდღეობას.

ჯანმრთელობაში არასამედიცინო ფაქტორების მნიშვნელობის გაანალიზებამ და ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების კონცეფციის განვითარებამ, კიდევ უფრო გაზარდა ჯანდაცვის სფეროში მიკრო-, მეზო- და მაკროდონეებზე მომუშავე სოციალური მუშაკის როლი და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში მათი დაქირავების აუცილებლობა. საქართველოში სოციალური მუშაკის კანონის

მიღებამ გარკვეულწილად გაზარდა ჯანდაცვის სისტემაში სოციალური მუშაობის განვითარების პოტენციალი.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. რაში მდგომარეობს ჯანდაცვის სოციალური მუშაკის როლი და რომელია ამ სფეროს სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის მაგალითები?
2. თქვენი აზრით, რით განსხვავდება ინდივიდის სოციალური საჭიროებები ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტებისგან? მოიყვანეთ მაგალითები.
3. როგორ გგონიათ, რომელია საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის მაგალითები?
4. ჩამოთვალეთ ჯანდაცვის სოციალური მუშაობის მოდელები. თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი მოდელებია განვითარებული საქართველოში?
5. სოციალური მუშაობის პრაქტიკის რომელი პრიორიტეტული მიმართულებები განსაზღვრა 2018 წლის საქართველოს კანონმა სოციალური მუშაობის შესახებ?

გამოყენებული ლიტერატურა:

Abbott, L. S., & Elliott, L. T. (2017). Eliminating health disparities through action on the social determinants of health: A systematic review of home visiting in the United States, 2005–2015. Public Health Nursing, 34(1)

Allen, H. (2012). Is there a social worker in the house? Health care reform and the future of medical social work. Health and Social Work, 37(3)

Andermann, A. (2018). Screening for social determinants of health in clinical care: Moving from the margins to the mainstream. Public Health Reviews, 39:19

Arcaya, M. (2015). Inequalities in health: Definitions, concepts, and theories. Global Health Action · June 2015

Begun, A. & Claoo, J. D. (2015). Reducing and Preventing Alcohol Misuse and Its Consequences: A Grand Challenge for Social Work initiative working paper. American Academy of Social Work & Social Welfare

Ruth, B. & Marshall, J. (2017). A History of Social Work in Public Health. American Journal of Public Health, 107. A History of Social Work in Public Health | AJPH | Vol. 107 Issue S3 (aphapublications.org)

Bywaters, P. (2007). Tackling Inequalities in Health: a Global Challenge for Social Work. British Journal of Social Work, 39/2

Browne, T. A. (2006). Social Work Roles and Health-Care Settings. Chapter in Handbook of Health. John Wiley & Sons, Inc.

Browne, T., Gehlert, S., Andrews, Ch. Zebrack, B., & Maramaldi, P. (2017). Strengthening Health Care Systems: Better Health Across America. Grand Challenges for Social Work initiative Working Paper No. 22. American Academy of Social Work & Social Welfare

Burg, M. A., Zebrack, B., Walsh, K., Maramaldi, P., Lim, J.-W., Smolinski, K. M., & Lawson, K. (2010). Barriers to accessing quality health care for cancer patients: A survey of members of the Association of Oncology Social Work. Social Work in Health Care, 49(1)

Bussey, S. & Dobrof, J. (2023). Social work's opportunity and obligation to achieve population health equity. Social Work in Health Care. Routledge

Centers for Medicare & Medicaid Services. (2016). Community-based care transitions program. https://innovation.cms.gov/initiatives/CCTP/

Champ Software (n.d.). Social Needs vs Social Determinants of Health: What Is the Difference and How to Document them At the Local Level. Social Needs vs Social Determinants of Health | Champ Software

Council on Social Work Education (2015). Educational Policy and Accreditation Standards Educational Policy and Accreditation Standards for Baccalaureate and Master's Social Work Programs. 2015EPAS_Web_FINAL-(1).pdf (cswe.org)

Cubbin, C., Pedregon, V., Egerter S., & Braveman, P. (2011). Issue Brief Series: Exploring the Social Determinants of Health: Neighborhoods and Health. For the Robert Wood Johnson Foundation. https://www.rwjf.org/en/library/research/2011/05/ neighborhoods-and-health-.html

Dennelly, L., Sousa, C. & Roberts, K. (2021). Shaping the Future of Social Work Practice in Healthcare: Addressing COVID-19 Needs through Integrated Primary Care. Social Work 67(1)

Department of Health and Social Care (2022). Policy paper – Health and social care integration: joining up care for people, places and populations. UK Government Digital Service

Doel, M., Kachkachishvili, I., Lucas J., Namicheishvili S. and Partskhaladze, N. (2016). Book Chapter in Routledge International Handbook of Social Work Education – Creating Social Work Education in the Republic of Georgia.

Ell, K., Katon, W., Lee, P.J., Kapetanovic, S., Guterman, J., Xie, B., & Chou, C.P. (2012). Depressive symptom deterioration among predominantly Hispanic diabetes patients in safety net care. Psychosomatics, 53(4)

Ell, K., Katon, W., Xie, B., Lee, P.J., Kapetanovic, S., Guterman, J., & Chou, C.P. (2011). One year postcollaborative depression care trial outcomes among predominantly Hispanic diabetes safety net patients. General Hospital Psychiatry, 33(5)

Ell, K., Katon, W., Xie, B., Lee, P.J., Kapetanovic, S., Guterman, J., & Chou, C.P. (2010). Collaborative care management of major depression among low-income, predominantly Hispanic subjects with diabetes: A randomized controlled trial. Diabetes Care, 33(4)

Frier, A., Barnett, F., Devine, S., & Barker, R. (2018). Understanding disability and the 'social determi-nants of health': How does disability affect peoples' social determinants of health? Disability and Rehabilitation, 40(5)

Gehlert, S. & Browne, T. (2006). Handbook of Health Social Work. John Wiley & Sons, Inc., Hoboken, New Jersey

Global Health Watch (2005) Global Health Watch 2005-2006: An Alternative World Health Report, London/New York

Hanlon, P., Walsh, D. and Whyte, B. (2006) Let Glasgow Flourish, Glasgow, Glasgow Centre for Population Health

Holt-Lunstad, J., & Smith, T. B. (2016). Loneliness and social isolation as risk factors for CVD: Implications for evidence-based patient care and scientific inquiry. Perspectives on Psychological Science, 102(13)

Iezzoni, L. (2011). Eliminating health and health care disparities among the growing population of people with disabilities. Health Affairs, 30(10)

International Federation of Social Workers (2005). Ethics in social work: Statement of principles. www.ifsw.org/en/p380003

Lee, H. (1999) Community Oriented Primary Care and Macro Social Work Practice, Journal of Community Practice, 6:1, 61-70, DOI: 10.1300/J125v06n01_05

Marshall, J.W., Ruth, B.J., Sisco, S. Ruth, B.J., Bethke, C., Piper, T.M., Cohen, M., & Bachman, S.S. (2011). Social work interest in prevention: A content analysis of the professional literature. Social Work, 56(3)

McGinnis, J. M., Williams-Russo, P., & Knickman, J. R. (2002). The case for more active policy attention to health promotion. Health Affairs, 21

Nadkarni, V. (2006). The human rights perspective in health social work. www2.warwick.ac.uk/fac/cross_fac/healthatwarwick/research/devgroups/ socialwork/swhin/activities/vimla.ppt

Nandan, M., London, M., & Bent-Goodley, T. (2015). Social workers as social change agents: Social innovation, social intrapreneurship, and social entrepreneurship. Human Service Organizations: Management, Leadership & Governance, 39(1)

NASEM (2019). Integrating social care into the delivery of health care: Moving upstream to improve the nation's health. The National Academies Press, Washington, DC.

National Academy of Sciences (2021). The Future of Nursing 2020-2030: Charting a Path to Achieve Health Equity. National Academies Press, Washington (DC)

National Association of Social Workers (2005). NASW Standards for Social Work Practice in Health Care Settings. NASW

Petrakis, M. (2023). Social Work Practice in Health. Routledge

Seelos, C., & Mair, J. (2005). Social entrepreneurship: Creating new business models to serve the poor. Business Horizons, 48(3)

Sharkey, P. (2013). Stuck in Place: Urban Neighborhoods and the End of Progress toward Racial Equality. The University of Chicago Press.

Social Welfare History Project (2012). Ida Cannon. Social Welfare History Project

Sommers, L. S., Marton, K. I., Barbaccia, J. C., & Randolph, J. (2000). Physician, nurse, and social worker collaboration in primary care for chronically ill seniors. Archives of Internal Medicine, 160(12)

Staples, L. (1999). Community Oriented Primary Care and Macro Social Work Practice. Journal of Community Practice

Tang, T. S., Funnell, M., Sinco, B., Piatt, G., Palmisano, G., Spencer, M. S., & Heisler, M. (2014). Comparative effectiveness of peer leaders and community health workers in diabetes self-management support: Results of a randomized controlled trial. Diabetes Care, 37(6)

Teasley, M. L., McCarter, S., Woo Conner, L. R., Spencer, M. S., & Green, T. (2021). Eliminate racism: Grand challenges for social work initiative working paper No. 26. American Academy of Social Work & Social Welfare

Teasley, M., Woo, Ch., Conner, L. & Spencer, M. (2021). Grand Challenge to Eliminate Racism. Grand Challenges for Social Work Initiative Working Paper No. 26. Eliminate Racism (grandchallengesforsocialwork.org)

U.S. Department of Health and Human Services (n.d.). Healthy People 2030. Social determinants of health. Healthy People 2030 | health.gov

UPSTREAM (2022). Social Determinants of Health. SDOH.pdf (ncsc.org)

Valtorta, N., Kanaan, M., Gilbody, S., Ronzi, S. & Hanratty, B. (2016). Loneliness and social isolation as risk factors for coronary heart disease and stroke: Systematic review and meta-analysis of longitudinal observational Studies. Heart – British Cardiac Society

Walters, A., Spenser, M., Smukler, M. & Uehara, E. (2016). Health Equity: Eradicating Health Inequalities for Future Generations. Grand challenges for social work initiative working paper No. 19. American Academy of Social Work & Social Welfare

Werner-Lin, A., McCoyd, J. L. M., Doyle, M. H., & Gehlert, S. J. (2016). Leadership, literacy, and translational expertise in genomics: Challenges and opportunities for social work. Health & Social Work, 41(3)

West, C. J. and Winnike, K. (2018). Social Work Interventions in End-Stage Organ Disease and Transplant Patients. Psychosocial Care of End-Stage Organ Disease and Transplant Patients

World Health Organization (2012). Health 2020: Policy framework and strategy. WHO regional Office for Europe. Health 2020: Foreign policy and health – en (who.int)

World Health Organization (2024). Noncommunicable diseases (who.int)

World Health Organization (2008). WHO Commission on Social Determinants of Health: Closing the Gap in a Generation. WHO/IER/CSDH/08.1

World Health Organization (2010). Action on the social determinants of health: Learning from previous experiences: Social determinants of health discussion paper

World Health Organization (n.d.). Determinants of health (who.int)

World Health Organization (n.d.). Frequently asked questions. https://www.who.int/about/frequently-asked-questions

World Health Organization. (2010). Framework for action on interprofessional education and collaborative practice (Report No. WHO/HRH/HPN/10.3). Geneva, Switzerland: Author

WHO & UNICEF (2022). Primary health care measurement framework and indicators: monitoring health systems through a primary health care lens. 9789240044210-eng.pdf (who.int)

World Population Review (2024). Infant Mortality Rate by Country 2024 (worldpopulationreview.com)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (2000). ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. რეზოლუცია 2200A (XXI).

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (2015). გლობალური ჯანმრთელობის ორიენტირები XXI საუკუნეში.

საქართველოს მთავრობა (2018). საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ. სოციალური მუშაობის შესახებ | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge).

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (2022). კვლევა სოციალური მუშაობის სამუშაო ძალის შესახებ.

ტატანაშვილი, ზ. & შაღაშვილი, მ. (2017). სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია და აიპ ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში.

ნათია ფარცხალაძე

თავი 13

სოციალური მუშაობის მაპროპრაქტიკა დემოგრაფიული გამოწვევების საპასუხოდ

შესავალი

წინამდებარე თავი მიმოიხილავს იმ დემოგრაფიულ მოვლენებს და გლობალურ დემოგრაფიულ ტენდენციებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკაზე. ამ თავის აქტუალობა აიხსნება იმ ფაქტით, რომ, დემოგრაფიული კუთხით, მსოფლიოში აღინიშნება მნიშვნელოვანი ძვრები. კერძოდ, მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებმა ყველა წინა საუკუნეს გადააჭარბეს მსოფლიო მოსახლეობის ზრდით. მეოცე საუკუნე დაიწყო ორ მილიარდზე ნაკლები მოსახლეობით, ხოლო დასრულდა პლანეტის ექვს მილიარდზე მეტი მცხოვრებით. მოსახლეობის ზრდის პარალელურად, საგულისხმოა მსოფლიო მოსახლეობის, განსაკუთრებით კი განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის, დაბერება. ამ საერთო ტენდენციების გარდა, გამოიკვეთა უკიდურესად მრავალფეროვანი გამოწვევები, რომლებიც განპირობებულია რეგიონების, ქვეყნებისა თუ თემების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განსხვავებებით. მაგალითისთვის, ნავარაუდევია, რომ 2050 წლისთვის მსოფლიო ახალგაზრდობის ნახევარზე მეტი აფრიკის კონტინენტზე იცხოვრებს, მაშინ, როდესაც ამ ასაკობრივი ჯგუფის წილი მკვეთრად შემცირდება ყველა სხვა რეგიონში (UN, 2022).

ბოლო ათწლეულების ცვლილებებმა უკვე შეცვალა სოციალური დაცვის სისტემების მიმართ წაყენებული გამოწვევები და, შესაბამისად, სოციალური მომსახურებებისა და სოციალური მუშაობის პრიორიტეტები. საშუალო- და გრძელვადიან პერსპექტივაში კი ნავარაუდევია, რომ დემოგრაფიული ცვლილებები გამოიწვევს არსებული სისტემების მნიშვნელოვანი რეფორმირების აუცილებლობას, რაც, თავის მხრივ, გავლენას მოახდენს სოციალური მუშაობის პრაქტიკაზე და წარმოქმნის მიმდინარე ტენდენციებთან სფეროს მორგების და პროფესიონალების მომზადების აუცილებლობას.

დემოგრაფიის ძირითადი კონცეფციები

დემოგრაფია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და წარმოადგენს მეცნიერებას მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ (დემოს – ხალხი, გრაფო – ვწერ) (წულაძე et al., 2009). დემოგრაფია შეისწავლის არა ცალკეული ინდივიდების მახასიათებლებსა და მათ ცვალებადობას, არამედ მათ ერთობლიობებს, რომელსაც გარკვეული საერთო მახასიათებლები აქვთ. ტერმინი „დემოგრაფია“ პირველად გამოიყენა ფრანგმა მეცნიერმა აშილ გიიარმა მე-19 საუკუნის დასასრულს. თუმცა მიჩნეულია, რომ პირველი მეცნიერული და თეორიული ნაშრომი დემოგრაფიის სფეროში მე-14 საუკუნით თარიღდება. გარკვეული ინფორმაცია მოსახლეობის მახასიათებლების შესახებ უძველესი დროიდან იყო ცნობილი (წულაძე et al., 2009).

დემოგრაფიაში გამოყენებულ ძირითად კონცეფციებს და მონაცემებს საკვანძო მნიშვნელობა აქვთ ბევრი სხვა სფეროსთვის, მათ შორის, სოციალური მუშაობისთვის, განსაკუთრებით კი მაკროდონის სოციალური მუშაობის პრაქტიკისთვის.

მოსახლეობის რაოდენობა

დემოგრაფიაში მოსახლეობის რაოდენობა განიხილება, როგორც დემოგრაფიული პროცესებისა და მიგრაციის ურთიერთქმედების შედეგი. მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც, დაბადებათა და გარდაცვალებათა გამო, მუდმივად ცვლადი მონაცემია, გამოიყენება დემოგრაფიული კოეფიციენტებისა და მთელი რიგი სხვა მაჩვენებლების გაანგარიშებისას. მონაცემები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მიიღება ქვეყნების და გლობალური მოსახლეობის აღწერისას, ხოლო აღწერებს შორის პერიოდში, მიმდინარე აღრიცხვის მონაცემთა საფუძველზე (ხმალაძე & ჩიტალაძე, 2020).

მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზუსტი და სანდო მონაცემები წარმოადგენს ქვაკუთხედს ეფექტური ეროვნული და გლობალური დაგეგმვისთვის და გავლენას ახდენს პოლიტიკასა და სტრატეგიებზე სხვადასხვა სექტორში. მოსახლეობის რაოდენობის, შემადგენლობისა და განაწილების გაანალიზებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნული და ადგილობრივი მთავრობებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სოციალური დაცვა, ჯანდაცვა, განათლება, ეკონომიკური განვითარება და ა.შ. მოსახლეობის რაოდენობის და დემოგრაფიული ტენდენციების ცოდნა საშუალებას იძლევა მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები საჭირო ნაციონალური რეფორმების შესახებ (მაგ.: ინფორმაცია მოსახლეობის დაბერების, ურბანიზაციის, მიგრაციის შესახებ განსაზღვრავს ქვეყნების საპენსიო სისტემას) და ტრანსნაციონალური პრიორიტეტების განსასაზღვრად (მაგ., მდგრადი განვითარების მიზნები).

მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)

მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა) არის მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით. მოსახლეობის შემადგენლობა შეიძლება სქემატურად გამოისახოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდის სახით. შვედი დემოგრაფ სუნდბერგის თანახმად, შეიძლება გამოიყოს მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის სამი ძირითადი ტიპი:

1) პროგრესული, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის მთელ რაოდენობაში ბავშვების დიდი წილით, რაც განპირობებულია მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი მაჩვენებლით;
2) სტაციონარული – ხასიათდება მოსახლეობაში ბავშვთა და ხანდაზმულთა ასაკობრივი ჯგუფების თითქმის ერთნაირი წილით. ასეთი სტრუქტურის მქონე მოსახლეობის ბუნებრივი მატება ძალიან უმნიშვნელო ან უცვლელია;
3) რეგრესული – როდესაც მთელს მოსახლეობაში ხანდაზმულთა წილი შედარებით დიდია, რაც დამახასიათებელია შეზღუდული აღწარმოების მქონე ქვეყნებისთვის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2022 წელს ქვეყნის ასაკობრივ-სქესობრივ პირამიდას დიდწილად რეგრესული ხასიათი ჰქონდა. ქვეყნის მოსახლეობამ 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 3,736,400 ადამიანი

შეადგინა, რაც, 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 1.3 პროცენტით მეტია. 2022 წელს აღირიცხა უარყოფითი ბუნებრივი მატება და დადებითი მიგრაციული სალდო (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023). რაც შეეხება სქესთა თანაფარდობას, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველოში ის ვარირებს 100 ქალზე 111.9 კაციდან (15-19 ასაკობრივ ჯგუფში), 100 ქალზე 39.6 კაცამდე (>85 ასაკობრივ ჯგუფში) (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა) შესაძლებელია ასევე განხილულ იქნეს: ასაკობრივი, სქესობრივი, გეოგრაფიული, ეთნიკური, ეროვნული, ოჯახური, პროფესიული და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

დიაგრამა 1: საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022

ასაკობრივი სტრუქტურა

დემოგრაფიაში ასაკი არის დროის შუალედი პიროვნების დაბადებიდან ამ პიროვნების აღწერის მომენტამდე. ცნობები ასაკის შესახებ მიიღება მოსახლეობის აღწერებისა და გამოკვლევების დროს გამოკითხვის გზით, აგრეთვე დემოგრაფიული შემთხვევების (ქორწინება, განქორწინება და სხვ.) მიმდინარე რეგისტრაციისას (წულაძე et al., 2009). სხვადასხვა მიზნებისთვის ხდება მოსახლეობის საშუალო ასაკის, დედების საშუალო ასაკის, ქორწინების საშუალო ასაკის და სხვა პარამეტრების გამოთვლა. სხვა მონაცემებთან ერთად, სოციალური დაცვის სფეროსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია გარდაცვლილთა საშუალო ასაკი. ეს დემოგრაფიული მაჩვენებელი განისაზღვრება მოკვდაობის დონით ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებებით და გამოითვლება გარდაცვლილთა ასაკების სიდიდეების საშუალო არითმეტიკულით (წულაძე & სულაბერიძე, 2015).

ერთ-ერთი პირველი ცნობები გარდაცვლილთა ასაკის შესახებ მიეკუთვნება ადრეული პალეოლითის პერიოდს. პალეოდემოგრაფიული გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ იმ პერიოდში გარდაცვლილთა საშუალო ასაკი დაახლოებით 16 წელს შეადგენდა. პალეოლითის საშუალო, გვიანდელ და მეზოლითის პერიოდში კი გარდაცვლილთა საშუალო ასაკი 20,8 წელი იყო (წულაძე et al., 2009). მსოფლიოს მასშტაბით სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, 1950-1990 წლების პერიოდში, 44,8 წლიდან 60 წლამდე გაიზარდა. ამჟამად, გლობალურად სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 73 წელს შეადგენს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, მომავალში შეიძლება 115 წლამდე გაიზარდოს. სხვათა აზრით კი ორგანიზმის ბიოლოგიური ზღვარი 95 წელს შეადგენს.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა განაპირობა მიღწევებმა ჯანდაცვის სისტემაში, ჰიგიენის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ, საკვების ხარისხის და საკვებზე ხელმისაწვდომობის გაზრდამ, ვარჯიშმა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზებამ. მაგალითისთვის, ისეთმა ღონისძიებამ, როგორიცაა მალარიის აღმოფხვრა შრი ლანკაში, განაპირობა ამ ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაზრდა 12 წლით და ეს მატება ორი წლის განმავლობაში მოხდა (Schöley et al., 2022). მოკვდაობის ინტენსივობის კლება და, შესაბამისად, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, არ წარმოადგენს შეუქცევად პროცესს. პერიოდულად ადგილი აქვს მოკვდაობის ინტენსივობის მატების ცალკეულ ეპიზოდებს, რომლებიც გამოწვეულია პანდემიებით, სოციოეკონომიკური ვითარების გაუარესებით, ეკოლოგიური კატასტროფებით, საომარი მოქმედებების ინტენსივობის ზრდით და სხვა. მაგალითისთვის, მოკვდაობის ინტენსივობის საგრძნობი მატება და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კლება დაფიქსირდა კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში (Schöley et al., 2022).

მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობა

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა წარმოადგენს მოსახლეობაში ან მის ამა თუ იმ ჯგუფში მდედრობითი და მამრობითი სქესის პირთა რაოდენობის თანაფარდობას. მიჩნეულია, რომ დაბადებისას მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობა (ე.ი., ბიჭებისა და გოგონების რაოდენობის თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულთა შორის) შეადგენს 105-106 ბიჭს 100 გოგონაზე, ანუ 51 პროცენტს ბიჭების სასარგებლოდ. ბუნებრივად, ეს თანაფარდობა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, მაგრამ იშვიათად აღემატება 107-ს, და ასევე იშვიათად არის 104-ზე ნაკლები (წულაძე et al., 2009).

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში ცოცხლად დაბადებულებში გოგოებისა და ბიჭების თანაფარდობა სტაბილურია და დაახლოებით 107.2-ს შეადგენს, რაც დიდწილად სქესის ნიშნით სელექციური აბორტების შედეგია. ბოლო 15 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით შეიმჩნევა დადებით ძვრები (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023). თუმცა სქესის ნიშნით სელექციური აბორტები, განსაკუთრებით კი რიგითობით მესამე და შემდგომი ბავშვის დაბადების შემთხვევაში, ქვეყანაში კვლავ გამოწვევად რჩება (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2023).

საერთაშორისო მასშტაბით, 30 წლამდე კაცების რიცხვი აღემატება ქალების რაოდენობას. თუმცა 30 წლის და უფროს ასაკში, ქალების რიცხოვნობა სჭარბობს კაცების რიცხოვნობას, ამ უკანასკნელთა მაღალი მოკვდაობის გამო. კაცების მაღალი მოკვდაობა განპირობებულია გენდერული განსხვავებებით ალკოჰოლის და თამბაქოს მოხმარებაში, სარისკო აქტივობებში ჩართვით, საომარ მოქმედებებში მონაწილეობით და სხვა.

აღნიშნული ტენდენციის შედეგად, მთლიანობაში, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი კაცი, ხოლო 52 პროცენტი – ქალია (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

ძირითადი დემოგრაფიული ცვლილებები

სოციალური უსაფრთხოების საერთაშორისო ასოციაციისა და სოციალური დაცვის სფეროს სხვა მნიშვნელოვანი აქტორების ჩართულობით, 2010 წელს განხორციელდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალური დაცვის სისტემებისთვის მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებებისა და სოციალური დაცვისა და სოციალური მომსახურებების გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას (ISSA, 2010; Bloom & Mckinnon, 2010). მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ გამოვლენილი და ქვემოთ აღწერილი წამყვანი ტენდენციები დიდწილად გამომდინარეობს გლობალური დაბერების ტენდენციიდან და მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. ეს კი სავალდებულოს ხდის სოციალური დაცვის, სოციალური მომსახურებებისა და სხვა სისტემების მეტ ინტეგრაციას და დემოგრაფიული ცვლილებების საპასუხო ჰოლისტური ხედვის დამკვიდრებას (ISSA, 2010).

გლობალური დაბერება მთელს მსოფლიოში, როგორც ცენტრალური გამოწვევა

წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-14 თავში, რომელიც ეძღვნება სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკას მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, დეტალურად არის განხილული დემოგრაფიული ცვლილებები და მოსახლეობის დაბერება, ვინაიდან ეს დემოგრაფიული ტენდენცია დიდწილად განსაზღვრავს ხანდაზმულებთან სოციალური მუშაობის პრაქტიკის, მათ შორის, მაკროპრაქტიკის სპეციფიკას.

დამატებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეოცე საუკუნის ბოლო 30 წლის განმავლობაში მსოფლიო მოსახლეობის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობის 10 წლით გაზრდამ და, იმავდროულად, მოსახლეობის მთლიანი ნაყოფიერების მაჩვენებლის (Total Fertility Rate – TFR) 4.8-დან 2.73-მდე შემცირებამ, მკვეთრად შეცვალა მსოფლიოში ბავშვებისა და ხანდაზმულების თანაფარდობა (United Nations, 2020). ამასთანავე, გაიზარდა მსოფლიო მოსახლეობის საშუალო ასაკი, რომელიც 2010 წლის მონაცემებით 29 წელი იყო (20 წელი აფრიკაში, 28 წელი ლათინურ ამერიკაში, 29 წელი აზიაში და 40 წელი ევროპაში), 2023 წელს კი ეს მონაცემი 30,5 წლამდე გაიზარდა. ნავარაუდევია, რომ 2050 წელს საშუალო ასაკი 38 წელი გახდება (29 წელი აფრიკაში, 42 წელი ლათინურ ამერიკაში, 40 წელი აზიაში და 47 წელი ევროპაში). მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა უდავოდ არის ჩვენი ეპოქის დიდი მიღწევა, მოსახლეობის დაბერება ხშირად განიხილება, როგორც გამოწვევა. აღნიშნული აიხსნება ჯანდაცვის და ხანგრძლივი მოვლის სექტორში, სოციალური დაცვის და საპენსიო სისტემებში, სადაზღვევო სექტორში, ინფრასტრუქტურულ და ურბანულ განვითარებაში და სხვა ხარჯების ზრდით (UN, 2022).

ერების დაბერებასთან კომბინაციაში, საგულისხმოა ახალგაზრდების დემოგრაფიული სურათის მკვეთრი ცვლილება. ამჟამინდელი სურათი და გათვლები მიუთითებს, რომ გლობალურ დონეზე ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა საგრძნობლად მცირდება, თუმცა ეს მაჩვენებელი იზრდება აფრიკის კონტინენტზე. გლობალურად ახალგაზრდობის პროცენტული მაჩვენებელი 2010-2050 წლების შუალედში შემცირდება 17.6-დან 13.5-მდე. ახალგაზრდების დაახლოებით 90 პროცენტი განვითარებად

ქვეყნებში იცხოვრებს. ყველაზე დიდი ცვლილება ნავარაუდევია აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში, სადაც 2010-2040 დროის შუალედში ახალგაზრდების პროცენტი 61-დან 52-მდე შემცირდება (UNFPA, 2024). აფრიკაში კი 2030 წლისთვის ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, 2015 წელთან შედარებით, 42 პროცენტით გაიზრდება, 2055 წლისთვის კი გაორმაგდება (UN, 2015).

ცვლილებები ოჯახის სტრუქტურაში

გლობალური დემოგრაფიული ცვლილებების შედეგია ოჯახის სტრუქტურის ცვლილება, კერძოდ კი უფრო პატარა და არასტაბილური ოჯახების რაოდენობის ზრდა, ე.წ. „ბებიების ბუმი“ (რაც განპირობებულია ქალების სიცოცხლის უფრო მაღალი ხანგრძლივობით), განქორწინებისა და განცალკევების მაჩვენებლების ზრდა, შესაბამისად კი, მარტოხელა შინამეურნეობების რაოდენობის ზრდა (რაც დიდ გავლენას ახდენს სიმდიდრის განაწილებასა და სიღარიბის დონეზე). ოჯახის სტრუქტურის ცვლილების თანამდევი პროცესია ერთ ქალზე დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობის (TFR) მკვეთრი შემცირებაც.

2023 წელს, მსოფლიო მასშტაბით, ერთ ქალზე დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა 2.3-მდე შემცირდა, თუმცა დიდია ქვეყნებს შორის ვარიაციები, ერთ ქალზე დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობის მიხედვით. ყველაზე მაღალი TFR 6.7 აღრიცხულია ნიგერიაში; ყველაზე დაბალი – ჰონგ კონგში (ჩინეთი). 2022 წელს საქართველოში ერთი ქალის მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რიცხოვნობა 1.82 იყო (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

ოჯახის სტრუქტურის ცვლილებაზე ასევე გავლენას ახდენს ცვლილებები ჩვილთა მოკვდაობის კუთხით. გლობალურ დონეზე ბავშვთა მოკვდაობა, სიცოცხლის პირველ წელს (0-12 თვე), მნიშვნელოვნად სჭარბობს მომდევნო ასაკობრივი ჯგუფების მოკვდაობას, გარდა ხანდაზმულთა მოკვდაობისა. ჩვილთა მოკვდაობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს, რომელიც არაპირდაპირ ახასიათებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. მაგალითად, 1980-იან წლებში ჩვილთა მოკვდაობა განვითარებულ ქვეყნებში 10-ჯერ ნაკლები იყო, აზიისა და აფრიკის რიგ ქვეყნებში (მაგ. ლაოსი, პაკისტანი, ომანი, ეთიოპია, ჩადი და სხვა) ჩვილთა მოკვდაობაზე (წულაძე et al., 2009). ასევე დადგენილია, რომ ნაყოფისა და ჩვილთა მოკვდაობა დამოკიდებულია მშობლების სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე. კერძოდ, დაქორწინებულებში, მაღალი განათლების მქონე დედებსა და მაღალი სოციალური სტატუსის მქონე მამების ჩვილთა მოკვდაობა უფრო დაბალია დაუქორწინებელ, დაბალი განათლების მქონე დედებისა და დაბალი სოციალური სტატუსის მქონე მამებთან შედარებით (ხმალაძე & ჩიტალაძე, 2020).

ოჯახების სტრუქტურის ცვლილება გავლენას ახდენს თაობებს შორის სოლიდარობის ინტენსივობასა და ფორმებზეც. ოჯახებში შვილების რაოდენობისა და ქალების სოციალური სტატუსის ცვლილებასთან ერთად, იცვლება ჩვეულებები და ოჯახური ტრადიციები. მაგალითად, ქალების დასაქმებამ შეცვალა მოთხოვნები ბავშვთა და ხანდაზმულთა მოვლის მომსახურებების მიმართ. ბევრ ქვეყანაში, არაფორმალური მოვლის ეს როლი, განსაკუთრებით კი დღის მანძილზე ბავშვებზე ზრუნვის როლი, თითქმის სრულად იკისრა სახელმწიფომ ან კერძო სექტორის მიერ შეთავაზებულმა საბავშვო ბაღებმა და სხვა მომსახურებებმა (Greve, 2014).

მოსახლეობის ურბანიზაცია და ცხოვრების წესის შეცვლა

მიუხედავად დეფინიციებში არსებული განსხვავებებისა, ქალაქის ტიპის დასახლებებში მოსახლეობის ზრდის ტენდენცია მკაფიოდ არის გამოხატული გლობალური მასშტაბით. მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობა ქალაქებში 2008 წლიდან ცხოვრობს. კაცობრიობის ისტორიაში ეს გარდამტეხი მომენტი ძირითადად განპირობებულია ცვლილებებით განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა ტენდენცია განვითარებად ქვეყნებშიც არის გამოვლენილი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წლის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 59.7 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში. ამასთან, ქალაქ თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

ბევრ ქვეყანაში ცხოვრების ურბანულ წესზე გადასვლას თან ახლავს ბარაკის ტიპის დასახლებების ზრდა და ასეთ გარემოში ცხოვრებისთვის დამახასიათებელი რისკები უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, განათლების, ბავშვთა დაცვის კუთხით. ასევე ურბანიზაციის თანმდევი რეალობაა გაფართოებული ოჯახების შემცირება, ამ ფენომენის ზემოთ აღწერილი თანამდევი მოვლენებით.

აღსანიშნავია, რომ ურბანიზაციას თან ახლავს შრომის ბაზრის ტრანსფორმაციაც. კერძოდ, ურბანულ დასახლებებში შრომის ბაზარზე შეიმჩნევა არაფორმალურ სექტორში დასაქმების უპრეცედენტოდ მაღალი დონე. განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული ტენდენცია გავლენას ახდენს სოციალური დაცვის სისტემების უნარზე, მისწვდეს მოსახლეობას მათი დამსაქმებლების საშუალებით (ISSA, 2010). ასევე მნიშვნელოვნად გაზრდილია ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებში ქალთა დასაქმების დონეც. ქალების დასაქმება, განქორწინების შემთხვევების ზრდა, მოსახლეობის ურბანიზაცია განაპირობებს მომსახურებებზე (მაგ.: საბავშვო ბაღები, ოჯახის დამხმარე მომსახურებები) მოთხოვნის მნიშვნელოვან ზრდას. ასევე არსებობს ბავშვთა მიტოვებისა და ოჯახების განცალკევების გაზრდილი რისკიც და ბავშვთა დაცვის მომსახურებების შექმნისა და დახვეწის აუცილებლობა (ISSA, 2010; Greve, 2014).

მიგრაცია

მოსახლეობის მიგრაცია არის ადამიანების გადაადგილება ამა თუ იმ ტერიტორიის საზღვრებს მიღმა, საცხოვრებელი ადგილის და სამუშაოს შეცვლის მიზნით. გადაადგილების ხანგრძლივობის მიხედვით, გამოყოფენ მუდმივ და დროებით მიგრაციას, ასევე გრძელვადიან და მოკლევადიან (12 თვეზე ნაკლები) მიგრაციას. გადაადგილების ტრაექტორიის მიხედვით კი განარჩევენ გარე მიგრაციას (საერთაშორისო) და შიდა მიგრაციას (წულაძე et al., 2009).

ბევრი მიიჩნევს, რომ მოსახლეობის გადაადგილება დიდწილად ხდება განვითარებადიდან განვითარებული ქვეყნების მიმართულებთ. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა შეადგენს გლობალური მოსახლეობის მხოლოდ სამ პროცენტს. მიგრანტების საერთო რაოდენობიდან, რომელიც ერთ მილიარდ ადამიანს აღემატება, 740 მილიონი არის ქვეყნის შიდა მიგრანტი; 200 მილიონი საერთაშორისო მიგრანტია და, მათ შორის, 70 მილიონზე ნაკლები პირი გადაადგილდა განვითარებადი ქვეყნიდან განვითარებულ ქვეყანაში (ISSA, 2010).

მიგრაციის მიზეზებს შორის მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური გარემოებები, პოლიტიკური და სამხედრო ვითარება და ბუნებრივი კატაკლიზმები. თუმცა თანამედროვე მსოფლიოში მიგრაციის უდიდეს სტიმულს წარმოადგენს უთანასწორობა (ISSA, 2010) და დასაქმების შესაძლებლობების ძიება (წულაძე et al., 2009). მიგრაციის ხასიათზე დიდ გავლენას ახდენს მიმღები და გამშვები (ემიგრაციის) ქვეყნების მიგრაციის პოლიტიკა და საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც დიდწილად არალეგალური მიგრაციის შეზღუდვისაკენ არის მიმართული. მთლიანობაში, მიგრაციამ მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი როლი ითამაშა კაცობრიობის განვითარებაში.

არსებული გამოკვლევით, საქართველოდან რუსეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, აშშ-ში წასულმა შრომითმა ემიგრანტებმა, ემიგრაციის მიზეზებად დაასახელეს: მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი – 37 პროცენტმა, უმუშევრობა – 25 პროცენტმა, საზღვარგარეთ ცხოვრების, მუშაობის, განათლების და ენის შესწავლის ინტერესი – 24 პროცენტმა, ოჯახის ფიზიკური გადარჩენა – 6 პროცენტმა, უცხოელზე ქორწინება – 3 პროცენტმა, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა – 2 პროცენტმა, ნათესავებთან წასვლა – 1 პროცენტმა (ჭელიძე, 2006). 2022 წლის მონაცემებით, 2022 წელს საქართველოდან გარე მიგრაციის მაჩვენებელმა 100,000 გადააჭარბა.

მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი ასუსტებს არაფორმალური მხარდაჭერის ქსელებს და ქმნის მნიშვნელოვან გამოწვევებს სოციალური დაცვის სისტემებისთვის როგორც გამშვები, ისე მიმღები ქვეყნებისთვის და გლობალურ დონეზე. იკვეთება ახალი სოციალური მომსახურებების შექმნის და არსებული მომსახურებების და სოციალური მომსახურებების მუშაკთა კომპეტენციების ადაპტირების აუცილებლობა. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ბევრი მიმღები ქვეყნის ხელისუფლება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ, გამშვები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია იმიგრაციული ტალღის შემცირება. ბევრი მიმღები ქვეყანა დგას არჩევანის წინაშე: დააფინანსოს ემიგრაციის ქვეყნები, თუ საკუთარ ტერიტორიაზე დააფინანსოს სოციალური ინფრასტრუქტურა, რომელიც სათანადოდ მოემსახურება იმიგრანტებს. ამ თვალსაზრისით, მიმღებმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა: გამშვებ ქვეყნებთან საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდა, მათი საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია, ინვესტირება, პირდაპირი დახმარება.

სოციალური მუშაობისთვის მიგრაციის თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მე-3 თავში (საერთაშორისო *სოციალური მუშაობა, სოციალური მომსახურებები და ინსტიტუტები)* დამატებით არის განხილული მიგრანტებთან და ლტოლვილებთან მუშაობის სპეციფიკა, რომელიც მჭიდრო კავშირშია მიგრაციის დემოგრაფიულ ტრენდთან.

დემოგრაფიული და სოციალური პოლიტიკის ურთიერთგავლენა და სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის როლი დემოგრაფიული გამოწვევების საპასუხოდ

დემოგრაფიული პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს, მიმართულს დემოგრაფიული პროცესების ისეთი რეგულირებისაკენ, რომელიც გამომდინარეობს საზოგადოების მოთხოვნიდან. ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მიმართულია მოსახლეობის გამრავლების სასურველი რეჟიმის მიღწევისაკენ (წულაძე & სულაბერიძე, 2015). მიჩნეულია, რომ მნიშვნელოვანი დემოგრაფიული

გამოწვევების მიუხედავად, დამოუკიდებელ საქართველოში ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო მხოლოდ 2013 წლიდან, როცა, საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის პროცესში, შეიცვალა მშობიარობისა და საკეისრო კვეთის დაფინანსების წესი; გაიზარდა შრომის კოდექსით განსაზღვრული დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა (4-დან 6 თვემდე) და სახელმწიფოს მიერ გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა. ამავე პერიოდში განისაზღვრა ყოველ მესამე და შემდეგი ბავშვის დაბადების შემთხვევაში 2 წლის ასაკამდე გასაცემი ფულადი დახმარება. ბარში მცხოვრები ოჯახებისთვის დახმარება შეადგენს 150 ლარს, მთაში – 200 ლარს; გაიზარდა აბორტამდე მოსაფიქრებელი ვადა. 2016 წელს მიღებულ იქნა „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“ და „საქართველოს მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია“, 2017-2030 წლების დემოგრაფიული უსაფრთხოების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ (გაბელაია, 2018). ჩამოთვლილი ნაბიჯები გავლენას ახდენენ სოციალური მუშაკების, მათ შორის, მაკროდონეზე მომუშავე სოციალური მუშაკების სამუშაო გარემოზე, იმდენად, რამდენადაც ისინი ზემოქმედებენ სოციალური მუშაკების კლიენტების სოციალურ პირობებზე და აუმჯობესებენ ან გამოწვევებს ქმნიან მათ ყოველდღიურ ფუნქციონირებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დემოგრაფიული ცვლილებების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია შეიცვალოს ქვეყნების სოციალური პოლიტიკაც, რათა მათი პრიორიტეტები უკეთ მოერგოს ახალ გამოწვევებს. საგულისხმოა, რომ სოციალური პოლიტიკა დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმოების პროცესზე და სხვა დემოგრაფიულ ტენდენციებზე (წულაძე & სულაბერიძე, 2015). მაგალითად, რუმინეთში, ჩაუშესკუს მმართველობის პერიოდში, ეკონომიკის განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით, განსაკუთრებით აქტიური იყო ნატალისტური პოლიტიკა; ხდებოდა შობადობის გაზრდისა და ქალთა დასაქმების ხელშეწყობა. იმავდროულად, წახალისებული იყო ბავშვების ალტერნატიულ მომსახურებებში, კერძოდ კი, დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებებში განთავსება. ეს კი რუმინეთში ბავშვთა ინსტიტუციონალიზების რეკორდულად მაღალი მაჩვენებლის განმაპირობებელი მიზეზი გახდა (Zamfir & Zamfir, 1996).

მნიშვნელოვანია, ქვეყნების სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში ჩართული პროფესიონალები, მათ შორის, მაკროდონეზე მომუშავე სოციალური მუშაკები, კარგად იყვნენ ინფორმირებულნი ეროვნული და გლობალური დემოგრაფიული ტრენდებისა და დემოგრაფიული და სოციალური პოლიტიკის ურთიერთგავლენის შესახებ (Zrinščaka & Lawrenceb, 2014). ამ პროცესში სოციალურ მუშაკებს აკისრიათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი როლი. კერძოდ, სოციალური პოლიტიკისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სოციალური მომსახურებების შემუშავებაში მომსახურებების მომხმარებლების ჩართვა, რათა ხელი შეეწყოს მათ ინტერესებზე მორგებული, სტრუქტურული ბარიერებისგან თავისუფალი, სამართლიანი სისტემების შექმნას. ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სოციალური მუშაობის ძირითადი ღირებულებებიდან და ეთიკიდან. თუმცა საჭიროა თანამონაწილეობის უზრუნველყოფისთვის საჭირო მიდგომების დახვეწა და დაინტერესებული პირების ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მათი მორგება (Lawrence & Simpson, 2009).

ზემოთ აღწერილი დემოგრაფიული ტრენდების გავლენა სოციალური დაცვის სისტემაზე შეიძლება რამდენიმე კატეგორიად განვიხილოთ. პირველი კატეგორია, რო-

გორც უკვე აღინიშნა, გულისხმობს სოციალური მომსახურებების მიწოდების თვალსაზრისით პრიორიტეტების ცვლილებებს. მაგალითად, მოსახლეობის დაბერება განაპირობებს ხანგრძლივი ზრუნვის მომსახურებებზე მოთხოვნის ზრდას; ზოგიერთ ქვეყანაში, არჩევნებში ხანდაზმულების მაღალი აქტივობა განაპირობებს პოლიტიკოსების მიერ მათი ინტერესების მეტად გათვალისწინებას; ქალთა დასაქმება და ურბანიზაცია აუცილებელს ხდის გაუმჯობესდეს სკოლამდელი აღზრდის მომსახურებების ხარისხი და ხელმისაწვდომობა; მიგრაციის ზრდა საჭიროს ხდის, მომსახურებების მიწოდებისა და პროფესიონალების მომზადებისას, მოსახლეობის გაზრდილი კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებას და ა.შ. (Greve, 2014).

დემოგრაფიული ცვლილებების გავლენა სოციალური დაცვის სისტემაზე ასევე მკვეთრად აისახება მომსახურებების ხარჯების გაზრდაზე. მაგალითად, აშშ-ის შრომის სტატისტიკის ბიუროს ინფორმაციით, მოსახლეობის დაბერების გამო, 2019-2029 წლების შუალედში 14 პროცენტით გაიზრდება გერონტოლოგიურ სოციალურ მუშაკებზე მოთხოვნა და მომსახურებების ხარჯები (Hildebrand, 2024). ხარჯების ზრდა კიდევ უფრო აღრმავებს სოციალური დაცვის სისტემის ფინანსური უზრუნველყოფის გაუარესებით გამოწვეულ გამოწვევებს. ფინანსური უზრუნველყოფის სირთულეები შეიძლება აიხსნას ისეთი დემოგრაფიული ცვლილებებით, როგორებიცაა: შობადობის შემცირება, მოსახლეობის დაბერება, ახალგაზრდებისა და საშუალო ასაკის პირთა შემცირება და საპენსიო ასაკის მოქალაქეთა ზრდა (ანუ სამუშაო ძალის შემცირება). ცნობილია, რომ ხანდაზმული პირების დასაქმებით მიღებული ანაზღაურება საგრძნობლად უფრო მცირეა, ვიდრე საშუალო ასაკის პირთა, განსაკუთრებით კი 45-50 წლის პირთა (ყველაზე მაღალანაზღაურებადი ასაკობრივი ჯგუფი) ანაზღაურება. მიუხედავად იმისა, რომ კარგად განვითარებული საპენსიო სისტემების მქონე ქვეყნებში პენსიონერების შემოსავალი სტაბილური და საკმაოდ მაღალია, მოსახლეობის დაბერებასთან ერთად, მაინც მცირდება გადასახადებიდან მიღებული ბიუჯეტური შემოსავლები, რომელიც სოციალური დაცვის სისტემის დაფინანსების ძირითადი წყაროა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური დაცვის სისტემები და სფეროს პროფესიონალები უნდა მოემზადონ სისტემის რეფორმირებისთვის, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს ადგილობრივი და საერთაშორისო მტკიცებულებები და საუკეთესო გამოცდილება. ამ უკანასკნელის მოპოვებაში და მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების ლობირებაში კი მაკროდონის სოციალურ მუშაკებს დიდი როლი აკისრიათ (Greve, 2014).

თავის შეჯამება

გლობალური და ეროვნული დემოგრაფიული ტრენდები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკაზე. კერძოდ, ისინი აყალიბებენ იმ კონტექსტს, რომელშიც უნდა იმოქმედოს სოციალურმა მუშაკმა, ცვალებად გარემოში პროფესიის მიზნებისა და პრიორიტეტების მისაღწევად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკები, მით უფრო, მაკროდონის სოციალური მუშაკები კარგად იცნობდნენ მიმდინარე დემოგრაფიულ ცვლილებებს და გაანალიზებული ჰქონდეთ ამ ტენდენციების გავლენა სოციალური დაცვის სისტემებზე, მომსახურებებზე და თითოეული ინდივიდის საცხოვრებელ გარემოზე. სოციალური მუშაკების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს: მოსახლეობის დაბერება, ოჯახის სტრუქტურის

მოდიფიცირება, მიგრაცია, ურბანიზაცია და სოციალური დაცვის სისტემასა და მომსახურებებზე აღნიშნული ცვლილებების გავლენა.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. რას შეისწავლის დემოგრაფია და რატომ არის დემოგრაფიის შესწავლის საგანი და დემოგრაფიული ტრენდები მნიშვნელოვანი სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკისთვის?
2. თქვენი აზრით, მოსახლეობის შემადგენლობის (სტრუქტურის) რომელი მახასიათებლებით დაინტერესებაა მნიშვნელოვანი სოციალური მუშაკისთვის, რომლის მაკროპრაქტიკა მოიცავს დიდი ზომის ქალაქის სოციალური მომსახურებების შემუშავებას? მიგრაციის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამების შემუშავებას?
3. როგორ გგონიათ, რა გარემოებებმა განაპირობეს საქართველოს ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდის დღეს არსებული სტრუქტურა? რა გავლენას ახდენს მოსახლეობის ამგვარი სტრუქტურა სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკაზე საქართველოში?
4. განიხილეთ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ტენდენციების შესაძლო გავლენა სოციალური მომსახურებების მიწოდების თვალსაზრისით პრიორიტეტების ცვლილებაზე, მომსახურებების ხარჯებსა და ფინანსურ უზრუნველყოფაზე. იმსჯელეთ განხილულ გარემოებებში სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკის მნიშვნელობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

Bloom, D. E. & Mckinnon, R. (2010). Introduction: Social security and the challenge of demographic change. Working Paper Series. Harvard Initiative for Global Health. The Program on the Global Demography of Aging

Greve, B. (2014). Welfare and the Welfare State: Present and Future. Routledge

Hildebrand, J. (2024). Raising the Bar in Gerontological Social Work Education. Social Work Today – E-news Exclusive

International Social Security Association (2010). Demographic changes and social security: Challenges and opportunities. World Social Security Forum, Cape Town

Lawrence, S., & Simpson, G. (2009). International aspects of social work with elders. In Lawrence, S., Lyons, K., Simpson, G., Huegler, N. (Ed.). *Inroducing International Social Work*. Learning matter Ltd

Schöley J, Aburto JM, Kashnitsky I, Kniffka MS, Zhang L, Jaadla H, Dowd JB, Kashyap R. (2022). Life expectancy changes since COVID-19. Nature Human Behaviou, 6/12

UN (2022). Department of Economic and Social Affairs Policy Brief No. 140: A World of 8 Billion. UN DESA Policy Brief No. 140: A World of 8 Billion | Department of Economic and Social Affairs

UNDP (2013). Millennium Development Goals Report 2012 | Latest Major Publications – United Nations Department of Economic and Social Affairs

UNFPA (2024). Adolescent and Youth Demographics: A Brief Overview. Adolescent and Youth Demographics:A BRIEF OVERVIEW (unfpa.org)

United Nations (2015). Population Facts. Department of Economic and Social Affairs. Population Division. un_2015_factsheet1.pdf

United Nations (2020). World Fertility and Family Planning. Department of Economic and Social Affairs. Ten key messages for WFFP2020 highlights.pdf (un.org)

Zamfir, E., and Zamfir, C. (1996). Children at Risk in Romania: Problems Old and New. Innocenti Occasional Paper EPS 56. United Nations Children's Fund International Child Development Centre, Florence, Italy.

Zrinščaka, S. & Lawrenceb, S. (2014). Active ageing and demographic change: challenges for social work and social policy. European Journal of Social Work

გაეროს ბავშვთა ფონდი (2023). ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში – 2023. UNICEF.

გაბელაია, მ. (2018). დემოგრაფიული პოლიტიკა ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში: შედარებითი ანალიზი. სამაგისტრო ნაშრომი. თსუ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2023). საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2023). ქალი და კაცი საქართველოში. სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

წულაძე, გ., მაღლაფერიძე, ნ. & სულაბერიძე, ა. (2009). დემოგრაფია: სახელმძღვანელო. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა.

წულაძე, გ. & სულაბერიძე, ა. (2015). დემოგრაფიის საფუძვლები: სახელმძღვანელო. თსუ.

ჭელიძე, ნ. (2006). შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოდან. ლეგა.

ხმალაძე, მ. & ჩიტალაძე, ქ. (2020). დემოგრაფიული სტატისტიკა. თსუ.

ნათია ფარცხალაძე

თავი 14

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად: ხანდაზმულებთან და საგანგებო მდგომარეობაში მყოფ პირებთან მუშაობა

შესავალი

დაუცველი ჯგუფების წარმომადგენლებთან მუშაობა არის სოციალური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მისია და მიზნად ისახავს ამ ინდივიდებისა და ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გაძლიერებისა და სოციალური კეთილდღეობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის გზით. ადამიანზე ორიენტირებული და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დასამკვიდრებლად, სოციალური მუშაკები უნდა იცნობდნენ ცალკეულ მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობის სპეციფიკას, რასაც ემსახურება წინამდებარე თავები. მე-14 თავში განხილულია ხანდაზმული და საგანგებო მდგომარეობაში მყოფი პირებისთვის სპეციფიკური გლობალური და ადგილობრივი ტენდენციები, მათთან მუშაობის პრინციპები, ძირითადი გამოწვევები და სოციალური მუშაკების ჩართულობით მათი გადალახვის შესაძლებლობები; ასევე საგანგებო მდგომარეობების არსი და მუშაობის სპეციფიკა. მე-15 თავში კი საუბარი იქნება სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკაზე სხვადასხვა ცხოვრებისეული გარემოების მქონე ბავშვების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

თავი იწყება ცხოვრების ხარისხის კონცეფციის განმარტებით, რადგან ეს კონცეფცია უფრო და უფრო მეტად მკვიდრდება სოციალურ მუშაობაში. ცხოვრების ხარისხი, როგორც მრავალგანზომილებიანი სოციალური კონცეფცია, განისაზღვრება ობიექტური და სუბიექტური მაკროსაზოგადოებრივი და მიკროინდივიდუალური ინდიკატორებით, რომლებიც ეყრდნობა კონკრეტული პიროვნების კულტურულ და ღირებულებით სისტემებს, მოლოდინებს, სტანდარტებსა და მიზნებს. კვლევები ადასტურებს, რომ ცხოვრების ხარისხის ძირითადი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ინტერპერსონალური ურთიერთობების ხარისხს, რაც ამ კონცეფციას კიდევ უფრო რელევანტურს ხდის სოციალური მუშაობის პრაქტიკისთვის.

ცხოვრების ხარისხის კონცეფცია სოციალურ მუშაობაში

ცხოვრების ხარისხის კონცეფცია ანტიკური პერიოდიდან არსებობს. ბერძენი ფილოსოფოსები ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-IV საუკუნეებში უკვე განიხილავდნენ „კარგი ცხოვრების“ იდეებს. არისტოტელეს მოსაზრებით, ადამიანები ეძებენ ბედნიერებას და კარგ ცხოვრებას. მათ მხოლოდ იმიტომ სურთ მიზნების მიღწევა, რომ ეს მათ გააბედნიერებთ (Matikka, 2001). პოსტმოდერნისტული გაგებით, ცხოვრების ხარისხი არის მრავალგანზომილებიანი სოციალური კონცეფცია, რომელიც გულისხმობს საკუთარი თავის და გარემოებების შესახებ ინდივიდის აღქმას, მისი იდენტობის, განვითარების

დონის და სიტუაციის მიხედვით (Cummins, 2005). ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) განმარტებით კი, ცხოვრების ხარისხი ასახავს ინდივიდის აზრს ცხოვრებაში მისი მდგომარეობის შესახებ, რომელიც ეყრდნობა კონკრეტული პიროვნების კულტურულ და ღირებულებით სისტემებს, რომელშიც ის ცხოვრობს და იმ მოლოდინებს, სტანდარტებსა და მიზნებს, რომლებისკენაც ის ისწრაფვის (WHOQOL Group, 1999).

ცხოვრების ხარისხის განსაზღვრისათვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ობიექტურ და სუბიექტურ მაკროსაზოგადოებრივ და მიკროინდივიდუალურ ინდიკატორებს (Ghenta et al., 2022). ობიექტური ინდიკატორებით ცხოვრების ხარისხის გასაზომად გამოიყენება ისეთი მონაცემები, როგორებიცაა: დასაქმება, შემოსავალი, ჯანმრთელობის სტატუსი და ა.შ. ეს ინდიკატორები ცვალებადია საზოგადოებრივ-კულტურული კონტექსტის მიხედვით. სუბიექტური ინდიკატორები ეფუძნება ცხოვრებით კმაყოფილების, შეგრძნებების, განწყობების სუბიექტურ აღქმას და შეფასებას, ინდივიდისთვის უნიკალური კრიტერიუმების და სტანდარტების შესაბამისად. არაერთი მტკიცებულება ადასტურებს, რომ ცხოვრების ხარისხზე ინდივიდუალური, სუბიექტური გარემოებების გავლენა უთანაბრდება ან აღემატება ობიექტური გარემოებების გავლენას და, შესაბამისად, სუბიექტური ინდიკატორების გამოყენება აუცილებელია ცხოვრების ხარისხის შესაფასებლად (Gilman & Huebner, 2003).

ლიტერატურის ანალიზით დადგინდა ცხოვრების იმ ელემენტების მეტ-ნაკლებად მდგრადი ნუსხა, რომლებიც განაპირობებენ ცხოვრების ხარისხს. ყველაზე ფართოდ გამოყენებული ასპექტები, რომლებიც მოიცავს სუბიექტურ და ობიექტურ მაჩვენებლებს, არის:

- ემოციური კეთილდღეობა: უსაფრთხოება, სტაბილური გარემო და ა.შ.
- ინტერპერსონალური ურთიერთობები: მეგობრობა, ინტიმური ურთიერთობები
- მატერიალური მდგომარეობა: საკუთრებაში არსებული ნივთები, დასაქმება
- პირადი განვითარება: განათლება, კლასგარეშე აქტივობები
- ფიზიკური მდგომარეობა: ჯანმრთელობა, მობილობა, კვება
- თვითგამოხატვა: არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, პირადი მიზნები
- სოციალური ინკლუზია: არაფორმალური ქსელი, ჩართულობა
- უფლებები: პრივატულობა, სამართლიანობის განცდა და ა.შ.

დადგენილია, რომ ინდივიდები განსხვავებულ მნიშვნელობას, ანუ „წონას“ ანიჭებენ ზემოაღნიშნული სფეროების შესაბამის ინდიკატორებს. თუმცა, არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ინტიმურობა/ახლო ურთიერთობები, შეიძლება ჩაითვალოს ცხოვრების ხარისხის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად (Bearsley, 1997), რაც ცხოვრების ხარისხის იდეას კიდევ უფრო რელევანტურს ხდის სოციალური მუშაობის პროფესიისთვის.

განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების ხარისხის კონცეფცია უფრო და უფრო პოპულარული ხდება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, დასაქმება, ჯანდაცვა, ეკონომიკა, საერთაშორისო განვითარება, პოლიტიკა, სოციალური დაცვა, სოციალური მუშაობა და ა.შ. (Michalos, 2002). ამ კონცეპტის გამოსახატად სხვადასხვა სფეროსა და ქვეყანაში გამოყენებაშია განსხვავებული ტერმინები (მაგალითად, ფილოსოფიაში გამოიყენება ტერმინი – კარგი ცხოვრება, ფსიქოლოგიაში – ბედნიერება და სუბიექტური კეთილდღეობა, ჯანდაცვასა და სოციალური მომსახურებებ-

ში – მომსახურების ხარისხით კმაყოფილება და ა.შ.). ამ ტერმინებს ძირითადად ერთსა და იმავე მნიშვნელობას ანიჭებენ და ურთიერთშემცვლელად იყენებენ (Matikka, 2001). ბოლო ათწლეულებში დაიწყო ცხოვრების ხარისხის ფართოდ გამოყენება, როგორც მომსახურებების მიწოდების და მათი შედეგების შეფასების ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ინდივიდების მიერ ხდება იმის შეფასება, თუ რამდენად შეცვალა მიწოდებულმა მომსახურებამ მათი ცხოვრების ხარისხი.

უკანასკნელ წლებში ცხოვრების ხარისხის ცნება ფართოდ დამკვიდრდა სოციალურ მუშაობაშიც. სოციალური მუშაკები იყენებენ ცხოვრების ხარისხის შეფასებას ფიზიკური ჯანმრთელობის, ფსიქიკური კეთილდღეობის, სოციალური კავშირების და ეკონომიკური სტაბილურობის ჰოლისტურად შესწავლისთვის. ეს, ადამიანზე ორიენტირებული მიდგომა, უზრუნველყოფს კლიენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უფლებებზე და ღირებულებებზე დაფუძნებული გეგმების შემუშავებას და ინდივიდებისთვის, თემებისა და საზოგადოებისთვის ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას. სოციალური მუშაობის პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანია ეთნიკური მახასიათებლების გავლენა კლიენტის მიერ საკუთარი ცხოვრების ხარისხის აღქმაზე (Daniel et al., 2008), რაც საკვანძოს ხდის სოციალური მუშაკების კულტურულ კომპეტენციებს (Lautar, 2015). ბოლო პერიოდში ასევე ფართოვდება სპეციფიკური სამიზნე ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაზომვის და სოციალური მუშაკებისთვის მართებული მიდგომების გამოყენების შესაძლებლობები (Martindale & Phillips, 2009; Ghenta et al., 2022). მაგალითისთვის, დადგენილია, რომ ხანდაზმულ ასაკში ცხოვრების ხარისხი მჭიდროდ არის ასოცირებული კარგ ჯანმრთელობასთან, ფუნქციურ უნარებთან, სოციალურ როლთან, სოციალური ინკლუზიის დონესთან, თაობათაშორისი ოჯახური ურთიერთობების ხარისხთან, მეგობრებისა და სოციალური მხარდაჭერის ქსელთან და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან (Gabriel & Bowling, 2004). კვლევებით ასევე დასტურდება, რომ ხანდაზმულთა 90 პროცენტი ამჯობინებს შეძლებისდაგვადარ დიდი ხანი საკუთარ სახლებში დარჩენას და რეზიდენტული ზრუნვის თავიდან არიდებას, სადაც მათი ცხოვრების ხარისხი უფრო დაბალია (Al Ghassani & Rababa, 2021). რეზიდენტულ დაწესებულებებში მცხოვრები ხანდაზმულები, საკუთარი ცხოვრების ხარისხის შეფასებისას, უფრო დიდ წონას ანიჭებენ ისეთ ინდიკატორებს, როგორებიცაა: დამოუკიდებლობა, საკუთარი ცხოვრების კონტროლირების შესაძლებლობა, დაწესებულების პერსონალთან და სხვა რეზიდენტებთან ურთიერთობის ხარისხი (Ghenta et al., 2022).

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა ხანდაზმულებთან

დემოგრაფიული ცვლილებები და მოსახლეობის დაბერება

მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების დემოგრაფიული ტრენდები აშკარას ხდის, რომ მსოფლიო ბერდება და ეს ცვლილება სხვადასხვა მასშტაბით ეხება ყველა რეგიონსა და ქვეყანას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, 2050 წლისთვის ნავარაუდევია 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის რაოდენობის გასამმაგება (United Nations, 2013). 2019 წელს მოსახლეობის ამ სეგმენტის რაოდენობა, 1980 წელთან შედარებით, 300 მილიონით გაიზარდა და 700 მილიონს მიაღწია (UN, 2017). მსოფლიო მოსახლეობის დაბერების ანგარიშის თანახმად, 2050 წლისთვის 60 წელს გადაცილებული პირების რაოდენობა გადააჭარბებს 24 წლამდე ახალგაზრდების რაოდე-

ნობას (UN, 2017). ბევრ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, საგულისხმოა დიდი დეპრესიის (1929-1935) შემდგომ პერიოდში და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაზრდილი შობადობის შედეგად ("baby boomer"-ების თაობა), 21 საუკუნის დასაწყისიდან, ხანდაზმულთა განსაკუთრებით დიდი მატება. ასევე, შესამჩნევია, განსაკუთრებით დღეგრძელი ადამიანების რაოდენობის მატება. კერძოდ კი, 2050 წლისთვის მსოფლიო მასშტაბით 80 წელს გადაცილებულთა რაოდენობა გასამმაგდება და 425 მილიონს გადააჭარბებს (WHO, 2019).

მოსახლეობის დაბერება გულისხმობს ხანდაზმული პირების ხვედრითი წილის ზრდას მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, რაც წარმოადგენს ისეთი დემოგრაფიული პროცესების ერთობლივ შედეგს, როგორებიცაა: შობადობის შემცირება და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა. მაგალითად, აშშ-ში მეოცე საუკუნის დასაწყისში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაახლოებით 47 წელი იყო. უკანასკნელი მონაცემებით კი ის 76 წელს გაუტოლდა (CDC, 2023). აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულ ასაკში სიკვდილობის ისეთი წამყვანი მიზეზები, როგორებიცაა: ჰიპერტონია და ინსულტი, საგრძნობლად შემცირდა, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ცხოვრების წესის ცვლილების გამო. ვინაიდან ჯანმრთელობის ეს მდგომარეობები ხშირია მამაკაცებში, შესამჩნევია კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობის უფრო დიდი ზრდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ნავარაუდევია, რომ მსოფლიო მასშტაბით, მამაკაცებთან შედარებით, ქალების სიცოცხლის უფრო დიდი ხანგრძლივობა 21-ე საუკუნის შუა პერიოდამდე მაინც შენარჩუნდება. აშშ-ის მაგალითზე ეს სხვაობა შეადგენს დაახლოებით ექვს წელს (79,3 – ქალები, 73,5 – კაცები) (NCDC, 2023); საქართველოში კი – ცხრა წელს (79,4 – ქალები, 70,6 – კაცები) (საქსტატი, 2024).

ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მოსახლეობის დაბერებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის მიგრაცია. მაგალითად, საქართველოში, არაოფიციალური მონაცემებით, 2002 წლიდან 2014 წლამდე ემიგრირებული პირების სავარაუდო რაოდენობამ 1,1 მილიონი შეადგინა. მიგრანტების დიდ ნაწილს შრომისუნარიანი ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ადამიანები შეადგენდნენ, რამაც, სიცოცხლის გაზრდილი ხანგრძლივობის და დაბალი შობადობის ფონზე, კიდევ უფრო დააჩქარა საქართველოს მოსახლეობის დაბერების ტენდენცია (Hakkert, 2017). იგივე ტენდენცია შენარჩუნებულია ბოლო ათი წლის განმავლობაშიც. გაეროს ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობების დეპარტამენტისა (UNDESA) და საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, 2023 წელს ემიგრანტების რიცხოვნობამ 245,064 კაცი შეადგინა, რაც, წინა წელთან შედარებით, 95,6%-ით მეტია (საქსტატი, 2024).

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას და მოსახლეობის დაბერებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ცალკეული ინდივიდის, ოჯახების, თემებისა და ქვეყნებისთვის, ისე გლობალური სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის. მოსახლეობის ასაკის მატებასთან ერთად, იცვლება ადამიანების მოლოდინები და მოთხოვნილებები ხანდაზმულ ასაკში ცხოვრების მაღალი ხარისხის მისაღწევად. ზემოაღნიშნული კი გავლენას ახდენს სოციალური მუშაობის როლზე და საჭირო კომპეტენციებზე ხანდაზმულ პირებთან, მათი ოჯახის წევრებთან და მომვლელებთან ეფექტური მუშაობისა და ხანდაზმულებზე მორგებული, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის და სოციალური მომსახურებების შექმნისა და დანერგვისთვის. შეცვლილი გარემოებები დიდ გავლენას ახდენს ბევრი სხვა სფეროსა და პროფესიონალის პრაქტიკაზე.

დემოგრაფიული კრიზისი იაპონიაში

მსოფლიო მასშტაბით, ყველაზე სწრაფი დაბერების პროცესი აღინიშნება იაპონიაში. 1970 წელს იქ მოსახლეობის 7 პროცენტი იყო გადაცილებული 65 წელს; 2008 – 27 პროცენტი; 2023 – 30 პროცენტი. ნავარაუდევია, რომ 2050 წელს იაპონიაში 100 წელს გადაცილებული მოსახლეობის რაოდენობა ერთ მილიონს გადააჭარბებს, მაშინ, როდესაც მოსახლეობის საერთო რაოდენობა 106 მილიონამდე შემცირდება. დემოგრაფების გათვლებით, 2050 წლამდე, ქვეყანაში 13-დან 17 მილიონამდე ახალგაზრდა ემიგრანტის შესვლის გარეშე, იაპონიის საპენსიო სისტემა სრული კოლაფსის წინაშე დადგება. თუმცა იაპონიის მთავრობა მხარს არ უჭერს საემიგრაციო პოლიტიკის ცვლილებას.

წყარო: Hooyman & Kiyak, 2021

როდის ბერდება ქვეყანა?

მიჩნეულია, რომ ქვეყანა **დაბერების პროცესშია,** როდესაც მასში ასაკოვანი პირების წილი 7 პროცენტზე მეტია; **დაბერებული** – 14 პროცენტზე მაღალი და **ძალიან დაბერებულია** 20 პროცენტზე მაღალი მაჩვენებლის შემთხვევაში. აღნიშნული განსაზღვრება პირობითია, ვინაიდან ის არ ასახავს ხანდაზმული პირების ფუნქციური უნარების და ჯანმრთელობის სტატუსს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წელს საქართველოში 65 წელს გადაცილებული პირების ხვედრითი წილი 15.6 პროცენტს შეადგენდა. შესაბამისად, საქართველო შედის დაბერებული ქვეყნების სიაში.

ქვეყნის დაბერების განსასაზღვრად ასევე გამოიყენება ე.წ. ხანდაზმულთა დამოკიდებულების კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი ზომავს ხანდაზმული მოსახლეობის თანაფარდობას 15-64 წლის, ანუ სამუშაო ასაკის მოსახლეობასთან. 2014 წლის მონაცემებით, როდესაც საქართველოში ხანდაზმულთა ხვედრითი წილი 14.2 შეადგენდა, დამოკიდებულების კოეფიციენტი 21,3 იყო, ანუ ერთ ხანდაზმულზე სამუშაო ასაკის პირთა რაოდენობა 4.7 შეადგენდა. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველოს შუალედურ ადგილს იკავებდა მეზობელ ქვეყნებს შორის.

წყარო: IEG, 2019; ბრუნი და ჭითანავა, 2017

ხანდაზმულობის განმარტება

სოციალური მუშაკებისთვის და ხანდაზმულებთან მომუშავე სხვა პროფესიონალებისთვის მნიშვნელოვანია ხანდაზმულობის საერთაშორისო დეფინიციისა და კონკრეტულ ქვეყნებში დამკვიდრებული მიდგომების გათვალისწინება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანახმად, ხანდაზმულად შეიძლება ჩაითვალოს 60 წელს გადაცილებული პირი (UN, 2001). თუმცა გაეროს ეს დეფინიცია არ არის სავალდებულო და ცვალებადია ქვეყნებში არსებული დემოგრაფიული სურათის შესაბამისად. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ადამიანი ხანდაზმულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც მისი ქრონოლოგიური ასაკი უტოლდება 65 წელს, რაც ხშირ შემთხვევაში ასევე ემთხვევა საპენსიო ასაკის მიღწევას. ქვეყნებში, სადაც სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო ხან-

მოკლეა და, იმავდროულად, არ არსებობს საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა (მაგ., სუბ-საჰარული აფრიკის ქვეყნებში), ხანდაზმულობის დაწყების ასაკი მერყეობს 50-დან 65 წლამდე (Dowd & Kowal, 2001).

ვინაიდან ხანდაზმულები არ წარმოადგენენ ჰომოგენურ ჯგუფს და შესაძლოა ხანდაზმულობა 30 წელზე ხანგრძლივადაც გაგრძელდეს, ჯანმო და სხვადასხვა ქვეყანა გამოყოფენ ხანდაზმულობის შემდეგ ქვეკატეგორიებს:

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო):

- 60-74 წწ. – ხანში შესული
- 75-89 – მოხუცი
- >90 – დღეგრძელი

აშშ-ის კლასიფიკაციით:

- 65-74 წწ. – ახალგაზრდა ხანში შესული
- 75-84 წწ. – ხანში შესული
- >85 – „მოხუცი მოხუცი“

ხანდაზმული ასაკის დეფინიციაში გარკვეული ცვალებადობის გამო, მნიშვნელოვანია, ასაკის ქრონოლოგიური დეფინიციის გარდა, ყურადღება გამახვილდეს დაბერების ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტებზე (Hooyman & Kiyak, 2021). ქრონოლოგიური ასპექტი გულისხმობს წლების რაოდენობას, ანუ ადამიანის ასაკს. ბიოლოგიური ასპექტი გულისხმობს ინდივიდის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, რომელთა შედეგად იცვლება ორგანოთა სისტემების ფუნქციონირება და, შესაბამისად, ადამიანის ფიზიკური ჯანმრთელობა. ფსიქოლოგიური ასპექტი გულისხმობს ადამიანის კოგნიტური უნარების ცვლილებას (მაგ.: მეხსიერება, სმენა, ინტელექტუალური შესაძლებლობები). სოციალური ასპექტები კი გულისხმობს ცვლილებებს სოციალურ როლში, მათ შორის ფორმალური დასაქმების, ურთიერთობის ხასიათისა და სიხშირის თვალსაზრისით. დაბერების აღნიშნული ასპექტები მნიშვნელოვან ადგილს უნდა იკავებდნენ სოციალური მუშაკის შეფასებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სურვილებზე მორგებული ინტერვენციების დაგეგმვაში.

ეიჯიზმი

ტერმინი ეიჯიზმი გულისხმობს სტერეოტიპებს (როგორ ვფიქრობთ), ცრურწმენას (როგორ ვგრძნობთ თავს) და დისკრიმინაციას (როგორ ვიქცევით) ინდივიდებისა და ჯგუფების მიმართ, მათი ასაკის გამო. ადამიანების მიმართ ასაკობრივი დისკრიმინაცია არსებობდა საუკუნეების განმავლობაში, თუმცა ეს კონცეფცია და შესაბამისი ტერმინი 1969 წელს დაამკვიდრა ამერიკელმა ექიმმა და გერონტოლოგმა რობერტ ნილ ბატლერმა. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ტერმინი ეიჯიზმი მოიცავს ნებისმიერ ასაკს, ის გამოიყენება როგორც ხანდაზმულთა მიმართ დამოკიდებულების აღწერის გზა.

შეიძლება გამოიყოს ეიჯიზმის ინსტიტუციური, ინტერპერსონალური და საკუთარ თავზე მიმართული ფორმები. ინსტიტუციური ეიჯიზმი მოიცავს კანონებს, წესებს, სოციალურ ნორმებს, სახელმწიფო პოლიტიკას და ინსტიტუციურ პრაქტიკას, რომელიც უსამართლოდ ზღუდავს ხანდაზმულთა შესაძლებლობებს და სისტემატურად არახელსაყრელ პირობებს უქმნის ადამიანებს, მათი ასაკის გამო. ინსტიტუციური ეიჯიზმის მაგალითია სამუშაო ადგილზე ასაკობრივი დისკრიმინაცია, რაც ასაკობრივი

დისკრიმინაციის ყველაზე გავრცელებულ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს. ევრობარომეტრის მონაცემებით, ევროკავშირში ყოველი მეხუთე მოქალაქე განიცდის ასაკობრივ დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე ან არის მსგავსი ფაქტის მომსწრე. ეს ფენომენი უფრო ხშირია ევროკავშირის ახალ წევრ სახელმწიფოებში (Eurobarometer, 2012) და სხვა, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში. ინსტიტუციური ეიჯიზმი ასევე ხშირად ვლინდება ჯანდაცვის სფეროში, სადაც ადგილი აქვს ჯანდაცვის მომსახურებების შეზღუდვას მაღალი ასაკის მოსახლეობისთვის. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ხანდაზმულთათვის შეზღუდულია ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის შეძენის, ამ დაზღვევაზე მომსახურების საშუალება. ინსტიტუციური ეიჯიზმი ხშირად ვლინდება მედიაში, რომელიც ხანდაზმულ პირებს ძირითადად ასახავს, როგორც ჰომოგენურ დაუცველ ჯგუფს, რომელიც არსებითად განსხვავდება ყველა სხვა ასაკობრივი ჯგუფებისგან. კოვიდ-19 პანდემიის დროს ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ პერიოდში ტვიტერზე განთავსებული ინფორმაციის მეოთხედი ხანდაზმულ პირებთან მიმართებაში იყო მკვეთრად ეიჯისტური (Jimenez-Sotomayor et al., 2020).

ინტერპერსონალური ეიჯიზმი ვლინდება ორ ან მეტ ინდივიდს შორის ურთიერთობისას. ხშირია პროფესიონალების, მათ შორის, სოციალური მუშაკების და მოსახლეობის მხრიდან, საჭიროების გარეშე, ხანდაზმულ პირებთან ხმამაღლა, გამარტივებულად საუბრის ფაქტები, რაც აიხსნება წინასწარი განწყობით, რომ ასაკოვან ადამიანს აქვს გაუარესებული სმენა და დაქვეითებული კოგნიტური უნარები; ჯანმრთელობის პრობლემების იგნორირება, რადგან, ხანდაზმულთა შემთხვევაში, სხვა მოლოდინი არც უნდა არსებობდეს და ა.შ.

ეიჯიზმის მესამე ფორმა გულისხმობს საკუთარი თავისადმი მიმართულ ინტერნალიზებულ ასაკობრივ დისკრიმინაციას. მაგალითისთვის, ხანდაზმულ პირს არ სჯერა, რომ შეძლებს ახალი უნარ-ჩვევის შეძენას; თავს უხერხულად გრძნობს და არ ერთვება მისთვის საინტერესო სოციალურ აქტივობებში, რომლებიც საზოგადოებაში ახალგაზრდებისთვის უფრო შესაფერისად არის მიჩნეული (WHO, 2021). ეიჯიზმი იწვევს ხანდაზმულთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებას; ჯანდაცვაზე, განათლებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის შემცირებას; სოციალური იზოლაციისა და მარტოობის შეგრძნების გაღრმავებას; ფინანსური დაუცველობის გაუარესებას; ცხოვრების ხარისხის დაქვეითებას და ნაადრევ სიკვდილს (WHO, 2021).

ადამიანები ყოველთვის ვერ ხვდებიან, რომ მათი განწყობები ან ქცევა ეიჯისტურია. ასევე, ვერ აანალიზებენ ეიჯიზმის უარყოფით გავლენას ხანდაზმულ პირებზე და საზოგადოებაზე. ამის მიზეზი ხშირად არის გარკვეულ კულტურებში ათწლეულების მანძილზე გამჯდარი რუტინა, რომელიც ქმნის ეიჯისტურ ქცევით ჩარჩოს და ართულებს დისკრიმინაციული ქმედებების გააზრებას (Levy, 2001).

სოციალურ მუშაკებს აქვთ ვალდებულება იზრუნონ ხანდაზმულთა მიმართ ინდივიდებისა და საზოგადოების დისკრიმინაციული დამოკიდებულების შემცირებაზე განათლების, ხანდაზმულთა უფლებების დაცვის გზით (Kirst-Ashman & Hull, 2006). ამისათვის სოციალური მუშაკები მგრძნობიარენი უნდა იყვნენ კლიენტების ასაკის, რასის, ეთნიკურობის, გენდერის და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიმართ, რათა შეძლონ ინდივიდებსა და ოჯახებზე მორგებული ეფექტური მიდგომების გამოყენება (Aldrich, 2010). სოციალურ მუშაკებს ასევე უნდა შეეძლოთ ინსტიტუციური, ინტერპერსონალური და საკუთარი თავისადმი მიმართული ეიჯიზმის ამოცნობა და ეიჯიზმის დე-

ტერმინანტების იდენტიფიცირება. მაგალითისთვის, კვლევები ადასტურებს, რომ დისკრიმინაციული ქცევის მქონე ადამიანები ხშირად არიან:

- ახალგაზრდა, განათლების დაბალი დონის მქონე მამაკაცები
- დაბერებისა და სიკვდილის მწვავედ გამოხატული შიშის მქონე პირები
- არამეგობრული, უყურადღებო, ინტროვერტი, ინდივიდის და არა თემის ინტერესების გამტარებელი პირები
- ხანდაზმულობის და ხანდაზმულთა უფლებების შესახებ შეზღუდული ცოდნის მქონე პირები.

კვლევებით ასევე ვლინდება ეიჯიზმის კონტექსტუალური ფაქტორები:

- რაც უფრო მაღალია ქვეყანაში ხანდაზმულ პირთა ხვედრითი წილი, მით უფრო დაბალია ეიჯიზმის რისკი.
- ეიჯიზმი უფრო ხშირად ვლინდება ხანდაზმულ პირებთან ურთიერთობის არმქონე/ხარისხიანი ურთიერთობის არმქონე პირებში.
- რაც უფრო დაბალია ქვეყანაში ჯანმრთელი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, მათ უფრო დიდია ეიჯისტური ქცევა.
- ეიჯიზმი უფრო ხშირია გარკვეული სფეროების წარმომადგენელთა შორის, კერძოდ, კომპიუტერული ტექნოლოგიების და პროგრამირების, ონლაინ მარკეტინგის, სტუმართმოყვარეობის, ბიზნესის და სტარტაპების წარმომადგენელთა შორის. ამ ჯგუფის აღსაწერად გამოიყენება ტერმინი „სილიკონის ველის წარმომადგენელთა ეიჯიზმი“ (Kuchler, 2020).

ზემოთ განხილული დეტერმინანტების ცოდნა, ასევე სოციალური მუშაკის სამუშაო გარემოს კონტექსტისთვის სპეციფიკური დეტერმინანტების კვლევა, საშუალებას მისცემს პროფესიონალებს დანერგონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგიები ასაკობრივი დისკრიმინაციის შესამცირებლად (WHO, 2021).

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ, მტკიცებულებების თანახმად, თავად სოციალური მუშაკები ხშირად ავლენენ ხანდაზმულობის მიმართ ეიჯისტურ მიდგომებს. ამიტომ საჭიროა სოციალური მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სტუდენტს მიეცეს ხანდაზმულობასთან დაკავშირებული კურს(ებ)ის გავლის შესაძლებლობა (Kane, 2006; Kane, 2004). მტკიცებულებები ნათელს ხდის, რომ პროფესიული და პროფესიათაშორისი განათლება გერონტოლოგიის საკითხებზე შესაძლოა გახდეს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში ეიჯიზმის დამარცხების ეფექტური გზა (Kane, 2006).

ხანდაზმულებთან მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპები

დემოგრაფიული ტენდენციების ეფექტი ხანდაზმულებზე და მთელს საზოგადოებაზე და, შესაბამისად, ხანდაზმულთა უფლებების დაცვისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობა ასახულია არაერთ გლობალური პოლიტიკის დოკუმენტში. მათ შორისაა: გაეროს პრინციპები ხანდაზმულებისთვის (UN, 1991), მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა (2002), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის აქტიური დაბერების პოლიტიკის ჩარჩო (WHO, 2002), გაეროს წინადადება ჯანსაღი დაბერების ათწლეულის შესახებ (UN, 2022) და მრავალი სხვა. ეს ჩარჩოდოკუმენტები ასახავს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც საჭიროა ხანდაზმულთა უფლებე-

ბის და საჭიროებების შესაბამისი, ასაკობრივად ადაპტირებული სერვისების, პროგრამებისა და პოლიტიკის დასანერგად.

გაეროს პრინციპები ხანდაზმულთათვის მოუწოდებს მთავრობებს პრიორიტეტული ყურადღება მიექცეს ხანდაზმულთა მდგომარეობას და ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის და სხვა შესაბამის ეროვნულ პროგრამებში გათვალისწინებულ იქნეს ამ მზარდი ასაკობრივი ჯგუფის დამოუკიდებლობის, თანამონაწილეობის, ზრუნვის, თვითრეალიზაციისა და ღირსების პრინციპები. გარდა ამისა, გაეროს ჯანსაღი დაბერების სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს თაობათაშორისი სოლიდარობის, თანასწორობის, ზიანის არმიყენების, მრავალდარგობრივი მიდგომის მნიშვნელობაზე (UN, 2022). აღნიშნული პრიორიტეტების დანერგვა ასევე ხელს შეუწყობს ეროვნულ დონეზე ათასწლეულის განვითარების ისეთი მიზნების მიღწევას, რომლებიც კავშირშია ხანდაზმული პირების კეთილდღეობასთან (მაგ. SDG 1 (1.3, 1.4), SDG 3 (3.8, 3), SDG 10 (10.2).

აღსანიშნავია, რომ გაეროს პრინციპები ხანდაზმულთათვის ეყრდნობა უფლებრივ მიდგომას და არ შემოიფარგლება ხანდაზმულთა საჭიროებებით, რომელთა შეფასება, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სოციალური მუშაკების საქმიანობაში. სოციალური მუშაკები აფასებენ ინდივიდებისა და თემების საჭიროებებს, რათა უზრუნველყონ მომსახურებების მიწოდება. თუმცა ხშირად საჭიროებები იფილტრება არსებული რესურსებისა და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც შესაძლოა კონფლიქტში მოდიოდეს უფლებრივ პერსპექტივასთან. საჭიროებისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა უნივერსალობა გულისხმობს, რომ მათი განხორციელება არ უნდა იყოს დამოკიდებული რესურსებზე, სოციალურ ღირებულებებზე ან პოლიტიკაზე (Carole & Pardasani, 2017).

ყველა ადამიანის და, მათ შორის, ხანდაზმული პირების უფლებები გარანტირებულია უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (UN, 1948). მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფებზე მორგებული კონვენციებიდან, ხანდაზმულების უფლებებს გარკვეულწილად ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის და სხვა კონვენციები. თუმცა არ არსებობს კონკრეტულად ამ ჯგუფის უფლებათა კონვენცია. ხანდაზმულთა უფლებების კონვენციის შემუშავების ინიციატივა 1948 წელს წამოაყენა არგენტინის მთავრობამ. ხანგრძლივი განხილვებისა და მცდელობების შემდეგ, 2010 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 65/182, რომელმაც დააფუძნა ხანდაზმულთა ადამიანის უფლებების განმტკიცებაზე მომუშავე ღია სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ევალება მადრიდის სამოქმედო გეგმის დანერგვისა და კონვენციის შემუშავების მხარდაჭერა.

ადამიანები, რომელთაც ხანდაზმულობის დროს აქვთ კარგი ჯანმრთელობა, არიან ოჯახებისა და თემების განუყოფელი ნაწილი, შეუძლიათ ჩაერთონ სოციალურ აქტივობებში და, შესაბამისად, აქვთ ცხოვრების მაღალი ხარისხი, კონტრიბუციას აკეთებენ საზოგადოების განვითარებაში (WHO, 2019). ხანდაზმულ ასაკში ადამიანთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ჯანმო-მ და სხვა საერთაშორისო აქტორებმა შეიმუშავეს აქტიური დაბერების და ჯანსაღი დაბერების კონცეფციები, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს უნდა იკავებდნენ სახელმწიფო სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შემუშავებაში და პრაქტიკის ფორმირებაში; ასევე ყველა დონეზე მომუშავე სოციალური მუშაკის საქმიანობაში.

ჯანმო-ს განმარტებით, აქტიური დაბერება არის ჯანმრთელობის, თანამონაწილეობისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების ოპტიმიზაციის პროცესი, რათა, ასაკთან ერთად, გაიზარდოს ადამიანების ცხოვრების ხარისხი (WHO, 2002). ტერმინი *აქტიური* აღნიშნავს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სულიერ და სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობას და არა მხოლოდ ფიზიკურ აქტიურობის ან მუშაობის უნარს. ხანდაზმულ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დარჩნენ აქტიურები და კონტრიბუცია გააკეთონ საკუთარი ოჯახის, თემისა და საზოგადოების ცხოვრებაში, მიუხედავად მათი სოციალურ-ეკონომიკური ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის (შშმ) სტატუსისა (WHO, 2002).

ჯანსაღი დაბერება არის ფუნქციური უნარების განვითარებისა და შენარჩუნების პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს კეთილდღეობას ხანდაზმულ ასაკში. ჯანსაღი დაბერება ასევე გულისხმობს ისეთი გარემოსა და შესაძლებლობების შექმნას, რომელიც საშუალებას მისცემს ხანდაზმულს: დაკავდეს მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობებით; დაიკმაყოფილოს ძირითადი საჭიროებები; ისწავლოს, განვითარდეს და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები; იყოს მობილური; ჰქონდეს შესაძლებლობა დაამყაროს და შეინარჩუნოს ურთიერთობები; წვლილი შეიტანოს საზოგადოების ცხოვრებაში (UN, 2022).

ჯანსაღი დაბერებისა და აქტიური დაბერების კონცეფციები მჭიდრო კავშირშია ცხოვრების ხარისხის ცნებასთან. ამ კონცეფციების ზემოთ მოცემული დეფინიციიდან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ ხანდაზმულ ასაკში ცხოვრების ხარისხის ობიექტურ და სუბიექტურ მაჩვენებლებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჯანმრთელობას, სოციალურ ურთიერთქმედებას/ინკლუზიას და თანამონაწილეობას (UNECE, 2012; Gabriel & Bowling, 2004). ამიტომ მოკლედ მიმოვიხილავთ ამ ძირითად მაჩვენებლებს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა და არა მხოლოდ დაავადების ან უძლურების არარსებობა (WHO, n.d.). 2015 წელს ჯანმო-მ (WHO) გამოაქვეყნა თავისი პირველი მოხსენება დაბერებისა და ჯანმრთელობის შესახებ, სადაც ჯანმრთელობა განისაზღვრება, როგორც ფუნქციური უნარის განვითარებისა და შენარჩუნების პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს კეთილდღეობას ხანდაზმულ ასაკში (WHO, 2016). ხანდაზმულ ასაკში ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების გარდაუვალი დაქვეითების მიუხედავად, მსოფლიო მასშტაბით, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას თან ახლავს ინვალიდობის მაჩვენებლების შემცირება და ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება (UNECE, 2012). თუმცა ჯანმრთელობის გაუმჯობესება ხასიათდება ხანდაზმულთა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით გამოწვეული დიდი განსხვავებებით, ანუ ჯანმრთელობის უთანასწორობით. ცნობილია, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უკავშირდება ფუნქციური ჯანმრთელობის და ყოველდღიური აქტივობის ნაადრევ გაუარესებას; განათლების დაბალი დონე კავშირშია ადრეულ ასაკში დაავადებების განვითარებასთან. ჯანსაღი დაბერების მხარდაჭერისას თანასწორობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ხანდაზმულთა სხვადასხვა ჯგუფის სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მიდგომების ადაპტირება, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ სოციალურ მუშაკებს.

ხანდაზმულთა სოციალური მონაწილეობა ეხება იმას, თუ რამდენად არიან ისინი ჩართულნი ფორმალურ თუ არაფორმალურ სოციალურ ქსელებში. მტკიცებულებების

თანახმად, სოციალურ ცხოვრებაში ხანდაზმულთა მონაწილეობა კორელაციაშია კოგნიტური ფუნქციების შენარჩუნებასთან; სარგებლიანობის შეგრძნება ამცირებს დეპრესიის რისკებს; ხანდაზმულთა აქტივობის დონის გაზრდითა და მათი სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობით, შესაძლებელია მობილურობის სირთულეების 62 პროცენტიდან 43 პროცენტამდე შემცირება (Novek, 2013). ხანდაზმულებს, რომლებიც ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად მონაწილეობენ სოციალურ აქტივობებში, აქვთ დემენციის განვითარების 40 პროცენტით დაბალი რისკი, მათთან შედარებით, რომლებიც არ არიან ჩართულნი სოციალურ აქტივობებში. მტკიცებულებები ასევე მიუთითებს ძლიერ ურთიერთკავშირზე მოხალისეობას, ხანდაზმულთა კეთილდღეობასა და ცხოვრების ხარისხს შორის (Parkinson et al., 2010). იმავდროულად, ცნობილია, რომ სოციალური იზოლაცია წარმოადგენს ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითად რისკფაქტორს და მჭიდრო კავშირშია ხანდაზმულთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებასთან.

თუმცა, განსხვავებული ფუნქციური შესაძლებლობების, განათლების, საცხოვრებელი ადგილის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ხანდაზმულთა თანაბარი ჩართულობის, სოციალური ინკლუზიისა და ჯანმრთელობის შესაბამისად, მაღალი ცხოვრების ხარისხის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია მიკრო-, მეზო- და მაკრო-დონეებზე სოციალური მუშაკების მიზანმიმართული ქმედებები, ხანდაზმულთა შორის უთანასწორობის შესამცირებლად და ყველა ხანდაზმულის უფლებების დასაცავად (UNECE, 2012).

საკუთარი უფლებების, ხანდაზმულებთან მუშაობის გაეროს პრინციპებისა და სხვა განხილული კონცეფციების შესახებ ხანდაზმულთა, მათთან მომუშავე პროფესიონალების და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს ხანდაზმულთა გაძლიერების და მათთვის სასურველი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით. ხანდაზმულთა შესახებ ცოდნისა და დამოკიდებულებების ცვლილება უნდა წარმოადგენდეს სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამების, პრაქტიკის სწავლებისა და უწყვეტი განათლების მნიშვნელოვან მიზანს (Baik & Davitt, 2022). სოციალურ მუშაკებს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ამ ცოდნის საზოგადოებამდე მიტანასა და აღნიშნული პრინციპების დანერგვის ადვოკატობაში. მაკროდონეზე სოციალურ მუშაკებს ევალებათ ხელი შეუწყონ სოციალურ სამართლიანობას, სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების ინტერესების დასაცავად, იზრუნონ ძალადობის მიზეზების აღმოფხვრაზე, გამოავლინონ და ებრძოლონ ეიჯიზმის ყველა გამოვლინებას.

ჯანსაღი დაბერებისა და აქტიური დაბერების კონცეფციები ყურადღებას ამახვილებს მულტისექტორული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე. ამ მიდგომების დანერგვის ხელშეწყობაში ჩართულნი უნდა იყვნენ ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ჯანდაცვის პროფესიონალები, სოციალური მუშაკები და არაერთი სხვა პროფესიონალი, რომლებიც მონაწილეობენ ხანდაზმულთათვის მომსახურებების, პროგრამებისა და პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში. ჯანსაღი დაბერების, აქტიური დაბერებისა და ასევე, ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხის კონცეფციებში წამყვანი ადგილი უჭირავს შესაძლებლობების ოპტიმიზაციას, რომელიც შეიძლება გაიზარდოს დაბერების სფეროში ინვესტიციების მეშვეობით.

გაერთიანებულ სამეფოში ხანდაზმული პირების მოსაზრებების გამოკითხვამ აჩვენა, რომ მომხმარებელთათვის წამყვანი მნიშვნელობა აქვს: სოციალური მუშაკის აქტიურ ჩართულობას მულტისექტორულ მუშაობაში, სხვადასხვა დონეზე ხანდაზმულთა ინტერესების ადვოკატობას, თანამიმდევრულობას და მხარდაჭერას მათი ინტერესების დაცვაში. ხანდაზმულები ასევე აფასებენ სოციალური მუშაკების მხრიდან მათ გვერდით ყოფნას, გადაწყვეტილებების მიღებაში კლიენტების ჩართვას, კონსულტირებას, ფსიქოთერაპიულ მხარდაჭერას, საჭირო მითითებების მიცემასა და პრაქტიკულ მხარდაჭერას (Beresford, 2007). მომსახურებების მომხმარებლების აზრით, მათთვის მნიშვნელოვანია სოციალურმა მუშაკებმა: დაინახონ ისინი როგორც მთლიანობა და არა როგორც მათი სიმპტომებისა და პრობლემების ერთიანობა; გამოიყენონ ინდივიდუალური მიდგომა და არ აღიქვან ისინი მხოლოდ, როგორც მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფის ნაწილი; გამოავლინონ პატივისცემა და გაითვალისწინონ კლიენტის უფლებები; გაითვალისწინონ კლიენტების პრიორიტეტები და გამოცდილება; მიაწოდონ მათ ამომწურავი და ადვილად გასაგები ინფორმაცია; შეძლებისდაგვარად ხშირად იმუშაონ კლიენტებთან მათთვის ჩვეულ გარემოში, რათა შეამცირონ კლიენტების დაძაბულობა და უკეთ გაერკვნენ მათ გარემოებებში (Davies, 2008).

მთლიანობაში, სოციალური მუშაკების მხრიდან კლიენტების, მათ შორის, ხანდაზმული პირების უფლებებისა და ინტერესების უკეთ გათვალისწინება მოითხოვს სოციალურ მუშაობას განათლებასა და პრაქტიკაში, ასევე სოციალური პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაში კლიენტების მოსაზრებების გაზიარების ეფექტური მიდგომების დამკვიდრებას (Davies, 2008).

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა ხანდაზმულებთან

სოციალურ მუშაკებს მრავალფეროვანი ფუნქციები აკისრიათ ხანდაზმულებისთვის და მათთან ერთად მიკრო-, მეზო- და მაკროდონეებზე მომსახურებების განხორციელებაში. განსხვავებით მიკროდონეზე გერონტოლოგიური სოციალური მუშაობის აშკარა დანიშნულებისა, ზოგიერთ სისტემაში მაკროდონეზე მომუშავე სოციალური მუშაკების ძირითადი მოვალეობები და ასპარეზის სფერო ნაკლებად არის გამოკვეთილი.

გერონტოლოგიის სფეროში მაკროდონის სათემო პრაქტიკა გულისხმობს, საკუთარი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ინტერესების დასაცავად, ხანდაზმულთა გააქტიურებას და ორგანიზებას. მსგავსი საქმიანობის დროს, სოციალური მუშაკი თემად შეიძლება განიხილავდეს როგორც რომელიმე კონკრეტულ დაწესებულებას (მაგ., ხანდაზმულთა პანსიონატს), ისე სოფელს ან ქალაქს, სადაც საჭიროა ხანდაზმულებისთვის ამა თუ იმ მომსახურებების გაუმჯობესება (მაგალითად, ადაპტირებული ტრანსპორტირების მომსახურებების ორგანიზება; ზამთრის პერიოდში ხანდაზმულთა სახლების წინ თოვლის საფარის გაწმენდა) (Massachusetts Senior Action, 2011). ამავე დონეზე მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის, როგორც საზოგადოების განმანათლებლის როლი, რათა ხანდაზმულთათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მათთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან მიტანილ იქნეს მაქსიმალურად გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით.

პროგრამების, სხვადასხვა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებაში ხანდაზმულთა საჭიროებებისა და მათი ძლიერი მხარეების შესახებ

კარგად ინფორმირებული სოციალური მუშაკების ჩართულობა, განაპირობებს მოსახლეობის ამ მზარდი სეგმენტის საჭიროებებსა და უფლებებზე დაფუძნებული დაგეგმარების პროცესების დანერგვას. სოციალური მუშაკების მსგავსი როლი მნიშვნელოვანია როგორც სოციალური და ჯანდაცვის სექტორებში, ისე ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, განათლების და სხვა სექტორების ეფექტური დაგეგმარებისთვის (Wacker & Roberto, 2008).

ხანდაზმულთა გაძლიერება და მათი ინტერესების ადვოკატობა მოიცავს როგორც მათი სახელით, ისე მათთან ერთად, ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებზე, ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს ხანდაზმულთა ინტერესების გატარებას, მათ შორის, არჩევნების პერიოდში ხანდაზმულთა მობილიზებისა და სხვა პოლიტიკური აქტივობების გამოყენებით (National Association of Social Workers, 2011).

საგანგებო მდგომარეობაში მყოფი პირები

საგანგებო მდგომარეობა არის დროებითი გარემოება, რომელიც მოსახლეობის დიდი ჯგუფისთვის წარმოადგენს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის მნიშვნელოვან საფრთხეს (საგანგებო მდგომარეობათა კოალიცია, 2002). საგანგებო მდგომარეობებში სოციალური მუშაობის სახელმძღვანელო იყენებს განმარტებას, რომლის თანახმადაც, საგანგებო მდგომარეობა არის მოვლენა, რომელიც ადამიანებისთვის იწვევს დიდ დანაკარგებს და გარემოს დაზიანებას (Alston et al., 2019). საქართველოს კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ საგანგებო მდგომარეობას განმარტავს, როგორც დროებით ღონისძიებას, რომელიც ცხადდება მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისთვის, მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს, ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას (საქართველოს მთავრობა, 1997).

გლობალურ დონეზე საგანგებო მდგომარეობის კლასიფიცირება ხდება მოვლენის ხანგრძლივობის (მოკლევადიანი და გახანგრძლივებული) და წარმოშობის მიხედვით:

- ბუნებრივი (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა, ქარიშხალი, ვულკანი და ა.შ.)
- ტექნოლოგიური (მასშტაბური ავარია, რომელსაც მოჰყვება მსხვერპლი, რადიოაქტიური დაბინძურება, ნავთობის გაჟონვა და ა.შ.)
- ბიოსოციალური (ტერორიზმი, ომი, შიმშილობა, რევოლუცია)
- ბიოლოგიური (ეპიდემია, პანდემია)
- კომპლექსური.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ათწლეულებში მსოფლიო მასშტაბით არსებული საგანგებო მდგომარეობების სიხშირე განსაკუთრებით მაღალია, რაც შეიძლება აიხსნას საომარი მოქმედებების გახანგრძლივებით და კომპლექსურობით, კლიმატის ცვლილების გაღრმავებით, წარმოებების მასშტაბების მკვეთრი ზრდით და მრავალი სხვა მიზეზით. გადაუდებელი მდგომარეობების მაღალი სიხშირე კარგად ჩანს ბუნებრივი კატასტროფების სტატისტიკის მაგალითზე. გადაუდებელი მოვლენების მონაცემთა ბა-

ზის თანახმად, მხოლოდ 2021 წელს მსოფლიო მასშტაბით ადგილი ჰქონდა 432 კატასტროფას, რომელთა შედეგად დაიღუპა 10,492 ადამიანი, 102 მილიონი კი დაზარალდა. აღნიშნული მოვლენების შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ზარალმა 252 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინდა. ამავე პერიოდში აღრიცხულია 24 მილიონამდე ახალი გადაადგილება, რომლებიც დაკავშირებული იყო კლიმატურ ცვლილებებთან და სხვა კატაკლიზმებთან. გადაადგილებათა დიდი ნაწილი დროებითი და განმეორებადი ხასიათისაა (IOM, n.d.). მსოფლიო ბანკის შეფასებით, თუ არ იქნება მიღებული საჭირო ზომები კლიმატური კატასტროფების რისკების შესამცირებლად, 2050 წლისთვის, კლიმატის ცვლილებების გამო, დამატებითი 216 მილიონი ადამიანი შეიძლება გახდეს მიგრანტი.

ვირუსის გლობალური გავრცელების და დიდი მსხვერპლის გამო, 21-ე საუკუნის გლობალური ჯანმრთელობის კრიზისად და, შესაბამისად, გადაუდებელი მდგომარეობის მიზეზად მიჩნეული იყო COVID-19 პანდემია. 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ,რSARS-CoV-2 ვირუსის გლობალური გავრცელების გამო, გამოაცხადა გლობალური პანდემია, რომელიც ოფიციალურად დასრულებულად 2023 წლის 5 მაისს ჩაითვალა. ჯანმოს მონაცემებით, COVID-19-ით გამოწვეულმა სიკვდილობამ 3.4 მილიონს გადააჭარბა. თუმცა 133 ქვეყნის მონაცემების ანალიზით დადგინდა, რომ, ბევრ ქვეყანაში სამოქალაქო რეგისტრაციისა და სასიცოცხლო სტატისტიკური სისტემების გაუმართავი ფუნქციონირების გამო, პანდემიის პერიოდში არ ხდებოდა სიკვდილობის შემთხვევების სრულად აღნუსხვა. მართალია, ევროპაში რეგისტრირებული სიკვდილიანობის პროცენტული მაჩვენებელი დაახლოებით 98 პროცენტს შეადგენდა, აფრიკის რეგიონში ის 10 პროცენტს არ აღემატებოდა (WHO, 2024). ჯანდაცვის რისკების გარდა, პანდემიამ განაპირობა ბოლო ასწლეულის განმავლობაში ყველაზე დიდი გლობალური ეკონომიკური კრიზისი. კრიზისმა გაამწვავა ქვეყნებში და ქვეყნებს შორის უთანასწორობის ისედაც დრამატული სურათი. გარდა ამისა, ნავარაუდევია, რომ განვითარებად ეკონომიკებსა და ეკონომიკურად დაუცველ ჯგუფებს გაცილებით მეტი დრო დასჭირდებათ პანდემიით გამოწვეული დანაკარგებისა და საარსებო წყაროს აღსადგენად, ვიდრე მოსახლეობის ნაკლებად დაუცველ ნაწილს. პანდემიის შედეგები დამატებით რისკებს უქმნის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას (WB, 2022).

ვითარების სირთულეს ასევე ადასტურებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მონაცემები, რომელთა თანახმადაც, ბოლო ათწლეულში 2023 წელი გამოირჩეოდა გადაუდებელი სიტუაციების ყველაზე დიდი რაოდენობით. კერძოდ, 29 ქვეყანაში დაფიქსირდა 43 საგანგებო სიტუაცია, რომელიც მოიცავდა მიწისძვრას თურქეთსა და სირიაში, ციკლონს ბანგლადეშში, შეიარაღებული კონფლიქტის გამწვავებას სუდანში, ომს უკრაინაში. შედეგად, მხოლოდ 2023 წელს 114 მილიონი ადამიანი გახდა ლტოლვილი ან იძულებით გადაადგილებული პირი (UNHCR, 2023).

ზემოთ ჩამოთვლილი და არაერთი სხვა კატეგორიის საგანგებო მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე; განაპირობებს ადამიანის უფლებების შელახვას, დაუცველობას და ტანჯვას. შედეგები სცილდება ფიზიკურ საფრთხეებს და მოიცავს გრძელვადიან სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ეფექტებს (Schmid & Raju, 2021). მაგალითად, საგანგებო მდგომარეობების და ჰუმანიტარული საჭიროებების შედეგად მოსახლეობის გადაადგილება დიდ გავლენას ახდენს: ქვეყნების დემოგრაფიულ სურათზე, დასაქმების ბაზარზე, ეკონო-

მიკის განვითარებაზე, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების ცვლილებაზე. გადაადგილების შედეგად გაზრდილია სიცოცხლის ხელყოფის, ქონების დაზიანების, განათლების და მკურნალობის შესაძლებლობების დაქვეითების რისკები. ქვეყნებში, რომლებიც იღებენ დიდი რაოდენობით იძულებით გადაადგილებულ პირებს, წარმოიქმნება გამოწვევები საცხოვრისზე, მომსახურებებზე, სამუშაო ადგილზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. წარმოშობის ადგილებში ადგილი აქვს ეკონომიკის განვითარების შეფერხებას, ადამიანის უფლებების შელახვისა და უსაფრთხოების რისკების გაზრდას, რომელთა მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარეები არიან გარკვეული ჯგუფების წარმომადგენლები (IOM, n.d.). წინამდებარე სახელმძღვანელოს მესამე თავში (*საერთაშორისო სოციალური მუშაობა, სოციალური მომსახურებები და ინსტიტუტები*) საუბარია მიგრანტებთან და ლტოლვილებთან მუშაობის სპეციფიკაზე, რომელთა დიდი ნაწილის გადაადგილება სწორედ საგანგებო მდგომარეობებით აიხსნება.

გადაუდებელი მდგომარეობები საგრძნობლად ზრდის ძალადობის (მათ შორის, სექსუალური), ადამიანებით ვაჭრობის და „თანამედროვე მონობის“ რისკებს (Curbelo, 2021). არსებობს მტკიცებულებები, რომ მასშტაბური ბუნებრივი კატასტროფების შემდეგ ადამიანებით ვაჭრობის ალბათობა იზრდება 30 პროცენტით (Boria, 2016). ასევე საგულისხმოა იმ ინდივიდებისა და ჯგუფების მდგომარეობა, რომელთა მობილობა გადაუდებელ სიტუაციებში შეზღუდულია ფინანსური რესურსების ნაკლებობის, გადაადგილების პრობლემების, კულტურული ნორმების და სხვა მიზეზების გამო. „მახეში მყოფი“ ინდივიდებისა და ჯგუფების განსაკუთრებულად მაღალი მოწყვლადობის გამო, მნიშვნელოვანია მათი დროული გამოვლენა და დახმარება, რაშიც სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ ანგარიშგასაწევი როლი ითამაშონ. საგულისხმოა ადამიანის უფლებათა ცენტრის 2022 წლის ანგარიში – *ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში,* რომელიც ეხება, გახანგრძლივებული გადაუდებელი მდგომარეობის შედეგად, წლების მანძილზე მძიმე მდგომარეობაში მცხოვრები ადამიანების უფლებრივ მდგომარეობას. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ხანდაზმულია და განსაკუთრებით მოწყვლადია იქ არსებული ისეთი გამოწვევების მიმართ, როგორებიცაა: ფიზიკური უსაფრთხოების რისკი, ჯანდაცვაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მძიმე სოციალური მდგომარეობა, გზების და ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა, იზოლაცია და მარტოობა (ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2022).

საგანგებო მდგომარეობებზე რეაგირება

ნებისმიერი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა დაიცვას ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ინდივიდი. დაცვა განიმარტება, როგორც ყველა ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პიროვნების უფლებების პატივისცემას ადგილობრივი და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში (IASC, 2016). საგანგებო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის დაცვაზე დამატებით ვალდებულებას იღებს ჰუმანიტარულ სექტორში მოქმედი სხვადასხვა აქტორი, რომელთა მუშაობა ეფუძნება ჰუმანიტარული საქმიანობის პრინციპებს (Clarke et. al., 2018).

მიჩნეულია, რომ ჰუმანიტარული ღონისძიებები მიზნად ისახავს საგანგებო სიტუაციების მოგვარებას და კრიზისის შედეგად დაზარალებული ადამიანების გადაუდებელი

ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ამ მიზეზით, ჰუმანიტარული რეაგირება მოიცავს მოკლევადიან და მოქნილ ღონისძიებებს, რომლებიც, შესაძლოა, გვერდს უვლიდნენ ქვეყანაში არსებულ ეროვნულ სისტემებს, რათა სწრაფად მიეწოდოს დახმარება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ პირებს (Bennett 2015). საგანგებო ვითარებაში მომუშავე ყველა პირს ევალება ჰუმანიტარული საქმიანობის შემდეგი ოთხი პრინციპის გათვალისწინება: ჰუმანურობა, ნეიტრალიტეტი, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა (ICRC 2015; UNHCR 2015). აღნიშნული პრინციპებიდან პირველი სამი დამტკიცებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით (46/182), 1991 წელს. დამოუკიდებლობის პრინციპი დამატებით დამტკიცდა 2004 წელს (რეზოლუცია 58/114). აღნიშნულ პრინციპებს ემყარება ჰუმანიტარული ორგანიზაციების ქცევის კოდექსი, რომელშიც გაწერილია ჰუმანიტარული ორგანიზაციების მუშაობის ძირითადი სტანდარტები (International Red Cross and Red Crescent, 1994).

ცხრილი 1: ჰუმანიტარული საქმიანობის პრინციპები

ჰუმანურობა	მიუკერძოებლობა	ნეიტრალობა	დამოუკიდებლობა
ადამიანის ტანჯვაზე რეაგირება უნდა მოხდეს მსგავსი ფაქტის აღმოჩენისთანავე. საგანგებო რეაგირების მიზანია ადამიანების სიცოცხლის დაცვა, ჯანმრთელობის უზრუნველყოფა და ღირსების პატივისცემა	ჰუმანიტარული დახმარება უნდა განხორციელდეს საჭიროების საფუძველზე, ყველაზე გადაუდებელი საჭიროებების მქონეთა შემთხვევების პრიორიტიზებით. დაუშვებელია ეროვნების, რასის, სქესის, რელიგიის, კლასობრივი თუ პოლიტიკური მოსაზრებებით ადამიანების განსხვავება	ჰუმანიტარულმა აქტორებმა საომარ მოქმედებებში არ უნდა დაიკავონ არავის მხარე და არ უნდა ჩაერთონ პოლიტიკურ, რასობრივ, რელიგიურ თუ იდეოლოგიურ დაპირისპირებაში	ჰუმანიტარული დახმარება უნდა იყოს ავტონომიური იმ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა მიზნებისგან, რომლებიც სხვადასხვა აქტორს შეიძლება ჰქონდეს იმ ტერიტორიების მიმართ, სადაც ხორციელდება ჰუმანიტარული აქტივობა

საგანგებო მდგომარეობაში მომუშავე ჰუმანიტარული აქტორები, მათ შორის სოციალური მუშაკები, გადაწყვეტილებებს იღებენ აღნიშნულ პრინციპზე დაფუძნებით, რაც ავალდებულებს მათ დახმარება გაუწიონ ყველა ინდივიდსა და ჯგუფს, მიუხედავად მათი მიკუთვნებულობისა, მომსახურების მიმწოდებლის მის მიმართ დამოკიდებულებისა, მთავრობის პოლიტიკისა და პრიორიტეტებისა (UNHCR 2015). დახმარების მიმღებთა იდენტიფიცირებისა და დახმარების პრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნით, საგანგებო მდგომარეობაში მომუშავე სოციალური მუშაკები და სხვა აქტორები აფასებენ არსებულ რისკებს და მოწყვლადობას, რომელიც ამ ვითარებაში განსაკუთრებით მწვავე შეიძლება იყოს ბავშვებს, ხანდაზმულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, სექსუალურ უმცირესობებს, იძულებით გადაადგილებულ და ლტოლვილ პირებს შორის (IASC 2013).

განსხვავებით საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირებისგან, განვითარების პროგრამების მიზანია სოციალური, ეკონომიკური, ჯანდაცვის და სხვა სისტემებისა და პროგრამების რეფორმირების გზით, მდგრადი შედეგების მიღწევა და სიღარიბისა და უთანასწორობის დაძლევა (Krocks et al. 2018). მდგრადი შედეგების მისაღწევად, განვითარებაზე ორიენტირებული აქტორები თანამშრომლობენ ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მათი მიდგომები ემყარება ადამიანის უფლებათა ჩარჩოს (Brown & Donini 2014). განვითარების კონტექსტში მუშაობასა და გადაუდებელ მდგომარეობაში მუშაობის განსხვავებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სხვადასხვა გარემოებაში მომუშავე პროფესიონალებისთვის საჭირო კომპეტენციებზე, პრაქტიკაზე და მუშაობის პრინციპებზე. ამ ორი სექტორის ეფექტურობის გასაზრდელად და ჰუმანიტარული სექტორის მიღწევების მდგრადობის გასაუმჯობესებლად, საერთაშორისო აქტორები 1990-იანი წლებიდან მუშაობენ სექტორებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებაზე, ანუ, ჰუმანიტარული და განვითარების სექტორებს შორის „ნექსუსის“ (მჭიდრო თანამშრომლობის) ჩამოყალიბებაზე (Dubois, 2018). ამ მიმართულებით მუშაობა ასევე გააძლიერებს ჰუმანიტარულ სექტორში უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების გაღრმავებას (Lie, J. 2020).

საგანგებო მდგომარეობის მართვის ციკლი

საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირებისა და კატასტროფის რისკის შემცირება (Disaster Risk Reducation – DRR) – ოპერაციული ჩარჩო მოიცავს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ეტაპს, რომელთა ლოგიკა იმეორებს სოციალური მუშაობის ინტერვენციების ლოგიკას. კერძოდ, ეს ეტაპები მოიცავს:

1. პრევენციას – ეს არის პროაქტიული საქმიანობა, რომელიც გულისხმობს საფრთხის რისკების წინასწარ იდენტიფიცირებას და, მათი ზემოქმედების შესამცირებლად, გზების მოძიებას. პრევენციული ღონისძიებები მოიცავს ადრეული გაფრთხილების სისტემების დანერგვას, მოსახლეობის ცნობიერების გაზრდას, კონკრეტულ დასახლებულ პუნქტში არსებული ტრადიციული ადგილობრივი ცოდნის იდენტიფიცირებას და ახალი თაობებისთვის მის გაცნობას. მიუხედავად იმისა, რომ პრევენცია გულისხმობს ზომების მუდმივად მიღებას, რაც ხელს უწყობს რისკის შემცირებას, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ საგანგებო მდგომარეობების თავიდან აცილება ყოველთვის შესაძლებელი არ არის (University of Central Florida, 2024).

გადაუდებელი რეაგირების ამ ეტაპზე სოციალური მუშაკის როლი შეიძლება ვლინდებოდეს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისათვის ევაკუაციის გეგმის შემუშავებაში ჩართვაში; ბავშვების, მიმღები ოჯახების და მომვლელების ინფორმირებაში, ხანძრის ან მიწისძვრის შემთხვევაში უსაფრთხო ადგილზე გადასვლის საუკეთესო გზების შესახებ; საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში სახელმწიფო ზრუნვაში ჩართული ყველა აქტორის პასუხისმგებლობების განსაზღვრაში (Alston et al., 2019).

2. უარყოფითი შედეგის შემცირებას – ეს ეტაპი მიზნად ისახავს ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის და დაზიანების რისკების მინიმუმამდე შემცირებას. ამ ეტაპზე სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულების, ზრუნვაში მყოფი ბავშვების გადარჩე-

ნის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში ჩართვაში (University of Central Florida, 2024).

3. მზადყოფნას – მუდმივი პროცესი, რომლის დროსაც ინდივიდებს, თემებს, ბიზნესებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ დასახონ კატასტროფის შემთხვევაში განსახორციელებელი გეგმები. მზადყოფნა მოიცავს რეგულარულ სწავლებას, შეფასებას და მაკორექტირებელ ქმედებებს, მზაობის უმაღლესი დონის უზრუნველყოფის მიზნით (University of Central Florida, 2024). ამ მიმართულებით სოციალურ მუშაკებს აქვთ შესაძლებლობა, განახორციელონ ჰუმანიტარული რეაგირების შესახებ სათემო ტრენინგები, შექმნან მხარდაჭერის ქსელები, გააძლიერონ ჯგუფების მედეგობა კრიზისებზე დროული და კოორდინირებული რეაგირებისთვის.

4. რეაგირებას – საგანგებო მდგომარეობის დროს განხორციელებული მოკლე- ან გრძელვადიანი ზომები. ეფექტური რეაგირებისთვის მნიშვნელოვანია პერსონალის (მათ შორის, სოციალური მუშაკების), მარაგებისა და აღჭურვილობის გამოყენების ეფექტური კოორდინაცია, პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დამატებითი ზიანის რისკების შემცირებაზე ზრუნვა (University of Central Florida, 2024). საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირების ეტაპზე სოციალური მუშაკის ჩართულობა მოიცავს: ინდივიდების, ჯგუფებისა და თემების საჭიროებების, მოწყვლადობისა და ძლიერი მხარეების შეფასებას, ფსიქოსოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფას, მომსახურებების მიწოდებას, საჭირო მომსახურებების შექმნისთვის ადვოკატობას და მათი მიწოდების კოორდინირებას, განსაკუთრებით, მოწყვლადი მოსახლეობის უფლებების დაცვას (Alston et al., 2019).

5. აღდგენას – გადაუდებელი სიტუაციის მართვის ციკლის ბოლო ეტაპი, რომელსაც შეიძლება ზოგჯერ წლები ან ათწლეულებიც კი დასჭირდეს. ეს ეტაპი მოიცავს ტერიტორიის სტაბილიზაციას და საზოგადოების ყველა არსებითი ფუნქციის აღდგენას. აღდგენა საჭიროებს პრიორიტეტულობას, რათა, პირველ რიგში, აღდგეს ისეთი აუცილებელი სერვისების მიწოდება, როგორებიცაა: საკვებისა და სუფთა წყლის მიწოდება, ჯანდაცვა, ფსიქოსოციალური მომსახურება, ტრანსპორტირება. რაც შეეხება სიცოცხლისთვის ნაკლებად აუცილებელ სერვისებს, მათი აღდგენა ეტაპობრივად შეიძლება მოხდეს. აღდგენის ეტაპის მიზანია ინდივიდების, თემების, ბიზნესებისა და ორგანიზაციების დაბრუნება საგანგებო მდგომარეობამდელ დონეზე ან „ახალი ნორმის“ შექმნა, რაც დამოკიდებულია ცალკეული საგანგებო მდგომარეობის ხასიათზე, ინტენსივობაზე და ხანგრძლივობაზე (University of Central Florida, 2024). ამ ეტაპზე სოციალური მუშაკის კონტრიბუცია მოიცავს: თემში არსებული ფორმალური და არაფორმალური ქსელების აღდგენას, გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების მოგვარებაში მონაწილეობას, დაზარალებული მოსახლეობის გაძლიერებას და მედეგობის გაზრდას, ახალ გარემოებაში საჭირო უნარ-ჩვევების შეძენაში ხელშეწყობას და ა.შ. სოციალური მუშაკების როლს ასევე წარმოადგენს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვა და ადვოკატობა, რათა აღდგენის პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ადამიანის და ჯგუფის თანასწორობა.

საგანგებო მდგომარეობაში მყოფი ქვეყნები ან გარკვეული ლოკაციების ადმინისტრაცია შესაძლოა მოკლებული იყოს საგანგებო მდგომარეობის დროს შექმნილ გამოწვევებზე დროულად და ეფექტურად რეაგირების შესაძლებლობას და ამისთვის საჭირო ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს. ამიტომ, ადგილობრივი თუ ჰუმანიტარული

აქტორების მიერ რეაგირების დაგეგმვისას, მნიშვნელოვანია დაბალი ღირებულების, თემის ჩართულობით განსახორციელებელი აქტივობები, რომელთა განხორციელებაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ სოციალურ მუშაკებს (IOM, n.d.).

მოწყვლადობა და მედეგობა საგანგებო მდგომარეობაში

ისევე, როგორც სოციალურ მუშაობის პრაქტიკაში, მოწყვლადობის განსაზღვრა და მედეგობის გაძლიერება არის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების განუყოფელი ასპექტები, რომლებიც კრიტიკულ როლს თამაშობენ კრიზისის შედეგების განსაზღვრაში (Quarantelli, et al., 2006).

გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისის (UNDRR) განმარტებით, დაუცველობა გულისხმობს ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და გარემო ფაქტორებით ან პროცესებით გამოწვეულ გარემოებებს, რომლებიც ზრდის ინდივიდის, თემების, საზოგადოების მოწყვლადობას საფრთხეების მიმართ (UNDRR, 2021). არსებობს საგანგებო მდგომარეობაში მოწყვლადობის განსაზღვრის ორი მიდგომა, რომლებიც მიზანშეწონილია დავინახოთ, როგორც ერთმანეთის შემავსებელი კონცეფციები (Gabel et al., 2022). პირველი გულისხმობს მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ცალკეული ჯგუფების დაუცველობას და მიიჩნევს, რომ ამ ტიპის მოწყვლადობა მეტ-ნაკლებად უცვლელია და ეხება გამოვლენილი სოციოეკონომიკური ჯგუფების ყველა ინდივიდუალურ წევრს. მეორე მიდგომა დაუცველობას მიიჩნევს დინამიკურ მდგომარეობად და ყურადღებას ამახვილებს ინდივიდუალურ მახასიათებლებზე (მაგ.: რასა, ეთნიკურობა, სქესი, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები ან სიღარიბე, რომლებმაც გარკვეულ გარემოებებში შეიძლება გამოიწვიონ მომეტებული რისკები (Hilhorst & Bankoff, 2004) .

მტკიცებულებები მიუთითებს, რომ საგანგებო სიტუაციების დროს არაპროპორციულად მაღალი მოწყვლადობა ვლინდება ისეთ ჯგუფებში, როგორებიცაა: ბავშვები, ხანდაზმული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ქალები, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური უმცირესობები და ასევე ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ სიღარიბეში და აქვთ სუსტი სოციალური ქსელი (IFRC, 2018; Christie et al., 2016; Gabel et al., 2022). ბავშვების, განსაკუთრებით კი მცირეწლოვანი ბავშვების შემთხვევაში ამის მიზეზია აღმზრდელებზე დამოკიდებულება, კრიზისების გააზრებისა და ნავიგაციის შეზღუდული უნარი და განსაკუთრებით მაღალი მგრძნობელობა ფიზიკური და ემოციური დისტრესის მიმართ. ხანდაზმულებისთვის მოწყვლადობის მიზეზი შეიძლება იყოს სოციალური იზოლაცია, ჯანმრთელობის, გადაადგილების ან მეხსიერების პრობლემები. ქალებს მოწყვლადად ხდის გენდერული სტერეოტიპები, სიღარიბისა და უთანასწორობის სხვა ფორმების მაღალი სიხშირე; ეთნიკური უმცირესობებისთვის შეიძლება გამოწვევას წარმოადგენდეს, ენობრივი ან სხვა ბარიერების გამო, ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომა, იზოლაცია.

ამავე სახელმძღვანელოს მე-16 თავში საუბარია გარემოსდაცვითი გამოწვევების არაპროპორციულად მაღალ გავლენაზე განსაკუთრებით მოწყვლად ინდივიდებზე, თემებსა და ქვეყნებზე. ამ თავში მოწოდებული ინფორმაცია ასევე საგულისხმოა საგანგებო მდგომარეობაში მყოფი პირების მოწყვლადობის გასაანალიზებლად. თუმცა, მთლიანობაში, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არცერთი ზემოაღნიშნული ჯგუფი არ არის ჰომოგენური და, შესაბამისად, შეფასებისას აუცილებელია მოწყვლადობის ორივე მიდგომის გათვალისწინება (Christie et al., 2016).

ამ გზით მოწყვლადობის იდენტიფიცირება და მისი აღმოფხვრა უმნიშვნელოვანესია საგანგებო სიტუაციებზე ეფექტური რეაგირებისთვის, რადგან ის იძლევა რესურსებისა და ინტერვენციების მიზანმიმართული განაწილების საშუალებას უფრო დიდი რისკის ქვეშ მყოფთა დასაცავად (Proag, 2014).

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კრიზისით დაზარალებული ადამიანების მედეგობის გაზრდას, რაც, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Organization for Migration – IOM) განმარტებით, გულისხმობს სისტემის (ინდივიდუალური, ოჯახის ან თემის) შესაძლებლობების გაზრდას, ზეწოლის დროს თავიდან აიცილოს და წინააღმდეგობა გაუწიოს არსებულ გამოწვევებს, ძირითადი ფუნქციებისა და სტრუქტურების დაზიანების გარეშე (IOM, n.d.). მედეგობის გაძლიერებაზე მუშაობა საჭიროა დაიწყოს გადაუდებელ მდგომარეობაზე რეაგირების ადრეულ სტადიაზე და, შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინოს თემში უკვე დამკვიდრებული ჯანსაღი პრაქტიკები. მედეგობის ჩამოყალიბება გულისხმობს ინფრასტრუქტურის გაძლიერებას, საზოგადოების ერთიანობის ხელშეწყობას, ეფექტური რეაგირების მექანიზმების შემუშავებას, ინდივიდუალური უნარების გაძლიერებას. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სტრატეგია უნდა აბალანსებდეს გაზრდილი ზიანის პრევენციისთვის მოწყვლადობის გამოვლენის და შემცირების მექანიზმებს და მდგრადობის გაძლიერების გზებს. საგანგებო სიტუაციების მართვის ჰოლისტური მიდგომები ზრდის ინდივიდების, თემებისა და საზოგადოების გამკლავებისა და გამოჯანმრთელების საერთო შესაძლებლობებს (Alston et al., 2019).

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა საგანგებო სიტუაციებში

როგორც უკვე აღინიშნა, საგანგებო მდგომარეობებზე რეაგირებაში ჩართვა სოციალური მუშაკების საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გახდა. სოციალური მუშაკები მიკრო-, მეზო- და მაკროდონეზე ჩართულნი არიას კრიზისზე რეაგირების ყველა ზემოთ აღწერილ ეტაპზე მუშაობაში. აღსანიშნავია, რომ სოციალურ მუშაკებს აღნიშნული ფუნქციები შეიძლება დაეკისროთ, როგორც მათი რეგულარული საქმიანობის ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივ ვითარებაში არ გულისხმობს გადაუდებელ მდგომარეობებზე რეაგირებას. ასევე სოციალური მუშაკები ჩართულნი არიან საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაში, როგორც ჰუმანიტარული ორგანიზაციების და გადაუდებელ მდგომარეობებში მომუშავე გუნდების ნაწილი. როგორც ზემოთ აღინიშნა, განსხვავებული გამოცდილებისა და მუშაობის პრინციპების გამო, შესაძლოა ამ სოციალურმა მუშაკებმა გამოავლინონ განსხვავებული მიდგომები და თავიანთი საქმიანობა დააფუძნონ მეტნაკლებად განსხვავებულ სამუშაო პრინციპებს (Alston et al., 2019).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გადაუდებელ სიტუაციებში სოციალური მუშაკების ფუნქციები, რომლებიც სოციალური მომსახურებების მუშაკთა გლობალურმა ალიანსმა გამოავლინა, როგორც COVID-19 პანდემიის დროს სოციალური მუშაკების წამყვანი ფუნქციები (GSSWA, 2020). აღნიშნული საქმიანობის შესრულებაზე ინფორმაცია ეყრდნობა 35 ქვეყნის 219 წარმომადგენლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. სოციალური მომსახურებების ეს მუშაკები დასაქმებულნი იყვნენ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებში, მათ შორის ჰუმანიტარულ ორგანიზაციებში (GSSWA, 2020).

ცხრილი 2: COVID-19 პანდემიაზე რეაგირების მაგალითზე, გადაუდებელ სიტუაციებში სოციალური მუშაკების ფუნქციები

მხარდაჭერა	პრევენცია	რეაგირება
ადვოკატობა, რათა მოხდეს გლობალური ჯანდაცვის რისკებზე რეაგირებაში სოციალური მუშაკის მნიშვნელოვანი როლის აღიარება	განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფებისა და ინდივიდების **იდენტიფიცირება** და მათ საჭიროებებზე ადაპტირებული მიდგომების შემუშავება	**ძალადობის მაღალი რისკების გამოვლენა და რეაგირება**
სააგენტოთაშორისი და მულტიდისციპლინური მუშაობის **კოორდინირება**	**თემების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა,** თემის ძირითადი საჭიროებებისა და ინტერესების გამოსავლენად	სოციალური **მომსახურებების მიწოდება** და სხვა საჭირო მომსახურებების მიწოდების ხელშეწყობა
მოსახლეობის **განათლება,** უსაფრთხო ქცევის დასანერგად და სტიგმის შესამცირებლად	**ფსიქოსოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა** დისტანციურად ან ადგილზე	**ალტერნატიული ზრუნვის საჭიროების დადგენა** და ოჯახურ გარემოში დროებითი განთავსება
პრევენციისა და მკურნალობის განახლებული პროტოკოლების შესახებ ცოდნის რეგულარული განახლება და დანერგვის **მონიტორინგი**	**ჭიშკრის დარაჯობის პრინციპების** გამოყენება, გართულებების და ოჯახების განცალკევების თავიდან ასაცილებლად	**შემთხვევის მართვა**
	პანდემიის გავრცელების შესამცირებლად, **ინფიცირებულებთან კონტაქტების იდენტიფიცირება**	**გარდაცვლილთა ოჯახების მხარდაჭერა**

წყარო: GSSWA, 2020

ასევე საგულისხმოა ქართველი სოციალური მუშაკების გამოცდილება, რომლებმაც პანდემიის პერიოდში მუშაობისას გამოკვეთეს საგანგებო მდგომარეობაში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოწვევები:

- საგანგებო ვითარებაში პრაქტიკული სახელმძღვანელო მითითებების ნაკლებობა, მათ შორის, სპეციალური საჭიროების მქონე ჯგუფებთან ინტერნეტით მუშაობისთვის (მაგ.: ხანდაზმული პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქუჩაში)
- პროფესიონალური ზედამხედველობის სუსტი პრაქტიკა, განსაკუთრებით კი საგანგებო ვითარების დროს არსებული სტრესის, გადაწვის, რთულ და უცნობ გარემოებებთან გამკლავების, დისტანციურად მუშაობის სირთულეების გადასალახად მხარდაჭერის ნაკლებობა
- ტრანსპორტის სრული შეზღუდვისა და ქვეყანაში გამოცხადებული ლოქდაუნის გამო, სოციალური მუშაკებისთვის გამოწვევას წარმოადგენდა საგანგებო ვიზიტების და სხვა საქმიანობის განხორციელება
- დისტანციურად მუშაობისას, სახელმწიფო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებსა და პროგრამებზე წვდომის არარსებობა, მაშინ, როდესაც ამ ინფორმაციის ფლობა აუცილებელი იყო შემთხვევების ეფექტურად მართვისთვის

- ქეისებთან, მათ შორის, გადაუდებელ შემთხვევებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების შესუსტება
- ბიუროკრატიული შეზღუდვები, რომლებიც ხელს უშლიან სოციალურ მუშაკებს კლიენტების საჭიროებებზე სწრაფ რეაგირებაში (Partskhaladze et al., 2020).

აღნიშნული გამოწვევები დიდწილად რელევანტურია სხვა ქვეყნებისთვის და სხვა სახის საგანგებო მდგომარეობების შემთხვევაში, ამიტომ მნიშვნელოვანია შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა, სოციალური მუშაობის სფეროს ლიდერებმა და აკადემიამ გაითვალისწინონ გადაუდებელ მდგომარეობაში მუშაობისთვის სოციალური მუშაკების მზაობის შექმნის აუცილებლობა, შეიმუშაონ და დანერგონ შესაბამისი გაიდლაინები, გააუმჯობესონ გადაუდებელ ვითარებაში მუშაობასთან დაკავშირებული თემების სწავლების პრაქტიკა. ამ საქმიანობაში მაკროდონის სოციალური მუშაკების ჩართულობა ხელს შეუწყობს საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირების პოლიტიკის დოკუმენტებში სოციალური მუშაკების როლის სრულფასოვნად ასახვას და პროფესიის განვითარების გრძელვადიან მიზნებში შესაბამისი მიმართულებების განვითარებას.

თავის შეჯამება

მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის სოციალური მუშაობის პრაქტიკის განხილვა მე-14 თავში იწყება ხანდაზმულებთან და საგანგებო სიტუაციაში მყოფ პირებთან მუშაობის სპეციფიკის განხილვით. მომდევნო თავი ეხება სხვადასხვა გარემოებაში, მათ შორის, საგანგებო ვითარებაში მყოფ ბავშვებთან მუშაობას. აღნიშნული თავისთვის და, ზოგადად, სოციალური მუშაობის თანამედროვე პრაქტიკისთვის, როგორც მაკრო-, ასევე მეზო- და მიკროდონეებზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცხოვრების ხარისხის კონცეფციას, რომელიც, არსებობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, ჩამოყალიბდა მრავალგანზომილებიან სოციალურ კონცეფციად და იზომება სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით. ცხოვრების ხარისხისთვის გარემოებების დიდი მნიშვნელობა განაპირობებს ადამიანების მიერ საგანგებო სიტუაციებში ცხოვრების ხარისხის დომენებისთვის განსხვავებული წონის მინიჭებას. კოვიდ-19 პანდემიის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ შფოთვის მაღალი დონის შემთხვევაში, ადამიანების ცხოვრების ხარისხი საგრძნობლად უფრო დაბალი იყო კარანტინში მყოფ, იმავე სოციოეკონომიკური კლასის წარმომადგენელ სხვა პირებთან შედარებით და, ასევე, პანდემიის წინა პერიოდში, მათივე ცხოვრების ხარისხთან შედარებით (Ferreira, 2021).

წინამდებარე თავში ორი სამიზნე ჯგუფის წარმოჩენა განპირობებულია, ერთი მხრივ, მსოფლიოში მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებებითა და ერების დაბერებით, მეორე მხრივ კი, ბოლო ათწლეულებში მსოფლიო მასშტაბით არსებული ჰუმანიტარული საგანგებო მდგომარეობების სიხშირის მნიშვნელოვანი ზრდით. აღნიშნული ტენდენციების გამო, კიდევ უფრო კარგად გამოიკვეთა იმის აუცილებლობა, რომ სოციალურმა მუშაკებმა იცოდნენ ხანდაზმული პირების საჭიროებები და მათთან მუშაობის სპეციფიკა. ასევე, ჰქონდეთ საგანგებო მდგომარეობაში ინდივიდებთან, თემებთან და საზოგადოებასთან სოციალური მუშაკებისთვის საჭირო კომპეტენციები. თუმცა არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ სოციალური მუშაკები, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი ჰუმანიტარული რეაგირების ორგანიზაციებში ან არ არიან გე-

რონტოლოგიური სოციალური მუშაკები, ხშირად არ არიან მზად ამ ჯგუფებთან მუშაობისთვის (Alston et al., 2019; Hooyman & Kiyak, A., 2021). ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული თემები სრულფასოვნად იყოს ინტეგრირებული სოციალური მუშაობის აკადემიურ განათლებაში, პრაქტიკის სწავლებაში და უწყვეტ განათლებაში.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. ცხოვრების ხარისხის განმარტების და ძირითადი დომენების გათვალისწინებით, განიხილეთ თქვენი ცხოვრების ხარისხისთვის მნიშვნელოვანი ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმები.
2. იმსჯელეთ ხანდაზმული ასაკის ქრონოლოგიურ, ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტებზე.
3. იმსჯელეთ ხანდაზმულთათვის გაეროს პრინციპების შესახებ და საქართველოს სოციალური მომსახურებების მაგალითზე, განიხილეთ ამ პრინციპების შესრულების თვალსაზრისით არსებული მიღწევები და გამოწვევები. რა როლი შეიძლება შეასრულოს თქვენთვის კარგად ნაცნობ ნებისმიერ სფეროში მომუშავე სოციალურმა მუშაკმა ხანდაზმულთათვის გაეროს პრინციპების დანერგვის ხელშესაწყობად?
4. არსებობს თუ არა გადაუდებელ სიტუაციაში ხანდაზმული პირის გაზრდილი მოწყვლადობის რისკი? განიხილეთ ხანში შესული და დღეგრძელი ადამიანების მაგალითები.
5. როგორია გადაუდებელ სიტუაციაში სოციალური მუშაკის შესაძლო როლი მიკრო-, მეზო- და მაკროდონეებზე და რამდენად არის სოციალური მუშაობის ეს ფუნქციები დამკვიდრებული საქართველოს პრაქტიკაში? მოიყვანეთ მაგალითები.

გამოყენებული ლიტერატურა:

Aldrich, R. (2010). The ageing demographic transition: The impact on elderly and social Workers. New Zealand Social Work

Alston, M., Hazeleger, T., Hargeaves, D. (2019). Social Work and Disasters. A Handbook for Practice. Routledge

Baik, S. & Davitt, J. (2022) Factors Associated ith Attitudes Toward Older Adults in Social Work Students: A Systematic Review. Journal of Gerontological Social Work, 65:2

Bearsley, C. (1997). No Place Called Home: Quality of Life and Meaning in Life of Homeless Youth. Faculty of Heath and Behavioural Sciences, Deakin University

Bennett, C. (2015) The Development Agency of the Future: Fit for Protracted Crises? ODI Working Paper. London: Overseas Development Institute

Beresford, P. Croft, S. & Adshead, L. (2008). 'We Don't See Her as a Social Worker': A Service User Case Study of the Importance of the Social Worker's Relationship and Humanity. British Journal of Social Work 38(7)

Boria, M. (2016). Human Trafficking and Natural Disasters: An Empirical Analysis. Boston College

Brown, D. & Donini, A. (2014). Rhetoric or reality? ALNAP Study. London: ALNAP/ Overseas Development Institute

Carole, C., & Pardasani, M. (2017). Aging and Human Rights: a Rights-Based Approach to Social Work with Older Adults. Journal of Human Rights and Social Work, 2

Christie, N., L. Griffin, N. Chan, J. Twigg and H. Titheridge. 2016. Private needs, public responses. Vulnerable people's flood-disrupted mobility. Disaster Prevention and Management: An Inter-national Journal, 25

Clarke, P.K., Stoddard, A., & Tuchel, L. (2018). The State of the Humanitarian System. ALNAP Study. London: ALNAP/ Overseas Development Institute

CRC (2023). Data and Statistics | Aging (cdc.gov)

Cummins, R. A. (2005). Moving from the Quality of Life Concept to a Theory. Journal of Intellectual Disability Research, 49

Curbelo, T. (2021). Exploring the Relationship Between Humanitarian Emergencies and Human Trafficking: A Narrative Review. Journal of Modern Slavery

Daniel, M., Cargo, M., Marks, E., Paquet, C., Simmons, D., Williams, M., Rowley, K., & O'Dea, K. (2008). Rating health and social indicators for use with indigenous communities: A tool for balancing cultural and scientific utility. Social Indicators Research doi: 10.1007/s 11205-008-9420-7

Davies, M. (2008). The Blackwell Companion to Social Work. 3rd Ed. Blackwell Publishers

Dowd, E. & Kowal, P. (2001). Definition of an older person. Proposed working definition of an older person in Africa for the MDS Project. Research of Aging in Africa

Dubois, M. (2018) The New Humanitarian Basics. HPG Working Paper. London: Humanitarian Policy Group/Overseas Development Institute

Eurobarometer. (2012). Active ageing. Report (Special Eurobarometer 378)

Ferreira, L., Pereira, L. & Ilchuk, K. (2021). Quality of life under the COVID-19 quarantine. Quality of Life Research, 30

Gabel, F., Kruger, M. & Morsut, C. (2022). Bringing the Gaps between Vulnerable Groups and Vulnerable Situations. Uniter Nations Office for Disaster Risk Reduction

Gabriel, Z. & Bowling, A. (2004). Quality of life from the perspectives of older people. Ageing and Society, 24

Ghenta, M., Matei, A., Mladen, L. & Stanescu, S. M. (2022). Quality of Life of Older Persons: The Role and Challenges of Social Services Providers. International Journal of Environmental Research and Public Health 19(14)

Gilman, R. and Huebner, S. (2003). A Review of Life Satisfaction Research with Children and Adolescents. School Psychology Quarterly, Vol. 18, No 2

GSSWA (2020). The State of the Social Service Workforce 2020: Responding, Adapting and Innovating during COVID-19 and beyond

Hakkert, R. (2017). Population Dynamics in Georgia – An Overview Based on the 2014. General Population Census. Geostat; UNFPA

Hilhorst, D. & Bankoff, G. (2004). Mapping vulnerability: Disasters, development, and people. London. Sterling VA. Earthscan Publications

Hooyman, N. & Kiyak, A. (2021). Social Gerontology – A Multidisciplinary Perspective. Pearson

Independent Evaluation Group (2019). Approach Paper World Bank Support to Aging Countries. IEG & WB

Inter -Agency Standing Committee (IASC) (2013). The Centrality of Protection in Humanitarian Action. Statement by the Inter-Agency Standing Committee

Inter -Agency Standing Committee (IASC) (2016). Protection in Humanitarian ActionInternational

Red Cross and Red Crescent (ICRC) (1994). Code of Conduct for the International Red Cross and Red Crescent Movement and Non-Governmental Organizations (NGOs) in Disaster Relief. ICRC and

IFRCInternational Red Cross and Red Crescent (ICRC) (2015). The Fundamental Principles of the International Red Cross and Red Crescent Movement: A Critical Historical Perspective.

Geneva International Federation of Red Cross and Red Crescent Societies (IFRC) (2018). World Disasters Report 2018. Leaving no one behind. Geneva, Switzerland

International Organization for Migration (IOM) (n.d.). Emergency Manual. International Organization for Migration

Jimenez-Sotomayor MR, Gomez-Moreno C, Soto-Perez-de-Celis E. (2020). Coronavirus, ageism, and Twitter: an evaluation of tweets about older adults and COVID-19. J Am Geriatr Soc. 2020;68:1661–5. https://doi.org/10.1111/jgs.16508.

Kane, M. (2004). Ageism and Intervention: What Social Work Students Think about Treating People Differently because of the Age. Educational Gerontology, 30

Kane, M. (2006). Social work students' perceptions about incompetence in elders. Journal of Gerontological Social Work, 47

Kirst-Ashman, K., & Hull, Jr. G. (2006). Understanding generalist practice (4th ed.). California: Thomson Learning

Krocks, A., Wedel, R. & Roxia, H. (2018). Building Bridges Between International Humanitarian and Development Responses to Forced Migration: Review of Conceptual and Empirical Literature with a Case Study on the Response to the Syria Crisis. German Institute for Development Evaluation

Kuchler, H. (2020). Silicon Valley ageism: 'They were, like, wow, you use Twitter?'. Financial Times, 30 July 2017

Lautar, C. J. (2015). Quality of Life Indicators and Their Impact on Social Work Practice. Egyptian Journal of Social Work

Levy, B. (2001). Eradication of ageism requires addressing the enemy within. Gerontologist, 41(5)

Lie, J. (2020). The humanitarian-development nexus: Humanitarian principles, practice, and pragmatics. Journal of International Humanitarian Action

Martindale, K. & Phillips, R. (2009). Applying quality of life in mental health social work practice. New Zealand Social Work 21(4)

Massachusetts Senior Action (2011). Senior Action Leader. Volume 1. Dorchester, MA: Author

Matikka, L. M. (2001). Service-oriented Assessment of Quality of Life of Adults with Intellectual Disabilities. FAMR Research Publications, No. 83. Finish Association on Mental Retardation Michalos, A. (2002). Assessing Quality of Life and Living Conditions to Guide National Policy

National Association of Social Workers (2011). PACE: Building Political Power for Social Workers. Washington, DC. http://www.naswdc.org/pace

National Center for Disease Control (2023). National Center for Health Statistics. FastStats – Life Expectancy (cdc.gov)

Novek, S. (2013). Exploring the Impacts of Senior Centres on Older Adults. Winnipeg, MB: Centre on Aging. Senior_centre_report.pdf (gov.mb.ca)

Parkinson, L., Warburton, J., Sibbriea, D. and Byles, J. (2010). Volunteering and older women: Psychosocial and health predictors of participation. Aging and Mental Health 14(8)

Partskhaladze, N., Sadzaglishvili, S. and Gigineishvili, K. (2020). Role of the Georgian Association of Social Workers in supporting the Covid-19 response in Georgia. SJRCC Special Feature: Reflections on COVID-19. Scottish Journal of Residential Child Care

Pauw, M. (2017). Toward a New UN Convention on the Rights of Older Persons

Proag, V. (2014). The Concept of Vulnerability and Resilience. Procedia Economics and Finance 18

Quarantelli, E.L., Lagadec, P. & Boin, A. (2006). A heuristic approach to future disasters and crises. In H. Rodriguez, E.L. Quarantelli & R. Dynes (Eds.), Handbook of disaster research (pp. 16-41). New York: Springer

Schmid, B. & Raju, E. (2021). Humanitarian Crisis and Complex Emergencies: Burden of Disease, Response, and Opportunities for Global Health. Handbook of Global Health

UN (1948). The Universal Declaration of Human Rights. General Assembly resolution 217 A

UN (1991). United Nations Principles for Older Persons

UN (2002). Political Declaration and Madrid International Plan of Action on Ageing. Second World Assembly on Ageing. Madrid, Spain

UN (2013). World population aging. New York: Author

UN (2022). UN Decade of Healthy Ageing 2021-2030. UN Decade of Healthy Ageing – The Platform

UN (2001). United Nations Population Division -Population and Development Section Brief

UNHCR (2015). Handbook for Emergencies. Fourth edition. UNHCR

UNHCR (2023). Press Briefing. UNHCR: Number of humanitarian emergencies in 2023 the highest in a decade | UNHCR

UN (2017). World population ageing – Highlights (ST/ESA/SER.A/430). https://www.un. org/en/development/desa/population/publications/pdf/ageing/WorldPopulationAgeing2019-Highlights.pdf

UNECE (2012). Active Ageing and Quality of Life in Old Age. UN, New York and Geneva

UNDRR (2021). Vulnerability. https://www.undrr.org/terminology/vulnerability

University of Central Florida (2024). The Disaster Management Cycle: 5 Key Stages UCF Online

WHO (2016). The World report on ageing and health. World Health Organization

WHO (2024). The true death toll of COVID-19. Estimating global excess mortality. The true death toll of COVID-19: estimating global excess mortality (who.int)

World Bank (2022). World Development Report. World Development Report 2022: FINANCE for an Equitable Recovery (worldbank.org)

World Health Organization (2019). Decade of Healthy Aging 2020-2030. Decade of Healthy Ageing: Plan of Action (who.int)

Wacker, R. & Roberto, K. A. (2008). Community Resources for Older Adults. Thousands Oaks, CA: Sage.

World Health Organization (2021). Global Report on Ageism. Geneva, WHO

World Health Organization (n.d.). Frequently asked questions. https://www.who.int/about/frequently-asked-questions

World Health Organization Quality of Life Group (1999). WHOQOL: Annotated Bibliography, October 1999 Version. Department of Mental Health, World Health Organization, Geneva

World Health Organization. (2019). Global health and aging. National Institute on Aging, National Institute of Health, U.S. Department of Health and Human Services. https://www.who.int/ ageing/publications/global_health.pdf

World Health Organization. (2002). Active ageing: a policy framework

ადამიანის უფლებათა ცენტრი (2022). ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში. HRC.

ბრუნი, ბ. და ჭითანავა, მ. (2017). მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა. UNFPA.

კიკნაძე, ე. (2020). მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება. საქართველოს ეკონომიკა.

საქართველოს მთავრობა (1997). საქართველოს კანონში საგანგებო მდგომარეობის შესახებ. 3576-Iს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2024). გარდაცვალება – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge).

ფარცხალაძე, ნ. (2020). ცხოვრების ხარისხი, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის შეფასების მეთოდი. სადოქტორო დისერტაცია.

ნინო შატბერაშვილი

თავი 15

სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკა მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის: ბავშვები ოჯახებში, ზრუნვის ალტერნატიულ მომსახურებებში, საგანმანათლებლო სისტემაში, სასჯელაღსრულების სისტემაში

შესავალი

წინამდებარე თავში წარმოდგენილია ცხოვრების ხარისხის კონსტრუქტები, რომლებზე დაყრდნობითაც ფასდება ბავშვის კარგად ყოფნის დონე. მასში მიმოხილულია რა არის ბავშვების ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფისთვის საჭირო, რა ქმედებების გატარებას მოითხოვს ბავშვების კარგად ყოფნა და კეთილდღეობა.

ავტორი ცდილობს მკითხველს დაეხმაროს იმის გააზრებაში, თუ რატომ არის აუცილებელი ინვესტირება ბავშვებში. ის მკითხველს აცნობს ბავშვობის საზიანო გამოცდილების შედეგებს ბავშვების ცხოვრების ხარისხზე; წარმოადგენს ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკის მიდგომებსა და ინსტრუმენტებს; პოლიტიკის შეფასების მიდგომებს ბავშვებსა და ოჯახებზე მისი ზეგავლენის შესაფასებლად.

თავში მიმოხილულია სოციალური მუშაკის როლი ბავშვზე ზრუნვის, მართლმსაჯულებისა და განათლების სისტემაში. ის აცნობს მკითხველს ამ სისტემებში არსებულ მიღწევებს, გამოწვევებსა და სირთულეებს; ცდილობს დაეხმაროს მათ მაკროპრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო ამოცანების დასახვაში.

ცხოვრების ხარისხის კონცეფცია ბავშვებთან მუშაობისას

ცხოვრების ხარისხის კონცეფციის გაცნობა წინა თავში დავიწყეთ, ამიტომ წინამდებარე თავი ამ კონცეფციას ბავშვთა კეთილდღეობის პრიზმით განიხილავს. კამინსი (Cummins, 1996, 1997), ცხოვრების ხარისხის კონსტრუქციის წარმოდგენისას, მისი გაზომვისადმი ორ ძირითად მიდგომას გვაცნობს:

1. ერთი მთლიანობა („როგორ აღიქვამ მთელ შენს ცხოვრებას?“)
2. ცხოვრების განსხვავებულ სფეროთა კომპოზიცია.

ბავშვების შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სუბიექტურ ფაქტორს ენიჭება, რადგან, არა თავად მოვლენას აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იმას, თუ რას განიცდის ამ დროს ბავშვი, როგორ აღიქვამს ის მის გარშემო არსებულ სიტუაციას. ამასთან, მათი ცხოვრება განსხვავებულ სფეროთა ლიმიტირებული კომპოზიციით ხასიათდება. ამიტომ, შედარების ან დეფიციტის შევსების ასპარეზიც შემოსაზღვრული აქვთ. სწორედ ეს აკისრებს ოჯახს, მათ ახლო გარემოცვას, სკოლას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მათი ცხოვრების ხარისხის დონის განსაზღვრაში. კამინსის თანახმად, მთლიანად რომ მოვიცვათ ადამიანის ცხოვრება, ცხოვრების ხარისხის კონსტრუქციაში ორივე, სუბიექტური და ობიექტური, განზომილება უნდა იყოს (Cummins, 2005).

ობიექტური კომპონენტები თვალსაჩინო და დათვლად ფაქტებს ეფუძნება, რომლებიც დაკავშირებულია *კარგი ცხოვრების* არაერთ ობიექტურ კრიტერიუმთან (მაგ., მეგობრების რაოდენობა, სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობის მაჩვენებელი, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა და ა.შ.). სუბიექტური კომპონენტი კი საკუთარი სოციალური ცხოვრების პირობების პიროვნებისეულ განსჯას და შეფასებას ეფუძნება. არაერთი კეთილდღეობის თეორეტიკოსი სუბიექტური განზომილებების დომინირებაზე საუბრობს ცხოვრების ხარისხის მსაზღვრელად. მათი აზრით, ცხოვრების ხარისხი განისაზღვრება სწორედ პიროვნების გამოცდილებების საფუძველზე (Noll, 2002; Andrews, Withey, 1976; Campbell et al., 1976).

დალი (2011) კარგად ყოფნას სამი კომპონენტით აფასებს: ცხოვრებით კმაყოფილება, პოზიტიური განწყობის არსებობა, ნეგატიური განწყობის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური გარემო იცვლება, ცხოვრების ხარისხის სუბიექტური მდგენელები (შესაბამისად, სუბიექტური კარგად ყოფნის მდგენელები) დროთა განმავლობაში არ იცვლება (Cummins et al., 2012; Eid, Diener, 2004; Heady, Wearing, 1989; Diener, Suh, 1997). როდესაც 1998 წელს კამინსმა წარმოადგინა ტერმინი *ჰომეოსტაზი,* რათა აღეწერა სუბიექტური კარგად ყოფნის მართვის ძირითადი მექანიზმი (Cummins, 2010; Cummins et al., 2012) ნათელი გახდა, რა უნდა იყოს სოციალური კეთილდღეობის სისტემის მთავარი სამიზნე. ის ასე აღწერს მექანიზმის მუშაობას: ჰომეოსტაზური სისტემები სუბიექტურ კარგად ყოფნას მყარად ინარჩუნებენ დადგენილი ნიშნულის სიახლოვეს, მიუხედავად გარეგანი (მაგ., ფული) და შინაგანი (მაგ., ადაპტაციის ავტომატური პროცესი) ბარიერებისა. მაგრამ სუბიექტურ კარგად ყოფნას თუ დაუძლეველი სირთულე გადაეღობება (მაგალითად, ოჯახის წევრის სიკვდილი), ჰომეოსტაზი აღარ მუშაობს (Cummins, 2000, Cummins et al., 2012). ეს ნიშნავს, რომ ადრეული ასაკიდანვე მნიშვნელოვანია მაქსიმალური რესურსის მიმართვა ბავშვის განვითარების ხელშეწყობისათვის. როდესაც ვამბობთ „ბავშვის“, ცხადია იგულისხმება მისი ოჯახიც, რომ მათ შეძლონ მათი მშობლობის პასუხისმგებლობების ჯეროვნად აღსრულება. ხოლო, თუ ჰომეოსტაზური მექანიზმი ვეღარ მუშაობს, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს მხარდამჭერი მომსახურებები, რომელსაც, შინაგანი გამკლავების მექანიზმის წარუმატებლობის შემთხვევაში, მივაწოდებთ ადამიანს.

დოელმა და გაფმა (1991), შექმნეს რა ადამიანის *საჭიროების ეთიკური თეორია,* ხაზი გაუსვეს ადამიანისთვის სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობას. მათი სოციალური ორიენტაცია ნათელყოფილია მათ დასკვნაში, რომ არსებობს ორი უნივერსალური საჭიროება: ზიანის მიღების არიდება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უნარი. ამ საჭიროებების დაკმაყოფილების პრერეკვიზიტი კი არის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა და აგენტის ავტონომია (რომ ადამიანს შეეძლოს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება), ჯანმრთელობისთვის აუცილებელი საკვები და სუფთა წყალი, დაცული სახლი და არასაზიანო სამუშაო, უსაფრთხო ფიზიკური გარემო, უსაფრთხო შობადობის კონტროლი, ბავშვის აღზრდაში მხარდაჭერა და შესაბამისი სამედიცინო ზრუნვა. ავტონომიას კი სჭირდება: უსაფრთხოება ბავშვობაში, მნიშვნელოვანი პირველადი ურთიერთობები, ფიზიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, შესაბამისი განათლება. ეს სოციალურად შედარებითია და, შესაბამისად, განსხვავდება საზოგადოებიდან საზოგადოებამდე.

არაერთმა კვლევამ ნათლად ცხადყო, რომ ძლიერია კორელაცია ადამიანის მიერ ბავშვობის საზიანო გამოცდილების (Adverse Childhood Experience (ACE)) ინტენსივობასა და ჯანმრთელობის უარყოფით შედეგებს შორის, რომლებსაც სიკვდილის გამომწვევ დაავადებებამდეც კი მიჰყავს ადამიანი. ადამიანები, 6-ზე მეტი ბავშვობის საზიანო გამოცდილებით, 29 წლით ადრე კვდებიან, ვიდრე ასეთის არმქონენი (Bucci, Marques, Oh, Harris, 2016; Jansson, Simon, Barman-Adhikari, 2016). ზრდასრულს, 4-ზე მეტი ბავშვობის დროინდელი საზიანო გამოცდილებით, აქვს 4-12-ჯერ მეტად დეპრესიისა და დამოკიდებულებების პრობლემები, თვითმკვლელობის მცდელობის ალბათობა; 2-4-ჯერ მეტად თამბაქოს მოხმარების, სექსუალური პარტნიორების ცვლის ისტორია; 1,5-ჯერ მეტად სიმსუქნისა და ფიზიკური უმოქმედობის ისტორია; ასევე, ადამიანებში, ბავშვობის დროინდელი საზიანო გამოცდილების შემთხვევების მატებასთან ერთად, მატულობს იმგვარი დაავადებები, როგორებიცაა: ავთვისებიანი სიმსივნე, ღვიძლისა და ფილტვის ქრონიკული დაავადებები (Felitti et al., 1998; Jansson, 2016).

ადრეულ ჩარევაზე სოციალური პოლიტიკის, მათ შორის, კეთილდღეობის, განათლების და სხვა სოციალური სფეროს თეორეტიკოსები და მკვლევრებიც ამახვილებენ ყურადღებას (Esping-Andersen, 2002, 2007; Krieger, 1969; Newman-Williams & Sabatini, 2000; Giele & Holst, 2004; Georg, 2004; Gitterman & Schulman, 2005; OECD, 2019, UNICEF, 2013). ამგვარი საჭიროება ვლინდება საქართველოს სკოლებსა და ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების ფსიქოემოციური და ქცევითი პრობლემების ფონზე, რაც მომსახურებების მიმწოდებელთა ინფორმაციითა და გამოცდილებითაა ცნობილი. სხვადასხვა ქვეყანაში ამგვარი კვლევები ტარდება და მომსახურებებიც ამ კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ფორმირდება. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს ჯანმრთელობის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ყოველ მერვე ბავშვსა ან მოზარდს ინგლისსა და უელსში, სულ მცირე, ერთი მენტალური პრობლემა აღმოაჩნდა შეფასებისას, 2017 წელს (Coburn, 2019). სამწუხაროდ, რადგან ამგვარი კვლევები არ ტარდება საქართველოში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში გადმომისამართებულ მოსწავლეთა პროფილებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი განხორციელება აუცილებელია, რათა დროულად და პრევენციულად მოხდეს მომსახურებების მიწოდება.

ბავშვების მხარდაჭერა ოჯახებსა და ზრუნვის ალტერნატიულ მომსახურებებში

ბავშვებში ინვესტირების აუცილებლობა საკამათო თემა არ უნდა იყოს 21-ე საუკუნეში. ამ თემით დაინტერესება მრავალი დიადი თუ პრაქტიკული მიზეზით შეიძლება აიხსნას. დიად იდეათა ჩამონათვალში ლიდერობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბავშვები ჩვენი მომავალია და რადგან ისინი ჩვენზე დამოკიდებული პირები არიან, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მათი განვითარებისათვის; პრაგმატულ მოსაზრებათა ჩამონათვალში ლიდერობს მოსაზრება, რომ თანამედროვე ეკონომიკა მოითხოვს მომავალ მუშახელს გაუმჯობესებული უნარებითა და ცოდნით, და რომ დღეს ინვესტირება ბავშვებში ხვალინდელი ძლიერი ეკონომიკისა და სოციალური სტაბილურობის გარანტია. მაგრამ ამ მოსაზრებების მიღმა ერთი მარტივი ჭეშმარიტებაა, რაც ყველას მოტივაციაზე მოქმედებს: თითოეული ჩვენგანი იყო ბავშვი, ყველას აქვს სასიამოვნო და

უსიამოვნო მოგონებები, მომავლის განმაპირობებელი ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები. ამიტომ, ყველას გვესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ხელშეწყობას მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებისათვის. აი, ეს არის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, რაც მრავალი პროფესიის წარმომადგენელს იზიდავს ბავშვთა სფეროში სამუშაოდ. ამაში არც სოციალური მუშაკები არიან გამონაკლისები. საქართველოშიც ხომ სწორედ ბავშვთა კეთილდღეობით დაიწყო ჩვენი პროფესია და სოციალურ მუშაკთა პირველი კოჰორტაც გამოკვეთილად ამ მოტივაციით აღტყინებული ხალხი იყო.

რადგან ეს მაკროპრაქტიკის სახელმძღვანელოა, ბავშვზე ზრუნვის, დაცვისა და კეთილდღეობის სფეროში მუშაობის უშუალო პრაქტიკის მიმოხილვას მოვერიდებით და მაკროპრაქტიკაზე ვკონცენტრირდებით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სოციალური მუშაკი ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს მომსახურებების შექმნის, ადმინისტრირებისა და პოლიტიკის ფორმირების დონეზე.

გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია და მასთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ოქმი სავალდებულო დოკუმენტია, რადგან საქართველო კონვენციის ხელშემკვრელი მხარეა 1994 წლიდან. 2016 წელს კი საქართველო კონვენციის მესამე დამატებით ოქმს შეუერთდა. ეს ოქმი ბავშვის უფლებების დაცვის კიდევ ერთი საერთაშორისო მექანიზმია არასრულწლოვანთათვის. 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი საკანონმდებლო აქტი – „ბავშვის უფლებათა კოდექსი“. შესაბამისად, საქართველოში ბავშვებთან დაკავშირებული პოლიტიკისთვის სწორედ ეს დოკუმენტები ქმნიან ჩარჩოს.

რას გულისხმობს ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკა

ზოგადად, ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკა განიხილება, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ყველა სოციალური პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს იმისდა მიხედვით, თუ რა ზეგავლენა მოახდინა მან ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე. ოჯახის პოლიტიკა მოიცავს იმ კანონებს, რომლებიც უშუალოდაა მიმართული ოჯახებისაკენ, მაგალითად: კანონი ოჯახის შესახებ, შემოსავლების ტრანსფერის პოლიტიკა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მომსახურება, ბავშვთა ზრუნვის მომსახურება და ა.შ. ოჯახური პოლიტიკა, გარკვეულწილად, განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ პოლიტიკას და პირიქით. მას შეუძლია დიდი ზეგავლენა მოახდინოს სხვადასხვა სოციალური საკითხის მოგვარებაში, ისევე, როგორც მოქცეს ამა თუ იმ პოლიტიკის პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ. ოჯახი შეგვიძლია გამოვიყენოთ არა მარტო, როგორც ობიექტი, არამედ, როგორც საშუალება სოციალური პოლიტიკის ცვლილებებისათვის.

რთულად წარმოსადგენია ბავშვთა კეთილდღეობაზე ვიფიქროთ მათი ოჯახების კეთილდღეობაზე ზრუნვის გარეშე. ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკა კი შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი პოლიტიკა ოჯახური პრობლემების მოგვარებისაკენ მიმართული პოლიტიკის კურსია პირდაპირი გზით; ხოლო არაპირდაპირი პოლიტიკა მიმართულია ოჯახური პრობლემების მოგვარებისაკენ, მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკური კურსის ფარგლებში, სადაც ოჯახიც ავტომატურად მოიაზრება. მაგალითად: მოსახლეობის ზრდის პოლიტიკა (პრო- და ანტინატალური),

შემოსავლების უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც ბავშვიანი ოჯახებისათვის მისაღები საცხოვრებელი პირობების შექმნაზეა ორიენტირებული, დასაქმების პოლიტიკა მომსახურე მშობლებისათვის, დედათა და ბავშვთა ზრუნვის პოლიტიკა, გენდერული თანასწორობის პოლიტიკა და ა.შ.

არაპირდაპირი პოლიტიკა მოიცავს ღონისძიებებს სხვა პოლიტიკურ ასპექტში – არა ოჯახთან უშუალოდ დაკავშირებული მიზნებისათვის, თუმცა მათ მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ კეთილდღეობაზე. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადმა, რომელიც შექმნილია საშემოსავლო მოსაკრებლის აკუმულირებისათვის, შესაძლოა შეამციროს დაბალშემოსავლიან ოჯახში მუშაობის მოტივაცია; საემიგრაციო ან დასაქმების ბაზრის პოლიტიკამ შესაძლოა გამოიწვიოს ოჯახების სეპარაცია, რადგან მეუღლეთაგან ერთ-ერთი შესაძლოა იძულებული გახდეს დატოვოს საცხოვრებელი ადგილი, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ძიებაში. საოჯახო პოლიტიკა კონცენტრირებულია ოჯახების მთლიანობის შენარჩუნებაზე, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, ბავშვზე ზრუნვის პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვისა და ოჯახების გაძლიერებისთვის, ერთად აღასრულონ მშობლობის მისია. ეს მათი შემოსავლების დაზოგვასაც იწვევს, რაც მცირდება განქორწინების შემთხვევაში, რადგან ხარჯი საგრძნობლად იზრდება.

თუ შევეცდებით სოციალური პოლიტიკის ჭრილში გავიაზროთ, რა არის შვილის ყოლის საფასური, ვნახავთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ის უკავშირდება პირდაპირ ხარჯებს, როგორიცაა დამატებითი ოჯახის წევრისათვის საჭირო კვების, ჩაცმის და სხვა აუცილებელი ხარჯები. ასეთი ხარჯები კი მარგინალური ეფექტის მქონეა დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის. ამავე დროს, მას ახლავს *შესაძლებლობის საფასური,* რაც ყველაზე მეტად დედის საშემოსავლო შეზღუდვებში გამოიხატება და წარმოადგენს ღირებულების ტვირთს, რომლის ინტერნალიზება თანამედროვე ოჯახებს სულ უფრო ნაკლებად სურთ. პოლიტიკოსები თვლიან, რომ შესაძლებლობის საფასურის საკითხი შეიძლება მოგვარდეს უფრო მეტი დღის ცენტრებისა და უფრო ხანგრძლივანაზღაურებადი შვებულებების საშუალებით. თუმცა ეს არ მუშაობს იმ ქვეყნებში, სადაც დამქირავებლები მშობლობას დიდ საფასურს ადებენ. გამოდის, რომ, ხშირ შემთხვევებში, კარიერის დაწყება დედობაზე უარის თქმას უკავშირდება და ბავშვის საფასური უთანაბრდება ქალის ეკონომიკური დამოუკიდებლობის სარგებელს (Esping-Andersen, 2002). ამიტომ, მნიშვნელოვანია ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკა ხორციელდებოდეს მშობლების მხარდაჭერის პოლიტიკის ფონზე.

ბავშვის განვითარების ყველაზე მეტად განმაპირობებელი ფაქტორია მშობლების განათლების მაღალი დონე ბავშვის განვითარების საკითხებზე. თუ არ შემუშავდა მშობლებიდან შვილებში ისეთი რესურსების გადაცემის მექანიზმში ჩარევის სტრატეგია, მაგალითად, როგორიცაა კოგნიტური უნარები, საქმე წინ არ წავა. რეგრესული სიმულაციის ანალიზს თუ მოვიშველიებთ, ბავშვებში სიღარიბის მაჩვენებლის 10-პროცენტიანი ზრდა გამოიხატება იმ მოწიფული ასაკის ადამიანთა რაოდენობის 8.5-პროცენტიან ზრდაში, რომლებიც ყველაზე დაბალი კოგნიტური უნარებით გამოირჩევიან (Esping-Andersen, 2002). გამოდის, რომ ბავშვობაში ბავშვების განვითარებაზე რესურსების ეკონომიას გრძელ ვადაში უფრო სავალალო შედეგი და მრავალჯერ გაზრდილი დანახარჯი მოაქვს ქვეყნისა და საზოგადოებისათვის. ამ თავში აღარაფერს ვიტყვით შვილოსნობის შესახებ გადაწყვეტილებების ზეგავლენაზე დემოგრაფიულ და, შესაბა-

მისად, ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, რადგან ამაზე ამ სახელმძღვანელოს მე-13 თავშია საუბარი.

შვილებისათვის შესაბამისი მშობლობის გაწევის უუნარობა მოქმედებს არა მხოლოდ მშობლების, არამედ მათი შვილების ცხოვრების ხარისხსა და კარგად ყოფნაზეც. რთულ სოციოეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი მშობლებიცა და შვილებიც გამკლავების განსხვავებულ მექანიზმებს იყენებენ ცხოვრების გამოწვევებთან გასამკლავებლად. მშობლების მხარდაჭერა, მათ მიერ მშობლობის პოზიტიური მიდგომების გამოყენება, მათ მიერ ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევრობა, ბავშვთა განვითარებისათვის პოზიტიური რისკფაქტორია. ეს მძლავრი ფაქტორია ბავშვების სარისკო ქცევების განვითარების პრევენციისთვის (სირბილაძე და კოლეგები, 2019). სწორედ ასეთ დროს მნიშვნელოვანია მკაფიოდ ფორმირებული ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკა, რაც ნიშნავს ბავშვებისათვის ისეთი ცხოვრების პირობების შექმნას, როდესაც მათი გონება, სული და სხეული მათი განვითარების ეტაპის შესაბამისად ვითარდება. ამისათვის აუცილებელი პირობაა:

1. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა ნათლად და მტკიცედ იყოს ჩამოყალიბებული და განსაზღვრული საზოგადოებრივ სექტორში.
2. ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდებოდეს ოჯახის პოლიტიკას, რომელიც მასზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს.
3. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის უმთავრესი მიზანი იყოს ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის დადებითი გარემოს შექმნა.

ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკას შემდეგი მიზნები აქვს:

- გააძლიეროს ოჯახი სოციალურად და ეკონომიკურად, რათა უკეთ შეასრულონ მშობლობის პასუხისმგებლობა;
- გაზარდოს შობადობა და ხელი შეუწყოს დიდი ოჯახების შექმნას;
- პროპაგანდა გაუწიოს ოჯახის დაგეგმარებას;
- გაზარდოს ქალთა შესვლა სამუშაო ბაზარზე;
- გაზარდოს ოჯახებში ქალთა როლი, სანამ ბავშვები პატარები არიან;
- დაიცვას ბავშვები ძალადობის, ექსპლუატაციისა და უგულებელყოფისაგან;
- მხარი დაუჭიროს ქალთა თანასწორობას;
- პროპაგანდა გაუწიოს ქორწინებას და ბავშვზე ზრუნვას, ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად;
- ხელი შეუწყოს სამუშაოსა და ოჯახის ცხოვრების დაბალანსებას;
- დაეხმაროს მოქალაქეებს მშობლობის ფასეულობების გათვითცნობიერებაში;
- დაეხმაროს მშობლებს კრიზისებისა და პრობლემების გადალახვაში.

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტი არსებობს: ფულადი დახმარებები, მომსახურება და კანონები/რეგულაციები.

საქართველოში, მიუხედავად საკმაოდ წარმატებით მიმდინარე ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა, პრევენციული მიდგომა ჯერ ისევ სუსტია და მშობლების ძლიერი მხარდაჭერის პოლიტიკაც ჩანასახის მდგომარეობაშია. კვლევებმა ცხადყო მისი აუცილებლობა ჯერ კიდევ 2010 წელს, როდესაც ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ორივე ტალღა განხორციელდა და, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შთამბეჭდავი შედეგების დემონსტრირების ტყვეობაში, ბავშვები წინდაუხედავად სწრაფი ტემ-

პით დაბრუნდნენ ოჯახებში სააღმზრდელო დაწესებულებებიდან (Shatberashvili, Irimia, 2013; Sakhokia, 2005). რეფორმის ძლიერი მხარე და წარმატების განმაპირობებელი ფაქტორია სოციალურ მუშაკთა აქტიური ჩართულობა. ამჟამად, ჭარბი ბიუროკრატიული ფუნქციების შესრულების გამო, სოციალური მუშაკები ჩამორჩებიან საუკეთესო პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობას. ბავშვზე ზრუნვისა და კეთილდღეობის მომსახურებების საუკეთესო პრაქტიკის ბირთვი კი პრევენციული სამუშაოა. ამ სფეროში დღეს პრაქტიკა შემოიფარგლება მიკროდონის ჩარევით, როდესაც მაკროასპარეზი სოციალურ მუშაკთა აქტიურ ჩართულობას ითხოვს. ის, რომ დღეს საქართველოში ისევ არასრულყოფილი მიკროპრაქტიკა ხორციელდება (როგორებიცაა: გადამისამართება, მომსახურებების კოორდინირება, შემთხვევის მართვა) ყველაზე მოწყვლად სეგმენტთან მუშაობისას, რომელიც ვერ სწვდება კონსულტირებისა და თერაპიის კომპონენტებსაც კი, ნათელყოფს მიკროპრაქტიკის განოყიერების აუცილებლობას (Shatberashvili, Irimia, 2013). ამასთან, დრო მოვიდა მაკროპრაქტიკის აქტუალიზაციისთვის, რადგან არავინ იცის ბავშვთა პრობლემები სოციალურ მუშაკებზე უკეთ და არავის შეუძლია ამ პრობლემების მოგვარებისათვის უკეთ ლობირება.

მომსახურების დახვეწისათვის, უილსონისა და კოლეგების აზრით (2008), ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკის უმთავრესი მოვალეობაა ბავშვთა ზრუნვის საკითხებში იმგვარად ჩარევა, რომ პატივი ვცეთ ბავშვების შეხედულებებს და მხარი დავუჭიროთ მათი ინტერესების დაკმაყოფილებას. ბავშვის მონაწილეობის შესახებ ცოდნა დაბალია, არ არის შემუშავებული ბავშვის მონაწილეობის სახელმძღვანელო პრინციპები ან შეფასების ინსტრუმენტები სპეციფიკური და გაზომვადი ინდიკატორებით. არადა, მე-12 საბჭოს მიერ 2012 წელს შემუშავებული რეკომენდაციები მკაფიოდ წარმოაჩენს ამგვარი ინსტრუმენტების არათუ შემუშავების, არამედ გავრცელების მნიშვნელობას (Council of Europe, 2016). ბავშვის უფლებათა კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს კი პირდაპირი ვალდებულება აქვთ კონვენციის მე-12 მუხლის (ბავშვის მიერ მისი შეხედულებების გამოთქმის უფლების პატივისცემის შესახებ) აღსრულებისა. მნიშვნელოვანია მათი უფლების სუბიექტად აღიარება და, ნაცვლად დამკვიდრებული მზრუნველობითი დამოკიდებულებისა, მშობლებმაც, მასწავლებლებმაც და მზრუნველებმაც რომ მათ მიმართ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა დაამყარონ (ცირამუა, აბაშიძე, 2023).

ამ მიზნების მიღწევის ეფექტიანი გზებია:

1. ჩვენი ცნობიერების ამაღლება და იმის გააზრება, თუ როგორ ზემოქმედებს ჩვენივე ბავშვობის გამოცდილება ჩვენს დამოკიდებულებაზე ბავშვებისადმი;
2. განვავითაროთ ბავშვებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

აუცილებელია, რომ ბავშვები ხარისხიანი ზრუნვის ქვეშ იყვნენ და მომზადდნენ მომავალი ცხოვრებისათვის. მაღალხარისხიანი ზრუნვა განისაზღვრება ორი ურთიერთდამოკიდებული კომპონენტით: პროცესის ხარისხი და სტრუქტურის ხარისხი. პირველი ასახავს ბავშვზე ზრუნვის ხარისხს მზრუნველობის სისტემაში, ხოლო მეორე კი გარემოებით სტანდარტებს, რომლებიც ძირითადად მთავრობის მიერ რეგულირდება.

ბავშვზე ზრუნვის პროცესის ხარისხი შემდეგი ინსტრუმენტებით იზომება:

- ადრეული ბავშვთა განვითარების შეფასების სკალა;
- გარემო პირობების შეფასების სკალა;
- მზრუნველთა ინტერაქციის სკალა.

ბავშვზე ზრუნვის სტრუქტურის ხარისხი კი შემდეგი ინსტრუმენტებით იზომება:

- ჯგუფის ზომა;
- მზრუნველისა და აღსაზრდელის თანაფარდობა;
- მზრუნველის გამოცდილება ამ სფეროში;
- მზრუნველის ფორმალური განათლება;
- მზრუნველის ტრენინგი ბავშვთა დაცვაში.

რამდენადაც ადვილია ზრუნვის სტრუქტურის ხარისხის კონტროლი და რეგულირება, იმდენად რთული და რესურსდამოკიდებულია პროცესის ხარისხის მონიტორინგი. ამისათვის აუცილებელია არა მხოლოდ კარგად გამართული მონიტორინგის მექანიზმი და მაღალკვალიფიციური კადრები, არამედ კარგად ფორმირებული მომსახურებების განვითარების პოლიტიკა. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს არა მხოლოდ მომსახურებების ხარისხის უზრუნველყოფას, არამედ ხარისხის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისთვის მოტივაციის ზრდას ბავშვებისადმი მეგობრული და მხარდამჭერი პოლიტიკის ჩარჩოში. ბავშვების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და/ან უზრუნველყოფა მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი.

რა არის ბავშვზე ზრუნვის სისტემის შედეგების საიმედო საზომი თუ არა:

- **ოჯახში ბავშვის შენარჩუნების მხარდამჭერი ეფექტიანი პოლიტიკა,** რაც იმას ნიშნავს, რომ, რაც უფრო ნაკლები ბავშვი ხვდება ზრუნვის სისტემაში, მით უფრო ეფექტიანია ბავშვზე ზრუნვის პოლიტიკა.
- **ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში ბავშვის შეყოვნების მაჩვენებელი,** რაც იმას გულისხმობს, რომ, რაც უფრო იშვიათად იცვლის ბავშვი ზრუნვის ფორმას და/ან ზრუნვის ერთ ფორმაში ადგილსამყოფელს, მით უფრო ეფექტიანია სისტემა.
- **სისტემაში ბავშვის ყოფნის მაჩვენებელი,** რაც იმას ნიშნავს, რომ, რაც უფრო მცირე დროითაა ბავშვი ზრუნვის სისტემაში და ბრუნდება ოჯახში, მით უფრო ეფექტიანია სისტემა.

მხოლოდ ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი ბავშვზე ზრუნვისა და ბავშვთა დაცვის სისტემების შეფასება. ე.ი. ბავშვთა დაცვის სისტემა მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო მკაფიოდ დაისახავს:

- **ინტერვენციის მიზნად** არა რეაგირებით პოლიტიკას, როდესაც სახელმწიფო მხოლოდ რეაგირებს ბავშვის უკვე დარღვეულ უფლებებზე, არამედ ოჯახის მხარდამჭერ როლს მოირგებს. ამასთან, არა მხოლოდ განყენებულად ბავშვის მხარდამჭერ როლს, არამედ ოჯახის, თუ, რასაკვირველია, ოჯახს ამის მინიმალური რესურსი მაინც გააჩნია.
- **სახელმწიფოს როლად** არა პატერნალისტურ ან მასანქცირებელ, არამედ მხარდამჭერ ფუნქციას.
- **ინტერვენციის მეთოდად** არა სამართლებრივ ჩარევას, არამედ ადრეულს, საჭიროებებზე საპასუხოს, თერაპიულს.
- **სისტემასა და ოჯახს შორის ურთიერთობის ფორმად** არა ჩამნაცვლებელ ან დაპირისპირების, არამედ პარტნიორულს.
- **მიზნად გამოკვეთს** არა ზიანის შემცირებას, არამედ კეთილდღეობისა და *კარგად ყოფნის* ხელშეწყობას, სოციალური შეჭიდულობის გაძლიერებას, პრევენციას.

სწორედ ამის მიხედვით შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ სახელმწიფოს როლის შეფასებისას ბავშვებისა და ოჯახების ცხოვრების ხარისხის დონის გაუმჯობესებისთვის.

როგორც ქვემოწარმოდგენილი ცხრილიდან ვხედავთ, ბავშვზე დაცვის ყველაზე ეფექტიან ფორმად *ოჯახების მომსახურება* შეგვიძლია განვსაზღვროთ, ზემოწარმოდგენილი მიზეზების გამო (Gilbert et al., 2011) .

ცხრილი 1. სახელმწიფოს როლი ბავშვებისა და ოჯახების წინაშე, ბავშვზე ზრუნვის ჭრილში

	ბავშვზე ორიენტირებული	**ოჯახის მომსახურებები**	**ბავშვის დაცვა**
ინტერვენციის მიზანი	ინდივიდუალური ბავშვის საჭიროება ჯანმრთელი და კონტრიბუტ. მოქალაქისთვის	ოჯახს სჭირდება მხარდაჭერა	მშობლები უგულებელყოფენ ან ძალადობენ შვილებზე
სახელმწიფოს როლი	პატერნალისტური/ დეფემილიალისტური – სახელმწიფო განსაზღვრავს მშობლის როლს, თუმცა ცდილობს ბავშვის რეფემილიარიზებას	მშობლების მხარდაჭერა; სახელმწიფო ცდილობს ოჯახური ურთიერთობების გაძლიერებას	სანქცირება; სახელმწიფო, როგორც მეთვალყურე ბავშვის უსაფრთხოებაზე
პრობლემის ჩარჩო	ბავშვის განვითარება და არათანაბარი შედეგი ბავშვებისათვის	სოციალური/ ფსიქოლოგიური	ინდივიდუალური/ მორალისტური
ინტერვენციის მეთოდი	ადრეული ინტერვენცია და მარეგულირებელი/ საჭიროებების შეფასება	თერაპიული/ საჭიროებათა შეფასება	სამართლებრივი/ გამომძიებლური
ინტერვენციის მიზანი	კეთილდღეობის ხელშეწყობა სოციალური ინვესტირება/ თანაბარი შესაძლებლობების შექმნით	პრევენცია/სოციალური შეჭიდულობა	დაცვა/ზიანის შემცირება
სისტემის & ოჯახის ურთიერთობა	ჩამნაცვლებითი/ პარტნიორული	პარტნიორული	დაპირისპირებული
უფლებრივი ბალანსი	ბავშვების უფლებები/ მშობლების პასუხისმგებლობები	მშობლების უფლებებს ოჯახური ცხოვრებისათვის მედიაციას სოციალური მუშაკი უწევს	ბავშვების/მშობლების უფლებები დაცულია კანონის საშუალებით

განსაკუთრებულ ცოდნას ითხოვს ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვებისადმი დამოკიდებულებები და აღზრდის სტილი, დისციპლინირების ფორმები. ახლახან მომზადებული ანგარიშის მიხედვით (ცირამუა, აბაშიძე, 2023), აღმზრდელების პოზიცია, დამოკიდებულებები და პროფესიული ხედვები, რომლებსაც ისინი ავლენენ ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვების მიმართ, არასახარბიელოა. ამას ომბუდსმენის არაერთი მოხსენება და/ან ანგარიშიც ცხადყოფს (სახალხო დამცველი, 2017, 2020). მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, სხვა ბავშვებთან ერთად, ცხოვრობენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები, რომლებსაც ნივთიერებების მოხმარების ან პროსტიტუციაში ჩაბმის გამოცდილება აქვთ. ეს ბავშვები უფრო ხშირად მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ცხოვრობენ, რადგან მინდობით აღზრდაში მათი მოთავსება რთულია. სახელმწიფოს კი ჯერ კიდევ არ აქვს სხვა მიზნობრივი მხარდამჭერი მომსახურებები, სადაც სპეფიციკური პრობლემების მქონე ბავშვები იცხოვრებენ სპეფიციკური ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტებთან და აღ-

მზრდელებთან ერთად (სახალხო დამცველი, 2019). აღნიშნულ კვლევაში გამოვლინდა, რომ თავად აღმზრდელებიც, ბავშვის უფლებების უკეთ დაცვის ბარიერად მიიჩნევდნენ რთული ქცევის მქონე ბავშვების სხვა ბავშვებთან ერთად ყოფნას. მათი აზრით, ისინი სხვა ბავშვების ცხოვრების ხარისხს აკნინებენ. ისინი ხშირად დაწესებულ ნორმებს არღვევენ, რადგან მათი წინააღმდეგობებთან გამკლავებისა და დაწესებული წესებისა და ფასეულობების გააზრების, გაცნობიერებისა და დაცვის მექანიზმი განსხვავებულია. ბავშვები ნათლად ავლენენ რა უჭირთ, თუ მათ ქცევას „წამკითხველი“ და, შესაბამისად, მარეაგირებელი ეყოლება. მათთან მუშაობისთვის კი ცოდნის დეფიციტი ვლინდება აღმზრდელების მხრიდან. ეს სხვა ბავშვებზეც უარყოფით გავლენას ახდენს.

არადა, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების, განსაკუთრებით კი რთული ქცევის ბავშვების პრობლემები „ძალიან ადრეული ჩარევის“ (Aspalter, 2014, p.8) მეთოდს ითხოვს, რადგან ზრდასრულობის პრობლემათაგან მრავალი სწორედ ბავშვობისდროინდელ საზიანო გამოცდილებას უკავშირდება. მაგალითად, ყოველწლიურად უსახლკაროთა 40 პროცენტი სწორედ ზრუნვის სისტემიდან გამოსულთაგან შედგება. მათი 51 პროცენტი დაუსაქმებელია. ასეთივე დისპროპორციული მონაცემებია აშშ-ის მართლმსაჯულების სისტემის მოსახლეობაში (SSI Fact Sheet, 2009; Children Uniting Nations, (n.d.)). თუ სახელმწიფო ხელს არ შეუწყობს ამ ახალგაზრდებს დამოუკიდებელი ცხოვრების რეჟიმზე გადასვლაში, სწავლაში, დასაქმებაში, სოციალური კონტაქტების განმტკიცებაში, სიღარიბის ციკლიც შეიკვრება და არა მხოლოდ ამ ადამიანების, არამედ მათი შვილების ცხოვრების ხარისხის დონეც დაბალი იქნება.

ბავშვების მხარდაჭერა საგანმანათლებლო სისტემაში

ფორმალურსა და არაფორმალურ საგანმანთლებლო გარემოში, ჯანსაღი, მეგობრული, ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომები აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასაც კი უწყობს ხელს, ამცირებს გარიყულობას, ხელს უწყობს მომავალში დასაქმების ბაზარზე დამკვიდრებას (Wodon, et al., 2021). ბავშვებში მენტალური პრობლემების მაჩვენებელი იზრდება მსოფლიოში. ეს მიგვანიშნებს ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისა და კარგად ყოფნისათვის შემაფერხებელი ფაქტორების დროულად გამოვლენის მნიშვნელობაზე და დამცავ ფაქტორთა გაძლიერების საჭიროებაზე. ამისთვის კი აუცილებელია რისკ- და დამცავ ფაქტორებს შორის რთული ურთიერთკავშირის გააზრება ბავშვების მენტალური, ემოციური, ქცევითი პრობლემებისა და სირთულეების განვითარების პრევენციისთვის (Ostaszewski, et al, 2018). ხოლო, გამოვლენილ შემთხვევებზე რეაგირებისათვის ეფექტიანი და დროული ფსიქოსოციალური მომსახურების არსებობაა საჭირო. მაგალითად, ფინეთში 7-დღიანი ლიმიტია დაწესებული პრობლემის იდენტიფიცირებიდან მომსახურების მიწოდებამდე, რაც კრიზისული სიტუაციისას 1 დღემდე მცირდება (Coburn, 2019). საქართველოში 3-დღიანი ლიმიტია კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირებისათვის, მაგრამ მაღალია გადმომისამართებისას პრობლემის იდენტიფიცირების ცდომილება, რაც მომსახურების მიწოდების დაწყებას აყოვნებს, რადგან სისტემაში კრიზისულად იდენტიფიცირებულ შემთხვევებზე მუშაობა დაჩქარებულ ვადებში ხორციელდება. *შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის* მიერ მხარდაჭერილმა ახლახან ჩატარებულმა კვლევამ „სკოლაში ბავშვების ფსიქოსოციალური პრობლემების იდენტიფიკაციის სირთულეების დადგე-

ნა“ (შატბერაშვილი და კოლეგები, 2023) ცხადყო, რომ მაღალია გადმომისამართებისას ბავშვის პრობლემის იდენტიფიცირების ცდომილება და გადმომამისამართებელ პირებს შორის იშვიათადაა მასწავლებელი. არადა, სწორედ მასწავლებელს აქვს ბავშვზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და, შესაბამისად, პრობლემის ამოცნობის შესაძლებლობა. ამასთან, განათლების სისტემაში დამტკიცებულია „ბავშვის მოწყვლადობის შეფასების ფორმა“ (ბრძანება N22/ნ, 2022), რომელიც საზიანო გამოცდილების იდენტიფიცირებისა და დროული რეაგირების საშუალებას იძლევა.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი წლიურად საშუალოდ 4000 შემთხვევას იღებს მომსახურების გასაწევად. შემთხვევათა შორის ჭარბობს: ემოციური პრობლემები, დესტრუქციული ქცევა, კომუნიკაციის პრობლემები, ძალადობა (შემთხვევების შესახებ სტატისტიკური მონაცემები მუშავდება მომართვისას იდენტიფიცირებული კატეგორიების მიხედვით). 2019 წლიდან შეიმჩნევა შეტყობინებათა ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით კი იმ სკოლებიდან, სადაც განათლების სისტემა სოციალური მუშაობის კომპონენტითაა წარმოდგენილი. ეს ცხადყოფს მხარდამჭერი პროფესიების წარმომადგენელთა ცოდნას არა მხოლოდ პრობლემების ამოცნობაში, არამედ მათ დადებით ზეგალენას მომსახურებისადმი წინასწარი განწყობების ფორმირებისთვის. თუმცა ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული სტიგმა ფსიქოსოციალური და/ან მენტალური ჯანმრთელობის მომსახურებით სარგებლობისადმი საქართველოში. მშობლები ხშირად მალავენ ასეთ ინფორმაციას. ამიტომ, სტიგმის დაძლევაზე მუშაობის პარალელურად, საჭიროა დროული იდენტიფიკაცია და მომსახურების მიწოდების დაწყება.

2016 წელს ბავშვთა დაცვის რეფერირების განახლებული პროცედურები დამტკიცდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის დადგენილებით (დადგენილება N437, 2016), რომლის მიხედვით, გაფართოვდა 2010 წლის *ბავშვთა ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან დაცვის შესახებ რეფერირების კოორდინირებული სისტემის* შესახებ ბრძანებაში (2010) განსაზღვრული სავალდებულო შემტყობინებელ პირთა და ინსტიტუტთა წრე. გაიზარდა შეტყობინების მაჩვენებელიც, თუმცა მასწავლებელთა წილი არ არის მოსალოდნელისამებრ მაღალი. კვლევები (UN Women, 2019) მიუთითებენ, რომ, მაგალითად, მასწავლებლების მიერ ბავშვზე ძალადობისას გადამისამართების შემაფერხებელ ფაქტორად პასუხისმგებლობის არიდება ხდება შემთხვევებში, რომლებსაც ბევრი შემსწრე ჰყავს. რაც უფრო მეტი შემსწრე ჰყავს შემთხვევას, მით ნაკლებია შესაძლებლობა, რომ რომელიმე მათგანი რამეს მოიმოქმედებს (Darley & Bibb, 1968). მკვლევართა აზრით, ისინი შეიძლება იყვნენ *შემსწრის ეფექტის* გავლენის ქვეშ, რაც მათი მხრიდან შეტყობინების გაკეთებას აფერხებს. ძალადობის შესახებ შეტყობინების შემთხვევაში, ხელშემშლელ ფაქტორებს შორისაა ასევე უარყოფითი დამოკიდებულება შეტყობინების მიმართ, თუ ქცევა კულტურულად მიღებულია. თუ საზოგადოებაში მიიჩნევა, რომ ბავშვზე ძალადობა მხოლოდ ოჯახის საქმეა, შემტყობინებელი პირი უფრთხის მისდამი უარყოფით დამოკიდებულებას; ან მიიჩნევს, რომ ეს მისი საქმე არ არის, ეს სხვისი პასუხისმგებლობაა; ან პოტენციურ შემტყობინებელ პირს შესაძლოა არ ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია მასზე დაკისრებულ მოვალეობებზე, ან ქვეყანაში მოქმედ რეფერირების მექანიზმებზე, ან არ აქვს საკმარისი ცოდნა შემთხვევის შეფასებისთვის (Almeida, et al., 2016). შესაბამისად, ბავშვისადმი საფრთხის შემცველი სიტუაციის შესახებ შეტყობი-

ნების არიდების შესამცირებლად, სოციალური მოლოდინების ცვლილებაზეა სამუშაო (Green et al., 2018). ამაში კი დიდი როლი აქვთ სკოლაში მომუშავე მასწავლებლებსა და მხარდამჭერი პროფესიების წარმომადგენლებს.

საქართველოსა და სხვა ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინეს, რომ იმ მასწავლებლებმა, რომლებმაც, ძალადობაზე ეჭვის მიუხედავად, არავის მიმართეს, ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ცრუ და არასწორი შეტყობინების შიში დაასახელეს (UN Women, 2019; Ferguson & Malouff, 2016; Wheatcroft&Walklate, 2014; Tuerkheimer, 2017, Abrahams, et al., 1992). ამას ემატება ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის შეტყობინებით გამოწვეული შედეგები, ასევე სკოლის დირექციისაგან მხარდაჭერის მოლოდინის ნაკლებობა, დაურწმუნებლობა იმაში, რომ ბავშვთა დაცვის სისტემებს ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა შეუძლიათ (Kenny, 2004; Markström, Münger, 2017). თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულმა კვლევამ (2023) გამოავლინა, რომ ბავშვების 63 პროცენტში აღზრდის მეთოდად არაძალადობრივი ფორმები იყო გამოყენებული, 29 პროცენტში – ფსიქოლოგიური აგრესია, 5 პროცენტში კი – ფიზიკური დასჯა. 2013 წელს ჩატარებულმა კვლევამ კი გამოავლინა, რომ, სკოლის თანამშრომლების 46 პროცენტის აზრით, ძალადობა უნდა იყოს მძიმე და სისტემატური, რომ მასზე რეაგირება მოხდეს (UNICEF, 2013). ამიტომ, ბოლო კვლევის მონაცემები ოპტიმიზმის საფუძველს ქმნის.

შეტყობინების შემაფერხებელ ფაქტორად სოციალური ნორმებიც გვევლინება. სოციოკულტურულად მიუღებელია ოჯახის საქმეებში ჩარევა. იმავეს მოწმობს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ (2017) მომზადებული სპეციალური ანგარიშიც. ანგარიშში რეფერირების პროცედურებზე გამოკითხულთა მხოლოდ 3 პროცენტმა მიუთითა. გამოდის, რომ საქართველოში, მასწავლებელთა მხრიდან შეტყობინებების დაბალი რაოდენობა ამ ვალდებულების გააზრების სისუსტეზე მიუთითებს. არადა, რთული დასაშვებია, რომ მათ უჭირთ ძალადობის ან სხვა სარისკო ქცევების ამოცნობა, რადგან მასწავლებელთა გადამზადება ქმნის იმის წინაპირობას, რომ მათ ბავშვობის სარისკო გამოცდილების ამოცნობა შეძლონ. დამრიგებელზე დაკისრებული პასუხისმგებლობა კი მის მოვალეობებში მოსწავლის ირგვლივ ინფორმაციის გააზრების ვალდებულებასაც შეიცავს (ესგ, 2018).

ოჯახში, სკოლაში თუ სამეზობლოში არსებულ ძალადობას სხვადასხვა ფორმა აქვს, მაგრამ ყველა ქმნის ძალადობის თვითწარმოებად ციკლს, რასაც უარყოფითი გავრცელების ეფექტი აქვს ბავშვების კარგად ყოფნაზე (WB, 2021). რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ სკოლის გაცდენების 5 პროცენტი სწორედ ძალადობას უკავშირდება. სიმულაციებზე დაყრდნობით გამოთვლილია, რომ, საშუალო სკოლებში ძალადობის შემცირებით, 12 თვეში 24 მილიონ ბავშვს ძილის პრობლემები მოუწესრიგდება, 20 მილიონს კი გაცდენების მაჩვენებელი შეუმცირდება, 15 მილიონით შემცირდება ბავშვებში თვითმკვლელობის მცდელობა (WB, 2021). ამ პრობლემების იდენტიფიკაცია შესაძლებელია ისეთ ინსტიტუციურ გარემოში, როგორიცაა სკოლა, თუ სკოლის პერსონალი უნარიანია მოახდინოს პრობლემის იდენტიფიკაცია, შეძლოს მენტალური, ფსიქოემოციური, სოციალური თუ აკადემიური მხარდაჭერის საჭიროების მქონე მოსწავლეთა გაძლიერება შიდასასკოლო ან გარე რესურსით.

ამ პრობლემასთან გამკლავების ეფექტიანი მიდგომაა *აღდგენითი ურთიერთობები სკოლაში.* ის სკოლებში შეჭიდულობის კულტურის პრაქტიკულად დანერგვის ხელშეწყ-

ობას ემსახურება (Hopkins, 2003). ამით კი მთელი სასკოლო თემი სარგებლობს და თავს დაფასებულად გრძნობს (Davis, 2019, p.19). პოზიტიური ურთიერთობების ფორმირებაში პროაქტიული მიდგომების გამოყენებით, სკოლებში ურთიერთობების პრობლემების და დაბალი აკადემიური მოსწრების რისკიც კი მცირდება. ამ მიდგომის დანერგვით იკლებს სკოლის გაცდენის, დისციპლინური სახდელების დაკისრების მაჩვენებელი (Riestenberg, 2003). მოსწავლეებიცა და მასწავლებელთა *კარგად ყოფნის* მაჩვენებელიც იზრდება გაუმჯობესებული, ეფექტიანი კომუნიკაციისა და ურთიერთობების შედეგად (Skinns et al., 2009). მოსწავლეებში უმჯობესდება პრობლემის გადაჭრის უნარები. საქართველოში 2019 წელს განხორციელებული კვლევის შედეგად მოსწავლეებში გამოვლინდა კავშირი პრობლემის გადაჭრის უნარსა და ფსიქოტროპული წამლების მოხმარებას შორის – რაც უფრო კარგ შეფასებას აძლევს ახალგაზრდა პრობლემის გადაჭრის საკუთარ უნარს, მით ნაკლებია ფსიქოტროპული წამლების მოხმარების მაჩვენებელი. მოსწავლეებში გამოიკვეთა პრობლემის გადაჭრის უნარსა და ანტისოციალურ ქცევებს შორის უკუპროპორციული კავშირი (სირბილაძე და კოლეგები, 2018). სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა დეფიციტი და რა პოტენცია არსებობს მომსახურების მიწოდების პროცესის დახვეწისთვის განათლების სისტემაში ფსიქოსოციალური პრობლემების მქონე 6-18 წლამდე ბავშვების ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდებით უკეთესი შედეგების გაცილებით დროულად მიღებისათვის. ამ მიდგომების გამოყენებას დღეს საქართველოში საგანმანათლებლო სივრცის სოციალური მუშაკები ახორციელებენ სკოლათა მცირე რაოდენობაში, სულ 7 სკოლაში. მაკროპრაქტიკა კი მათი დანერგვის გაფართოებას მოითხოვს. ამისათვის, სოციალურ მუშაკებს მათი დადებითი გავლენის შესახებ ადგილობრივი მტკიცებულებების ფორმირება დასჭირდებათ.

სასკოლო გარემოში ბავშვის კარგად ყოფნის ინდიკატორები წარმოდგენილია გრაფიკაში:



წარმოდგენილი ინდიკატორები ნათელყოფს მხარდამჭერი პროფესიების წარმომადგენელთა არსებობის მნიშვნელობას სასკოლო სივრცეში. დღეს კი 2080 საჯარო სკოლიდან სოციალური მუშაკები მხოლოდ 60 სკოლაში არიან წარმოდგენილნი, ფსიქოლოგები კი რეგიონების დიდ ქალაქებში. 600, 000 მოსწავლის მომსახურებას მათი *სუბიექტური კარგად ყოფნის* უზრუნველყოფისათვის მხარდამჭერი პროფესიის წარმომადგენელთა და მოსწავლეთა შორის თანაფარდობის მაჩვენებლის გაზრდა სჭირდება.

ბავშვების მხარდაჭერა სასჯელაღსრულების სისტემაში

მართლმსაჯულების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე სპეფიციკური და ხისტი სისტემაა, რაც გარკვეულ სირთულეებს უქმნის მხარდამჭერი პროფესიის წარმომადგენლებს, რომლებსაც სასიკეთო ცვლილებებისთვის დიდი ძალისხმევის გაღება სჭირდებათ. ამის მიზეზი რამდენიმეა, მაგრამ უპირველეს მიზეზად სახელდება ისტორიულად სოციალური მუშაობისა და მართლმსაჯულების სისტემის გენდერული მახასიათებლები. სოციალური მუშაობა ქალებით დომინირებული პროფესიაა, რაც ავტომატურად ზრუნვისა და მხარდაჭერის ფუნქციას მიაწერს სოციალურ მუშაკს. სოციალური მუშაობა თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება, რაც ხშირად არარელევანტურადაა მიჩნეული სისტემაში. სოციალურმა მუშაკებმა ფსიქოდინამიკურ თეორიაზე დაყრდნობით დაიწყეს ინტერვენცია ბრალდებულებისთვის, შემდეგ კი კიდევ უფრო გააფართოეს თეორიული ჩარჩო, მაშინ, როდესაც იურისტი მამაკაცებით დაკომპლექტებული მართლმსაჯულების სისტემა გამოსასწორებელ სამუშაოზეა ორიენტირებული დღემდე. ეს კი არ არის თავსებადი ადამიანის კარგად ყოფნის შეგრძნებასთან. ამგვარი შეგრძნების მაქსიმიზაცია ყველა ვითარებაშია შესაძლებელი, გარემო პირობების მაქსიმალურად გათვალისწინებით. ამ სისტემაში კი ამგვარი გარემოს შემადგენელია ფსიქოსოციალური მომსახურებები. სულ რამდენიმე წლის წინ სარეაბილიტაციო სამუშაოსადმი არსებული სკეპტიკური დამოკიდებულება შეიცვალა მისი ზეგავლენის აღიარებით და ეს წარმატება სწორედ სოციალურ მუშაკებსა და სხვა მხარდამჭერი პროფესიის წარმომადგენლებს მიეწერებათ. ამის დემონსტრირებაა ფსიქიკური პრობლემებისა და დამოკიდებულების შემთხვევაში სასამართლოს წინსვლაც (კოქსი, 2016; შატბერაშვილთან, 2018).

მართლმსაჯულების სისტემაში სოციალური მუშაკების მისიას ართულებს ის ფაქტიც, რომ ისინი მომსახურების მიმღებ პირებს, მხარდაჭერის გარდა, კანონის წინაშე პასუხისმგებლობების აღსრულებისა და ჩადენილი ქმედების ტვირთის ზიდვის სიმძიმის გააზრებაშიც უნდა დაეხმარონ. საქართველოშიც სოციალური მუშაკი უცებ რამდენიმე ამოცანის აღსრულების წინაშე დადგა მართლმსაჯულების სისტემაში: უნდა ემუშავა დანაშაულებრივ ქცევაზე ან დამოკიდებულებებზე და, ამავე დროს, იმ სოციალური სირთულეების დაძლევაზე, რომლებიც ასეთ ქცევასა და დამოკიდებულებას განაპირობებს. ამის განხორციელება რთულია ერთდროულად. ამასთან, არც გამოწვევების დაძლევაზე მუშაობა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვაა ადვილი სოციალური მუშაკებისათვის, ის ხშირად სასჯელის ტვირთვის შემსუბუქებადაა აღქმული სისტემის სხვა თანამშრომლების მიერ. ასევე ძალიან აქტუალურია, ერთი მხრივ, სტიგმასთან გამკლავების მექანიზმის გაძლიერებაზე მუშაობა თავად ყოფილ პატიმრებთან, მეორე მხრივ, საზოგადოებასთან, რადგან სხვაგვარად ცხოვრების ხარისხის

გაუმჯობესება შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია *ობიექტური კარგად ყოფნის* კრიტერიუმების დაკმაყოფილება. აკი განვიხილეთ კიდეც, რომ ცხოვრების ხარისხისა და კარგად ყოფნის მდგენელებია: ავტონომიაც, გარშემომყოფებთან ჰარმონიული და პოზიტიური ურთიერთობაც, თვითმიმღებლობაც, მიზნის განცდაც (Exenberger, Juen, 2014). არისტოტელეს მიერ განვითარებული ევდემონიზმის კონცეფცია კარგად ყოფნის მდგენელებად განსაზღვრავს: ინტერესს, ჩართულობას, თვითგამორკვევას, მიზნის განცდას, ავტონომიასა და მოტივაციას (Daly, 2011). ჯორდანისთვის კარგად ყოფნა არის მოდელი, რომელიც ეფუძნება პატივისცემას, მხარდაჭერის კულტურას, სადაც ემოციები, პირადი ურთიერთობები და არაფორმალური მხარდაჭერა აღიარებულია სოციალური ქსოვილის მნიშვნელოვან ელემენტებად. როგორც ვხედავთ, ყველა განსაზღვრება და მათი მდგენელი ადამიანს განიხილავს არა მხოლოდ დამოუკიდებელ სოციალურ აქტორად, არამედ სხვებთან დაკავშირებულადაც.

კარგად ყოფნის თეორეტიკოსები ხაზს უსვამენ ადამიანის სუბიექტური კარგად ყოფნის განცდის ფორმირებისათვის არა განყენებულად რაიმე ფაქტს ან მოვლენას, არამედ ადამიანის განცდებს ამ ფაქტებისა და მოვლენებისას. იმაში კი, თუ რას განიცდის ადამიანი, დიდი როლი აქვთ გარშემომყოფებს. სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფთადმი საზოგადოება ხშირად სკეპტიკურადაა განწყობილი სასჯელის მოხდის შემდეგაც კი, რაც მათში სტიგმისა და დისკრიმინაციის განცდას აჩენს. ეს კი კარგად ყოფნისათვის ხელშემშლელია. მოგეხსენებათ, რა ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ ვაკანსიაზე ადამიანის შესაფერისობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დამსაქმებელი მისი წარსულში კანონთან კონფლიქტში ყოფნის ფაქტს შეიტყობს (შატბერაშვილი, 2018).

მართლმსაჯულების სისტემაში მხარდამჭერი პროფესიის წარმომადგენელთა არსებობით (სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, ექიმების), ის უდავოდ უფრო ჰუმანური ხდება. სასჯელის მოხდის მიზნით, სისტემაში მყოფთა ცხოვრების ხარისხს, ისევე, როგორც მათი სისტემიდან გამოსვლის პირველ პერიოდში, დიდწილად განსაზღვრავს ამ სპეციალისტების მხარდაჭერა. თავად ფაქტი, რომ საქართველოში 2013 წელს მართლმსაჯულების რეფორმა დაიწყო, უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რომელსაც სოციალური მუშაკები უდიდესი შემართებით აყვნენ. შემზადდა ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ ეს წარმატებით განხორციელებულიყო. ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი კი სოციალურ მუშაკთა შერჩევის გამჭირვალე და სამართლიანი პროცესი იყო, გავითვალისწინეთ რა სხვა ქვეყნების გამოცდილება, როდესაც სწორედ საკვალიფიკაციო მოთხოვნებისადმი ზერელე დამოკიდებულებას მიაწერენ პროფესიის დისკრედიტაციას დამსჯელობითი მიდგომის დამკვიდრების სასარგებლოდ. ამის მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში პრობაციის ოფიცრების საკვალიფიკაციო მოთხოვნა (1975 წელს მათ მხოლოდ ბაკალავრის დიპლომი მოეთხოვებოდათ პრობაციის ოფიცრის თანამდებობაზე). პრობაციის ოფიცრებმა როლი სოციალური მუშაობის მანდატის მიღმა დაიმკვიდრეს. ამან კი, სოციალური მუშაობის მიდგომის ნაცვლად, აღსრულების ხისტი ფუნქცია დაამკვიდრა. ეს ვერ მოემსახურებოდა სისტემაში მოხვედრილი ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ვერც იქ ყოფნისას და ვერც სისტემის დატოვების შემდეგ. უკვე არსებული გამოცდილება, რომელიც შეგვეძლო გაგვეთვალისწინებინა, გვაწინაურებდა სხვა ქვეყნებთან შედარებით (Cox, 2016). სისტემაში არ შემოსულა არცერთი სოციალური მუშაკი, დაწესებული კომპეტენციის ზღვრის გადა-

ლახვის გარეშე. საკონკურსო პირობები კი არ იყო მარტივი. შეირჩა საუკეთესოთა შორის საუკეთესო 35 ახალგაზრდა სოციალური მუშაკი. წარმატება, უდავოდ, დამოკიდებულია სოციალურ მუშაკთა კომპეტენციაზე. ამავე დროს, მათ სწორად გაიაზრეს მათი როლი ამ ადამიანების ცხოვრებაში. რადგან სოციალური მუშაობა არ შემოიფარგლება მიკროპრაქტიკით, რადგან ის სისტემურ დონეზე ცვლილებებზე ორიენტირებული პროფესიაა, ამ სისტემაში კიდევ უფრო დიდ როლს იძენს ჩვენი პროფესია.

კოქსი (2016) საინტერესოდ გადმოგვცემს კრიმინალური ქცევის განსხვავებულ ინტერპრეტაციაზე სოციალურ მუშაკებსა და სისხლის სამართლის სისტემის მუშაკებს შორის. მისი აზრით, სოციალურ მუშაკებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ადამიანებთან პროფესიული ურთიერთობა უწევთ არა მხოლოდ მართლმსაჯულების სისტემაში, არამედ სხვა გარემოშიც, მაგალითად, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში, როდესაც ბავშვს ან მის მშობელს, ან კანონიერ წარმომადგენელს აქვს კანონთან კონფლიქტი; ჯანმრთელობის დაცვის სისტემაშიც და ა.შ. თუმცა იქ მომსახურების მიწოდება ხორციელდება სხვა სისტემაში. ამიტომ მათთვის ხელშესახებად ნათელია, რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს სისტემურ დონეზე ამ ადამიანების, განსაკუთრებით კი არასრულწლოვნებისა და მათი ოჯახის წევრების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკები აქტიურად თანამშრომლობენ პროკურორებთან, მოსამართლეებთან, პოლიციელებთან, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის მუშაკებთან, თავად არიან მოწმე ექსპერტები (expert wittneses). ავტორი საუბრობს, რომ ისინი ხშირად საყვედურობენ სოციალურ მუშაკებს მათი ლოიალობის, თანაგრძნობისა და მხარდაჭერის გამო სასჯელაღსრულების სისტემის დროებით ბინადართადმი (Cox, 2016). ეს ყველაფერი კი ხშირად დაძაბულობასაც კი იწვევს ერთ სისტემაში მომუშავე სხვადასხვა პროფესიული წარმომავლობის მქონე კოლეგას შორის. საქართველოშიც დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაობის პრაქტიკა სასჯელაღსრულების სისტემაში უკვე ათზე მეტ წელს ითვლის, სოციალურ მუშაკებს საყვედურობენ მომსახურების მიმღებ პირებთან ფორმირებული ურთიერთობის სტილის გამოც კი.

მართლმსაჯულების სისტემაში, ხშირად არასრულწლოვნებმა არ იციან რა პროცესში არიან ჩართულნი. ფსიქოლოგი და/ან სოციალური მუშაკი აღუწერს პროცესს, რის შემდგომაც არასრულწლოვანს შფოთვა უმცირდება. ახლახან განხორციელებული კვლევა (ცირამუა, აბაშიზე, 2023) – *მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის,* გვამცნობს, რომ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფსიქოლოგებმა მიუთითეს სასამართლო სისტემის ბავშვზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. პრობლემად გამოვლინდა სასამართლოებში ბავშვებზე მორგებული სივრცის არარსებობა. სპეციალისტებმა გაიხსენეს შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, ფსიქოლოგთან ერთად, სასამართლოს დერეფანში ორი საათი ელოდებოდა სხდომის დაწყებას, რა დროსაც სასამართლო შენობაში შემოიყვანეს სამი პატიმარი, ბორკილებით. ბუნებრივია, ამან ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა. ან, მაგალითად, ბავშვს გარეთ უნდოდა გასვლა, მაგრამ იქ მოძალადის მხარე იყო. ამიტომ, ბავშვს აღელვებულს მოუწია პროცესზე შესვლა. სოციალურმა მუშაკებმა კი აღნიშნეს სასამართლოებში არსებული გარემოს გამოწვევებზე. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვებს სასამართლოში საათობით უწევთ ლოდინი. ისი-

ნი იღლებიან და ისტრესებიან. ამგვარი საკითხები მაკროპრაქტიკის განხორციელების საფუძველია.

თავის შეჯამება

ცხოვრების ხარისხის კონსტრუქციის ორივე, სუბიექტური და ობიექტური, განზომილების ჭრილში თუ გავიაზრებთ ბავშვების *კარგად ყოფნას,* მივხვდებით, რომ, ბავშვების შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტურ ფაქტორს. ხშირად ობიექტური კრიტერიუმით დადებითად შეფასებული მოვლენა მნიშვნელობას კარგავს, თუ მას ბავშვისათვის უსიამოვნო განცდები მოაქვს. ადრეული ასაკიდანვე მნიშვნელოვანია რესურსების მიმართვა ბავშვის განვითარებისა და *კარგად ყოფნის* ხელშეწყობისათვის. ეს მოითხოვს ბავშვის ცხოვრებაში მყოფ პირებს, იქნებიან ეს მშობლები, აღმზრდელები თუ მასწავლებლები, შეეძლოთ ბავშვის გრძნობებისა და დამოკიდებულებების წაკითხვა. შესაბამისად, როგორც კი შეამჩნევენ, რომ *ჰომეოსტაზს,* როგორც სუბიექტური კარგად ყოფნის მართვის ძირითად მექანიზმს, გაუჭირდა მუშაობა, ბავშვის მხარდასაჭერად შესაბამის მომსახურებებს მიმართონ.

ბავშვებში მენტალური პრობლემების მაჩვენებელი იზრდება მსოფლიოში. ეს მიგვანიშნებს ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისა და კარგად ყოფნისათვის შემაფერხებელი ფაქტორების დროულად გამოვლენის საჭიროებაზე. ადრეული გამოვლენისა და დროული ჩარევის დიდ მნიშვნელობაზე, ბავშვთან დაკავშირებული ყველა სფეროს თეორეტიკოსები, პრაქტიკოსები და მკვლევრები თანხმდებიან. ძლიერი კორელაცია ადამიანის მიერ ბავშვობის საზიანო გამოცდილების ინტენსივობასა და ჯანმრთელობის უარყოფით შედეგებს შორის, ბავშვთა სფეროში მომუშავე პირებს ავალდებულებს მათზე რეაგირებას იდენტიფიცირებისთანავე. ეს ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისა და კარგად ყოფნისათვის შემაფერხებელი ფაქტორების შესუსტებისა და დამცავ ფაქტორთა გაძლიერების საშუალებას იძლევა.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი მათი პრევენციაა, რასაც სახელმწიფო დონეზე უნდა მოემსახუროს ყველა სისტემა. ხოლო, როდესაც ოჯახი, სკოლა, ზრუნვის სისტემა ვერას გახდება, რომ ბავშვმა აირიდოს მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრა, ეფექტიანი რეაგირებითი მექანიზმის მნიშვნელობა ფასდაუდებელია. სისტემაში მხარდამჭერი პროფესიის წარმომადგენელთა არსებობით არის შესაძლებელი, სასჯელის მოხდის მიზნით, სისტემაში მყოფთა მხარდაჭერა, რეაბილიტაცია, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. თუმცა თავად სპეციალისტების მისია არ არის იოლი აღსასრულებელი, რადგან, მომსახურების მიმღებთა მხარდაჭერის გარდა, კანონის წინაშე მათი პასუხისმგებლობების აღსრულებისა და ჩადენილი ქმედების ტვირთის ზიდვის სიმძიმის გააზრებაშიც უნდა დაეხმარონ. ეს კი მათგან პროფესიული მისიის სამივე მანდატის თანაბრად აღსრულებას ითხოვს. ხოლო დანაშაულებრივ ქცევაზე/დამოკიდებულებებზე და იმ სოციალური სირთულეების დაძლევაზე მუშაობის გარეშე, რომლებიც ასეთ ქცევასა და დამოკიდებულებას განაპირობებს, ობიექტური კარგად ყოფნის კრიტერიუმი ვერ დაკმაყოფილდება.

ბავშვებზე მაღალხარისხიანი ზრუნვა პროცესის ხარისხისა და სტრუქტურის ხარისხის ურთიერთდამოკიდებული კომპონენტებით განისაზღვრება. პირველი რთული, მაგრამ გარდაუვალი პროცესია, თუ ზრუნვის ხარისხის უზრუნველყოფა გვსურს. ის

ითხოვს კარგად გამართული მონიტორინგის მექანიზმსაც და მაღალკვალიფიციურ კადრებსაც. ეს კი კარგად ფორმირებული მომსახურებების განვითარების პოლიტიკის ჩარჩოშია მხოლოდ შესაძლებელი. მეორე კი შედარებით მარტივია, თუმცა მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის განუყოფელი კომპონენტია. ბავშვზე ზრუნვის სისტემის შედეგების საიმედო საზომებს შორის კი მოიაზრება: ოჯახში ბავშვის შენარჩუნების ეფექტიანი მხარდამჭერი პოლიტიკა, ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში ბავშვის შეყოვნების მაჩვენებელი, სისტემაში ბავშვის ყოფნის მაჩვენებელი.

ბავშვის ცხოვრების ხარისხზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას ბავშვზე ზრუნვისა და კეთილდღეობის სისტემების მიერ ბავშვისა და მშობლის ერთ მთლიანობად დანახვის აუცილებლობას. მშობლებისადმი მხარდამჭერი პოლიტიკა, შვილებისათვის შესაბამისი მშობლობის გაწევისათვის, დადებითი ზემოქმედების მქონეა არა მხოლოდ მშობლების, არამედ მათი შვილების ცხოვრების ხარისხსა და კარგად ყოფნაზეც. ხოლო, თუ პრაგმატული თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, ამგვარი პოლიტიკა გაცილებით ამსუბუქებს ბავშვზე ზრუნვით გამოწვეულ ტვირთს და ზრდის სარგებელს მთელი საზოგადოებისათვის.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის რომელი პოლიტიკაა უფრო ეფექტიანი: პირდაპირი თუ არაპირდაპირი? გთხოვთ, დაასაბუთოთ.
2. კარგად ყოფნის რომელ მიდგომას იზიარებთ? გთხოვთ, დაასაბუთოთ.
3. მაკროსოციალური მუშაობის განხორციელებისთვის რა მიზნები უნდა დაისახოს სოციალურმა მუშაკმა თითოეულ სისტემაში?
4. რა აფერხებს ბავშვის ფსიქოსოციალური პრობლემების იდენტიფიცირებას და/ან მათზე რეაგირებას?
5. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლის აღსრულებისთვის რა ხელშემშლელი ფაქტორებია ოჯახებში, სკოლებში, მართლმსაჯულების სისტემაში, რომლებიც სოციალური მუშაკის მხრიდან მაკროპრაქტიკის ელემენტების ამოქმედებას მოითხოვს?

გამოყენებული ლიტერატურა:

Abrahams, N., Casey, K., Daro, D. (1992). *Teachers' knowledge, attitudes, and beliefs about child abuse and its prevention." Child Abuse & Neglect 16* (2) pp. 229-238.

Almeida, S.R., Lourenço, J.S., Dessart, F.J., Ciriolo, E. (2016). Insights from Behavioural Sciences to Prevent and Combat Violence against Women: Literature Review. *Joint Research Centre*,. http://publications.jrc.ec.europa.eu/repository/bitstream/JRC103975/lbna28235enn.pdf

Andrews, F. M., & Withey, S. B. (1976). Social indicators of well-being: Americans' Perceptions of life quality. New York: Plenum

Aspalter, C. (2014). Social Work Services and Developmental Social Policy, Social Work in the East Asia. *Journal of Social Policy, 1*(04), 8-10.

Bucci, M., Marques, S. S., Oh, D., Harris, N. B. (2016). Toxic Stress in Children and Adolescent. *Advances In Pediatrics, 63* (1), 403-428.

Campbell, A., Converse, P. E., & Rodgers, W. L. (1976). The quality of American life: perceptions, evaluations and satisfactions. New York: Russell Sage Foundation.

Children Uniting Nations. (n.d.). *Foster Care statistics*

Cummins, R.A. (1996). The Domaind Of Life Satisfacton: An Attempt To Order Chaos. *Social Indicators Research, 38, 303-328*.

Cummins, R.A. (1997). Sssessing Quality Of Life. In R.I. Brown (Ed.), *Quality Of Life For People With Disabilities* (2nd ed., pp. 116-150). Cheltenham:Stanley Thornes.

Cummins, R.A. (2000). Objective and Subjective quality of life: An interactive model. *Social Indicators Research, 52,* 55-72.

Cummins, R.A. (2005). Moving From The Quality Of Life: A Interactive Model. *Journal of Intelectual Disablity Research, 49* (10), 699-706.

Cummins, R.A. (2010). Subjective well-being, homeostatically protected mood and depression: A syntheris. *Journal of Happiness Studies, 11,* 1-7.

Cummins, R.A., Lay, A.L.D., Davern, M.T. (2012). Subjective Well-being Homeostasis. In Land, K.C., Michalos, A.C. & Sirgy, M.J. (Eds.), *Handbook of social indicators and quality of life research (*pp. 79-98). New York: Springer.

Eid, M., & Diener, E. (2004). Global judgements of subjective well-being: Situational variability and long-term stability. Social Indicators Research, 65, 245–277.

Diener, E., & Suh, E. (1997). Measuring quality of life: Economic, social, and subjective indicators. Social Indicators Research, 40, 189–216.

Daly, M. (2011). *Welfare*. Malden: Policy Press.

Darley, J. M. and Bibb, L., (1968). Bystander intervention in emergencies: diffusion of responsibility. Journal of Personality and Social Psychology 1968. 8 (4), 377-383.

Davis, F. (2019). *The Little Book of Race and Restorative Justice: Black Lives, Healing, and US Social Transformation*. Good Books.

Doyal, L., & Gough, I. (1991). *A Theory Of Human Need*. New York:Guildford Press.

ეროვნული სასწავლო გეგმა (2018). ბრძანება N63/n, დამტკიცებული განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ, 3 მაისი, 2018. https://www.matsne.gov.ge.

Esping-Andersen, G. (2002). *Why We Need A Welfare State.* Oxford University Press

Exenberger, S., Juen, B. (2013). *Well Being, Resilience and Quality of Life from Children's Perspectives: A Contextualized Approach*. London: Springer.

Felitti, V. J., Anda, R. F., Nordenberg, D., Williamson, D. F., Spitz, A. M., Edwards, V., Koss, M.P.

Marks, J.S. (1998). Relationship of Childhood Abuse and Household Dysfunction to Many of the Leading Causes of Death in Adults. The Adverse Childhood Experiences (ACE) Study. *American Journal of Preventive Medicine, Vol. 14 (4),* 245-258.

Ferguson, C.E., Malouff, H.M. (2016). Assessing Police Classifications of Sexual Assault Reports: A Meta-Analysis of False Reporting Rates. *Archives of Sexual Behavior 45* (5), 1185– 1193.

Giele & Holst, 2004; Georg, 2004; Gitterman & Schulman, 2005; OECD, 2019,

Gilbert, N., Parton, N., Skivenes, M. (2011). Child Protetion Systems: International Trends and Orientations, pp. 243-257. Oxford University Press

Green, D. P., Wilke, A. and Cooper, J., (2018). "Silence Begets Violence: A mass media experiment to prevent violence against women in rural Uganda." Working Paper.

Hopkins, B. (2003) *Just Schools: A Whole School Approach to Restorative Justice*, Jessica Kingsley.

Jansson, B.S. (2016). *Social Welfare Policy And Advocay: Adancing Social Justice Through 8 Policy Secttors.* SAGE

Kenny, M.C. (2004). Teachers' attitudes toward and knowledge of child maltreatment. *Child Abuse & Neglect 28* (12), 1311-1319.

Markström, A. Münger, A. (2017). The decision whether to report on children exposed to domestic violence: perceptions and experiences of teachers and school health staff. Nordic Social Work Research 8(1), 22–35.

Newman-William, M., Sabatini, F. (2000). Child Centered Development and Social Progress in the Carrebean In N. Girvan (Eds), *Poverty, Empowerment and Social Development in Carrebean, (2nd ed.* pp.20-50). Canoe Press

Noll, H. H. (2002). Social indicators and quality of life research: Background, achievements and current trends. In N. Genov (Ed.), Advances in sociological knowledge over half a century (pp. 168–206). Paris: International Social Science Council.

Ostaszewski, K., Ferimc, M., Foxcroft, D.R., Kosir, M., Kranzelic, V., Mihic, J., Novak, M., Pisarska, A., Talic, S. (2018). European Prevention Workforce Competencies and Training Needs: an Exploratory Study. *Adiktologie, 18* (1), 07-15.

Riestenberg, N. (2003). Restorative schools grants final report, January 2002–June 2003: A summary of the grantees' evaluation. Roseville, MN: Minnesota Department of Education.

Sirbiladze, T., Kobakhidze, M., Javakhishvili, M., Chichinadze, T., Benashvili, M. (2019). Study Of Risk And Defensive Factors of Substance Misuse and Other Problematic Behavior [ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ- და დამცავი ფაქტორების კვლევა საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში].

Sakhokia (2005) – *Impact of Deinstitutionalization, Strategic research Center*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2022). მოსწავლის მოწყვლადობის განმსაზღვრელი ინდიკატორები, N22/ნ ბრძანება.

საქართველოს მთავრობა (2016). დადგენილება N437 „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ". სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge).

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება „ბავშვთა ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან დაცვის შესახებ რეფერირების კოორდინირებული სისტემის შექმნის შესახებ (2010).

სახალხო დამცველი (2017). სპეციალური ანგარიში: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა.

სახალხო დამცველი (2019). ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი: ალტერნატიული ზრუნვის ეფექტიანობა. სპეციალური ანგარიში.

სახალხო დამცველი (2020). სპეციალური ანგარიში: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები.

სირბილაძე, თ., კობაიძე, თ., ჯავახიშვილი, თ., ბენაშვილი, მ., (2019). *ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ- და დამცავი ფაქტორების კვლევა საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში.* საზოგადოებრივი გაერთიანება ბემონი.

Shatberashvili, N., Irimia, R. (2013). Evaluation of results achieved through child care system reform 2005-2012 in Georgia. *PLURICONSULT Ltd.*

Tuerkheimer, D. (2017). Incredible Women: Sexual Violence and the Credibility Discount. University of Pennsylvania Law Review 166 (1), 1.

UNICEF, (2013). Violence Against Children in Georgia: National Survey of Knowledge, Attitudes and Practices – Nalaysis of Childre Protection Referral Procedures and Recommendations to the Government. United Nations Children's Fund

UN Women (2019). Teachers Reporting On Violence Against Children and Women. *Caucasus Research Resource Centers, Georgia*

USAID, UNICEF, Save the Children, (2013). Needs Assessment fo the Reintegrated families in Georgia

Wheatcroft, J. M., and Walklate, S. (2014.) Thinking differently about 'false allegations' in cases of rape: The search for truth." International Journal of Criminology and Sociology 3, 239–248.

Wodon, Q., Fevre, C., Male, C., Nayihouba, A., Nguyen, H. Q. et al (2021). Ending Violence in Schools: An Investment Case. Washington, DC: The World Bank and the Global Partnership to End Violence against Children.

World Bank, (2020b). Poverty and Shared Prosperity 2020: Reversals of Fortune. Washington, DC: The World Bank

World Bank, (2021). Ending Violence InN Schools: An Investment Case

შატბერაშვილი, ნ. (2011). *სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა: სოციალური მუშაობის პერსპექტივა.* ინტელექტი.

შატბერაშვილი, ნ. (2018). სოციალური ადვოკატობა სოციალური მუშაკებისათვის.

ცირამუა, მ., აბაშიძე, ა. (2023). მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის.

ნათია ფარცხალაძე

თავი 16

სოციალური მუშაობის მაპროპრაქტიკა გარემოსდაცვითი გამოწვევების საპასუხოდ

შესავალი

წინამდებარე თავში საუბარია გარემოსდაცვით გამოწვევებზე, რომლებზე რეაგირებაც დღითიდღე სულ უფრო მეტად ხდება სოციალური მუშაობის პრაქტიკის განუყოფელი ნაწილი. სოციალური მუშაობის საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გაღრმავდა პროფესიონალების ცოდნა საზოგადოების კეთილდღეობისთვის ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობის შესახებ. ასევე, გამოიკვეთა გარემოსდაცვითი გამოწვევების არაპროპორციულად მაღალი გავლენა, განსაკუთრებით მოწყვლად ინდივიდებზე, თემებსა და ქვეყნებზე. გარემოსდაცვითი სამართლიანობის აღდგენისა და ეკოლოგიური კატასტროფის შესაჩერებლად, სოციალურ მუშაკებს აქვთ მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რომელთა გაღრმავებისთვის აუცილებელია სწავლებასა და პრაქტიკაში ეკოლოგიური სოციალური მუშაობის პარადიგმის მეტად დამკვიდრება. სოციალური მუშაობის გლობალური ორგანიზაციები, მათ მიერ შემუშავებული პროფესიის დეფინიციის, ეთიკის კოდექსის, გლობალური დღის წესრიგის საშუალებით, ამკვიდრებენ და განავრცობენ გარემოსდაცვითი სამართლიანობისა და ეკოლოგიური მდგრადობის მნიშვნელობას სოციალური მუშაკების მიკრო-, მეზო- და მაკროდონის პრაქტიკაში.

მოსახლეობის გავლენა გარემოზე

მეოცე საუკუნემ ყველა წინა საუკუნეს გადააჭარბა მსოფლიო მოსახლეობის ზრდით. საუკუნე დაიწყო ორ მილიარდზე ნაკლები მოსახლეობით, ხოლო დასრულდა პლანეტის ექვს მილიარდზე მეტი მცხოვრებით. ანტიბიოტიკების აღმოჩენის და განვითარების შედარებით მაღალი დონის ქვეყნებში საზოგადოებრივი ჰიგიენის გაუმჯობესების, ჯანდაცვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ზრდის, საკვების მარაგების ზრდის და სხვა გარემოებების გამო, საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა. კერძოდ, მეოცე საუკუნის ბოლო 30 წლის განმავლობაში მსოფლიო მოსახლეობის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა 10 წლით გაიზარდა. იმავდროულად, მოსახლეობის მთლიანი ნაყოფიერების მაჩვენებელი (TFR) 4.8-დან 2.73-მდე შემცირდა (Unite Nations, 2020). დემოგრაფების მტკიცებით, რამდენიმე თაობაში მთლიანი ნაყოფიერების მაჩვენებლის 2.1 ნიშნულამდე შემცირებამ და შენარჩუნებამ შეიძლება განაპირობოს ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზება. თუმცა, ჯერჯერობით, შობადობის შემცირების მიუხედავად, მოსახლეობის ზრდამ მაინც გადააჭარბა დემოგრაფების მოლოდინებს. მაგალითად, 2005 წლის ვარაუდებით, მსოფლიო მოსახლეობა რვა მილიარდს 2028 წელს მიაღწევდა (Parrillo, 2005), თუმცა მსოფლიომ ამ ნიშნულს 2022 წელს მიაღწია.

200 წლის განმავლობაში მეცნიერები მსჯელობენ გარემოზე მოსახლეობის უკონტროლო ზრდის გავლენაზე. ეს მსჯელობა განსაკუთრებით აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს გაზრდილი მოსახლეობა შეუქცევად გავლენას ახდენს გარემოზე. განვითარების ნებისმიერ დონეზე მყოფ ქვეყანაში, ადამიანების გავლენას გარემოზე განსაზღვრავს მოსახლეობის რაოდენობა, ერთ სულ მოსახლეზე მოხმარება და გარემოზე მიყენებული ზიანი იმ ტექნოლოგიების მიერ, რომლებიც გამოიყენება მოხმარების უზრუნველსაყოფად. ამჟამად გლობალურ გარემოზე უდიდესი გავლენა აქვთ განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს. თუმცა, განვითარებად ქვეყნებში ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, გლობალურ გარემოზე ამ მოსახლეობის გავლენაც საგრძნობლად იზრდება.

გარემოზე ყველაზე აშკარა ზემოქმედება, ჩვეულებრივ, აღინიშნება ადგილობრივ დონეზე და მოიცავს ტყეების და წყალგამყოფების გაქრობას, ნიადაგის ეროზიას ან გაუდაბნოებას. ყოველწლიურად ეროზიის შედეგად იკარგება 17 მილიონ ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწა; დამატებით ოთხ მილიონ ჰექტარამდე კი – დამლაშებისა და ალკალინიზაციის შედეგად. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მიწისა და წყლის მართვის ცუდი პრაქტიკის შედეგად, მოხდა ოთხი მილიარდი ჰექტარი მიწის დეგრადაცია.

ასევე, აღსანიშნავია მსოფლიო მასშტაბით ტყეების, მათ შორის, ტროპიკული ტყეების გაჩეხვის მაღალი მაჩვენებელი. იმის გამო, რომ ადამიანები უფრო სწრაფად მოიხმარენ ხეებს, ვიდრე შესაძლებელია მათი ბუნებრივი ჩანაცვლება, არსებობს რისკი, რომ ზოგიერთი ქვეყანა დადგება ისეთივე საფრთხის წინაშე, როგორიც არის ჰაიტიში, სადაც თითქმის სრულად განადგურდა ბუნებრივი ტყის მასივები. ტყის დიდი მასივების გაჩეხვა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის ან მათი ინტენსიური გამოყენება მსხვილფეხა შინაური ცხოველების საძოვრებად, განაპირობებს ნიადაგის ეროზიას, რაც, თავის მხრივ, იწვევს მეწყერს, წყალდიდობას და სოფლის მეურნეობისთვის ნაყოფიერი მიწების დაკარგვას. ეს კი, შესაბამისად, ამწვავებს მოსახლეობის სასურსათო დაუცველობას. ტყის საფრის დაკარგვა ასევე უარყოფითად აისახება ბიომრავალფეროვნებასა და ველურ ბუნებაზე. მცენარეთა და ცხოველების მრავალი სახეობა დღეს გადაშენების საფრთხის წინაშეა ან გადაშენებულია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ, მსოფლიო მასშტაბით, დღეში დაახლოებით 100 სახეობა ნადგურდება. გადაშენებული სახეობების დიდი ნაწილი ტროპიკულ ტყეებზე მოდის (Rainforest Action Network, 2023).

მსოფლიოს მოსახლეობის ზრდასთან ერთად, მცირდება ერთ ადამიანზე წყლის რაოდენობაც. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მონაცემების თანახმად, მტკნარი წყლის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე შემცირდა 40 მილიონი კუბური ლიტრიდან (1850 წ.) 8 მილიონამდე, მეოცე საუკუნის ბოლოსთვის (Parrillo, 2005). წყლის დეფიციტის ზრდა, თავის მხრივ, ამწვავებს საკვების მიწოდების პრობლემას. დაბინძურება და განახლებადი მტკნარი წყლის მზარდი დეფიციტი ასევე საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას და კეთილდღეობას. მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედისთვის, რომელიც ძირითადად ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში, არ არის ხელმისაწვდომი უსაფრთხო წყალმომარაგება. მაგალითად, აზიაში ერთ მილიარდზე მეტი ადამიანი საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის დამოკიდებულია მიწისქვეშა წყლებზე. მიწისქვეშა წყლებს კი ემუქრება ინტენსიური დაბინძურება, რისი მიზეზიც მოსახლეობის ზრდის შესაბამისი საკვების წარმოე-

ბის უზრუნველყოფის საჭიროებაა. ყოველწლიურად, ორ მილიონამდე ადამიანი და, მათ შორის, ნახევარი მილიონი ბავშვი იღუპება წყალთან დაკავშირებული დაავადებებით, როგორიცაა დიარეა და ფეკალურ-ორალური გზით გადამდები ინფექციები, რომლებიც წარმოადგენს მსოფლიოში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის ერთ-ერთ წამყვან მიზეზს (Our World in Data, 2023). ერთი შეხედვით, ნაკლებად შესამჩნევია, თუმცა ასევე ძალზე საზიანოა ისეთი ფენომენები, როგორებიცაა: ატმოსფეროში ნახშირორჟანგის (CO_2) დაგროვება, თევზჭერის შემცირება, მარჯნის რიფების განადგურება, მყინვარების დნობა და მრავალი სხვა.

„ნახშირბადის ნაკვალევი“

ატმოსფეროში ნახშირორჟანგის დაგროვების და სათბურის ეფექტის პრობლემის სიმწვავემ განაპირობა ტერმინის „ნახშირბადის ნაკვალევი“ შექმნა და ამ კვლის რეგულარულად გაზომვის აუცილებლობა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ნახშირბადის კვალი არის საზომი იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ესა თუ ის საქმიანობა ნახშირორჟანგის რაოდენობაზე, რომელიც წარმოიქმნება წიაღისეული საწვავის წვის შედეგად და გამოიხატება, როგორც CO_2 გამონაბოლქვის წონა ტონებში (WHO, 2005). ის მოიცავს როგორც სხვადასხვა ბიზნესს, ისე ინდივიდების მიერ გამოწვეული CO_2-ის პირდაპირ და არაპირდაპირ ემისიებს.

იმისთვის, რომ გაიგოთ, თუ როგორია თქვენი „ნახშირბადის ნაკვალევი“, უპასუხეთ ამ თავის ბოლოს მოწოდებული ნახშირბადის ნაკვალევის ტესტის კითხვებს (დანართ #1). რაც შეეხება ქვეყნების „ნახშირბადის ნაკვალევს“, ზოგადად, ეს მონაცემი უფრო მაღალია განვითარებულ ქვეყნებში. ეს დიდწილად განპირობებულია მათი უფრო ძლიერი ენერგეტიკული ინდუსტრიებით, რომლებიც იყენებენ დიდი რაოდენობით წიაღისეულ საწვავს ელექტროენერგიის მიწოდებისთვის და მცხოვრებლების უფრო დიდი პროცენტით, რომლებიც ფლობენ საკუთარ ავტომობილებს. 2021 წლის მონაცემებით, ჩინეთზე მოდის მსოფლიო ემისიების 31 პროცენტი. მეორე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატები, მთლიანი გლობალური გამონაბოლქვის 13.5 პროცენტით. მთლიანობაში, მსოფლიო ემისიების 60 პროცენტი მოდის 10, ძირითადად, მეტად განვითარებულ ქვეყანაზე, 3 პროცენტი კი – 100 ყველაზე ნაკლები ნახშირბადის ნაკვალევის მქონე ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაზე.

გლობალური დათბობა

დედამიწაზე კლიმატის ცვლილებები ბუნებრივი ფენომენია და ბოლო 800.000 წლის განმავლობაში ტემპერატურის ცვლილების ციკლებმა პლანეტაზე მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია. თუმცა ჩვენი ეპოქის ტემპერატურული ცვლილებები ძირითადად ადამიანების ზემოქმედებით ყალიბდება და პირდაპირ კავშირშია ქვანახშირის, ნავთობის, ბენზინის და ბუნებრივი გაზის გაზრდილ მოხმარებასთან. CO_2-ის და ჰაერის სხვა დამაბინძურებლები, რომლებიც შთანთქავენ მზის შუქსა და მზის რადიაციას და იწვევენ ე.წ. „სათბურის ეფექტს“, განაპირობებენ გლობალური დათბობის ფენომენს. პრეინდუსტრიული პერიოდიდან ეს ზრდა შეადგენს საშუალოდ 1.1 გრადუსს (IPCC, 2021).

მსგავსი ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, ტემპერატურის ზრდამ 21-ე საუკუნის დასასრულისთვის შესაძლოა 2.7 გრადუსს მიაღწიოს (Environmental Justice Foundation, 2022). მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ტემპერატურის მატება იწვევს ხანგრძლივ და ცხელ სითბურ ტალღებს, გახშირებულ გვალვებს, ძლიერ ნალექებს და უფრო ძლიერ ქარიშხლებს. გარდა ამისა, გლობალური დათბობა იწვევს მყინვარების გაქრობას, ადრეული თოვლის დნობითა და ძლიერი გვალვებით გამოწვეულ წყლის უფრო დრამატულ დეფიციტს, ზღვის დონის აწევას, ახალი მავნებლების გაჩენას და მრავალ სხვა პრობლემას. გლობალური დათბობის შედეგები იგრძნობა მთელს მსოფლიოში და ისინი დღითიდღე უარესდება. დათბობა გავლენას ახდენს ყველაზე, თუმცა მას განსაკუთრებულად დიდი გავლენა აქვს უფრო მეტად მოწყვლად ინდივიდებზე, ჯგუფებზე, თემებსა და ქვეყნებზე. მსოფლიო მასშტაბით ერთი მილიარდი ბავშვი იმყოფება გლობალური დათბობის ზემოქმედების უკიდურესად მაღალი რისკის ქვეშ (UNICEF, 2021).

შიმშილი განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში

მსოფლიო მასშტაბით, ყოველ ოთხ წამში ერთი ადამიანი შიმშილით კვდება. ყოველდღიურად ეს რიცხვი 25.000 ადამიანს უახლოვდება, მათ შორის 10.000 ბავშვია (UN, 2023). ეს რიცხვი ბევრად აღემატება მე-20 და 21-ე საუკუნეებში ომების შედეგად დაღუპული ადამიანების საერთო რიცხვს. საკვების მწვავე ნაკლებობა ვლინდება შიმშილობის სახით, მაგრამ უფრო ხშირი და ასევე საზიანოა ქრონიკული არასრულფასოვანი კვება. არასწორი და არასაკმარისი კვების ტრაგიკული შედეგები მოიცავს არაერთი დაავადების წარმოშობის გაზრდილ რისკებს, გონებრივი და ფიზიკური ზრდის შეფერხებას და სიკვდილს. მაგალითად, იოდის დეფიციტი არის ტვინის დაზიანებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამომწვევი წამყვანი მიზეზი. A ვიტამინის დეფიციტი კი ბავშვებში სიბრმავის წამყვან მიზეზად რჩება. თუმცა ჯანმრთელობის ამ პრობლემების პრევენცია ადვილად არის შესაძლებელი ჯანსაღი და დაბალანსებული კვებით (FAO, IFAD, UNICEF, WFP & WHO, 2023).

არასაკმარისი კვებისა და შიმშილის პრობლემის სიმწვავის გამო, ეს ინდიკატორი ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში (SDG, ინდიკატორი 2.1.1 – არასაკმარისი კვების პრევალენტობა). წინა პერიოდში გარკვეული პროგრესის მიუხედავად, აღნიშნული ინდიკატორი საგრძნობლადაა გაუარესებული კოვიდ-19 პანდემიის წინა დონესთან შედარებით. 2022 წელს ეს პრობლემა მსოფლიო მოსახლეობის 9,2 პროცენტს ჰქონდა, გლობალურ პანდემიამდე 7,9 პროცენტთან შედარებით (FAO, IFAD, UNICEF, WFP & WHO, 2023). საკვების ზომიერი ან მძიმე ნაკლებობა (SDG ინდიკატორი 2.1.2) მსოფლიოს მოსახლეობის 29,6 პროცენტის პრობლემას წარმოადგენს.

გლობალურ დონეზე სასურსათო დაუცველობა არაპროპორციულად მაღალ გავლენას ახდენს განვითარებად ქვეყნებში სოფლად მცხოვრებ ადამიანებზე და, განსაკუთრებით, ქალებზე. არასაკმარისი კვებისა და შიმშილის პრობლემის 98 პროცენტი დაფიქსირებულია განვითარებად ქვეყნებში, რომელთა შორის პრობლემის სიმწვავით ლიდერობს სუბსაჰარული აფრიკის ქვეყნები. პრობლემის წამყვან მიზეზს წარმოადგენს ერთ სულ მოსახლეზე ძირითადი საკვები რესურსების დეფიციტი და სურსათის არასამართლიანი განაწილება რეგიონებსა და ქვეყნებს შორის, ასევე ქვეყნების შიგ-

ნით. რესურსების ნაკლებობა კი, თავის მხრივ, გამოწვეულია ზემოთ აღწერილი ისეთი მოვლენებით, როგორებიცაა: მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ნიადაგის ეროზია და გაუდაბნოება, წყლის რესურსების სიმწირე, გლობალური დათბობა, ტყის მასების განადგურება და მრავალი სხვა. განვითარებად ქვეყნებში სასურსათო დაუცველობის მაღალი დონე კიდევ უფრო ართულებს გარემოსდაცვითი სამართლიანობის გამოწვევებს, რომლებიც, თავის მხრივ, ბევრად უფრო მწვავედ არის გამოხატული ამ ჯგუფის ქვეყნებში.

ეკოსისტემური მიდგომა

1935 წელს ბრიტანელმა მეცნიერმა არტურ ჯორჯ ტანსლიმ დაამკვიდრა ეკოსისტემის ცნება. მეცნიერმა გააცნობიერა, რომ ნებისმიერი მცენარის ზრდა-განვითარების გასაანალიზებლად საჭიროა ნიადაგის, კლიმატის, ატმოსფერული ნალექების, ფაუნის და ფლორის შესწავლა. ეკოსისტემურმა მიდგომამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა არა მხოლოდ ბიოლოგიაში, არამედ ბევრ სხვა სფეროში და, მათ შორის, სოციალურ მუშაობაში.

სხვადასხვა სისტემის გავლენა ადამიანის სოციალურ ფუნქციონირებაზე განიხილებოდა სოციალური მუშაობის პროფესიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მერი რიჩმონდის ნაშრომებშიც. სფეროში ეკოლოგიური სისტემების მიდგომის უფრო მტკიცედ დამკვიდრებას ხელი შეუწყვეს 1970-იან წლებში მოღვაწე ისეთმა პროფესიონალებმა, როგორებიც იყვნენ კარელ გერმეინი და ენ ჰარტმანი, რომელთა მიერ დამკვიდრებულმა „ადამიანი-გარემოში“ პერსპექტივამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სოციალურ მუშაობაში ეკოლოგიური მიდგომის დანერგვას. 1979 წელს ბრონფენბრენერის მიერ ეკოლოგიური სისტემების თეორიის შემუშავების შემდეგ კი ეს მიდგომა წარმოადგენს სოციალურ მუშაობაში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გამოყენებულ თეორიულ საფუძველს (Bronfenbrenner, 1979). თანამედროვე სოციალურ მუშაობაში სისტემა განიმარტება, როგორც განსაზღვრული წესრიგის მქონე გარკვეული საზღვრების ფარგლებში მოქცეული ობიექტების ერთობლიობა, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული ფუნქციები და ურთიერთგავლენა ერთმანეთზე. გარემოს იმ სისტემებს, რომლებიც ზემოქმედებენ ინდივიდზე, ცვლიან მას და, იმავდროულად, მისი ზეგავლენით თავადვე იცვლებიან, ეკოლოგიური სისტემები/ეკოსისტემები ეწოდება. ეკოსისტემის მიდგომის გამოყენება ინდივიდების, ასევე ეკოლოგიური გამოწვევების შეფასების და მათზე რეაგირებისთვის, საშუალებას იძლევა, დაიგეგმოს კომპლექსური, სხვადასხვა სისტემაზე მიმართული ინტერვენციები და მკაფიოს ხდის სოციალური მუშაობის გარემოსდაცვით საკითხებთან მჭიდრო კავშირს.

გარემოსდაცვითი სამართლიანობის გამოწვევები

გლობალური გარემოსდაცვითი გამოწვევების გაღრმავებამ, რომლებიც თვალსაჩინო გავლენას ახდენენ ადამიანების კეთილდღეობაზე, აშკარა გახადა ეკოლოგიური ცვლილებების არაპროპორციულად მაღალი ეფექტი ნაკლებად დაცულ ინდივიდებზე, თემებსა და საზოგადოებებზე და, შესაბამისად, ეკოლოგიური და სოციალური სამართლიანობის კრიზისების თანხვედრა. ეკოლოგიური ცვლილებები შეიძლება განხილულ იქნეს დიდ გამოწვევად ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. მიმდინარე მოვ-

ლენები განაპირობებს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, განათლების, საკუთრების, ადეკვატური საცხოვრებელი პირობების და ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებების დარღვევას.

როგორც უკვე აღინიშნა, ეკოსისტემებისა და ადამიანების მოწყვლადობა არსებითად განსხვავდება რეგიონებსა და ქვეყნებს შორის და მათ შიგნით, რასაც განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, უთანასწორობის ისტორიული და მიმდინარე მოვლენები, როგორებიცაა: კოლონიალიზმი, კორუფცია და მარგინალიზაცია (IPCC 2021). დაბალშემოსავლიანი და მარგინალიზებული ჯგუფებისთვის მიყენებული არაპროპორციულად მაღალი ზიანი მკაფიოა ერთი ქვეყნის შიგნითაც. მაგალითად, ისეთ განვითარებულ ქვეყანაშიც კი, როგორიც არის აშშ, ღარიბ უბნებში მცხოვრები აფროამერიკული თემების წარმომადგენლები ხშირად ხდებიან ე.წ. „ეკოლოგიური რასიზმის“ (Environmental Racism) მსხვერპლნი, ვინაიდან მომეტებული ეკოლოგიური საფრთხეები, მაგ. ინდუსტრიული ნარჩენების გადაყრა მათი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიებზე, დამატებით საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას (Bullard, 2000). სწორედ ზემოაღნიშნული და სხვა მაგალითებით ხელმძღვანელობდა ამერიკელი სოციოლოგი ბულარდი, რომელმაც, ერთ-ერთმა პირველმა, მიუთითა გარემოს დეგრადაციის არათანაბარ გავლენაზე ღარიბ ადამიანებზე. ბულარდის მიერ დამკვიდრებული „გარემოსდაცვითი სამართლიანობის“ პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლება იცხოვროს, იმუშაოს, ითამაშოს დაცულ გარემოში, მიუხედავად ინდივიდის რასისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა (Bullard, 2000).

2002 წელს კანადელმა მეცნიერმა მაიკლ უნგარმა ტერმინი „გარემოსდაცვითი სამართლიანობა“ დაამკვიდრა სოციალურ მუშაობაში (Ungar. 2002). დომინელის თანახმად, გარემოსდაცვითი სამართლიანობის ნაკლებობა, ანუ გარემოსდაცვითი უსამართლობა გულისხმობს საზოგადოების წარუმატებლობას, უზრუნველყოს დედამიწის რესურსების სამართლიანი განაწილება, რათა დაკმაყოფილდეს ყველა ადამიანის მოთხოვნილებები როგორც დღევანდელ დღეს, ისე მომავალში და არ მოხდეს პლანეტისთვის ზიანის მიყენება (Dominelli, 2012).

გარემოსდაცვითი გამოწვევების მიმართ მოწყვლადობის მაჩვენებლები

გარემოსდაცვითი გამოწვევების და კლიმატური ცვლილებების მიმართ მოწყვლადობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მახასიათებელს როგორც ცალკეული ქვეყნებისთვის, ისე გარკვეული ჯგუფებისა და ინდივიდებისთვის. 2021 წლის მონაცემებით, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, განსაკუთრებით მოწყვლადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება 48 ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყანა (რომელთაგან 32 აფრიკის კონტინენტზეა განლაგებული). ასევე პატარა კუნძული სახელმწიფოები და ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნები (IPCC, 2021). ქვეყნების კლიმატის ცვლილებისადმი დაუცველობის განსასაზღვრად საჭიროა შეფასდეს შემდეგი ასპექტები:

- ემუქრება თუ არა ქვეყანას წყალდიდობების, ქარიშხლების, სიცხის ტალღების, გვალვების, ზღვის დონის აწევის მომეტებული საფრთხეები?
- მომეტებული საფრთხეების შემთხვევაში, რამდენად მაღალია ადამიანების და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის დაზიანების რისკი?

- აქვს თუ არა ქვეყანას სტიქიური უბედურების მომზადებისთვის და მასთან გამკლავებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, გამოცდილება და მმართველობის სისტემები?

სწორედ აღნიშნული ასპექტების შეფასებას ეყრდნობა კლიმატური ცვლილებების მიმართ მოწყვლადობის განსაზღვრისთვის გამოყენებული მთელი რიგი ინსტრუმენტები (მაგ., INFORM Risk Index, World Risk Index) (IPCC, 2021).

ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების მოწყვლადობის განსასაზღვრად მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ რამდენად აქვთ მათ კლიმატური ცვლილებების არასასურველ შედეგებთან გამკლავების პოტენციალი. ამას კი დიდწილად განსაზღვრავს ინდივიდის პერსონალური, გარემო და სოციალური ფაქტორები, როგორებიცაა: ასაკი და ჯანმრთელობა, მწვანე სივრცეებზე ხელმისაწვდომობა, საცხოვრებელი პირობები, ფორმალური და არაფორმალური სოციალური კავშირები, სოციალური იზოლაცია. კვლევებით დასტურდება გარემოსდაცვითი გამოწვევების მიმართ შემდეგი ჯგუფების განსაკუთრებით მაღალი მოწყვლადობა (Hames & Vardoulakis, 2012; DEFRA, 2017):

- ჩვილი და მცირეწლოვანი ბავშვები
- ხანდაზმული პირები
- ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები
- შეზღუდული მობილობისა და მომსახურებებზე შეზღუდული წვდომის მქონე პირები
- სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები პირები.

პირები, რომელთაც აქვთ მოწყვლადობის რამდენიმე მაჩვენებელი, ყველაზე დაუცველები არიან კლიმატური ცვლილებების მიმართ (მაგ., ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ჩვილი).

ეკოლოგიური პარადიგმა სოციალურ მუშაობაში

ეკოლოგიური პარადიგმა არის სოციალური მუშაობის ჩარჩო, რომელიც ადამიანს განიხილავს ბუნების ნაწილად და აღიარებს, რომ ბუნებრივი გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყველა ადამიანის ცხოვრებასა და კეთილდღეობაში (Stamm et al., 2023). ამ პარადიგმის ფარგლებში, ტერმინი ეკოლოგიური სოციალური მუშაობა გულისხმობს სოციალურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს შორის ურთიერთკავშირების ხაზგასმას (Stamm, 2022). ეკოლოგიური სოციალური მუშაობა ხედავს სოციალურ პრობლემებს არა მხოლოდ ანთროპოცენტრული თვალსაზრისით, არამედ, ასევე ამახვილებს ყურადღებას მათ წარმოშობაზე გარემოს გავლენაზე. ის მოითხოვს ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას; კეთილდღეობის განხილვას არა მხოლოდ ადამიანების, არამედ დედამიწაზე მცხოვრები ყველა სახეობის ინტერესების გათვალისწინებით და ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს კრიზისს და მის გამომწვევ მიზეზებს (Stamm. 2022).

ეკოლოგიური პარადიგმა, რომელიც წარმოადგენს გამაერთიანებელ კონცეფციას, მოიცავს ამ მიმართულებით სოციალური მუშაობის რამდენიმე მიდგომას, კერძოდ: ეკოსოციალურ, გარემოსდაცვით, მწვანე, ეკოსპირიტუალურ და ღრმა ეკოლოგიურ მიდგომებს.

ცხრილი 1: ეკოლოგიური სოციალური მუშაობის სხვადასხვა მიდგომის შედარება

მიდგომა	ძირითადი აქცენტები
ეკოსოციალური	აერთიანებს სისტემების თეორიასა და ეკოკრიტიკულ პოზიციას; მიზნად ისახავს ინდივიდების, ჯგუფებისა და საზოგადოების გაძლიერებას, სოციალური კაპიტალისა და მედეგობის გაზრდას
გარემოსდაცვითი	აქცენტს აკეთებს მდგრადობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, სოციალური მუშაობის ახალი პარადიგმისა და საზოგადოების განვითარების საჭიროებაზე
მწვანე სოციალური მუშაობა	პრაქტიკა მოიცავს გარემოსდაცვით ღონისძიებებს და ინდივიდების კეთილდღეობის (well-being) გაუმჯობესებას; ეყრდნობა რადიკალური და ანტირეპრესიული სოციალური მუშაობის ტრადიციებს
ეკოსპირიტუალური	მიიჩნევს, რომ ადამიანები წარმოადგენენ ბუნების ნაწილს და მათთვის წამყვანი მნიშვნელობა აქვს სულიერებას; იყენებენ ადგილობრივი (indigenous) სოციალური მუშაობის მიდგომებს
ღრმა ეკოლოგიური	აქტუალურია ძლიერი გარემოსდაცვითი სამართალი, ანთროპოცენტრული მიდგომების კრიტიკა

წყარო: McKinnon & Alston, 2016

წარმოდგენილი განსხვავებების მიუხედავად, ყველა ამ მიდგომას აქვს საერთო ტრადიციები (ეკოკრიტიკული ტრადიცია); ისინი იზიარებენ ჯეინ ადამსის სოციალური ცვლილების ტრადიციას; გამოწვევას უყენებენ მეინსტრიმული სოციალური მუშაობის პრაქტიკას, ეკოლოგიურ პარადიგმაზე გადასასვლელად; ხედავენ გლობალურ ჭრილში აზროვნებისა და მოქმედებების ადგილობრივ ჭრილში კონცეპტუალიზების აუცილებლობას; ადამიანს განიხილავენ ბუნების ნაწილად (McKinnon & Alston, 2016). გარდა ამისა, წარმოდგენილი მიდგომები ყურადღებას ამახვილებენ ნეოლიბერალური, ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის უარყოფით მხარეებზე, ვინაიდან ისინი იწვევენ ბუნებრივი რესურსების გადამეტებულ ექსპლუატაციასა და სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის განადგურებას (Dominelli, 2012). დომინელი და ბევრი სხვა მეცნიერი მიიჩნევს, რომ მრეწველობის განვითარების დღეს არსებული მოდელი „არ პასუხობს მიზნებს“ და რომ სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ალტერნატიული მოდელების შემუშავებაში (Dominelli, 2013).

ეკოლოგიური პარადიგმა მოიცავს ისეთ პრინციპებს, როგორებიცაა: გარემოსდაცვითი სამართლიანობა, კლიმატის სამართლიანობა და გარემოს მდგრადობა. როგორც უკვე აღინიშნა, გარემოსდაცვითი სამართლიანობა გულისხმობს ეკოლოგიური ტვირთის სამართლიან განაწილებას, დასახული მიზნების მისაღწევად ინკლუზიური მიდგომების გამოყენებას და ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მარგინალიზებული ჯგუფები თავს უსაფრთხოდ იგრძნობენ (Krings & Copic. 2020). გარემოსდაცვით სამართლიანობასთან მჭიდრო კავშირშია კლიმატის სამართლიანობის კონცეფცია, რომელიც ხაზს უსვამს კლიმატის კრიზისის ტვირთის არათანაბრად გადანაწილებას ქვეყნების შიგნით მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის და ქვეყნებსა და რეგიონებს შორის მსოფლიო მასშტაბით. პრინციპი მოუწოდებს მეტი სოლიდარობისკენ კლიმატის ცვლილების სოციალური გავლენის შესამცირებლად (Stamm, 2022). სოციალური მუშაობის კონტექსტში, მდგრადობის პრინციპი გულისხმობს უსამართლო ეკოლოგიური, სოციალუ-

რი და ეკონომიკური გავლენების აღიარებას და ყველასათვის სამართლიანი და ხარისხიანი სოციალური ფუნქციონირების მიღწევას და შენარჩუნებას (Bowles et al.. 2018), თაობათაშორისი სამართლიანობის მიღწევის მიზნით.

სოციალურ მუშაობაში ეკოლოგიური პარადიგმის მნიშვნელობის ზრდა კარგად არის ასახული ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორიცაა სოციალური მუშაობის გლობალური განმარტების კომენტარები და სოციალური მუშაობის გლობალური დღის წესრიგი, რომლებშიც ხაზგასმულია გარემოსდაცვითი სამართლიანობისა და ეკოლოგიური მდგრადობის მნიშვნელობა და სოციალური მუშაკების როლი ამ მიმართულებით (IASSW, IFSW & ICSW, 2012; IASSW & IFSW, 2014). გლობალური დღის წესრიგის მესამე ანგარიში კი სრულად ეძღვნება გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპს და განიხილავს ამ პრინციპის კავშირს სოციალური პრობლემების წარმოშობასა და გაღრმავებასთან და, შესაბამისად, სოციალური მუშაობის პრაქტიკასთან (IASSW et al., 2018).

სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის, სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციისა და სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭოს აღნიშნული ინიციატივები გარკვეულწილად გამოწვეული იყო სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები სოციალური მუშაკების მზარდი ინტერესით, გაეგოთ მეტი სოციალურ სამუშაოსთან დაკავშირებული გარემო ფაქტორებისა და ეკოლოგიური ცვლილებების სოციალური გავლენების შესახებ. მაგალითად, ავსტრალიის სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ (AASW) გამოკითხვით დაადგინა, რომ ასოციაციის წევრების დაახლოებით 11 პროცენტი მიიჩნევდა ეკოლოგიურ მდგრადობას სახელმწიფო პოლიტიკის ერთერთ მთავარ სფეროდ, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო მათ საქმიანობასთან. მალევე, AASW-მ შეიტანა ცვლილება ეთიკის კოდექსში, რომელმაც „ადამიანის კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მენეჯმენტი“ აღიარა დამატებით ღირებულებად ავსტრალიელი სოციალური მუშაკებისთვის (AASW, 2010).

სოციალური მუშაობის პრაქტიკისთვის ეკოლოგიური პარადიგმის მნიშვნელობის ზრდას თან ახლავს მკვლევრების გაზრდილი ინტერესი ეკოლოგიური სოციალური მუშაობის მიმართ და ამ საკითხების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამებში (Stamm et al., 2020). მაგალითისთვის, 2015 წელს აშშ-ის სოციალური მუშაობის აკრედიტაციის ორგანომ დაამატა „ეკოლოგიური სამართლიანობა“ იმ კომპეტენციების ჩამონათვალს, რომლებიც ყველა სოციალურ მუშაკს უნდა ჰქონდეს სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამის დასრულების შემდეგ (Council of Social Work Education, 2015). სოციალური მუშაობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ეკოლოგიური სოციალური მუშაობის პრინციპების სრულყოფილად დამკვიდრების მიზნით, აშშ-ის სოციალური მუშაობის განათლების საბჭომ ასევე შეიმუშავა სპეციალური სახელმძღვანელო (Council on Social Work Education, 2020). აკრედიტაციის სტანდარტსა და სახელმძღვანელოში გამოყენებულია გარემოსდაცვითი სამართლიანობის შემდეგი განმარტება: „გარემოსდაცვითი სამართლიანობა დგება მაშინ, როდესაც ყველა ადამიანი თანაბრად არის გარემოსდაცვითი ღონისძიებების სამიზნე. არცერთი ჯგუფი ან საზოგადოება არ არის მოკლებული გარემოსდაცვითი პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობას და არ იმყოფება გარემოსდაცვითი საფრთხის არაპროპორციული ზემოქმედების ქვეშ. გარემოსდაცვითი სამართალი გულისხმობს ყველა სახეობის ურთიერთდამოკიდებულებას, კულტურული და ბიოლოგიური მრავალფეროვნების პატივისცემასა და ეკოლოგიური ზიანისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრების უფლე-

ბას. გარემოსდაცვითი სამართლის პრინციპების დამკვიდრება ასევე მოიცავს ადამიანების მიერ ეკოლოგიური რესურსების, მათ შორის, მიწის, წყლის, ჰაერის და საკვების პასუხისმგებლიან მოხმარებას“ (CSWE, 2015, p. 20).

სოციალური მუშაკის როლი ეკოლოგიური სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკაში

სოციალური მუშაობის ადრეული ეტაპიდან, მათ შორის, განსახლების მოძრაობის დროს, პროფესიაში აღიარებული იყო კავშირი ბუნებრივ და ადამიანის მიერ შექმნილ გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას შორის. სოციალური მუშაკები იყენებდნენ ბუნების სამკურნალო ეფექტს და მონაწილეობდნენ ურბანულ ცენტრებში ნარჩენებით წყლის დაბინძურებისგან დასაცავად თემების მობილიზებაში. ადამიანსა და გარემოს შორის ამ ბმის აღიარებამ გარკვეულწილად განსაზღვრა სოციალური მუშაობის პრაქტიკის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი (CSWE, 2020). თუმცა, იმავდროულად, არაერთი ავტორი მიიჩნევს, რომ პროფესია არასაკმარისად ითვალისწინებდა ფიზიკურ გარემოს ინდივიდებთან, ჯგუფებთან და თემებთან მუშაობის პროცესში (McKinnon & Alston, 2016).

ლოველის და ჯონსონის აზრით, ათწლეულების განმავლობაში, სოციალურ მუშაკებს თავის საქმიანობაში დაუგროვდათ გარემოსდაცვითი პრობლემების პრევენციისა და გადაჭრისთვის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რადგან იგივე უნარ-ჩვევები, ღირებულებები და პრაქტიკა აუცილებელია დაუცველთა სახელით ადვოკატობისთვის. ისინი მიიჩნევენ, რომ „პროფესია კარგად არის აღჭურვილი ბუნებრივ და სოციალურ გარემოს შორის უფსკრულის გადასალახად“ (Lovell & Johnson, 1994. p. 200). სოციალური მუშაობის შესაბამისი უნარები მოიცავს: კრიტიკულ ანალიზს, საზოგადოების მობილიზაციის სტრატეგიების ცოდნას, ურთიერთობის დამყარებისა და კონფლიქტების მოგვარების უნარს, თანასწორობის და მრავალფეროვნების ხელშეწყობას და მრავალ სხვას (Muldoon, 2006).

ამრიგად, სოციალური მუშაობა მიზნად ისახავს დანერგოს ისეთი მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს მარგინალიზებული და სხვა პირებისთვის თანამედროვე, მდგრადი და ეკოლოგიურად უსაფრთხო შემოსავლისა და საარსებო წყაროს გენერირებას, სოციალური, ბავშვთა დაცვის და სხვა პროგრამებისა და პოლიტიკის დაგეგმვისა და დანერგვის დროს გარემოსდაცვითი პრიორიტეტების ინტეგრირებას, გარემოს დაცვაზე მიმართული ღონისძიებების გაფართოებას, სტიქიური უბედურებებისთვის მზაობის შექმნასა და დროულ რეაგირებას, რა დროსაც უზრუნველყოფილ იქნება თანასწორუფლებიანობა და მრავალფეროვნების პატივისცემა. სოციალურ მუშაკებს ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ისეთ კითხვებზე პასუხების გაცემაში, როგორებიცაა: რომელი ჯგუფების რომელი სოციალური საჭიროება უნდა ჩაითვალოს პრიორიტეტულად, კლიმატის ცვლილებების შედეგად შექმნილ გადაუდებელ ვითარებებში? როგორი შეიძლება იყოს მსგავს ვითარებაში რესურსებისა და მომსახურებების მოხმარების მინიმალური დონე, რომელიც, იმავდროულად, უზრუნველყოფს პლანეტარულ უსაფრთხოებას? (Otto et al., 2024). აღნიშნულის შესრულებისთვის კი მნიშვნელოვანია, სოციალური მუშაობა განხილულ იქნეს არა მხოლოდ, როგორც პირდაპირი პრაქტიკის განმახორციელებელი პროფესია, არამედ, როგორც პროფესია, რომელსაც თანაბრად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მიკრო-, მეზო- და მაკროდო-

ნეებზე ეკოლოგიური საჭიროებების მოგვარებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, სოციალური მუშაკების მიკროდონის პრაქტიკაში ინტეგრირებული იყოს მეზო- და მაკრომიდგომები, ხოლო მაკროდონის პრაქტიკა ითვალისწინებდეს მიკრო- და მეზოდონეზე განხორციელებულ სამუშაოს.

ეკოლოგიური სოციალური მუშაობის სტრატეგიები მაკროდონეზე მოიცავს მუშაობას სათემო ჯგუფებთან, მკვლევრებთან, გადაწყვეტილებების მიმღებებთან და სხვა აქტორებთან, ეკოლოგიური გამოწვევების გადასაჭრელად პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაზე. პრაქტიკის ამ დონეს აქვს მასშტაბური გავლენა საზოგადოების დიდ ნაწილზე და, მათ შორის, ყველაზე დაუცველ მოქალაქეებზე, რომლებზეც, როგორც ცნობილია, ყველაზე მეტად მოქმედებს ეკოლოგიური ცვლილებები და კატასტროფები (WHO, 2005).

ცხრილი 2: ეკოლოგიური სოციალური მუშაობის ჩარჩო პრაქტიკის მაკროდონეზე

ძირითადი მოსაზრებები	**მაკროპრაქტიკის სტრატეგიები**
როგორ არის შესაძლებელი ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული საკითხების სოციალური მუშაობის ყოველდღიურ პრაქტიკაში გათვალისწინება?	- შეაფასეთ თემის ხელმისაწვდომობა ბუნებრივ გარემოზე, მაგალითად, პარკებზე, სათამაშო მოედნებზე, მდინარეებისა და ზღვების სანაპიროებზე, ველურ ბუნებაზე. - შეაფასეთ, არის თუ არა თემში საცხოვრებელ გარემოში ხეების დარგვის საშუალება და შესაძლებელია თუ არა ამ აქტივობის დაგეგმვა? - შეაფასეთ, აქვთ თუ არა ბავშვებს და ახალგაზრდებს უსაფრთხო ბუნებრივ გარემოში აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა და ხომ არ არის საჭირო მსგავსი შესაძლებლობების გასაფართოებლად საზოგადოებრივი ან სხვა ალტერნატიული ტრანსპორტის შეთავაზება?
როგორც პრაქტიკის ნაწილი, როგორ არის შესაძლებელი მდგრადი გარემოს მხარდაჭერა და მოწყვლად ჯგუფებზე ეკოლოგიური ცვლილებებისა და კატასტროფების არაპროპორციული ზემოქმედებების შემცირების ხელშეწყობა?	- დაფიქრდით, არსებობს თუ არა გარემოსდაცვითი გამოწვევები იმ თემში, რომელშიც თქვენ მუშაობთ. მაგალითად, ხომ არ ხდება წიაღისეულის მოპოვება, ხელმისაწვდომია თუ არა სუფთა წყალი? - განიხილეთ ეკოლოგიური საკითხები ინდივიდებთან, ჯგუფებთან და თემთან. იმუშავეთ მათთან ეკოლოგიურ საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად. - უზრუნველყავით თემის წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობა, გარემოსდაცვითი საკითხების განხილვისას; ჩართულობა ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობების წარმომადგენლებთან. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართვას. - დაეხმარეთ თემის წარმომადგენლებს წერილებისა და პეტიციების დაწერაში, ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობებთან საერთო პრობლემის განსახილველად. - ითანამშრომლეთ თემში არსებულ კერძო სტრუქტურებთან, არასამთავრობო და რელიგიურ ორგანიზაციებთან, თემისთვის აქტუალური გარემოსდაცვითი საკითხების მოსაგვარებლად. - სტიქიური უბედურებების დროს იზრუნეთ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების სათანადოდ შეფასებასა და მოგვარებაზე, პასუხისმგებელი პირების ყურადღების მიპყრობის გზით. - მოახდინეთ სოციალური საცხოვრისის საკითხის და მათში ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის მოგვარების ადვოკატობა. - ხელი შეუწყვეთ გარემოსდაცვითი პრობლემების მქონე თემების დაკავშირებას მკვლევართა ჯგუფთან, რათა მოხდეს ადგილობრივი მტკიცებულებების გენერირება. - დაეხმარეთ თემის წევრებს იმის გარკვევაში, თუ როგორ შეიძლება ისინი გაწევრიანდნენ გარემოსდაცვით ქსელებსა და ორგანიზაციებში, გარემოსდაცვითი აქტივიზმის და კამპანიების ორგანიზებისთვის.

წყარო: McKinnon & Alston, 2016

თავის შეჯამება

წინამდებარე თავში წარმოდგენილია მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მნიშვნელოვანი დემოგრაფიული და ეკოლოგიური ცვლილებები. გარემოსდაცვითი გამოწვევები გარკვეულწილად გამოწვეულია უკანასკნელი საუკუნის მანძილზე მსოფლიო მოსახლეობის ექვსმილიარდიანი ზრდით. განვითარებადი და, უფრო მეტად, განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიები და ინდუსტრიები მნიშვნელოვან და, ხშირად, შეუქცევად ზიანს აყენებს გარემოს. სახეზეა მოსახლეობის სასურსათო დაუცველობა, ერთ ადამიანზე წყლის რაოდენობის მკვეთრი შემცირება, ჯანმრთელობის და კეთილდღეობის პრობლემები.

თავში აღწერილი გარემოსდაცვითი გამოწვევები და ეკოლოგიური კატასტროფები გავლენას ახდენს ჩვენს პლანეტაზე მცხოვრებ ყველა ადამიანზე და სხვა სახეობებზე. თუმცა კლიმატური ცვლილებების მიმართ მოწყვლადობა არაპროპორციულად მაღალია ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობაში. ასევე განსხვავებულია განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფების მოწყვლადობა. კერძოდ, კლიმატური ცვლილებების არასასურველ შედეგებთან გამკლავების პოტენციალი განსაკუთრებით დაბალი აქვთ სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ ინდივიდებს, ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისა და შეზღუდული მობილობის მქონე პირებს, ხანდაზმულებს, ჩვილებს და მცირეწლოვან ბავშვებს.

გლობალური ეკოლოგიური კრიზისის რისკი და გარემოსდაცვითი სამართლიანობის მნიშვნელოვანი გამოწვევები აშკარას ხდის ეკოლოგიური და სოციალური სამართლიანობის კრიზისების თანხვედრას და ამ პრობლემების გადაჭრაში სოციალური მუშაკების ჩართულობის აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაობის ადრეული ეტაპიდან არსებობდა ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ შექმნილი გარემოს გავლენის აღქმა ინდივიდის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, ბოლო ათწლეულებში საგრძნობლად გაძლიერდა პროფესიაში ეკოლოგიური პარადიგმის დამკვიდრების ტენდენცია. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან ახალ პერსპექტივას სოციალური მუშაობის პრაქტიკისა და კვლევების წარმართვაში. ეკოლოგიური სოციალური მუშაობის პრაქტიკაში, მათ შორის, სოციალური მუშაობის მაკროპრაქტიკაში უკეთ დასამკვიდრებლად, მნიშვნელოვანია აკადემიურ და პრაქტიკის სწავლებაში ამ საკითხების სრულფასოვნად ინტეგრირება.

კითხვები რეფლექსიისთვის:

1. კლიმატის ცვლილება ბუნებრივად ხდებოდა საუკუნეების მანძილზე. რატომ გახდა ეს მოვლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩვენს ეპოქაში?
2. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანების რომელმა არჩევანმა შეიძლება გამოიწვიოს კლიმატის ცვლილება? რა გავლენა აქვთ მთავრობებსა და ინდუსტრიებს კლიმატის ცვლილებაზე?
3. აუცილებელია თუ არა სოციალური მუშაობის აკადემიურ განათლებაში ეკოლოგიური სოციალური მუშაობის საკითხების ინტეგრირება და რა თემატიკის განხილვა დაეხმარება მომავალ სოციალურ მუშაკებს მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი აქტივობების მნიშვნელობის გაანალიზებასა და პრაქტიკაში დანერგვაში?

დანართი #1 – ნახშირბადის ნაკვალევის ტესტი[1]

საკვები	ტრანსპორტი
1. როგორია თქვენი დიეტა? ა. მე ვჭამ ხორცს ყოველ კვებაზე (20) ბ. ზოგიერთ კერძში ვჭამ ხორცს (10) გ. იშვიათად ვჭამ ხორცს (5) დ. მე არ ვჭამ ხორცს (0) 2. რამდენად ხშირად ჭამთ გარეთ (რესტორანი/კაფე/ონლაინ საკვების შეკვეთა)? ა. ყოველდღე (20) ბ. კვირაში რამდენჯერმე (10) გ. თვეში ერთხელ (5) დ. არ ვჭამ (0) 3. საკვების რა ნაწილს აფუჭებ? ა. ნახევარზე მეტი (20) ბ. მეოთხედი (10) გ. მეათედი (5) დ. არცერთი (0) 4. ადგილობრივად მოყვანილ რა პროდუქტს იღებთ? ა. არ ვიცი (20) ბ. ზოგიერთს (10) გ. უმეტესობას (5) დ. ყველას (0)	1. რითი გადაადგილდებით ყველაზე ხშირად? ა. მანქანით (20) ბ. მოტოციკლით (10) გ. საზოგადოებრივი ტრანსპორტით (5) დ. არცერთი – ვსეირნობ ან ველოსიპედით მივდივარ (0) 2. დღეში რამდენ საათს ატარებთ მანქანაში ან მოტოციკლზე? ა. 1 საათზე მეტი (20) ბ. ნახევარი – 1 საათი (10) გ. ნახევარ საათზე ნაკლები (5) დ. 0 (0) 3. რამდენ საათს ხარჯავთ დღეში საზოგადოებრივ ტრანსპორტში? ა. 1 საათზე მეტი (20) ბ. ნახევარი – 1 საათი (10) გ. ნახევარ საათზე ნაკლები (5) დ. 0 (0) 4. რამდენჯერ დაფრინავთ ყოველწლიურად? ა. 4 ან მეტჯერ (20) ბ. 2-3-ჯერ (10) გ. 1-2-ჯერ (5) დ. არცერთხელ (0)
სულ ქულები:	სულ ქულები:
სახლი	ნივთები
1. როგორ სახლში ცხოვრობთ? ა. 2-3-სართულიანი კერძო სახლი (20) ბ. 1-სართულიანი კერძო სახლი (10) გ. ბინა / ბინა (5) 2. რამდენი ოთახი გაქვთ ადამიანზე? ა. 4 ან მეტი (30) ბ. 3 (20) გ. 2 (10) დ. 1 (5) 3. რა ტემპერატურული დიაპაზონი გაქვთ სახლში ზამთარში? ა. 21 ° C- ზე ზემოთ (ცხელი) (20) ბ. 18-21° C (გრილი) (10) გ. 14-17° C (გრილი) (5) დ. 14 ° C-ზე ქვემოთ (ცივი) (0) 4. თიშავთ შუქს და ელექტრომოწყობილობებს, როდესაც არ იყენებთ? ა. არა (10) ბ. დიახ (0)	1. რამდენი ელექტრონული მოწყობილობა გაქვთ სახლში? ა. 10 ან მეტი (20) ბ. 5-10 (10) გ. 1-5 (5) დ. 0 (0) 2. რამდენ ტანსაცმელს ყიდულობთ წელიწადში? ა. 8-ზე მეტი (30) ბ. 5-7 ცალი (20) გ. 2-4 ცალი (10) დ. 1 ცალი (5) 3. რამდენ ნაგავს გამოიმუშავებთ დღეში? ა. 1 ლ-ზე მეტი (20) ბ. 1 ლ (10) გ. 0,5 ლ. ქილა (5) დ. 0 (0) 4. აგდებთ ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა მიწა, მეტალი და ქაღალდი, გადამუშავების ურნებში? ა. არა (20) ბ. დიახ (5)
სულ ქულები:	სულ ქულები:
ქულების ჯამი:	

წყარო: BIOLEARN, 2021

[1] BIOLEARN (2021). კლიმატი და კლიმატის ცვლილებები. თურქეთის რესპუბლიკის ენეზის საოლქო მთავრობის ოფიციალური გამოცემა.

შეაჯამეთ ქულები ყველა კატეგორიიდან, რათა გაიგოთ თქვენი ნახშირბადის კვალი. 70 ქულაზე ნაკლები ქულა მიუთითებს იმაზე, რომ თქვენი ნახშირბადის ნაკვალევი დაბალია.

გამოყენებული ლიტერატურა:

Australian Association of Social Workers (AASW) (2010). Code of ethics. Canberra, ACT

BIOLEARN (2021). კლიმატი და კლიმატის ცვლილებები. თურქეთის რესპუბლიკის ენეზის საოლქო მთავრობის ოფიციალური გამოცემა.

Bowles, W., Boetto, H., Jones, B.., & McKinnon, J. (2018). Is social work really greening? Exploring the place of sustainability and environment in social work codes of ethics. International Social Work, 61(4)

Bronfenbrenner, U. (1979). The Ecology of Human Development: Experiments by Nature and Design. Harvard University Press

Bullard, R. (2000). Dumping in Dixie: Race, Class, and Environmental Quality, 3rd edn. Boulder, CO: Westview Press

Council on Social Work Education (2015). Educational Policy and Accreditation Standards for Baccalaureate and Master's Social Work Programs. Commission on Accreditation Commission on Educational Policy. 2015-epas-and-glossary.pdf (cswe.org)

Council on Social Work Education (2020). Curricular Guide for Environmental Justice. Alexandria, USA

DEFRA (2017). UK Climate Change Risk Assessment. Evidence Report: London

Dominelli, L. (2012) Green Social Work. Cambridg: Polity Press

Dominelli, L. (2013) 'Environmental Justice at the Heart of Social Work Practice: Greening the Profession' International Journal of Social Welfare, DOI: 10.1111/ijsw.12024

Environmental Justice Foundation (2022). In Search of Justice. EJF-Climate-Inequality-report-2021.pdf (ejfoundation.org)

FAO, IFAD, UNICEF, WFP and WHO (2023). In Brief to the State of Food Security and Nutrition in the World 2023. Urbanization, agrifood systems transformation and healthy diets across the rural-urban continuum. Rome, FAO. https://doi.org/10.4060/cc6550en

Hames, D. and Vardoulakis, S. (2012) Climate Change Risk Assessment for the Health Sector

Intergovernmental Panel on Climate Change – IPCC (2021). Contribution of Working Group I to the Sixth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change. Cambridge University Press https://www.ipcc.ch/report/ar6/wg1/

International Association of Schools of Social Work, International Federation of Social Workers & International Council of Social Welfare (2012). The Global Agenda for social work and social development

International Association of Schools of Social Work, International Federation of Social Workers, & International Council on Social Welfare. (2018). Global agenda for social work and social development: Third report. Promoting Community and Environmental Sustainability. (Ed. David N Jones). IFSW, Rheinfelden, Switzerland

IFSW & IASSW (2014). Global Definition of Social Work. Global Definition of Social I Work-International Federation of Social Workers (ifsw.org)

Krings, A. & Copic, C. (2020). Environmental justice organizing in a gentrifying community: Navigating dilemmas of representation, issue selection, and recruitment. Families in Society: The Journal of Contemporary Social Services, 102(2)

Otto, A., Volturo, S. & Hermans, K. (2024). Social Work in a Climate Emergency Context: Towards a Research Agenda. ReSPOND Working Paper No 2024-01. Leuven: Centre for Sociological Research, KU Leuven

McKinnon, J. & Alston, M. (2016). Ecological Social Work Towards Sustainability. The British Journal of Social Work, 48/2

Stamm, I., Mattheis, A., Peeters J., & Hirvilampi T. (2020). Ecosocial innovations enabling social work to 2 promote new forms of sustainable economy. International Journal of Social Welfare

Lovell, M. & Johnson, D. (1994). The environmental crisis and direct social work practice. Ashgate Publishers.

Muldoon, A. (2006). Environmental Efforts: The Next Challenge for Social Work. Environmental Efforts: The Next Challenge for Social Work (uwindsor.ca)

Our World in Data (2023). https://ourworldindata.org/childhood-diarrheal-diseases

Parrillo, V. N. (2005). Contemporary Social Problems. Pearson/Allyn and Bacon

Rainforest Action Network (2023). Species Extinction. Rainforest Action Network – Fighting for People and Planet (ran.org)

Stamm, I. (2022). Human Rights-Based Social Work and the Natural Environment: Time for New Perspectives. Journal of Human Rights and Social Work

Stamm, I., Ranta-Tyrkkö, S., Matthies, A.-L., & Närhi, K. (2023). The ecosocial paradigm in social work: striving for planetary well-being. In T. Kortetmäki et al. (Eds.). Interdisciplinary Perspectives on Planetary Well-being. Routledge.

UN (2023). Losing 25,000 to Hunger Every Day United Nations

Ungar, M. (2002). A Deeper, more Social Ecological Social Work Practice. Social Services Review, Vol. 76

UNICEF (2021) The climate crisis is a child rights crisis: Introducing the Children's Climate Risk Index, New York, USA, 128 pp., https://www.unicef.org/media/105376/ file/UNICEF-climate-crisis-child-rights crisis.pdf

United Nations (2020). World Fertility and Family Planning. Department of Economic and Social Affairs. Ten key messages for WFFP2020 highlights.pdf (un.org)

World Health Organisation (WHO). (2005). Ecosystems and human well-being: A synthesis Rreport. Geneva, Switzerland.

გამომცემლობის რედაქტორი **მარინე ვარამაშვილი**
გარეკანის დიზაინერი **ნინო ებრალიძე**
დამკაბადონებელი **ლალი კურდღელაშვილი**
გამოცემის მენეჯერი **მარიკა ერქომაიშვილი**

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278
www.press.tsu.edu.ge